ჯიორგი ქავთარაძე

დაკარგული ადგილის ხე



რომანი

„მერანი“. თბილისი.
1979

Г2
899.962.1—32
ქ 153

გიორგი ქავთარაძის რომანი „დაჭრილი არყის ხე" გვიხატავს დიდი სამამულო ომისდროინდელ ცხოვრებას, მოძალადე გერმანელი ნაცისტების თარეშს დროებით დაპყრობილ უკრაინაში, პარტიზანულ მოძრაობას და ჩვენი სამშობლოს მრავალეროვანი ხალხის ბრძოლას შემოსეული მტრების წინააღმდეგ.

70303 — 7
ქ ———————— 14—79
М 604 (08) — 79

© გამომცემლობა „მერანი", 1979

შტაბის უფროსი იოჰან შნაიდერი

ახალშემოსული გერმანელთა ლეგიონი და სარეზერვო ჯარის ნაწილი სოფლად შეჩერდა.

კიევის დაკავებისთანავე, გენერალურმა შტაბმა, სარეზერვო ნაწილისა და ზურგში მოქმედი ჯარის შტაბის უფროსად დანიშნა ობერლეიტენანტი, იოჰან შნაიდერი. ომებში განობრძმედილმა გერმანელმა, დიდი ტყიდან ოცი კილომეტრით დაშორებული სოფელი აირჩია დასაბანაკებლად, რადგან იცოდა, რომ პარტიზანები არ მოასვენებდნენ გერმანელებს.

სამხედრო საქმის დიდი მცოდნე, გონიერი, მაგრამ ამავე დროს გოროზი კაცი გახლდათ შნაიდერი. არ უნდოდა გარეულიყო სხვა გერმანელ ოფიცრებში, სურდა, ცალკე ეცხოვრა, უნგრელ და რუმინელ ოფიცრებს გულგრილად ესალმებოდა, როგორც ებრაელებს, მათაც Unmensch[1]-ებად იხსენიებდა. არამც თუ რიგით ოფიცრებს, არაგერმანელ გენერლებსაც არაფრად აგდებდა.

ობერლეიტენანტ შნაიდერს განზადებული დახვდა კოლმეურნეობის თავმჯდომარის — ტარას გრიცკოს ორსართულიანი სახლი, დიდებულად მორთულ-მოკაზმული ავეჯეულობითა და ოჯახისთვის საჭირო ნივთებით. ოღონდ ეს კი იყო, რომ უკრაინელის მშვენიერ სახლს საპირფარეშო ეზოს საზღვარზე ჰქონდა, ძალიან ეშინოდა ღამით გარეთ გასვლისა, ყოველ ხესთან და ბუჩქთან ელანდებოდა ჩასაფრებული პარტიზანი.

ხუთი რჩეული გუშაგი იცავდა მის სიცოცხლეს, ორი კაცი საპირფარეშომდის მიჰყვებოდა, იქვე ელოდებოდნენ და მერე ბინამდის მიაცილებდნენ, ეზოს უვლიდნენ გარშემო, სანამ შინ შევიდოდა შნაიდერი, ერთი გუშაგი ხელს დაუბანინებდა, მეორე კი მიაწოდებდა ბოლოებში შავსვასტიკებაბოქარგულ ქათქათა პირსახოცს, ერთი გუშაგი კართან იდგა, მაგრამ მაინც ვერ იყო მშვიდად, კარგად იცოდა, რომ პარტიზანის ტყვია არც მას დაინდობდა და არც მისი სიცოცხლის დამცველებს.

როცა კარგი ბინის მძებნელი შნაიდერი უკრაინელის მიტოვებული სახლისკენ გაემართა დასათვალიერებლად, თან გაჰყვნენ მისი ადიუტანტი ახალგაზრდა ოფიცერი — კარლ ვინცერი, ხანში შესული უკრაინელი ქალი — გერმანული ენის მასწავლებელი ირინა არხიპოვნა ბოგაჩენკო და მუდამ განუშორებელი მგელძაღლა ტიროლი. როგორც კი დაუახლოვდნენ, ირინა არხიპოვნამ უქო კი-

---

[1] არაკაცი (მხეცკაცი) (გერმ.).

დეც გრიცკოს სახლი, ეშინოდა, პატრონიანი სხვა სახლი არ მოეწონოსო გერმანელს.

შეჩერდა შნაიდერი, თვალი მიავლ-მოავლო შემოგარენს, მოეწონა სახლიცა და ადგილმდებარეობაც, გაიღიმა.

«Herrlich, was»! [1] — თქვა და განაგრძეს გზა.

– Ja, ja, sehr herrlich![2]

დაუდასტურა სევდიანი ღიმილით ირინა არხიპოვნამ.

მიადგნენ უპატრონოდ მიტოვებულ კარ-მიდაბოს.

შეაღო დაუკეტავი კარი ადიუტანტმა, გვერდზე გადგა და ზრდილობიანი მანერით ანიშნა, შებრძანდითო. არ უნდოდა გერმანელს პირველი შესულიყო, ეშინოდა, არ იცოდა, რა იყო საშიში და მაინც ეშინოდა. შედგა თუ არა ფეხი, გაშეშდა, უძრავი თვალებით მიაცქერდა და მერე ჩქარ-ჩქარა აახამხამა მოკლე, შავი წამწამები. მის პირდაპირ, კედელზე ეკიდა სტალინის დიდი პორტრეტი— უკრაინელი მხატვრის ნახელავი. არ შემანჩნიონ შიში ჩემმა ადიუტანტმა და თარჯიმანმაო, — გაიფიქრა უცებ, წარსდგა რამდენიმე ნაბიჯი წინ და კიდევ შეჩერდა, თვალი აავლო სტალინსა და მარჯვნივ გაკრულ ვოროშილოვის სურათზე გადაიტანა მზერა, მერე მხარმარცხნივ გაიხედა და ბუდიონის სურათს დაუკვირდა.

ეწადა კიდევ დაენახა სტალინი, თვალს არიდებდა.

მერე, ვითომ სხვათაშორის მიავლ-მოავლო თვალი სასტუმრო დარბაზს, ახლა სარკმელთან ნდგარი მაგიდისკენ გაემართა, ისე ფრთხილად აბიჯებდა, იფიქრებდით: ამ კაცს იატაკის ჩამტვრევისა ეშინიაო.

შინდისფერ მაგიდაზე გადაკრული იყო მწვანე მაუდი, ზედ ლენინის წითელყდიანი წიგნები ეწყო.

ადიუტანტმა საწერი მაგიდისფერ სავარძელზე გადაფენილი ტილოს შალითა აიღო, მაინც მოუსვა სუფთა სკამსა და ფრთხილად ჩამოსდო სარკმლის რაფაზე.

მშვენიერი ბაღჩა გამოჩნდა, ქარმა სარკმელზე ჩამოფარებული ჭრელი ფარდა ააფრიალა და სასტუმრო დარბაზში სხვადასხვანაირ ვარდ-ყვავილთა და მწიფე ხილის სურნელება მიმოაფრქვია.

ოდნავ პირდაღებული შნაიდერი სარკმელს მიადგა, გადაიხედა ბაღჩაში. ღიმილი მოერია და ჩაილაპარაკა:

———————

[1] მართლაც შშვენიერია! (გერმ.).

[2] დიახ, დიახ, ძალზე შშვენიერია! (გერმ.).

«Was fur schönes Blumen!»[1]

სარკმლის წინ ალუბლის ხე იდგა, „Kirsche!“ [2], — წარმოთქვა კმაყოფილებით, მობრუნდა და მიუჯდა საწერ მაგიდას.

— დიახ, დიახ, ჩვენში ასეთი მშვენიერი ალუბალი იცის, — ნაძალადევი ღიმილით თქვა ირინა არხიპოვნამ, გაზეთის ნახევი აიღო მაგიდიდან, მოჭმუჭნა და ჩააგდო იქვე მდგარ კალათაში.

გაზეთი «Правда» იდო მაგიდაზე, პირველ გვერდზე სტალინის სურათი იყო დაბეჭდილი, ხელი აღემართა მთავარსარდალს იმდაგვარად, თითქოს თავის ხალხებს მოუწოდებდა საბრძოლველად.

ერთი შეავლო თვალი გერმანელმა გაზეთს და გაიფიქრა:

„ნეტავ რას გადამეკიდა დღეს ეს სტალინი, ყველგან რომ მეჩხირება თვალში?“

გადააბრუნა გაზეთი, თუმცა გულით ეწადა დაკვირვებოდა სტალინს.

„რუსული ენა რომ ვიცოდე, წავიკითხავდი ამ გაზეთსო“, — ფიქრობდა შნაიდერი. თარჯიმანი იქვე ჰყავდა და რატომღაც არ იკადრა ებრძანებინა, წამიკითხე და მითარგმნეო.

ისევ აიღო გაზეთი, თავისთვის წაიკითხა: «Провда» და თარჯიმანს მიუბრუნდა:

— რას ნიშნავს «Провда»?

— «Правда?» — დაფიქრებით გაიმეორა ირინა არხიპოვნამ და მიუგო: „Правда“ სინართლეს ნიშნავს, ბატონო ობერლეიტენანტო.

— Wahrheit[3], კურიოზია, სასაცილო სახელი დაურქმევიათ, განა შეიძლება სიმართლე თქვან კომუნისტებმა? საერთოდ არ არსებობს სიმართლე, მით უმეტეს სიმართლე კომუნისტური, ყველაფერი დასაშვებია და როცა ყველაფერი დასაშვებია, სადღაა სიმართლე?

მხრები აიჩეჩა ირინა არხიპოვნამ და მერე ისეთი სახე მიიღო, შნაიდერს ეგონა, მეთანხმებაო.

აიღო შნაიდერმა ლენინის წიგნი, დააცქერდა და რუსული ენისა და წერაკითხვის ცუდად მცოდნემ დამარცვლით წაიკითხა:

«В. И. Ле-нин, том XIII».

არ ესიამოვნა, მაინცდამაინც, რაღა ეს კვიმატი ცამეტი რიცხვი შემხვდა? — გაიფიქრა გულში ფანატიკურად ცრუმორწმუნე გერმანელმა, — მერე ოცდამეთხუთმეტე ტომი მოხვდა ხელში, ირონიულად გაეღიმა და თარჯიმანს უთხრა:

— ფრაუ ირენ! ახლა დავრწმუნდი, ლენინის გარდა, სხვას არაფერს კითხულობენ რუსეთშიო.

———————

[1] რა მშვენიერი ყვავილებია! (გერმ.).

[2] ალუბალი (გერმ.).

[3] სიმართლე (გერმ.).

ირინა არხიპოვნამ ხელის თრთოლით გადააწყო წიგნები გვერდზე და მიუგო:

— როგორ არა, სხვა წიგნებსაც კითხულობენ, ბატონო ობერლეიტენანტო. დიახ, კითხულობენ.

— არა მგონია, აქ ხომ ყველა ლენინია!

მხარმარცხნივ მიიხედა გერმანელმა, დააკვირდა კედლის თაროზე კოხტად დაწყობილ წიგნებს და თარჯიმანს ჰკითხა:

— იქ რა წიგნებია? ლენინი იქნება, ან სტალინი.

კარგად ხედავდა ირინა არხიპოვნა, ცნობდა კიდეც ზოგიერთ წიგნს, გადმოიღო რამდენიმე წიგნი და დაუწყო გვერდით, ხმა არ გაუღია, ისევ მიუბრუნდა თაროს, გადმოიღო სტალინის წიგნი „ლენინიზმის საკითხები" უკრაინულად, დააცქერდა და დადო თავის ადგილზე.

რიგრიგობით გადაათვალიერა გერმანელმა წიგნები.

პირველი აღმოჩნდა ტოლსტოის „ომი და მშვიდობა".

დახედა ყდაზე და კიდევ დამარცვლით წაიკითხა:

«Л-ев Тол-стой, вой-на и мир».

«Ja, ja, Krieg und Friede»,[1] — თქვა ირინა არხიპოვნამ გერმანულად.

მეორე წიგნი იყო მიკოლა ბაჟანის რჩეულ ლექსთა კრებული.

მესამე — რუსულად თარგმნილი გოეთეს ლირიკული ლექსები.

მეოთხე — დოსტოევსკის „დანაშაული და სასჯელი".

ნეხუთე — შოლოხოვის „გატეხილი ყამირი".

შექსპირის ტრაგედიებისა და უკრაინელი პოეტების ლექსების წიგნებისთვის აღარ მიუქცევია ყურადღება გერმანელს. მიიხედ-მოიხედა და თარჯიმანს ჰკითხა:

— ამ სახლში რუსი პროფესორი ცხოვრობდა?

— არა, ბატონო, უკრაინელი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე, — მოკრძალებით მიუგო ირინა არხიპოვნამ, დაჯდა და დაინიავა სურნელოვანი ცხვირსახოცი.

— კოლმეურნეობის თავმჯდომარე? — გაიოცა შნაიდერმა, „კოლშოზ", — თქვა გერმანულად, ნაცვლად „კოლხოზისა" და დასძინა: — კომუნისტი იქნებოდა, ჰმ!

— რასაკვირველია, კომუნისტი იქნებოდა, კომუნისტია ყველა რუსეთში, — გაბედა საუბარში ჩარევა ადიუტანტმა ვინცერმა და მაინც შეკრთა, ცუდი ხომ არაფერი წამომცდა, არ ეწყინოს ობერლეიტენანტსო.

— დიახ, ბატონო, კომუნისტი გახლდათ! — აღიარა თარჯიმანმა, რადგან

---

[1] დიახ, დიახ „ომი და მშვიდობა" (გერმ.).

აღარ იყო საჭირო დაფარვა, იცოდა, შნაიდერი ვეღარ მისწვდებოდა პარტიზანად გავარდნილ კომუნისტ გრიცკოს.

მაგიდის შუაგულ კედელზე ეკიდა ყავისფერ ჩარჩოში ჩასმული ტარას შევჩენკოს პორტრეტი.

უკრაინელ ქალს პოეტის სიტყვები მოაგონდა და გულში ჩაიჩურჩულა:

მოვესწრები, სისხლი, სისხლი,
მტრის სისხლი რომ დნეპრს შეღებავს!..

შნაიდერმა სიგარა გააბოლა, უბის წიგნაკი ამოიღო, რაღაც ჩაიწერა, წამოდგა, შემოუარა სასტუმრო დარბაზს, მერე ჩაჯდა იქვე კართან მდგარ სავარძელში და მიაცქერდა სტალინს, მისი ადიუტანტი ისევ აწურული იდგა, მას დიდ ბედნიერებად მიაჩნდა მარტო დარჩენა, სიგარეტის მოწევასაც კი ვერ ბედავდა თავისუფლად. უხერხულ დღეში ჩავარდნილი ირინა არხიპოვნა, ხან ერთ წიგნს გადმოიღებდა თაროდან და ხან მეორეს, გადაშლიდა, მაგრამ ვერაფერს კითხულობდა, თვალები უჭრელდებოდა, ერთმანეთში ირეოდნენ ასონიშნები, დახურა წიგნი. თაროზე შემოდო, სარკმელს მიადგა, ბაღჩაში გადაიხედა, ჩიტები შესეოდნენ მწიფე ალუბალს, ჟივჟივებდნენ, უპატრონოდ დარჩენილი ხატაურა კატა იჯდა ალუბლის ტოტზე. თვალი მოეჭუტა ჩიტების მოსატყუებლად, ვითომ მძინავსო, ადგილიდან არ იძვროდა. ირინა არხიპოვნა რომ დაინახა, უხმოდ დაიკნავლა, კუდი ააბზიკა.

ალუბლის კენწეროზე მოქცეული ჩიტები არხეინად კენკავდნენ ჩაყურჭებულ ნაყოფს, თან ცალი თვალით დაჰყურებდნენ ეშმაკ კატას.

„ფისო, ფისო, ფისუნია, გშია, შე საწყალო? სად არიან ახლა შენი პატრონები? ჩემი ტარას და ნატაშა? დაგიბრუნდებიან, უსათუოდ დაგიბრუნდებიან, დაეპატრონებიან ისევ თავიანთ მიტოვებულ სახლ-კარს, აღარ გეშინია ვასკასი? აღარ დაგათრევს კუდით? ვაი, შე უბედურო, შენი პატრონებივით უბედურო!“ — გამოელაპარაკა ირინა არხიპოვნა პირუტყვს.

ამჯერადაც უხმოდ დაიკნავლა უპატრონო კატამ, ჩიტმა ჩაუქროლა წინ, წამოიწია, ნახტომისთვის მოემზადა, ვერ გაბედა, ჩაჯდა, მოთმინებით უთვალთვალებდა ჩიტებს.

უფრო აუჩვილდა დედაკაცური გული ირინა არხიპოვნას, ხანდახან აიქნევდა ხოლმე ცხვირსახოცს, თითქოს კოშმარულ ფიქრებს ფანტავსო.

სავარძელში ღრმად ჩამჯდარი შნაიდერი რაღაცას იწერდა უბის წიგნაკში. დროდადრო, წინ გამოჭიმულ ადიუტანტს მიუგდებდა ხოლმე თითო-ოროლა სიტყვას, ადიუტანტი სუნთქვასაც კი ვერ ბედავდა თავისუფლად, მერე რაღაც საიდუმლო ჩურჩულს ნოჰყვნენ.

შნაიდერის მგელძაღლა მოუსვენრად დასუნსულობდა, ხან სარკმელს მიადგებოდა და შეჰყეფდა, ხან კართან დაცუცქდებოდა, სულ დაწრიალებდა.

„ტიროლ, ტიროლ! რას დაეძებ? ამ სახლში არ არიან პარტიზანები. ეზოში კი არავინ შემოუშვა, აბა, შენ იცი!“ — გამოელაპარაკა თავის ძაღლს შნაიდერი, მიირბინა ძაღლმა და თვალებში მიაცქერდა პატრონს.

ხელში შერჩენილ ჩამქრალ სიგარას დახედა შნაიდერმა, იმწამსვე ეახლა ადიუტანტი. აანთო სანთებელა, მოაკიდებინა და გადგა გვერდზე.

შნაიდერმა სიგარა გააბოლა და ადიუტანტს უბრძანა:

— ჩაბოხსენი ახლავე და მოაშორე აქედან ეს კომუნისტები.

ირინა არხიპოვნას ბოლმისგან გული აუფრიალდა.

კიდევ მეტად გაიჭიმა ადიუტანტი და შესძახა:

— Jawohl![1]

— პირველ ყოვლისა, საწოლი მომიმზადე, დღესვე გადმოვალ, მე მომწონს ეს სახლი, რწყილები და ბაღლინჯოები თუ არ იქნა, კარგად დაალაგე, დაასუფთავე, უკრაინელი ფროილაინები მოიყვანე, მოგეხმარებიან, გასაგებია?

— Jawohl, — კიდევ შესძახა ადიუტანტმა, ჩექმის ქუსლები ერთმანეთზე მიარტყა, ჰაილ ჰიტლერ! მიაყოლა და სანამ თვალს არ მიეფარა შინიდან დინჯად გასული შნაიდერი, გაჭიმული იდგა ადიუტანტი.

„ჰაილ!“ — დაგვიანებით, უკან მოუხედავად, მანერულად წამოიძახა პარმაღთან გასულმა შნაიდერმა, პატრონს ყეფით მისდევდა უკან თავისი ერთგული ძაღლი.

როცა რწყილები და ბაღლინჯოები ახსენა გერმანელმა, ირინა არხიპოვნას ყური უცდო მის ნათქვამს, იქნებ მართლა იყოს პარაზიტები ამ სახლშიო, თავი შეიკავა. მიჰყვებოდა გვერდით გერმანელს და გულში ჩურჩულებდა:

მოვესწრები, სისხლი, სისხლი,
მტრის სისხლი რომ დნეპრს შეღებავს!..

ეშველა ადიუტანტს, შემოაბრუნა სავარძელი შარტო დარჩენილმა, დაჯდა და გაჰყურებდა შარაგზაზე გადასულ ბატონ ოფიცერს. ჯერ სიგარეტს მოუკიდა, ვერ მოითმინა ბოლომდე მოეწია, წამოდგა, დატრიალდა, ჩამოხსნა სტალინის პორტრეტი, ვოროშილოვისა და ბუდიონის სურათები, გაიტანა, დააწყო სამზარეულოს წინ და ფიქრობდა:

„ხომ არ უბრძანებია ობერლეიტენანტს გადაყარეო? მოაშორე აქედანო, ასე არ მიბრძანა? ჰოდა, მოვაშორებ, როცა მიბრძანებს „გადაყარეო“, გადავყარი, თუ მიბრძანებს „დასწვიო“, დავწვავ ამ სურათებს“.

სასწრაფოდ შებრუნდა შინ, არ იცოდა, რა გაეკეთებინა სუფთად დალაგებულ სასტუმრო დარბაზში, ყოველი ნივთის დანახვა აღიზიანებდა, მზად იყო, წაეკიდებინა ცეცხლი და დაეწვა უკრაინელის სახლი, მაგიდას მიუჯდა, ფეხი ში-

---

[1] არის! (დიახ!) (გერმ.).

მოიდგა ვინცერმა და ფიქრობდა. უცებ სამშობლოში გაჩნდა ოცნებით, თვალწინ დაუდგნენ ოჯახი და ახლობელი ადამიანები, ამოიღო პიჯაკის გულის ჯიბიდან ფოტოსურათები და წერილები, მრავალგზის წაკითხული წერილი ერთხელ კიდევ წაიკითხა:

„საყვარელო კარლ! — სწერდა წერილის დასასრულს ფროილაინ ელზა. წევრი „ჰიტლერიუგენდისა", — მომწერე ძვირფასო, როგორ ხოცავთ პარტიზანებსა და კომუნისტებს, გკოცნი ათასჯერ!

მარად შენი ელზა".

აკოცა საყვარელი ფროილაინის ფოტოსურათს, სათუთად გაახვია ფოტოსურათები და წერილები, ისევ უბის ჯიბეში შეინახა და მიუჯდა მაგიდას.

„ეს ვინღაა? არ იცოდა, ვინ იყო ტარას შევჩენკო, პოეტიც საშიშ კომუნისტად მიიჩნია, ჩამოიღო და გაიტანა გარეთ, სტალინის პორტრეტთან მიაგდო, სამზარეულოს კედელზე მიყუდებული ფართო ფიცარი აიღო და მიაფარა შინიდან გატანილ სურათებს.

საწერი მაგიდის უჯრა გამოაღო, თვალში მოხვდა შინდისფერი ხავერდის ქისა, მოხსნა თავი, თვალს არ დაუჯერა, ოქროს საათი და ალმასისთვლებიანი ოქროს ბეჭედი იდო ქისაში, სცადა გაეკეთებინა ბეჭედი მარცხენა ხელის არათითზე, არ მოერგო ქალის ბეჭედი, იმავე ხელის ნეკზე წამოიცვა უცოლო გერშანელმა, ახლა საათი მომართა და მიიდო ყურზე, არხეინად აწიკწიკდა ტარას გრიცკოს საათი, წამოიძრო ბეჭედი, საათთან ერთად ჩადო ქისაში და შეინახა უბის ჯიბეში.

„ხო! არ გამოუღია უჯრა ობერლეიტენანტს? არა, არ გამოუღია, ჩემი ბედი ყოფილა ეს საათიცა და ძვირფასი ბეჭედიც, ელზას გავუგზავნი ამ ნივთებს", — ელაპარაკებოდა თავის თავს იგი.

ფიცხლად გამოვარდა გარეთ, სირბილით მიიჭრა შნაიდერის დროებით ბინაზე, იქ შტაბის ოფიცრები დახვდნენ, რაღაც ამბებზე ლაპარაკობდნენ გაცხარებით, მაგრამ მხიარულად, ორი ეფრეიტორი იცდიდა, აჰკიდა მათ შნაიდერის ბარგი და მიაშურეს გრიცკოს სახლს.

როცა ეფრეიტორებმა შნაიდერის ბარგი გახსნეს მისი ბრძანებით, პირველ ყოვლისა, საგულდაგულოდ შეფუთული ჰიტლერის პორტრეტი გამოხსნა ვინცერმა, ნერვულობდა, ვერ გადაეწყვიტა, ჯერ ფიურერის პორტრეტი დაეკიდებინა თუ სასტუმრო დარბაზისა და სხვა ოთახების გაჩხრეკას შესდგომოდა. ფიქრობდა: იქნებ კიდევ აღმოვაჩინო რაიმე ძვირფასი ნივთებიო, ჰიტლერისა და შნაიდერის შიშმა სძლია, ეფრეიტორებიც მოიხმარა, დაალაგებინა იქაურობა, მალე გაათავისუფლა ისინი, ჯერ ჰიტლერის პორტრეტი დაჰკიდა და მერე დაუტრიალდა გადაუდებელ საქმეს, იმდენი რამ აღმოაჩინა, რომ არ იცოდა, სად გადაემალა, ისევ შნაიდერს მიაშურა და მოახსენა: საღამოს ცხრა საათისთვის მზად იქნება თქვენთვის ახალი ბინა, ახლა უკრაინელი ფროილაინების მოსაყვა-

ნად მივდივარ, უნდა დავიხმარო იატაკის მოსარეცხად და დასასუფთავებლადო.

თავი დაუქნია შნაიდერმა, მარტო დარჩენილი გერმანელი „დოიჩე ალგემაინე ცაიტუნგის“ ახალ ნომერს კითხულობდა, იღიმებოდა ფრიად კმაყოფილი, ახარებდა წარმატებანი ნაცისტური არმიისა.

იმავე საღამოს გადავიდა შნაიდერი ტარას გრიცკოს მიტოვებულ სახლში. შედგა თუ არა ფეხი სასტუმრო დარბაზში, პირველად კედელზე დაკიდებულ ფიურერის პორტრეტს მიაცქერდა, ხელი აღმართა და ღიმმორეულმა წარმოსთქვა:

„ჰაილ ჰიტლერ!“

„ჰაილ ჰიტლერ!“ — შეხტომით წამოიძახა ადიუტანტმაც.

ბედისწერის ყორანი

ბანაკის მორიგემ რიჰარდ შტაინერმა მაჯის საათზე დაიხედა, ექვსი შესრულებულიყო, aufstehen![1] დაიღრიალა საზარელი ხმით, სიგარეტი ჩასრისა საფერფლეზე, სასტვენი ჩაიდო პირში, ერთი შეისუნთქა, მაგრად ჩაჰბერა და სინამ გაუძლო შეგუბებულმა სულმა, სტვენა გააბა.

მისი სასტვენის ხმა არ შეეხებოდა ლაზარეთში მწოლიარე ავადმყოფებს, დასახვრეტ ებრაელებსა და კარცერში მსხდარ კომუნისტებს, უმთავრესად სამხედრო კომისრებს, ჩამოსახრჩობ ორმოცდაათ კაცსა და იმ ღამით დახოცილებს. ცოცხლები კი ისე მოცელა სასტვენის ხმამ, თითქოს უამრავი ცელმომართული სიკვდილი დარეოდეთ.

ბევრ სხვასთან ერთად არ ეძინა სამ კაცს — ყოფილ კომისარს პავლე კრასნოვს, კახა ბარელსა და ვასია სამუილოვს. სამივენი ახლო-ახლოს იწვნენ და ჩურჩულებდნენ, გაქცევის გეგმას სახავდნენ, როგორმე უნდა დაეღწიათ თავი ტყვეობიდან.

გაისმა თუ არა სასტვენის ხმა და „აუფშტეენ“, მხნედ წამოდგნენ სამივენი, შენიშნულნი იყვნენ და ცდილობდნენ არ მოხვედროდნენ თვალში შტაინერსა და პოლიციელებს.

ასორმოცდაათი კაცი ცალკე მოეწყო სამმწკრივად, სამუშაოზე გამანაწილებელმა „პოლიციამ“ ისინი სამზარეულოსკენ წაიყვანა, მიიღეს თითო ნაჭერი ფეტვის პური, თითო ლიტრი ნარეცხის მსგავსი წვენი-ბალანდა, იქვე შესხდნენ, თავჩაქინდრულები გაემართნენ სამუშაოდ, თუმცა არ იცოდნენ, რა უნდა ეკეთებინათ იმ დღეს.

---

[1] ადექით! (გერმ.).

ბანაკიდან სამი კილომეტრის დაშორებით, პარტიზანების მიერ აყრილი რკინიგზის აღსადგენად მოხვდა მეცხრე ბლოკის ასორმოცდაათი კაცი.

ამ მეცხრე ბლოკის ბლოკფიურერი იყო შტაინერი.

ლაზარეთში მწოლიარე ავადმყოფებისა და უსაქმო პოლიციელთა გარდა ბანაკში არავინ დარჩენილა.

იმ ღამით ნაბორიგევმა შტაინერმა ერთი უნტერ-ოფიცერი და გუშაგები გააყოლა თავის ჯგუფს, თვითონ კი მადიანად ისაუზმა, ნახევარლიტრიანი შნაპსიც დააყოლა, არაფერი ესაქმებოდა და მაინც დაბორიალობდა მთვრალი. ბანაკში, როგორც ყველა ლოთს, მასაც სულ ცოტა არაყი ჰყოფნიდა გამოსათაყვანებლად, მოსწყინდა ბანაკში ხეტიალი, თავის ხელქვეით პოლიციელებს დაერია უმიზეზოდ, დატოვა ბანაკი და გაემართა საზღვარგარეთიდან ჩამოსული თეთრგვარდიელის ქალიშვილ ფროილაინ რეგინასკენ.

ფროილაინ რეგინა მისი მესამე საყვარელი გახლდათ, არც იმდენად ნშვენიერი იყო რეგინა, სხვა საყვარლები უფრო ლამაზნი იყვნენ, ქალის სიმშვენიერეს სიმსუქნით აფასებდა შტაინერი, ამიტომ რეგინასკენ უფრო მიუწევდა გული.

ოცა ტყვეები აყრილ რკინიგზას მიადგნენ, პარტიზანების ნამოქმედარმა კი გაახარა ისინი, მაგრამ მაინც ვერ დადგნენ კარგ ხასიათზე. დიდხანს როდი გაგრძელდა ბათი მჯმუნვარება, — უბრძანა თუ არა სამუშაოს ხელმძღვანელმა გაშლილიყვნენ და შესდგომოდნენ საქმეს, გული აუჩქროლდათ სიხარულით. ნატვრისთვალივით მოჩანდა ხრამში გადაჩეხილი ორმოცი ვაგონი. ბევრი რაკ ამოეღოთ გერმანელებს, შიმშილით ფერმიხდილმა ტყვეებმა კარგად იცოდნენ, რომ მათი საბოფი კიდევ დარჩებოდა სურსათ-სანოვაგით დატვირთულ ვაგონებში.

„გაუმარჯოს პარტიზანების მარჯვენას!“ — ჩურჩულებდნენ ტყვეები.

„თუ დაგვრთეს ნება ფრაივალდმა და გუშაგებმა, ავშენდებით, ამ სურსათით ძაღ-ღონეს მოვიკრებთ და დავამთავრებთ ჩვენს დაწყებულ საქმეს!“ — ეუბნებოდა კომისარი კრასნოვი ამხანაგებს.

ყველა ცდილობდა, რაც შეიძლებოდა მეტი ამანათი გაეგზავნა ოჯახში, რადგან ყველა გერმანელი ღებულობდა შინიდან ასეთ წერილს:

„მაღაზიებში თანდათან მცირდება სურსათი, რუსეთიდან შებოზიდული პური ესესელებს, გესტაპოელებსა და „ჰიტლერიუგენდებს“ ეძლევათ უწიგნაკოდ, გამოგზავნე ბრინჯი, მაკარონი, შაქარი...“

ჯერ კრასნოვმა და ბარელმა მოილაპარაკეს, მერე გაუმხილეს თავიანთი საიდუმლო სამუშაოს ხელმძღვანელს — ხანში შესულ გერმანელ უნტერ-ოფიცერს ბერნარდ ფრაივალდს და სთხოვეს ესარგებლათ ვაგონებში დარჩენილი სურსათით.

ფრაივალდს ჭკუაში დაუჯდა მათი აზრი, დათანხმდა, გააფრთხილა რიგი-

თი ჯარისკაცი გუშაგები და უბრძანა ორ კაცს ყურადღება მიექციათ, შტაინერი, ან სხვა ბატონი ოფიცრები არ წასდგომოდნენ თავს, დანარჩენ გუშაგებს ტყვეების მეთვალყურეობა ევალებოდათ, თუ რაიმე აღმოჩნდა ვაგონებში, თქვენც გარგებთ, ოღონდ ბლოკფიურერმა შტაინერმა ან ბანაკის კომენდანტმა ბრანდემ არ გაიგოსო.

ხუთი კაცი, მათ შორის სამუილოვი და ბარელი, როგორც მარჯვე ბიჭები, ვაგონების დასათვალიერებლად ჩააგზავნა ხრამში, თვითონ კი ზევიდან უთვალთვალებდა ყველას. ხრამში ჩასასვლელი გზა ერთი იყო, ფრაივალდიც სწორედ იქედან დაჰყურებდა მათ.

დანარჩენები საქმეს შეუდგნენ.

როგორც კი ჩაეშვნენ ხრამში, ბარელი და სამუილოვი ერთ ვაგონში შეძვრნენ, იმდენ ძვირფას რამეს წააწყდნენ, რომ თვალს არ უჯერებდნენ, მომხიბლავი სიზმარი ეგონათ, ბევრი რამ ერთმანეთში იყო არეულ-დარეული, პური, ნამცხვარი და ორცხობილა რომ აღარაფრად მივიჩნიოთ, კონიაკი და სხვა მაგარი სასმელებიც საკმაოდ აღმოჩნდა. სანამ კარგად არ გამოძღნენ და კონიაკიც არ დააყოლეს, ვაგონიდან არ გამოსულან.

სამუილოვმა რატომღაც სქელ მუყაოს ყუთს მიაქცია ყურადღება, ყუთზე ლათინური შრიფტით ეწერა:

«Schutzgummi».

ეს ერთი გერმანული სიტყვა ენის ბორძიკით წაიკითხა ჭაბუკმა, ვაგონში აღმოჩენილი სიგარეტი გააბოლა, „შუცგუმი", — კიდევ წაიკითხა, ახადა ყუთს თავი, ამოიღო ერთი შეკვრა, გახსნა და პრეზერვატივები შერჩა ხელში, შეაგინა ხალისით, სიცილი აუტყდა კონიაკით გამხიარულებულს. გაუწოდა გვერდით ჩჯდარ დაფიქრებულ ბარელს მთელი კოლოფი და უთხრა:

— Грузин, браток! აჰა, შეინახე, ჩაიდე ჯიბეში, გერმანიაში რომ ჩავალთ, დაგვჭირდება, იქნებ საფრანგეთშიაც მოგვიხდეს ყოფნა, ევროპელი ქალები როდი არიან სანდონი.

გამოართვა ბარელმა, დახედა, გაიღიმა ჭაბუკურად და მიუგო:

— გმადლობთ, მე როდი მიყვარს ასეთი რამეები, უამისოდაც იოლად გავდივარ ყოველთვის....

მაინც ჩაიდო ჯიბეში ბიჭების საჩვენებლად, წამოდგა, დაავლო ხელი ერთ ბოთლ კონიაკს, გაძვრა ვაგონის შეჭყლეტილ კარში, ასწია მაღლა ბოთლიანი ხელი, დაანახვა ფრაივალდს და ისევ შებრუნდა ვაგონში.

ვეღარ მოითმინა ფრაივალდმა, ჭაბუკივით დაეშვა და მიაშურა ბარელს, შესვლისთანავე გადაჰკრა მიწოდებული ბოთლით კონიაკი და მალე გამობრუნდა, მას როდი დასჭირვებია ვაგონებში ძრომიალი, ლომის წილი ერგებოდა და მიართვეს კიდეც.

იმ დღესვე აღადგინეს აყრილი რკინიგზა, ნაშუადღევს მაინც შიშით ჩაიარა ფრონტზე მიმავალმა იარაღებით დატვირთულმა ეშელონმა.

რაც დარჩა ვაგონებში ვარგისი სურსათი, ფრაივალდი მოისყიდეს და მთლიანად გაზიდეს ახლო მცხოვრებმა უკრაინელებმა.

დროზე ადრე დაამთავრეს აღდგენა რკინიგზისა, ყველას სავსე ჰქონდა ზურგჩანთა, არც ფრანგული კონიაკი აკლდათ და არც შუშხუნა შამპანური, საფრანგეთიდან მოტაცებული იყო თითქმის ყველაფერი და ბარელი კრასნოვს ეხუმრებოდა: ამხანაგო კომისარო, ჩვენში ამბობენ: ქურდის ქურდი ცხონდებაო.

იღიმებოდა კმაყოფილი კრასნოვი, ბავშვივით ახრამუნებდა ორცხობილას, გაქცევის გეგმას სახავდნენ შეთქმულებთან.

შეუმჩნეველი რომ დარჩენილიყო ტყვეების დაბრუნება ბანაკში, ფრაივალდის გაფრთხილებით ფეხი აითრიეს მუშებმაცა და გუშაგებმაც, რადგან ყველანი დაკარგავდნენ შეწთხვევით ნადავლ ამდენ ძვირფას სურსათ-სანოვაგეს.

სანამ კარგად არ დაღამდა, ფეხი არ მოუცვლიათ ადგილიდან, ჩაქუჩებს უკაკუნებდნენ აღდგენილ რკინიგზას, მიწას ჩიჩქნიდნენ ბარებით.

ერთად თავშეყრილი მტერ-მოყვარენი გვარიანად გაემხიარულებინა კონიაკს, გერმანელი გუშაგები ფოტოსურათებს უჩვენებდნენ ტყვეებს, ომის მალე დამთავრებას ნატრობდნენ და სამშობლოში მშვიდობით დაბრუნებას უსურვებდნენ ერთმანეთს.

კრასნოვი ტყვეებს აფრთხილებდა: ამხანაგებო, მეტს ნუღარ დალევთ კონიაკს, ნურც ღვინოს, დასჯაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ყველანი დავკარგავთ ყველაფერს. ჩანოგვართმევენ, ჩვენ კი არა, ასეთი ბედნიერი შემთხვევები გერმანელებსაც იშვიათად აქვთ, ამ სურსათით ძალ-ღონე უნდა მოვიკრიბოთ, მშიერებიც გარბიან, მაგრამ მაძღარი კაცი უფრო შორს გააღწევსო.

იმ საღამოთი უვნებლად დაბრუნდა ბანაკში ასორმოცდაათი კაცი და იმღამითვე დააგვირგვინეს დიდი ხნის დაწყებული საქმე, შეუტიეს შეზარხოშებულებმა, დაამთავრეს გვირაბის გაყვანა.

ბანაკის კომენდანტმა — ადამ ბრანდემ კიდევ უფრო სასტიკი რეჟიმი დაამყარა ბანაკში განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მეცხრე ბლოკელებმა გვირაბი გაიყვანეს და თავს უშველეს.

ყველა მეცხრე ბლოკელს მაინც არა ჰქონდა უფლება იმ ღამით გაპარულიყო, ერთად მაინც ვერ გააღწევდნენ ყველანი. დაუძლურებულნი არ მიჰყავდათ, იმ ღამით გაიპარნენ ყოფილი კომისრები, დროებით გადარჩენილი ებრაელები, რაიმე დანაშაულში შენიშნულნი და უმთავრესად ისინი, ვისაც სიკვდილით დასჯა ელოდა, შენიშნულნი და დასასჯელნი კიდევ ბევრი დარჩნენ, პირველი გაპარვისთვის კი მაინც ორმოცდაათი კაცი იყო შერჩეული.

შემდეგი გაქცევისთვისაც ორმოცდაათი კაცი შეარჩიეს, ეს ორმოცდაათი კაცი იმ დროს უნდა გაპარულიყო გვირაბით, როცა მარტო ისინი დარჩებოდნენ ბანაკში, ასე რომ არ მომხდარიყო, მათს ნაცვლად სხვები დაისჯებოდნენ.

უკვე მზად იყო ჯოჯოხეთიდან თავდასაღწევი გვირაბი.

გული უჩქროლავდათ გასაქცევებსაც და გაქცევის მსურველთაც.

დანიშნულ დღესა და მის წინა დღეებშიც ორმოცდაათი კაცი დარჩა ბანაკში, ექიმმა ლაზარევმა „სცნო" ისინი ავადმყოფებად.

ახალგაზრდა რუსი „პოლიციელი" ნოვიკოვი და ბანაკის კომენდანტი ბრანდე „გულითადი მეგობრები" იყვნენ, ფეხბურთის გატაცებით მოყვარულ ბრანდეს უყვარდა განთქმული ფეხბურთელი იური ნოვიკოვი, ხშირად თამაშობდნენ კიდეც ხან ბანაკის ეზოში და ხანაც — ბანაკთან ახლო მდებარე სტადიონზე.

ბრანდეც კარგი ფეხბურთელი ყოფილიყო ახალგაზრდობისას, ახლა კი ორმოც წელს მიღწეულ გერმანელს ყოველთვის უგებდა ჭაბუკი ნოვიკოვი, ბრაზდებოდა ბრანდე და რომ ესიამოვნებინა მისთვის, საჭიროების გამო, ზოგჯერ განგებ აგებდა ბრანდეს ჯგუფთან ნოვიკოვის ჯგუფი, უხაროდა გერმანელს ნაჩუქარი გამარჯვება. ნოვიკოვთან ყოველი შეხვედრისას ფეხბურთზე ლაპარაკობდა ბრანდე, ფეხბურთზე საუბარი არასოდეს სწყინდებოდა, დიდი ხალისითა და სიამაყით იგონებდნენ ცნობილ მსოფლიო ფეხბურთელებს რუსი ნოვიკოვიცა და გერმანელი ბრანდეც.

ბანაკის უფროსმა „პოლიციელმა" პონომარენკომ „პოლიციელი" ნოვიკოვი დაიხმარა და მოახერხეს: მეცხრე ბლოკის ათასი კაცისთვის შეერჩიათ აუცილებელი საქმისთვის შესაფერისი სამუშაო: ეს იყო სურსათ-სანოვაგის ვაგონების გადმოტვირთვა, ეს საქმე მთელი ღამის განმავლობაში კეთდებოდა, დილით მთავრდებოდა და მეორე დღეს მთელი დღე ისვენებდნენ მტვირთავებთან ერთად მათი მეთვალყურე გერმანელი გუშაგებიც.

მეცხრე ბლოკიდან მხოლოდ ასორმოცდაათი კაცი დანიშნეს სურსათის გადმომტვირთავებად, გასაქცევად შერჩეული ვითომ ავადმყოფი ორმოცდაათი კაცი ბანაკში დარჩა, რომ არ დაეჭვებულიყო ბანაკის ადმინისტრაცია, „ავადმყოფებიდან" ოცდახუთი კაცი გამოჰყვეს გასაპარავად, ოცდახუთი კაცი კი სხვა ბლოკიდან დაუმატეს.

ღამის სამუშაოს დაწყების პირველსავე დღეს გაიქცა ორმოცდაათი კაცი, გამცემი რომ არ აღმოჩენილიყო ბანაკში, იმავე ღამით თუ არა, სხვა დროს კიდევ შეეძლოთ გაქცევა სხვა ბლოკებში მცხოვრებთაც, გასაქცევთა ჯგუფს ადგენდნენ და ხელმძღვანელობდნენ კომისარი კრასნოვი და ბარელი.

— „Wunder, Wunder!"[1] — გაიძახოდა ბანაკის კომენდანტი ბრანდე და პირჯვარს იწერდა, რადგან ეზოდან რომ მომხდარიყო გაქცევა, ბანაკს შემოვლე-

---

[1] სასწაულია, სასწაულია! (გერ.).

ბული მავთულხლართები უნდა ყოფილიყო გაჭრილი, პასუხი უნდა ეგოთ ბანაკის მეთვალყურე გუშაგებს და პოლიციელებსაც.

შეთქმულებნა მაინც მოასწრეს გასწორებოდნენ გამცემს.

ბანაკში რომ არ აღმოჩნდნენ გამცემნი, გერმანელებმა ისინიც გაქცეულებად მიიჩნიეს.

როცა გვირაბის გაყვანის მონაწილენი გასცეს, დააპატიმრეს და ჩაყარეს ბანაკის სარდაფში, მათი სიკვდილით დასჯის განაჩენი უკვე გამოტანილი ჰქონდა კომენდანტ ბრანდეს, მაგრამ ამით როდი დაკმაყოფილდა, ბრძანა გაეშიშვლებინათ სიკვდილით დასასჯელნი, ხელ-ფეხი შეეკრათ და ისე დაეყარათ სარდაფში შლანიან მიწაზე, აღასრულეს ბრანდეს ბრძანება, მოამზადეს საწამებელი იარაღები — რეზინის ძლოკვისებური მოქნეული ჯოხები, ფოლადის წნელებისგან დაწნული მათრახები და მარწუხები.

სანამ ჩაყრიდნენ სარდაფში, ზღაპრულად მლაშე მუხუდოსგან დამზადებული „ქაში" აჭამეს. სამი დღე და ღამე არავის მიუკითხავს მათთვის. კომენდანტი თუ არ დართავდა ნებას, ვერავინ გაბედავდა მოენახულებინა დასაღუპავად განწირულნი. წყურვილისგან გახელებულნი, თხუნელებივით ცხვირპირჩარგულები ეძებდნენ სველ მიწას, ლოკავდნენ შანთებივით გახურებული ენით და ნათი ოხვრა-კვნესა შიშის ზარსა სცემდა მთელს ბანაკს.

სარდაფში წვიმის წყალი ჩადიოდა და ისედაც ნესტიანი ადგილი ტლაპოთი ავსილიყო.

მესამე დღეს დართო ნება ბრანდემ პონომარენკოს ჩასულიყო სარდაფში სიკვდილმისჯილებთან და გადაეცა მისი ბრძანება: აღიარეთ თქვენი დანაშაული, დაასახელეთ მონაწილენი გვირაბის გაყვანისა, დაასახელეთ ამ საქმის მონაწილე მეთაურები და სიკვდილიც აგშორდებათო.

რასაკვირველია, ცრუობდა ბრანდე, მათ არ აშორდებოდათ სიკვდილით დასჯა, ბრანდეს ეწადა აღმოეჩინა ბანაკში დარჩენილი მეთაურნი და მონაწილენი გვირაბის გაყვანისა, ისინიც მიეყოლებინა მათთვის.

პონომარენკო დასასჯელებსაც კარგად იცნობდა მათი საქმიანობით და მათს მეთაურებსაც, არამც თუ იცნობდა, ისინი პონომარენკოს უშუალო ხელმძღვანელობით მოქმედებდნენ, უმთავრესად მეთაურები. ვინც პონომარენკოს არ იცნობდა, ყველას ეგონა, რომ ტყვედყოფილი უფროსი ლეიტენანტი გერმანელების ერთგული კაცი იყო.

დამნაშავენი ნესამე დღეს, პირველ საათზე უნდა დაესაჯათ, მთელი ბანაკის საჩვენებლად, ავადმყოფებიც კი უნდა გამოერეკათ „რივიერადან".[1]

---

[1] Riviera — რივიერა — საფრანგეთისა და იტალიის ტერიტორიის დიდებული საკურორტო რაიონი — ნიცა, კანი, სან-რემო და სხვ.

სამხედრო ტყვეთა ლაზარეთს ირონიით „რივერიას" უწოდებდნენ გერმანელები.

იმ ღამით მარტო მიადგა სარდაფს პონომარენკო, ვეებერთელა ბოქლომი ჩამომხრჩვალივით ეკიდა კარზე, თვალი დახუჭა, ამოიღო გასაღები ჯიბიდან, საჩვენებელი თითით მოძებნა ბოქლომის ნახვრეტი, მოარგო გასაღები, ჩამოხსნა ბოქლომი და დაკიდა რაზაზე, თვალი რომ გაახილა და შეხედა პირდაღებულ ბოქლომს, მაინც ჩამომხრჩვალსა ჰგავდა, ძირს დააგდო, არაფერი არ შეცვლილა, ძირს დაგდებულმა ბოქლომმა ახლა სახრჩობელადან ჩამოხსნილი მკვდრები მოაგონა, ტანში გააჟრჟოლა, თავისი თანამემამულენი წარმოუდგა თვალწინ ბანაკის ეზოში სახრჩობელაზე ჩამოკიდებულნი თუ ჩამოხსნილნი.

გინივა შემოესმა, გამოაძრო რკინის ურდული, ფრთხილად გააღო კარი, სარდაფის თბილი სუნი, სიბინძურისა და ოხვრა-კვნესის ამოძახილი ერთად მოხვდა, ცხვირსახოცი მიიფარა ცხვირ-პირზე, მალე მიეჩვია სიბინძურის სუნს, იდგა ერთხანს გაოგნებული, ბნელოდა, მოაგონდა: ელექტროშუქის ასანთები ღილაკი გარეთ იყო კართან, მხარმარჯვნივ, ძლივს მოძებნა ხელის ფათურით, აანთო და ისევ შებრუნდა სარდაფში, სინათლემ გამოაცოცხლა ნაწამებნი, შეიშმუშნენ, უფრო იმატა გმინვამ და ოხვრა-კვნესამ, თვალი ვერ გაუსწორეს სინათლეს, მძიმედ აწვებოდათ რაღაც თვალებზე და მძაფრად გრძნობდნენ თავის ტკივილს.

ორი კაცი არ განძრეულა, დახოცილიყვნენ ორივენი, ჩამხრჩვალიყვნენ სქელ ტლაპოში, ერთი კაცი კი ხარხარებდა, წვალობდა და მაინც ხარხარებდა. ცდილობდა შეეხსნა შეკრული ხელები, კბილებით ღრღნიდა მაჯებზე შემოჭერილ ბავთულს, ტაჯიკი მაჰმადი დაჩოქილიყო, ლოცულობდა, „ყოვლად ძლიერ" მაჰმადს სთხოვდა შველას, ისეთი საბრალო თვალებით იხედებოდა რომ ვეღარ გაუძლო პონომარენკომ, გაუხსნა შეკრული ხელები.

„ალაჰ, ალაჰ!" — ისე სასოებით შეჰღაღადა თავის ღმერთს მაჰმადიანმა ტაჯიკმა, თითქოს მართლა ალაჰი ყოფილიყოს მისი მშველელი. ერთი ამოიოხრა შვებით და ცოტა რომ გონს მოვიდა, მერე მიაძახა „საღოლ" გაბრუნებულ პონომარენკოს.

დასცქეროდა პონომარენკო ტლაპოში ჩაყრილ ხელფეხშეკრულებს, შიშვლებს, ზოგი თავდაღმა დამხობილიყო, ეწადათ გადაბრუნებულიყვნენ, ვერ ბრუნდებოდნენ, სირცხვილი ტანჯავდა პონომარენკოს. ცივმა ოფლმა დაასხა, ააკანკალა, მთელს ბანაკში მხოლოდ სამმა კაცმა იცოდა, რა კაციც იყო იგი, სამმა კაცმა —ლაზარეთის მთავარმა ექიმმა ლეონიდ ლაზარევმა, თარჯიმანმა და „პოლიციელმა" ნოვიკოვმა.

როცა პონომარენკომ სინათლე აანთო და გადახედა თავის თანამემამულეებს, კომისარ კრასნოვს რაღაც უნდოდა ეთქვა, ჯერ სიცილი აუტყდა და მერე ისე ამოიგმინა, რომ დაბარბაცდა უკრაინელი, მიხვდა როგორი სიცილითაც იცინოდა კრასნოვი, მაინც არ მიაქცია ყურადღება, კრასნოვს არ უნდოდა ეგრძ-

ნობინებინა „ეშმაკისთვის სულმიყიდული“ უკრაინელისთვის თუ როგორ იტანჯებოდა, მოერია ტანჯვასა და თხოვნით კი არა, მტკიცედ უთხრა:

— მე არა ვარ ღირსი გთხოვოთ შემინსუბუქოთ სატანჯველი, მე არა მიშავს რა, ღირსი ვარ ყოველგვარი სატანჯველისა, რადგან უკანასკნელი ტყვია ჩემთვის კი არა, ისევ მტრისთვის გამოვიყენე, თუ თქვენ არაფერი დაგიშავდებათ. გაუხსენით ხელები ამ ახალგაზრდა კაცს, მერე თუ გნებავთ, ისევ შეუკარით, ცოტა ამოისუნთქოს, ძალიან აქვს მავთული ჩაჭერილი მაჯებში.

„Умираю!“ — ძლივს ამოილუღლუღა კრასნოვის ფერხთით დაგდებულმა რუსმა ჭაბუკმა და დაიკვნესა.

პონომარენკომ გული გაინაგრა, ამ საზიზღარი „სპექტაკლის“ დასასრულამდე ოსტატურად უნდა ეთამაშა თავისი საძულველი როლი. როცა წამება დაიწყება, ან როცა სახრჩობელას მიუახლოვდებიან, ვინ იცის, რა ჭკუაზე დადგებიანო, — ფიქრობდა პონომარენკო. ხმა არ გაუღია, გერმანული სიგარეტი ამოიღო გულის ჯიბიდან, თავი მოუსრისა, მოუკიდა და გააბოლა, მწევლებს თამბაქოს სუნი ეცათ, უფრო გაღიზიანდნენ.

— თუ ადამიანი ხართ, თუ კიდევ რაიმე შეგრჩენიათ კაცობისა, ნუ გადაგდებთ ნამწვს, — თხოვა პონომარენკოს მეორე ახალგაზრდამ.

დუმდა პონომარენკო, უჭირდა დუმილი და მაინც დუმდა. ხშირ-ხშირად ქაჩავდა სიგარეტს, სახეზე ეფარებოდა სარდაფში გაბმული აბლაბუდასფერი ბოლი, გაქვავებულივით იდგა ფართო მხარბეჭიანი უკრაინელი, საბერველივით სუნთქავდა, ირხეოდა მისი მაღალი მკერდი, მათ არ უცქერდა, გაფითრებულიყო, კედელს მისჩერებოდა დაჟინებით, როცა ერთხელ კიდევ შესთხოვა იმავე ახალგაზრდამ, ერთი მოვწიო და მერე თუნდაც მოვკვდეო, — პონომარენკომ მოფიქრებულად უპასუხა:

— ნუ გეშინია, არ მოკვდები, შენ რუსი ხარ, რუსი კაცი სატანასავით გამძლე და ამტანია.

მისი ორაზროვნად ნათქვამი კარგად გაიგო კრასნოვმა, ესიამოვნა და გულში მაინც გაივლო:

„როცა შენი თანამემამულე გიღალატებს, მტერზე უფრო საძულველია,“ — გაფითრებული ტუჩები აუთრთოლა მწარე ღიმილმა და ჩაილაპარაკა: — დიახ, ეგრეა, რუსი კაცი სატანასავით ამტანია და ანგელოზივით კეთილი, — წამოიწია, ძლივს გამართა თავი და მიაცქერდა პონომარენკოს.

პონომარენკო თვალს ვერ უსწორებდა კრასნოვს, დახედა ნახევრად დამწვარ სიგარეტს, საჩვენებელი თითის გაკვრით ესროლა მთხოვნელს.

წამოიწია ხელებშეკრულმა ჭაბუკმა და ტუჩების ცმაცუნით დაუწყო ძებნა სიგარეტის ნამწვს, წააწყდა, მაგრამ ვერ იგდო პირში, პირი აევსო ტალახით, იმდენად ძლიერი იყო სურვილი თამბაქოს მოწევისა, რომ არაფრად აგდებდა

ტალახით პირის ავსებას. ხედავდა პონომარენკო მის წვალებას, დამცინავი ღიმილი უთრთოლებდა სქელ ტუჩებს, დასცინოდა თავის თავსაც და ყველაფერს, რაც ხდებოდა, მისი დაცინვა ოდნავადაც ვერ ანელებდა ყელში მოწოლილ ბოღმას, ჯეარ მოითმინა, ახალ სიგარეტს მოუკიდა, ჩაიჩოქა და ჩაუდო პირში, ხარბად მოსწია, იმდენად ესიამოვნა, რომ მტანჯველი ტკივილები დაავიწყა წანიერად.

პონომარენკო კი იდგა გაშტერებული და არ იცოდა, რა ეღონა.

„თუ ადამიანი ხართ, თუ კიდევ რაიმე შეგრჩენიათ კაცობისაო", — გაიმეორა სხვისი ნათქვამი კრასნოვმა, ჰმ! დააყოლა და გაიღიმა მწარედ.

„ყავისფერი კი არა, შავ ჭირზე უარესი ყოფილა ფაშიზმი, აბა, ასე მალე როგორ გადაედო ჩვენს კაცს და მოწამლა?" — ისე ჩაილაპარაკა ბარელმა, რომ ემჩნეოდა, სრულიად აღარ ეშინოდა, რა შედეგი მოჰყვებოდა ნის ნათქვამს.

ახალგაზრდა ქართველი კაცის ნათქვამმა გაახარა და ცოტა გაახალისა პონომარენკო, მან კარგად იცოდა, რა კაციც იყო ბარელი, რა ოსტატურად ინიღბებოდა, როგორ ამხედრებდა ამხანაგებს კრასნოვთან ერთად, მძიმე სამუშაოდან დაბრუნებული, რა თავდაუზოგავად მუშაობდა გვირაბის გასაყვანად, ისიც უხაროდა, რომ ბარელს სიკვდილის წინ კიდევ შერჩენოდა რწმენა და გამბედაობა.

„წყალი!" — წაბოიძახა ვიღაცამ და ამოიგმინა.

„წყალი, წყალი!" — გმინვით გაიმეორა ერთად, ყველამ.

„წყალი, წყალი, вода, вода!" — გმინვა-ზუზუნით გაიძახოდნენ წყურვილით გულდამწვარნი, გახელებულნი.

ნაცვლად პასუხისა, შეშინებულივით გავარდა გარეთ პონომარენკო და გაიქცა.

„ნუ გეშინიათ. ამხანაგებო! წყლის მოსატანად გაიქცა უფროსი პოლიციელი და მოგვართმევს წყალს!" — გაიხუმრა კნიაზევმა.

რა დროს ხუმრობა იყო, ვის შეუძლია იხუმროს ასეთ დროს, გარდა გიჟისა? მაგრამ კნიაზევის ხუმრობა არავის გაჰკვირვებია.

დაფეთებულივით ნოვარდა პონომარენკო, გააბიაბრუა ხუმრობა კნიაზევისა, ორი ვედრო წყალი მოიტანა. ნაგვის ყუთებიდან ამოძებნილი კონსერვის კოლოფებიცა და დატრიალდა, ჯერ კომისარ კრასნოვს მიაწოდა წყალი, მერე დანარჩენებს, ისე გახელებული ტრიალებდა, რომ არც კი სჯეროდათ წყურვილით დატანჯულებს, ვერც ის გაეგოთ, რატომ იქცეოდა ასე ბანაკის უფროსი პოლიციელი!

წყურვილმოკლულნი ისე დამშვიდდნენ, თითქოს არც ტანჯვა განეცადათ და აღარც მოლოდინი ჰქონდათ ტანჯვისა, მშვიდად იღიმებოდნენ, აქა-იქ, სამადლობელი სიტყვებიც გაისმა და ცრემლები მოჰგვარა პონომარენკოს, ისეთი მადლიერი თვალით შესცქეროდა ერთი ხანში შესული უზბეკი პონომარენკოს,

რომ სჯეროდა, კაცი, ადამიანი კი არა, თვითონ დიდი მაჰმადი მოსულიყო და მოეტანა წყალი.

ჯერ კიდევ ნაადრევად მიაჩნდა პონომარენკოს ამდაგვარი თავგამოდება.

— მეჩქარება, დრო არა მაქვს, კომენდანტი მელოდება, — იცრუა პონომარენკომ, იცრუა და ამით პილპილი ნოაყარა ღვთიურ მადლს.

გულაჩუყებულნი შესცქეროდნენ უკრაინელ კაცს ერთ სატანჯველგადატანილნი.

გაიარ-გამოიარა პონომარენკომ და გაბზარული ხმით დაიყვირა:

„Смирно!"

როგორც კი დამყარდა დუმილი, რასაც აქა-იქ მაინც არღვევდა ოხვრა-კვნესა, ბრძანა დამსხდარიყვნენ და მოესმინათ მისთვის.

„ხელფეხშეკრულ ჯარისკაცებს სმენაზე არ აყენებენ, ბატონო ოფიცერო!" — წამოიძახა ვიღაცამ და დაიკვნესა.

პონომარენკომ ყურადღება არ მიაქცია მის დამცინავ წამოძახილს, უბის წიგნაკი ამოიღო, გადაშალა და დააცქერდა.

— დაბრძანდით. რატომ იწუხებთ თავს ფეხზე დგომით? მართალია, სკამი არა გვაქვს რომ მოგართვათ... არა უშავს რა, შეგიძლიათ გამოიყენოთ ყველა ჩვენთაგანი სკამად, — უთხრა ირონიით კნიაზევმა.

პონომარენკოს ვითომ არ გაუგონია, დასცქეროდა გადაშლილ უბის წიგნაკს, მის თვალში გახელებული კრაზანებივით ირეოდნენ უბის წიგნაკში ჩაწერილი სახელები და გვარები, ნომრები სიკვდილმისჯილთა.

— დაბრძანდით, მკვდარზე მაინც ჩაინოჯექით, ცოცხალი თუ გებრალებათ აი ეგერ, კუთხეში აგდია, — ჩაილაპარაკა იმავე კნიაზევმა.

ჩაიწურა კონსერვის კოლოფში ჩარჩენილი რამდენიმე წვეთი წყალი პირში შაქირ ზიაევმა, ამოიოხრა, — საღოლ გასპადინ პოლიცაი! — გადაუხადა მადლობა პონომარენკოს მოსულიერებულმა აზერბაიჯანელმა.

„დასაკლავ საქონელსაც ასმევენ ხოლმე წყალს კეთილი ადამიანები", — დინჯად ჩაილაპარაკა კრასნოვმა და გაყუჩდა.

პონომარენკოს ხელი შეუთრთოლდა და კიდევ დაიყვირა:

„Смирно!"

დააცქერდა გადაშლილ უბის წიგნაკს და დაიწყო ნომრების ამოკითხვა.

— 599.797.

— ვარ! — კვნესით უპასუხა რუსმა ჭაბუკმა.

— სახელი და გვარი? როცა რომელიმე თქვენთაგანს გამოვიძახებ, სახელი და გვარიც თქვით, — გააფრთხილა დასასჯელნი პონომარენკომ და გამოიძახა შემდეგი ნომერი:

— 557.757.

— სიხარულიძე შოთა, — ძლივს გასაგონი ხმით ჩაიჩურჩულა თავდაღმა

დამხობილმა ახალგაზრდამ და წამოიწია, ზიზღით მიაცქერდა.

იგრძნო პონომარენკომ სიხარულიძის ზიზღიანი შემოხედვა, ბუნებრივად მიიჩნია, რადგან ქართველი ჭაბუკი სხვა პონომარენკოს შესცქეროდა, იგი არ იცნობდა ნამდვილ პონომარენკოს.

ველარ მოითმინა და ჰკითხა:

— თბილისელი ხომ არა ხარ?

თბილისის ხსენებამ გული აუთრთოლა სიხარულიძეს, პონომარენკოს ხმის კილოც საამოდ ნოეჩვენა, ტუჩები გაუპო ნაღვლიანმა ღიმილმა და მიუგო:

— დიახ, თბილისში ვცხოვრობ, ზესტაფონში ვარ დაბადებული, გაგიგონიათ ზესტაფონი?

პონომარენკოსაც ესიამოვნა თბილისის გაგონება, გული აუძგერდა. „ზისტაფონი?" — ეგრე წარმოთქვა ამ ქალაქის სახელი, მახვილი „ა"-ზე დაუსვა.

— არა არ გამიგონია, — თქვა და გამოიძახა შემდეგი ნომერი:

— 571.451.

— ცვოზდიკოვ ნიკალაი.

— 251.799.

ვამოიძახა მორიგი ნომერი, ხმა არავის გაუღია, „ვაი, დედა" გაისმა.

— გაიღე ხმა, ვინა ხარ, გვარი არა გაქვს? — დაიყვირა პონომარენკომ.

— წუხელ ორი კაცი მოკვდა, მაგ ნომრის პატრონი კრილენკოა, მეორე კი' გორგოძე, — სვენებ-სვენებით თქვა ბედთან შერიგებული კაცის კილოზე გურგენ ზურაბოვმა, ისინი ფრონტელი მეგობრები იყვნენ, არ შორდებოდნენ ერთმანეთს, მის გვერდით ეყარნენ მკვდარი ამხანაგები, თვალს არიდებდა ზურაბოვი.

— ორი კაცი მოკვდა? — იმდაგვარად გაიოცა პონომარენკომ, თითქოს ჯერ არავინ ნომკვდარიყოს ბანაკში. უცებ კილო შეიცვალა და განაგრძო: არა უშავს რა, რუსეთი დიდია, ორი კაცი რა არის, მილიონი რუსის სიკვდილს აიტანს რუსეთი, — კიდევ ორაზროვნად თქვა პონომარენკომ და უდარდელი კაცის სახე მიიღო.

— ამხანაგებო, გესმით? მაინც ჩვენი კაცი ყოფილა ბატონი პონომარენკო, მხოლოდ ერთი მილიონი რუსი გაიმეტა, ჰიტლერს ხომ მაინც სჯობია, მეტი რაღა გინდათ? ჰიტლერს ორმოცდაათი მილიონი რუსი ჰყავს განეტებული, — მილეული ხმით თქვა კრასნოვმა და მიესვენა კედელზე.

თან აღიზიანებდა პონომარენკოს და თან ახარებდა დამცინავი წამოძახილები, პასუხი არ გაუცია, ვერ მონახა შესაფერისი სიტყვები, ნერვულად აიქნია უბის წიგნაკი და განაგრძო:

— 157.797.

— ბარელი კახა, — მშვიდად და გამომწვევად წარმოსთქვა თავისი სახე-

ლი და გვარი მეორე ქართველმა ჭაბუკმა, კბილები გააკრაჭუნა და ყრუდ ამოიგმინა.

სახელისა და გვარის მეტი არაფერი უთქვამს ბარელს, პონომარენკოს მაინც მოეწონა კილო მისი ხმისა და სახელმა „კახამ" ჯერ თვალით უნახავი კაცის სახელი მოაგონა, გული აუჩქროლდა, მოთენთა, დააკვირდა კნიაზევზე ზურგით მიყრდნობილს, ბარელს წინ ედო შეკრული ხელები და დასცქეროდა ნაღვლიანი ირონიით.

ნიუახლოვდა პონომარენკო, მიაცქერდა, ბარელს თვალი არ აურიდებია, გამომცდელად შესცქეროდნენ ერთმანეთს უკრაინელის ოდნავ მოჭუტული და ქართველის ფართო ბრიალა თვალები. ბარელს გული სევდიანი ჰქონდა, თვალებში კი არ ემჩნეოდა სევდა, შურისძიებისა და მრისხანების გრძნობას წაეშალა.

გააკვირვა ბარელი პონომარენკოს მშვიდმა და უბოროტო თვალებმა, უკრაინელს სახე და თვალები ისე უელვარებდა, არა ჰგავდა ფარხმალდაყრილ მოწინააღმდეგეს, ბარელს შურისძიების გრძნობა აწვალებდა, მას მრისხანე მოწინააღმდეგესთან შერკინება უფრო ღირსეულ საქმედ მიაჩნდა.

პონომარენკო არ გაუოცებია ბარელის შურისმაძიებელსა და მრისხანე თვალებს, წამსვე მოსწყვიტა მზერა, მის გვერდით მწოლიარეს დააკვირდა და გამოიძახა ახალი ნომერი.

გამოძახებულის ნაცვლად ამხანაგმა გასცა პასუხი:

— არაფერი ესმის, კონტუზირებულია, ყუმბარას დაუყრუებია ფრონტზე. გვარი? რა გვარია?

ზეინალოვი, აზერბაიჯანელია.

— თქვენ ვინ ბრძანდებით?

— ეე როდიონ რიაბინი გახლავართ, პროფესიით ინჟინერი.

— ფრიად საჭირო ხელობის კაცი ბრძანებულხართ, დიდებული გვირაბი გაიყვანეს შეთქმულებმა და გაიქცნენ, ალბათ თქვენც მონაწილეობდით გვირაბის გაყვანაში, როგორც ინჟინერი.

— დიახ, დიდებული გვირაბი გავიყვანეთ, პირველად მე და ზეინალოვმა ჩამოვანგრიეთ გვირაბის დასასრული და გავიხედეთ ჯოჯოხეთიდან.

— რა დაინახეთ, როცა გაიხედეთ? გერმანელები არ იდგნენ საგუშაგოზე?

— იდგნენ, მაგრამ ჩვენ არ დაგვინახავს ისინი, ერთმანეთს ეხმაურებოდნენ სტვენით, შორს იდგნენ გვირაბიდან, თან ბნელოდა...

— ჩვენ სანატრელი სხვა აღარაფერი დაგვრჩენია გარდა სიბნელიდან გასვლისა, თქვენ კი, ბატონო პონომარენკო, მარადიული წყვდიადის დამმყარებლებთან ისურვეთ ცხოვრება და აღარ გეღირსებათ იხილოთ დღის სინათლე, თქვენ ჩვენზე უბედური ბრძანდებით! — გააწყვეტინა ბარელმა სიტყვა რიაბინს.

„მართლა რა უბედური ვიქნებოდი, ეგრე რომ იყოს!“ — გაიფიქრა პონომარენკომ.

რიაბინმა კი განაგრძო:

—როცა გავიხედეთ ჯოჯოხეთიდან, გუშაგების უფროსის ძაღლი მოვარდა ყეფით, მალე შესწყვიტა ყეფა.

— რატომ შესწყვიტა?

— თავზე გადაცმულმა ტომარამ შეაწყვეტინა.

— როგორ მოახერხეთ?

— კნიაზევმა მოახერხა, ცირკის არტისტია კნიაზევი, ხორცის ნაჭერი მიუგდო და მიუგორდა, დასუნა ძაღლმა, ხმა არ გაუღია, უცებ გადააცვა თავზე ტომარა, გვირაბში შევათრიეთ და მოვგუდეთ.

გაეღიმა პონომარენკოს.

— შენ იცი თუ არა, რომ იმ ძაღლს ეძებს პატრონი, კარგი ძაღლი იყო, ასი ტყვე ჰყავდა დაგლეჯილი.

— ვიცი, მთელნა ბანაკმა იცოდა და ჩვენც დიდი ხალისით დავგლიჯეთ ის ძაღლი ნაწილ-ნაწილად.

— დაგლიჯეთ და დამარხეთ?

— არა, მიწისთვის როგორ გავიმეტებდით იმისთანა მსუქან ძაღლს, ტყვი დავმარხეთ.

— ხორცი?

— ხორცი შევწვით და გეახელით, კნიაზევმა რომ ხორცის ნაჭერი მიუგდო, მე დამრჩა.

— შეწვით და შეჭამეთ ძაღლის ხორცი?

— ნუ გიკვირთ, ბატონო პოლიციელო, ახლა რომ ჩვენს დღეში იყოთ თქვენ ჩავარდნილი, დაიწუნებდით ძაღლის ხორცს?

კარგა ხანს დუმდა პონომარენკო, მერე ჰკითხა:

— სად არის ცირკის არტისტი კნიაზევი?

— აი, ეგერ, კუთხეში რომ ზის, ის გახლავთ კნიაზევი.

— კნიაზევ, მართალს ამბობს რიაბინი?

— მართალს მოგახსენებთ, — მიუგო კნიაზევმა და მილულა თვალი.

— როგორ მიეკარეთ და მოგუდეთ ასი კაცის დამგლეჯი ძაღლი?

— კნიაზევი მიეკარა, ლომებზე იჯდა ცირკში და დააჯირითებდა ცხენებივით, გერმანელის ერთი წუნიანი ძაღლი რა არის!

— გაწვრთნილ ლომზე საშიშია გერმანული მგელძაღლა, მგელზე საშიშია, რიაბინ, რატომ არ გაიქეცით თქვენც იმ ორმოცდაათ კაცთან ერთად?

— სხვებს დავუთმეთ ჩვენი ადგილი.

— რატომ დაუთმეთ?

— ასე გვიბრძანა კომისარმა კრასნოვმა.

— მართლა თქვენ უბრძანეთ? — ჰკითხა კრასნოვს პონომარენკომ.

— მე ვუბრძანე. — მტკიცედ მიუგო კრასნოვმა.

— მაინც არ იშლით თქვენს კომისრობას, განა არ იცით, რომ გერმანელთა ტყვე ხართ?

— ამ ჯოჯოხეთში უფრო სჭირდებათ ტყვეებს კომისარი,—მოურიდებლად უპასუხა კრასნოვმა.

— დღესვე მიიღებთ საკადრის პასუხს, იქნებ არც ჩამოგახრჩონ, ინ ძალლივით გაგაძრობენ ტყავს, — მიაძახა კრასნოვს გახარებულმა პონომარენკომ.

— ვიცით, რომ ეგრე მოხდება, თქვენ კი მოესწრებით იმ დღეს, როცა ამ ბანაკში გერმანელები მოხვდებიან და რუსები წაუკითხავენ სასიკვდილო განაჩენს, — მიუგო მშვიდად კრასნოვმა.

— ალბათ მეც მათთან წამიკითხავენ სასიკვდილო განაჩენს, დაგავიწყდათ გეთქვათ, ამხანაგო კომისარო, თუ მომერიდეთ ზრდილობის გულისთვის?

— ჩემს დღეში ჩავარდნილ კაცს სრულიად არ შეშვენის დიპლომატიურად მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკი.

— ვნახოთ, — უთხრა პონომარენკომ და მოუკიდა ჩამქრალ პაპიროსს, მოსწია და დაფიქრდა.

კრასნოვს პასუხი აღარ გაუცია.

— ჩვენ ვეღარ მოვესწრებით იმ ბედნიერ დღეს, — ჩაიჩურჩულა იმედდაკარგულმა რიაბოვმა, ცდილობდა არ დაეკვნესა, კიდევ შერჩენოდა ძალ-ღონე მაგარი აგებულების ვაჟკაცს.

პონომარენკოს აღარაფერი უთქვამს, უბის წიგნაკიდან დაკეცილი ქაღალდი გამოუვარდა, ძირს დავარდა ფარფატით, აიღო, გაშალა და წაიკითხა, რაღაც მოაგონდა, გულის ჯიბეში ჩაიდო. გამოიძახა შემდეგი ნომერი:

— 151, 199.

„სად არის ჩემი ფეხები? აღარა მაქვს ფეხები, ვირთხებმა მომჭამეს წუხელ. ჩემი ფეხები, რა კარგი ფეხები მქონდა! აი, ნარტოკა ძვლები დარჩენილა, სულ დაუხრავთ ვირთხებს, აღარ არის ზედ ხორცი, აი, შეხედეთ, შეხედეთ, ვირთხები მიათრევენ ჩემს ფეხებს, მომეხმარეთ, თორემ სოროში შეგვასწრებენ ვირთხები. მიშველეთ, დავხოცოთ ვირთხები, თორემ ვეღარ გავივლი, სულ შეჭამენ ჩემს ფეხებს, ადექით, ბიჭებო, მიშველეთ, ნუ დამტოვებთ უფეხებოდ, ვაჩერდით, არ გაინძრეთ, ვირთხები მოძვრებიან, შეხედეთ, შეხედეთ! უჰუჰუ, რამდენია, ძალიან ბევრია, დაგვესევიან და შეგვჭამენ, გააღეთ კარი, დავერიოთ, დავხოცოთ ვირთხები, აი, შეხედეთ, გაიქცნენ ვირთხები, მე შინ მივდივარ, მე მაქვს ფეხები. აი ჩემი ფეხები!“—ღიმილიანი ჩურჩულით თქვა ეს უკანასკნელი სიტყვები გამოძახებული ნომრის პატრონმა და ახარხარდა.

კრასნოვს სარდაფის ცივ კედელზე მიედო გახურებული შუბლი. თვალი დაეხუჭა.

ბარელს ყურებზე მიეჭირებინა ხელები, არ უნდოდა გაეგონა შეშლილის ბოდვა.

ზოგი თავდაღმა დამხობილიყო და საკუთარი ტკივილები ნებას არ აძლევდა ღრმად განეცადა შეშლილი ამხანაგის ნოჩვენებანი.

ჯერ მძიმე დუმილი ჩამოწვა, მერე განწირულთა ოხვრა-კვნესა თანდათან ამღვრევდა საზარელ დუმილს, გათამამებული ვირთხების ფხაკუნი ისმოდა და ნაპერწკლებივით აკვესებდნენ წვრილ თვალებს.

იდგა გაშტერებული პონომარენკო და ფიქრობდა:

„გავგიჟდები, ნამდვილად გავგიჟდები, მეც გავგიჟდები...“

ისე წამოახურა ტანში, ეგონა, ცეცხლი წამეკიდაო, სისხლი ნოაწვა თავში. მოწყვეტილივით ჩამოუვარდა ხელები, თავს შეუძახა ამაზრზენი ფიქრების გასაფანტავად, ძლივს დაამთავრა ნომრების ამოკითხვა, გამოუცხადა ბრძანება ბანაკის კომენდანტისა, თვალს არიდებდა სიკვდილით დასასჯელებს.

სდუმდნენ ყველანი.

აღარც შეშლილი ჭაბუკი იღებდა ხმას, იღიმებოდა, ფეხებზე ისვამდა ხელებს, უხაროდა, რომ „დააგდებინა“ ვირთხებს ფეხები, ეალერსებოდა თავის ფეხებს.

— მოემზადეთ, კარგად მოიფიქრეთ და ისე ილაპარაკეთ, ნუ დაღუპავთ გადარჩენილ ამხანაგებს, ბრანდე მოვა და დაგკითხავთ, — საბოლოოდ ეს უთხრა პონომარენკომ, კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, ვეღარ შესძლო გაეღო ხმა.

ის-ის იყო, უნდა გასულიყო სარდაფიდან, რომ ვიღაცები დაეშვნენ სარდაფში ჩასასვლელ კიბეზე, მათი ფეხის ხმაც მისწყდა და ღია კარში შეალაჯა ბრანდემ, შენოჰყვნენ ორი გესტაპოელი, სამი პოლიციელი და თარჯიმანი. მერე სამი ტყვე შემოვიდა, შემოიტანეს დასაკეცი პატარა მაგიდა, სკამები და საწამებელი იარაღები — ლითონის დატოტვილი მათრახები, რეზინის ჯოხები და მარწუხები, ერთმა პოლიციელმა გაშალა მაგიდა, მეორემ სკამები შემოალაგა, დააწყვეს მაგიდაზე საწანებელი იარაღები, პონომარენკომ თვალით ანიშნა ტყვეებს გასულიყვნენ სარდაფიდან, ლანდებივით გაიკრიფნენ ფერმიხდილები ისე, რომ არც კი შეუხედავთ მიწაზე დაყრილი ამხანაგებისთვის.

ჯერ ბრანდე მიუჯდა მაგიდას, მერე უფროსი გესტაპოელი, მეორე გესტაპოელი, გერმანელი პოლიციელები, თარჯიმანი და პონომარენკო ფეხზე იდგნენ, მათთვის არც იყო სკამები.

— ბატონო ჰაუპტმან! ვერაფერს ვერ გავხდი, არც ერთმა არ ისურვა გაეღო ხმა. დიახ, არც ერთმა, — მოახსენა ბრანდეს პონომარენკომ.

— აი, ესენი იტყვიან მაგათ სათქმელს, — მშვიდად, აუღელვებლად თქვა ბრანდემ, საწამებელ იარაღებს დახედა, ოდნავ წამოიწია, ამოიღო შარვლის

უკანა მარჯვენა ჯიბიდან ოქროს პორტსიგარი, ცერი დაჭერა, გახსნა და მიაწოდა უფროს გესტაპოელს.

«Danke schön!»[1]

გადაუხადა მადლობა უფროსმა გესტაპოელმა და აიღო სიგარეტი.

«Also»![2]

თქვა ბრანდემ, — თქვენ როგორ ფიქრობთ? რას ნიშნავს ამათი დუმილი? — ჰკითხა უფროს გესტაპოელს.

— დამნაშავენი ყოველთვის დუმან, დიახ, ესენი ასწავლიან ამათ ლაპარაკს, — მიუგო უფროსმა გესტაპოელმა, ხელი მოუსვა მარწუხს და მიაცქერდა პონომარენკოს.

პონომარენკომ თავის დაქნევით დაუდასტურა ნათქვამი და დაუმატა:

— ბატონებო! თუ ისურვებთ, კიდევ დავკითხოთ, დავრწმუნდეთ...

— თავი რომ იმართლონ, უნდა დავუჯეროთ, რომ უდანაშაულონი არიან? — მშვიდად თქვა ბრანდემ.

პონომარენკოს ხმა არ გაუღია, უხერხულობიდან თავის დასაღწევად, რაღაც გადაულაპარაკა უმცროს პოლიციელს.

მშვენიერი თურქული თამბაქოს სუნი დადგა სარდაფში.

ელექტროშუქზე თვალწარმტაცად ბრწყინავდა ოქროს პორტსიგარი, თითქოს მოკრძალებით ელაციცებოდა ოქროს, ბოლი სიგარეტისა.

ოქროს პორტსიგარზე პლატინის მოვერცხლისფრო შრიფტით, ფრანგულად ეწერა ჰოლანდიელი ებრაელის სახელი და გვარი.

«Aron Rotenberg. Paris, 1933[3].

ძვირფასი პორტსიგარის პატრონი — განთქმული ფსიქიატრი, პროფესორი არონ როტენბერგი აღარ არსებობდა ამქვეყნად. მისი უკანასკნელი ადგილსამყოფელი იყო ბერგენ-ბელზენის[4] საკონცენტრაციო ბანაკის კრემატორიუმის ღუმელი, მერე ფერფლად იქცა და სამარადისოდ შეუერთდა უამრავ ებრაელთა და არაებრაელთა ფერფლს.

არაა საჭირო დავკითხოთ ყველას, ეს დიდ დროს წაგვართმევს, დრო, ბატონებო, ოქროა გერმანელებისთვის, — თქვა ბრანდემ და თარჯიმანს უბრძანა: აირჩიონ ერთი კაცი, ვინც უნდათ, მან ილაპარაკოს ყველას მაგივრად.

გადაუთარგმნა თარჯიმანმა დასასჯელებს ბრანდეს ბრძანება.

შესწყვიტეს გმინვა, მხოლოდ ბათი ხშირ-ხშირი სუნთქვა ისმოდა.

თარჯიმანმა პონომარენკოს შეავლო თვალი.

---

1 გმადლობთ! (გერმ.).

2 მაშ ასე! (გერმ.).

3 არონ როტენბერგი. პარიზი, 1933 წ. (ფრანგ.).

4 ბერგენ-ბელზენი — ჰოლანდიის საკონცენტრაციო ბანაკი, სადაც გარდაიცვალა ნიშნავლით ცამეტი წლის ებრაელი გოგონა — ანა ფრანკი.

პონომარენკომ დააპირა კრასნოვი დაესახელებინა, გადაიფიქრა, მაგ სჯირდებოდა კრასნოვი, ეშინოდა, ვაითუ შური იძიონ ჩამოხრჩობამდე, იქნებ გაცემულია ყოფილი კომისარიო, თვალით ჩამოუარა ყველას, დააკვირდა, ვითომ არც კი არსებობდნენ იქ კრასნოვი და ბარელი, ბრგე რუსი ოფიცერი შეარჩია და უთხრა:

— გვოზდიკოვ. შეგიძლია ილაპარაკო ყველას მაგივრად?

— შემიძლია, ოღონდ გთხოვთ: რასაც ვიტყვი, ზუსტად გადაუთარგმნოთ ნაგ სატანას.

— მოათრიეთ და დააგდეთ აქ, — უბრძანა ბრანდემ პოლიციელებს.

სწვდნენ პოლიციელები ფეხებში გვოზდიკოვს, მოათრიეს და დააგდეს.

გვოზდიკოვს შეკრული ხელები მოჰყვა მუცელ ქვეშ თავდაღმა დამხობილს და ტუჩები მოიკვნიტა.

— აბა, გისმენთ, რას იტყვი? — ჰკითხა ბრანდემ თარჯიმანის პირით.

— ყველა ჩვენთაგანს მხოლოდ ერთი აზრი აქვს, — მიუგო შეუპოვრად გვოზდიკოვმა.

— ის, რომ ყველანი ხართ მონაწილე გვირაბის გაყვანისა?

— დიახ, ყველანი.

— დაასახელე ბანაკში დარჩენილები, ყველა, ვინც მონაწილეა თქვენთან ერთად, დაასახელე და შეგინსუბუქდებათ სასჯელი, — შემპარავად უთხრა ბრანდემ.

— მხოლოდ ჩვენა ვართ მონაწილენი, ჩვენ გავიყვანეთ გვირაბი, სულ ცალე მოვლენ ჩვენები და შურს იძიებენ, თქვენ ვერ მოასწრებთ გაქცევას, აქეთ დარჩებიან თქვენი ბილწი გვამები,—მიუგო გვოზდიკოვმა და თარჯიმანს სთხოვა: არ შეარბილო ჩემი ნათქვამი, ზუსტად გადაუთარგმნე მაგ ძაღლის თავს.

თარჯიმანი აღარ სთვლიდა საჭიროდ შეერბილებინა გვოზდიკოვის ნათქვამი, იცოდა, რომ საქმეს მაინც აღარაფერი ეშველებოდა, თითქმის ზუსტად მოახსენა ბრანდეს, მხოლოდ ორი სიტყვა „ძაღლის თავი" გამოტოვა, ვეღარ შეჰკადრა.

გვოზდიკოვი ვერ მიხვდა „ძაღლის თავი" რომ გამოტოვა თარჯიმანმა. ვერც ის გაიგო, თარგმნა თუ არა მისი ნათქვამი ზუსტად. სიძულვილით სავსე თვალით მიაცქერდა და მიაძახა:

«Schweinhund!»[1]

გესტაპოელები და პოლიციელები შეკრთნენ, პონომარენკოს მიაცქერდნენ. ვითომ არც გაგიგონიაო, პონომარენკომ ძირს დავარდნილი რეზინის მათრახი აიღო და მაგიდაზე დადო.

«Schön!»[2]

---

[1] ბინძური! (გერმ.).

[2] ჩინებულია! (გერმ).

ისე მშვიდად თქვა ბრანდემ, თითქოს არაფერი გაეგონოს საწყენი, ნერვულად აათამაშა მსხვილი თითები მაგიდაზე, „შვაინჰუნდის“ საპასუხოდ თავზე მოსაჭერი მარწუხი აიღო და დაანახვა გვოზდიკოვს, მუშტი დაჰკრა მაგიდაზე, წამოდგა, გაიარ-გამოიარა და ისევ დაჯდა, ახლა უფრო მაგრად დაჰკრა მუშტი მაგიდაზე, საწამებელი იარაღები გადმოცვივდა, პორტსიგარი გაიხსნა, სიგარეტები მიმოიფანტა და პორტსიგარი ოქროს ჩიტივით გაფრინდა.

თარჯიმანი და პონომარენკო გაოგნებული იდგნენ.

— მოათრიეთ ყველანი და დაჰყარეთ ისე, რომ ერთი მწკრივი გამოვიდეს, — უბრძანა ბრანდემ პოლიციელებს.

პონომარენკომ აკრიფა მიმოფანტული საწამებელი იარაღები, სიგარეტები ჩააწყო პორტსიგარში და ყველაფერი ნოკრძალებით დააწყო მაგიდაზე.

დატრიალდნენ პოლიციელები, ფეხებში ავლებდნენ ხელს, მოათრევდნენ და ჰყრიდნენ სიკვდილმისჯილებს, როგორც ბრძანა ბრანდემ, ერთმწკრივად გამოვიდნენ, იმ ღამით მომკვდარი ორი კაცი, ყველაზე ბოლოს მოათრიეს და მიუმატეს ცოცხლებს.

ცირკის არტისტს, კნიაზევს, გმინვა დავიწყებოდა, ტკივილებიც დავიწყებოდა და ისე იგინებოდა, რომ ზანზარებდა იქაურობა, აგინებდა ბრანდეს, ჰიტლერს, გესტაპოელებს, პოლიციელებს, ყველას, ყველას...

ბრანდემ სიგარეტი გააბოლა და ბრძანა:

— შეუდექით საქმეს! და ბოლთის ცემა დაიწყო.

უფროსმა გესტაპოელმა თვალი გადაავლო მწკრივს და უბრძანა დამხობილიყვნენ თავდაღმა.

ერთი კაციც არ განძრეულა, ბევრ მათგანს აღარც შეეძლო გადაბრუნება.

პოლიციელებმა ჩამოუარეს და გადააბრუნეს ყველანი, მკვდრებიც გადააბრუნეს. ოღონდ შეშლილ ახალგაზრდას ვერაფერი მოუხერხეს, რამდენჯერაც დაამხობდნენ თავდაღმა, იმდენჯერ გადმობრუნდებოდა. ბოლოს, რომ ვეღარ დაიმორჩილეს, ერთმა პოლიციელმა გააბრუა კასკეტით.

— ჯერ ფოლადის წნელებითა და რეზინის ჯოხებით! — ბრძანა ბრანდემ.

მეორე გესტაპოელმა და პოლიციელებმა თეატრალურად შეათამაშეს ხელში საწამებელი იარაღები.

— არ ვარგა, — ბრძანა ბრანდემ, გულაღმა დააწვინეთ ყველანი.

თავისი ხელობის ოსტატი-პროფესორი იყო ბრანდე, იცოდა, გულაღმა ნწოლიარენი უფრო კარგად შეიგრძნობდნენ საწამებელი იარაღების ტყლაშუნს.

აღასრულეს პოლიციელებმა ბრანდეს ბრძანება. მკვდრებიც გადააბრუნეს.

კასკეტით გაბრუებული შეშლილისთვის უკვე სულ ერთი იყო გადააბრუნებდნენ თუ გადმოაბრუნებდნენ.

უფროსი გესტაპოელი და ბრანდე მაგიდას უსხდნენ, ფეხბურთზე საუბრო-

ბდნენ, ნასადილევს ცოტა დავისვენოთ. პოლიციაი ნოვიკოვიც მოვა და სტადიონიაკენ გავუტიოთო.

უფროსმა პოლიციელმა ბრანდეს მიმართა:

— ნება მოგვეცით, დავიწყოთ!

ბრანდეს თავი არ აუღია, ხელით ანიშნა, დაიწყეთო. უფროს გესტაპოელს ელაპარაკებოდა ფეხბურთზე. სტადიონი დაეხატა ქაღალდზე, ფეხბურთელები აღენიშნა პაწაწა შავი წრეებით და დასცქეროდა.

ამოვარდა ფოლადის წნელებისა და რეზინის ჯოხების ტყლაშუნის ქარიშხალი, ყრუ გმინვა გაისმოდა სარდაფში, ჯერ წითელი ზოლები აჩნდებოდათ შიშველ ტანზე, მერე სისხლი მოთქრიალებდა ზოლებიდან, ღვარად მიედინებოდა და აფერადებდა დამდგარ ტლაპოს, მკვდრებს არ აჩნდებოდათ ზოლები და არც სისხლი განოსდიოდათ.

ბრანდემ არ იცოდა მკვდარი თუ იყო ორი კაცი, მწამებლებმა კი იცოდნენ, ექსტაზში იყვნენ შესულნი და მათთვის სულ ერთი იყო მკვდრებიცა და ცოცხლებიც.

ბევრმა მათგანმა გრძნობა დაჰკარგა და ვეღარ გრძნობდნენ ჯოჯოხეთურ ტკივილებს.

ყველაზე „ბედნიერი" კი მაინც შეშლილი ახალგაზრდა იყო, კასკეტით გაბრუებული ვეღარც ტკივილს გრძნობდა და აღარც ვირთხები მიათრევდნენ მის ფეხებს.

ბრანდე და უფროსი გესტაპოელი ფეხბურთზე საუბრობდნენ, ნასადილევს დაისვენებდნენ, ნოვიკოვი გავიდოდა სტადიონზე და გააგორებდნენ ბურთს. რამდენჯერმე კიდეც წამოხტა ბრანდე, ვითომ ფეხი გაჰკრა ბურთს, ვიღაც განთქმული ფეხბურთელის ილეთი თუ ფინტი მოიგონა, ვერ ისვენებდა, ისე იყო აღგზნებული, მთელი სულითა და გულით ფიქრობდა ფეხბურთზე, ხანდახან თუ შეაკლებდა თვალს საწამებელ იარაღებქვეშ მოფართხალე დამნაშავეებს.

პონომარენკო და თარჯიმანი გაოგნებული იდგნენ, ტუჩებს იკვნეტდნენ, ვერაფერი მოეფიქრებინათ.

ფეხბურთის ხიყვარულმა მარწუხების გამოყენება დაავიწყა ბრანდეს, დროც აღარ ჰქონდა, მაჯის საათზე დაიხედა, გასულიყო წამებისათვის დანიშნული განსაზღვრული დრო — თხუთმეტი წუთი.

«Schluß!»[1]

წამოიძახა მშვიდად და ბრძანა: ხვალ, პირველ საათზე მოიყვანეთ დამნაშავენი ბანაკის შუაგულ ეზოში ზღმართულ სახრჩობელასთანო. მერე სწრაფად შეტრიალდა, ერთხელ კიდევ გაიქნია მარჯვენა ფეხი, Danke schön! — გადაუხადა მადლობა მწამებლებს, გაბრუნდა და გავიდა სარდაფიდან.

---

[1] დასასრული (გერმ.).

პოლიციელებმა მაგიდა დაკეცეს, საწამებელი იარაღები აალაგეს, დაასუფთავეს, ჩააწყვეს ყუთში და გაჰყვნენ უკან ბრანდესა და უფროს გესტაპოელს.

თარჯიმანი და პონომარენკო სარდაფში დარჩნენ, თარჯიმანმა ზურგი შეექცია ნაწამებ ტყვეებს, აღარც პონომარენკოს შეუხედავს მათთვის, აღარ დალაპარაკებიან ერთმანეთს თარჯიმანი და პონომარენკო, გავარდა გარეთ თარჯიმანი, აირბინა კიბეზე, სანამ არ გამოიძახეს შტაბში, ეზოში დაბორიალობდა.

მარტო დარჩენილ პონომარენკოს აღარ უნდოდა დაენახა თავისი თანამემამულენი, ფრთხილად გავიდა სარდაფიდან, იქვე კართან ჩამოჯდა ყუთზე, სინდისი ქენჯნიდა.

სინდისის ქენჯნა უფრო დიდი ტკივილია, ვიდრე წამებით ტკივილი სხეულისა.

„რატომ მივატოვე ეს ყოვლად უბედურნი? არა მაქვს უფლება შევუმსუბუქო მათ რაიმეთი ტანჯვა? ადამიანს ბევრი რამის უფლება არა აქვს, მაგრამ მაინც უნდა მოიპოვოს, თუ ნამდვილი ადამიანია იგი. რატომ აღარ შენიძლია შევბრუნდე მათთან და რითიც შემიძლია დავეხმარო? ვეღარ უძლებ დაინახო ისინი, ოუ გეშინია ბრანდესი? ვეღარ იტან მათს დანახვას? ეს ხომ შებრალებაა შენი თავისა და სხვა არაფერი! როგორ, შენ, მხოლოდ შენი თავი გებრალება? აბა, მათ რაღა უნდა ჰქნან? თუ რატომ არ შედიხარ მათთან, გეშინია? იმდენად მათი დანახვა კი არ გეშინია, ბრანდესი გეშინია, დიახ, მეშინია, მაგრამ პირადად ჩემთვის კი არ მეშინია, საერთო საქმეს ვუფრთხილდები“.

ასე გაიმართლა თავი პონომარენკომ.

ასე ელაპარაკებოდა პონომარენკო პონომარენკოს.

ჯერ მაინც ვერაფერი მოეფიქრებინა, ვერ ერეოდა თავის თავს, რა ბორკავდა? შიში, თუ საიდუმლოს გამჟღავნება უფრო მომაკვდინებელი იქნებოდა? რა თქმა უნდა, საიდუმლოს გამჟღავნებას უფრო სავალალო შედეგი მოჰყვებოდა.

„არც ერთი დიდი საქმე არ მოგვარებულა თავგანწირველად, უმსხვერპლოდ“, — ფიქრობდა პონომარენკო, ვერ შედიოდა სარდაფში, საიდანაც ისეთი ამაზრზენი ყრუ გმინვა და ოხვრა-კვნესა ისმოდა, რომ გონება ერეოდა. ერთი გაფიქრება გაიფიქრა: მოდი, გავიქცევი, ვუშველი თავსო. ასე რომ მოქცეულიყო, მართლაც გათავისუფლდებოდა პირადი ტანჯვისაგან, სინდისი კი არ აძლევდა ამის ნებას, უცებ წამოდგა, რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა და ჯან-ღონეც დაუბრუნდა.

ცირკის არტისტმა კნიაზევმა სიმღერა წამოიწყო:

«Ты жива еще, моя старушка?
Жив и я. Привет тебе, привет!»

შეიშმუშნა ბურანში გახვეული გვოზდიკოვი და აჰყვა:

«Пусть струится над твоей избушкой
Тот вечерний несказанный свет...»

მერე რამდენიმე კაცმაც მისცა ბანი, შეშფოთდა კიბეზე ფეხშედგმული, თავჩაქინდრული პონომარენკო, ჯერ თვალებზე და მერე ყურებზე მიიფარა ხელები. როცა სინლერას ერთობლივი ქვითინი მოჰყვა, დასაკლავი ხარივით დაიბღაღლა.

არ ტიროდა მხოლოდ ორი კაცი — კრასნოვი და ბარელი, არ ტიროდნენ, მაგრამ მათი ამხანაგები თუ გასამხნევებლად მღეროდნენ, კრასნოვსა და ბარელს ბოღმა ახრჩობდათ, ხმას ვერ იღებდნენ, უფრო იტანჯებოდნენ.

— პაველ დმიტრიევიჩ, ნუ გაგიკვირდებათ, ტირილი შვების მომგვრელია, — ჩაიჩურჩულა კრასნოვის ზურგზე მიყრდნობილმა ბარელმა.

— არა, არ ნიკვირს, ტირილი ადამიანური თვისებაა, მე ერთი სიტყვაც კი ვერ გამოვგლიჯე ყელში მოწოლილ ბოღმას, — კრასნოვმაც ჩაიჩურჩულა და თავი დადო ბარელის მხარზე.

ისევ ღიღინებდნენ კნიაზევი და გვოზდიკოვი, მათი ღიღინი ტკივილს აყუჩებდა და გულს უფრო აღონებდა.

— ისინი ხომ წავიდნენ, მაგრამ პონომარენკო ხომ არ წასულა? — იკითხა კრასნოვმა.

— ალბათ ისიც წავიდა, — თქვა ბარელმა და ამოიკვნესა: „ვაი, დედა!"

— თუ წავიდა, სარდაფის კარი რატომ არ დაკეტა? — კვნესით თქვა კრასნოვმა.

— ლონები უნდა მოიყვანოს, პირდაპირ შემოვარდებიან ლომები ღია კარში, — იოხუნჯა ცირკის არტისტმა კნიაზევმა.

კნიაზევის ნაამბობი მოაგონდათ:

„ერთხელ, საცირკო წარმოდგენის დროს, ლომებისა და ვეფხვების მწვრთნელი გამოვიდა არენაზე, დაუძახა თავის გაწვრთნილ ლომებსა და სამი ლომი უცებ შემოვარდა, შეეშინდა და შეჰკივლა წინა რიგში მჯდარმა ვიღაც ქალმა, დაფრთხნენ ლომები და გაცვივდნენ, ნერე ვერას გზით ვეღარ შესძლეს შემოეყვანათ ლომები არენაზე.

დიდი ხნის წვალების შემდეგ, როგორც იქნა, ერთი ლომი დაიმორჩილა კნიაზევმა და შემოიყვანა, შემოჰყო თუ არა თავი ლომმა, შედგა, ცოტა ხნის შემდეგ დაიძრა ადგილიდან, ფრთხილად მიიწევდა წინ და უცქერდა იმ ქალს, ვინაც დაიკივლა, შეჩერდა ლომი შუა არენაზე, თვალს არ აშორებდა ქალს, ახლა უფრო ხმამაღლა შეჰკივლა შეშინებულმა ქალმა, დაფრთხა ლომი და გავარდა არენიდან, მწვრთნელს დაეჯახა, წააქცია, თავზე გადაახტა და მოუსვა, ცირკის გაწვრთნილ ცხენს წააწყდა, ეძგერა და დაგლიჯა.

ამდგარიყო ლომით შეშინებული ქალი, პარტერის ბოლო რიგში იდგა და იხვეწებოდა: ხელჩანთა დამრჩა სკამზე, გთხოვთ, მომიტანეთო".

იმ დღეს იმდენი იცინა ხალხმა, რომ მაინც კმაყოფილი დარჩნენ ბაყურებლები.

ამ ამბის მოგონებამ ნაღვლიანი ღიმილი მოჰგვარა ყველას.

რატომღაც ბარელი მიფორთხდა სარდაფის კარამდე, ფეხები შეხსნოდა წამების დროს, გაიხედა და დაინახა, კიბის საფეხურზე დაბჯდარი, თავჩაქინდრული პონომარენკო. თავი აიღო პონომარენკომ და შეხედა ბარელს, პონომარენკოს ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ისიც სიკვდილმისჯილებივით იყო ნაწამები, ბარელს ხმა არ გაუღია, არც არაფერი ჰქონდა სათქმელი, გამოფორთხდა და ისევ მოიკალათა თავის ადგილზე.

წამოდგა პონომარენკო, სარდაფში ჩავიდა, არა ჰქონდა უფლება და მაინც გაუხსნა ყველას შეკრული ხელ-ფეხი, ისე სწრაფად ტრიალებდა, რომ ღვარად ჩამოსდიოდა ოფლი პირისახიდან, გაუხსნელი სიგარეტების ორი კოლოფი ამოიღო შარვლის ჯიბიდან, ერთი კოლოფი ასანთიცა და წინ დაუყარა კრასნოვს, სარდაფის კარი ჩაკეტა, მარდად აირბინა კიბეზე, გაეშურა თავისი ოთახისკენ, წიხლის კვრით შეაღო, თავდაღმა დაემხო საწოლზე და ამოიგმინა.

სარდაფში სინათლე ანთებული დატოვა, არც ამის უფლება ჰქონდა.

დიდი ხნის გაუწმენდავი მცირე ვოლტიანი ნათურა უბადრუკ შუქსა ჰფენდა სარდაფს, მკრთალ ელექტროშუქზე დედიშობილად დაყრილთა სხეულზე მუქი სისხლი მოჩანდა ლაქებივით.

ბევრი მათგანი ისევ გულაღმა იწვა, მაინც ვერ ხმარობდა გახსნილ ხელებს, ბარელი, კრასნოვი და ცირკის არტისტი კნიაზევი სხვებთან შედარებით უფრო მაგრად იყვნენ, ან სამმა კაცმა დაურიგა ამხანაგებს სიგარეტები.

— Грузин!—კარი გააღე, ლომები თუ შემოვლენ, მე დავიკივლებ იმ შეშინებული ქალივით და დაფრთხებიან ლომები, — ოხუნჯობდა კნიაზევი, მაინც არ ეშვებოდა ხუმრობას. აღარ ეშინოდა ჭკუიდან შეშლილ ჭაბუკს ვირთხებისა, მშვიდად დასძინებოდა სამარადისოდ.

საწოლზე მიგდებულ პონომარენკოს არც უფიქრია ესადილა იმ დღეს, მთელი კოლოფი სიგარეტი მოეწია, ბოლით ავსილიყო მისი პატარა ოთახი, არ იცოდა რა გზას დადგომოდა, მაინც არ შორდებოდა გაქცევაზე ფიქრი, აგონდებოდა სანდო ამხანაგების რჩევა: რომ გაიპარო ბანაკიდან, ამაზე მეტი საქმე იქნებ ვერც კი გააკეთო პარტიზანმაო, ახლა, ჩვენ ისეთ დღეში ვართ ჩავარდნილი, შენისთანა კაცი ყოველ ბანაკშია საჭიროო.

ძილი არ ეკარებოდა, მერე მაინც ჩაეძინა, მტანჯველი სიზმარი ნახა, თოფნაკრავივით წამოხტა, სარკმელი გააღო, გრილი სიო შემოიჭრა ოთახში, ცოტათი გამოაცოცხლა, თავი სტკიოდა, ჯერ არ უნდოდა გასულიყო გარეთ, მისთვის

ახლა გულშემატკივარ ადანიანთან შეხვედრა და ლაპარაკი მთელ სიცოცხლედ ღირდა. „პოლიციელი“ ნოვიკოვი და თარჯიმანი ბანაკიდან გასულიყვნენ, ექიმი ლაზარევი „რივიერაში“ ეგულებოდა, უხაროდა. სარკმლიდან გადაიხედა, დიდხანს მძინებია უდარდელი კაცივითო, — გაივლო გულში.

ლასლასით მომავალი ვიღაც ტყვე დაინახა და მიაცქერდა.

— ეჰეი, შენ, მოდი, აქ! — არავითარი საქმე არა ჰქონდა მასთან და მაინც გადასძახა.

შეკრთა ტყვე, შედგა, მიაცქერდა, ხმაზე იცნო, ვინც ეძახდა, სიცილახლოვდა ღია სარკმელს, შეჩერდა.

— ნოიწი ცოტა ახლოს, სად მიდიხარ, რატომ არ გძინავს, რას დაეხეტები ამ უდროო დროს? — გამოლაპარაკება უნდოდა და სხვა ვერაფერი მოიფიქრა.

ქათმის სიბრმავით დაავადებულმა რუსმა ჭაბუკმა სევდიანად, ღიმილით მიუგო:

— სად მივდივარ? მოსკოვში!

კიდევ ეწადა რაღაც ეთქვა, ხმის ამოღება დაეზარა.

მიხვდა პონომარენკო რუსი ჭაბუკის ირონიას, არ გაჰკვირვებია.

— ვეღარ მოესწრები ნოსკოვში წასვლას, — ჯერ ასე გადასძახა, მერე თვითონაც ირონიულად დასძინა: აღარ გადის მოსკოვისკენ მატარებლები, არ იცოდი? ჯერ კარგად უნდა გაგეგო და მერე უნდა მოგეფიქრებინა მოსკოვში გაპგზავრება.

— მომაწევინეთ პაპიროსი, ან სიგარეტი, თქვენ სიგარეტი გექნებათ, მომაწევინეთ და მერე გეტყვით, ვინ ვერ მოესწრება მოსკოვში წასვლას.

— პაპიროსი მოგაწევინო? რას ინებებთ, გერმანულს თუ რუსულ პაპიროსს?

ტყვემ არაფრად ჩააგდო მისი დაცინვა, კბილები უკაწკაწებდა პაპიროსისთვის, რამდენიმე ნაბიჯი კიდევ წარსდგა წინ და წყნარად სთხოვა:

— „სოროკი“ მაინც დამიტოვეთ და გეტყვით, ვინ ვერ მოესწრება მოსკოვში წასვლას, — კიდევ გაიმეორა ტყვემ.

„მე მირტყამს, ესე იგი, შენ ვერ მოესწრებიო“, — გაივლო გულში პონომარენკომ. თავი უსკდებოდა ტკივილით, ტყვე ჭაბუკის ირონიამ იმოქმედა და თანდათან უნელდებოდა თავის ტკივილი.

პონომარენკოს არამც თუ ეწყინა, გაუხარდა მისი პასუხი, ამოიღო და გადაუგდო მთელი სიგარეტი, მერე „სოროკზე“ მეტი ნამწვიც მიაყოლა და გადასძახა:

— მოუკიდე და მოსწიე.

დაიხარა ტყვე, აიღო ჩაუმქრალი ნამწვი და სიგარეტი, თავბრუ დაესხა, ძლივს წამოდგა, მუხლები უკანკალებდა ბერიკაცივით.

„საწყალი, რა დასუსტებულია!“ — ჩაილაპარაკა პონომარენკომ.

გემრიელად ეწეოდა ტყვე ნამწვს, იღიმებოდა სიამით, ჩაიდო სიგარეტი გიმნასტურის გულის ჯიბეში, მადლობა გადაუხადა.

— რატომ ვერ მოვესწრები მოსკოვში წასვლას, ბატონო კომენდანტის მოადგილევ? გერმანელები რომ ვერ მოესწრნენ მოსკოვში შესვლას, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ მოვესწრებით!

— ჩვენ მოვესწრებით? ვინ ჩვენ?

— დიახ, ჩვენ მოვესწრებით.

— მე და შენ?

— არა, თქვენ აღარ გაინტერესებთ მოსკოვი, ვისაც უყვარს, ის მოესწრება.

პონომარენკო არ იყო კომენდანტის მოადგილე, განგებ უთხრა, „აამაღლა", ირონიით თქვა: კომენდანტის მოადგილეო.

„ნეტავ რისი ინედი აქვს ამ საფრთხობელას, ასე რომ ლაპარაკობს? სადაცაა დალევს სულს". — გაიფიქრა პონომარენკომ, ოღონდ არ დაუცინია, მტკიცედ დაეყრდნო სარკმლის რაფას და გადასძახა:

— ბიჭო, ძლივს დგახარ ფეხზე და არ გეშინია, ეგრე თამამად რომ მელაპარაკები?

— რისი უნდა მეშინოდეს, დასჯის? ამაზე უარესს რაღას მიზამენ!

— არ გინდა ნახო მოსკოვი?

— მინდა და ვნახავ კიდეც.

— მეც ვნახავ მოსკოვს?

— თუ გნებავთ, ნახავთ.

— გამოდი ხვალ ბანაკის ეზოში და დაინახავ, რომ მოხდება მაგაზე უარესი.

— რას დავინახავ?

— რასა და ორმოცდაათი კაცი უნდა ჩამოახრჩონ ხვალ, პირველ საათზე.

— ვიცი.

— იცი?

— მარტო მე კი არა, მთელმა ბანაკმა იცის, ხომ არ ინებებთ დაუმატონ კიდევ ერთი კაცი?

— ხვალ არა, სხვა დროს მეტსაც დაუმატებენ, შესაძლოა, ხვალაც დაუმატონ სამი კაცი, რადგან ჩამოსახრჩობ ორმოცდაათ კაცს სამი კაცი აკლია. მოკვდა სამი კაცი. თუ გსურს, ერთ კაცად შენ წარგადგენ, ორ კაცს კი ვიშოვი რამენაირად.

— მე არა მაქვს მაგ საქმის სურვილი, მსურს მოსკოვი ვნახო, მოსკოვში ვარ დაბადებული და გაზრდილი, ისე ახლოს ვცხოვრობ წითელ მოედანთან, რომ ჩემი ბინიდან პირდაპირ მოჩანს კრემლი.

— აბა, შენ შენი სახლიდან ხედავდი ხოლმე სტალინს? რაღა გიჭირს!

— არა, ჩემი სახლიდან კი არა, ყოველი პარადის დროს ვხედავდი ხოლმე, ხომ იცით, სტალინს ფეხი არ მოუცვლია მოსკოვიდან, როცა მიუახლოვდნენ გერმანელები მოსკოვს.

— მერე რა გააკეთა ამით? ამდენი რომ ირბინეს მისმა ჯარისკაცებმა? ამოდენა ტერიტორია რომ დაუტოვეს გერმანელებს? ამიტომ არ მოიცვალა ფეხი მოსკოვიდან?

—რაც მოხდა, ასე უნდა მომხდარიყო, ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო, ახლა, ამხელა მანძილის გარბენას, ასე ადვილად შესძლებენ გერმანელები?

— რა მანძილის გარბენას?

— ხომ უნდა გაირბინონ ახლა, როცა უკან იხევენ გერმანელები, ხომ უნდა გაირბინონ გამორბენილი მანძილი!

„ამხანაგო უფროსო ლეიტენანტოო, იცის, ვინცა ვარ", — თქვა გულში პონომარენკომ და უთხრა:

— შენ რომ გენერალი ყოფილიყავი, რაღა გვიჭირდა!

— ყველა ჯარისკაცი გენერალია თუ სურს, რაც შეეხება გერმანელების ამოდენა მანძილის გარბენას, მოგახსენებთ: კაცმა იმდენი მანძილი უნდა გაირბინოს წინ, რომ უკან დაბრუნება შეძლოს.

— ეს ვინ ყოფილა! — სიცილით თქვა პონომარენკომ და დასძინა: ხომ გითხარი, შენ გენერალი უნდა ყოფილიყავი-მეთქი.

— ჯარისკაციც გენერალივით უნდა ფიქრობდეს.

— რა გვარი ხარ?

— მე აღარა მაქვს გვარი, ფრონტზე დავტოვე, აღარა მაქვს უფლება ვთქვა ჩემი გვარი.

— მითხარი შენი გვარი და კიდევ მოგცემ ერთ ცალ სიგარეტს.

— როგორ, ერთ ცალ სიგარეტში გავცვალო ჩემი გვარი? თუმცა ახლა ზოგიერთი პოლიციელი დღეში სამ ცალ სიგარეტს იღებს, არც თამბაქო გვაქვს და არც მეტი ღირხართო, — ასე ეუბნებიან გერმანელები.

„ჭკვიანი ყმაწვილია, მე მირტყამს!" — გაივლო გულში პონომარენკომ და უთხრა:

— არავინ არ წაგართმევს შენს გვარს, თქვი, ისევ შენ დაგრჩება.

— გვარის წართმევა არ შეიძლება, ამიტომ გეტყვით: ვოლკოვი ვარ და ვოლკოვად დავრჩები, აი, ეს ჩემი ნომერი, გულზე რომ მკიდია ძაღლივით, ჰიტლერს უნდა დავკიდო გულზე.

— გაქვს მაგის იმედი? რომ ვერ გააღწიო ამ ბანაკიდან?

— მე თუ ვერ გავაღწევ, ბევრნი გააღწევენ, ყველა კი არ ჩავარდება ტყვედ ჩემსავით, სხვა ვოლკოვი დაჰკიდებს ამისთანა ნომერს ჰიტლერს, ის, ვინც იბრძვის ახლა ფრონტზე.

— შენ, მართლა მგელივით ბიჭი იქნებოდი.

— თქვენ ხომ არ გწყინთ ჰიტლერის აუგად მოხსენიება?

— არა, თქვი, რაც გინდა, ნებას გაძლევ, დამნაშავეს ჯერ ალაპარაკებენ და მერე იმსჯელებენ მასზე.

— ერთ რამეს კიდევ მოგახსენებთ ჰიტლერზე და მერე წავალ, თორემ ძალიან მიჭირს, — ორივე ·ფეხის ბაკუნით თქვა ვოლკოვმა და აწრიალდა.

— კარგი, გისმენ!

— როცა ჰიტლერს ნომერს ჩამოჰკიდებენ ჩემსავით, იცოდეთ, პირველი ნომერი იქნება, პირველობის მსურველ კაცს პირველი ნომერი შეჰფერის.

გაიღიმა პონომარენკომ და უთხრა:

— ვოლკოვ, მაშ, შენ, მგელი იყავი, ძაღლად იქეცი და ლაქუცი დაიწყე, გვარიც უნდა გამოიცვალო, საბაჩკინი უნდა გახდე.

— მე არ დამიწყია ლაქუცი, ლაქუცი რომ დამეწყო, ახლა მეც თქვენსავით ვიქნებოდი გადმომდგარი საკუთარი კაბინეტის სარკმლიდან, ახლა დაძაბუნებული მგელი ვარ, მგლის გაწვრთნა არ შეიძლება, მგელი მგლად რჩება!

— შენი აზრით, მგელი სჯობია ძაღლს? ბიჭო, ძაღლი მუდამ ერთგულია თავისი პატრონისა.

— მაგრამ ვინც ნიუგდებს გამოხრულ ძვალს, იმისი ერთგულიც მალე გახდება, — უთხრა ვოლკოვმა და ყური ცქვიტა, სათვალთვალო კოშკურაში მჯდარი გერმანელი გუშაგის სასტვენის ხმას მიაყურა, ეკლებიანი მავთულხლართებიდან შორს იყო და მაინც შეეშინდა, არ მესროლოსო, დიდხანს ვდგავარ ერთ ადგილზეო.

— ეხ, ამხანაგო ვოლკოვ! რა გითხრა, შენ, გეტყობა, ძაღლის ლაქუცს მგელივით შეტევა გირჩევნია, კარგია თუკი ეგრეა, თუკი გაიტან შეტევით.

— დიდი ხანია აღარ გამიგონია სიტყვა „ამხანაგი", ფრიად სასიამოვნოა, მე არ მიყვარს ბატონობით წიმართვა.

— აბა, მე რატომ მიწოდეთ „ბატონი?" ამხანაგობით კომუნისტები მიმართავენ ერთმანეთს, გეტყობა შენ კომკავშირელი რომ ხარ.

— დიახ, ეგრეა, კომკავშირში გავიზარდე და მერე მე თვითონ ვზრდიდი კომკავშირელებს.

— შენ თვითონ ზრდიდი?

—აბა რა, რატომ გიკვირთ? საშუალო სასწავლებელში რომ ვსწავლობდი, კომკავშირულ ორგანიზაციას ვხელმძღვანელობდი, ასოთხმოცი კომკავშირელი მყავდა, ომი რომ დაიწყო, ქალიან-კაციანად, ყველანი წავედით ფრონტზე.

„ამას ვის წავაწყდი? ყველაფერს მართალს ამბობს, რატომ არ ეშინია ჩემი? ხომ არაფერი იცის ჩემზე?" — ასე ფიქრობდა პონომარენკო.

ხელით ანიშნა, მოდი, ნოიწი ჩემსკენო.

დაუახლოვდა ვოლკოვი, დაიხარა პონომარენკო, იქვე, სარკმელთან მდგარი

კარადიდან გამოიღო პურის ნაჭერი, დაუჭრელი ძეხვი, შეახვია გაზეთში, გაიხედ-გამოიხედა და გადაუგდო. ხელები შეაშველა ვოლკოვმა, ძალამ უმტყუნა, წაიქცა, მაინც დაიჭირა, ძლივს წამოდგა, როგორც მეკარე წამოდგება ბადეში მოსახვედრი დაჭერილი ბურთით, ნელ-ნელა გაიმართა წელში, მაგრამ საკითხავია: მშიერ ადამიანს უფრო მეტად გაახარებს პურის შოვნა, თუ მეკარეს ბურთის დაჭერა? ხელების თრთოლვით გახსნა და სულმოუთქმელად დაიწყო ჭამა.

გადაჰყურებდა პონომარენკო და სანამ არ ჩაყლაპა უკანასკნელი ლუკმა, ხმა არ გაუღია.

გაიღიმა ვოლკოვმა მაინც ნაღვლიანად, ნადლობა გადაუხადა.

— აი, ბედი მქონია, ადგომა მეზარებოდა და ვეღარ მოვითმინე.

— ბიჭო, რა ბედნიერებაა ერთი ნაჭერი პურისა და ძეხვის შოვნა?

— ჩემს დღეში ჩავარდნილი კაცისთვის ბედნიერებაა, კაცს როცა შია, მხოლოდ პურზე ფიქრობს, მხოლოდ პური ელანდება, სხვა არაფერი...

— როცა გაძღება?

— როცა გაძღება, მაშინ გაქცევაზე ფიქრობს, თქვენ რა გგონიათ? გვირაბი რომ გაიყვანეს და გაიქცნენ, შიმშილით დაუძლურებულნი რომ ყოფილიყვნენ, ვერც გვირაბს გაიყვანდნენ და ვერც გაბედავდნეა გაქცევას, მშიერი კაცი შორს ვერ გააღწევს, გაუჭირდება.

— შემოდი, ჩენთან! — მთრთოლვარე ხმით გადასძახა პონომარენკომ და ჩაახველა ხმის შესაცვლელად.

— თქვენთან შემოვიდე? — გულგრილად და ოდნავი გაკვირვებით ჰკითხა.

— ჰო, შემოდი ჩემთან, მხარმარცხნივ შემოუარე, რკინის დიდი ჭიშკრიდან შემოდი, დერეფანში რომ შემოხვალ, მხარმარჯვნივ მოუხვიე და პირდაპირ წამოდი, 145-ე ოთახში ვცხოვრობ, ჩემი გვარი — პონომარენკო აწერია ჩემს ოთახს.

— ჯერ იქ გავივლი, მერე შემოვალ, — უთხრა ვოლკოვმა და ბანაკის საპირფარეშოსკენ გაიშვირა ხელი.

— ჩქარა, გელოდები, ნუ გეშინია, თამამად შემოდი, — ჩაიჩურჩულა პონომარენკომ, მოშორდა სარკმელს, საწოლზე ჩამოჯდა.

ძლივს შელასლასდა საპირფარეშოში და ფიქრობდა: რომ არ ავმდგარიყავი, ხომ დავკარგავდი პურსა და ძეხვს? ნაბდვილი პური იყო, ხორბლის პური, მიისწრაფოდა პონომარენკოსკენ ვოლკოვი და გზადაგზა იკრავდა შარვლის ღილებს.

საჭმელმა და პონომარენკოსთან ლაპარაკმა მართალია, ძალ-ღონე შემატა, მაგრამ მაინც შეაშფოთა, სევდა მოერია. მიადგა პირდაპირ მის ოთახს და წაიკითხა:

„145-ე ოთახი, გ. ნ. პონომარენკო“.

შეაღო კარი და შევიდა, არ დაუკაკუნებია.

— დაჯექი.

დაჯდა.

წამოდგა მასპინძელი, გადახადა მაგიდაზე დაწყობილ სასმელ-საჭმელს გერმანული გაზეთი და უთხრა:

— მოდი, დაჯექი, ჭამე, რაც გინდა, ეს არის სულ ჩემი სამასპინძლო, ჯერ-ჯერობით მეტი არაფერი მაქვს.

ვოლკოვს ხმა არ გაუღია, მიუჯდა მაგიდას, დაიწყო ჭამა გაუბედავად და მაინც მადიანად.

მასპინძელიც მიუჯდა და უთხრა:

— თითო ჭიქა დავლიოთ, მეტის უფლება არა გვაქვს, გაგვიჯავრდება ბატონი ბრანდე, — გაეხუნრა. დაასხა ორი ჭიქა არაყი, გადაჰკრა, ჭამდა მადიანად, მოშივნოდა, მთელი დღის უჭმელი იყო.

ამ მოულოდნელობით დაბნეული ვოლკოვი, ხან პონომარენკოს შესცქეროდა და ხან სასმელ-საჭმელს, ხელი უკანკალებდა.

— ვოლკოვ, ჭამე რამდენიც გინდოდეს და დააყოლე ეს არაყიც, ბრანდეს დედაც... — თქვა მასპინძელმა, კიდევ დაასხა, ჭიქა ჭიქაზე მიუჭახუნა და გადაჰკრა, — მე წერილს დავწერ, მერე რაღაც საქმე მაქვს შენთან. ადგა, საწოლზე ჩამოჯდა, ტუმბოზე ბლოკნოტი და ფანქარი იდო. ცოტა ხანს დაფიქრდა და წერას შეუდგა.

ვოლკოვს თავი სიზმარში ეგონა, ვერ მოითმინა, დაისხა და გადაჰკრა არაყი, სიამით გააჟრჟოლა და ერთმანეთზე გაუსვ-გამოუსვა სისხლგამშრალი ხელები, ხან კონსერვის კოლოფისკენ მიუწევდა ხელი და ხან მარმელადის ქილისკენ, გამომწვევად იხედებოდა კბილებდაკრეჭილი ქონის ნაფლეთები დაჭრილი ძეხვიდან, დიდი ხნის ნაშიმშილევი პირველად ხედავდა ამდენ სასმელ-საჭმელს.

შეაჩერა პონომარენკომ ფანქარი და გააფრთხილა:

— ბიჭო, არ გაწყინოს ბევრმა საჭმელმა, ნუ გეშინია, თან გაგატან.

— მე ჯერ არ მინახავს ბევრი ჭამით მკვდარი კაცი, შიმშილით დახოცილები კი თქვენც ბევრი გინახავთ და გაგიგონიათ.

პონომარენკოს უკვე დაემთავრებინა მოკლე წერილის წერა, რაღაცნაირ კმაყოფილებას გრძნობდა, გადასცა წერილი და უთხრა:

— ისე გადაეცი ეს წერილი ლაზარეთში უფროს ექიმს ლაზარევს, რომ არავინ დაგინახოს. თავის ტკივილის წამალს განოგატანს, შეგიძლია? კიდევ სუსტად ხარ?

— არის, ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო! გადავცე ეს წერილი ექიმ ლაზარევს და მოგიტანოთ თავის ტკივილის წამალი, — ჯარისკაცურად გაიმეორა ვოლკოვმა, ჯიბეში ჩაიდო წერილი, გაბრუნდა და ჩაილაპარაკა: „სუსტად კი არა, ისე მაგრადა ვარ, ბერლინამდე შემიძლია მივსდიო ფრიცებს".

ვოლკოვი პირდაპირ მიადგა ექიმ ლაზარევის „კაბინეტს", შევიდა ღია კარში და გადასცა წერილი.

ლაზარევმა კარი დახურა, ზურგით მიეყრდნო და თავისთვის წაიკითხა წერილი:

„ამხანაგო ლეონიდ ანდრეევიჩ!

როგორც გთხოვეთ, შენინახეთ სამი მკვდარი, ჯერჯერობით მეტი არ მჭირდება, „ღვთის მადლით" არ გაგიჭირდებათ არც სამისა და არც ათასი მკვდრის შოვნა, სულ ერთია, რა ასაკისაც არ უნდა იყვნენ მკვდრები, წამოიღეთ საჭირო წამლები, თუკი გეშოვებათ, წამოიყვანეთ დამხმარენი და მობრძანდით ჩემთან, გამოატანეთ ამ წერილის მომტანს თავის ტკივილის წამალი, თავი მისკდება ტკივილით, აბა, თქვენ იცით, გელოდებით!

პატივისცემით, თქვენი გ. ნ. პ".

დაჭმუჭნა ლაზარევმა წერილი და შეაგდო ღუმელში, აანთო ასანთი, წაუკიდა და დასწვა, ამოიღო მაგიდის უჯრიდან გერმანული ტაბლეტები, მისცა და უთხრა:

— აჰა, მიუტანე იურკას და უთხარი: ახლავე მოვიდე თუ იმ დროს, რიგორც შევთანხმდით-თქო, გერმანელი პოლიციელები ჯერ ისევ ბანაკში არიან და რა ვქნა, არ ვიცი.

— გმადლობთ, ლეონიდ ანდრეევიჩ! — თქვა ვოლკოვმა და გავიდა. ისე ფრთხილად მიაბიჯებდა, თითქოს ფეხები ეფლობოდა ტლაპოში, რადგან, ვიღაც საეჭვო პოლიციელი დაინახა დერეფანში.

„რატომ არ ვკითხე საიდან იცნობს, ან როგორ დაუახლოვდა ეს ხლოპეცი პონომარენკოს? უთუოდ სანდოა, თორემ..."

ფიქრობდა ფრთხილი ლაზარევი.

იმწამსვე გამოიძახა ფერშალი და სანიტრები, უბრძანა მოემზადებინა ფერშალს რისი შოვნაც შეიძლებოდა, შესახვევ ბანდებს რომ ვერ იშოვიდა, იცოდა, უბრალო სუფთა ჩვრები უნდა წამოეღოთ.

როცა ვოლკოვი პონომარენკოსთან შევიდა, გულხელდაკრეფილი იჯდა, ხალისიანი ღიმილით შეეგება, უთხრა დაჯექიო და როგორც კი ჩამოჯდა ვოლკოვი, ჰკითხა:

— სად ცხოვრობ? რომელ ბლოკში ცხოვრობ?

— არც ერთ ბლოკში არ ვცხოვრობ, გაჭედილია ყველა ბლოკი, თუ თავის დროზე არ მივედი საერთო დიდ დარბაზში, სადაც მომხვდება, იქ ვწვები, ახლავე გადაყლაპეთ ერთი ტაბლეტი, გტკივათ კიდევ თავი? — უთხრა საფეთქელზე ხელმიჭირებულ პონომარენკოს და მიაწოდა გაზეთის ნახევში გახვეული სამი ცალი ტაბლეტი.

გამოართვა, ჩაიდო პირში ერთი ცალი და დააყოლა წყალი, ყელში გაეჭირა, კიდევ მოსვა, ტაბლეტს არა ჰქონდა ცუდი გემო, არც მწარე ყოფილა, მა-

ინც მჟავენაჭამივით დაკრიჭა კბილები.

იდაყვით დაეყრდნო ტუმბოს და ჰკითხა:

— რა გქვია სახელი?

— იური.

— ჩემი სეხნია ყოფილხარ.

— დიახ, ვიცი.

— იცოდი ჩემი სახელი?

— ვიცოდი, თქვენ აქ ყველა გიცნობთ.

— უფროსი ლეიტენანტი რომ ვიყავი, ესეც იციან?

— ხომ ამდენი ტყვეა ამ ბანაკში, მაგრამ ყველამ ვიცით, ვინ რა იყო და ვინ რა კაცია, მეტი რა საქმე გვაქვს?

— რატომ არა გაქვთ სხვა საქმე? სხვა საქმეზე არ უნდა იფიქროთ?

— გაქცევაზე ვფიქრობთ.

— რას ამბობენ ჩემზე ტყვეები?

— იმას ამბობენ, რაცა ხართ.

— ცუდი კაციაო?

— აბა რა უნდა თქვან, მოღალატეაო.

— ნართლა აპირებდნენ ჩემს მოკვლას?

— დამისხით ერთი ჭიქა არაყი, დავლევ და გეტყვით.

დაუსხა.

გადაჰკრა, გააჟრჟოლა, შუბლი შეიჭმუხნა.

— ჩვენ შემოგზავნილ ჯაშუშებს ვხოცავთ.

— აბა, მე ვინა ვარ?

— თქვენ არა ხართ ჯაშუში.

— აბა, ვინა ვარ?

— აშკარა მოღალატე. იცოდეთ, თქვენ არავინ არ დაგზოგავთ, მაგრამ რომ მოგკლან, გერმანელები კვლევა-ძიებას დაიწყებენ და კიდეც რომ ვერ აღმოაჩინონ თქვენი მკვლელი, ვინც ხელში მოჰყვებათ, გამოიყვანენ და ჩამოახრჩობენ.

— შემოგზავნილებს რომ კლავენ?

— ისინი ჯაშუშები არიან, მათი სიკვდილი არაფრად არ მიაჩნიათ გერმანელებს, თქვენ უფრო სჭირდებით, ჯაშუშიც სჭირდებათ დროებით, ჯაშუში რა კაცია!

— მე ვჯობივარ ჯაშუშს?

— ცოტათი სჯობიხართ, იმიტომ, რომ თქვენ აშკარად მოქმედებთ.

გაეღიმა პონომარენკოს, კეთილად გაეღიმა, მას არ შეეძლო გაღიმება მზაკვრულად.

— ეჰ, ვოლკოვ, ვოლკოვ! — თქვა დაფიქრებულმა პონომარენკომ.

— დასწრებიხართ თქვენ სიკვდილმისჯილთა წამებას, ჩვენც გავიგეთ.

— კი, დავესწარი, ძალიან კი მიჭირდა.

— რატომ დაესწარით, თუკი გიჭირდათ?

— არა მქონდა უფლება ამერიდებინა თავი, მე ყოველთვის ვესწრები ხოლმე ასეთ შემთხვევებს.

— დასწრებიხართ და თქვენც დახმარებიხართ მწამებლებს.

— ტყუილია, მე ხელი არ გამინძრევია, მათ გესტაპოელები და პოლიციელები აწამებდნენ, ნე და თარჯიმანი ვიდექით, თუ დამიჯერებ, გეტყვი: რაც ხდებოდა, არ დამინახავს, თვალს ვარიდებდი.

— რომ ებრძანებინა ბრანდეს ან გესტაპოელებს, დაგვეხმარეო, როგორ მოიქცეოდით?

ტანში წამოახურა პონომარენკოს, წამოდგა, სარკმელი გააღო, გადააფურთხა და გადასძახა:

„ტფუი, ასეთ სიცოცხლეს!" — შემობრუნდა და თქვა: რომ ებრძანებინათ, დაგვეხმარეო, საჭიროების გამო, შესაძლოა, მეც დავხმარებოდი ჯალათებს, მაგრამ ყოველი ნათრახისა თუ ფოლადის წნელების დაკვრა, ისეთივე მწვავე იქნებოდა ჩემთვის, როგორც სიკვდილმისჯილთათვის.

— არ შეგეძლოთ თქვენ გეხსნათ ისინი?

—ნე კი არა, მათ, გარდა ბრანდესი, ვერავინ იხსნიდა.

— რა კარგი ბიჭი იყო ცირკის არტისტი კნიაზევი.

— ჯერ ისევ ცოცხალია, მაგრამ ვაი იმისთანა სიცოცხლეს. ერთი იმისთანა არტისტი ხომ გადარჩა თუ აწი არ ჩავარდა, აი, ის, გარმონზე რომ უკრავდა და ამღერებდა, შენ იცნობ მას, — განგებ, გამოსატეხად უთხრა პონომარენკონ.

— მე მას არ ვიცნობ, — ვოლკოვმაც განგებ მიუგო.

— მე ბევრჯერ მინახიხართ ერთად, — იცრუა პონომარენკომ.

ვოლკოვი არაყიან ბოთლს მიაცქერდა და უმისამართოდ შეიგინა დედა.

— არ გეშინია ჩემი? რომ წარგადგინო გესტაპოში?

— მაგათი დედაც...

— არ გეშინია?

— არა, სულაც არ მეშინია.

— რატომ არ მოიკალი თავი ტყვედ ჩავარდნამდე?

— არ მინდოდა სიკვდილი და ამიტომ არ მოვიკალი თავი, ორი კვირა ვიყავით ალყაში მოქცეული, ტყვიაც კი აღარ მქონდა, ცარიელი თოფი მეჭირა ხელში, მეცინებოდა გიჟივით. მერე ის ცარიელი თოფიც გადავამტვრიე და გადავაგდე, ისე ვიყავით დასუსტებული შიმშილით, გერმანელები რომ შემოვიდნენ და დაგვადგნენ თავს, ძლივს დავლასლასებდით.

— ტყვია რომ გქონოდა, მოიკლავდი თავს?

— არა, მაინც არ მოვიკლავდი. როცა აუცილებელი არ არის თავის მოკვ-

ლა, რატომ უნდა მოიკლა თავი? თავის მოკვლა სისულელეა, მე უკანასკნელი ტყვიით გერმანელი მოვკალი, ესესელი, ძალიან ზორბა კაცი იყო, ახალგაზრდა იყო ის შობელძაღლი. ჩემი ოცეულის უმცროსმა ლეიტენანტმა პეტროვმაც გერმანელი მოკლა უკანასკნელი ტყვიით, პოლკოვნიკმა მედვედევმაც გერმანელი მოკლა უკანასკნელი ტყვიით, მერე, გერმანელები რომ მოგვიახლოვდნენ, ხელყუმბარა ესროლა, ათი კაცი მოკლა და თვითონაც დაიღუპა.

— ვინ არიან გვირაბის გაყვანის მონაწილენი ჩვენს ბანაკში, შენ სომ იცნობ მათ?

— მთელი ბანაკია მონაწილე.

პონომარენკომ არაყი დაასხა ორივე ჭიქაში, ხმის ამოუღებლად გადაჰკრეს.

დასუსტებულ ვოლკოვს თავბრუ დაესხა, პური აიღო, უყნოსა, აკოცა, ფრთხილად დადო, თვალი დახუჭა და ასე იყო ერთბანს გარინდებული.

ჯანსაღ პონომარენკოს ვერ მოერია არაყი, სამაგიეროდ ბოღმა შემოაწვა, გაიარ-გამოიარა, მიუბრუნდა და მშვიდად უთხრა:

— ვოლკოვ, ჩვენ ძალიან ბევრს ვლაპარაკობთ, მე არა მაქვს ამდენი დრო, თუ გინდა, რომ არ მოკვდე შიმშილით, დამისახელე ყველანი ვინც მონაწილეობდა გვირაბის გაყვანაში, აჰა, ფანქარი და ქაღალდი, ჩამოიწერე მათი სახელები და გვარები, მათი წამქეზებელი კომუნისტებიც მიუმატე, თორემ ახლავე წაგიყვან გესტაპოში.

სწვდა ვოლკოვი არაყიან ბოთლს, დაისხა, გადაჰკრა, დაავლო ხელი გაშლილ დანას, შემართა და შესძახა:

— გამიშვით, გამიშვით, თორემ თავს მოვიკლავ, დანა იატაკზე დაჰკრა, ჩაარჭო და გავარდა გარეთ.

არ განოდევნებია.

სარკმლიდან გაიხედა, მაგრამ ვერ დაინახა.

„კარგი ბიჭია!“ — ჩაილაპარაკა და გავიდა გარეთ, ბანაკის ეზოს შემოუარა გარშემო, არ იცოდა, სად უნდა ეძებნა, შუა ეზო გადასჭრა, ლაზარეთისკენ გაემართა ექიმ ლაზარევის სანახავად. ლაზარეთის წინ იდგა ვოლკოვი გვირაბის გაყვანის მონაწილე ჭაბუკ პეტროვთან, გვერდის ავლა დააპირა, მაგრამ პეტროვი ლაზარეთში შევიდა, მიუახლოვდა ვოლკოვს და უბრძანა:

— გამომყევი!

დაწინაურდა, გაჰყვა ვოლკოვი.

შევიდნენ შინ.

პონომარენკომ კარი ჩაკეტა, დაჯდა და სარკმლის რაფაზე ცალი მხრით ჩიყრდნობილ ვოლკოვს უთხრა:

— ვინ იყო ის ხლოპეცი?

— ვინ ხლოპეცი?

— შენთან რომ იდგა.

— არ ვიცი, რა გვარია.

— მე ვიცი, ვინც არის.

—აქ ბევრ ვინმეს ვიცნობ, მაგრამ გვარი არ ვიცი, არც მჭირდება მათი გვარი.

— მე ვიცი, იგი პეტროვია.

— იყოს, მერე რა?

— აჰა, მოდი, მოვწიოთ, — უთხრა პონომარენკომ, მიაწოდა სიგარეტი და დაიწყო:

— ვოლკოვ! შენ კარგი ბიჭი ყოფილხარ, არა ხარ ღირსი ამ ბანაკში სიკვდილისა, პირობას გაძლევ, შეგიწყო ხელი, არ მოკვდე შიმშილით, უნდა დავაღწიოთ თავი ამ ჯოჯოხეთს, მერე თუ დაიღუპები, დარწმუნებული ვარ, მამაცურად დაიღუპები. რაღა უნდა გითხრა, უკვე ყველაფერი ითქვა, არ წახვიდე, არც გაგიშვებ, შენ ჩემთან უნდა დარჩე, მე მაქვს იმის უფლება დაგტოვო და იცხოვრო ჩემთან, ვისთანაც საჭირო იქნება, ვეტყვი: ხელზე მოსამსახურედ ავიყვანე-მეთქი, ნუ გეშინია, არ შეგკადრებ უკადრისს, დავეხმაროთ ერთმანეთს, მე მყავდა ერთი შენიტოლა ხლოპეცი, სიკვდილს გადავარჩინე, კარგი ბიჭი იყო, თითქმის ერთი წელიწადი ცხოვრობდა ჩემთან, გაიქცა სამუშაოზე გასული, ჩემმა ნაცნობმა უკრაინელმა ქალიშვილმა შეიფარა, მერე გაიქცა, ისიც მოსკოველი იყო, გვარად მაზურინი.

— კოლია მაზურინი?

— ჰო, კოლია მაზურინი, იმან ხომ არაფერი გითხრა ჩემზე?

— არა.

— არც გეტყოდა.

— ხშირად კი გახსენებდათ ხოლმე.

— რას ამბობდა ჩემზე, კარგი კაციაო თუ ცუდი?

— არც კარგს ამბობდა და არც ცუდს, ისე გახსენებდათ ხოლმე. ჩვენ ერთად გვინდოდა გაქცევა, მოლაპარაკებული ვიყავით სხვა ხლოპცებთანაც.

— რამ შეგიშალა ხელი?

— მე ავად გავხდი, „რივიერაში" ვიწექი, როცა გამოვედი, იგი აღარ დამხვდა, მითხრეს თავს უშველაო, გული დაწყდა.

დერეფანში ფეხის ხმა გაისმა, პონომარენკომ კარი გააღო და მიაძახა:

— მობრძანდით, მობრძანდით, ლეონიდ ანდრეევიჩ!

შემოვიდა ექიმი ლაზარევი და შემოჰყვნენ ერთი ფერშალი და სამი სანიტარი. ლაზარევს ეგონა, პონომარენკო მარტო დახვდებოდა, წერილის მომტანი ვოლკოვი რომ მასთან დახვდა, სახეზე გაოცება გამოეხატა.

— ლეონიდ ანდრეევიჩ! ეს ყმაწვილი ჩვენი კაცია, — უთხრა პონომარენკომ ლაზარევს და შეათვალიერა ფერშალი და სანიტრები.

— ესენიც ჩვენებია, — მიუგო ლაზარევმა და გადახედა მათ.

— წავიდეთ თუ ცოტა ხანს მოვიცადოთ? — ჰკითხა ექიმმა პონომარენკოს.

— წავიდეთ, წავიდეთ, მივხედოთ იმ ყოვლად უბედურებს, თუ ვინიცობაა გაიგო და გამომიძახა ბრანდემ, მე ვეტყვი, რომ არ ნენახა, დაიხოცებოდნენ-მეთქი, მე თქვენ მოგიყვანეთ მხოლოდ იმ მიზნით, რომ არ დახოცილიყვნენ და არ ჩაშლილიყო მათი ჩამოხრჩობის ცერემონიალი, რასაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ბრანდე, ლეონიდ ანდრეევიჩ, თუ რაიმე ნოხდა, თქვენც ასე ეტყვით, კიდევ რისი მეშინია, იცით? შესაძლოა კიდევ მოკვდეს რამდენიმე კაცი ჩამოხრჩობამდე, გამოიყვანს ბრანდე სხვა ტყვეებსა და ჩამოახრჩობს ნაცვლად დახოცილებისა, შეავსებს დანაკლისს, მან იცის, ორმოცდაათი კაცია ჩამოსახრჩობი, — უთხრა პონომარენკომ ლაზარევს.

„ო, ღმერთო ჩემო, რას არ მოესწრება კაცი, — აღნოხდა ლაზარევს.

ფერშალი და სანიტრები გაოგნებულნი იდგნენ.

ვოლკოვმა დედა შეიგინა და მჯიღზე იკბინა.

— შენ აქ დარჩი, ნუ მომიცდი, დაწექი, დაიძინე, — მიუბრუნდა იგი ვოლკოვს.

ვოლკოვს ხმა აღარ გაუღია.

გაემართნენ, ისე ჩავიდნენ სარდაფში, რომ არავის შეუმჩნევია.

გააღო კარი პონომარენკომ, შევიდნენ ფეხაკრეფით და დაინახეს შემაძრწუნებელი რამ. მიწაზე ეყარნენ სიკვდილმისჯილნი, დასისხლიანებულნი, ზოგი კედელს მიყრდნობოდა, ზოგი გაფორთხებულიყო, უფრო მშრალი ადგილი მოენახა, ცირკის არტისტი კნიაზევი კუთხეში მიმჯდარიყო, ფართო ფიცარზე იჯდა, ერთი ამხანაგიც მოესვა გვერდით, ექიმ ლაზარევს მიაცქერდა და უთხრა:

— ლეონიდ ანდრეევიჩ, ეს ჩემი ამხანაგი კარგად არის, აკრობატიკას ვასწავლი, უნდა გავაარტისტო. ერთმანეთს მოეხვივნენ ამხანაგები და ჩაყლაპეს ცრემლები.

— ნუ გეშინიათ, მარჯვედ იყავით! — ძლივს ამოიღო ხმა ლაზარევმა.

კრასნოვი და ბარელიც ერთად ისხდნენ.

შეშლილი ჭაბუკი ორ მკვდარს მიმატებოდა.

— ამხანაგო კომისარო, უბედურების დროსაც სამებით არის ღმერთი? — წაუჩურჩულა ბარელმა.

— მოისვენა, მას აღარაფერი აწუხებს, — ეს იყო მისი პასუხი.

ორმოცდაშვიდი თვალი შესცქეროდა მხსნელად მოვლენილ ექიმს.

სანამ არ ჩაუჩურჩულა პონომარენკომ ლაზარევს, მივხედოთ ამ უბედურებსო, მანამ არ მოსულა გონს ლაზარევი.

— ნუ გეშინიათ, ამხანაგებო! — დაიჩურჩულა ლაზარევმა და დაიკაპიწა. აღარც კი გმინავდნენ ბედთან შერიგებულნი. ლაზარევს გვერდით ამოუდგნენ ფერმალი და სანიტრები, აწოდებდნენ თბილ წყალსა და ჩვრებს, ჰბანდნენ შეხმარ სისხლს, აცხებდნენ დამსკდარ კანზე დამაამებელ მალამოს, თითქმის რიჟრაჟამდე დასტრიალებდნენ თავს.

პონომარენკო სარდაფში ჩასასვლელ კიბეზე დამჯდარიყო, გუშაგობდა.

განთიადისას სანიტრებს, ნაცვლად სამი კაცისა, ხუთი მკვდარი ჩამოატანინა ლაზარევმა სარდაფში, ორი ყველაზე მაგრადმყოფი კაცი — კრასნოვი და ბარელი კი აიყვანეს და დააწვინეს „რივიერაში".

როგორც ნაბრძანები ჰქონდა ბრანდეს, დამნაშავეებს ტანისამოსი ჩააცვეს და გაამზადეს ჩამოხრჩობის ცერემონიალისთვის. ყველას ჩაეძინა, სარდაფში გამეფებულ სიჩუმეს განაწამებთა ფშვინვა არღვევდა და ხანგამოშვებით ვირთხების ფხაკუნი გაისმოდა.

ნისლიანი დილა გათენდა, ცა თითქოს სულ აღარ არსებობდა, ერთი მთლიანი ნისლისფერი გამხდარიყო ცაცა და დედამიწაც.

გერმანელებმა იმ დილით ასი კაცი გაიყვანეს დასახვრეტი ებრაელებისა და პარტიზანების სამარის გასათხრელად.

თორმეტი საათი შესრულდა.

ბანაკის მავთულხლართებიანი ჭიშკარი გაიღო და კომენდანტი ბრანდე შემოვიდა.

პონომარენკომ სმენა გასცა.

მთელი ბანაკი სმენად იქცა.

მხოლოდ თითო-ოროლა ავადმყოფი მოლასლასებდა, მათ არაფერი გაუგონიათ, სიცხის ალმური ეკიდათ, „რივიერადან" გამოერეკათ. ისინიც გაინაბნენ და მაინც კანკალებდნენ.

გაჭიმული ნაბიჯებით გაემართა პონომარენკო და ბრანდეს მოახსენა:

— ბატონო ბანაკის კომენდანტო! როგორც თქვენ ბრძანეთ, სრულ პირველ საათზე სახრჩობელასთან იქნებიან სიკვდილით დასასჯელნი.

– Vielen Dank![1]

გადაუხადა მადლობა ბრანდემ, თვალი მიავლ-მოავლო იქაურობას და ჰკითხა:

— ისინი ვინ არიან?

— „რივიერადან" გამორეკილი ავადმყოფები გახლავთ, — მიუგო პანომარენკომ და დაუშვა ხელი.

— ვისაც შეუძლია ფეხზე დგომა, გამორეკეთ „რივიერადან", თორემ მე

---

[1] დიდად გმადლობთ! (გერმ.).

თვითონ შევალ და დამნაშავეს მათზე უწინ ჩამოვკიდებ სახრჩობელაზე, — ბრძანა ბრანდემ და გაბრუნდა, გავიდა ბანაკიდან, შტაბიდან მომავალი თავისი მოადგილე — კარლ ბრედერი და რუსი „პოლიციელი" ნოვიკოვი შეხვდნენ, შეჩერდნენ, ლაპარაკი გააბეს ფეხბურთზე.

პონომარენკომ ვოლკოვი გააფრთხილა, არ დაგავიწყდეს. ლაზარევს უთხარი, ვისაც შეუძლია ფეხზე დგომა, გამოიყვანეთ „რივიერადან", ბრანდემ ბრძანა-თქო.

გაიქცა ვოლკოვი და შეატყობინა ლაზარევს.

ლაზარევმა ჩვრებში შეხვეული რაღაც შეკვრა მისცა ვოლკოვს და უთხრა შესულიყო მკვდრების ოთახში, დაემალა საიმედო ადგილას, შიგ ბანაკში მომუშავე კომუნისტების სია და ფრონტული გაზეთები იყო გახვეული. გაზეთ „პრავდაში", 1941 წლის 3 ივლისს წარმოთქმული სტალინის სიტყვა იყო გამოქვეყნებული, ლაზარევი თვალის ჩინივით უფრთხილდებოდა ამ გაზეთს, თუ პოლიციელები „რივიერაში" შეცვივდებოდნენ ავადმყოფების გამოსარეკად, შესაძლო იყო ჩხრეკაც დაეწყოთ და აღმოეჩინათ საიდუმლო საბუთები, ასეთი ამბებისთვის ძაღლებივით იყვნენ დაგეშილი პოლიციელები.

შევარდა ვოლკოვი მკვდრების ოთახში, ჩვრებში გახვეული გაზეთებისა და სხვა საბუთების დასაწალავად, გაფითრდა ოდესღაც მამაცი ჯარისკაცი, ქამაყებივით ეყარნენ იმ ღამით დახოცილი ავადმყოფები, ყველანი დედიშობილად იყვნენ. ვეღარ მოახერხა დაემალა, დახოცილ ამხანაგებს მოკრა თვალი, იდგა გაოგნებული, გონს მოვიდა, თოკით შეკრული პაკეტი კუთხეში მიგდებულ მკვდარს ამოუდო ქვეშ. ფიქრობდა: როგორც კი დამთავრდება მათი ჩამოხრჩობა, გამოვიღებ და გადავცემ ლაზარევსო, როგორც კი ამოუდო ქვეშ, დაიკვნესა „მკვდარმა", თვალი გაახილა, მიაცქერდა ვოლკოვს და ამოილუღლუღა:

„ვოლკოვ, ბიჭო, სად დაიკარგე? შენ, აქ..."

„იგი ცოცხალ-მკვდარი გაეტანათ პალატიდან მკვდრების შემკრებ გერმანელებს, სულ ერთია, არ გადარჩებაო.

დიდხანს ფიქრის დრო აღარ იყო, გამობრუნდა ვოლკოვი, ჩვრებში შეხვეული შეკვრა კედლის ღუმელში შეაგდო, ხელი დაავლო ამხანაგს, შეიყვანა პირველსავე პალატაში, მიხედეთ ამ უბედურსო, — მიაძახა სანიტრებს და გავარდა გარეთ, სირბილით გაემართა სახრჩობელასთან მირეკილი ამხანაგებისკენ.

„გაცოცხლებული მკვდარი" მარტო დარჩენილიყო სულთმობრძავებთან ერთად, ვეღარ მოესწროთ სანიტრებს მიეხედათ მისთვის.

ბანაკის უფროსმა პოლიციელმა სმენაზე დამდგარ ტყვეებს თავისუფლად დადგომის ნება მისცა, ზეიმურად გაიარ-გამოიარა, მაჯის საათზე დაიხედა, თხუთმეტი წუთი აკლდა პირველ საათს, შედგა, სიგარეტი გააბოლა.

რკინიგზასთან ახლომდებარე ბანაკთან, გერმანიაში მიმავალმა უკრაინელი ქალიშვილებით დატვირთულმა ეშელონმა ჩაიქროლა.

უფროსმა პოლიციელმა კიდევ დაიხედა საათზე, იქვე დაკიდებულ რელსს გონგი შეუოკრა და ახედა სახრჩობელას, გაიხმაურა რელსმა, მთელს ბანაკს მოედო უბედურების მომასწავებელი ყრუ გუგუნი და გახმიანების დასასრული აფარფატდა დაჭრილი ფრინველივით.

ბან კი სმენაზე დადგა.

სარდაფის კარი გაიღო ფართოდ, პონომარენკო კართან იდგა და ითვლიდა როგორც ნაბრძანები იყო ერთმწკრივად გამოსულ სიკვდილმისჯილებს.

უფროსი ლეიტენანტი გვოზდიკოვი წინ მოდიოდა, ფრონტზედაც წინ ნიუძღოდა ოცი მეტრის წინააღმდეგ ამხედრებულ მეომრებს, სიკვდილთან შესახვედრადაც მოწინავე გახდა. გარდა ცირკის არტისტი კნიაზევისა, ფეხზე დგომა უჭირდათ, ერთმანეთს ჩასჭიდებოდნენ, ბევრ მათგანს მოწყვეტილივით ჩამოვარდნოდა დასისხლიანებული ხელები, წინა და უკან მდგარი ამხანაგები ამაგრებდნენ, ყუმბარის ბათქით დაყრუებულ ტყვეს წელზე შემოეხვია ხელები წინ მდგარი ამხანაგისთვის და თავი დაედო მის მხარზე, მუდამ მკვირცხლი და მხიარული ჭაბუკი კნიაზევი, მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში, პირველად იყო მდუმარე და ჩაფიქრებული, არავინ არ უნდოდა დაენახა, მაინც ერთგულად იჭერდა დასავარდნად მოლასლასე წინა ამხანაგს.

პონომარენკომ ორმოცდაოთხი კაცი დაითვალა, კიდევ გადაითვალა, შეხედა სარდაფში და დაათვალიერა, კუთხეში ეგდო ორმოცდამეხუთე კაცი, მომკვდარიყო, ფირფიცარი წაეფარებინათ თავზე ამხანაგებს, ცხვირ-პირი მოეჭამთ ვირთხებს: ახლა ექვსი კაცის ბედი აწვალებდა პონომარენკოს, იმ ექვსი კაცისა, დახოცილების ნაცვლად რომ მოითხოვდა ბრანდე და ჩამოახრჩობდა. საგონებელში ჩავარდა, ფიქრობდა, მოეხსენებინა თუ არა ექვსი კაცი რომ აკლდა ჩამოსახრჩობ ორმოცდაათ კაცს. „ძალად პოლიცაი" წინ წარუძღვა დასასჯელებს, სხვა პოლიციელები უკან მიჰყვებოდნენ.

მიიყვანეს და შეჩერდნენ.

ყველამ ერთად შეავლო თვალი სახრჩობელას.

ზოგიერთებს ტუჩები აუთრთოლა მწარე ღიმილმა, ზოგმა თავი ჩაჰკიდა, ბევრი მათგანი ფეხზე ვერ დგებოდა, ეცემოდნენ, მათ დიდ ბედნიერებად ნიაჩნდათ წოლა და დასვენება.

ფეხაკრეფით მოიპარებოდა ცელმომართული სიკვდილი, სიკვდილი — მხსნელი და უებარი წამალი, ჯოჯოხეთური ტანჯვისგან განმკურნავი და მაინც საზარელი სიკვდილი.

ისევ გაიღო ბანაკის ჭიშკარი და შემოვიდა კომენდანტი ბრანდე, ზიეგები მოადგილე და მოახსენა: შევასრულეთ თქვენი ბრძანებაო.

ბრანდემ მადლობა გადაუხადა გულითადი ღიმილით, შუბლი შეიჭმუხნა სახრჩობელაზე ასასვლელივით, ზოზინით გაემართა და შეჩერდა სახრჩობელას შორიახლოს.

ბანაკის ჭიშკართან ახალგაზრდა გერმანელი გუშაგი იდგა ზურგშექცეული, იგი თვალს არიდებდა სახრჩობელას.

ბანაკს ყვავ-ყორანთა გუნდმა გადაუქროლა.

ბრანდემ და მისმა თანამემამულეებმა თვალი გააყოლეს ყვავ-ყორნებს.

გუნდს ჩამოშორებული ყორნის ჩხავილი გაისმა, ჯერ ბანაკს დასტრიალებდა თავს ბედისწერის შავი ყორანივით, ერთხანს იფარფატა და გაფრინდა. სანამ თვალს არ მიეფარა, გასცქეროდნენ გერმანელები.

ბრანდემ შავი სანდალოზის ხელთათმანები გაიხადა, მარჯვენა ხელის აქნევით ანიშნა ჯალათს შესდგომოდა საქმეს.

რადიორეპროდუქტორი შტრაუსის ვალსს — „ვენის ტყის ზღაპარს" გადმოსცემდა.

ეშველა ჯალათს, შეჭმუხნილი შუბლი გახსნა, ღიმილმა გაუპო მოკუმული ბაგე, შავხელთათმნიანი თითები გაპარჭყა ყორნის ბრჭყალებივით, შავი მანტიის ბოლო მოიგდო მხარზე, ჩექმების ქუსლები დააჯახა ერთმანეთს, გაიჭიმა, ხელი აღმართა და დაიყვირა:

„ჰაილ ჰიტლერ!"

სწრაფად შეტრიალდა, ხელი ჩაავლო წინ მდგარ გვოზდიკოვს, აიყვანა სახრჩობელას კიბეზე, გადააცვა ყულფი თავზე, ხელი ჰკრა და როცა დაეკიდა მსხვერპლი, კიდევ დაიყვირა:

„ეს ერთი ფიურერისა და დიდი გერმანიის კეთილდღეობისათვის!"

ჯალათი ყოველი კაცის ჩამოკიდებისას გაიძახოდა:

„ეს ერთი ფიურერისა და დიდი გერმანიის კეთილდღეობისათვის!"

„ჰაილ ჰიტლერ! ეს ერთი, ეს მეორე ფიურერისა და დიდი გერმანიის კეთილდღეობისთვის! — ერთხმად იმეორებდნენ ჰიტლერელები.

თანდათან მძაფრდებოდა შტრაუსის ღვთაებრივი „ვენის ტყის ზღაპარი".

გუნდს ჩამოშორებული ყორანი ისევ დაფარფატებდა და ჩხაოდა.

ხმის ამოუღებლად ადიოდნენ დასასჯელნი სახრჩობელას კიბეზე და ჰყოფდნენ თავს ყულფში.

მხოლოდ ორმა კაცმა და მათ შორის ცირკის არტისტმა კნიაზევმა ვერ შეესძლეს დუმილი, კნიაზევის რიგმა რომ მოაღწია, ცირკის არენაზე გასასვლელივით გამხიარულდა, ახტა კიბეზე, ხელები გაშალა, ბრანდეს რევერანსით მიესალმა და შესძახა:

„ჩვენები მოდიან და შენც ან სახრჩობელაზე ჩამოგკიდებენო" და შეაგინა, ყულფი გადაიცვა თავზე და დაეკიდა.

არტილერიის ყრუ გუგუნი გაისმა, წითელი არმია მოიწევდა წინ.

იდგა გაფითრებული ბრანდე.

გაფითრებულიყვნენ ჰიტლერელები.

ბანაკს ყვავ-ყორანთა გუნდმა გადაუქროლა თავს და „ვენის ტყის ზღაპარიც“ დამთავრდა.

თვითმფრინავთა გუგუნი გაისმა.

ბრანდემ მრისხანედ შეიკრა შუბლი, რაღაც უნდოდა ებრძანებინა, ვეღარ შესძლო, საგანგაშო საყვირების ღმუილი ატყდა, ჩვენი ქვეყნის მზვერავი თვითმფრინავის გუგუნს დაუგდო ყური, ორი ბომბდამშენი გამოჩნდა, ბრანდემ ცას ახედა და როცა ყუმბარების გრგვინვამ საგანგაშო საყვირების ღმუილი დაჰფარა, შეკრთა სიცოცხლის ეგზომ მოყვარული ბრანდე, დაფრთხნენ გერმანელები, გაბრუნდა ბრანდე, გავიდა ბანაკიდან, უკან გაჰყვნენ მისი მოადგილე, მეცხრე ბლოკის ბლოკფიურერი შტაინერი, პოლიციელები და მერე ყველა გერმანელი გაიქცა.

გარბოდნენ თავშესაფრისკენ.

ნაშუადღევს მზემ გამოანათა, აჰყარა სქლად ჩამოწოლილი ნისლი, როგორც ჩამოხრჩობამდე იყვნენ ერთ მწკრივად, ჩამომხრჩვალნიც ისევე ეყარნენ ერთმანეთის მიყოლებით. სახრჩობელაზე ეკიდა სულ ბოლოს ჩამომხრჩვალი ცირკის არტისტი კნიაზევი. მზე თითქოს თავდადებულთა გასაცხოვნებლად გამოსულიყო ნისლიდან და ელაციცებოდა უსულო გვამთა გაფითრებულ სახეებს, მშვიდად იყურებოდნენ, სიკვდილს თან წაეღო წამებით გაბოროტებული ტანჯვა.

პონომარენკო თავის ოთახში შესულიყო და საწოლზე დამხობილიყო თავდაღმა.

ჯალათი სახრჩობელას კიბის საფეხურზე იჯდა, შინიდან მიღებული წერილი წაეკითხა, ოჯახიდან წამოღებულ ფოტოსურათებს ათვალიერებდა და უღიმოდა ახალგაზრდა კაცი ცოლ-შვილს, მრავალგზის სიკვდილმისჯილი ავაზაკი, საპატიმროდან გაეთავისუფლებია ნაცისტურ სასამართლოს, საჯარიმო ბატალიონიდან დაეღწია თავი და ჯალათობით „ინანიებდა“ ცოდვებს.

ბანაკთან ახლოს მდებარე რკინიგზაზე რახრახით მიემართებოდა გერმანიისკენ უკრაინელი ახალგაზრდებით დატვირთული ეშელონი, ეშელონი ეშელონს მისდევდა, ერთმანეთში ირეოდა მათი ტირილი, მტრისადმი მუქარით აღმომხდარი სიტყვები და შეძახილები, თავაწყვეტილი ყიჟინა.

თვალცრემლიანი დედები და მათი ახლობლები გზას ულოცავდნენ, შინ მშვიდობით დაბრუნებას უსურვებდნენ და როცა უკანასკნელი ვაგონი თვალს მიეფარა, ხელებგაწვდილი დედები მიწაზე დაემხვნენ და აქვითინდნენ, მერე პოლიციელები დაერივნენ და გაფანტეს.

ბანაკის ოთხსავე კუთხეში, სათვალთვალო კოშკურებში გერმანელი გუშაგები ისხდნენ და მოწყენილები ერთმანეთს ეხმაურებოდნენ სტვენით.

გუნდს ჩამოშორებული ყორანი მაინც არ შორდებოდა სიკვდილის ბანაკს, დაფარფატებდა და ჩხაოდა საზარლად.

ყოფილი კომისარი კრასნოვი და ბარელი „რივიერაში" იწვნენ. ექიმი ლაზარევი თავს დასტრიალებდა მათ, ფრონტიდან გამოყოლილი მედიკამენტებს შერჩენოდა, ორივენი მალე მომჯობინდნენ. ლაზარევნა პონომარენკოს ნებართვით გაანდო საიდუმლო კომისარსა და ერთბაშად შეუყვარდა მას უკრაინელი ახალგაზრდა კაცი, ვისადმიც ეგზომ ძლიერი სიძულვილით იყო გამსჭვალული.

„მადლობა ღმერთს, ვინც ყველაზე საძულველ და საშიშ კაცად მიმაჩნდა, იგი თურმე ჩვენი კაცი ყოფილა, რა მოულოდნელი იყო ეს შემთხვევა, მისი თვალ-ტანადობაც კი ნეზიზღებოდა, ახლა ჩვენ როგორ გვესაჭიროება პონომარენკოსთანა ადამიანები ამ ჯოჯოხეთში", — ყოველ შეხვედრაზე ეუბნებოდა კრასნოვი ლაზარევს.

„ქართველი ახალგაზრდა კაცის — ბარელის საქმეს მე მოვაგვარებო", — უთხრა პონომარენკომ ლაზარევს, როცა ფეხზე დადგნენ კრასნოვი და ბარელი. კრასნოვი ლაზარეთში დატოვა სანიტრად, ბარელი კი გადაიყვანა ცალკე ოთახში, სადაც ტყვეების დასაკითხავი ადგილი ჰქონდა ამორჩეული და გებულობდა, ვინ რა კაცი იყო.

იმავე საღამოთი შევიდა პონომარენკო ბარელთან, დაჯდა, სიგარეტს მოუკიდა და მერე მიესალმა:

— Здравствуйте, Грузин!

ბარელს არ ესიამოვნა პონომარენკოსთან პირისპირ შეხვედრა, ხმა არ გაუღია, თვითონვე ეუხერხულა, რომ არ უპასუხა სალამზე, გვიან დაუქნია თავი.

— მტრები ხელს ჩამოართმევდნენ ერთმანეთს და მერე შეებრძოლებოდნენ.

— დიახ, მიესალმებოდნენ, ხელსაც ჩამოართმევდნენ, — მიუგო ბარელმა და მიაცქერდა, თვალი თვალში გაუყარა და გული მოულბო უკრაინელის სანდო თვალებმა.

— სიგარეტს ხომ არ მოსწევთ? — თქვენობით, მშვიდად ჰკითხა პონომარენკომ.

ბარელმა თავი გააქნია უარის ნიშნად.

— ვიცი, რომ ეწევით, აჰა, მოსწიეთ, გერმანული სიგარეტია, ნუ გეშინიათ, არ გადაგედებათ ფაშიზმი, — უთხრა პონომარენკომ და გადაუგდო ერთი ცალი სიგარეტი. იგრძნო, ცუდად გამოუვიდა, რადგან თქვენობით ლაპარაკის დაწყება თითქოს ხუმრობად მიაჩნდა და არა ირონიად, სიგარეტის მიგდების შემდეგ კი ორმაგი ირონია გამოვიდა.

ბარელს ირონიულად გაეღიმა. არც დაუხედავს ფეხებთან დავარდნილი სიგარეტისთვის, ნახევრადზურგშექცეულმა თავი მოაბრუნა.

— მე მომიწევია გერმანული სიგარეტი, მაგრამ არ გადამდებია ფაშიზმი, როგორც ჩანს, ზოგიერთებს ადვილად ედება.

— პირდაპირ თქვით, რაც გაქვთ სათქმელი, ვის გადაედო ადვილად ფაშიზმი?

— თქვენც კარგად იცით, ვისაც გადაედო.

— დარწმუნებული ხართ? — უთხრა პონომარენკომ და დააცქერდა მის ფერხთით დაგდებულ სიგარეტს, პორტსიგარით რომ მიეწოდებინა, იქნებ არც ეს იქნებოდა ირონიას მოკლებული, მაგრამ მაინც გახსნა პორტსიგარი და მიაწოდა, იატაკზე დაგდებული კი აიღო, სული შეუბერა და დადო საფერფლეზე.

ბარელს სული მისდიოდა, — მოწევა უნდოდა.

— აიღეთ, მოსწიეთ! — უთხრა პორტსიგარით ხელგაწვდილმა, — მოსწიეთ და მერე ვილაპარაკოთ, სამტროდ არა ვარ მოსული, მინდა, კარგი რამ გირჩიოთ, ნუ დაიღუპავთ თავს ახალგაზრდა კაცი.

მათი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ.

„სამტროდ არა ვარ მოსულიო", — ამ სიტყვებმა გული აუთრთოლა ბარელს, თვალებში მაინც რისხვადქცეული სიძულვილი ჰქონდა ჩამდგარი.

პონომარენკოს თვალები კი კეთილად იღიმებოდა, კეთილად და ნაღვლიანად.

ბარელი ნატრობდა: მისი თვალები, როგორც იცქირებოდა, ისეთივე დარჩენილიყო, შეუძლებლად მიაჩნდა და მაინც ასე ფიქრობდა.

„მინდა, კარგი რამ გირჩიოთ, ნუ დაიღუპავთ თავს ახალგაზრდა კაციო", — ხომ სასიამოვნო სიტყვები იყო, არც მზაკვრულად ნათქვამად ეჩვენა, მაგრამ ბარელმა არ იცოდა, რა მიაჩნდა პონომარენკოს თავის დაღუპვად!

— ბევრი ლაპარაკის დრო არა მაქვს, არა მცალია, მეჩქარება, ბრანდე მელოდება, — უთხრა პონომარენკომ, მაგრად მოსწია სიგარეტი, საჩვენებელი თითით გასტყორცნა ნამწვი, ცხვირწინ დაუგდო.

ბარელმა ნაპირჩაბომტვრეული საფერფლე მისწია მისკენ.

პონომარენკოს ვითომ არ დაუნახავს.

დაიხარა ბარელი, აიღო ნამწვი, საფერფლეზე დადო.

— როგორც გეტყობათ, ჯერ კიდევ არ გისწავლიათ ყველაფერი გერმანელებისგან, გერმანელები ფრიად კულტურულნი და წესრიგის მოყვარულნი არიან, იატაკზე არ ჰყრიან ნამწვებს.

— თქვენ ეგრე გგონიათ?

— მე კი არა, თქვენ გგონიათ ეგრე, — უთხრა ბარელმა, დააცქერდა საფერფლეს და დასძინა: იატაკზე კი არა, გამიგონია, ფრონტზედაც არ ჰყრიან მიწაზე ნამწვებს გერმანელებიო.

გაეღიმა პონომარენკოს.

— გერმანელ გენერლებს ფრონტზე ჯარისკაცები დასდევენ უკან საფერფ-

ლეებითო, ნეტავ ჯარისკაცები როგორ იქცეოდნენ? არც ისინი ჰყრიან ნამწვებს მიწაზე?

— ცერმანელი ჯარისკაცებიც ხომ გერმანელები არიან, — თქვა ბარელმა, გამჭოლავი თვალებით მიაცქერდა და დასძინა: ბატონ ბრანდესთან მიიჩქარით? წაბრძანდით, არ დაგაგვიანდეთ, დაეხმარეთ!

მოეწონა პონომარენკოს თავმოყვარე ქართველი კაცის პასუხი, არ შეინიშნიჲ, ცდილობდა შეენარჩუნებია თავშეკავება, რამდენადაც შეეძლო, მკაცრად არ ელაპარაკებოდა, თუმცა ზოგჯერ იძულებული ხდებოდა თავი მოეჩვენებინა ყოველმხრივ უფლებამოსილად, პორტსიგარზე მიუთითა:

— მოსწიეთ!

აიღო ბარელმა სიგარეტი, დააცქერდა თავის გრძელსა და დაღლილ თითებში მოქცეულ სიგარეტს და თხოვა:

— მომიკიდეთ!

მოაკიდებინა, თვითონაც მოსწია და ჰკითხა:

— იცით თუ არა, რატომ გადაგარჩინეთ?

— არა, არ ვიცი.

პონომარენკოს მაგიდაზე ეწყო დიდი და მშვიდი ხელები, ოდნავ უხეში და მაინც მშვიდი, მარცხენა ხელი უთრთოდა დროდადრო, დაფიქრებულიყო. იქე უთრთოდა, როგორც შეიძლება შეუთრთოლდეს გული განსაცდელში ჩავარდნილ კაცს, გამარჯვებულსაც და საბედისწერო დღეში ჩავარდნილსაც.

— არ იცით, რატომ გადაგარჩინეთ? — კიდევ გაიმეორა პონომარენკომ.

— ვფიქრობ თუ არ ვფიქრობ ჩემს გადარჩენაზე, ეს სულ ერთია თქვენთვის. ამ წუთში მე მხოლოდ ერთ რამეს ვნატრობ: ადამიანმა მიაღწიოს იმ ბედნიერ დღეს, როცა თავისუფლად გამოთქვამს რასაც ფიქრობს. გეუბნებით არ ვიცი-ნეთქი და მაინც არ ვამბობ, რასაც ვფიქრობ, არც თქვენ შეგიძლიათ იყოთ გულახდილი, ამის შემდეგ, განა შესაძლოა გავუგოთ ჩვენ ერთმანეთს?

— კარგი, ეგრე იყოს, არ გაინტერესებს იცოდეთ, რატომ გადაგარჩინეთ?

— მაინტერესებს.

— ხომ იცით, თქვენი თანამონაწილენი, ყველანი ჩამოახრჩვეს.

— ვიცი, მთელმა ბანაკმა იცის, საიდუმლოდ ხომ არ ჩამოუხრჩვიათ, განა საჯაროდ არ ნოხდა ყველაფერი? ექიმმა ლაზარევმა მიხსნა, მძიმე ავადმყოფებთან დამაწვინა, თორემ მეც უნდა მეყურებინა მათი ჩამოხრჩობისთვის.

— მე ვთხოვე ლაზარევს, არ გამოეყვანეთ თქვენ და კრასნოვი.

— თქვენ სთხოვეთ?

— დიახ, მე ვთხოვე.

— ჩამოხრჩობასაც თქვენ გადაგვარჩინეთ?

— აბა რატომ გაგცვალეთ მკვდრებში, არ დაფიქრებულხართ?

— იმ დღეს ჩემს ჭკუაზე აღარ ვიყავი, როცა გონს ნოვედი, მიკვირდა, მე

მეგონა მე და კრასნოვს ცალკე, ერთად გვიპირებდით დასჯას, თუ ასე არ არის, რა საჭირო იყო ჩვენი გათავისუფლება?

— მე მჭირდებით თქვენ და კრასნოვი.

— გჭირდებით იმისთვის, რომ ისევ გაგრძელდეს ჩვენი წამება და მაინც არ აგვშორდეს სახრჩობელა? ასეთი ამბები ხომ გერმანელების მოგონილია!

— ნე როდი ვიცი, ვისი მოგონილია, თქვენ ნუთუ არა ხართ კმაყოფილი?

— კმაყოფილი? რატომ უნდა ვიყო კმაყოფილი?

— ცოცხალი რომ ხართ.

— სიცოცხლეც არის და სიცოცხლეც, სიცოცხლე ყოველთვის არ ნიშნავს ბედნიერებას.

— მაინც ნიშნავს, სიცოცხლე თავისთავად, ბედნიერება თუ არა, კმაყოფილება მაინც უნდა იყოს; სიკვდილს ყოველთვის მოესწრება კაცი, სიცოცხლე კი არ განმეორდება. ზედმეტს რატომ მალაპარაკებთ, თუ გინდათ იცოცხლოთ, უნდა დაასახელოთ თანამონაწილენი იმ საქმისა, რისთვისაც დაისაჯნენ თქვენი ამხანაგები.

— გვირაბის გამყვანები უკვე დაისაჯნენ.

— ისინი ჩენს თვალწინ ჩამოახრჩვეს, ვცდილობდი არ შემეხედა და მაინც ვხედავდი.

— შეგებრალნენ?

პონომარენკოს პასუხი არ გაუცია, შუბლი მოისრისა თითებით და უთხრა:

— ხომ იცნობთ ბანაკში დარჩენილებს?

—ამ საქმისთვის გადამარჩინეთ?

— დიახ, ამ საქმისთვის.

— მე არ მინდა ამისთანა გადარჩენა და სიცოცხლე, ასეთი სიცოცხლე სიკვდილზე უარესია, — თვალმოუშორებლად შესძახა, სწვდა პონომარენკოს პორტსიგარს, ამოიღო სიგარეტი, მოუკიდა მისივე სანთებელათი, მოსწია, სარკეელთან მივიდა, არაფერი დაუნახავს, იმწამსვე შემოტრიალდა, იტანჯებოდა და შვენოდა ტანჯვა ბარელს.

გაახარა პონომარენკო ბარელის გაბედულმა პასუხმა, თან შეაკრთო, არაფერი წამომცდეს, ჯერ კიდევ ადრეა, არაა საჭიროო, — გაიფიქრა და უთხრა:

— ჩვენ, მე და თქვენ, ერთად უნდა ვიყოთ და ვიმოქმედოთ.

— ჩვენ ერთად ვართ, ერთ ბანაკში, თქვენ გერმანელებს ემსახურებით, მე კი არ შემიძლია ვემსახურო მათ.

— რომ გაიძულონ?

— რა გასამართლებელი საბუთია, მაგრამ თქვენ გაიძულეს?

— მაიძულეს თუ არა, ამას არა აქვს თქვენთვის მნიშვნელობა.

— ყველაფერი შეიძლება გაკეთდეს იძულებით, გარდა სიყვარულისა და იძულებითი სამსახურისა, რა არის ისეთი სამსახური, როცა მსახური ცდილობს

დრო იხელთოს და მახვილი ჩასცეს თავის ბატონს, ან საწამლავი ჩაუწვეთოს სასმელში, ასეთ სანსახურს თუ მთავაზობთ გერმანელებთან, თანახმა ვარ, ერთი ჭკუის გავხდეთ და ერთად ვიმოქმედოთ, თორემ ხომ იცით, ძალით მიტევებული მწევარი კურდღელს ვერ დაიჭერს.

პონომარენკომ საათზე დაიხედა.

— კიდევ ათი წუთი, აჰა, თხუთმეტი იყოს, მოიფიქრეთ, ცოტა დროს ხომ არ გაძლევთ? თხუთმეტ წუთში მთელი სახელმწიფოს ბედი გადაწყდება.

— კარგი დიპლომატისთვის ხუთი წუთიც კნარა, მე რადგან დიპლომატია არ მიყვარს და არც არაფერი მწამს დიპლომატიისა, ყოველთვის ერთნაირი იქნება ჩემი პასუხი.

— ნუ მაიძულებთ დავუძახო გესტაპოს, ან წაგიყვანოთ იქ, ისინი მუდამ მზად არიან, მარწუხებითა და კასკეტებით ყველაფერს გათქმევინებენ.

— ამისთვის გადამარჩინეთ? ჯერ კიდევ არ მომშუშებია იარები, სიცოცხლე ბედნიერებაა, არ ვიცი, ვინ ისურვებდა ასეთ სიცოცხლეს, იქნებ თქვენ, ბატონო პოლიციელო! — შესძახა ბარელმა და აიწია გიმნასტურის კალთა, გაბოაჩინა რეზინის მათრახებისა და ფოლადის წნელების ნაკვალევი, ჩაუშვა კალთა, წამოდგა და შეჰყვირა: რას დგახართ, დროს რისთვის ჰკარგავთ, ჩქარა მოხდეს, რაც მოსახდენია, უფრო დიდი არამზადა ყოფილხართ, ვიდრე მეგონეთ, ჩქარა, დაუძახეთ გესტაპოელებს და გათავდეს ყველაფერი.

პონომარენკოს ცეცხლივით შემოეგზნო ჟრუანტელი, ადგა, რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა, შედგა და ჰკითხა:

— კომუნისტი ხართ?

— პარტიის წევრი არა ვარ, — მიუგო ბარელმა და დაჯდა.

— აღიარეთ, ნუ გეშინიათ, არ გაგცემთ.

— მე დიდი ხნის გაცემული ვარ.

— გაცემული, მაგრამ გადარჩენილი.

— ასეთ გადარჩენას გადარჩენა არ ეწოდება.

— გეშინიათ?

— მეშინია? რისი?

— წამების, — თქვა პონომარენკომ და დაფიქრდა: „რა უსინდისოდ ვიქცევი, მაგრამ რა ვქნა?."

— ისე მეკითხებით, თითქოს არ გამომეცადოს და არც თქვენი თვალით გენახოთ, წამებისა და სიკვდილის ყველას ეშინია, გარდა გიჟისა, განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ საქვეყნო საქმისთვის წამება ანელებს ტანჯვასა და ტკივილების შეგრძნებას, სიკვდილს აადვილებს, არავის არ შეუძლია გაგება იმისა თუ რა განიცადეს ჩემმა ამხანაგებმა წამებისა და სახრჩობელაზე დაკიდების დროს, მაინც დარწმუნებული ვარ: ჩემი ამხანაგების აღგზნება და შეგნება მოვალეო-

ბისა, მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც შეანელებდა მათს სულიერსა და ფიზიკულ ტკივილებს, თუნდაც მეტ ხანს გაგრძელებულიყო ბრძოლა სიკვდილთან.

— რა დიდებული რევოლუციონერი იქნებოდით, თავის დროზე რომ დაბადებულიყავით, საქვეყნო საქმისთვის წამება ანელებს ტანჯვასა და ტკივილების შეგრძნებასო, სიკვდილს აადვილებსო, — ეგრე ფანატიკოსი მორწმუნენი და რევოლუციონერები ფიქრობდნენ და იქცეოდნენ კიდეც, რა გამოუვიდათ? რა გაკეთეს ამით?

— ის განოუვიდით, რომ მორწმუნეებმა სულიერი სიმშვიდე მოიპოვეს და რევოლუციონერებმა კი ძველი ქვეყნის წესწყობილება დაანგრიეს.

— ვინ შთაგაგონათ თქვენ მაგნაირი უკუღმართი აზრები?

— პირველად მამაჩემმა.

— მამათქვენი რევოლუციონერი იყო?

— არა, ერთი უსწავლელი გლეხი იყო მამაჩემი, კოლმეურნეობას მიემხრო და კულაკებმა მოკლეს.

— ვერ მოქცეულა ჭკვიანურად, რატომ შეაკლა თავი კოლმეურნეობას?

— იმიტომ, რომ კულაკები აღარ არსებულიყვნენ და მამაჩემისთანა მშრომელებს უბატონებოდ ემუშავათ კოლმეურნეობაში.

— განა არ იცით, რომ გერმანელები კოლმეურნეობის დასაშლელად შემოვიდნენ?

— ვიცი, რისთვისაც შემოვიდნენ, „მესამე იმპერიას" დაშლის მათივე წამოწყებული ომი.

— თქვენ კომუნისტი ხართ და ფარავთ, გეშინიათ.

— მე კომკავშირელი ვარ, ომის დაწყებამდე შევდიოდი პარტიაში, ვეღარ მოვასწარი გავმხდარიყავი პარტიის წევრი.

— რატომ ვერ მოასწარით? რამ შეგიშალათ ხელი?

— ომი დაიწყო და ფრონტზე წავედი, ვეღარც ფრონტზე მოვასწარი, ტყვედ ჩავვარდი.

— როდის ჩავარდით?

— 1942 წლის 17 ივლისს, მთელი ჩვენი ლეგიონი მოხვდა ალყაში.

— სად ჩავარდით?

— მილეროვოსთან, ხარკოვის ახლოს.

— მე და თქვენ ერთად ჩავვარდნილვართ, მეც 42 წლის ივლისში ჩავვარდი მილეროვოსთან, — უთხრა პონომარენკომ და ხელი გაუწოდა ჩამოსართმევად.

იდაყვით მაგიდაზე დაყრდნობილი ბარელი არც განძრეულა.

პონომარენკოს გაშვერილი დარჩა გაწბილებული ხელი.

„ღმერთო ჩემო, რა კარგი ბიჭია, უნდა მივენდო, აღარ შეიძლება ამ საქმის გადადება!“ — გაიფიქრა პონომარენკომ.

— რომელი ქალაქიდანა ხართ?

— თბილისიდან.

— მე ორჯერ ვყოფილვარ თბილისში, დიდებული ქალაქია, ერთი თბილისელი ქალიშვილი გავიცანი მოსკოვში, ძალიან მოგვეწონა ერთმანეთი, მაგრამ როდი კმაროდა მხოლოდ მოწონება, მეტსაც ვფიქრობდით ორივენი, ნისი გულისთვის ორჯერ ვინახულე თქვენი დედაქალაქი, და-ძმანი იყვნენ, მის ძმას, თქვენი სახელი „კახა“ ერქვა, მე არ გამიცვნია იგი, მხოლოდ ერთხელ დავინახე შორიდან.

— დამთავრდება ომი და რა ვიცი, რა გითხრათ, ვინ იცის, როგორ წარიმართება ცხოვრება, რა მოხდება, ომმა ბევრს აუბნია გზა-კვალი, ბევრის სიცოცხლე შეიწირა, ადამიანი თვითონაც არის წარმმართველი თავისი ცხოვრებისა.

მიხვდა პონომარენკო რისი თქმაც სურდა ბარელს უკანასკნელი სიტყვებით, გული აუჩქროლდა, თვალწინ დაუდგა ჭაბუკს საყვარელი ქალიშვილი, მისი ლამაზი თვალები და რაც ყველაფერზე მეტად მოსწონდა, მერცხლის ფრთებივით გადაწოლილი წარბები. მზად იყო ყველაფერი ეთქვა ბარელისთვის, თავს იკავებდა, ჯერ კიდევ არ თვლიდა საჭიროდ ჩამოეხსნა ნიღაბი, თუმცა იგი უკვე მიენდო მას.

ბარელს კი ეგონა, რომ პონომარენკო განოსატეხად იყო მისული და არ მოელოდა მისგან ასეთ გულახდილ საუბარს.

ცოტა ხანს ლაპარაკი შეწყვიტეს, დუმდნენ, თითო ცალი სიგარეტი მოსწიეს.

პონომარენკომ ჰკითხა:

— რა ხელობისა ხართ?

— არქიტექტორი.

— მე ინჟინერი ვარ, მოსკოვში დავამთავრე მექანიკური ფაკულტეტი.

— ჩემი პროექტითაა აშენებული ერთი სახლი თბილისში, ქალაქის ცენტრში.

— კარგი სახლი ააშენეთ?

— რა ვიცი, კარგი სახლიაო, — ასე ამბობენ.

— თქვენ მოგწონთ?

— რა გითხრათ... ნომწონს.

— თვითმკვლელობა არ ვარგა, თუმცა არც ის ვარგა, კაცს რომ არ მოსწონს თავისი ნამუშევარი, ავტორს თუ თავისი ნამუშევარი არ მოსწონს, არც სხვას მოეწონება.

— მეც მაგ აზრისა ვარ, კარგი სახლიაო, — ასე ამბობდნენ, გაზეთებიც

აქებდნენ ჩემი პროექტით აშენებულ სახლს, როცა ნამუშევარს მოგიწონებენ, შენც კარგად მიგაჩნია და გჯერა კიდეც.

— მალე შევლენ გერმანელები საქართველოში და დაანგრევენ თქვენს აშენებულ სახლს.

— რატომ უნდა დაანგრიონ? დასჭირდებათ, შევიდნენ და იცხოვრონ ჩემს აშენებულ სახლში, გერმანელები ახლა უკან იხევენ და არა მგონია, მათ კიდევ შეძლონ წინ წაწევა.

— დარწმუნებული ხართ? ვეღარ წაიწევენ წინ გერმანელები?

— დარწმუნებული გახლავართ, ომის ბედი მოსკოვმა გადაწყვიტა, მოსკოვიდან განდევნილები ვეღარ იხილავენ მოსკოვს.

— ამხანაგო ბარელო! გთხოვთ, ნენდეთ და გეტყვით ყველაფერს, დღეს არ მინდოდა გამემხილა, დრო არ იცდის, აღარ ვთვლი საჭიროდ გადავდო, — უთხრა პონომარენკომ და ჩააცქერდა თვალებში.

დიდი ხანი იყო გასული მას შემდეგ, რაც არ გაეგონა ბარელს იმდაგვარად ნათქვამი „ამხანაგო", საოცრად ესიამოვნა, რაღაც უნდოდა ეთქვა, თავი შეიკავა.

პონომარენკომ ისე ინტიმურად წარმოსთქვა „ამხანაგო", რომ ბარელს გული აუჩქროლდა სიხარულით, ისე გაუხარდა, როგორც უმნიშვნელო ნივთის მძებნელს გაახარებს მოულოდნელი პოვნა ოქროს ზოდისა. ისე კეთილად იღიმებოდა უკრაინელი, რომ საკმაო იყო, მარტო იმ ღიმილისთვის მინდობოდა მას ბარელი.

პონომარენკოს ერთხელ კიდევ აუთრთოლა მსუქანი ტუჩები ისეთივე ღიმილმა და გაჰქრა, კაეშანი მოეფინა სახეზე. სევდა ჩაუდგა თვალებში, რცხვენოდა, ცამდე მართალი იყო და მაინც რცხვენოდა.

თანდათან ღვივდებოდა ბარელის გულში იმედი ნდობისა, მაინც უთხრა:

— ნუ მიწოდებთ ამხანაგს, ჯაშუშები გაიგონებენ და დაგაბეზღებენ.

— იმათი დედაც... — წამოიძახა პონომარენკომ და სარკმელს მიადგა, გადაიხედა.

ბარელს თან სძულდა და თან უყვარდა პონომარენკო, თუ შეუძლებელი იყო მისი შეყვარება, სინპათიით მაინც იმსჭვალებოდა მისადმი, ვიღაც დიდი ფილოსოფოსის წიგნში წაეკითხა: უნდა შეგეძლოს, თან გიყვარდეს და თან გძულდეს ასე თუ ისე ადამიანი. არ ეთანხმებოდა ახალგაზრდა კაცი ბრძენი ფილოსოფოსის ამ პარადოქსს, ოღონდ ეს კი იყო: საინტერესო ნააზრევად მიაჩნდა.

— რაღაც მომაგონდა: — დაიწყო სარკმლის რაფაზე იდაყვით დაყრდნობილმა პონომარენკომ, — ერთხელ თქვენს ბლოკში შემოვედი, პოლიციელ ნოვიკოვს ვეძებდი, მითხრეს: მეცხრე ბლოკში სხედან პოლიციელები, ბანქოს თამაშობენო, თქვენ და კიდევ რამდენიმე კაცი არ იყავით თქვენს ბლოკში, სანჯერ

დაგზვერეთ, გამთენიას ამოხვედით გვირაბიდან და მთელი ღამის მუშაობით დაღლილნი, ვაგონების გადმოსატვირთავად გაგრეკეს პოლიციელებმა.

ბარელს სიცილ-ტირილი აუტყდა, წამოხტა და გალიაში დამწყვდეული ნადირივით ოთახს შემოუარა გარშემო, მერე დაჯდა, ორივე ხელი შემოიდო თავზე, ათასი ფიქრი ირეოდა მის თავში და არ იცოდა, რა ეთქვა.

— დღეს არ მინდოდა განემხილა ჩემი საიდუმლო, მგონი აღარაა საჭირო ამ საქმის გადადება, მე სწორედ შენისთანა კაცი მჭირდება, რომ რაიმე მოხდეს, მარტო მე და თქვენ კი არა, ბევრი ჩვენი ამხანაგი დაიღუპება, მე არა მაქვს უფლება ჩავშალო მეტად მნიშვნელოვანი საერთო საქმე, დავღუპო ისედაც ტანჯული ადამიანები, ვიხდი ნიღაბს, ახლა შენთან ვიხდი, ან ბანაკში ჩემი ამბავი იცის მხოლოდ სამმა კაცმა: ექიმმა ლაზარევმა, პოლიციელმა ნოვიკოვმა, მესამეს სხვა დროს გაგაცნობ, მეოთხე შენ იქნები.

—ნოვიკოვმა? პოლიციელმა ნოვიკოვმა? — ჩაიჩურჩულა ბარელმა და განცვიფრებული თვალით მიაქცერდა პონომარენკოს.

— აბა, ნოვიკოვმა.

— ისიც ჩვენი კაცია?

— საგიკვირდა?

— ბან ხომ ორი რუსი ტყვე დააბეზღა და დაახვრეტინა.

— ისინი ორივენი ჯაშუშები იყვნენ, გადარჩენილ ებრაელებსა და კომისრებს აბეზღებდნენ და ხვრეტდნენ გერმანელები, ომამდე ორივენი საპატიმროში ისხდნენ, როგორც მკვლელები. ნოვიკოვმა კი ისინი წარადგინა გესტაპოში, როგორც ბანაკის ამამხედრებლები და საბოტაჟის მოთავენი. ვის უფრო დაუჯერებდნენ გესტაპოში? ნოვიკოვი ბანაკის კომენდანტის — ბრანდეს ფავორიტია, კრასნოვმა უკვე ყველაფერი იცის, მესამე დღეა, რაც ვუამბე. იცი, ვინ არის? საბჭოთა კავშირის გმირის წოდებაზე ყოფილა წარდგენილი ფრონტზე, ოფიციალურად კი არ მიუღია, ტყვედ ჩავარდნილა მისი ლეგიონი.

— ვიცი, ვინც არის.

— ისიც იცოდი, საბჭოთა კავშირის გმირი რომ იყო?

— არა, ეგ არ ვიცოდი.

— ძალიან ფრთხილი და ჭკვიანი კაცია კრასნოვი.

— მე და კრასნოვი მეგობრები ვართ, მაგრამ არც კარგი მეგობრები ეუბნებიან ერთმანეთს ყველაფერს. რაც აუცილებელი არ არის, რა საჭიროა იცოდეს შეგობარმა. არის ბევრი რამ ისეთი საიდუმლო, რაც მხოლოდ შენ უნდა იცოდე.

— მართალია.

— არ შეგეძლოთ გეხსნათ ყველანი? გადაგერჩინათ ის 50 კაცი?

— არა, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა, ისინი იმდენად იყვნენ დაუძლურებულნი, დიდი სამედიცინო მოვლით თუ გადარჩებოდნენ, ვის შეეძლო ბანაკის პირობებში ეზრუნა მათთვის, კიდეც რომ შესაძლო ყოფილიყო მათი

გადარჩენა, არავითარ სარგებლობას არ მოიტანდა, ისინი იმიტომ დაიღუპნენ, სხვები არ გამომჟღავნებულიყვნენ, მათზე უფრო ბევრნი, სანარადისო დიდება მათს ხსოვნას!

— სამარადისო დიდება მათს ხსოვნას.

გაიმეორა ბარელმა და წამოდგა.

წამოდგა პონომარენკოც და წამიერი დუმილით პატივი სცეს მათს ხსოვნას.

— კიდევ კარგი და მადლობა ღმერთს, რომ ბრანდეს არ დაუმატა ექვსი კაცი, რადგან ორმოცდაათი კაცი იყო ჩამოსახრჩობი, არ დაუთვლია, ფეხბურთზე საუბარში იყო გართული, არც ჩამოხრჩობის დროს მოაგონდა და გადარჩა ექვსი ბედნიერი კაცი, ვინ იცის, ვინ მოჰყვებოდა ხელში, ფეხბურთზე უნდა ილოცოს იმ ექვსმა კაცმა, თუმც მათ რა იციან, რომ გადარჩნენ!

— მე და კრასნოვი?

— შენ და კრასნოვი რომ იმ თქვენი ამხანაგებივით ყოფილიყავით დასუსტებული, არავითარი აზრი არ ექნებოდა თქვენს გადარჩენას, მაინც დაიღუპებოდით, ორივენი მაგრად იყავით თავიდანვე, გამძლენიც გამოდექით, ასეც რომ არ ყოფილიყო, თქვენ უფრო მჭირდებოდით საერთო საქმისთვის.

— ჩვენ ალბათ არ მოგვხვედრია იმდენი, რამდენიც საჭირო იყო, — გაიხუმრა ბარელმა.

გაიღიმა პონომარენკომ და განაგრძო:

— ცირკის არტისტისა და გვოზდიკოვის გადარჩენაც შეიძლებოდა, რომ არ ავჩქარებულიყავით მე და ექიმი ლაზარევი. მარტო აჩქარებასაც ვერ დავაბრალებთ ყველაფერს, რაც მოხდა, სინართლე უნდა ითქვას: ბოლოს და ბოლოს შემეძლო ორმოცდაათივე კაცი შემეცვალა მკვდრებით, ხომ არ გამიჭირდებოდა მკვდრების შოვნა, მოვახსენებდი: დაიხოცნენ-მეთქი დამნაშავენი. გამოიყვანდა ბრანდე ორმოცდაათ კაცს რომელიმე ბლოკიდან და ჩამოახრჩობდა.

— ო, ღმერთო ჩემო! რას არ გაიგონებს კაცი! — წამოიძახა შეშფოთებულმა ბარელმა, წამოდგა, გაიარ-გამოიარა და დაჯდა ისევ იმავე ადგილზე.

— კარი რომ გავუღე სიკვდილმისჯილებს და ვუბრძანე, ერთმწკრივად გამოდით-მეთქი, დავითვალე, ერთი კაცი აკლდა, შევბრუნდი სარდაფში და დავითვალიერე, კუთხეში იყო მიგდებული, ვირთხები ესივნენ და ხრავდნენ, ყველაფერზე მძიმე იცი, რა იყო ჩემთვის? სიძულვილით მზირალი მათი თვალები. როცა მართალი კაცი ხარ, ერთის მძულვარე თვალსაც ვერ გაუძლებ, ნე კი ორმოცდაოთხი თვალი მიცქერდა სიძულვილით.

— თუ გახსოვს, ვინ იყო ის ერთი კაცი?

— დათეშიძე! — წამოიძახა ბარელმა, — იგი გესტაპოს ჰყავდა დამწყვდეული კარცერში, სამუშაოზე გასულებმა თავლას ცეცხლი წაუკიდეს და დასწ-

ეს ცხენებთან ერთად, არ გასცა დათო დათეშიძემ ამხანაგები, ვერ გასტეხეს იები ესტაპოში.

— საწყალი, რა კარგი ბიჭი იყო. თუ გახსოვს შენ ყირიმელი პლოტ-ნიკოვი?

— როგორ არ მახსოვს.

— პლოტნიკოვმა მიამბო: ხუთი მზვერავი დავესხით თავს გერმანელთა ტაბსო, დიდი წინააღმდეგობა გაგვიწიეს, მხოლოდ ერთი კაცი გადარჩა ცოცალი, მოენედ წამოვიყვანეთ, ფრიად საიდუმლო დოკუმენტები ვიგდეთ ხელთ, ეორე დღეს შევუტიეთ გერმანელებსო, როცა ბანაკში თვალყურს გადევნებდით, ლოტნიკოვის უახლოესმა ამხანაგმა მითხრა: ბარელი პლოტნიკოვის გულითადი ეგობარიაო, პლოტნიკოვი აღარ იმყოფებოდა ბანაკში, ერთი თვის გაქცეული ყო.

ნაღვლიან თვალებში სიხარულის სხივი გაუკრთა ბარელს და წამოიძახა:

— ალექსეი პლოტნიკოვი? მაგ ამბავს მე უფრო დაწვრილებით გეტყვი სხვა ეროს, ამ საქმის მონაწილენი ხუთნი კი არა, სამნი ვიყავით: ალექსეი პლოტნი-ოვი, ვალერი კოლესნიკოვი და მე — კახა ბარელი.

პონომარენკომ ხელი მოხვია ბარელს, შეანჯღრია და უთხრა:

— მე არ შევმცდარვარ და ტყუილად არ დამიხსნია შენისთანა მარჯვე ლოპეცი, — სკამი გადადგა, ცოტა მოშორებით დაჯდა და განაგრძო: თქვენ სამ-ნი ყოფილხართ, მე კი პლოტნიკოვისგან დანამდვილებით მახსოვს, ხუთი კაცი ვიყავითო.

— ალბათ იმიტომ მოუმატა ორი კაცი, უფრო დამიჯერებენო, მონადირე ხომ არ იყო, გადაეჭარბებინა, სიცრუე ეთქვა, გმირი არაფერს არ უმატებს, როცა ჰყვება რაიმე ამბავს, როცა იგონებს იგი თავის თავგადასავალს.

გერმანული გაზეთი „ფოლკიშერ მეობახტერი“ აიღო პონომარენკომ, პირველ გვერდზე დაბეჭდილი ჰიტლერის სურათი დაანახვა, მამაკაცურად შეუკურთხა და გაეხუმრა:

— აი, შენი ძმაკაცი, თუ გინახავს სადმე ანისი სიფათი?

— შემოსვლისთანავე რომ გეჩვენებინა და ეგრე გეთქვა, მე გიპასუხებდი: ჩემი ძმაკაცი კი არა, თქვენი ძმაკაცია-მეთქი, — ღიმილით მიუგო ბარელმა.

გაეცინა პონომარენკოს და წინ დაუდო გაზეთი.

— აბა, შენ იცი, რითი გაუმასპინძლდები.

— ხახვსა და ნიორს ვერ შევკადრებ, ხორცს არა სჭამს, ვეგეტერიანელია ჰიტლერი, მიირთვას ხმელი პური.

— ჰმ, საოცარია, ხორცს არა სჭამს ჰიტლერი, ხომ გაგიგონია: ხორცის არამჭამელი ადამიანი კეთილიაო, ხორცეულის მოყვარული — სასტიკი და ულ-მობელიო. ამაზე დიდი პარადოქსი არ გამიგონია.

— მართლაც დიდი პარადოქსია, — თქვა ბარელმა, დააკვირდა ჰიტლე-

რის სურათს და დასძინა: ახლა ვერაფრით ვერ გავუმასპინძლდები, ჩვენ ერთად უნდა შევუტიოთ ამ კაციჭამიას.

— რაო, კაციჭამიაო? არ გეშინია ჩემი, ეგრე რომ მელაპარაკები? როგორ ბედავ?

— არ მეშინია.

— ასე ადვილად გამიცანი?

— ძნელი გასაცნობი ვერაგი კაცია, პატიოსანი გული ადვილად მისანდობია.

ჩააცქერდნენ ერთმანეთს თვალებში, ნაღვლიანად გაიღიმეს და ხელები გაუწოდეს, მერე პონომარენკომ ხელები მოხვია, მაგრად მიიკრა მკერდზე. ამ მოულოდნელობით აღგზნებული ბარელი ხმას ვეღარ იღებდა.

ვიღაცამ დააკაკუნა კარზე, შემოაღო, შემოვიდა ვოლკოვი და პონომარენკოს ჩაუჩურჩულა:

— ბანაკის მორიგე პოლიციელი შადლერი გეძებს.

— წადი, უთხარი, ახლავე მოვალ-თქო.

გაბრუნდა ვოლკოვი და გაიქცა.

— რა მოხდა? — შეშფოთებით ჰკითხა ბარელმა.

— მშვიდად იყავი, ვიცი, რისთვისაც მეძებს, შენ სულაც არ შეგეხება, ვნახავ და ახლავე დავბრუნდები, — უთხრა პონომარენკომ, ხელი დაჰკრა მხარზე. გაბრუნდა და გაიქცა, ეზოში რომ გავიდა, დინჯად გაემართა.

მარტო დარჩენილ ბარელს სევდა შემოაწვა გულზე, დასაკითხავად მისულ პონომარენკოსთან თითქოს უფრო მშვიდად იყო. კედლის თაროზე შემოდგმულ ბოთლს მოჰკრა თვალი, რაღაც ესხა შიგ ნახევრამდე, გადმოიღო ბოთლი და უყნოსა, ხელიდან წასული ლოთივით ესიამოვნა არაყის სუნი, დაისხა და ზედიზედ გადაჰკრა ორი ჭიქა, ხასიათზე მოვიდა, მაინც მოუსვენრად დაწრიალებდა, ხან სარკმელს მიადგებოდა და გადაიხედავდა, ხან ოთახს უვლიდა გარშემო დამწყვდეული ნადირივით.

იმ დღიდან ყოველთვის ფარულად ხვდებოდნენ ერთმანეთს პონომარენკო და ბარელი.

ცოცხლები სამარეში

გერმანელები უკან იხევდნენ, ტანკსაწინააღმდეგო თხრილებს ჭრიდნენ სოფლის მისადგომებთან. ამ საქმისთვის ორიათასი შრომისუნარიანი სამხედრო ტყვე იყო საჭირო.

ბანაკის კომენდანტმა ბრანდემ პონომარენკოს უბრძანა შეერჩია ჯანსაღი მუშახელი, შეარჩია და ამ ორიათას კაცში სხვა გასაქცევებთან ერთად შეურია კრასნოვი, ბარელი და ვოლკოვი.

შეუდგა ორიათასი კაცი საქმეს.

გაძნელდა გაქცევა, რადგან, სადაც ტანკსაწინააღმდეგო თხრილები იჭრებოდა, თვალუწვდენი ველი გადაშლილიყო, ათი კილომეტრის დაშორებით, სოფელი იწყებოდა ტყის ახლოს, სამუშაოზე გასულ ორიათას კაცს თავით ფეხამდე შეიარაღებულ ესესელთა ასეული ადევნებდა თვალ-ყურს.

— ძალიან ცუდ ადგილას მოვხვდით, — წაულაპარაკა სამუშაოს დაწყების პირველსავე დღეს კომისარმა კრასნოვმა ამხანაგებს.

— არა უშავს რა, ამხანაგო კომისარო, სადაცა ვართ, აქედან უნდა დავაღწიოთ თავი ამ ჯოჯოხეთს, — ჩაილაპარაკა ბარელმა და თვალი მოავლო შემოგარენს.

თუკი მოახერხებდნენ, იმ დღეს გასაქცევნი ერთად იყვნენ თავმოყრილნი.

სამუშაოს თავის დროზე დამთავრება დავალებული ჰქონდა ასეულის უფროსს — ჰერმან იანკეს, იანკემ თავის მოადგილედ პონომარენკო დანიშნა, მასაც ეს უნდოდა და აღუთქვა: დანიშნული დროისთვის შევასრულებ თქვენს ბრძანებასო.

პონომარენკომ კარგად იცოდა, დამთავრდებოდა თუ არა თხრილების ჭრა, თანდათან დაცარიელდებოდა სამხედრო ტყვეთა ბანაკი, გერმანიაში უნდა გაეგზავნათ, თვითონ კი მანამდე უნდა გაქცეულიყო. საგონებელში ჩავარდნენ გაქცევისთვის შეთანხმებულნი და პონომარენკო, სხვა გზა რომ ვეღარ გამონახეს, ბარელის ინიციატივით, თავიანთი ხელით გაჭრილ თხრილში უნდა დამალულიყვნენ. მოუწონა კრასნოვმა აზრი ბარელსა და უთხრა: ათასი რამ მოვიფიქრეთ, არც ერთი არ დამიჯდა ჭკუაში, ჩემი აზრით, კარგად მოგიფიქრებია, თანახმა ვარ, ოღონდ ამხანაგებსაც ვკითხოთო.

აღარ შეიძლებოდა კრასნოვისა და ბარელის დარჩენა ბანაკში, გასცემდნენ, ამიტომ პირველ რიგში, ეს ორი კაცი უნდა განშორებოდა ბანაკს, ამ ორ კაცს ვოლკოვიც დაუმატა პონომარენკომ, ისე გაუხარდა ვოლკოვს, თითქოს საშშვიდობოზე გასულიყოს.

„ჩემი ბინიდან პირდაპირ მოჩანს კრემლი, შინ მაინც რა გამაჩერებდა დემონსტრაციაზე რომ არ გავსულიყავი, შემეძლო ჩემი ოთახის სარკმელზე მივმდგარიყავი და შეეცქირა, მე უსათუოდ უნდა დავბრუნდე ჩემს მოსკოვშიო“, — ეუბნებოდა ხოლმე ვოლკოვი ამხანაგებს.

თუ ხელსაყრელი დრო დადგებოდა, იმ დღეს ხუთნი უნდა გაპარულიყვნენ, ბევრნი ვერ დაიმალებოდნენ ერთად თხრილში. ორი კაცი ერთ უბანზე მომუშავე ჯგუფს უნდა შეერჩია.

მოლაპარაკების პირველ დღეს, შესვენების დროს, მეცხრე ბლოკის ყველაზე ორმოცდაათმა კაცმა მოინდომა გაქცევა, კენჭი ჰყარეს და მხოლოდ ორმა კაცმა გაიხარა: ვასია სამუილოვმა და ხანში შესულმა კომისარმა მიხეილ ნიკულინმა.

— ბედი არა მაქვს, ბედი რომ მქონოდა, ტყვედ კი არ ჩავვარდებოდი! — შესჩივლა გვერდით მდგარ ამხანაგს ოცი წლის კოლია პეტროვმა. დედის გინებით მოიოხა გული და დაუმატა: ბედი რომ მქონოდა, ალყაში კი არ მოჰყვებოდა ჩვენი პოლკი.

ბრგესა და ჯანსაღ კაცს ნიკულინს ფეხი სტკიოდა, ამიტომ თავისი ადგილი ჭაბუკ პეტროვს დაუთმო, მე სხვა დროს მოვახერხებ გაქცევას, მანამდე ფეხიც მომირჩებაო, — უთხრა ამხანაგებს ნიკულინმა.

პეტროვი ცას ეწია სიხარულით, თავი ვეღარ შეიკავა, ერთი შეჰყვირა და შეხტა.

ბევრი „უბედო" თვალი შეჰყურებდა პეტროვს და მის ბედს შეენატროდა.

— დღეს ხუთი კაცი და ხვალ სხვები, — უთხრა ყოფილმა პოლკოვნიკმა ალექსი ლასკინმა აზერბაიჯანელ მაჰმუდ ნაბიევს და ასანთი სთხოვა, გახედა გერმანელ გუშაგებს, მათ საფილი დაემთავრებინათ, სიგარეტებს აბოლებდნენ.

— მეც მოვხვდები იმ ხვალში? — ჰკითხა ნაბიევმა ლასკინს.

— მოგახვედრებთ, იოლდაშ, მოგახვედრებთ! — დააიმედა იგი ლასკინმა.

— საღოლ, საღოლ, თავარიშჩ ფილკოვნიკ! — გადაუხადა მადლობა ნაბიევმა, ვაუღიმა, ლამაზი თეთრი კბილები გამოუჩნდა და მის შავს სახეს ნათელი მოჰფინა.

ნასადილევს შეუდგნენ დასამალავი ადგილის გამოჭრას თხრილში, გაანზადეს, შეუშვეს შიგ თავიანთი სამუშაო იარაღებით ხუთი კაცი და ისე ოსტატურად შენიღბეს თხრილის გვერდით გამოთხრილი ორმო, აზრადაც არავის მოუვიდოდა, ასეთი გაცხარებული მუშაობის დროს ესოდენ სარისკო საქმეს თუ იკისრებდნენ ტყვეები, სწორედ გაცხარებულმა მუშაობამ შეუწყო ხელი მათს განზრასვას, ისე არიდებდნენ თვალს გერმანელი გუშაგები თხრილებს, თითქოს მათი სამარეები ითხრებოდა, თითქოს კი არა, როცა საბჭოთა ჯარები შემოვიდნენ თავიანთ კუთვნილ ნიწა-წყალზე, საფლავების გათხრას რომ ვერ ასწრებდნენ თავიანთ თანამემამულეთათვის გერმანელი მესაფლავენი, ტანკსაწინააღმდეგო თხრილები მზად ჰქონდათ სამარეებად.

ჩაივლიდა თუ არ ჩაივლიდა ხუთი კაცის გაქცევა მშვიდობიანად, პასუხისმგებლობა რომ აეცილებინა, პონომარენკო იმ დღეს არ გაჰყოლია თხრილების მჭრელ ორიათას კაცს, რაღაც მოიმიზეზა და ბანაკში დარჩა.

სანამ შევიდოდნენ ხუთივენი დასამალავში და საიმედოდ შენიღბავდნენ, მეთვალყურენი გამოჰყვეს მეცხრე ბლოკელებმა, სველმა მიწამაც შეუწყო ხელი დასამალავის მომწყობებს. გვერდიდან ამოქოლეს, რამდენიმე ადგილას სასულე დაუტოვეს, როგორც ჭურში ჩასხმულ მაჭარს უტოვებენ დაღვინებამდე. როცა ადგილი გადაინაცვლეს „მესაფლავეებმა" და გვერდით ჩაუარეს, დიდი ხნის უნახავ დედებს იფიცებდნენ: ვეღარ მივაგენით ცოცხლად „დამარხული" ხუთი კაცის სამარესო.

ახლა საქმე იყო, როგორ ჩაივლიდა ხუთი კაცის დაკარგვა, როცა სამუშაო დღე დამთავრდებოდა და დაითვლიდნენ ტყვეებს.

შესრულდა ხუთი საათი.

«Feierabend!»[1]

დაიყვირა მორიგე გერმანელმა გუშაგმა.

ვნებიანად გააზნორეს გერმანელებმა.

შესწყვიტეს თხრილების მჭრელებმა მუშაობა და გაემართნენ მოსაწყობად, ჯგუფ-ჯგუფებად გროვდებოდნენ, მწკრივებად მოწყობას ელოდებოდნენ.

ღელავდნენ მეცხრე ბლოკელები, დამნაშავე ბავშვებივით, ყველაზე უწინ, მათ მიაშურეს თავიანთ გუშაგებს, კოჭლობით მიაბიჯებდა კომისარი ალექსეი ნიკულინი და უპლაკუნებდა ჩამქრალ პაპიროსს.

ცოცხლად „დანარხულნი" როდი გრძნობდნენ თავს ვიწროდ „სამარეში". მაგრამ ყოველი წამი საუკუნედ ეჩვენებოდათ, ხმას არ იღებდნენ, შესაძლო რომ ყოფილიყო, სუნთქვასაც კი შესწყვეტდნენ.

მორიგე გერმანელმა გუშაგმა ბარი აღმართა და დაიყვირა:

«Sauber machen!»[2]

— ერთი მაგის თავზე გამაწმენდინა ეს ჩემი ბარი და სხვა არაფერი მინდა, — ჩაილაპარაკა გოგი გოგინაშვილმა.

— ეგ, ბიჭო, ერთი საწყალი გერმანელი გლეხია, რასაც უბრძანებენ ბატონი ოფიცრები, იმას ასრულებს, გუშინ, ორი ცალი სიგარეტი მომცა ფარულად, ოცმა კაცმა მოვწიეთ, ორი ვაჟი ჰყოლია ჯარში, ამოიღებს მათს ფოტოსურათებს და დასტირის, ესესელ იანკესა და ბრანდეს თავებზე უნდა გაწმინდო და გადა-ამტვრიო. ეგ შენი ბარი, — ხმამაღლა წამოიძახა მეორე ქართველმა ვანო მაისურაძემ და ისე თავგამეტებით დაჰკრა ბარი ქვაზე, თითქოს ქვა იანკესა და ბრანდეს თავები ყოფილიყოს, ბარმა ნაპერწკლები გაჰყარა.

— ეს ჩვენი სამუშაო იარაღები რომ ავტომატებად და ტყვიამფრქვევებად აქცია, ხომ გავჟუჟავდით ამ შობელძაღლებს? — ყველას გასაგონად თქვა ნოდარ გურამიშვილმა.

— შე ჩემანალა, ხელში არ გეჭირა თოფი ფრონტზე, ახლა რომ ნატრობ იარაღს? — მიაძახა მას დათო მჭედლიძემ, — ძვალმსხვილმა და ოდნავ წელში მოხრილმა ახალგაზრდამ.

გადაიხარხარეს ქართველმა ამხანაგებმა.

ერთმა რუსულის კარგად მცოდნე ქართველმა გადაუთარგმნა რუს ამხანაგებს ნჭედლიძის ხუმრობა, უცებ გავრცელდა, იცინოდნენ, ზოგს სევდიანი ღიმილი მორეოდა.

———————

[1] შაბაში — მუშაობის დასასრული (გერმ.).

[2] გაწმინდეთ (გასუფთავეთ) (გერმ.).

ერთი შეხტა ჯუჯა ტანის ეფრეიტორი ადოლფ ციმანი, საზეიმო ნაბიჯებით გაემართა მორიგე გერმანელისკენ და იანკეს ბრძანება გადასცა:

— მოაწყვეთ ტყვეები, ბანაკისაკენ!

ციმანს, როგორც ფიურერის ჩინისა და სახელის მოზიარეს, ჰიტლერს ეძახდნენ ქართველი ამხანაგები, ფინიასაც უწოდებდნენ ფინიასავით ჭიჭყინა ხმის პატრონს. გადაგვარებულ ჯუჯა გერმანელს სულ თან დაჰქონდა საგვარტომო ნუსხა-მოწმობა დასამტკიცებლად იმისა, რომ ნამდვილად იყო „წმინდა სისხლის არიელი", საბუთი საბუთად რჩებოდა, არავინ უჯერებდა, გერმანელები თავიანთ დამსხვრეულ თანამემამულეს „ციგანს" უწოდებდნენ. ციმანს შავი თვალები ჰქონდა ბოშასავით, შავყვითელა იყო და ვასაკასავით კუსავდა ისრიმისფერ ჭრუტა თვალებს.

ორიათასი კაცი ათ ჯგუფად იყო დაყოფილი, თითოეულ ჯგუფს თავისი უფროსი ჰყავდა. როგორც საბანაკო წესდება მოითხოვდა, ჯგუფების უფროსებმა დაითვალეს თავთავიანთი ჯგუფები და მოახსენეს საერთო ჯგუფის უფროსს, რომ სრულნი იყვნენ, არავინ არ აკლდათ.

მეცხრე ჯგუფის უფროსი კი მესამედ ითვლიდა თავის ჯგუფს.

«Schneller, schneller!»[1].

ნიაძახა მას საერთო ჯგუფის უფროსმა.

მეცხრე ჯგუფის უფროსმა ერთხელ კიდევ გადაავლო თვალი თავის ჯგუფს, გამობრუნდა, გაემართა საერთო ჯგუფის უფროსისკენ და მოახსენა: ხუთი კაცი აკლია ჩემს ჯგუფსო.

საერთო ჯგუფის უფროსმა ყურს არ დაუჯერა და როცა კიდევ გაიმეორა, სამჯერ დავითვალე, ნამდვილად აკლდა ხუთი კაციო, მაინც არ დაიჯერა, ბრძანა: თავიდან დაეთვალათ ყველა ჯგუფი, მეცხრე ჯგუფს ხუთი იარაღი აკლდა.

„რა მოხდა? თავიანთი იარაღებით დაიკარგნენ ხუთივენი? შეუძლებელია!" — გაიძახოდა საერთო ჯგუფის უფროსი და არ იცოდა, რა ეღონა.

მეცხრე ჯგუფელებს გულში ეღიმებოდათ, თან ეშინოდათ, ვაი თუ აღმოაჩინონ დანაკლულებიო.

„ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ ეს ხუთი კაცი?" — გაიძახოდნენ გუშაგები, გასცქეროდნენ თხრილებს და ფიქრობდნენ: აქედან შეუძლებელია ტყვეების გაქცევაო.

ხუთით ნაკლები ორიათასი კაცი ადგილზე იდგა.

გუშაგები თხრილებისკენ გაემართნენ, რამდენჯერმე აჰყვნენ და ჩაჰყვნენ თხრილებს.

გრუპენფიურერმა იანკემ ჯერ არაფერი იცოდა.

ჰიტლერის სეხნია ეფრეიტორი ციმანი ყველაზე მეტს ჭიჭყინებდა, ჯუჯა

---

[1] ჩქარა, ჩქარა! (გერმ.).

ტანის გამო არ ეღირსა ესესელების თაყვანისმცემელს ვამხდარიყო ესესელი, შავ-ყვითელა გერმანელს არც ცისფერი თვალები ამშვენებდა და არც ქერა თმა, მარტო საგვარტომო ნუსხა კი ვერაფერს შველოდა, ხელმოცარული ციმახი შურით იყო აღვსილი ესესელებისადმი, თავისი თანამემამულენი მას ჩექმებიან კატას ეძახდნენ, ახარებდა ციმანს გაქცევა ხუთი კაცისა, რადგან იცოდა, იანკეს დასჯიდა ბანაკის კომენდანტი ბრანდე.

ნელ-ნელა ეშვებოდა საღამოს ბინდი.

გრუპენფიურერი იანკე შარაგზაზე იდგა, ვიღაც უკრაინელი ქალიშვილისთვის გადაეღობა გზა, ელაზღანდარებოდა, დამფრთხალი შველივით აცეცებდა თვალებს შორეულ სოფელში ბებიასთან მიმავალი ქალიშვილი.

საერთო ჯგუფის უფროსმა იანკეს მიაშურა და მოახსენა:

— ბატონო კაპიტან! ხუთი კაცი დაიკარგა!

ქალიშვილთან საუბარში გართულმა იანკემ ჯერ ყურადღება არ მიაქცია. შერე, როცა კიდევ გაიმეორა: ხუთი კაცი გაიქცა და რა ვიღონოთო, მოხედა ამბის მიმტანს, ისარგებლა ქალიშვილმა იანკეს გონებადაფანტულობით, გაუსხლტა ხელიდან. პირში ჩალაგამოვლებული იანკე გონს მოვიდა, ფერი ეცვალა, იცოდა, იგი ვერ გადაურჩებოდა ბრანდეს რისხვას, შვებულება უნდა აეღო და მისი იმედი, დაკარგულ ხუთ კაცთან ერთად უნდა დამარხულიყო, ციმანი იხმო.

მიცუნცულდა ციმანი, ადამიანის ფერი აღარ ედო. სიძულვილსა და შიშს გაეფითრებინა, ჩექმებიანმა კატამ ერთმანეთს მიარტყა ჩექმების ქუსლები, სიმწრის ღიმილი წამოეპარა მოკუმულ ტუჩებზე და მოემზადა მოსასმენად.

— ახლავე დაბრუნდი ბანაკში, მოიყვანე უფროსი პოლიციელი პონომარენკო და თარჯიმანი, — უბრძანა იანკეს და ზურგი შეაქცია, თვალი გააყოლა უკაცრიელ ველზე სირბილით მიმავალ უკრაინელ ქალიშვილს.

ერთი საათიც არ გასულიყო, ციმანი, თარჯიმანი და პონომარენკო იანკეს წინ იდგნენ გამოჭიმულნი.

— ბატონო კაპიტან! — მოკრძალებით დაიწყო პონომარენკომ, — ჩვენ ბატონ ბრანდეს ეს უნდა მოვახსენოთ: მოკვდა ხუთი კაცი-თქო, სიმართლე რომ ვთქვათ, დაუსჯელს არავის გაუშვებს ბანაკის კომენდანტი.

— მოკვდა-თქო ხუთი კაცი?

— დიახ, დიახ, ვითომ დაიხოცნენ, პირველი შემთხვევა ხომ არ არის... იქვე, თხრილებში დავმარხეთ-თქო, თქვენ ხომ არ გგონიათ, რომ გაგათხრევინებთ სამარეს ბრანდე და თავისი თვალით ნახავს დახოცილებს, ბრანდეს მხოლოდ ტყვეების გაქცევა გაარისხებს, ერთი კაცის გაქცევა დიდ რამედ უღირს, ასი კაცის სიკვდილს კი არაფრად აგდებს, სწორად ფიქრობს ბატონი ბრანდე, ერთი გაქცეული კაცი პარტიზანია, ასი მკვდარი კი მკვდარია და მეტი არაფერი.

თარჯიმანმა ზუსტად გადაუთარგმნა იანკეს, რაც საჭიროდ მიიჩნია, თავისიც დაუმატა, თარგმნის დროს თვალს შეავლებდა ხოლმე პონომარენკოს.

ბოეწონა იანკეს პონომარენკოს აზრი.

— სხვას ვერაფერს მოვიფიქრებთ, ეგრე მოვახსენოთ ბრანდეს, — დათანხმდა იანკე და ჰკითხა: თქვენ რას ფიქრობთ? სად გაქრა ის ხუთი კაცი?

წამიერად დაფიქრდა პონომარენკო და მიუგო:

— ბატონო კაპიტანო! აქედან შეუძლებელია ტყვეების გაქცევა, მე დარწმუნებული ვარ, არავინ არ გაქცეულა.

— არავინ გაქცეულა?

— დიახ, არავინ არ გაქცეულა, ბანაკიდან გაყვანილ ორიათას კაცს აკლდა ხუთი კაცი.

— ბანაკიდან გაყვანილებს აკლდა ხუთი კაცი? — ამჯერად უფრო გაიოცა იანკემ და დასძინა: Scheisse, Scheisse![1].

— უთუოდ ვერ დაითვალეს კარგად, თუ თქვენ საერთო ჯგუფის უფროსს დასჯით, გახმაურდება ეს ამბავი და სხვებიც დაისჯებიან.

ვეღარ შეჰკადრა, თქვენც დაისჯებითო.

— Also![2] — თქვა დაფიქრებულმა იანკემ.

— კიდევ რა შეიძლება მომხდარიყო, იცით, იმ ხუთ კაცს არ სურდა საბუშაოზე გასვლა, ბანაკში დარჩენა ირჩია, ბანაკში დატოვა მექრთამე პოლიციელმა.

დრო იშოვა პონომარენკომ და დაასახელა ჯაშუში პოლიციელი, იგი ვერ გადაურჩებოდა ბრანდეს. ეს იყო თეთრგვარდიელთა შთამომავალი, დაეხეტებოდა ბანაკიდან ბანაკში და აბეზღებდა სამხედრო ტყვეებს.

კარგი რჩევისთვის მადლობა გადაუხადა იანკემ, მაგრად ჩამოართვა ხელი უკრაინელს და დათანხმდა, გასცა ბრძანება და დაიძრნენ ბანაკისკენ.

ბანაკს რომ დაუახლოვდნენ, შტაბის წინ იდგა ბრანდე, პოლიციელ ნოვიკოვს ელაპარაკებოდა.

გაჭიმული ნაბიჯებით გაემართა პონომარენკო და მოახსენა:

— ბატონო კომენდანტო, დღეს ხუთი კაცი მოკვდა, იქვე დავმარხეთ თხრილში.

— Danke schön![3].

ღიმილით გადაუხადა მადლობა ბრანდემ და ხელი გაუწოდა.

იანკე დამშვიდებული შევიდა ბანაკში და ჯაშუში თეთრგვარდიელის მოსაძებნად გაეშურა.

პოლინა ილინიჩნა

კარგად დაღამებული იყო.

„სამარეში" დამალულებს იმდენად სციოდათ, განსაკუთრებით ფეხზე, რომ ისინი დიდხანს ვეღარ გასძლებდნენ, ისეთი დუმილი იდგა, როგორიც შეიძლე-

---

[1]

[2] მაშ, ასე! (გერმ.).

[3] დიდად გმადლობთ (გერმ.)

ბა იდგეს სოფლის მოშორებით მდგარ ეკლესიაში ღამით და მის სასაფლაოზე, მძიმე დუმილი ყრუდ და შემაშფოთებლად ბობოქრობდა.

გადააგორა ლოდი (სამარე გამოანგრია) „ანგელოზმა", ეს ანგელოზი იყო ყველაზე უმცროსი ახალგაზრდა, ჭაბუკი პეტროვი, განოანგრია და „აღსდგა მკვდრეთით" ხუთი კაცი.

რიგრიგობით გამოძვრნენ, თხრილშივე დაიზილეს გაცივებული მუხლები, ამოფორთხდნენ, მოათვალიერეს იქაურობა, ადამის ნაშიერის ჩამიჩუმი არსაიდან ისმოდა, მხოლოდ ჭოტების კივილი კაწრავდა ბნელ ღამეს და ქარი დათარეშობდა უკაცრიელ ველზე.

კრასნოვის გარდა, ვერ შელეოდნენ სამუშაო იარაღებს, სხვა იარაღი არ გააჩნდათ. ფიქრობდნენ: ვინ იცის, რისთვის დაგჭირდება, ხომ შესაძლოა, მოიყვანონ ძაღლები და დაგვედევნონ გერმანელები, ძაღლებს მაინც ნოვიგერიებთო, ხშირად ხდებოდა: ბანაკიდან გაქცეულები ბარებითა და წერაქვებით ან სხვა რაიმე სამუშაო იარაღებით იგერიებდნენ დადევნებულ ძაღლებსა და თავიანთი პატრონები თავგაპობილ ან ფეხებმომტვრეულებს პოულობდნენ მგლებივით საშიშ მგელძაღლებს.

ცოტა ხანს შეჩერდნენ იქვე, 1941-1942 წელს ტყედჩავარდნილები ამდენი ხნის შემდეგ, ჯერ სამშვიდობოზე არ გასულიყვნენ და მაინც შეეხაროდნენ ნანატრ თავისუფლებას.

დაიძრნენ სულგანაბულები ფორთხვით, კარგა მანძილით გაშორდნენ ტანკსაწინააღმდეგო თხრილებს, გაიმართნენ, განაგრძეს გზა, უჭირდა კრასნოვს სიარული. ხშირ-ხშირად ისვენებდა, წაიოხუნჯებდა, გაამხნევებდა ახალგაზრდებს და ნიიწევდნენ წინ. თუმცა არ იცოდნენ სად მიდიოდნენ, რომელი მხრიდან უმჯობესი იქნებოდა წასვლა. დაახლოებით ხუთი კილომეტრი რომ გაიარეს, ძაღლების ყეფამ ამცნო, სოფელს უახლოვდებოდნენ, გული უჩქროლავდათ სიხარულით, პონომარენკოს რომ არ ჰქონოდა ნათქვამი: არ გირჩევთ სოფელში შესვლას, კიდეც რომ შესძლოთო, უკან არ დაიხევდნენ, პონომარენკომ იცოდა, რომ იმ სოფელში გერმანელთა სარეზერვო ჯარის ნაწილი იდგა, კიდევ მიმატებოდა ახალმოსული ჯარი, სოფელში შესასვლელ გზას გუშაგები იცავდნენ, სხვა სოფელი შორს იყო, იმ თვალუწვდენი ველის გადავლა და სხვა სოფელში შესვლა როდი იყო ადვილი საქმე.

მიდიოდნენ ერთხანს, ხმას არ იღებდნენ.

დუმილი კრასნოვმა დაარღვია:

— ამხანაგებო, ამ სოფელს იქით დიდი ტყეა და მხარმარჯვნივ კიდევ არის სხვა სოფელიო, რამდენჯერმე გამაფრთხილა პონომარენკომ, თუმცა უფრო შორსო, იქნებ შევძლოთ იქამდე მიღწევა, თუ მივაღწევთ, იქნებ უფრო საშიში სოფელია, არ დავზოგავდით ძალ-ღონეს, მაგრამ რომ არ ვიცით?

დუმდნენ ახალგაზრდები, ცდილობდნენ კარგი რამ მოეფიქრებინათ და ერჩი-ათ კომისრისთვის.

თავისუფლების პირველ დღეს ხარბად ისუნთქავდნენ მშობლიური ქვეყნის შემოდგომის ჰაერს, სუფთასა და საამოს, ყველაფერს საამოდ დამათრობელი სუნი ჰქონდა, ყველაფერს: ხესაც, ბუჩქსაც, ბალახსაც და ქვასაც კი. მიწის სუნი ხომ რაღა საკითხავია, მშობლიური მიწის სუნი, დედის უბესავით საყვარელია, დანატკბობელია, ისე ეალერსებოდნენ გამხმარ, გადაყვითლებულ შამბნარს, რო-გორც ახალგაფეთქილ ვარდ-ყვავილებს.

— ამხანაგო კომისარო, — ისე მიმართა ბარელმა კრასნოვს, თითქოს ფრო-ნტზე იყვნენ, — პონომარენკომ მეც მითხრა: თუ ძალიან არ გაგიჭირდეთ, გვე-რდი აუარეთ სოფელს, თუკი მოახერხებთ შეპარვას, ეს ხომ თქვენი ვაჟკაცობა იქნებაო, ჯერ არ გვიჭირს, როცა გაგვიჭირდება, გვიან იქნება, დავუახლოვდეთ ამ სოფელს, თუ შევძლებთ შეპარვას, იქნებ სადმე სოფლის ნაპირას წავაწყდეთ რომელიმე გლეხის ხატასა და შევიდეთ, შორს ნდგარ ხატაში არა მგონია იც-ხოვრონ გერმანელებმა, პარტიზანების შეეშინდებათ...

— თუკი წავაწყდით სადმე... ჰო, ვნახოთ, — მიუგო კრასნოვმა.

— კარგი იქნება! — წამოიძახა ყველაზე ახალგაზრდა პეტროვმა, გახალი-სდა, გულუბრყვილო ჭაბუკს თვალწინ დაუდგა უკრაინელი გლეხის თბილი ხა-ტა, მხრები აწურა და მოიფშვნიტა ხელები.

— მართლა რომ წავაწყდეთ სადმე ხატას, ვინ იცის, ვისი იქნება, ხომ შე-საძლოა, სოფლის სტაროსტაც იქნეს სოფლის ნცველ გერმანელებთან ერთად! — გამოთქვა თავისი აზრი ვოლკოვმა.

— შეიარაღებული რომ ვიყოთ, უფრო გაბედულად მივადგებოდით ასეთ ხატას, — თქვა სამუილოვმა.

კრასნოვმა უბეში ჩაიყო ხელი, რაღაც მოსინჯა, ხმა არ გაუღია.

— ეგერ, რაღაც ხე დგას, ხედავთ? მივიდეთ, დავსხდეთ, მოვილაპარაკოთ, — ურჩია ახალგაზრდებს კრასნოვმა.

მივიდნენ და დასხდნენ ქოლგასავით თანაბრადტოტებგაშლილი ცაცხვის ძირას.

ხუთივენი დუმდნენ, შიოდათ.

მათი უკანასკნელი სადილი ბანაკის წყალ-წყალა ბალანდა იყო, საჭ�-ზე და მოსაწევზე ფიქრობდნენ.

მოიხსნა თადარიგიანმა კომისარმა ზურგჩანთა, ამოიღო მზეზე გამომშრალი ორ-ორი ნაჭერი ორცხობილა და დაურიგა ახალგაზრდებს, თავისთვისაც ორი ნაჭერი ამოიღო და ჩაკბიჩა, გახალისდნენ ახალგაზრდები, გემრიელად ახრამუ-ნებდნენ, გაათავეს, დააყოლეს წყალი მათარებით.

„ნეტავ კიდევ ხომ არა აქვს კომისარს ასეთი ხმელი პური?" — თითქმის ერთნაირად ფიქრობდნენ სამუილოვი და პეტროვი, ბარელსა და ვოლკოვს ამდე-

ნად როდი შიოდათ, ბარელიც თადარიგიანი ახალგაზრდა იყო, შენახული ჰქონდა გადაჩეხილ ვაგონებში ნაშოვნი სურსათი, გაქცევის დღეს ისადილა გვარიანად, ვოლკოვიც კარგად საზრდოობდა პონომარენკოსთან.

კრასნოვმა ბანაკში შეკერილი სათუთუნე ქისა ამოიღო.

— ეს ერთი ქისა წეკო-თამბაქო პონომარენკომ მომცა გუშინ, ბანაკიდან გასვლამდე.

სამუილოვს რაღაც უნდოდა ეთქვა პონომარენკოზე, როცა ბარელმა და ვოლკოვმაც სიყვარულით მოიხსენიეს პონომარენკო, სამუილოვმა ვეღარ დაამთავრა მისი საგინებელი სიტყვები, — მერე გეტყვიო, — უთხრა სამუილოვს ვოლკოვმა.

გაახვიეს წეკო-თამბაქო და განაგრძეს გზა.

ისინი სოფლის პარალელურად მიდიოდნენ, ჯერ კიდევ ვერ გადაეწყვიტათ, გვერდი აევლოთ სოფლისთვის, თუ ეცადათ სოფელში შესვლა. პონომარენკოს რომ არ ჰქონოდა ნათქვამი: არ გირჩევთ სოფელში შესვლასო, უკან არ დაიხევდნენ.

ტყეს მიუახლოვდნენ, ფრთხილად აუარეს გვერდი, შემოუარეს გარშემო, პატარა ტყე აღმოჩნდა, ტყის მხარმარცხნივ მდგარ ქოხს წააწყდნენ, შეკრთნენ, თან გაუხარდათ, შეჩერდნენ, გაყუჩდნენ.

ჩამიჩუმიც კი არ ისმოდა, ცოტა კიდევ წაიწიეს წინ, დაუახლოვდნენ და ნიაყურეს, უმთვარო და ღრუბლიანი ღამე იყო, გვიან ამოდიოდა კლებაში წასული მთვარე.

— პეტროვ, ჩვენ აქ მოვიცდით, მიდი ახლოს, ქოხთან, მიაყურე, იქნებ გაიგონო რამე, ჯერ შორიახლოს, მერე უფრო დაუახლოვდი, — ჩაუჩურჩულა კრასნოვმა.

— ალბათ ცარიელია, ცარიელი რომ არ იყოს, სინათლე ენთებოდა, — ჩაიჩურჩულა სამუილოვმა.

ჩაჯდნენ ხუთივენი.

— სინათლე რომ არა ჩანს, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ცარიელია ქოხი, ახლა შუქშენიღბვაა ყველგან, გერმანელები არ მისცემდნენ უფლებას აანთონ ლამპები იქნება თუ სანთლები, ბევრს ალბათ ნავთიც არა აქვს, — ხელები შემოხვია და ყველას გასაგონად ჩაიჩურჩულა კრასნოვმა.

— უნდა დავრწმუნდეთ, ცარიელი თუა ქოხი, იქნებ ვინმეა შინ, სინათლე კი არ უნთია, — თქვა ბარელმა.

წაიკუზა პეტროვი და გაემართა ქოხისკენ, ჯერ შორიახლოს შეჩერდა, მიაყურა, დუმდა ქოხი, საკმაო ხანს უსმენდა, უფრო დაუახლოვდა, მაინც ვერაფერი გაიგონა, კენჭი ნონახა ხელების ფათურით, ესროლა, მიაყურა, გამობრუნდა, კრასნოვს მოახსენა:

— მე მგონი, ცარიელია ქოხი.

— კიდევ წადი, უფრო ახლოს მიდი, — უთხრა კრასნოვმა. — შენც გაჰ-ყევი, ვოლკოვ!

პეტროვი და ვოლკოვი ხმის ამოუღებლად წავიდნენ, კიდევ ესროლა კენჭი პეტროვმა, ვოლკოვმაც მიაყოლა, არც ვინმე გამოხმაურებია და არც არაფერი დაუნახავთ საეჭვო, მხოლოდ რაღაც ფრინველი აფრინდა ქოხის წინ მდგარი ხიდან, ლანდისფერ ჩრდილს მოჰკრეს თვალი და ისიც გაქრა.

პეტროვმა ვოლკოვს ჩაუჩურჩულა:

— ქოხი კი არა, ფარდულია.

— კი, ფარდულია.

განობრუნდნენ.

— ჩვენ ქოხი გვეგონა, ფარდულია, — მოახსენა კრასნოვს პეტროვმა.

ჩაჯდნენ და გაყუჩდნენ.

— მაგ ფარდულის პატრონს აქ, სადმე ბოსტანი ექნება, შესაძლოა, ხატა დაენგრა, ან დაეწვა და ამ ფარდულში ცხოვრობს, გახედეთ, იქ რა მოჩანს? ქო-ხებს არა ჰგავს? უთხრა კრასნოვმა ახალგაზრდებს და ბარელს მიუბრუნდა: ახ-ლა შენ და ვოლკოვი წადით, აჰა, კენჭები, რიგრიგობით ესროლეთ.

გაემართნენ, მაინც შორიახლოს შეჩერდნენ, ჯერ ბარელმა ესროლა კენჭი, სახურავზე დაეცა, კენჭის ხმა არ გაუგონიათ, ემჩნეოდა, ისლით იყო დახურული ფარდული, ვოლკოვის ნასროლი კენჭი ფარდულის კარს მოხვდა მაგრად, კრა-სნოვმა და პეტროვმაც კი გაიგონეს.

ბარელმა ქვა მონახა, უკან დაიხია და ისე მაგრად სთხლიშა ფარდულის კარს, რომ თვითონაც შეკრთა. ყველანი შეკრთნენ, ცოტა ხანს კიდევ შეჩერდნენ და გამობრუნდნენ. ბარელმა ვეებერთელა გოგრას წამოჰკრა ფეხი, დაავლო ხელი, ბარდიანად წაათრია, კრასნოვს მიუტანა.

— ეხანაგო კომისარო, ჯერჯერობით, სხვა ვერაფერი მოგართვით!

— ესეც კარგია, სხვა რაღა გვაქვს, უმი გოგრა როდი აწყენს კაცს, რო-გორც ჩანს, ცარიელია ფარდული, დავათვალიეროთ აქაურობა, იქნებ უკეთეს რა-მეს წავაწყდეთ, რამ დაიბრახუნა ასე ძლიერად?

— ქვა ვესროლე.

— კაცო, კინაღამ დაანგრიე, წივიდეთ ახლოს.

მიუახლოვდნენ ფრთხილად, გოგრა იქვე დატოვეს, მზად იყვნენ გაეხეთ-ქათ და შეეჭამათ.

შემოუარეს გარშემო ფარდულს, მეორე მხრიდან მინაჩამტვრეული სარკმელი ჰქონდა ფარდულს, მოუარეს წინიდანაც, მიადგნენ კარს, ფრთხილად დააკაკუ-ნა კრასნოვმა, მერე მიაწვა კარს, გააღო, ასანთი გაჰკრა, სანამ ბარელი დაგრე-ხილ გაზეთს მოუკიდებდა, რაღაც გაფხაკუნდა, შეკრთნენ, კრასნოვს ასანთი გა-უვარდა ხელიდან, ბარელს — დაგრეხილი გაზეთი, რუხი კატა გადმოხტა თარო-დან, ისკუპა და გადახტა მინაჩამტვრეული სარკმლიდან.

— ოხ, შენი გამჩენი ამოვარდეს! — მიაძახა კრასნოვმა. ახალგაზრდებმა შეგინებით მოიოხეს გული, მერე ყველანი ახარხარდნენ პირზეხელმიფარებულნი. ისევ გაჰკრა ასანთი ვოლკოვმა, მოუკიდა დაგრეხილ გაზეთს და მიანათა, დაინახეს ერთი ცარიელი უბრალო ტახტი, შუაგულში პატარა მაგიდა იდგა და ორ ყუთზე გადებული გრძელი ფიცარი სკამების მაგივრად.

ცოტა ხანს ჩამოსხდნენ, თითო ყანწი წეკო მოსწიეს და გავიდნენ გარეთ დასაზვერავად, ორმოციოდე ნაბიჯზე ღობეშემოლეწილ ბოსტანს მიადგნენ, შემოდგომის ცივი ქარი აშრიალებდა აუჭრელი ჩალისა და ბოსტნის გარშემო შემორგული მსხმოიარე ხეხილის ფოთლებს, ხელები მოაფათურეს და წააწყდნენ მწიფე პამიდვრებსა და ფოთლებდამჭკნარ ხახვს. გამალებით ჰკრეფდნენ და ჰყრიდნენ ზურგჩანთებში, მერე, ბოსტნიდან რომ გამოდიოდნენ, კიდევ წააწყდნენ ნაყოფით დახუნძლულ ვაშლისა და მსხლის ხეებს, არც ერთი მათგანი არ იღებდა ხმას, ხილითა და პამიდვრებით სავსე ზურგჩანთებით ავსილი შევიდნენ ფარდულში, აღარ შიოდათ, ბოსტანშივე დამძღარიყვნენ. დიდი სიამოვნებით გააგებდნენ მაზარებს სოხანეზე და განოიძინებდნენ მოსალოდნელი საშიშროება რომ არ ყოფილიყო, აიკრეს გუდა-ნაბადი, მიატოვეს მდუმარე ფარდული. ორი კილომეტრიღა იქნებოდა დარჩენილი სოფლამდე, ვერ გადაეწყვიტათ, სოფელი აერჩიათ თუ სხვა გზას დასდგომოდნენ.

მიდიოდნენ, მიემართებოდნენ, მადიანად კბეჩდნენ სურნელოვან ვაშლებს, მათ აღარ ახსოვდათ ბარელის ნაპოვნი გოგრა, იგი გულაღმა დაგდებულ კუსავით მიატოვეს.

— ხომ გითხარით, ანხანაგებო, ჯერ არ შეეხოთ-მეთქი გოგრას, ბანაკში ხომ აღარა ვართ, უმი გოგრა რომ არ დავიწუნოთ... ვაშლს მიეძალეთ, ვაშლს, მსხალი და პამიდორი გაწყენთ უზმოზე, ვაშლი დალოცვილი ხილია, ყელამდე რომ გაძღე ვაშლით, მაინც არ გაწყენს, — ელაპარაკებოდა კრასნოვი ახალგაზრდებს.

უკრაინელთა და გერმანელთა ძაღლების ყეფა ერთმანეთში ირეოდა. არ იცოდნენ უახლოვდებოდნენ სოფელს თუ შორდებოდნენ, საჭირო იყო ცოტა ხანს შეჩერებულიყვნენ და მოელაპარაკათ, ახალგაზრდები ომში ნაცადი კომისრის აზრს ელოდებოდნენ, ოთხივენი ომგადახდილები იყვნენ, მაგრამ კრასნოვი მათი მამების ხნის კაცი იყო და ცხოვრების სხვა გამოცდილებაც ჰქონდა.

შეჩერდა კომისარი, ახალგაზრდებიც შეჩერდნენ.

კრასნოვს უნდოდა ეთქვა: უფრო ახლოვდება ყეფა ძაღლებისა, სოფელს ვუახლოვდებითო, ვეღარ მოასწრო, სულ ახლოდან გაისმა ძაღლის ყეფა, აშკარა იყო, სოფლის მცველი გერმანელებისა იქნებოდა ძაღლი, სხვა ძაღლიც აჰყვა, მერე უკრაინელთა ძაღლებიც გამოეხმაურნენ შორიდან და ისეთი ყეფა გააჩაღეს, ყურთასმენა აღარ იყო.

სმენად იქცნენ, ხმის ამოღებაც კი ვერ მოასწრეს, გერმანელი პატრულის სტვენა გაისმა, სტვენას სტვენითვე გამოეხმაურა სხვა პატრული და პარტიზანებისკენ გამოექანა გერმანული ნაგაზი.

— არ გაიქცეთ, არ გაიქცეთ, ვერ გავასწრებთ ძაღლს, სანამ პატრონი გამოჩნდება, ძაღლი უნდა მოვიგერიოთ, შეიძლება გერმანელებმა ვერც კი გაბედონ გამოჩენა, მოამზადეთ იარაღები, — გააფრთხილა კრასნოვმა ამხანაგები.

მოიმარჯვეს იარაღები.

ბარელსა და სამუილოვს ბარები ეჭირათ ხელში, ვოლკოვსა და პეტროვს— წერაქვები.

ვოლკოვმა წერაქვის წვეტს მოუსვა ხელი და გაიფიქრა:

„აბა, რაღა ბიჭი ვყოფილვარ, ერთი დაკვრით თუ არ გავუხეთქე თავი ძაღლს!"

— ამხანაგო კომისარო, თქვენ შუაში ჩაგვიდექით, — უთხრა ბარელმა და მოიმარჯვა ბარი.

კრასნოვმა ხელი გააქნია, ანიშნა: ხმა არ გაიღოთო, ადგილიდან არ დაძრულა.

— აბა, ახლა გვმართებს, ვოლკოვ, ვაჟკაცობა, — ყურზე პირი მიადო და ჩაუჩურჩულა ბარელმა.

იარაღებმომარჯვებული ბარელი და ვოლკოვი აქეთ-იქით ამოუდგნენ კომისარს, სამუილოვი და პეტროვი განზე გადგნენ.

წამიერად შედგა დაოთხილი ნაგაზი, ადამიანის სუნი იყნოსა, სუნსულით გაჰყვა პარტიზანების ნაკვალევს, დაუახლოვდა და პატრონიც წამოეწია.

გერმანელმა პატრულმა არ იცოდა ასე ახლოს თუ იყვნენ პარტიზანები, თორემ ვერ გაბედავდა დაახლოებას, მათს ბედს თავის ძაღლს მიანდობდა. იმის იმედიც ჰქონდა, ამხანაგი პატრული რომ მიეშველებოდა, მაინც ვეღარ გაბედა წინ წასვლა, სანამ ახლოს მდგარ ხეს ამოეფარებოდა, მოსწყდა ძაღლი ადგილიდან და გაექანა პარტიზანებისაკენ.

კრასნოვი მზად იყო, ხელში ეჭირა შემართული რევოლვერი, ერთი გასროლით გააგორა ვეებერთელა მგელძაღლა და სანამ პატრონი შებრუნდებოდა გასაქცევად, ფორთხვით დაუახლოვდა, დალანდა და შებრუნდა თუ არა გერმანელი, ისიც ერთი სროლით გააგორა.

„ჰაინრიხ!" — წამოიძახა გულაღმა წაქცეულმა პატრულმა, წამოიწია, verfluchte[1]. ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვა. არც პარტიზანებსა და არც მოკლული გერმანელის ამხანაგებს გაუგონიათ ამხანაგის გამოსათხოვარი სიტყვა, მხოლოდ ძაღლის წკავწკავს მოჰკრეს ყური.

კრასნოვის ტყვიით მკერდში დაჭრილი ძაღლი, თუმცა გაგორდა მიწაზე,

---

[1] დაწყევლილი (გერმ.)

წკავწკავიც დაიწყო. მაინც წამოხტა და შეუტია პარტიზანებს, ვოლკოვმა დაასწრო, შიგ დაღებულ პირში ჩასცა წვეტიანი წერაქვი და მერე გაუხვეთქა თავი. ძაღლი მათ წინ ეგდო, სულსაც აღარ ღაფავდა. ერთხანს კიდევ იდგნენ სულგანაბულნი და როცა მეორე პატრულმა ამხანაგს უბმო სტვენით, დაიძრნენ ფრთხილად. თანდათან უმატეს ნაბიჯებს და გაიქცნენ.

მეორე პატრულიც ხეს ამოფარებოდა, ვერ ბედავდა მოშორებოდა, თავისი ძაღლი ეჭირა საყელურით, არ უშვებდა, მომიკლავენო.

უძაღლო მესამე გერმანელი უფრო მკაცრი გამოდგა, იგი მიხვდა, რომ მოკლეს მისი ამხანაგი და ძაღლიც, მხოლოდ ამხანაგის სახელი „ვილი" წამოსცდა. ხმა რომ არ გაეღო, შესაძლო იყო მოეკლა ერთი ან ორი პარტიზანი, ფორთხვით მიიწევდა მათკენ, ფიქრობდა: დაიძვრებიან თუ არა ადგილიდან ჩასაფრებული პარტიზანები, ვესვრიო, რადგან ვერ ხედავდა. ღრუბლიანი ღამით ამოსული გალეული მთვარე ლანდისფრად აჩენდა გაქცეულ პარტიზანებს. ალალბედზე უნდა ესროლა, ასეც მოიქცა: მიაყოლა ავტომატის ჯერი, ტყვიამ ბეჭში გაჰკრა ბარელს, წაიბორძიკა, ფეხი გადაუბრუნდა, ეღრძო, წაიქცა. ისე მსუბუქად იყო დაჭრილი, ფეხი რომ არ ღრძობოდა, მაინც შეძლებდა გაქცევას. წელი დაუსველა თბილმა სისხლმა, წამოიწია ასადგომად, ვერ შეძლო, ფეხი ვეღარ დააკარა მიწას, ერთი ნაბიჯიც კი ვეღარ გადადგა, ზურგით მიეყრდნო ნაპურალში დაგდებულ ჯირკს, საკინძე გაიხსნა, ხელი მოისვა ფერდზე, გამოიღო ხელი, შავად მოჩანდა სისხლი. კიდევ შეეცადა წამომდგარიყო, უფრო მწვავედ იგრძნო კოჭში ნაღრძობი ფეხის ტკივილი, ბარი მოიმარჯვა, დაელოდა ახალ უბედურებას და გაიფიქრა:

„ჰმ! კრასნოვს იარაღი ჰქონია, პონომარენკო უშოვიდა, რატომ არ გააბრალა? ამისთვის მიხაროდა თავისუფლება? გაქცევა? სად უნდა მოვკვდე?! არა, თუ გერმანელები არ წამომადგნენ თავზე, რამენაირად უნდა ვუშველო თავს. უნდა გადავრჩე!"

პარტიზანებს დადევნებულმა მესამე გერმანელმა ვეღარ გაბედა მიჰყოლოდა გაქცეულებს, წაიკუზა, განობრუნდა, ბუჩქებს ამოეფარა, არ იცოდა დასჭრა თუ არა პარტიზანი, დაუსტვინა, სტვენითვე უპასუხა ამხანაგმა. ისინი შარაგზაზე შეხვდნენ ერთმანეთს. გაიძახოდნენ: ნამდვილად მოკლეს ვილი იმ სატანებმაო. დააპირეს მოეძებნათ დაკარგული ამხანაგი, აღარ დასცალდათ, ძლიერი ქუხილი გაისმა სოფლიდან, ხანძარი გაჩნდა და აბრიალდა, გაიქცნენ და მიაშურეს სოფელს.

პარტიზანები შეჭრილიყვნენ სოფელში, თავს დასხმოდნენ გერმანელ ოფიცერთა საცხოვრებელ სახლს, თავგზააბნეული გერმანელები ნახევრად შიშვლები გარბოდნენ ქუჩაში, გაისმოდა ზარბაზნების ქუხილი და კაკანი ტყვიამფრქვევებისა, ორიოდე პარტიზანი სულაც აღარ მოჰგონებიათ გადარჩენილ პატრულებს.

კრასნოვი, სამუილოვი, ვოლკოვი და პეტროვი უკვე შორს წასულიყვნენ.

ყველაზე წინ ვოლკოვი გარბოდა, თითქმის გვერდ-გვერდ მიჰყვებოდა მას პეტროვი, მერე სამუილოვი. უჭირდა კრასნოვს სირბილი, გადაჰყარეთ ხილი, ცოტა დაიტოვეთ, მე ჯერ არ მიჭირს, გადავყარე, ცოტაღა დამრჩა, — მისძახოდა, ამხნევებდა ახალგაზრდებს. სანამ სამშვიდობოზე არ გავიდნენ, მანამდე არ მოუსაკლისებიათ ბარელი, ეგონათ, უკან მოგვდევსო.

შუაგულ ნინდორში, მაღალ ბუჩქნარს წააწყდნენ. შეცვივდნენ შიგ, მიწაზე განერთხნენ და გონს მოსულნი, ერთმანეთს ეკითხებოდნენ: რა იქნა ბარელი? რა მოუვიდა ბარელს? მოკლეს! დასჭრეს? იქნებ დაჭრილი აგდია სადმე, იქნებ ხელში ჩაიგდეს იმ დაწყევლილებმა! სინანულით აქნევდნენ თავს, ვერ ისვენებდნენ, კარგად ხედავდნენ სოფელში ავარდნილ ხანძარს, გაისმოდა ზარბაზნების გრგვინვა და კაკანი ტყვიამფრქვევებისა.

— კირიჩენკოს პარტიზანები იქნებიან, ან სხვა ახალი შემდგარი რაზმი იქნება, იქნებ გვერდითაც კი ჩავუარეთ, აბა, რა ვიცოდით? — გაიძახოდა კრასნოვი.

— აბა, აბა, რა ვიცოდით! — იმეორებდნენ ახალგაზრდები.

მათსავით ფიქრობდა იმავე ადგილზე ზურგით ჯირკზე მიყრდნობილი ბარელი და ცეცხლი ეკიდებოდა.

— პაველ დმიტრიევიჩ! საიდან იშოვეთ რევოლვერი? ვინ მოგცათ? — ჰკითხა კომისარს ყველაზე ახალგაზრდა პეტროვმა.

— პონომარენკომ მომცა, გერმანული სისტემის რევოლვერია, იმ დღეს მომცა, ბანაკიდან რომ გავდიოდით თხრილების საჭრელად, როცა დავტოვეთ სამუდამოდ ბანაკი. ვინ იცის, რა გველის, დავტოვეთ კი სამუდამოდ? — წამოსცდა მხნესა და ინვალიდ კაცს და მერე დასძინა: — ნუ გეშინიათ, ბიჭებო, რაკი დავაღწიეთ თავი ჯოჯოხეთს, თუ დაღუპვა გვიწერია, ვაჟკაცურად უნდა დავიღუპოთ. სამარცხვინოა ბანაკში სიკვდილი. წამოდგნენ და განაგრძეს გზა.

ტყეს უახლოვდებოდნენ, არ იცოდნენ დიდი იყო თუ პატარა ტყე.

სოფელში დიდი ორომტრიალი იდგა, შორს აღწევდა ყიჟინა პარტიზანებისა.

ყრუდ გუგუნებდა ტყე, შემოდგომის ქარი აშრიალებდა აუჭრელი ჩალის ფოთლებს, ჭოტები კიოდნენ გულსაკლავად.

— რა ეშველება ბარელს? — სინანულით ჩაილაპარაკა კრასნოვმა.

— პაველ დმიტრიევიჩ! სად დაგვშორდებოდა ბარელი? — ჰკითხა ვოლკოვმა.

— სადაც ავტომატი მოგვაყარა გერმანელმა, იქედან ჩვენ, დაახლოებით, ერთი კილომეტრი მაინც გავირბინეთ.

— რა მოხდება, რომ დავბრუნდეთ და მოვძებნოთ ბარელი?

— უსათუოდ უნდა დავბრუნდეთ და მოვძებნოთ, თორემ ჩვენ ვერ მოვისვენებთ.

— ყველანი რა საჭირო ვართ, მე და პეტროვი დავბრუნდებით.

წამოდგა პეტროვი.

კომისარმა შეაჩერა და უთხრა:

— თუ გახსოვთ, ჩვენ რომ გერმანელის ძაღლის ყეფა გავიგონეთ, ხომ შევჩერდით? მგონი არყის ხე დგას განმარტოებით, ჩვენ რომ გერმანელის ძაღლი მოვკალით და გავიქეცით, გერმანელმა ორი თუ სამი წუთის შემდეგ გვესროლა, რამდენ მანძილს გავირბენდით? გამოიანგარიშეთ, როცა მიუახლოვდებით იმ ადგილს, თუ დაჭრილია ბარელი და ხმის ამოღება შეუძლია, თუ არ ჩაიგდეს ხელში, უსათუოდ მიაგნებთ, აჰა, წაიღეთ რევოლვერი, თქვენ უფრო დაგჭირდებათ, მე და სამუილოვი აქ მოგიცდით.

გამოართვა პეტროვნა რევოლვერი, უბეში ჩაიდო, გაბრუნდა და გაპყვა ვოლკოვი.

ხომ დიდი საფრთხე მოელოდათ სულ რამდენიმე საათის წინათ ბანაკიდან თავდახსნილებს, მაგრამ ისეთი ხალისით მიდიოდნენ, როგორც ხილის მოსაპარავად წასულან ხოლმე მეზობლის ბაღისკენ პატარა ბიჭები, მათი სიხარული და ხალისი კიდევ უფრო მეტად გაძლიერდებოდა, თუ იპოვიდნენ დაკარგულ ამხანაგს.

ერთი კილომეტრი რომ გაიარეს ვარაუდით, პირდაპირ მიადგნენ იმ ადგილს, სადაც შეჩერდნენ სულგანაბულნი.

— კოლია, აი ხე, ის ხე, კრასნოვმა რომ გვითხრა, ხედავ? — ჩაუჩურჩულა ვოლკოვმა პეტროვს.

— იცი, მე რა მახსოვს? აი ის ბუჩქნარი, მე იმ ბუჩქნარში მინდოდა დამალვა, ველარ მოვასწარი, მთვარიანი ღამე რომ იყოს...

— რას ამბობ, ბიჭო, მთვარიანი ღამე რომ იყოს, შენ მოგეშვებოდნენ გერმანელები? შავი დღე დაგვადგებოდა, ძაფივით გაწვრილებულა მთვარე, თან მოიღრუბლა.

ჩურჩულით ლაპარაკობდნენ.

მოათვალიერეს იქაურობა, მიფორთხდნენ იმ ხესთანაც.

მობრუნდნენ და გაფორთხდნენ ბუჩქებისკენ, ოციოდე ნაბიჯით რომ გასცდნენ ბუჩქებს, ვოლკოვმა დაიჩურჩულა:

— ა, ბიჭო, მკვდარი ძაღლი.

მიფორთხდა პეტროვი, წიხლი ჩააზილა, „ოხ, შენი პატრონის დედა...“ — შეაგინა კბილების კრაჭუნით.

ფორთხვით შემოიარეს ის ადგილი, სადაც შეიძლებოდა გდებულიყო დაჭრილი თუ მკვდარი ბარელი, ერთმანეთს მიეყრდნენ მხრებით და მიაყურეს.

თანდათან ნელდებოდა სოფლად დატრიალებული ორომტრიალი.

— საწყალი ბარელი! — ჩაიჩურჩულა ვოლკოვმა.

— იურკა, მოდი დავუსტვინოთ.

— არა, არ შეიძლება, ხომ გაგვაფრთხილა კომისარმა ხმა არ გაიღოთო.

— კომისარი ჭკვიანი კაცია, მაგრამ რასაც უფროსი გეტყვის, ყველაფერი კი არ უნდა დაუჯერო, შენი საკუთარი აზრიც ხომ უნდა გქონდეს, დავუსტვინოთ და გავიქცეთ, იქნებ აქ, სადმე აგდია ბარელი, ან იქნებ გადაინაცვლა ადგილი, თუ ცოცხალია და ხმის ამოღება შეუძლია, გამოგვეხმაურება...

— რა ვიცი, დავუსტვინოთ?..

— ჩუმად! — ხელის გაქნევით ანიშნა პეტროვმა.

— გაიგონე რამე?

— მგონი მომეჩვენა, ფრონტზე მზვერავი ვიყავი, სტვენით მოვძებნე დაჭრილი ამხანაგი, მოვიკიდე ზურგზე და მივიყვანე ნაწილში, რომ არ დამესტვინა, ლაღლუპებოდა.

— რომ ვეღარ მივაღწიოთ კრასნოვამდე?

— თუ ვეღარ მივაღწიეთ და მაგის დედაც... — ჭაბუკური ენინიანობით თქვა და შეიგინა პეტროვმა, დაუსტვინა გაუბედავად, მერე ვოლკოვმაც დაუსტვინა. კიდევ დაუსტვინა პეტროვმა ისე მაგრად, რომ სოფლამდე მიაღწევდა. არც იმდენად შორიდან, ძაღლის ყეფა გაისმა, ცოტა ხნის შემდეგ გერმანელის ხმაც გაიგონეს, ძაღლს უხმობდა პატრონი, საეჭვო აღარ იყო, სოფლის მისადგომს იცავდნენ გერმანელები, ვოლკოვმა რევოლვერი მოსინჯა ხელით, მოსწყდნენ ადგილიდან და გაიქცნენ, შუა გზაზე შეჩერდნენ.

— საწყალი ბარელი, ნეტავ რა დღეშია ახლა? — თქვა ვოლკოვმა.

— აბა, ვინ იცის, რა დღეშია. მოდი, გავახვიოთ და მოვწიოთ, ა, იურკა, არ გინდა მოწევა? მე ვეღარ ვითმენ.

— Давай, მოვწიოთ, მაგრამ...

— გავახვიოთ და მერე გეტყვი, როგორ უნდა მოვწიოთ, კრასნოვისებურად ნოვწიოთ.

გაახვიეს.

გაიხადა პეტროვმა მაზარა, თავზე წამოიხურა, ისე მოუკიდა და გააბოლა. არც ასანთის სინათლე დაუნახავს ვოლკოვს და არც პაპიროსის ცეცხლი.

— ამას ეწოდება კრასნოვისებური მოწევა, მას კი არ გამოუგონებია, ასე ვეწეოდით ფრონტზე.

ვოლკოვმაც მას მიბაძა, მიწაზე დააგდეს ნამწვები, ფეხით მოსრისეს, მაზარები ჩაიცვეს და გაენართნენ.

მოკრძალებული ნაბიჯებით მიუახლოვდნენ კრასნოვსა და სამუილოვს, სამუილოვს კომისრის კალთაში ედო თავი, მაზარა წაეფარებინა, ჩასძინებოდა. ხმის ამოუღებლად დაადგნენ თავს დაკარგული ამხანაგის მძებნელები.

კრასნოვს არც კი უკითხავს, რა ამბავი მოიტანეთო.

— ეს, მოკლეს ალბათ იმ წყეულებმა, — ჩაილაპარაკა კომისარმა და ჩაიქნია ხელი.

გაეღვიძა სამუილოვს, წამოიწია ასადგომად.

— იძინე, რატომ დგები, ჯერ არ ვაპირებთ აქედან წასვლას, — უთხრა კრასნოვმა.

სამუილოვს აღარ შეეძლო განეგრძო ძილი, ბარელის ამბავი აწუხებდა, ჩაიცვა მაზარა, დაჯდა.

ერთხანს ხმას არ იღებდნენ.

— სულაც არ გაგვჭირვებია პოვნა იმ ადგილისა, თქვენი მოკლული ძაღლი იქვე აგდია, — რამდენინე სიტყვით უამბო ვოლკოვმა.

— არ გამოეხმაურეთ?

— როგორ არა, სამჯერ დავუსტვინეთ, საკმაო ხანს ვიდექით სულგანაბულები, სოფელში დიდი ორომტრიალი იდგა, ცოტა მიწყნარდა, თქვენც გაიგონებდით. — უთხრა ვოლკოვმა.

პეტროვმა რევოლვერი ამოიღო უბიდან, დაუბრუნა პატრონს.

ზურგჩანთებს თავი მოხსნეს და დაიწყეს ხილის ჭამა.

— რა დალოცვილი დროა ეს შემოდგომა, ახლა რომ ზამთარი იყოს, რა უნდა გვექნა? — თქვა კრასნოვმა.

— აბა, აბა! — წამოიძახა პეტროვმა.

გაზაფხულს ვერც ერთი დრო ვერ შეედრება სიმშვენიერით, — ჩაერია საუბარში სამუილოვი.

— ბიჭო, შემოდგომა ლამაზიც არის, მდიდარიცა და რაღაცნაირი ტკბილსევდანარევიც, — უთხრა ვოლკოვმა, ხელი მოაფათურა მიწაზე, მოხვეტა ფოთლები და თქვა: აი, ეს ფოთლები ამშვენებდნენ ხეებს, დაცვივდნენ, ქარის ასაგდები გახდნენ, ახლა ქარი დააფრენს თავის ნება-სურვილზე. ფოთლები, ფოთლები, რა მშვენიერია ეს ყვითელი ფოთლები!

— ეგრე, ბიჭო, პოეტები ლაპარაკობენ, შენ ცოტას ხომ არ წაიპოეტებ? — უთხრა სამუილოვმა.

— „კომსომოლსკაია პრავდაში" იბეჭდებოდა ხოლმე ჩემი ლექსები. მიუგო დაღონებულმა ვოლკოვმა.

— არ გაბიკვირდა?!

პეტროვი ვაშლის ჭამაში იყო გართული.

კრასნოვი კი ომში ფოთლებივით დაცვენილ მეომრებზე ფიქრობდა.

სანამ არ ირიჟრაჟა, ფეხი არ მოუცვლიათ ადგილიდან, არ იცოდნენ, იყო თუ არა ახლოს კიდევ სხვა სოფელი, ან ხუტორი. ისეთ ადგილზე მოხვდნენ, აღმოსავლეთიდან ტყე ფარავდა, დასავლეთის მხრიდან უფრო დიდი ტყე ეჩვენებოდათ, შუაში კი ვრცელი ველი მიემართებოდა, ცხენის ფრუტუნი რომ არ გაეგონათ, დასავლეთის მხარეს მდებარე ტყეში აპირებდნენ შესვლას, ყურთასმენა გაამახვილეს, ფეხზე წამომდგარნი ერთმანეთს მიუახლოვდნენ და ხელები მოუჭირეს. ცხენის ფრუტუნს ხმამაღალი შეძახილი და სიმღერა მოჰყვა. მამაკაცის

სიმღერას უფრო ჰგავდა, ოღონდ, როცა ცხენს შეუძახებდა, ქალის ხმაც ესმოდათ. ძნელი ნისახვედრი როდი იყო, ორთვალაზე თუ ფურგონზე მამაკაცი იჯდა და მღეროდა, ქალიც უზის და ცხენს ეხმაურებაო.

ახალი წამოწყებული სიმღერა გაუბედავი იყო, მომღერალი თანდათან შეიდიოდა სიმღერის ეშხში და ისე საამოდ მღეროდა, ყოველი მხრიდან საშიშროების მომლოდინე ოთხი კაცი სულგანაბული უსმენდა და ტკბილ-წყარედ კვნესოდნენ მათი გულები.

ფრინველები დაფრთხიალებდნენ, ჟღურტულებდნენ და შეჰხაროდნენ გათენებას.

„ვიღაც აქაური კაცი იქნება, ქალიც შეიძლება იჯდეს ამ დროს ორთვალა იქნება თუ ფურგონი, ომია, ნამაკაცების ნაკლებობაა სოფლად, მაგრამ ასეთ დროს სიმღერა მხოლოდ მამაკაცს შეუძლია", — თითქმის ერთნაირად ფიქრობდნენ ოთხივენი.

ქალს ზოგჯერ მამაკაცური ხმა აქვს, ჯერ დაუვაჟკაცებელი ჭაბუკიც ხომ მამაკაცია, ხმაც არა აქვს დამდგარი. შესაძლოა, ქალი მამაკაცურად მღეროდეს ჭაბუკზე და დასრულებულ მამაკაცზე უფრო ბოხი ხმა ჰქონდეს, მაგრამ დაკვირვებული მსმენელი მაინც გაარჩევს, ქალი მღერის, ჭაბუკი თუ მამაკაცი.

კრასნოვმა ახალგაზრდებს ჩაუჩურჩულა:

— ვიღაც ჩვენიანია უთუოდ, თავი დავუაროთ, გავიგებთ ვინ არიან, მზად იყავით, ვინ იცის, ვინ არიან, რა ჭკუის ხალხია.

დაწინაურდა კრასნოვი, გაჰყვნენ უკან.

შეჩერდნენ.

— გზის პირას მოვხვედრილვართ, ამხანაგო კომისარო, — უთხრა სამუილოვმა.

— აბა! რას ვიფიქრებდით, ჩვენ კი ტყე გვეგონა, — თქვა კრასნოვმა და დაიძრა.

სამუილოვი უკან მიჰყვებოდა, ვოლკოვი და პეტროვი — შორიახლოს.

შარაგზის მხარმარცხნივ მაღალი ხეები ფარავდნენ სოფელს, დღეც რომ ყოფილიყო, უცხო კაცისთვის, მაღალი და მჭიდროდ მდგარი ხეები ტყის შთაბეჭდილებას ტოვებდა. გაკაფული ტყის ნაწილი დარჩენილიყო, თითქმის მთელ სოფელს გასდევდა და სხვადასხვა ჯიშის ხეების ქარავანი ამშვენებდა შარაგზას.

ტყეში შეიპარნენ და იმდენ ხანს მიჰყვებოდნენ პარალელურად შარაგზაზე მიმავალ ორთვალას, რომ უცნობმა კაცმა კარგახნის დაწყებული სიმღერა დაამთავრა და ღიღინზე გადავიდა.

წამიერად შედგნენ და გაინაბნენ.

ისინი უკან მოიტოვა ორთვალამ, ჟღარუნებდნენ ცხენის კისერზე შებმუ-

ლი ეკვნები და ზანზალაკები, დროდადრო, ქალის შეძახილი — „დრრ-დრრ!“ ისმოდა.

კაცის ხმა აღარ გაუგონიათ. ისევ დაიწყო სიმღერა მამაკაცმა, ახლა უფრო თამამად მღეროდა, რომელიღაც უკრაინულ ხალხურ სიმღერას დასძახოდა, თენდებოდა, ღრუბლიან დილას არა ჰქონდა უკრაინული დილისფერი. ცოტა ხანს კიდევ გასდიეს და შარაგზაც გამოჩნდა, ხმას არ იღებდნენ.

„ულრანი ტყე მეგონა, რა პატარა ტყე ყოფილა, როგორც ნაფოტი დიდი ტყისა!“ — ფიქრობდა კრასნოვი.

ეწადათ გაეგოთ ვინ იჯდა ორთვალაზე, თუმცა სიმღერა სევდიანიც იყო და გამამხნევებელიც, მაგრამ კრასნოვმა იცოდა: გერმანელებიც რომ მსხდარიყვნენ უკრაინელებთან ერთად, უცნობი კაცის სიმღერა იმდენად მხნე და თანამონაწილე ვერ იქნებოდა.

ერთსა და იმავე სიმღერას სულ სხვადასხვანაირად მღერიან. როცა მწუხარე ადამიანი სევდიან სიმღერას მღერის, ჩვენ ვგრძნობთ მომღერლის სულისკვეთებას და არ ვტყუვდებით, მაგრამ როცა ადამიანს არაფერი არა აქვს საწუხარი და მაინც სევდიან სიმღერას ნღერის, არც მაშინ ვტყუვდებით. ორთვალაზე მჯდარ მომღერალს მთელი ნახევარი საუკუნე დაეხია უკან და იგი თითქოს თავისი მამა-პაპის ხმითა და გულით მღეროდა.

„უთუოდ ჩვენიანია!“ — დაიჩურჩულა კრასნოვმა.

ახალგაზრდებს იმედი მიეცათ და მაინც ფიქრობდნენ: ხომ შესაძლოა, გერმანელებმაც გაიარონ შარაგზაზე, მანქანებით იქნებიან თუ ქვეითადო.

მიწაზე განერთხო კრასნოვი, წინ წასულ ორთვალას გააყოლა თვალი. გრძელქურქიანი მამაკაცი იჯდა კოფოზე, სხვა არავინ. მერე მომდინარე გზისკენ გაიხედა, ადამიანის ჭაჭანება არა ჩანდა, ძაღლის ყეფა გაისმა, შეკრთნენ, სუნთქვა შეეკრათ. პატრონს ჩამორჩენოდა მინდვრის ფრინველს დადევნებული ძაღლი, ყეფით მორბოდა. სანამ დაუახლოვდებოდა პარტიზანებს, სუნსულით წამოვიდა, თავი ააღირა, კრასნოვი დაინახა, მიუახლოვდა ყავისფერი ფართოყურებჩამოყრილი ძაღლი, მიაცქერდა მშვიდი თვალებით.

გაულიმა კრასნოვმა იმდაგვარად, თითქოს ადამიანი დაენახოს, ადამიანი, კეთილი ამბის მაუწყებელი, დაწრუპუნება ვერ გაბედა, სამი თითი აათამაშა, ტუჩები დაამრგვალა, მაინც დაწრუპუნება გამოხატა ტუჩებით.

შესცქეროდა ძაღლი, ზანტად აქნევდა კუდს, რაღაცნაირად ჩაიყმუვლა, სწრაფად შეტრიალდა და გაიქცა, დაეწია პატრონს.

კრასნოვმა ამხანაგებს ანიშნა, ოდნავ მოქნეული გზა გადასჭრა, თავი დაუარა ორთვალას, რევოლვერი ნოიმარჯვა. ამოეფარა გზის პირას მდგარ ხეს, მათაც გადასჭრეს შარაგზა, როგორც კი დაუახლოვდა კრასნოვს ორთვალა, ჩაახველა, შეკრთა ორთვალას კოფოზე მჯდარი, შიშნარევი თვალებით მი-

აცქერდა უცნობ კაცს, იმწამსვე მოვიდა გონს და ისეთი ქალური მომხიბლა-ობით გაუღიმა, კრასნოვმა გაიფიქრა:

„მადლობა ღმერთს, ვიღაც ჩვენიანია, მაგრამ ამისთანა ქალურად ნომხიბ-ლავი მამაკაცი, ვის რად უნდა?"

შავყურა და თეთრმკერდიანი ყავისფერი ძაღლი უკვე კრასნოვის წინ იწვა, კბილები დაეკრიჭა, წითელი ენა გადმოეგდო, ძაღლურად „უღიმოდა" და კუდს აქნევდა.

შესცქეროდა კრასნოვი ჯერ კიდევ ახალგაზრდა სანდომიანი სახის უკრაი-ნელ ქალს და ფიქრობდა:

„რომ მღეროდა, ის კაცი სადღაა?"

ულამაზოც რომ ყოფილიყო უცნობი ქალი, კრასნოვისთვის მაინც ნშვენიე-რი იქნებოდა, ქალს კი ისეთი მშვენიერი ტუჩ-კბილი ჰქონდა, ისე მომხიბლავად იღიმებოდა, მზად იყო, თაყვანი ეცა.

უკრაინელმა ქალმა უხეში ხელით გაისწორა აბურდული წაბლისფერი თმა, მძიმედ შემოაბრუნა თავი უკან, თვალი მოავლო შარაგზას და ანიშნა: უკან და-იხიე, მიიმალეო, ნსუბუქად გადმოხტა ორთვალადან, რაღაც მიაძახა ჭაკ ცხენს. დაიფრუტუნა ცხენმა, თავი გააქნია, კულულებივით მიმოეფანტა თავკისერზე ჯინჯილები და გაიჟღარუნეს ზანზალაკებმა. ქალი მარდად შევარდა ტყეში, ხე-ლი ჩაავლო კრასნოვს, მოაშორა შარაგზიდან და კიდევ დაინახა ხეს ამოფარე-ბული სამი ახალგაზრდა კაცი, ყველაფერს მიხვდა, სანამ კრასნოვი ხმას ამო-იღებდა, ხელი გაუწოდა და გაეცნო:

— პოლინა ილინიჩნა დემჩენკო.

— კომისარ პაველ დმიტრიევიჩ კრასნოვ! — ნიუგო, ქალს თვალი შეავლო და გზას გახედა.

პოლინა ილინიჩნამ ახედ-დახედა დაძონძილი კომისარს.

— ამხანაგო კომისარო, მე ამ სოფლიდან გახლავართ, თუ ვინიცობაა გერ-მანელებმა ჩაიარონ მანქანით იქნებიან თუ ქვეითად მიმავალნი, აქ არ გაჩერ-დებიან, მაგრამ მაინც... მე ვითომ საჭირო საქმისთვის გადავუხვიე გზიდან, როგორც იციან მამაკაცებმა, თუმცა მამაკაცები უფრო მოურიდებელი ბრძანდე-ბით, დიახ, ვინ რა უნდა იფიქროს! — სხაპასხუპით და თვალების უცეცებლად ელაპარაკებოდა და იმდაგვარად ისწორებდა ქვედაწელ კაბას, გეგონებოდათ: შა-რვლის ღილებს იკრავსო. პარტიზანებმა მოძალებული ღიმილი ვეღარ შეიკავეს და მყისვე მოიხიბლნენ თანაგემამულე ქალის უშუალობით.

— მგონი, მშვიდობის დილა გაგვითენდა თქვენთან შეხვედრით, — მაღ-ლობის გამომხატველი სახით უთხრა კრასნოვმა და მიაცქერდა.

— უნდა შევძლოთ, გაგითენოთ მშვიდობის დილა, — მიუგო მშვიდად პო-ლინა ილინიჩამ, ერთი გახედა შარაგზას ცერად და თაფლისფერი თვალები შეა-

ნათა კრასნოვს. მერე სამ პარტიზანს გადახედა, სამუილოვი შეარჩია და გაუღიმა.

— პოლინა ილინიჩნა, ჩვენო ძვირფასო! უნდა გვიხსნათ რამენაირად, ბანაკიდან გამოქცეული ტყვეები ვართ, წუხელ დავაღწიეთ თავი, — შესთხოვა კრასნოვმა.

— წუხელ? — გაიოცა ქალმა და შეათვალიერა ისინი.

— თქვენ უკვე პარტიზანები გეგონეთ? — დამნაშავესავით ჰკითხა კრასნოვმა.

— ბანაკიდან თავდაღწეული კაცი ყველა პარტიზანია, წუხელ დიდი ხოცვა-ჟლეტა მოხდა, პარტიზანები დაესხნენ თავს სოფელს, მე მეგონა, თქვენ მათ მოსწყდით.

— უნდა დაგვეხმაროთ! — კიდევ შესთხოვა კრასნოვმა.

პარტიზანების დასახმარებლად მუდამ ნზად მყოფი პოლინა ილინიჩნა არც კი დაფიქრებულა, ისე უპასუხა:

— ნუ გეშინიათ, გული დაიმშვიდეთ, ორთვალას მივაყენებ ტყის პირას, ახლავე დავბრუნდები, — გაბრუნდა დინჯად, მაგრამ დაძაბულად.

კრასნოვმა ჯერ მავედრებელი თვალი გააყოლა და მერე ახალგაზრდებს გადახედა, იღიმებოდნენ კმაყოფილი ახალგაზრდები.

პოლინა ილინიჩნა ძუ ვეფხვივით გახტა შარაგზაზე, გაუჭირვებლად შეხტა ორთვალაზე, ხელი ჩაავლო სადავეს, ორთვალა გზის პირას მიაყენა, გადმოხტა და გაემართა ნათკენ მამაკაცური ღიღინით.

ისინი მაშინვე მიხვდნენ, ვინც მღეროდა ორთვალაზე მამაკაცურად.

— აბა, მომყევით, მიახლოებისთანავე მიაძახა მათ პოლინა ილინიჩნამ და დაწინაურდა.

გაჰყვნენ.

— პაველ დმიტრიევიჩ! გული დაიმშვიდეთ, რაც შემიძლია, ყველაფერს გავაკეთებ თქვენთვის, ჩვენი ქვეყნისთვის, ჩვენი სოფლისთვის. ეს, სადღაა ჩვენი სოფელი, ქალიშვილები გერმანიაში გარეკეს, ამას წინათ კი ერთხელ გადაწვარი სოფელი კიდევ გადასწვეს, პარტიზანებს ეხმარებითო, — მიდიოდა და უკან მოუხედავად მილაპარაკობდა პოლინა ილინიჩნა, ქურქი გაეხსნა, ლამაზი, ჭრელი საშინაო კაბა მოუჩანდა, ყავისფერი თავშალი ხელში ეჭირა, მიაფრიალებდა, ხან ინიავებდა, სახე აწითლებოდა, თვალები უელვარებდა. შედგა, თვალი მოავლო იქაურობას, ახალგაზრდა პარტიზანებს გადახედა, სამუილოვი შეარჩია და ჰკითხა:

— Хлопец, თქვენ როგორ მოგმართოთ?

— ვასია!

— ვასია, — გაიმეორა ქალმა, გაუღიმა თავისი მშვენიერი ღიმილით ჭა-

ბუკს, მერე ორ ახალგაზრდას მიუბრუნდა და სანამ რამეს ჰკითხავდა, ერთად მიუგეს:

— იური.

— კოლია.

პოლინა ილინიჩნას ქმარი — ნიკალაი სინიჩენკო მოაგონდა, მაგრად ჩაიკრა მუშტი მკერდში და დანუკრებულივით წავიდა, მაგრად ჩაირტყა მუშტი მკერდში, მაგრამ მისი მუშტის ჩარტყმა როდი ჰგავდა მოწუწუნე ქვრივი დედაკაცის მუშტს, არა, ეს იყო მუჭარა შურისძიებისა. ათი წუთიც არ გასულა, ისინი უკვე ხშირი ტყის პირას იყვნენ გასულნი.

— ეგერ, ორი დიდი ცაცხვი დგას, ტყიდან ცოტა მოშორებით, ხომ ხედავთ? აქედან კარგად არა ჩანს, იქ ერთი პატარა ფარდულია, შედით შიგ, ჯერ ტყეში შედით, მერე ხოხვით შედით ფარდულში, შუაგულ ფარდულში ფართო ფიცარზე მაგიდა დგას, ახადეთ ფიცარი და ჩადით ფარდულის სარდაფში, ოღონდ არ დაგავიწყდეთ, როცა ჩახვალთ, უნდა შეძლოთ დაახუროთ ფიცარი და ნაგიდაც გაასწოროთ. დღეს, რა დროც არ უნდა იქნეს, ოღონდ ღამით არ შეიძლება, თქვენთან გავჩნდები უსათუოდ, დანარჩენი მაშინ ვილაპარაკოთ, ნახვამდის! — უთხრა კრასნოვს პოლინა ილინიჩნამ და გამობრუნდა.

სირბილით გავიდა შარაგზაზე, მსუბუქად შეხტა ორთვალაზე, სადავე აიღო, ცხენს შეუძახა და დაიძრა თუ არა ორთვალა, სიმღერა შემოსძახა. მირახრახებდა ორთვალა და უკან მისდევდა ერთგული შავყურპანტურა და თეთრშკერდიანი ძაღლი, პოლინა ილინიჩნა რაღაცნაირ ტკბილად მტანჯველ სიამეს გრძნობდა, მას აღარ შეეძლო ემღერა სიმღერა სევდიანი, მამაკაცურად, რიხიანად დასძახოდა:

Широка страна моя родная!..

პარტიზანები უკვე სარდაფში იყვნენ, ნისლიანი დილა იყო, როცა კარგად გათენდა, სარდაფში მაინც ბნელოდა.

კრასნოვმა ასანთი გაკრა, მიიხედ-მოიხედა და როცა კიდევ აინთო სამი ასანთი, პეტროვმა გაზეთი დაგრიხა, მოუკიდა და მიაშველა, მათ დაინახეს წითელმაუდგადაფარებული გრძელი მაგიდა, ზედ წიგნები და გაზეთები ეწყო, ახალი დაკრეფილი მინდვრის ყვავილები — მინის ქილაში და სასანთლეში — წმინდა სანთლები. მაშინვე აანთო კრასნოვმა, აიღო და მიანათა სარდაფის ოთხივე მხარეს, აღმოსავლეთის მხრიდან კედელზე გაკრული იყო ლენინის, სტალინის, ვოროშილოვისა და ბუდიონის სურათები. მათს წინ იდგა გაუქმებული ეკლესიიდან გამოტანილი ოქროსფერი მაღალი კანდელი, მის შუაგულში მსხვილი კელაპტარი იდო, გარშემო კელაპტრისა შემოეყოლებინათ წვრილი სანთლები, კრასნოვმა აანთო კელაპტარი, უკან დაიხია, მნათესავით შემოუარა ვოლკოვმა და მოუკიდა წვრილ სანთლებს, კრასნოვივით დაიხია უკან, მიაცქერდა.

სამუილოვი სარდაფის კუთხეში მიდგა და არავინ დამინახოსო, დაყოვნებით გადაიწერა პირჯვარი.

პეტროვი გარინდებული იდგა.

ლენინი „პრავდას" კითხულობდა.

სტალინს ხელი აღმართა, მისი აღმართული ხელი ამბობდა:

„კმარა უკან დახევა!"

ვოროშილოვი და ბუდიონი ამხედრებული მიაჭენებდნენ ცხენებს, მტერს უტევდნენ.

და იდგა სადღაც, შორს, გაუქმებული ეკლესია, მოთმინებით იტანდა თავს დადგმულ ეკლის გვირგვინს იესო ქრისტე, მის წინ საუკუნეობით მდგარი კანდელი ახლა სარდაფში იდგა, შიგ სანთლები ენთო და ანათებდა საშშობლოს ნამდვილ მხსნელებს.

ჩამოსხდნენ ოთხივენი.

კრასნოვმა ყრუდ ჩაახველა და ახალგაზრდებს მიუბრუნდა:

— ამხანაგებო, ვინა თქვა სასწაული არ ხდებაო? სასწაულია, აბა რა ვუწოდო, რასაც ახლა ჩვენ ვხედავთ? ნამდვილად სასწაულია!

გაბრწყინებული თვალებით შესცქეროდნენ კომისარს ახალგაზრდები.

წამოდგა კრასნოვი, გაიარ-გამოიარა რამდენჯერმე, ისევ დაჯდა და დაიწყო:

— შესაძლოა, არ არსებობდა იესო ქრისტე, გამოიგონა ვიღაც გენიოსმა, იესო ქრისტეზე არანაკლებ ჭკვიანმა კაცმა, იქნებ ხალხის გენიამ გამოიგონა. გამოიგონა და ამ დიდებულმა სიცრუემ დღემდე ხომ მაინც მოაღწია. დღემდე კი არა, გავბედოთ და ვთქვათ: ამ დიდებულ სიცრუეს ვერასოდეს ვერ დაივიწყებს კაცობრიობა, ესენი კი ნამდვილად არსებობენ და გვწამს კიდეც, როგორც სწამთ მორწმუნეთ მაცხოვარი. წამიერად დაფიქრდა, მიუთითა ლენინისა და სტალინის სურათებზე და განაგრძო: მაცხოვარს უწოდა ხალხმა „მხსნელი", აი, ესენი არიან ჩვენი ნამდვილი მხსნელები...

ვოლკოვმა სიტყვა გააწყვეტინა:

— პაველ დმიტრიევიჩ! ქრისტიანები ხომ იესო ქრისტეს უწოდებენ спаситель-ს? ახლა მომაგონდა.

— დიახ, გავა დრო და უფრო მეტად იწამებენ ადამიანები ამ ჩვენს ნამდვილ მხსნელებს, როგორც იწამეს მაცხოვარი ქრისტიანებმა, მე ასე ვფიქრობ, თუ შეიძლება ითქვას, ასე შეიქმნება ახალი სარწმუნოება, შესაბამისი ხალხთა ახალი ცხოვრებისა, ამ ახალი „რელიგიის" უპირატესობა ქრისტეს მოძღვრებასთან ის იქნება, რომ თუ ერთ ლოყაში გაგარტყამენ, მეორე ლოყას კი არ მიუშვერ მტერს, გადაულახავ მუშტს აღმართავ და აგემებ მოძალადეს. მორწმუნე არ

გახლავართ, ახალგაზრდებო, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა: დიდება შენს სახელს, ღმერთო, ამ სასწაულისთვის!

ისხდნენ ახალგაზრდები, დუმილით შესცქეროდნენ საბჭოთა მთავრობას, ნათ აღარ ესაჭიროებოდათ მიღება პარტიზანული ფიცისა, მათი საფიცარნი მათს წინ იდგნენ, მკრთალად ანათებდა სანთლები მოუჩუქურთმებელ „ხატებს" და ეს ოთხი კაცი ისე შესცქეროდა მთავრობის სურათებს, როგორც ღვთისმოსაკნი — ხატებს გაჩირაღდნებულ ეკლესიაში.

უფრო განცვიფრდნენ, როცა დაათვალიერეს სარდაფი და აღმოაჩინეს გაუფცქვნელად მოხარშული ერთი ქვაბი კარტოფილი, ფეტვის პურები, მარილი, ხახვი და ნიორი, ხილით სავსე კალათა და კიდევ ბევრი რამ. გაშალეს სუფრა, ბემრიელად ილუკმებოდნენ დიდი ხნის ნაშიმშილევი ტყვედყოფილები.

ფცქვნიდა კარტოფილს კრასნოვი, მარილზე აწებდა და გაიძახოდა:

— ამხანაგებო, ყველაფერი, რასაც ახლა ჩვენ ვხედავთ, ხომ პარტიზანებისთვის არის მომზადებული გონივრულად, სასოწარკვეთილნი კი არ არიან ჩვენი თანამებრძოლენი, მტრის ხელში არიან და ებრძვიან მათ, როცა დროებით დამარცხებული ხალხი ბრძოლას განაგრძობს, მისი საბოლოოდ დამონება არავის არ შეუძლია, — ელაპარაკებოდა კომისარი თანამებრძოლებს. თითქოს რაღაც შემოესმაო, ყური ცქვიტა.

ძილი ერეოდათ.

— დავწვეთ ახლა და დავისვენოთ, — ურჩია კრასნოვმა მათ.

სამივენი დაწვნენ, ნალე ჩაეძინათ.

კომისარი გვიან დაწვა, ათასნაირი ფიქრი არ ასვენებდა, ჩააქრო წვრილი სანთლები, მხოლოდ კელაპტარი დატოვა, კედელს შესცქეროდა, სამშობლოს ნამდვილი მხსნელები თავიანთ საქმეს განაგრძობდნენ:

ლენინი „პრავდას" კითხულობდა, ხელაღმართულ სტალინს ჯერ კიდევ არ დაემთავრებინა სიტყვა, ამხედრებული ბუდიონი და ვოროშილოვი ცხენებს მიაქროლებდნენ, მტერს უტევდნენ.

დიდი ხნის ფიქრის შემდეგ კრასნოვსაც ჩაეძინა.

პოლინა ილინიჩნა მამაკაცივით დასძახოდა და მიაქროლებდა ორთვალას, მოთბინება აღარ ჰყოფნიდა, ცდილობდა, რაც შეიძლებოდა, მალე ჩაეღწია სოფელში, პურის საცხობში უნდა მისულიყო და დაბრუნებულიყო. საუკეთესო მზვერავი ქალი მხოლოდ პურის ზიდვით კი არ იყო დაინტერესებული, მართალია, ომის მძიმე წლებში მას არ შეეძლო ესაზრდოებინა ოჯახი გაურჯელად, ყველაფერს აკვირდებოდა გზად თუ სოფლად და აწვდიდა ცნობებს ახლო თუ შორეულ ტყეში თავშეფარებულ პარტიზანებს.

მივჩქარებოდა პოლინა ილინიჩნა, სადავე მოზიდა, თავი მოაღრეჯინა ცხენს, გადასჭრა ჭარხლის მინდორი, გზა დაიმოკლა, ერთი კიდევ შესძახა და

გაუშვა დაოთხილი ცხენი. თამაშ-თამაშით მისდევდა უკან ძაღლი, მაღალ შამბნარში რომ გაიშლიგინებდა თეთრმკერდიანი პირუტყვი, გეგონებოდათ, თეთრი ფრინველი გამოფრთხიალდაო, შამბნარში განაბულ ბევრ ფრინველს დაუფრთხო ძილი პოლინა ილინიჩნას ძაღლმა, განაბულ თრითინას წააწყდა, დაედევნა ყეფით, ისკუპა თრითინამ, ეულად მდგარ არყის ხეზე შეასწრო, კენწეროზე მოექცა, კუნელისოდენა შავი თვალებით გადმოხედა. ხის ძირას აყეფებულ ძაღლს, გარშემო უვლიდა ხეს გაგულისებული ძაღლი, ცალი თვალი პატრონისკენ ეჭირა.

ბუჩქებში მიმალულმა ბარელმა ძაღლის ყეფამდე გაიგონა პოლინა ილინიჩნას შეძახილი, არ დაუნახავს ნინდორში შემოჭრილი ორთვალა, არც მისი რასრახი ესმოდა, ეგონა, ორთვალა შარაგზაზე მიჰყავდა პატრონს.

როცა მარტო დარჩა მსუბუქად დაჭრილი და ფეხნაღრძობი ბარელი, დიდხანს იყო მიყრდნობილი ზურგით ჯირკზე, შესცივდა. მაინც არ შეიძლებოდა იმავე ადგილზე დარჩენა, საიმედო ადგილის მოძებნას შეუდგა, ბარი დაიბიჯგა, სცადა გავლა, უფრო ასტკივდა ნაღრძობი ფეხი, ბარს ვერ შეელია, ფორთხვით გადასჭრა შარაგზა, გადავიდა ჭარხლის მინდორში, შამბი მოგლიჯა, დაახვავა და დაწვა ზედ. ძაღლის ყეფა რომ გაიგონა, წამოიწია და დაინახა მომავალი ორთვალა და კოფოზე მჯდარი ვიღაც კაცი, ანაზე უკეთეს შემთხვევას მე ვეღარ ვეღირსები, უსათუოდ უკრაინელი იქნებაო, — გაიფიქრა, ხელი აღმართა და როგორც კი დაუახლოვდა ორთვალა, გაუბედავად შესძახა:

„შეჩერდით!“

პოლინა ილინიჩნამ მაგრად მოზიდა სადავე, თავი დაახრევინა ცხენს, შეაჩერა ორთვალა. წამიერად შემკრთალ ქალს დიდად როდი გაჰკვირვებია დანახვა უცნობი კაცისა, იმწამსვე მიხვდა ვინც იქნებოდა იგი, მხარმარცხნივ შემოაბრუნა ორთვალა, თავს დაადგა ბარელს, თვალი მოავლო იქაურობას, არავინ დაუნახავს, მხოლოდ ერთი ვრცელი მინდორი გადაშლილიყო, კიდეც რომ გამოჩენილიყო ვინმე გერმანელთაგანი, მას შეეძლო დაენახა შორიდან შუაგულ მინდორში მდგარი ორთვალა, სხვა არაფერი, ოღონდ, როცა კარგად გათენდა, გერმანელთა მანქანებმა იწყეს ქროლვა შარაგზაზე.

— მგონი, ბედნიერი შემთხვევაა, რომ წამაწყდით, — დაიჩურჩულა ბარელმა და მაინც შიშნარევი თვალით მიაცქერდა უცნობ ქალს.

— დიახ, ბედნიერი შენთხვევაა, — წყნარად და მტკიცედ მიუგო ქალმა.

— ირიჟრაჟა თუ არა, ვუთვალთვალებ, აქ არავის ჩაუვლია, შორიდანაც კი ვერავის მოვკარი თვალი, — კიდევ დაიჩურჩულა დაჭრილმა ჯარისკაცმა.

— ვინ ჩაივლიდა, აქ ხომ გზა არ არის, — შუბლშეჭმუხნით უთხრა პოლინა ილინიჩნამ, დააკვირდა, გაუღიმა ქალური სინაზით, თავშალი მოიხადა, აიქნია და უხეშად ჩაცმულ-დახურული ქალი ნაგავზე ამოსულ ველურ ყვავილს დაემსგავსა.

— უკრაინელო ქალო, როგორ მოგმართოთ? — ჰკითხა ბარელმა და შეაკვლო თვალი.

პოლინა ილინიჩნას ქურქი გაეხსნა, საშინაო ჭრელი კაბა მოუჩანდა, თავშალი მხარზე გადაეფინა. სანამ ახლოს მივიდოდა და თავშალს მოიხსნიდა, ხანში შესული უწვერულვაშო მამაკაცი ეგონა იგი ბარელს.

— პოლინა! — ახლა უფრო მეტი ალერსითა და ღიმილით მიუგო ქალმა.

— მეტი არაფერი?

— პოლინა, მეტი არაფერი! — თქვა ქალმა, მშვენიერმა ღიმილმა უფრო მეტად დაუმშვენა ლამაზი ტუჩ-კბილი.

პოლინა ილინიჩნას ეწადა, უფრო ახალგაზრდა გამოჩენილიყო, მამის სახელით „ილინიჩნად" მოხსენიება პატივისცემასთან ერთად, წლოვანებასაც მატებდა. იმღამინდელი სიზმარი მოაგონდა: ვიღაც უცნობი მამაკაცი ეხვევოდა და კოცნიდა. თენდებოდა, დედამთილმა გამოაღვიძა, არ დააგვიანდესო, გაღვიძება და საამო სიზმრის გაფრენა ერთი იყო.

„დახე, როგორ ამიხდა წუხანდელი სიზმარი?" — გაიფიქრა, ქურქი შეიკრა, გაისწორა დამამშვენებლად აბურდული თმა, თავშალი მოიხვია თავზე, ისევ გაუხეშდა, მოუსვენარი თაფლისფერი თვალები და გამომწვევად გამობურცული ტუჩები ფარავდნენ მამაკაცურად ჩაცმულ-დახურულ ქალს.

ბარელი სიამით შესცქეროდა ქალსა და არ იცოდა, რა ეთქვა.

— ალბათ წუხელ დაგჭრეს, თქვენ დაუფრთხეთ ძილი გერმანელებს? აქ საიდან მოხვდით?

— დიახ, წუხელ დამჭრეს, მსუბუქად ვარ დაჭრილი, ფეხი რომ არ მღრძობოდა, არ გამიჭირდებოდა ბრძოლა, ჯერ არა ვარ პარტიზანი, ბანაკიდან გამოვიქეცი.

— სულ ერთია, ვინც ბანაკიდან გაიქცევა, იგი უკვე პარტიზანია, — პირქუშად მიუგო პოლინა ილინიჩნამ, თითქოს საყვედურობდა.

— იცით, რასა გთხოვთ? უნდა...

— სათხოვარი მერე იყოს, — გააწყვეტინა სათქმელი, — თუ შეგიძლიათ, მიდით, აი, იმ დაბალ ხემდე, მაღალ ბუჩქნართან.

— შევძლებ, გამართვის მეშინია, არავინ დამინახოს, თორემ იმდენად რიდი მიჭირს სიარული, — თქვა მამაკაცური რიხით ბარელმა და მოემზადა.

— ნუ გაიმართებით, წაფორთხდით, მე აქ მოგიცდით, ვითომ ცხენის სადავე ან მოსართავი გამიწყდა, მოეშვა, მოვაყენებ ორთვალას, დაგსვამთ ზედ, მიდით, ჩქარა.

— სად უნდა წამიყვანოთ? — ოდნავი ეჭვით ჰკითხა.

— შინ წაგიყვანდით, ჩემთან, დაგმალავდით საიმედო ადგილას, რომ შეიძლებოდეს, ნუ გეშინიათ, აბა, მიდით.

დაიოთხა ბარელმა, აიკეცა მარცხენა ფეხი და წაფორთხდა.

ჩამოხტა პოლინა ილინიჩნა, სადავე აიღო და დააცქერდა, გახედა ცალი თვალით ფორთხვით მიმავალ ბარელს, ლაგამი გამოაცალა ცხენს პირიდან, ისევ ამოსდო, შეაგდო სადავე კოფოზე, შეხტა ორთვალაზე და დასძრა, დინჯად მიუახლოვდა და დაადგა თავს ბუჩქებში ჩამჯდარს, გადმოხტა, ხელი ჩაავლო მკლავში.

— ადექით, ორთვალაზე დაგსვამთ, წავიდეთ.

— სად უნდა წამიყვანოთ? — ამჯერადაც გაუბედავად ჰკითხა.

— ნუ გეშინიათ, საიმედო ადგილზე წაგიყვანთ.

— იქ არ იქნებიან გერმანელები? — მაინც ჰკითხა უკვე მინდობილმა.

— გერმანელებით ახლა სავსეა მთელი უკრაინა, ვითმენთ ჯერჯერობით, ადექით, მენდეთ, — ჩაიჩურჩულა პოლინა ილინიჩნამ, ძირს დაიხარა, ქვა აიღო, გადაისროლა, თან გახედა მინდორს, შარაგზისკენ. დაედევნა ძაღლი ქვას, პირი დაავლო, მიიტანა და დაწვა არყის ხის ძირას. კენწეროზე გასული თრითინა არხეინად დასცქეროდა მოდარაჯე ბატერს.

აიკაუჭა ბარელმა ნაღრძობი ფეხი, ხელი შეაშველა ქალმა, ცალ ფეხზე ხტომა-ხტომით მივიდა ორთვალამდე, ხელი ჩაავლო, ახტა პოლინა ილინიჩნა, ხელი გაუწოდა, ბარელს მაინც გაუჭირდა ასვლა, მკერდზე მიიხუტა ღონიერმა ქალმა ჭაბუკი, მამაკაცის სუნი იგრძნო, გული აუთრთოლდა, აიყვანა, გზის მიმართულებით გააშლევინა ფეხები, მთლიანად დაჰფარა პურის საზიდი ტომრებით და დასძრა ორთვალა, სანამ შარაგზაზე გადავიდოდა, შეჩერდა, ბალიში აიღო კოფოდან, გადახადა თავზე წაფარებული ტომარა, თავქვეშ ამოუდო.

— ტანკებით გადათხრილი ოღროჩოღრო გზებია, სწრაფად ვერ ვიაროთ, — ჩაუჩურჩულა და ტომარა წააფარა თავზე.

— გმადლობთ, ძვირფასო! — ჩაიჩურჩულა ბარელმა და თვალი დახუჭა.

ვეღარ მოითმინა აღგზნებულმა ქალმა, ისევ გადახადა ტომარა, დახედა, გაუღიმა ჭაბუკმა, ქალმაც გაუღიმა, სწრაფად შებრუნდა, ცხენს შეუძახა და გააქროლა, გული უჩქროლავდა, იმღამინდელი სიზმარი აგონდებოდა, ვიღაც უცნობი მამაკაცი რომ ეხვეოდა და კოცნიდა.

პოლინა ილინიჩნას ძაღლი იძულებული გახდა მიეტოვებინა არყის ხის კენწეროზე გასული თრითინა, უკანასკნელად კიდევ შეჰყეფა, დაედევნა პატრონს.

არ შორდებოდა პოლინა ილინიჩნას ერთმანეთში არეული სუნი თამბაქოსა და მამაკაცისა, ომში დაკარგული ქმარი მოაგონდა, თითქოს მის გვერდით იწვა და გრძნობდა ქმრის ტანის, არაყისა და თამბაქოს სუნს, მას არ უყვარდა ლოთი მამაკაცები, მაგრამ საოცრად მოქმედებდა სუნი თამბაქოსა და მაგარი სასმელისა.

აღარ შეეძლო ჯერ სოფელში შესულიყო პურის მოსაზიდად, საშიში რომ არ ყოფილიყო, დიდი ხალისით წაიყვანდა შინ, აიხდენდა სანატრელ სიზმარს, მერე როცა ფეხზე დააყენებდა, ერთ კარგ პარტიზანს შემატებდა პარტიზანულ რაზმს.

გორენკოების სოფლისკენ გაემართა, იქ ჰყავდა საიმედო მოხუცი ცოლ-ქმარი, სამი ვაჟი ჰყავდათ, სამივენი ომში იყვნენ, მოხუცებს წიაშურა.

გულის ძგერით მიაქროლებდა ორთვალას, ებრალებოდა ზედ დაგდებული დაჭრილი ბარელი, რამდენჯერმე დააპირა გაეხადა ქურქი, დაეფინა და ზედ დაეწვინა ავადმყოფი. სანამ შარაგზაზე გადავიდოდი, მანამდე უნდა მოვქცეულიყავი ასეო, — ფიქრობდა იგი. რამდენ გერმანელსაც მოჰკრავდა თვალს, იმდენს მატულობდა მისი გულის ძგერა, ნახევარი გზა რომ გაიარა და ცოტა შემცირდნენ ქვეითად მიმავალ-მომავალი გერმანელები, სვლა შეანელა, ავადმყოფს მიხედა, ტომარა გადახდოდა თავზე, თვალი მიელულა, შუბლი შეეჭმუხნა, შესაყართან ერთმანეთს დასჯახებოდნენ შავი გადაწოლილი წარბები, საცქერად საამო სახეს ტომარა გადააფარა, თვალს არიდებდა ნაცნობებს, გერმანელების დანახვა კი ქვეწარმავლებივით ეზიზღებოდა, ერთი გაბედული გაქროლება და ისინი ადგილზე იყვნენ.

მიადგა მოხუცი ცოლ-ქმრის ეზოს.

პირდაპირ შეიყვანა ორთვალა ღია ჭიშკარში.

ეზოში არავინ ჩანდა.

„ალბათ შინ არის, უზის დავრდომილ ქმარს", — გაივლო გულში პოლინა ილინიჩნამ.

საბძელთან შეჩერდა, გადმოხტა, გამოიტანა თივა, დაუყარა ცხენს, ბოსტნიდან მომავალი დიასახლისი დაინახა, ახალი მოწყვეტილი გოგრა ეჭირა ხელში კირწით, ძლივს მოჰქონდა, თვალს აკლდა მოხუცს, წაკითხვა და ნემსში ძაფის გაყრა არ შეეძლო უსათვალოდ, თორემ შორიდან უკეთ ხედავდა, იცნო ნათესავი, მაინც მოიჩრდილა ხელი შუბლზე, გოგრა ძირს დადო, მერე მიაცქერდა საბძლის წინ დაყენებულ ორთვალას, ცხენი გემრიელად ახრამუნებდა თივაში შერეულ ჩალის ღეროს.

— დილა მშვიდობისა, ავდოტია აკიმოვნა! — მიაძახა პოლინა ილინიჩნამ, მიეახლა, გადაკოცნა და წყნარად უთხრა: — შინ შევიდეთ!

ავდოტია აკინოვნა მიხვდა, რაღაც საიდუმლო საქმისთვის რომ იყო მისული, როგორც კი შევიდნენ შინ, იმწამსვე გაუმხილა საიდუმლო.

მოხუცმა აკალთული კაბა ჩაუშვა, კეთილი თვალით მიაცქერდა ნათესავ სტუმარს და ჰკითხა:

— ვინ არის, სად შეგხვდა?

— აღებული ჭარხლის მინდორში წავაწყდი, დაჭრილი პარტიზანია, სახელი და გვარიც კი არ მიკითხავს, მერე გიამბობ დაწვრილებით.

„მამაზეციერო ღმერთო, გვიხსენი ბოროტი სულისაგან!" — შეევედრა ღმერთს, პირჯვარი გადაიწერა და უთხრა: მე ჭიშკარს დავკეტავ, ბოსტანთან ფეხმოტეხილი ბატი მყავს დამწყვდეული ყუთში, მივხედავ, თუ ჭიშკარს არავინ მოადგა, სხვა მხრიდან ვერავინ დაინახავს, სამზარეულოში შეიყვანე.

გავიდა შინიდან, ჭიშკარი ჩაკეტა, ყუთში დამწყვდეულ ბატს სიმინდის ცომი ჩაუყარა და გამოელაპარაკა:

„აჰა, ჭამე და გასუქდი, შე საწყალო, როგორც შენა ხარ ფეხმოტეხილი, ისე მოტყდეთ კისერი გერმანელებს, იქნებ მოგირჩეს ფეხი, არ მორჩები და...“

პოლინა ილინიჩნა ან დროს ორთვალადან ჩამოფორთხებულ ტომარაგადაფარებულ ბარელს ეხვეწებოდა, რაც შეიძლებოდა, ჩქარა შესულიყო სამზარეულოში. შეფორთხდა ტომრებით დაფარული ბარელი. ქალმა კუთხეში მიუჩინა ადგილი, ტომრები დაუგო, მე ახლავე მოვალო, — უთხრა და გავიდა გარეთ.

ავდოტია აკიმოვნა და პოლინა ილინიჩნა სახლის წინ შეხვდნენ ერთმანეთს, ბევრი ლაპარაკის დრო აღარ იყო, სთხოვა მიეხედა დაჭრილი ჯარისკაცისთვის, რამდენიმე დღე გაეჭირვებინა, მერე თვითონ მოვალ და ვუპატრონებო, ღვთის მადლითა და შემწეობით, ყველაფერს მოვახერხებო, — დაუზარებლად დაკპირდა ნოხუცი, დღესვე თუ არა. ხვალ აუცილებლად მოვალ და მოველაპარაკოთ, — უთხრა პოლინა ილინიჩნამ, შევიდნენ სამზარეულოში.

პოლინა ილინიჩნამ კარი ჩაკეტა, სკამი მისწია და მიუჯდა ბარელს.

ავდოტია აკიმოვნა მოკრძალებით, ხელების ფშვნეტით მიუახლოვდა, მიესალმა და კარგი ნაცნობივით გამოელაპარაკა:

— როგორა ხარ, შვილო, რა დაგემართა?

— კარგად ვარ, დედი, მსუბუქად ვარ დაჭრილი, ფეხი რომ არ მღრძობოდა, მტერს არ შევუშინდები, — მიუგო ბარელნა და თვალი შეავლო პოლინა ილინიჩნას.

— სადაური ხარ, შვილო? ქართველი იქნები, უეჭველად!

— დიახ, ქართველი გახლავართ!

— რა დალოცვილია თქვენი ქვეყანა, ვყოფილვარ საქართველოში, საიდან ხად, შენ დღეიდან რაღა გიჭირს, საწყალი დედაშენი მებრალება, ხომ იცი, რა არის დედის გული, სამი ვაჟი მყავს, სამივენი ომში არიან, დიდი ხანია, აღარაფერი ვიცი მათი, — ელაპარაკებოდა ავდოტია აკიმოვნა, თან თავსაფრის ყურით იწმენდდა ცრემლებს. პოლინა ილინიჩნას მიუბრუნდა: მე ტარასს მივხედავ, გავაფრთხილებ, ის შემირჩევს ამის დასამალავ ადგილს, დატრიალდი, აჭამე, მშიერი იქნება, რაც გაგვაჩნია, ყველაფერი აქაა, — ბარელს გადახედა და გავიდა გარეთ.

დატრიალდა პოლინა ილინიჩნა, გამოიღო განჯინაში შედგმული რძიანი ქოთანი, პური მაგიდაზე იდო, სუფთა თეფში და კოვზი მონახა, დაუსხა მჟავე რძე, მიუტანა.

— თუ უხერხულად არ ზიხართ, აქვე ისაუზმეთ, იქნებ, მაგიდასთან გირჩევნიათ!

— გმადლობთ! კარგად ვზივარ,—მიუგო კედელზე ზურგით მიყრდნობილმა ბარელმა.

სანფეხა მაღალი სკამი დაუდგა წინ, კედელზე დაკიდებული წითელქობიანი თეფშების გასაშშრალებელი ტილო გადააფარა სკამს, ზედ დააწყო პური და რძიანი თეფში, — მიირთვით. მე ახლავე შემოვალო, — უთხრა და მიატოვა, არ უნდოდა ეცქირა მშიერი მამაკაცისთვის, არ უნდოდა ჩრდილი დასდგომოდა ჭაბუკის ლამაზ თვალებს.

შევარდა ავდოტია აკიმოვნასთან. სანამ ისინი მოილაპარაკებდნენ, ბარელმა გენრიელად ისაუზმა, მოეწონა მჟავე რძე, მაწონი მოაგონდა. პოლინა ილინიჩნა რომ სამზარეულოში დაბრუნდა, ბარელი მშვიდად აბოლებდა გაზეთის ქაღალდში გახვეულ თამბაქოს და იღიმებოდა, მსხვილი მწყობრი კბილები მოუჩანდა, შვენოდა.

— Хлопец, მე უნდა დაგტოვო ახლა, მეჩქარება, — გულდაწყვეტით უთხრა პოლინა ილინიჩნამ. რაღაც მოაგონდა, ნაკლული ბოთლი მოხვდა თვალში, პირველად რომ შეიხედა განჯინაში, გამოიღო ბოთლი, არაყი აღმოჩნდა. დაუსხა და დაუდგა წინ.

— გაგიმარჯოთ, ქალბატონო პოლინა, საქართველოში რომ დავბრუნდები, ჩვენი ღვინით დავლევ თქვენს სადღეგრძელოს, — უთხრა თვალმოუშორებლად და გადაჰკრა, მერე თვითონვე დაასხა და ზედიზედ გადაჰკრა ორი ჭიქა, ვერც კი წარმოედგინა რძეზე არაყი, მაგრამ კიდევ მიაყოლა, სიამით გააჟრჟოლა და მანაც გულდაწყვეტით უთხრა:

— უნდა წახვიდეთ? მერე მე რა ვქნა? როდის შევხვდებით კიდევ ერთმანეთს? — მადლობის გამომხატველი კილოთიც ეუბნებოდა და მამაკაცური ეშმაკობითაც, თვალებში მაცდური სხივი გაუკრთა, ღიმილი მოერია და ხელი მოუჭირა ხელზე.

— თუ მოვახერხე, დღესვე განახავთ, თუ არა და ხვალ მელოდეთ! — ამოიოხრა და წამოდგა.

ქალის ამოოხვრამ და არაყმა საწადელი გააბედვინა ჭაბუკს.

— დიდად გმადლობთ, პოლინა...

დაიწყო და შეჩერდა, არ იცოდა ქალის მამის სახელი, რომ სცოდნოდა და ეთქვა „პოლინა ილინიჩნაო", ამით ვერ მოხიბლავდა ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქალს.

— დიახ, პოლინა! — ღიმილით მიუგო.

— მე არ ვიცი, სანამდე უნდა ვგდებულიყავი ბუჩქებში მიმალული, მიმსახურეთ, რითაც გენებოთ, მზადა ვარ თქვენთვის, თუ ისურვებთ და კიდევ შეწუხდებით ჩემი ნახვით, გიამბობთ ჩენს თავგადასავალს. ეს, დავკარგე ამხანაგები, არ ვიცი, რა ბედი ეწიათ მათ, — უთხრა ბარელმა და წამოიწია.

— ნუ გეშინიათ, ეს კეთილი მოხუცი მოგხედავთ, ჭრილობის წამალსაც მოგიტანთ, — თანდათან მეტი ალერსით ელაპარაკებოდა პოლინა ილინიჩნა.

— აქ, ამ სამზარეულოში უნდა დავრჩე?

— არა, აქ არ შეიძლება, გამოგინახავენ ადგილს.

—მტოვებთ ნოხუცი ქალის ამარა, — თვალმოუშორებლად ელაპარაკებოდა ბარელი.

— გტოვებთ, მოხუცი რომ არ იყოს, ახალგაზრდა რომ იყოს, ვერ გაგიმეტებდით, — პოლინა ილინიჩნაც ოვალმოუშორებლად ელაპარაკებოდა, ქურქი შეიხსნა, სარკმელი გამოაღო, მხრებზე გადაიწია ქურქი, ალმური შემოგზნებოდა სახეზე, ცხვირსახოცი დაინიავა.

„ახალგაზრდა რომ იყოს, ვერ გაგიმეტებდითო", გაახარა, გაათამამა ამ სიტყვებმა ბარელი, ნიაცქერდა სარკმლის რაფაზე მიყრდნობილი ქალის სავსე გულ-მკერდს და სთხოვა:

— ცოტა ხანს მაინც დარჩით, სულ ცოტა ხანს, განა რა გაქვთ ასეთი საჭიროო საქმე?

ქალმა ცხვირსახოცი მიიფარა თვალებზე და ფიქრობდა:

„ავდოტია აკიმოვნას მოლოდინი რომ არ მქონდეს, რომ არ მქონდეს..."

უცებ გაახილა თვალი და შესძახა:

— ნახვამდის! — და გაუწოდა ხელი.

ბარელმა მაგრად ჩამოართვა ხელი, გაულიმა, უჭერდა თავის დიდ ხელს, არ უშვებდა.

— მე მივდივარ ისე, რომ სახელიც კი არ ვიცი თქვენი, რომ დამჭირდეს, რა ვთქვა?

— კახა — მიუგო ბარელმა და ტუჩები აუთრთოლა სიამის ღიმილმა.

— კახა! — წარმოთქვა უკრაინულ კილოზე პოლინა ილინიჩნამ და ჰკითხა: — გვარი?

— ბარელი.

— ბარელი! — გაიმეორა ქალმა და „ე"-ზე დაუსვა მახვილი.

— ძვირფასო პოლია! დიდად გმადლობთ სიკეთისთვის, — უთხრა, ახლოს მიიზიდა, — რაღაც უნდა გითხრათ საიდუმლოდ, პოლია, არავინ გაიგონოს, ყურში უნდა ჩაგიჩურჩულოთ, ხომ იცით, რომ მე... — დაბნეულად იმეორებდა ერთსა და იმავე სიტყვებს, ქალის თმისა და ტანის სუნს დაებნიდა.

მიჰყვა ჭაბუკის ნებას.

ბარელმა ტუჩ-პირი მიადო ყურზე და მერე სახეზე დააცქერდა თვალმინაბულს, ფრთხილად მიუახლოვდა გამობურცულ მადიან ტუჩებსა და ხარბად დაეწაფა.

მამაკაცის სუნთქვამ თავბრუ დაახვია პოლინა ილინიჩნას, წალეკა, წაიღო. ერთხანს გაყუჩდა, გონს მოეგო, ხელიდან გაუსხლტა. „ღმერთო ჩემო, როგორ ამიხდა წუხანდელი სიზმარიო!" — ჩაიჩურჩულა და გავარდა გარეთ, შეხტა ორთვალაზე, ბარელის თავქვეშ ნადები ბალიში კალთაში ჩაიდო, სადავე მოზიდა და დასძრა ორთვალა.

წამოდგა ბატიან ყუთზე ჩამომჯდარი ავდოტია აკიმოვნა, ჭიშკარი გაუღო. როგორც გითხარით ავდოტია აკიმოვნა, ძვირფასო! — მიაძახა პოლინა ილინიჩნამ, რიხიანად შეუძახა ცხენსა და გიჟურად გააქროლა, ეწადა რამენაირად აენაზღაურებინა სასიამოვნოდ დაკარგული დრო, პური მიეტანა სოფლის მაღაზიისთვის და მერე ენახულებინა სარდაფში თავშეფარებული პარტიზანები.

სოფელში შესულმა პოლინა ილინიჩნამ გვერდით ჩაუარა გერმანელ ოფიცერთა დანგრეულსა და დამწვარ სახლს, მკვდრები აეკრიფათ, დაჭრილებთან ერთად გადაეტანათ ლაზარეთში. იმ „უბედური" შემთხვევის ადგილზე არავის უშვებდნენ, გარდა გერმანელებისა, მაინცდამაინც, არც უკრაინელები მიისწრაფოდნენ, გულით კი ეწადათ დაენახათ თავიანთი სოფლის გადამწველნი, კიდეე გამოჰქონდათ დამწვარი მკვდრები.

პარტიზანებთან შეთანხმებით, სოფლად მიმალულ ფიცმიუღებელ პარტიზანებს, უკრაინელი პოლიციელების ხელშეწყობით, ცეცხლგამჩენი სითხით სავსე ბოთლები ეტყორცნათ გერმანელ ოფიცერთა ოთახში ღია სარკმლიდან, როცა მაგიდას უსხდნენ და შეექცეოდნენ მშვენიერ ფრანგულ კონიაკს. სახლის აფეთქება, ხანძრის გაჩენა და შემოჭრილი პარტიზანების თავდასხმა ერთად მომხდარიყო.

ნავშლით პირახვეული პოლინა ილინიჩნა დიდი კმაყოფილებით უცქერდა დაღვენილ გერმანელებს, ნაცნობი უკრაინელი პოლიციელებიც კი დაინახა და რაღაც ანიშნა.

ვაჟის კოცნას ზღვასავით აეჯანყებინა ჯან-ღონით სავსე ქალი, მაგრამ აღელვებულ ზღვასავით მრისხანე როდი იყო, თანასოფლელი უკრაინელი მოხუცი დაინახა პურის რიგში, გაანდო საიდუმლო. მოხუცმა კაცმა დაუთმო თავისი რიგი, მიიღო პური... მიუშვა სადავე და გაემართა შინისკენ.

ნაშუადღევს, როცა ჭარხლის ამომღები ქალები წავიდ-წამოვიდნენ, პოლინა ილინიჩნამ ფარდულის კარი შეაღო, შევიდა, გაიჭვრიტა ჭუჭრუტანიდან გზისკენ, მერე მაგიდა გადადგა, ფიცარზე დააკაკუნა და სარდაფში ჩასძახა:

— მე ვარ პოლინა ილინიჩნა, მიმიღებთ?

— მობრძანდით, ძვირფასო, მობრძანდით! — ძლივს გასაგონად ამოსძახა კრასნოვმა.

ახადა ფიცარი, ჩავიდა, კიბეზე დადგა, გაასწორა ფიცარი და მაგიდა, ჩასტა, ღიმილით შეათვალიერა პარტიზანები, ქალს აღარ გამოურჩევია სამუილოვი, ბარელმა დაჩრდილა მშვენიერი უდანაშაულო ყმაწვილი.

— გთხოვთ, მაპატიოთ დაგვიანება, — მობოდიშებით დაიწყო ქალმა, ნუ მეგონა, ადრე დავბრუნდებოდი, ღმერთო ჩემო! რა საოცარი დღეა დღეს, არ ვიცი, რა ვუწოდო ამ დღეს! ჯერ თქვენ შეგხვდით უთენია, მერე თქვენ რომ დაგტოვეთ, კიდევ წავაწყდი ერთ დაჭრილ პარტიზანს.

ოთხი კაცი ერთმანეთს მიაცქერდა.

— ვის წააწყდით? — ჰკითხა კრასნოვმა.

— დაჭრილ პარტიზანს წავაწყდი, ქართველი ხლოპეცია.

ახალგაზრდები შიშით შესცქეროდნენ პოლინა ილინიჩნას, ვაითუ ის არ იყოსო.

— სად წააწყდით, გამოელაპარაკეთ? გვარი არ ჰკითხეთ?

— ვერ დავიმახსოვრე გვარი, ძალიან ვღელავდი.

— სახელი? არც სახელი გახსოვთ? — ჰკითხა ვოლკოვმა.

— სახელი? — დაფიქრებით თქვა პოლინა ილინიჩნამ.

— კახა ხომ არ ერქვა? — ახლა პეტროვმა ჰკითხა.

— ჰო, ჰო, კახა მქვიაო, მე არ გამიგონია ასეთი სახელი.

ახალგაზრდებმა ტაში შემოჰკრეს, ერთმანეთი შეანჯღრიეს.

— ესეც სასწაულია! — წამოიძახა კრასნოვმა, შვებით ამოისუნთქა, გადაეხვია პოლინა ილინიჩნას, აიღო და დაუკოცნა შრომით გაუხეშებული ხელი.

შემოეხვივნენ ახალგაზრდები და ეკითხებოდნენ;

— სად წააწყდით?

— სად დატოვეთ?

—როგორ დავტოვებდი, სოფლამდე კიდევ შორს იყო, დავსვი ორთვალაზე და წავიყვანე, ჩემი ნათესავის ოჯახში მივიყვანე და ჩავაბარე.

გახარებული ახალგაზრდები სულის მოთქმას აღარ აცლიდნენ.

კრასნოვს პოლინა ილინიჩნას ხელი ეჭირა ხელში და დინჯად ჰკითხა:

— პოლინა ილინიჩნა, ჩვენი ამბავი არ უთხარით?

— არა, არ მითქვამს.

— რატომ არ უთხარით? ასე მალე დაგვივიწყეთ? — გაეხუმრა კრასნოვი.

— დრო არ იყო მეთქვა, სხვა მიზეზი ისიც გახლდათ, რომ ყველასთან როდი უნდა გაამხილო, სად იმალებიან პარტიზანები, საიდუმლოდ უნდა შეინახო, მორჩება, მივაკითხავ და მოგიყვანთ.

— დიდად გმადლობთ, პოლინა ილინიჩნა! კარგად მოქცეულხართ.

— ასეთ დროს ყოველთვის დიდი სიფრთხილეა საჭირო, — პოლინა ილინიჩნამ მოკლედ უამბო, რაც ნახა და როგორ ჩააბარა ბარელი მოხუც უკრაინელ ქალს, გარდაცვლილი დედის თანასოფელსა და ნათესავს.

— მადლობა ღმერთს! — შვებით წამოიძახა კრასნოვმა და ჰკითხა: — ახლა ჩვენ რა უნდა ვქნათ? რა გზას დავადგეთ?

— აქ უნდა ისხდეთ ომის დამთავრებამდე, თუკი მოგწონთ ჩვენი სარდაფი, — გაიხუმრა პოლინა ილინიჩნამ და სანამ კრასნოვი ხმას ამოიღებდა, დაამატა: ამხანაგო კომისარო, ადვილი საქმე როდია პარტიზანებამდე მიღწევა, თუმცა არც შეუძლებელია, შევძლებთ მიაღწიოთ, დაგეხმარებით, ფეხი გტკივათ? თუ საშიში არაფერი მოხდა, მე გირჩევთ, კარგად დაისვენოთ და მერე მიაშუროთ პარტიზანებს.

— ჩვენო ძვირფასო თანამემამულევ! ჩვენთვის მოულოდნელად, დიდი ტერიტორია დაიკავეს გერმანელებმა, თავი თუ არ გავწირეთ, გაგვიჭირდება მტრის განდევნა, ჯერ მხოლოდ მაგი განდევნით დავკმაყოფილდეთ, მერე უფრო მეტი უნდა შევძლოთ, დიდად გმადლობთ, პოლინა ილინიჩნა, თქვენი თავგანწირვისთვის, თქვენისთანებს სასტიკად უსწორდებიან გერმანელები, — უთხრა კრასნოვმა და მაგრად ჩამოართვა ხელი.

ახალგაზრდები სიყვარულით შესცქეროდნენ უკრაინელ ქალს.

წამოდგა პოლინა ილინიჩნა, ამოიღო უბიდან პიონერის ყელსახვევი, პიონერ გოგონასავით აღმართა ხელი, ააფრიალა ყელსახვევი და შესძახა:

„ვემაახურები ჩემს სამშობლოს!“ — და გადაიკისკისა.

— არ გეშინიათ, რომ აღმოგიჩინონ ეგ ყელსახვევი?

— ეს ჩემი პიონერი ვაჟის ყელსახვევია, ვეღარ იკეთებს, ყოველდღე მეუბნება: დედა, როდის წავლენ გერმანელები? როდის გავიკეთებ პიონერის ყელსახვევსო. აგერ მესამე შემოდგომა დაგვიდგა და ჯერ არ მიდიან გერმანელები, უნდა შევუტიოთ და გავდენოთ!

— დიახ, უნდა შევუტიოთ და გავდენოთ, შეტევა დაწყებულია, უნდა დავეხმაროთ ჩვენს წითელ არმიას, — უთხრა კრასნოვმა და სარდაფში აღმოჩენილი თამბაქო გაახვია, ვოლკოვმა ასანთი გაკრა და მოაკიდებინა.

— პაველ დმიტრიევიჩ! ეს ჩემი პიონერობისდროინდელი ყელსახვევია, რა ბედნიერი ვიყავი მაშინ, ამ ყელსახვევში მივიღე პიონერული ფიცი, როცა პიონერული ასაკი გამიფრინდა და კომკავშირელი გავხდი, გავრეცხე, გავაუთოე, შევინახე და როცა დასჭირდა, როცა პიონერი გახდა, ჩემს ერთადერთ ვაჟს ვაჩუქე, აღთქმა დავდეთ: მას თავისი შვილისთვის გადაეცა და თაობიდან თაობაზე გადასულიყო, ასეც უნდა მოხდეს, უნდა მოვახდინოთ ასე, რადგან აღთქმა გვაქვს დადებული, დიდი ხნის არის, მაგრამ ხომ ხედავთ, არ დაუკარგავს ამ ყელსახვევს თავისი ფერი, ისეთივე ფერისაა და სიხარულის მომგვრელი, როგორიც იყო, როცა პირველად გავიკეთე, — ნაღვლიანად ელაპარაკებოდა პოლინა ილინიჩნა და მძიმედ დაეშვა სკამზე.

— არც დაკარგავს თავის ფერს, ოქტომბრის დროშის ფერია, მარად ფერუცვლელია დროშა ოქტომბრისა, — თქვა ფეხზე წამომდგარმა კრასნოვმა და იკითხა: სად არის პეტროვი?

— მე ჩვენს გუშაგად დავნიშნე, ზევით ავიდა ფარდულში.

ფარდულის კართან, ყუთზე ჩამომჯდარიყო პეტროვი, საგანგებოდ გაკეთებული ჭუჭრუტანიდან გასცქეროდა.

— საშიში ხომ არაფერი აქვს ბარელს? — ჰკითხა ვოლკოვმა.

— არა, მსუბუქად არის დაჭრილი, სისხლი რომ არ დამენახა, როცა ხელი მოვისვი ფერდზე, სულაც არ მიგრძვნია ტკივილიო, ფეხი რომ არ მღრძობოდა,

მტერს არ შევუშინდებოდიო, — ასე უთხრა ჩემს ნათესავ ქალს, ვისთანაც დავტოვე.

— ,ძვირფასო პოლია, თქვენ რომ ასეთი ნშვენიერი ქალი არ იყოთ, ვერ გაგიბედავდით მეთქვა, თქვენი სიმღერა რომ გავიგონეთ, მამაკაცი გვეგონეთ, გვეგონა: ორთვალაზე თუ ფურგონზე ორი ადამიანი იჯდა, მამაკაცი და ქალი, ჩვენი ფიქრით, მამაკაცი მღეროდა, ქალი კი ცხენს შეუძახებდა ხოლმე მშვენიერი ქალური ხმით. იცით, რატომ ვერ გაგიბედავდით? ყველა ადამიანი თავის სქესს უნდა განასახიერებდეს, თავისთავად, მამაკაცობაც ბედნიერებაა და დედაკაცობაც, ჩვეულებრივი მოვლენა ხომ მაინც არის, მე პირადად არც ერთს არ ვაძლევ უპირატესობას, არც მამაკაცობას და არც დედაკაცობას, არც არავინ უნდა მისცეს ამა თუ იმ სქესს უპირატესობა. არამც თუ მსჯელობა ამ საკითხზე, ფიქრიც დიდ სისულელედ მიმაჩნია, ცალკე, როგორც პიროვნება, არც ქალია ადამიანი და არც მამაკაცი, სადღაც წაიკითხავს აზრი ვიღაც საღად მოაზროვნე ფილოსოფოსისა: „დედაკაცი და მამაკაცი, ერთად ქმნიან ადამიანსო". დიდი ჩეხოვი ამბობს: უმამაკაცებოდ ჭკნებიან ქალები და უქალებოდ ტუტუცდებიან მამაკაცებიო, დამჭკნარი ქალები და ტუტუცი მამაკაცები ღირსეული მოქალაქენი ვერ იქნებიან.

მოწონდა პოლინა ილინიჩნას კრასნოვის მსჯელობა, უსმენდა და მაინც ბერელზე ფიქრობდა.

— პაველ დმიტრიევიჩ! მამაკაცი გეგონეთ? — უთხრა პოლინა ილინიჩნამ და გადაიხარხარა, წმინდა სანთლების შუქზე დამამშვენებლად გაიელვა ქალის ლამაზმა კბილებმა, თავზე ხელი გადაისვა, თმა შეისწორა.

დიდი ხნის გაუქმებული ეკლესიიდან გამოტანილ ოქროსფერ კანდელში უშფოთველად იწვოდა სანთელი და ანათებდა სამშობლოს ნამდვილ მხსნელებს, როგორც კრასნოვმა უწოდა.

შორეული ყრუ გუგუნი გაისმა.

ყური ცქვიტეს.

— ეს რას ნიშნავს? — იკითხა კრასნოვმა.

— ფრონტი ახლოვდება, ფრონტი, ამხანაგო კომისარო, ჩვენები მოდიან, მოიწევენ წინ, გვიახლოვდებიან,—უპასუხა თვითონაც ყურდაცქვეტილმა ქალმა.

— პოლინა ილინიჩნა, თქვენ ისეთ ამბებს გვაუწყებთ, რომ მეშინია, ვაი თუ ვერ გავუძლო, გავგიჟდე.

— დიდი სიხარული სიგიჟეს უდრის, დაე, ყველანი „გაგვაგიჟოს" ასეთმა დიდმა სიხარულმა, ბოლოდ გიჟურ სიხარულს შეუძლია გააქარწყლოს დიდი ტანჯვა, მე ახლა წავალ შინ, მოგიტანთ რამეს, მშივრები იქნებით, მზად არაფერი მქონდა, რომ წამომეღო, ჩემს დედამთილს ვთხოვე, დამახვედრებს, მალე დავბრუნდები, აქედან ახლოს ვცხოვრობ, — სთქვა პოლინა ილინიჩნამ და წამოდგა.

— ჩვენ უკვე გეახელით, რაც აღმოვაჩინეთ ამ სარდაფში, თითქოს ჩვენთვის ყოფილიყოს დამზადებული, — მორიდებით მიუგო კრასნოვმა და ხელი მოუსვა მხარზე.

— რასაკვირველია, ყველაფერი თქვენთვის იყო დამზადებული, თქვენ თუ არ იქნებოდით, სხვები მოვიდოდნენ, ამ სარდაფს სხვა დანიშნულება არა აქვს, ბევრი პარტიზანი შეუფარებია, საიდუმლოს მტკიცედ შემნახველია, ყველამ როდი იცის ამ სარდაფის არსებობა.

— რატომ? არ ენდობით?

— ყველას ვენდობით და მაინც არ ვთვლით საჭიროდ, იცოდეს ყველამ. აქ მომუშავე ქალთაგან იცის ორად ორმა ქალმა და სარდაფის გამკეთებლებმა, აქ არავინ არ მოგაკითხავთ ჩემს გარდა, მშვიდად იყავით!

ფარდულიდან კაკუნი გაისმა, მოსწყენოდა პეტროვს გუშაგობა, თავის შემცვლელს ელოდებოდა. წამოდგა პოლინა ილინიჩნა, შეხტა ფარდულში ასასვლელ კიბეზე, ავიდა ფარდულში, გაუღიმა პეტროვს, ჩაიჩოქა და სარდაფში ჩასძახა:

— არ მოიწყინოთ პარტიზანებო, მე მივდივარ, მალე დავბრუნდები, — პეტროვი სარდაფში ჩაუშვა, გაასწორა მაგიდა და გავარდა გარეთ.

— რა უშუალო ქალია, რა საყვარელი ქალია, ეგ რომ არ შეგვხვედროდა, რა დღეში ვიქნებოდით ახლა? — უთხრა ახალგაზრდებს კრასნოვმა და დაჯდა, მტკივან მუხლზე მოისვა ხელი.

ერთბანეთს ეჩურჩულებოდნენ ახალგაზრდები, შეჰხაროდნენ კარს მომდგარ ბედნიერებას.

ერთი საათიც არ გასულა, პოლინა ილინიჩნა ზურგზემოკიდებული ჩანთით ფარდულში შევიდა, ჩანთა მაგიდაზე დადო და გავიდა გარეთ, ჯერ ფარდულის წინ დაყრილი ძეძვი აკრიფა და გადაყარა, მერე ჭარხლის მინდორში გადავიდა, ორიოდე ცალი დარჩენილი ჭარხალი წამოიღო და შევიდა ისევ ფარდულში. დააკაკუნა ფიცარზე, ვოლკოვი იხმო, გუშაგად დატოვა ფარდულში და ჩავიდა სარდაფში, ამოალაგა სასმელ-საჭმელი, ერთი ბოთლი არაყი. ჯერჯერობით მეტი ვერაფერი მოგართვით, ისადილეთ, დღეს თუ ვეღარ შევძელი, ხვალ ამ დროს თქვენთან გავჩნდები და მოვილაპარაკოთო, — უთხრა კრასნოვს, დატოვა სარდაფი, გაემართა შინისკენ. თვალწინ სულ ბარელი ედგა, რა დაავიწყებდა ჭაბუკის მხურვალე კოცნას და მამაკაცურად მზირალ ნის თვალებს.

„რა კარგი ვაჟკაცია, არ შეიძლება, თორემ წავიყვანდი შინ, მოვუვლიდი, ფეხზე დავაყენებდი, გზასაც ვუჩვენებდი...“ — ფიქრობდა შინ მიმავალი პოლინა ილინიჩნა, თვალს არიდებდა გზად შეხვედრილ გერმანელებს.

იმ დღეს ვეღარ მოიცალა, ოჯახის საქმეებს მოუნდა. დილით ადრე წამოდგა, ერთი გზობა ფეტვის პური მოიტანა სოფლის მაღაზიისთვის, ჩაბარა და გა-

ემართა შინისკენ, ორთვალა ეზოში დააყენა, ცხენი გამოხსნა, გრძელი ბაწრით დაბა შემოდგომის მწვანეზე, ხატაში შეირბინა, ქურქი გაიხადა და მიაგდო, ხელ-პირი დაიბანა, თმა მოხდენილად დაიყენა, დიდი ხნის ჩაუცმელი საშემოდგომო, მოსირმული ჩალისფერი კაბა ჩაიცვა, ჩაიხედა სარკეში, მოეწონა, დაშვენდა, გაუღიმა თავის ორეულს, თვალის უპეებზე ომის დროს გაჩენილი ნაოჭები გახშირებოდა, ლოყა ჩამოსწია თითით, მის თაფლისფერ თმას როდი ეტყობოდა ცვლილება, რამდენიმე ღერი ჭაღარა მაინც შერეოდა მოულოდნელ სევდასავით, ამოგლიჯა ჭაღარა თმის ღერები და ჩაიღიღინა, დასცინა არამკითხე ჭაღარას. მკვეთრად შემოტმასნოდა კაბა ტანსრულ ქალს და ამხელდა მის მაღალ თეძოებს, არ შორდებოდა დაჭრილი ჯარისკაცის ბრიალა თვალები, მოხდენილად დაიხურა კაბისფერი ბერეტი და გარეთ გაიხედა. თბილი და მზიანი დღე მეტ ხალისს მატებდა, შებრუნდა შინ, გააღო ტანისამოსის კარადა, ჩამოიღო გადაბნეფებული შინდისფერი ჟაკეტი, ჩაიცვა, დაშვენდა და მაინც გაიხადა, მკლავზე გადაიკიდა, კიდევ ჩაიხედა სარკეში, ტუალეტზე ალბომი იდო, გადაშალა, მონახა თავისი ქალიშვილობისდროინდელი ფოტოსურათი, როცა თეატრალურ სასწავლებელში სწავლობდა და დრამატული თეატრის ახალგაზრდა მსახიობი უყვარდა, სწორედ იმ მსახიობის გამო მიატოვა თეატრალური სასწავლებელი. ოცი წლის ქალიშვილი პოლია, მხოლოდ იმ ვაჟისთვის ცოცხლობდა და უყვარდა სიცოცხლე. მასზე ფიქრი შემოქმედების ძალ-ღონეს მატებდა, მის დანახვაზე გული უფართხალებდა, იტანჯებოდა და ტკბებოდა, ვაჟსაც მოსწონდა, მაგრამ ძალიან ლამაზი ყმაწვილი იმდენად იყო განებივრებული ბევრ მოტრფიალეთაგან, რომ თვითონაც არ იცოდა, რომელი მათგანი უყვარდა და შეერთო ცოლად, ფუტკარივით, ყვავილიდან ყვავილზე გადადიოდა და ტკბებოდა დროებითი სიყვარულის ნექტარით. სცენაზედაც დიდი წარმატებები ჰქონდა მეტად ნიჭიერ მსახიობს, ადვილად აღწევდა მიზანს თავის მოტრფიალეებთან. ყველა ბეზრდებოდა, სიყვარულზე მეტად, ქალიშვილების კოლექციის ჟინით იყო გართული. უმანკო პოლიას სიყვარულით გამოწვეული ბედნიერება სწყუროდა, არ ისურვა მიმატებოდა ლანაზი ქალიშვილების კოლექციას. მხოლოდ ერთადერთი კოცნა გამოსტყუა პოლიას ვაჟმა და ეს ერთადერთი კოცნა წარუშლელ დაღად დააჩნდა ქალიშვილის უზადო გულს. მიატოვა თეატრი პოლიამ, უმაღლესი ფილოლოგიური განათლება მიიღო, პედაგოგი გახდა, ცოლად გაჰყვა კადრის ოფიცერს — კარგ თვალ-ტანად ნიკოლაი სინიჩენკოს, უყვარდა ცოლ-ქმარს ერთმანეთი. ომის დაწყებამდე ბედნიერად ცხოვრობდნენ.

წასასვლელად ჩაცმულ-დახურული პოლინა ილინიჩნა ტუალეტთან იდგა და დასცქეროდა ქალიშვილობისდროინდელ თავის ფოტოსურათს, თან სარკეში იხედებოდა, მოსწონდა თავისი თავი, მოსწონდა და სარკიდან რომ პოლინა იხედებოდა, მას ნაინც ოცი წლის ტანწერწეტა ქალიშვილი პოლია სჯობდა.

„ბარელი შემოვიდა“, დამალა ოცი წლის ქალიშვილი პოლია, პოლინა ილინიჩნამ, მიეგება ვაჟს, ერთად ჩაიხედეს სარკეში, პოლინას თვალში როდი იყო ერთმანეთისთვის შეუფერებელი ქალ-ვაჟი. ჭაბუკი ბარელი თამამად იხედებოდა, აბრიალებდა ლამაზსა და მაცდურ თვალებს.

მოაგონდა პოლინა ილინიჩნას, როგორ მიიხუტა მკერდზე, როგორ დააწვინა ორთვალაზე, მოაგონდა ყველა უმნიშვნელო წვრილმანიც და გააჟრჟოლა სიამით. ალბომი გადაშალა, დააკვირდა ოცი წლის ქალიშვილს, ოცი წლის პოლიასავით შემოტრიალდა, დაიხედა ლამაზ ტუფლებზე და ცეკვა-ცეკვით გავარდა გარეთ, ბოსტანში მოფუსფუსე დედამთილს გადასძახა:

— ლიუდმილა პეტროვნა! მივდივარ მე, მალე დავბრუნდები!

ვერ გაიგონა სმენადაკლებულმა მოხუცმა.

ბოსტანს მიადგა და კიდევ გადასძახა:

— დედა! მივდივარ მე, მალე დავბრუნდები, ვოვოჩკას მიაქციე ყურადღება, ეზოს არ მოშორდეს, მანქანები ირევიან შარაგზაზე.

დედამთილმა თავი დაუქნია.

პოლინა ილინიჩნა შარაგზაზე გადავიდა.

დღიდან ომის დაწყებისა, დედამთილი პირველად ხედავდა ასე მშვენივრად ჩაცმულ-დახურულ რძალს.

„ნეტავ ხომ არავის ეკურკურება?“ — გაიფიქრა და ჩამოჯდა იქვე ჯორკოზე.

ლიუდმილა პეტროვნა პატივს ცემდა გამრჯე, განათლებულსა და ჭკვიან რძალს, უყვარდა კიდეც.

„რა ჰქნას? ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქალია, ცხოვრება თავისას მოითხოვს, ოღონდ გერმანელებთან არა, გერმანელებთან არა!..“ — ფიქრობდა ლიუდმილა პეტროვნა და სიყვარულით გასცქეროდა თავის საამაყო რძალს.

მოეჩვენა: გვერდით მიჰყვებოდა ქმარი პოლინას და როგორც იცოდა ხოლმე, ეხუმრებოდა: „უნდა გაკოცო, უნდა გაკოცო, რას მიზამ? ხომ ვერ მიჩივლებ? ცოლი ხარ ჩემი, ცოლი ხარ ჩემი, ხომ ვერ მიჩივლებ? დიდხანს რომ დავრჩით ერთად ბაღში და არ მაკოცნინე, ახლა უნდა გაკოცოო“, — იგონებდა ნიკოლაი სინიჩენკო იმ ბედნიერ საღამოს. ახლა კი ლიუდმილა პეტროვნა იგონებდა და გული უდუღდა. ერთხელ, თუნდაც მხოლოდ ერთხელ დაგინახოთ ერთად მიმავალნი და იმავე დღესვე მოვკვდეო, — ჩაილაპარაკა, მკერდში ჩაიკრა მჯიღი, წამოდგა და დაუტრიალდა ბოსტანს დარდის გასაქარვებლად.

პოლინა ილინიჩნა ქვეითად მიდიოდა შარაგზაზე, კრასნოვსა და ახალგაზრდა პარტიზანებს რომ დაენახათ, ვერ დაიჯერებდნენ, ასე მშვენივრად ჩაცმულ-დახურული თუ პოლინა ილინიჩნა იყო.

მიდიოდა, მიეშურებოდა გორენკოების სოფლისკენ, მკლავზე გადაეკიდებინა ჟაკეტი, მიაქნევდა მალალ თეძოებს, ოქროსფერი სირმები ამშვენებდა მის

ჩალისფერ კაბას, გზაზე ტოვებდა იის სუნამოს სურნელებას, თვალს აყოლებდნენ თანასოფლელნი და გერმანელები. მობეზრებული ჰქონდა ორთვალაზე ჯდომა, დააპირა ენახულებინა სარდაფში თავშეფარებულნი, გადაიფიქრა, ჭაბუკ ბარელისკენ მიუწევდა გული, მისკენ მიისწრაფოდა, ორიოდე კილომეტრი მანძილი რომ გაიარა, თანასოფლელი შოფრის სატვირთო მანქანა წამოეწია, ჩაუჯდა კაბინაში და ერთ საათში უკვე მიადგნენ სახლს, სადაც ბარელი დატოვა.

ავდოტია აკიმოვნა მოდიოდა ჭიშკრისკენ.

— ავდოტია აკიმოვნა! — დანახვისთანავე მიაძახა.

ვერ იცნო მოხუცმა მშვენივრად გამოწყობილი ქალი, ვინც გუშინ მეეტლესავით ჩაცმული მიადგა.

სანამ პოლინა ილინიჩნა ხმას ამოიღებდა, ავდოტია აკიმოვნამ დამნაშავესავით მოიხადა ბოდიში:

— შვილო, რა უნდა მექნა? ხვირიანად არც კი დავლაპარაკებივარ იმ კაცს, ვერ მოვასწარი, სტაროსტა მომადგა და გამაფრთხილა: თქვენ დიდი სახლი გაქვთ, ორი გერმანელი ოფიცერი გადმოვა თქვენთან, ორი ოთახი უნდა დაუცალო, დაუსუფთაო, საკირო ავეჯი და ნივთებიც უნდა დატოვო მათთვის განკუთვნილ ოთახებში, დღესვე გადმოვლენ, დატრიალდი, ასეთია განკარგულება კომენდანტ შელინგერისა, ხომ იცი, რა უკუღმართი ვინმეა შელინგერიო. წინააღმდეგობას ხომ ვერ გავუწევდი, რაც შემრჩა ძვირფასი ნივთები, თავი მოვუყარე და შენს ჩაბარებულ კაცს ვუთხარი, რაც გველოდა. ხმა არ გაუღია, წყალი მთხოვა, მივუტანე. ვფიქრობდი: დავბრუნდები და იქნებ მერე მოვახერხო-მეთქი ვისი დამალვა. რასაც მოვერიე, წავიღე ძვირფასი ნივთები და მივაბარე ლიზა მატიუშენკოს, იმაზე სანდო ვინღა მყავს ახლოს. მაშინვე დავბრუნდი, აღარ დამხვდა ის კაცი, სად წავიდოდა ის უბედური?

უსმენდა გულდაწყვეტილი პოლინა ილინიჩნა, ხმას არ იღებდა, ნახევარიც არ გაუგონია მოხუცის ნალაპარაკევიდან, აკანკალებდა, შესცივნოდა, ჟაკეტი ჩაეცვა, სევდა ჩასდგომოდა თვალებში, შინიდან წამოსულ გაახალგაზრდავებულ ქალს თითქოს წლები მომატებოდა, მხოლოდ ჭაბუკ ბარელთან შეხვედრა ჩამოაშორებდა ასე ერთბაშად გასულ წლებს, გამომშვიდობებისას ესღა უთხრა:

— მაპატიეთ ავდოტია აკიმოვნა, აგაფორიაქეთ, ვინ გაგამტყუნებთ? ვიხ! ისედაც საქმეგაჭირვებულს, — არეული ნაბიჯებით გაშორდა.

გულშემოყრილი ავდოტია აკიმოვნა დამწყვდეული ბატისკენ მიდიოდა და ჩურჩულებდა: „დატრიალდიო, ორი ოთახი დაუცალეთ გერმანელ ოფიცრებსო, ჩემისთანა ჯანსა და ღონეზე, ჩემისთანა ტრიალის ხასიათზე დადგეს მათი გიტრელი და სხვა არაფერი ვინატრო...“

ჩამოჯდა ყუთზე და ბატს გამოელაპარაკა:

„ჭამე, ჭამე და გასუქდი შე საწყალო, იქნებ მოგირჩეს ფეხი, არ მორჩები და... შენსავით მოტყდეს კისერი გერმანელებს“.

„სად წავიდოდა? ვისთან შეაფარებდა თავს ის საწყალი? გერმანელებმ. რომ ჩაიგდონ ხელში... ღმერთო დაიფარე! სად მოვძებნო? ნუთუ ვეღარასოდეს შევხვდები?“ — მიდიოდა და ფიქრობდა პოლინა ილინიჩნა. სულ თვალწინ ედგა ნდომით მზირალი ჭაბუკის თვალები და სანეტარო მოგონებად დარჩა მისი. მხურვალე კოცნა.

როგორც კი აცნობა ავდოტია აკიმოვნამ ბარელს, გერმანელი ოფიცრები გადმოვლენ ჩემს სახლში საცხოვრებლადო და გაემართა ნეზობელთან ძვირფასი ნივთების მისაბარებლად, გავიდა ბარელი სამზარეულოდან, საბძელში შეძვრა, დაწვა, ნაშუაღამევს დატოვა საბძელი, ჯოხი დაიბიჯგა, გადავიდა შარაგზაზე, წვალებით მიაღწია პარტიზან ანდრეი გორენკოს ეზომდე, როგორც კი მიუახლოვდა, ძაღლმა წამოიყეფა, გაინაბა, კარგა ხანს იჯდა გაყუჩებული, მერე შეფორთხდა ეზოში, კიდევ წამოიყეფა ძაღლმა, ვაშლის ხეს მიეყრდნო ზურგით და ფიქრობდა: მგონი, დაბმულია ძაღლი, იქნებ, როგორმე მივაღწიო ხატამდე. მაგრამ...

სიცხის ალმური ეკიდა, თან სწყუროდა, გონება უბნელდებოდა, მოიკრიბა უკანასკნელი ძალ-ღონე, შეიშმუშნა, მაინც ვერ გაბედა მიფორთხებულიყო ხატამდე და დაეკაკუნებინა, გამობრუნდა, თივის ზვინს წააწყდა ბოსტანთან, გამოგლიჯა თივა, შეძვრა შიგ და დაწვა, კარგად მოიკალათა, ტკბილად ამოიკვნესა და მალე ჩაეძინა.

დაჭრილი ჯარისკაცი

პატარა მიკოლა მარტო იყო შინ, ფროსია ბებია ნეზობელ ქალს გაპყვა და მუსაიფი გააბეს. სხვადასხვა ქვეყნის მარკების თვლაში გართულმა მიკოლამ ძაღლის ყეფა გაიგონა, ჯერ არ მიაქცია ყურადღება, მერე, როცა უმატა ძაღლმა ყეფას, გარეთ გაიხედა, არ ისვენებდა დაბმული ძაღლი, ყეფდა, თივის ზვინებისკენ მიიწევდა, დახურა ბავშვმა კარი, კიდევ დაიყეფა, თითქოს ვიღაც დაინახა და შეუტიაო, ისევ გააღო კარი, გაიხედა გარეთ. ცოტა ხანს იდგა ყურადაქცევტილი, ისევ შეუტია ძაღლმა ვიღაცას, მიირბინა და მიაძახა:

— ტიგრა, ტიგრა, ტიგრუშკა!

თავზე გადაუსვა ხელი, მოუთათუნა გავაზე, ნოჭუტული თვალით ახედა ძაღლმა, ხელები აულოკა, აწკმუტუნდა, როგორც კი გამობრუნდა მიკოლა, ისევ აყეფდა. თივის ზვინებისკენ მიიწევდა, ჯაჭვს აჩხრიალებდა და მიწას ფხოჭნიდა ოთხივე ფეხით.

წედგა მიკოლა.

„ხომ არავინ შემოვიდა ეზოში?“ — გაიფიქრა და მიუბრუნდა ძაღლს, მოიხედ-მოიხედა, არავინ არა ჩანდა, ჩამიჩუმიც კი არ ისმოდა, ძაღლი აღარ აქ-

ცევდა პატრონს ყურადღებას, ჯაჭვი გაეჭიმა, ჰყეფდა და კისერდაძაგრული მიიწევდა ბოსტნისკენ, სადაც თივის სანი ზვინი იდგა. აუშვა ძაღლი, პირდაპირ გაექანა ზვინებისკენ, ჯერ სუნსული დაიწყო, გარშემო უვლიდა შუა ზვინს და ჰყეფდა.

„ნამდვილად ზღარბი დაინახაო ტიგრამ", — ჩაილაპარაკა მიკოლამ, ხელი ჩაავლო ძაღლს საყელურში, მოშორებით გადაიბა საბძლის წინ, ველარ ხედავდა ტიგრა თივის ზვინებს, აღარ ჰყეფდა, დაწოლილიყო, თავი ჩაერგო თივებში, წკმუტუნებდა.

თამაშმონატრებულ მიკოლას სეირის ყურება მოუნდა, მიირბინა ზვინებთან, იქნებ ზღარბს წავაწყდე, ტიგრას მივუგორებ და ვუყურებ სეირსო.

გაშფოთებული ყეფდა ტიგრა, მიკოლა სეირის საყურებლად ემზადებოდა.

სარი აიღო და დააპირა შეეჩუჩხურებინა თივის ზვინში, ფაჩუნი გაიგონა ზვინთან ჩაცუცქულმა მიკოლაშ, მერე კვნესაც გაიგონა, კვნესას „ვაი დედას" წამოძახილი მოჰყვა, შეეშინდა, ნამდვილად გერმანელია დამალული ზვინშიო, — გაიფიქრა, ცივად მიაგდო სარი და მოჰკურცხლა შინისკენ.

მიკოლას ბებია ის-ის იყო შევიდა შინ, სანამ მიიხედ-მოიხედავდა, დაფეთებული ბავშვი რომ შევარდა შინ, ელდა ეცა მოხუცს, ხომ არავინ მოსდევსო, კარი ჩაკეტა, ხელი მოისვა წელზე და სანამ ხმას ამოიღებდა, მიკოლამ სულმოუთქმელად მიაყარა:

-- ბები, თივის ზვინში ვიღაც კაცია დამალული, გავიგონე, რაღაც დაილაპარაკა, გავიგონე... — გაყუჩდა, კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, თავი ველარ მოუყარა სათქმელს.

— რა მოგივიდა, ბიჭო, სული მოითქვი, სული მოითქვი, ბებია, რამ შეგაშინა? მოგიკვდეს ბებიაშენი, ვაი ჩემს გაძაღლებულ სიცოცხლეს, რამ გაგაფითრა, ჩემო ანგელოზო? — ხელი მოხვია და დაჯდა ღონემიხდილი.

— ბები! — წამოიძახა მიკოლამ და მიეხუტა.

ბებია კი ამშვიდებდა:

— Не бийся, не бийся![1]

— ბები, თივის ზვინში ვიღაც კაცია დამალული, შუა ზვინში, რაღაც დაილაპარაკა, გავიგონე, აბა, გავიგონე, — კიდევ გაიმეორა მიკოლამ.

ფრთხია ბებიამ პირჯვარი გადაიწერა და ჩაილაპარაკა?

— Цур тоби, пек тоби, сатанынске повеждение[2].

— აბა, გავიგონე.

— რას ამბობ, ბიჭო, მოგეყურებოდა, მოგეყურებოდა, — უთხრა ბებიამ, — წავიდეთ, ვნახოთ ჩვენი ზვინები, მაინც უნდა გავსულიყავი გარეთ, დავკეტე თუ არა საქათმის კარი, კი არ მახსოვს, წავიდეთ და დაგარწმუნებ, რომ მოგეს-

---

1 ნუ გეშინია, ნუ გეშინია! (უკრ.).

2 შორს ჩემგან, დაიღუპე სატანას ცდუნებავ! (უკრ.).

ვენა. ბიჭო, რომ გეუბნები, ეზოდან ფეხი არ გაადგა-ნეთქი, შენს ეზოში კი არ უნდა გეშინოდეს, მე აქ არა ვარ? ჩემი სიტყვაც უნდა გაიგონო და გულადი ბიჭიც უნდა იყო, თქვენ რა გიყოთ, თორემ მე ვიშოვიდი ერთ ყუმბარას, შევაგდებდი იმ სახლში, სადაც სატანა ფაშისტები ცხოვრობენ, — ელაპარაკებოდა შვილიშვილს, თან ალაგებდა მაგიდაზე უთავბოლოდ მიყრილ-მოყრილ მიკოლას წიგნებსა და ჟურნალებს.

მოხუცმა ხელი დაავლო შალს, მხრებზე მოისხა. მაგრად განასკვა ტოტები შალისა, რაღაც მოისინჯა ხელით წელზე, ჯოხი დაიბიჯგა და დამუქრებულივით გავიდა შინიდან.

გაჰყვა მიკოლა.

მიკოლას გული გაუმაგრდა, თუნდაც იმიტომ, რომ ჯერ ისევ ადრე იყო, არ იწვნენ მეზობლები, ძაღლის იმედიც ჰქონდა.

— ბები, მოდი, ავუშვათ ძაღლი, — მორიდებით უთხრა მიკოლამ, როგორც კი გაშორდნენ ხატას.

— ძაღლი ავუშვათ? რატომ? რა საჭიროა, მერე ძნელი დასაბნელი გაგვიჭდება, ხომ იცი მისი ჩვეულება, სანამ არ იჯერებს გულს ნავარდით, ეზოს არ მოეკარება, გადაუსტება გერმანელების ძაღლებს და დაერევა, მოგვიკლავენ. არა, არ შეიძლება ტიგრას აშვება, — მილაპარაკობდა ჯოხდაბიჯგებული ფროსია ბებია.

— კარგი, ნუ ავუშვებთ.—დაუჯერა მიკოლამ, მაინც გაიფიქრა: „ვინ იცის, რა მოხდება? ტიგრა რომ აშვებული იქნება...“ თანაც ეთანხმებოდა ბებიის აზრს, არ მოგვიკლანო ტიგრა.

მიადგნენ თივის ზვინებს, შემოუარეს გარშემო.

„ეჰ! დიდება შენს სახელს, ღმერთო! რატომ გაგვიხადე საქმე ისე, რომ საეჭვოდ ვუცქიროთ ყველაფერს“, — საყვედური წამოსცდა უფლის მიმართ და იმავე უფალს სასოებით შეევედრა: „ღმერთო, ყოვლად მოწყალეო ღმერთო, დაგვიფარე ავი სულისაგან!“

ხელუსლებელი ზვინიდან რომ თივა დაინახა გამოგლეჯილი, ამან შეაფიქრიანა ფროსია ბებია, არ შეიმჩნია, ბავშვს არ შეეშინდესო.

„ხომ არ აგვეშვა ძაღლი?“ — გაიფიქრა და გასაბნევებლად უხმო:

„ტიგრა, ტიგრა!“

ყეფითა და ჯაჭვის ჩხრიალით გამოეხმაურა ძაღლი პატრონს, აწკმუტუნდა, ჩაცუცქდა, ერთი შეყმუვლა ცას.

ბებიამ ხელი ჩაჰკიდა მიკოლას, უკან დაიხიეს, დაიკუზა და დააკვირდა თივის ზვინს.

მგლოვიარე ჭირისუფალივით იდგა ბოსტნის ღობეში დატანებული ძეწნა, ქარი აშრიალებდა, მისი დახრილი ტოტები ლანდებივით დაფათურობდნენ თივის ზვინზე.

არ ცხრებოდა ტიგრა, მათკენ მიიწევდა, უკანა ფეხებზე დგებოდა და აჟღარუნებდა ჯაჭვს.

— ბები, ჩამომიღე კალათა, უქმად ყოფნას, უქმად შრომა სჯობიაო, — უთხრა ზვინთან ჩამჯდარმა მოხუცმა, აკრიფა ძირსნაყარი ხილი, ჩაიყარა კალთაში.

ჩამოიღო მიკოლამ ბოსტნის სარზე წამოცმული კალათა, მიუტანა.

— ბები, იმდენი ხილი ჩამოუყრია ქარს, არც კი ჩაეტევა ამ კალათაში.

ჩაჰყარა ფროსია ბებიამ კალათში კალთაში დაგროვებული ხილი, მიკოლამაც აკრიფა და ჩაჰყარა, თან ლაპარაკობდნენ.

— წელს, გერმანელებისთვის მოისხა ასე უხვად ჩვენმა ხეხილმა? დიდი ხანია, ამდენი არ მოუსხამს, შარშანაც ბევრი ესხა, მეწლე ვაშლებმაც კი მოისხეს.

— აბა, ბევრი ასხია, ბები... თქვა მიკოლამ და ყური ცქვიტა. რაღაც შრიალი შემოესმა შუა ზვინიდან.

ხმა არ გაუღია.

— რაღაც გავიგონეო, გული გამიხეთქე, ეგღა გვაკლია, ან ზღარბი იქნებოდა, ან კატა, თივაში შეძვრებოდა, გაიფაჩუნებდა, ზღარბი სასარგებლო ცხოველია, როდი კლავენ, ბოსტნის მავნებლებსა და შხამიან გველებსაც ხოცავს, არც ეშინია და ვერც ვერაფერს დააკლებს მას გველი.

— ჰო, ბებია, შენგან გამიგონია, სკოლაშიაც ეგრე გვითხრა მასწავლებელმა, — ჩაიჩურჩულა მიკოლამ და კიდევ ცქვიტა ყური, ახლა უფრო კარგად შემოესმა თივისა და თივაში არეული ფუჩეჩის შრიალი.

თივაში შემძვრალ კაცს გარკვევით არ ესმოდა ნათი უკრაინული, კიდევ შეიშმუშნა და წამოჯდა, წყურვილი ტანჯავდა, წყურვილი რომ მოეკლა, წოლას ირჩევდა.

„რაც მომივა, მომივიდეს, მეტი აღარ შემიძლია, გინდ მგელს შევუტანივარ, გინდა მგლისფერ ძაღლსო", — კვნესით ჩაილაპარაკა, გამოფორთხდა, გამოჰყო თავი და დაიჩურჩულა:

— ნუ გეშინიათ, თქვენიანი ვარ, დაჭრილი ჯარისკაცი ვარ, — ჩურჩულებდა და თან ხელს აყოლებდა ჩურჩულს.

— ბები, ფაშისტი! — დაიყვირა მიკოლან და მივარდა ბებიას.

მიაქცერდა ზვინიდან თავგამოყოფილ კაცს ფროსია ბებია.

— სუ, ნუ ყვირი, ბიჭო, პატრულები დადიან გზაზე, დავიღუპები, — კიდევ დაიჩურჩულა და გაჩუმდა.

ფროსია ბებიამ ხმა ვეღარ ამოიღო, ხელი წაავლო მიკოლას, უკან-უკან იწყეს სვლა და შეჩერდნენ.

შარაგზაზე პატრულების ხმამაღალი ლაპარაკი გაისმა.

გაბრუნდნენ ბებია და შვილიშვილი, დაძაბული ნაბიჯებით გაემართნენ შინისკენ.

„წყალი, წყალი, სხვას არაფერს გთხოვთ“, — მიაძახა მათ, ზვინიდან თავგამოყოფილმა კაცმა, მეტის თქმა ვეღარ შეძლო, მიესვენა იქვე, მიაძახა, მაგრამ მათ არ გაუგონიათ.

შევარდნენ ბებია და შვილიშვილი ხატაში.

კარი რომ ჩაკეტა, მერე იგრძნო დედაბერმა გულის ფრიალი და მუხლების კანკალი. ახლა მოაგონდა, რომ საბიჯგი ჯოხი თივის ზვინთან დარჩა, გაუკვირდა, როგორ შევძელი ამოდენა მანძილის გავლა უჯოხოდო.

ანთებული თვალებით შესცქეროდა მიკოლა ბებიას.

გაშნაგებული ჰყეფდა მათი ტიგრა.

— ვინ იქნება, ბებია? ვინ იქნება ის კაცი? — დაჟინებით ეკითხებოდა მიკოლა ბებიას.

— რა ვიცი, შვილო, ვინ იქნება, მე მეგონა, ნართლა მოგეჩვენა, შიშმა მოჩვენება იცის, ჰო რა ვიცი, ვინ იქნება,—დაბნეულად ლაპარაკობდა ფროსია ბებია. ოდნავ გადასწია სარკმელზე ჩამოფარებული ფარდა, გაიხედა, მეზობლებია ხატებს დააკვირდა და ჩაილაპარაკა: — ჯერ არ დაწოლილან, სინათლე ჩანს.

— ვინ იქნება, ბებია?

— რომ არ ვიცი, ვინ არის, თორემ ვიყვირებდი და მთელს სოფელს შევყრიდი, აბა!

„დაჭრილი ვარო, დაჭრილი ჯარისკაცი ვარო, ნუ გეშინიათ, არ იყვიროთო, თქვენიანი ვარო...“ — იგონებდნენ ბებია და მიკოლა ზვინიდან თავგამოყოფილი კაცის ნათქვამს.

„სად არის ის გოგო ამდენ ხანს, ის მაინც იყოს შინ, რაღა დღეს დაიგვიანა?“ — ჩაილაპარაკა ფროსია ბებიამ და ოდნავ აუწია მბჟუტავ ლამპას.

ორჯერ, ზედიზედ დაიყეფა ტიგრამ, აწკმუტუნდა, ვალიას ფეხის ხმა იცნო, როგორც კი შეაღო ეზოს ჭიშკარი, შეყმუვლა, დაჩვეული იყო, ყოველი შინ დაბრუნებისას, რაიმეს საჭმელს ნიუგდებდა ხოლმე.

გახალისდნენ ბებია და შვილიშვილი.

ვალიამ ძაღლს მიაშურა, მიაძახა:

„ტიგრა, ტიგრუშკა!“ — და გადაუგდო გერმანელ ოფიცერთა სამზარეულოდან წამოღებული ძვლები, შევარდა შინ.

ჰაერშივე დაიჭირა ძვალი ძაღლმა, მკერდით დაწვა, თათებში მოიქცია და ახრამუნებდა, საბძლის ყურეზე დამჯდარი კატა მსუბუქად გადმოეშვა, მიუახლოვდა და მიაცქერდა, გაილურსა ტიგრა, ერთი გახედა, ისკუპა და ჯაჭვს რომ ვეეშვა, იქვე გაგლეჯდა, დანფრთხალი კატა ფხაჭაფხუჭით აჰყვა საბძლის ყურეს, დირეზე დასკუპდა და გადმოხედა ბედნიერ მტერს, კუდს აქნევდა და კნაოდა.

დაღვრემილი ბებია და ძმა რომ დაინახა ვალიამ, შეკრთა, ხომ არაფერი უბედურება მოხდაო, ჯერ თვალი შეავლო ორთავეს და მერე ჰკითხა:

— რა მოგივიდათ? დღეს ხომ არ შემოსულან გერმანელები?

— ნუ გეშინია, შვილო, მგონი, არ უნდა იყოს საშიში, — უთხრა მოხუცმა და უამბო რაც მოხდა.

უსნენდა ქალიშვილი, შემართული იდგა, გამობურცული ტუჩები გაპობოდა, ორი ნაფოტა კბილი მოუჩანდა, შეშფოთდა, თუმცა უარესი ამბავი გაიგო იმ დღეს, ვიღაც ჯაშუშს ვალიას ამხანაგები დაებეზღებინა, გერმანელთა იარაღების საწყობში შეპარულიყვნენ ბიჭები, ზარბაზნები და ტყვიამფრქვევები მოეშალათ. დამნაშავენი დაეხვრიტათ, ორი კაცი გადარჩენილიყო, გესტაპო დაეძებდა.

„ხვალ გამოვარკვევ ყველაფერს, სულელი ცუნიგა ხომ არ შეძვრებოდა ზვინში, ხანდახან წამოუვლის ხოლმე, ვინ იქნებოდა? როდის უნდა მოისვენოს ადამიანმა?“ — ფიქრობდა ვალია.

ახალი დაღამებული იყო, დროზე ადრე დადუმებულიყო სოფელი, აღარ ისმოდა ქუჩებში გამოფენილი ახალგაზრდების მხიარული ჟრიამული და სიცილ-კისკისი, აღარც მათი გარმონის ხმა, ხატებიდან გამოსვლას ვეღარავინ ბედავდა, პატრულები და პოლიციელები დაიჯგიმებოდნენ ქუჩებში, უკრაინელთა დაბმული ძაღლები უყეფდნენ პატრონებივით აშვებულ გერმანელთა ძაღლებს, დუმდა სოფელი, მაგრამ არ ეძინა, შურის საძიებლად ემზადებოდა, სოფელს დაშორებით ტყეებს შეხიზნული პარტიზანები ღიღინებდნენ ნაღვლიანად, მათს ღიღინს ბანს აძლევდა რაინდულად პირქუში ტყე.

ნაშუაღამევს გაშოძვრა თივის ზვინიდან დამალული კაცი, ღრუბლიანი ღამე, მსხმოიარე ხეხილი და დაბურული ხეები აბნელებდა ეზოს, ნსუბუქი ჭრილობა როდი აწუხებდა, კოჭში ნაღრძობი ცალი ფეხი სტკიოდა, საბიჯგი ჯოპითაც კი აღარ შეეძლო გავლა, ფორთხვაც უჭირდა. თივის ზვინებს რომ გაშორდა, დიდხანს იჯდა განაბული, ისე სწყუროდა, რომ აღარაფერი ახსოვდა, წყლის გარდა.

„ო, ღმერთო! რა იქნება მაპოვნინო წყალი ამ ეზოში, უსათუოდ იქნება ჭა სადმე“, — ფიქრობდა დაჭრილი ჯარისკაცი, თავდაღმა დაემხო, ცივ მიწას პოტნიდა ფრჩხილებით და იყრიდა უბეში, გრილდებოდა, ლოყას ადებდა მიწას, ალმური ეკიდა და მაინც ამცივნებდა ტანში, გორინკოვების ძაღლი დროდადრო წამოიყეფებდა ხოლმე, რაღაცას გრძნობდა, ხან ნეზობლების ძაღლების ყეფას ეხმაურებოდა.

თანდათან ბნელდებოდა, საავდრო ღრუბლები მოჯარულიყვნენ ცაზე, დაჭრილმა ჯარისკაცმა თვალი შეაჩვია ბნელ ღამესა და დაინახა თეთრი ხატა. აქაიქ, წმინდა, ქონისა და კარტოფილის სანთლები ბჟუტავდნენ ხატებში, ჩამქრალი სანთლებივით იდგა ხატას წინ ორი კვიპაროსი, ქარი ედებოდა მწვერვალებს და ისე ფრთხილად ქანაობდნენ, თითქოს სიმაღლიდან გადმოხედვისა ეშინიათო.

ჭოტების კივილი გაისმოდა, ერთმანეთს უხმობდნენ ღამის ფრინველები, მათი კივილი გადასროლილი კენჭებივით ეცემოდა. და იკარგებოდა ბნელ ღა-

ნეში, ცერად დამდგარი მთვარეც ღრუბლებს დაეტყვევებინა, ნაყოფით დახუნძლული ხეხილიდან ბაგაბუგით ცვიოდა მწიფე ხილი, ბურთებივით დაგორაგდნენ ზღარბები, დათარეშობდა გულგრილი ქარი და აწვალებდა ნაყოფით ტოტებდახრილ ხეხილს.

დაჭრილმა ჯარისკაცმა ფორთხვით გადასჭრა ეზო, მწიფე ხილის სუნი ეცა და სანამ ძებნას დაუწყებდა, ხელში მოჰყვა ბორავაშლი, ჩაკბიჩა, გაისველა სიცხით გამომშრალი პირი, ცოტა მოსულიერდა, სიამით წამოიკვნესა და ძაღლმაც წამოიყეფა.

„კვნესის ნებასაც კი არ მაძლევს ეს საბრაზე", — გაივლო გულში, კიდევ წააწყდა ვაშლებს და აკრიფა, წამოჯდა, გემრიელად ჭამდა ვაშლს, უნდოდა დიდი სიამე კვნესით გამოეხატა, თავს იკავებდა.

მიჯრითი სროლა გაისმა ზედიზედ, მიხვდა, არ იყო უბრალო გასროლა.

„ვინ იცის, ვინ გამოეთხოვა ამ არეულ წუთისოფელს?" — გაიფიქრა და ნაღველი მოერია, საოცრად შესძულდა სროლის ხმა, ფრონტზე არ სძულებია ამდენად ძლიერად.

დაკარგული ამხანაგები მოაგონდა.

„სად არიან ახლა ისინი? რა დღეში არიან; იქნებ გავიდნენ სამშვიდობოზე, სხვედან ახლა სადმე, უკრაინელის თბილ ხატაში და... რა ბედნიერები ყოფილან, თუკი მშვიდობით გადარჩნენ, რატომ მიმატოვეს, ხომ არაფერი უბედურება შეემთხვათ?

რამდენიმე ნაბიჯიღა იყო დარჩენილი ხატამდე, ერთი შეტევა და მიადგებოდა. პატრულებისა და პოლიციელების ხმამაღალი ლაპარაკი შემოესმა შარაგზიდან, ცოტა ხანს გაინაბა, მერე უცებ დაიძრა და მიაღწია ხატამდე, კარს ყური მიადო, წამიერად დაფიქრდა და რადგან სხვა გზა არა ჰქონდა, ფრთხილად დააკაკუნა.

ფროსია ბებიას არ ეძინა, ვალიას გაეღვიძა, შეკრთნენ ახლო-ახლოს ნწოლიარენი, ერთმანეთს მიეკრნენ და გაყუჩდნენ, გაიფიქრეს: ხომ არ მოგვეჩვენაო.

კიდევ განმეორდა კაკუნი დაყოვნებითა და მორიდებით.

წამოჯდა ვალია, ხელი მოაფათურა, ბებიას ხელს წააწყდა, მოუჭირა ხელი ხელზე და გაიფიქრა: ვიღაც მოხეტიალე გერმანელი იქნება, ამ უდროო დროს, კარგი საქმისთვის არ მოვიდოდაო.

მესამედაც დააკაკუნა უფრო გაბედულად და მაგრად, მაინც არ გამოეხმაურნენ, ძლიერი ბრახუნი გაისმა.

„უსათუოდ გაეღვიძათ", — გაიფიქრა დაჭრილმა ჯარისკაცმა.

ფროსია ბებია წამომდგარიყო, სკამს წამოსდებოდა და წაექცია.

• დაჭრილმა ჯარისკაცმა კარის გასაღების ჭუჭრუტანიდან შესძახა-

„ნუ გეშინიათ, დაჭრილი პარტიზანი ვარ, გამიღეთ კარი, ვიხრჩობი წყურვილით.

— ვინა ხარ? — გამოეხმაურა ვალია.

— დაჭრილი პარტიზანი ვარ, თივის ზვინში ვიმალებოდი, — შესძახა კიდევ, ეწადა ეთქვა თავისი სახელიცა და გვარიც, სადაურობაც, ყველაფერი, რაც დაეხსნებოდა, ენა ებმებოდა, სიცხე ჰქონდა, ბურანში იყო გახვეული, ხანდახან უაზრო სიტყვებს ბოდავდა, ვალიასა და ფროსია ბებიას არაფერი ესმოდათ.

შარაგზაზე მსუბუქმა მანქანამ ჩაიქროლა.

„წოუ!" — დაიკივლა ჭოტმა, აფრინდა, ჩაეშვა ბოსტანში, თვალი მოჰკრა ზანტად მცოცავ ზღარბს, ვერ გაბედა შებმოდა, მოცუნცულე თაგვი აიტაცა და ააწრიპინა.

დაჭრილი ჯარისკაცი მზად იყო გავარდნილიყო წყლის საძებნელად თუ გინდ გერმანელები გველეშაპებივით წოლილიყვნენ მდინარესთან.

მოეჩვენა: მისკენ მოედინებოდა მდინარე, მაგრამ თავს გადაევლო და უწყლოდ დარჩენილი თევზივით აფართხალდა მშრალზე, ამოიგმინა და ხელისგული სთხლიშა კარს.

„არა, ასე არ გმინავენ ბოროტგანმზრახველნი", — კინაღამ ხმამაღლა შესძახა ვალიამ, დაფიქრდა, ხელი მოუსვა ბებიას და ჩაუჩურჩულა:

— უნდა გავუღო კარი.

— გოგო, იქნებ...—ვეღარ მოაბა ბებიამ თავი სათქმელს.

ვალიას აღარ უნდოდა მოესმინა ბებიას რჩევა, რაგინდ ჭკვიანურიც არ უნდა ყოფილიყო.

— ბები, უნდა გავუღო კარი, — მაინც შიშნარევი ხმით დაიყვირა ვალიამ.

თვალმილულულმა დაჭრილმა ჯარისკაცმა გარკვევით გაიგონა ქალიშვილის წამოძახილი, მისი სიტყვები წყაროს წყალივით გადაესხა თავზე და ნეტარება იგრძნო წამიერად.

კარის გასაღებად მდგარი ვალია მაინც ითვლიდა:

„ერთი, ორი..."

სამის თქმა გაუჭირდა, თავს ძალა დაატანა, გასაღები გადაატრიალა, ურდული გამოაძრო და მოიმარჯვა ხელში, გამოაღო კარი, ცალი ნხრით ზედ მიჯრდნობილი დაჭრილი ჯარისკაცი, გვერდულად, ნახევარი ტანით დავარდა, წამოიწია და შეფორთხდა შინ, ფროსია ბებიას ლამპა აენთო, ღვთისმშობლის ხატს შესცქეროდა და შესთხოვდა, ეხსნა მისი უბედური ოჯახი ახალი უბედურებისაგან.

— შემოდით, ჩქარა შემოდით! — მკაცრად, არამასპინძლურად მიაძახა მასპინძელმა ქალიშვილმა.

ყველაფერი ნატკენს ემტერებაო, — მაინცდამაინც, ნაღრძობი ფეხი წამოჰკრა რაღაცას, ტუჩები მოიკვნიტა.

ვალიამ კარი ჩაჰკეტა, კატა იდგა კართან, დაიკნავლა, შინ შესვლას ითხოვდა, მისი ანთებული თვალები მოჩანდნენ წყვილად დაგდებული ნაკვერცხლებივით.

ტიგრა გაშმაგებული ყეფით იკლებდა იქაურობას.

მათ წინ იატაკზე იწვა წვერმოშვებული პირქუში ჯარისკაცი და მადლიერი თვალით შესცქეროდა ქალიშვილს.

ვალიას ცრემლები წასკდა, ჩაიჩოქა, ხელი მოუსვა მხარზე.

— წყალი, წყალი! ოღონდ წყალი დამალევინეთ და მერე, თუ გნებავთ, ისევ გამაგდეთ გარეთ, — შესთხოვა ბარელმა, თავი ჩაჰკიდა და კვნესა რომ არ წანოსცდენოდა, კბილები დააღრჭიალა.

— ჩქარა, გოგო, წყალი! — შესძახა მუხლებზე ხელებდაბჯენილმა ფროსია ბებიამ.

წამოხტა ვალია, მიუტანა სურით წყალი, დაუსხა და მიაწოდა.

წყლის დანახვამ და ჩუხჩუხმა სანეტარო სამყაროში გადაიყვანა მწყურვალი, ხელის კანკალით, ხარბად დალია წყალი, ერთბაშად გადაჰკრა, მკერდზე ჩამოეღვარა, ხელი ჩამოისვა და გაუწოდა ჭიქა.

— არაა ცივი? ღამეგათეული წყალია, ახალს მოვიტან, — უთხრა ვალიამ და დასძინა: — აქვე, ახლოსაა ჭა და გავარდა გარეთ.

— რატომ არ ვიცოდი? — სვენებ-სვენებით ჩაილაპარაკა ბარელმა.

ფროსია ბებია მოქოთქოთე კრუხივით თავს დასტრიალებდა.

მალე დაბრუნდა ვალია სავსე სურითა და ვედროთი.

ზედიზედ დალია რამდენიმე ჭიქა წყალი ბარელმა, მასპინძელი ქალები შეათვალიერა და ჩაილაპარაკა:

— თქვენ გიშველათ ღმერთმა, ამ ქვეყნიერებაზე ყველაფერზე კარგი წყალი ყოფილა, ძალიან გამისივდა, მაგრამ ნაღრძობ ფეხს არ დავუტანჯივარ ასე, მსუბუქად ვარ დაჭრილი, ვაი დედა, თქვენ გიშველათ ღმერთმა.

ბურანში გათანგული ბარელი უფრო იტანდა წყურვილს, შიმშილსა და საშიშროებას, ებრძოდა სატანჯველს, წყურვილის მოკვლამ გული აუჩუყა.

ფროსია ბებიან თავზე გადაუსვა ხელი.

— ნუ გაგვამტყუნებ, შვილო, მაშინვე რომ არ გაგიღეთ კარი, რა ვქნათ? ძალიან დაწყევლილი დრო დაგვიდგა, უპატრონოდ ვართ მიტოვებული

თავი აიღო ბარელმა, მადლიერი თვალით შეხედა მოხუცს, ისევ დახარა და მილულა თვალი, ლაპარაკის თავი აღარ ჰქონდა.

ფროსია ბებიამ კიდევ მოუსვა თავზე ხელი, შემხმარი სისხლით ჰქონდა თმა დაწებებული, წაქცევის დროს დაეკრა თავი რაღაცაზე, როდი აწუხებდა უმნიშვნელო იარა, კისერზე, გიმნასტურის საყელოზე აჩნდა სისხლის ლაქები, მისი შემაწუხებელი მხოლოდ ნაღრძობი ფეხი იყო, წყურვილის მოშორებამ, თბილმა ხატამ და უკრაინელი ქალების მზრუნველობამ დაუბრუნა სიყვარული სიცოცხ-

ლისა, თვალი ეჭირა ურდულდადებული კარისკენ, სულგანაბული უსმენდა ხატაში შემოჭრილ ხმაურს — გერმანელი პატრულებისას.

თავის მშობლიურ სოფელს ხედავდა, სოფელში წყარო კი აღარ ეჩვენებოდა, დედას, და-ძმასა და ახლობელ ადამიანებს ხედავდა, ამხანაგებსა და მეგობრებს ხედავდა, თბილისს ხედავდა, თვალწინ დაუდგა თავის სამუშაო ოთახში მაგიდაზე დაწყობილი საყვარელი წიგნები და დაუმთავრებელი ახალი პროექტი, დაუგრაგნელად რომ ნიატოვა, ეგონა, მტერს მალე მოუღებდნენ ბოლოს. დაბრუნდებოდა და განაგრძობდა თავის საყვარელ საქმეს. პროექტის კიდეზე მიაწერა: „1941 წელი, 22 ივნისი" — დღე ომის დაწყებისა. ამ დღეს გამოცხადდა სამხედრო კომისარიატში სამხედრო ვალდებული ჯარისკაცი, ჯერ კიდევ არ მიეღო წოდება ოფიცრისა.

თბილისს ხედავდა, ახალ დაძრულ ეშელონსა და გამცილებლებს. სარკმელზე მიმდგარი ხედავდა მეზობელ ქუჩაზე მცხოვრებ მორცხვ ქალიშვილს — ცისანას გაწვდილ ხელს და პეპელას ნოტეხილ ფრთასავით დაკიდებულ ცხვირსახოცს, როცა თავისიანები ეხვეოდნენ და გზას ულოცავდნენ ომში მიმავალ ჭაბუკს, ვიღაც ახოვან კაცს ეფარებოდა ცისანა, ვერ ბედავდა ახლოს მისულიყო. მასაც დაელოცა გზა, გამომშვიდობებოდა, ეშელონი რომ დაიძრა, მერე დაინახა დადევნებული ცისანა, ცრემლებს იწმენდდა ჭრელი ცხვირსახოცით და უქნევდა ხელს.

ამ სანეტარო მოგონებებმა ელვასავით გაიქროლეს.

— კიდევ დამისხი, თუ და ხარ, წყალი! — სთხოვა ვალიას თვალმილულულმა ბარელმა, ხელი გაუშვირა, ძებნა დაუწყო მიუწოდებელ ჭიქას.

— რომ გაწყინოთ ბევრმა წყალმა? — მზრუნველი კილოთი ჰკითხა ვალიამ და ნაცვლად ჭიქისა, ხელი ჩაუდო ხელში.

ბარელს ქალიშვილის ხელი შერჩა ხელში, მას თავის დღეში არ ეგრძნო ამდაგვარი სიტკბოება, უკრაინელი ქალიშვილის ხელში ყველაფერი იყო, ყველაფერი: წყალიც, სითბოც, თანაგრძნობაც, სიბრალულიც, ყველაფერი, რასაც კი მოითხოვდა გული განსაცდელში ჩავარდნილი ჭაბუკისა. უნდოდა ეკოცნა ხელზე, ან ლოყაზე მიედო, ხელი ხელში ეჭირა და ტკბებოდა.

თვალი გაახილა და სთხოვა:

— დამისხით, კიდევ მწყურია! — და გაუშვა ხელი.

— რომ გაწყინოთ ბევრმა წყალმა? — კიდევ გაიმეორა ვალიამ და ნიაქერდა.

— დაუსხი, დაუსხი, არ აწყენს, ახალი დაჭრილი რომ იყოს, მაშინ არ შეიძლებოდა წყლის დალევა, დაჭრილ ადამიანს ან სულ არ უნდა დაალევინო წყალი ან იმდენი უნდა მოასმევინო, რომ პირი გაუსველოს, დაჭრილ ადამიანს სისხლი სდის, წყალს რომ დალევს, სისხლად იქცევა და უფრო ბევრი სისხლი

გამოუვა, იქნებ არაა მართალი, მე კი ასე გამიგონია, — თქვა ფროსია ბებიამ.

დაუსხა და მიაწოდა.

მოსვა ბარელმა ისე, თითქოს ჭაშნიკს სინჯავს ღვინისასო, ხელში ეჭირა დაუცლელი ჭიქა და ისე შესცქეროდა, როგორც უკვდავების წყაროს წყალს.

ცოტა რომ დაისვენა, წამოაყენეს, მხრებში შეუდგნენ, საწოლზე დასვეს, მაგიდა მისწიეს და რაც მოეპოებოდათ ოჯახში საჭმელი, მიუტანეს, თადარიგიანმა ფროსია ბებიამ სანთლის არაყიანი ბოთლი ამოიღო ჯვრისწერის დროინდელი ზანდუკიდან და დაუდგა წინ.

სიცხიანს მადა არა ჰქონდა, პურს მაინც ყნოსავდა და ჰკოცნიდა.

უკრაინელმა მასპინძლებმა ქართულ ადათად მიიჩნიეს პურის კოცნა, მოეწონათ კიდეც, რადგან მათაც სანატრელი და საკოცნელი გახდენოდათ ხორბლის პური.

— პური, შვილო, დალოცვილია, მადლიანია, ღირსია კოცნისა, იმიტომ, რომ პურია, — ელაპარაკებოდა ფროსია ბებია, თავს დასტრიალებდა დაჭრილ ჯარისკაცს, კომბოსტოს მწნილმა გული უპოვა ბარელს, მერე არაყიც რომ დააყოლა, საამოდ გააჟრჟოლა, ეგონა, თბილ აბაზანაში ჩავიძირეო.

„ხომ არავინ დაინახავდა, კარი რომ გავაღე და შემოვუშვი შინ?“ — ფიქრობდა ვალია.

ფროსია ბებია კი მადლიერი თვალით შესცქეროდა ნუგეშით გადმომზირალ დედაღვთისას, სატანა-გერმანელის ნაცვლად, ქრისტიანი კაცი რომ მოუვლინა, სტუმარს მიუბრუნდა და აიმედა:

— ამაღამვე, შენს ნაწოლ ადგილსა და ნაფეხურებს, თივის ზვინიდან დაწყებული ხატამდე, ძველებურ სოფლის წამალს მოვასხამ, გერმანელების ძაღლები სუნს ვეღარ აიღებენ ადამიანისასო.

ბარელმა ნიშნად მადლობისა, დამჭკნარი ხელები დაუკოცნა.

— ეჰ, შვილო, კარგად იყავი, დასაკოცნი კი არა, დასამიწებელია ეს ჩემი ხელები, ხის გამხმარი ქერქებია, მაგრამ რა ვქნა? გაძაღლებული სიცოცხლეც ჭკბილი ყოფილა.

— სად არის ის ბიჭუნა, ძინავს? — ჰკითხა ბარელმა და ვალიას გადახედა.

— ძინავს, შვილო, ძინავს, ძალიან მოუსვენარი ბავშვია, მთელი დღე დარბის, იღლება, რა ჰქნას, ბავშვია, გაიზრდება და მაშინაც ეყოფა ამქვეყნიური ჭირ-ვარამი,—მიუგო ფროსია ბებიამ და თავსაფრის ყურით მოიწმინდა დამჭკნარი ლოყების ნაოჭებში ჩამდგარი ცრემლები.

ბარელმა გიმნასტურის გულის ჯიბიდან გახეული გერმანული სიგარეტი ამოიღო, ენა გაუსვა, დააწება, ვალიამ ასანთი მიაწოდა, მოუკიდა და მოსწია მხოლოდ ორი ნაფაზი დაარტყა და დადო ასანთზე, ფროსია ბებიამ საფერფლე-

ზე გადაიტანა ანთებული სიგარეტი, სიცხე ჰქონდა დაჭრილ ჯარისკაცს, არ ესიამოვნა მოწევა, პირიც მწარე ჰქონდა, წყალი მოსვა.

დუმდნენ სამივენი და სიგარეტსაც დუმილით ასდიოდა ნისლისფერი მრუდე ბოლი.

ბებია და შვილიშვილი დუმილით შეუდგნენ საქმეს, ჯერ გიმნასტურა გახადა მოხუცმა, მიაწოდა ვალიას, ნატყვიარ ბეჭზე სისხლის ლაქა აჩნდა დაჭრილი ჯარისკაცის გიმნასტურას, სკამზე გადაკიდა ქალიშვილმა.

თბილი წყლით მოჰბანეს ჭრილობა და შეუხვიეს, ფროსია ბებიამ შინ დამზადებული მალამო მონახა, წაუსვა ჭრილობაზე (ფიჭვის სუნი უდიოდა შინ დამზადებულ მალამოს), ნაღრძობი ფეხი მაგრად დაუზილა ცხელ წყალში ჩაყრილი ოშოშასმაგვარი რაღაც ბალახით, ეცოდებოდა და მაინც დაუზოგავად უზელდა, რადგან იცოდა, მერე არგებდა ძალიან მაგრად დაზელა. „ვაი დედა, ვაი დედაო?“ — გაიძახოდა ბარელი, მერე კი ეპიამოვნა. გაიყვანეს და დააწვინეს საკუჭნაო ოთახში, სადაც ძველმან ნივთებს ინახავდნენ. დღიდან ოჰის დაწყებისა, ჯარისკაცს ასე თავისუფლად არ გაუხდია და არ დაწოლილა სუფთა ლოგინში.

საკუჭნაოდან მორიდებული კაკუნი გაისმა, შეაღო მოხუცმა კარი მორჩილად, ბარელმა ხელი ჩამოისვა მორეულ წვერზე, მოკრძალებული ღიმილით მიმართა:

— დედი, რა ეშველება ამ წვერს?

— გაიპარსე, შვილო.

— ამაღამ არა მაქვს ამის თავი, ხვალ გავიპარსავ.

— ხვალ გაიპარსე, ახლავე მოგიტან საპარსს, — უთხრა და განობრუნდა, მონახა ომში წასული შვილიშვილის წვერის საპარსი, ნავთქურაც შეუტანა, წყალიც — ტოლჩით, ჩაიდანიცა და დაუდგა.

ვალიაც შევიდა საკუჭნაოში დაუკაკუნებლად, სიცხის დასაწევი ორი აბი დაუდო სამფეხა მაგიდაზე, წყალიც მიაწოდა ფინჯანით.

— გადაყლაპეთ, ახლავე გადაყლაპეთ ორივე ერთად, გერმანულია, უსათუოდ დაგივარდებათ სიცხე, — ამოიღო ჟაკეტის ჯიბიდან აბების კოლოფი, წინ დაუდო და დასძინა: კიდევ არის ამაში რამდენიმე ცალი, თუ საჭირო გახდა, ხვალაც მიიღეთ.

ბარელმა გულითადად გაუღიმა, ბებიამ და შვილიშვილმა მშვიდობის ღამე უსურვეს სტუმარს და დატოვეს საკუჭნაო, ისევ შებრუნდა ფროსია ბებია.

— თუ რაიმე დაგჭირდეს, არ მოგვერიდო, მე აქ ვწევარ, ამ დიდ ოთახში.

ფრიად კმაყოფილი ბარელი ღიმილით შესცქეროდა, ვეღარ მოენახა სამადლობელი სიტყვები. დანატრებული იყო უზრუნველად დაწოლას, დიდ გაჭირვებასთან ნაომარს მალე ჩაეძინა.

ფროსია ბებიას რაღაც მოაგონდა, ფრთხილად შეაღო საკუჭნაოს კარი, გამოიტანა ჯარისკაცის ტანისამოსი, ვალიას მიუტანა.

— ახლავე გარეცხე და მერე დაწექი, მე ღონე არა მაქვს, თორემ რა უნდა მაგის გარეცხვას.

ვალიამ ჯიბეები გაუჩხრიკა, რაიმე საჭირო ქაღალდი არ ჩარჩესო, გიმნასტურის გულის ჯიბეში ვიღაც რუსი თუ უკრაინელი ქალიშვილის ფოტოსურათი და ქართულად დაწერილი წერილი აღმოაჩინა, შარვლის უკანა ჯიბეში ეს — უბის წიგნაკი, შიგ ფრონტული ჩანაწერები, ფრონტელი ამხანაგების მისამართები და რაღაც საიდუმლო ცნობები ჰქონდა, დააცქერდა ვალია უცნობი ქალიშვილის ფოტოსურათს, ძალიან ლამაზი ქალიშვილის სიმშვენიერემ ისე შეუცვალა გუნება თვითონაც მშვენიერ ვალიას, თითქოს ვიღაცამ აწყენინაო, დახედა ფოტოსურათს მეორე გვერდზე და წაიკითხა:

«Славному Грузину, вечно не забываемому парню Кахе от Аллочки, 1942-го года, 11-го июня, Г. Миллерово».

უბის წიგნაკი, წერილი და ფოტოსურათი ბებიას ნისცა და უთხრა:

— ბები, აი, რა ლამაზი ქალიშვილია, ჯიბეში ედო ჩვენს სტუმარს, — და მიუბრუნდა სარეცხს.

დახედა მოხუცმა ფოტოსურათს, უცნობი ქალიშვილი მის თვალში არც ლამაზი იყო და არც ულამაზო, სათვალის მოძებნა დაეზარა, შეიტანა ყველაფერი საკუჭნაოში, დაუდო მაგიდაზე, გულიანად ეძინა ბარელს, შუბლი შეეჭმუხნა, პერქუში ჩანდა მორეულ წვერში, ჭაბუკურად მიამიტური ღიმილი მაინც უთრთოლებდა ტუჩებს.

ვალიამ სასწრაფოდ გარეცხა ბარელის ტანისამოსი, ღიმილი მოჰგვარა ჯარისკაცის ჭუჭყიანმა ვითომ ცხვირსახოცმა, მაინც არ შეზიზღებია, სამზარეულოში, ცხელი ღუმელის თავზე გაბმულ თოკზე გადაჰკიდა გასაშრობად, რადგან გარეთ გაფენა არ შეიძლებოდა, მოილაპარაკეს ბებიამ და შვილიშვილმა, როგორ მოქცეულიყვნენ მათთან შეხიზნული ჯარისკაცის გამო.

გვიან დაწვნენ.

გაიღვიძა გორენკოების მამალმა, ფრთები გაშალა, შეაფართხუნა, რიხიანად დაიყივლა, ნეზობლების მამლებიც გამოეხმაურნენ, გაისმოდა „ყიყლიყო“ სხვადასხვანაირად, ფესაკრეფით მიიპარებოდა ბნელი ღამე.

გულსაკლავად კიოდნენ ჭოტები და უხმობდნენ ერთმანეთს. მათს კივილში უფრო მეტი სევდა შერეულიყო, მათ გაყრით ემუქრებოდა გათენება, უნდა გაბუსუნებულიყვნენ ერთმანეთს დაშორებული მარტო დარჩენილები, დაღამებამდე მაინც მოისვენებდნენ ბაღ-ბოსტნებისა და ჭირნახულის მტერი თაგვ-ვირთხები.

ირიჟრაჟა.

ჟივჟივებდნენ ბეღურები, ჟღურტულებდნენ მერცხლები, გათენებას შეჰხა-

როდნენ, თბილი ქვეყნებისკენ გადასაფრენად ემზადებოდნენ თეთრმკერდებიანი კუდმაკრატელები, ლეგა ღრუბლები ვეშაპებივით დაიზლაზნებოდნენ ცაზე, ხან თავი სწყდებოდათ „ვეშაპებსა" და ხან ბოლო, ხან ღრუბლების მთებში იკარგებოდნენ, ახალი „ვეშაპები" და „ურჩხულები" ჩნდებოდნენ, ქულაღრუბლების ბატკნებსა ნთქავდნენ და მერე ისინიც ჰქრებოდნენ.

გორენკოების ხატას წინ, დაჭრილი ჯარისკაცის გუშაგებივით იდგა ორი კვიპაროსი, ქარი დამცხრალიყო, კვიპაროსის მწვერვალებს მაინც ედებოდა ქარი და ისე ფრთხილად ხრიდნენ მოქნეულ კენწეროებს, თითქოს სიმაღლიდან გადმოხედვისა ეშინიათო.

საქართველოს რუკა

ღამენათევი ტიგრა გვერგვივით მოგვერილიყო, თავი კუდთან მიეტანა და ეძინა.

გაღვიძებოდა ადრე დაწოლილ მიკოლას, უწინდებურად აღარ ახარებდა გათენება, თავის ეზოშიაც კი ვეღარ გადიოდა თავისუფლად, ენატრებოდა ამხანაგები, სკოლა, მეზობელი გოგო-ბიჭები, თითო-ოროლა ამხანაგი თუ შეხვდებოდა ერთმანეთს, კარგა ხანი იყო თავი აღარ ნოეყარათ ერთად. დაინახავდნენ თუ არა გერმანელებს, გაიფანტებოდნენ როგორც ქორის გამოჩენისას იფანტებიან წიწილები. გადიოდა დრო, თანდათან თამამდებოდნენ ბავშვები, მაინც არა ჰქონდა მათს თამაშს უწინდებური ეშხი.

ფროსია ბებიას ადრე გაეღვიძა, მაგრამ გვიან წამოდგა, პირჯვარი გადაიწერა, ჩაიჩურჩულა: ღმერთო, გამითენე მშვიდობის დილაო. ილოცა, ეამბორა ცივ ხატს, დაემხო ღვთისმშობლის წინაშე, მეტანია გააკეთა სამჯერ, გამობრუნდა და მიაკითხა ბარელს საკუჭნაოში. გულიანად ეძინა ავადმყოფს, ისე ძლიერ აღარ აწუხებდა ნაღრძობი ფეხი, მოხდენოდა მაგრად დაზელა.

იმღამინდელ ნაშფოთვარ ფროსია ბებიას თავი უბრუოდა, ბარბაცებდა, ღვთისმშობლის ხატს მიაპყრო თვალი, დილის მზის სხივები ოქროსფრად ავლვარებდა ხატს, ღვთაებრივი ჩანდა თავდახრილი დედაღვთისა, მუდამ სასოებით მლოცველ მოხუცს ძალ-ღონე შემატა მდუმარე ხატმა, ვალიას მიაკითხა, არ უნდოდა გაეღვიძებინა, თანაც ეშინოდა, არ დააგვიანდესო.

სახეზე ჩამოყრილი თმა გადაუწია და ჩაუჩურჩულა.

— ადექი, ნუ დაგეზარება, არ გეყო ძილი? რას გეყოფოდა! არ დაგაგვიანდეს იმ დასაწვავ შტაბში მისვლა, მიკოლას ხომ უნდა ვუთხრათ წუხანდელი ამბავი, ხომ ვერ დავუფარავთ, ადექი, ადექი, საყვარელო!

გააზმორა ძილნაკლულმა ქალიშვილმა, ჭერს მიაცქერდა, დაყოვნებით ახამხამებდა მოქნეულ გრძელ წამწამებს.

— ჰო, ბებია, მეც მაგაზე ვფიქრობდი ახლა, — უთხრა ვალიამ და წამოჯ-

და, ცოტა ხანს იჯდა მოთენთილი, ქოშებში წაჰყო ფეხები, მოიცვა ხალათი, საბანი გაასწორა ერთი ხელის წაკვრით, — როგორ არის ჩვენი სტუმარი, ხომ არ მიგიკითხავს?

— გულიანად ძინავს, — მიუგო მოფუსფუსემ.

ვალიაც დატრიალდა, შტაბში წასვლამდე უნდა დაელაგებინა ბინა.

ამდგარიყო მიკოლა, დაღვრენილი იყო, მოხუცი მეზობლის ნათქვამს იგონებდა:

„დიდხანს ვერ იბოგინებენ გერმანელები ჩვენს მიწა-წყალზე, დაიძრა ჩვენი უძლეველი წითელი არმია და ნახონ გერმანელებმა, როგორ უნდა ბრძოლა...“

„ჩვენი უძლეველი წითელი არმია...“ — გაიმეორა მიკოლამ და გახალისდა.

„მართალია, უკან იხევდა ჩვენი წითელი არმია. მაგრამ მაინც უძლეველია, უკან დახევა მას გამარჯვებისთვის სჭირდებოდა, სტალინს შენ ასწავლი როდის უნდა დაიხიოს უკან და როდის უნდა შეუტიოს მტერს? ვაჟკაცი რომ უკან დაიხევს, ნაბიჯს რომ გადადგამს უკან, ესეც უკან დახევაა, მერე უკანდახეული მებრძოლი რომ ხმალს მოიქნევს, მისი ხმლის მოქნევას უფრო დიდი ძალა ექნება, ხომ განდევნეს ჩვენებმა გერმანელები მოსკოვიდან, აბა, ამიერიდან ნახონ გერმანელებმა, როგორ უნდა ბრძოლა“, — ასე ელაპარაკებოდა სოფელში ბავშვებსა და მეზობლებს, ყველას, ომის პირველ ხანებში დროებით წარუმატებლობის გამო წითელ არმიაზე ცოტა არ იყოს გულგატეხილი, მაგრამ მაინც იმედიანი მოხუცი ფეოდორ იურჩენკო. ძველი ბოლშევიკი, პირველი მსოფლიო ომის მონაწილე ოფიცერი, სოფლის თავკაცი.

შემოიკრებდა გარშემო სოფლის ბავშვებსა და ახალგაზრდებს, გულს იოხებდა მათთან ლაპარაკით, როცა გაიგონებდა, გერმანელებს წარმატებები აქვთ ფრონტებზე, წინ მოიწევენო, მაინც არ ჰკარგავდა იმედს, ოღონდ ბრაზდებოდა და გინებას იწყებდა, ჯერ იტყოდა: გოგოები რომ არ მისმენდნენო... თუ ძალიან გაბრაზებული იყო, აღარავის ერიდებოდა, დაიწყებდა გინებას, წივილ-კივილით გარბოდნენ გოგოები, ხარხარებდნენ ონავარი ბიჭები.

„ჩვენი უძლეველი წითელი არმია“, — იგონებდა მიკოლა ამ სიტყვებს გასამხნევებლად და ხედავდა მტრის წინააღმდეგ დაძრულ არმიელებს, ხედავდა გაქცეულ გერმანელებს და ნატრობდა დიდი ყოფილიყო, წითელარმიელი ყოფილიყო.

სწრაფად მოემზადა ვალია, ბებია წაიყვანა, ჩანოუსხდნენ მიკოლას და უამბეს უცხო კაცის ამბავი.

— ხომ ვთქვი მე გავიგონე-მეთქი კაცის ხმა, მერე ხომ ერთად გავიგონეთ მე და შენ, ბებია, — წამოიძახა გახარებულმა მიკოლამ.

გააფრთხილეს: არსად, არავისთან წამოგცდეს რამე, თორემ გერმანელებმა რომ გაიგონ, ჩვენც დავიღუპებით და იმ კაცსაც დავღუპავთო, სანამ არ მოურ-

ჩება ჭრილობა, ჩვენთან უნდა იყოს, მამაშენი შეხვედრია ფრონტზე და გვითხრა: კარგად არის, მალე დაბრუნდებაო.

— მამას შეხვედრია? დედა? დედასაც ხომ არ შეხვედრია სადმე? — შესძახა და წამოხტა.

— ყველაფერს გვეტყვის, ვეღარ მოასწრო ეთქვა.... ჰო, დედაშენის ანბავსაც მალე გავიგებთ, ჯარისკაცია; ჯარისკაცებმა ყველაფერი იციან, როგორც კი შემოდგა ფეხი ჩვენს ხატაში, მაშინვე გვითხრა: რამ დაგაღონათ, ნუ გეშინიათ, ცოტა ხანს კიდევ გაუძელით, სულ მალე გავდენით გერმანელებსო, — ელაპარაკებოდა ფროსია ბებია, თან ჩვარს უსვამდა მაგიდაზე გადაფარებულ ფერადყვავილებიან მუშამბას.

— მალე გავდენითო? მართლა? რა თავისუფლად ვირბენ ყველგან, აღარაფრის შემეშინდება, — მიაყარა მიკოლამ და დასცხო ტაში.

ვალიას ნიუბრუნდა და ჰკითხა:

— შენც ასე გითხრა? კიევიდანაც გავდენითო?

— აბა რა, აბა? გაიქცევიან გერმანელები, აბა, რას იზამენ, ზოგი გაიქცევა, ზოგსაც დახოცავენ ჩვენები, — უპასუხა ვალიამ, სარკეს მიაცქერდა, თმაზე გადაისვა ხელი.

— კოსტიას ოთახი კიევში დაკეტილი იქნება?

— კი, დაკეტილი იქნება, სულ მალე შემოვლენ ჩვენები კიევში და რაღა გვიჭირს, ის კაციც მოგვეშველება, — უთხრა ვალიამ და საკუჭნაო ოთახისკენ გაიხედა.

— იქ დააწვინეთ? ძინავს?

— ჰო, ძინავს.

— მაღალი კაცია? რევოლვერი აქვს?

— მაღალი კაცია, რევოლვერიც აქვს და ზარბაზანიც, — ღიმილით მიუგო ვალიამ.

მიკოლასაც გაეღიმა, და-ძმანი საოცრად დაემსგავსნენ ერთმანეთს.

— რა თქვა კიდევ?

— რაო და ასი გერმანელი მარტო მე უნდა მოვკლაო, — თქვა ფროსია ბებიამ და მოუსვა ჩვარი მუშამბას.

—აუჰ! — წამოიძახა მიკოლამ.

— ასი კი არა, ათასი გერმანელიო.

ქალიშვილი უფრო „ულმობელი" გამოდგა, ეცოტავა ასი გერმანელის მოკვლა.

— ააუჰ! — ახლა უფრო გაიოცა მიკოლამ.

— კიდევ რა თქვა და ჩვენს წითელ არმიას იმიტომ კი არ დაუხევია უკანომის პირველ დღეებში, რომ შეეშინდა, დროებით ასე იყო საჭიროო.

— ფეოდორ ბაბუაც ეგრე ამბობს, ასე იყო საჭიროო.

თივაში დამალულმა კაცმა რამდენადაც შეაშინა მიკოლა, იმდენადვე გაახარა.

— ხომ მაჩვენებთ იმ კაცს? აქ მოიყვანთ თუ მე შემიყვანთ მასთან? — ვერ ისვენებდა მიკოლა.

— საკუჭნაო ოთახში ძინავს.

— იქნებ გაიღვიძა.

— არა, ძინავს, ბებიამ შეიხედა, ძინავსო. ჯერ ხელ-პირი დაიბანე კარგად, სუფთად ჩაიცვი, რომ დაგინახავს, იტყვის: რა კარგი ბიჭი ყოფილაო, — უთხრა ვალიამ ძმას და გაემართა თავისი ოთახისკენ.

მიკოლამ ხალათის საყელო ჩაიკეცა და სახელოების დაკაპიწებით გაექცა პირსაბანისკენ, უცებ შეისხა ორი პეშვი წყალი პირზე, საპნის წასმა დაეზარა, ფაცაფუცით შეიმშრალა ხელ-პირი, მიირბინა კარადასთან, ტანისამოსი გამოიცვალა, მერე ვალიას ოთახში შევარდა და ჰკითხა:

— ყელსახვევი რომ გავიკეთო, ხომ კარგი იქნება?

— კარგი იქნება, გაიკეთე, ოღონდ არ დაგავიწყდეს, ისევ შემოიხსენი, გარეთ არ გახვიდე პიონერის ყელსახვევით, იცოდე.

— ისევ შემოვიხსნი, არ დამავიწყდება, — გაბრუნდა, შეირბინა თავის ოთახში.

პატარა ოთახში, საწერი მაგიდის შუა, კედელზე ეკიდა ტარას შევჩენკოს პორტრეტი, მგოსნის წინ, მიკოლას მიტანილი მინდვრის ერთადერთი ცისფერი ყვავილი ეგდო, ლარნაკი წაქცეულიყო, აიღო მიკოლამ ყვავილი, ლარნაკში წყალი ჩაასხა და დაუდგა წინ კობზარს.

დაფიქრებული იყურებოდა მგოსანი, სადღაც, შორს იხედებოდა.

ამოიღო მიკოლამ მაგიდის უჯრიდან გადამალული ყელსახვევი, გაშალა, კისერზე შემოიხვია სწრაფად, სარკეში ჩაიხედა, ყელსახვევისფრად ატკეცოდა ლოყები, თვალები უელვარებდა, პირველად ბებიასთან ირბინა და მიაძახა:

— ბები, ხომ მიხდება პიონერის ყელსახვევი?

— კი შვილო, რავა არ გიხდება, მარა რად გინდა, გარეთ არ გახვიდე ეგრე, არ დაგავიწყდეს, ისევ შემოიხსენი, — გააფრთხილა და ვალიას მიაძახა: გოგო, ყურადღება მიაქციე ბავშვს, სანამ წახვიდოდე, თამაშში არ გაერთოო, ქუჩაში არ გავიდეს, გერმანელები დაეხეტებიან შარაგზაზე.

— ნუ გეშინია, ბებია, — მშვიდად მიუგო ვალიამ.

— რავა არ მეშინია, გუშინწინ, მიმდგარა სარკმელზე ყელსახვევიანი, თითქოს გერმანელების გამოსაჯავრებლად დგასო, ნუხლები ამიკანკალდა, ძლივს მოვაღწიე, წითელი ვარდივით ხასხასებდა პიონერის ყელსახვევი, ახლავე მოიხსენი-მეთქი, გერმანელების ჯარს ჩაევლო სიმღერით, მათ გასცქეროდა, სულ აღარ მახსოვდა ყელსახვევიო, — ასე მომახსენა.

— ჰო, ჩემს წასვლამდე მოვახსნევინებ, ახლა კი ყელსახვევიანი შევიყვანოთ, გაუხარდება ჩვენს სტუმარს პიონერის დანახვა.

ვალიამ ოდნავ გვერდზე მოქცეული ყელსახვევი შეუსწორა, გადაუვარცხნა შუბლზე ჩამოყრილი ჯიუტი თმა, უკან დაიხია და გახედა არალეგალურად მცხოვრებ პიონერს, ხელი მოჰკიდა და წაიყვანა საკუჭნაო ოთახისკენ, ფროსია პებიაც გაჰყვა ფოსტლების ფრატუნით.

დააკუკუნა ვალიამ და მიაყურა.

— მობრძანდით! — გამოეხმაურა ბარელი ხავერდოვანი ხმით.

შევიდნენ საკუჭნაოში.

— დილა მშვიდობისა! — მიესალმა ფროსია ბებია თავის დაკვრითა და ზედმეტად წელში მოხრით, როგორც იციან სოფლელმა უკრაინელმა და რუსმა ქალებმა, განსაკუთრებით მოხუცებმა.

ამაყად მდგარმა ქალიშვილმა თავი დაუკრა თავაზიანი ღიმილით.

— დილა მშვიდობისა! — მიუგო ბარელმა ნოხუცს, ვალიას კი თავი დაუკრა, მიკოლას სხვანაირად გაუღიმა და უთხრა:

— გამარჯობა ხლოპეც, რა კარგი ბიჭი ყოფილხარ, მე უფრო პატარა მეგონე, გახსოვს? „ფაშისტიო" რომ დაიყვირე და გაიქეცი?

შერცხვა მიკოლას, გაწითლდა, მოკრძალებით გაუღიმა, თვალი აარიდა.

— აბა, შვილო, ძალიან შეგვეშინდა, კი არა ვართ გასამტყუნარი, დიდ არეულ დროში ვცხოვრობთ, — თქვა ფროსია ბებიამ თითქმის ჩურჩულით და ვალიას მიუბრუნდა: კარი ხომ დაკეტილია?

— კი, დაკეტილია.

— ახლა ხომ ხედავ, ვინა ვარ! — განოელაპარაკა ბარელი მიკოლას ოდნავ ეშმაკური ღიმილით და ხელისგული მოისვა ახალგაპარსულ ლოყაზე, — შენ გეტყობა, ძალიან ყოჩაღი ბიჭი ხარ, მაგრამ მაინც ვერ გაბედავდი ფაშისტთან შესვლას მაგ შენი პიონერის ყელსახვევით.

მიკოლამ თავი დახარა.

— ყოჩაღი ბიჭია ჩემი ძმა, პიონერია და იმიტომ არის ყოჩაღი, — თქვა ვალიამ და გადახედა ძმას.

— დიახ, პიონერები ყოჩაღები არიან, მეც ვიყავი პიონერი, — ნაღვლიანად თქვა ბარელმა, შეჩერდა და რიხიანად განაგრძო: ნუ გეშინია, ყმაწვილო, მარჯვედ იყავი, მალე გავდენით გერმანელებს, ბერლინამდე მივყვებით, მერე რაღა გიჭირს, ირბინე და აფრიალე ეგ შენი პიონერის ყელსახვევი, — ფაქიზად დაუსვა ხელი ყელსახვევზე, მერე თავზე გადაუსვა და უთხრა: შე კაცო, ფაშისტს კი არ უნდა გაექცე, დაინახავ თუ არა, უნდა შეუტიო, აბა! ჯერ არ აპირებ შეტევას? ეტყობა, ეს ყმაწვილიც ჩვენი წითელი არმიის ტაქტიკას მიმართავს, დროებით უკან იხევს, მერე ერთბაშად დაიძრება და შეუტევს, ოჰოჰო, ვინ გაუმკლავდება, თქვა და გადაიხარხარა.

„ძალიან შვენის გაცინება!“ — გაივლო გულში ვალიამ.

— ღმერთმა გისმინოს, ჩემო კარგო, — თქვა ფროსია ბებიამ, პირჯვარი გადაიწერა და რაღაც ჩაიჩურჩულა, ღმერთს შეავედრა დედაუკრაინა.

— აბა, რა გგონიათ, ბერლინამდე მივყვებით გერმანელებს, გაიმეორა ბარელმა, — იცი, სად არის ბერლინი?

— გერმანიაში, გერმანიის დედაქალაქია ბერლინი, — მკვირცხლად მიუგო მიკოლამ.

— ყოჩაღ, გცოდნია, სადაც არის ბერლინი. აბა ახლა ეს მითხარი, სად არის პარიზი?

— საფრანგეთში, საფრანგეთის დედაქალაქია პარიზი.

— კარგია, ეგეც გცოდნია, მოსკოვი და ლენინგრადი რომ გეცოდინება, ვიცი.

— დიახ, ვიცი, ხომ ვერ შევიდნენ გერმანელები მოსკოვსა და ლენინგრადში?

— ვერ მიართვეს, ვერც შევლენ ვერასოდეს.

— აბა, რატომ ამბობდნენ აქ გერმანელები, ავიღეთ მოსკოვიო?

— განგებ ავრცელებდნენ ხმას, მეც ვიტყვი ავიღეთ ბერლინი-მეთქი, ჯერ არ აგვიღია და ვინ დამიჯერებს? აბა, ახლა ამასაც თუ მეტყვი, ხუთიანს დაგიწერ გეოგრაფიაში, სად არის თბილისი?

— საქართველოში, საქართველოს დედაქალაქია თბილისი, — უპასუხა და თვალი გაუსწორა.

— ხუთიანს გიწერ გეოგრაფიაში, — შეაქო ბავშვი.

— მე მაქვს საქართველოს რუკა, ვიცი, სადაც არის თბილისი, — ხალისით წამოიძახა და გავარდა საქართველოს რუკის მოსატანად.

იმწამსვე შემოიტანა ოთხად დაკეცილი საქართველოს რუკა, გაშალა, გადაავლო თვალი, დაადო საჩვენებელი თითი და წამოიძახა:

— აი, თბილისი.

ბარელს არაფერი არ დაუნახავს საქართველოს რუკაზე, თვალი აემღვრა, ერთმანეთში აირ-დაირივნენ რუკაზე დაკლაკნილი ხაზები, ქალაქები და მდინარეები, თითქოს შავი ზღვა აბობოქრდა და ყველაფერი დაჰფარაო.

„ჰო, თბილისი“, — მხოლოდ ეს ორი სიტყვა აღმოხდა, საკუჭნაოს სარკმელს მიაცქერდა, თავი შემოაბრუნა, კედელზე გაკრულ რაღაც სურათზე გადაიტანა მზერა.

„აი, თბილისი, თბილისი!“ — გაიძახოდა მიკოლა ხალისით.

არ უნდოდა ბარელს დაეხედა საქართველოს რუკაზე, ვეღარ გააბრუნებდა მოძალებულ ცრემლებს.

სძლია გულჩვილობას, მხარზე ხელი დაჰკრა მიკოლას, ხომ არაფერი შემამჩნიეს? — ვალიას გადახედა და მიკოლას ჰკითხა:

— ვინ მოგცა შენ საქართველოს რუკა?

— ვალიამ მომცა.

— თქვენ ვინ მოგცათ?

— გვასწავლიდნენ სკოლაში საბჭოთა კავშირის გეოგრაფიას, — მიუგო ვალიამ და რაღაც ანიშნა ფროსია ბებიას.

— შენ კარგი ბიჭი ყოფილხარ, ამიტომ, ომი რომ დამთავრდება, წაგიყვან საქართველოში, წამოხვალ?

— წამოვალ, თუკი წამიყვანთ.

— თქვენც წაგიყვანთ საქართველოში, ყოფილხართ საქართველოში?

ვალიას ბლოკნოტი გადაეშალა, რაღაცას იწერდა, თითქოს არც კი უსმენდა მათს ლაპარაკს, თმაზე ხელი გადაისვა და მიუგო:

— არა, არ ვყოფილვარ, დიდი სიამოვნებით წამოვალ, თუ მშვიდობა იქნა, მე ძალიან მიყვარს მოგზაურობა.

ქალიშვილის გულში ორი სიამე გაჩნდა: ერთი საქართველოს ნახვის-სურვილი, მეორე კი ჯერ არგასამხელი...

— ეჰ! რა დრო დაგვიდგა? — ამოოხვრით თქვა ფროსია ბებიამ, წამოდგა და აფუსფუსდა, რაღაც ზედმეტი ნივთები მოაგროვა და გაიტანა, ნალე შემობრუნდა, რაც არაფერში არ გამოადგებოდა დაჭრილ ჯარისკაცს, უნდოდა ყველაფერი გაეტანა, აიღებდა რაიმე ნივთს, დაანახვებდა ვალიას და ეუბნებოდა, გოგო, გავიტანო? რაში გამოადგება ამ კაცს, სხვაგან მოვუნახავ ადგილსო, კარგი. ბებია, შენ უკეთ იცი ჩემზე, გაიტანე, რაც გინდაო — პასუხობდა თავაუღებლად ვალია და განაგრძობდა წერას ბლოკნოტში.

ბარელი ადრე წამომდგარიყო, წვერი გაეპარსა, საკმაოდ წამოზრდილი მუქწაბლისფერი თმა უსავარცხლობის გამო თითებით გადაევარცხნა (იტანს ხუჭუჭი თმა დაუვარცხნელობას).

„ახლა სულ სხვანაირია!" — გაიფიქრა ვალიამ.

მორეულ წვერში ცოტა არ იყოს უხეში ჩანდა ბარელი, წვერგაპარსული უფრო ახალგაზრდა და მიმზიდველი გამოიყურებოდა.

დიდი ხნის შეუხვედრელი მეგობრებივით ჩურჩულებდნენ ბარელი და მიკოლა.

— რამდენი წლისა ხარ? — ჰკითხა მორცხვად მზირალ ბავშვს ბარელმა.

— თორმეტისა.

— თორმეტი წლისა? — განგებ გაიოცა ბარელმა „თორმეტი წლისა" ისე წარმოსთქვა, თითქოს თვრამეტი წელი ეთქვას მიკოლას.

— დიახ, თორმეტისა! — ახლა უფრო გაბედულად გაიმეორა, ბებიასა და დას გადახედა, არ წამოცდეთო, რადგან მეთორმეტე წელში ახალი გადამდგარი მიკოლა, თორმეტი წლისად თვლიდა თავის თავს.

— სწავლობ? რომელ კლასში ხარ?

— ახლა აღარ დავდივარ სკოლაში.

— რატომ?

— ჩვენი სკოლა გერმანელებმა დაიკავეს.

— დაიხურა სკოლა, — სინანულით ჩაილაპარაკა ფროსია ბებიამ.

დუმილით უსმენდა ბარელი, მოღრუბლული სახე გაიმხიარულა.

— ახლავე მოვილაპარაკოთ, როდის ‘ევუტიოთ გერმანელებს? — გაეხუმრა ბარელი.

გაეღიმა მიკოლას.

— როდის და, როცა თქვენ ფეხი მოგირჩებათ,—უპასუხა ვალიამ ძმის მაგივრად, იგი რაღაცას იწერდა გადაშლილ ბლოკნოტში, ისევ განაგრძო წერა.

— მსუბუქი ჭრილობისა არ მეშინია, რა ვიცი, რამდენ ხანს გასტანს ჩემი ფეხის ტკივილი.

— ძალიან გიჭირთ გავლა? — ჰკითხა ვალიამ.

— ძალიან მიჭირს უჯოხოდ, მაგრამ რაკი ამით გადავრჩი, მგონი მალე უნდა მომირჩეს ფეხი.

— როგორ გეძინათ წუხელ?

— გმადლობთ, გვერდი არ მიცვლია, — მიუგო ქალიშვილს, გაზეთს წააბია, დაგრიხა, ქაღალდის ყანწი გამოიყვანა, ჩაჰყარა შიგ გაზეთზე დაგროვებული წეკოსა და თამბაქოს ნამცეცები, შუაზე გადატეხილი გერმანული სიგარეტი მოფშვნა ხელისგულზე, დაუმატა, მოუკიდა და გააბოლა.

ჩხუბი როდი მოსვლიათ, საკუჭნაო ოთახში შეხმატკბილებულად დაირწა გერმანული სიგარეტისა და უკრაინული თამბაქოს ბოლი, აფარფატდა და ჰაეროვანი ლეჩაქივით მიეფინა კედელს.

ჯერ გერმანული თამბაქოს სუნი დადგა, უცებ ჩაიფერფლა ყანწის თავზე დაყრილი თამბაქო, მერე უკრაინულმა თამბაქომ იმძლავრა, გააქრო გერმანული თამბაქოს სუნი და საკუჭნაო თამბაქოში შერეული წეკოს სუნით აივსო.

— ხომ მოგიხდათ სიცხის დასაწევი წამალი? — ჰკითხა ვალიამ ჭაბუს და ხელი მოჰკიდა მაჯაზე.

— ვგრძნობ, აღარა მაქვს სიცხე, — მიუგო ბარელმა და დააცქერდა ქალიშვილის ქალურ ხელს, — ჩემთვის თამბაქოა თერმომეტრი, როცა სიცხე მაქვს, ვერ მოვწევ.

მეორე ყანწს ეწეოდა ბარელი, უთამბაქოობითაც იყო დამშეული, თანდათან მატულობდა საკუჭნაოში ბოლი.

დიდი ხანია ობობები დაპატრონებოდნენ საკუჭნაოს, აბლაბუდები გაებლანდათ, არხეინად ცხოვრობდნენ თავიანთ სამუდამო სამფლობელში, იმ დღეს კი სული გაენაბათ, მათთვის საშიში ეს ოთხი კაცი როდი აპირებდა გასვლას საკუჭნაოდან, ფროსია ბებიას ცოცხმა უცებ შესცვალა მათი მყუდრო სავანე, დაანგ-

რია „მესამე იმპერიის“ წესწყობილება, მიატოვეს ბოლისფერი აბლაბუდები და განშორდნენ ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ შებმული სხვადასხვა ჯიშის ობობები, დროებითი ზავი დადეს. ფროსია ბებიას ცოცხს პირბადესავით გადაჰკროდა ობობების ნაქსოვი რიდე, კიდევ დარჩენილიყვნენ კედლის კუთხეში გასუსული ობობები და აბლაბუდები, შიგ ორი ფუტკარი და ახალი გაბმული სხვადასხვა მწერები ზუზუნებდნენ მარადთავდაუხსნელნი.

— ხომ არ დაგიგვიანეთ საუზმე? — ჰკითხა ვალიამ სტუმარს, — კარგი იქნებოდა ჯერ გესაუზმათ და მერე მოგეწიათ, თუნდაც ერთი ლუკმა შეგეჭამათ, მამაჩემი არ ეწეოდა თამბაქოს უზმოზე, ჩემი უფროსი ძმაც ასე მიაჩვია.

— არა უშავს, არ მომკლავს ორი მოწევა თამბაქო, თუმცა მე უკვე ვისაუზმე, პურის ნატეხი აღმომაჩნდა ზურგჩანთაში, თქვენი მოცემული წამალი პატრონზე კეთილი ყოფილა, მომიხდა, კარგადაც დამაძინა.

— გერმანელებზე კეთილი? ამ წამალს ასე აწერია:

«Nur für Deutsche!»[1]

— მეც ეგრე წავიკითხე და გავიგე ჩემი გერმანულით.

— მე შემთხვევით ვიშოვე, ჩვენთან, შტაბში, ერთი გერმანელი ოფიცერია ვევარად ვინკელმანი — პაულ ვინკელმანი, კარგი კაცია, კარგზე კარგია, მან მიშოვა, ბებიაჩემი იყო ავად, — უთხრა ვალიამ, დახურა ბლოკნოტი, საქმიანად ჩახედა ჭაბუკს თვალებში და განაგრძო: უკვე დროა, უნდა დაგტოვოთ, ამხანაგო ჯარისკაცო, მეჩქარება, ო, როგორ არ მინდა წასვლა, მაგრამ რა ვქნა? საღამოთი დავბრუნდები და მოგიტანთ ახალ ამბებს, დღეს უსათუოდ დავბრუნდები.

—განა ყოველთვის არ ბრუნდებით შინ? — ჰკითხა და ინატრა: ნეტავ დაბრუნდებოდესო დღეს.

— ყოველთვის არ მიშვებენ, დღეს უსათუოდ დავბრუნდები, ახალ ამბებსა ახალ გაზეთებსაც მოგიტანთ, დაზამთრებამდე უნდა შევიდეთ მოსკოვში, რაც არ უნდა დაგვიჯდესო, — ასე გაიძახიან თითქმის ყველა გაზეთში, ყოველდღიურად.

— დაზამთრებამდე დიდი დრო აღარაა დარჩენილი, დაუჩქარონ, თორემ შესცივდებათ, ზამთარი მოუწევთ, — გაიხუმრა ბარელმა, თვალი შეავლო ფეხზე მდგარ ქალიშვილს და გაიფიქრა: „ყოველთვის არ მიშვებენო, ვისთან რჩება?“ — ეჭვის ისარმა უჩხვლიტა გულში.

— აბა! რა ეშველებათ, ზამთარი მოუწევთ, შარშანა და შარშანწინაც ჩქარობდნენ მოსკოვში შესვლას, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. ფრთხილად იყავით, ჯერჯერობით ნუ გამოხვალთ აქედან, კარიც ყოველთვის დაკეტილი უნდა იქონიოთ, შიგნიდან იკეტება, აი, ასე, მიხურა კარი, რაზით გადაკეტა, ისევ გააღო, შორიახლოს ჩამოჯდა.

---

[1] მხოლოდ გერმანელისთვის! (გერმ.).

ფროსია ბებია შემოვიდა და მიკოლას უთხრა:

— ჩვენ წავიდეთ ახლა და ოჯახს მივხედოთ, ცოტა ხანს დავტოვოთ ჩვენი სტუმარი.

არ უნდოდა მიკოლას მიეტოვებინა დაჭრილი ჯარისკაცი,მაინც გაჰყვა ბებიას.

—ხომ არავინ შემოვა ხატაში?

— როცა კარი დაკეტილი იქნება, ვერც ვერავინ შემოვა, საკუჭნაოს კარზე, გარედან, ფარდა იქნება ჩამოფარებული, უცებ რომ არავის მოხვდეს თვალში შემომსვლელს, ისეთივე ფარდაა, მოპირდაპირე ოთახის კარზე რომ არის ჩამოფარებული. ასე მოვილაპარაკეთ წუხელივე მე და ფროსია ბებიამ. ჩვენი ხატა გზის პირასაა, გზის პირას მდგარი ხატები საშიშიცაა და კარგიც ასეთი შემთხვევისთვის, მიგდებული ხატა, სადმე, შარაგზიდან მოშორებით, უფრო საშიშია, ყოველთვის ეჭვის თვალით უცქერენ, ღმერთმა დაგვიფარა თქვენცა და ჩვენი ოჯახიც, ხომ შესაძლო იყო, თუ შარაგზიდან ვერაფერს გაიგონებდნენ პატრულები, შემთხვევით რომ შემოსულიყვნენ ჩვენს ეზოში და გაეგონათ ჩვენი კამათი. კარზე მომდგარს თუ წაგაწყდებოდნენ, ეს იმისი ნიშანი იქნებოდა, რომ არ გიშვებდით შინ, ამით გადავრჩებოდით, მე გერმანელების ნდობას მოვიპოვებდი, მე უკვე დიდი ხანია მენდობიან, უფრო საიმედო გავხდებოდი, თქვენ კი რაც მოგივიდოდათ, ადვილი წარმოსადგენია, ამიტომ გაწვალეთ დიდხანს, რაშიაც მე ოდნავადაც არა ვარ დამნაშავე, ყველაზე საშიში დრო კი ის იყო, როცა კარი გაგიღეთ და შემოგიშვით შინ, გარდა იმისა, რომ გერმანელები გერმანელები არიან, ბევრია თუ ცოტა, მაინც დაეხეტებიან ჩვენს სოფელში ნაძირალები. ისინი სუნით დაეძებენ ასეთ შემთხვევებს, გერმანელთა გულის მოსაგებად, რომ მცოდნოდა, ვინ იყავით, ხომ მაშინვე გაგიღებდით კარს, ქვა ხომ არ მოარტყით კარს?

— არა, ქვა კი არა, მგონი, ხელისგული ვთხლიშე.

— კარის გატეხვას ხომ არ აპირებდით?

— არ ვიცი, ჩემს ჭკუაზე აღარ ვიყავი.

ვალიამ თანაგრძნობით შეხედა.

— ვინ შეიძლება შემოვიდეს ხატაში?

— მეზობლები, მეზობლებს არ ვეტყვით ამ საიდუმლოს, ვერც მეზობლობას ავუკრძალავთ.

— გერმანელები? ხომ შეიძლება რაიმე დასჭირდეთ პატრულებს, ვთქვათ ასანთი და შემოვიდნენ ხატაში.

— შეიძლება, მათ ყველაფრის უფლება აქვთ, შემოსეული მტრები ბოდიშს არაფერზე იხდიან, რომ თქვან: ცუდ ადგილზე დგას თქვენი ხატა და დაანგრიონ, წინააღმდეგობას ვერ გავუწევთ, თუ შემოვლენ, ხატას გასაჩხრეკად არ შემოვლენ, თქვენ, თქვენს ოთახში იქნებით სულგანაბული, მშვიდად იყავით.

— გმადლობთ! — გადაუხადა მადლობა და დასძინა: ძალიან შეგაწუხეთ, მაგრამ სხვა გზა არა მქონდა, დავიტანჯებოდი, უბედურება რომ მომეტანა თქვენი ოჯახისთვის.

„საჭირო იყო შეწუხება თქვენი გულისთვისო", — ამის თქმას აპირებდა ვალია,—„ასე მოიქცეოდა ყველა ჭეშმარიტი უკრაინელიო",—ჭაბუკის ალერსით მზირალ თვალებს წააწყდა და ქალურად მორცხვი ღიმილითა და ალერსიანი თვალით უპასუხა:

— არც იმდენად შევწუხებულვარ, თუმცა საჭირო იყო „შეწუხება" თქვენი გულისათვის.

ბარელს საოცრად ესიამოვნა, გული აუძგერდა და ჰკითხა:

— შორსაა აქედან თქვენი შტაბი?

— ხუთი კილომეტრი იქნება შტაბამდე, ყოფილ აღმასკომის შენობაშია გერმანელთა შტაბი, მე იშვიათად მიხდება ქვეითად მისვლა-მოსვლა, შტაბისკენ ხშირად დაჰქრიან მანქანები, თუ ახალი მოსული არ იქნა ამ სოფელში, თითქმის ყველა გერმანელი მიცნობს როგორც შტაბის თანამშრომელს, — ვალიამ მაჯის საათზე დაიხედა, — იძულებული ვარ დაგტოვოთ, მე ველარ მოვასწარი, მიკოლა შემოგიტანთ რუსულ წიგნებს, აირჩიეთ, რაც მოგეწონოთ, — საკუჭნაოს თვალის მოვლებით თქვა, მაინც გაისწორა მოხდენილად დახურული ჟოლისფერი ბერეტი, გავიდა დიდ ოთახში, ჩაიხედა სარკეში და გავარდა გარეთ.

—ნახვამდის, ნახვამდის! გელოდებით, — დაადევნა სიტყვა ბარელმა და წამოიწია, „ვაი დედა" აღმოხდა, კედელს მიეყრდნო ზურგით. მარტო დარჩენილს სევდა შემოაწვა გულზე, მერე ძილი მოერია და ჩაეძინა, მშვიდად ფშვინავდა.

დუმდა დაცარიელებული ხატა.

დიდი ოთახიდან კედლის საათის მონოტონური ტაკატუკი გაისმოდა და საკუჭნაო ოთახში, საფერფლეზე, დაუწვავ პაპიროსს ისევ ასდიოდა აბლაბუდასფერი ბოლი.

მშვიდად ეძინა დაჭრილ ჯარისკაცს.

ფროსია ბებია სამზარეულოში დაფუსფუსებდა.

მიკოლა ბოსტნის წინ იჯდა, წითელ არმიაზე ფიქრობდა. ბავშვს ყოველთვის, ყოველთვის უხაროდა დანახვა წითელარმიელებისა, გამოუდგებოდნენ უკან პატარა ბიჭები სიმღერით მიმავალ ჯარს, „წითელარმიელები, წითელარმიელები!" — გაჰყვიროდნენ და მისდევდნენ, მერე, თვალს რომ მიეფარებოდა ერთფეროვნად ჩაცმულ-დახურული ჯარი, მოიყრიდნენ თავს ერთად სოფლელი ბიჭები, ერთ ყოჩაღ ბიჭს მეთაურად აირჩევდნენ, დაეწყობოდნენ წითელარმიელებივით, დაუყვებოდნენ გაჯგიმულნი შარაგზას, შემოსძახებდნენ სიმღერას,

ხან „თოფებს“ გადაიკიდებდნენ მხრებზე, მზად იყვნენ „საბრძოლველად“, თამაშობდნენ ომობანას, ზოგიერთები „წითელარმიელები“ იყვნენ, ზოგიერთები — „ფაშისტები“, არავის არ უნდოდა ფაშისტობა, რა უნდა ექნათ? თამაში მოითხოვდა ასე. დაიწყებოდა „ბრძოლა გააფთრებული“, „იღვრებოდა სისხლი“, იფარებოდა მიწა „დაჭრილ-დახოცილთა მტერ-მოყვარეთაგან“ და, რა თქმა უნდა, ყოველთვის წითელი არმია იმარჯვებდა.

თავის სოფელშიც ბევრჯერ ენახა მიკოლას წითელარმიელთა ჯარი, მაგრამ რაც მან კიევში ნახა 1940 წელს, ომის დაწყებამდე, ისეთი აღმაფრთოვანებელი არაფერი ენახა თავის დღეში.

უფროსმა ძმამ — კოსტიამ წაიყვანა კიევში საპირველმაისო დემონსტრაციაზე. მიირხეოდა ტყე დროშებისა, სასულე ორკესტრი უკრავდა სამწყობრო მარშსა და ერთფეროვნად ჩაცმულ-დახურული ჯარი მიიმართებოდა ქალაქის ფართო და გრძელ ქუჩაზე, გაისმოდა სიმღერა ომახიანი, მიკოლას ფეხი არ ედგა მიწაზე. ამ დიდებულ სანახაობას გაეტაცებინა და მიჰქროდა, მიფრინავდა, ბედნიერი იყო და ნატრობდა: ნეტავ, დიდი ვიყო, მეც წითელარმიელი ვიქნებოდიო და ის კი არ იცოდა, როცა იჯდა და იგონებდა იმ ბედნიერ დღეს, დემონსტრაციის დროს ნანახი წითელარმიელებიდან, ბევრი მათგანი ცოცხალი აღარ იყო, დახოცილნი, დაჭრილნი ეყარნენ ბრძოლის ველზე, ბევრი მათგანი კი თავგანწირვით ებრძოდა შემოსეულ მტრებს.

ამ სანეტარო ფიქრებიდან ამხანაგების — ტოლიასა და მიშკას სტვენამ გამოიყვანა, ეზოს მოსდგომოდნენ პატარა ბიჭები, სათამაშოდ უხმობდნენ მიკოლას.

შეშინებულივით წამოხტა და მიაშურა ამხანაგებს, არც უნდოდა მათი შემოსვლა ეზოში, მითუმეტს — ხატაში.

დაუყვნენ შარაგზას, გერმანელებს განერიდნენ, გადაუხვიეს უხნავი მინდვრისკენ, წამოგორდნენ, მიეფიცხნენ შემოდგომის სასიამოვნო მზეს, პარტიზანებზე ლაპარაკობდნენ.

ფროსია ბებიამ ბარელს მიაკითხა, საუზმე მიუტანა.

გულიანად ეძინა დაჭრილ ჯარისკაცს.

თვალი გადაავლო და გამობრუნდა, შეეცოდა, არ გააღვიძა, ფეხაკრეფით გავიდა საკუჭნაოდან, დიდ ოთახში კი ფოსტლების ფრატუნით გაიარა და შევიდა სამზარეულოში.

შუაზე გატეხილი ახალი გამომცხვარი პურის სუნმა გამოაღვიძა ბარელი, თავი წამოჰყო, წამოდგა, მიუჯდა მაგიდას, პირველად პური ჩაკბიჩა და თავის სიცოცხლეში ჯერ განუცდელი სევდანარევი სიამე იგრძნო.

ფერფლიღა დარჩენილიყო საფერფლეზე, მთლიანად დამწვარიყო გაზე-

თის ქალაქში გახვეული წეკო, ნაცვლად წეკოს სუნისა, პურის ღვთაებრივი სუნი იდგა.

მშვიდად და მაინც ნაღვლიანად საუზმობდა ბარელი, ხან ფროსია ბებია დაუდგებოდა თვალწინ, ხან ოდნავ ცისფერთვალა ბიჭი — მიკოლა და ხან ჯეირანივით ლაღი ქალიშვილი ვალია.

დანახვისთანავე მოეწონა და შეუყვარდა ქართველი ჭაბუკი ბარელი უკრაინელ პატარა ბიჭს — მიკოლას, მოსწონდა მისი ლამაზი შავი ულვაშები და ვაჟკაცური იერი, სულ მასთან უნდოდა ყოფნა, არ შორდებოდა, ეგონა, ის ერთი კაცი იხსნიდა მის საყვარელ სოფელს, აღარ ესაჭიროებოდა ბარელს ძებნა წეკოსა და თამბაქოს ნამცეცებისა, პატარა მამაკაცმა მიკოლა გორენკომ, ზოგი რამ ქალებზე უკეთ გაუგო ჯარისკაცს, უკრაინული ოქროსფერი წეკო, აბრეშუმივით ფაფუკი თამბაქო და ზოგჯერ გერმანული სიგარეტებიც კი მიჰქონდა მისთვის.

მარტო იყო ბარელი. შარაგზაზე რახრახით მიემართებოდნენ ბაყაყის ბუდისფერი ტანკები, მირახრახებდნენ ვეებერთელა სატვირთო მანქანები, საზარლად თუხთუხებდნენ მოტოციკლეტები და მათი განუწყვეტელი ხმაური აყრუებდა სოფელს. ვალია ჯერ არ დაბრუნებულიყო შტაბიდან, მიკოლა სადღაც გაეგზავნა ფროსია ბებიამ საქმეზე, დარდი შემოაწვა ბარელს, ერთი თავისუფლად გავლა მთელ სიცოცხლედ უღირდა, კარი ჩაჰკეტა, სარკმლის მინები შენიღბული იყო სინათლეგაუვალი სქელი ფარდებით, გარშემო უვლიდა მაგიდას, სირბილიც სცადა, ვერ შეძლო, ნაღველი მოერია, დაჯდა, თავი ჩაჰკიდა.

ფროსია ბებიამ მიაკითხა, მიხვდა რაზეც დარდობდა დაჭრილი ჯარისკაცი. დაიმეცდა: ნუ დარდობ, შვილო, ხვალ უკეთ იქნები. ზეგ კიდევ უკეთესად და მალე სულ გამოჯანსაღდებიო.

მიკოლა შემოვარდა, კარი ჩაჰკეტა, საკუჭნაო ოთახში შეძვრა, ახალი კარგი ამბები მიუტანა და გააცარა, ვალიაც დაბრუნდა შტაბიდან და დაავიწყებინა დარდი.

ეს ბარაბანი

გერმანელებმა უკრაინის მნიშვნელოვანი ნაწილი დაიპყრეს, მაგრამ ასეთ დაპყრობას დაპყრობა არ ეთქმოდა. მართალია იხტიბარს არ იტეხდნენ და მაინც ბუზღუნებდნენ: ეს რა დაპყრობაა, როცა ქალაქსა თუ სოფელში ნაბიჯიც კი ვერ გადაგვიდგამს უკან მოუხედავად. ომის დაწყების პირველ ხანებში წარმატებები ჰქონდათ ფრონტებზე, მაგრამ ზურგიდან არ ასვენებდნენ, ამის გამო პარტიზანების წინააღმდეგ ბრძოლა დიდად მნიშვნელოვანი და გადაუდებელი საქმე გახდა.

პარტიზანების წინააღმდეგ მებრძოლი რაზმის უფროსად დანიშნული იყო გერმანელი ოფიცერი — ადოლფ რიხტერი. სხვა დაპყრობილ ქვეყნებშიაც ამ თანამდებობაზე ეშუშავა, თავი ესახელებინა, მკერდი სულ ჩინ-მედლებით ჰქონდა დამშვენებული.

Richter — გერმანულად მოსამართლეს ნიშნავს, არავინ არ მოელოდა რიხტერისგან სამართალს, თუმცა რიხტერი არც თავიანთთვის ლაპარაკობდა და იქცეოდა სამართლიანად. იგი სულ ერთსა და იმავეს გაიძახოდა: — რაკი ფეხი შეგმოვდგით უკრაინაში, ახლა აქ, ყველაფერი ჩვენია სამუდამოდ, როგორც გვსურს, ისე უნდა ვიმოქმედოთო, უკრაინაში გერმანელები უნდა დავასახლოთ და, რაც დარჩებიან უკრაინელები, გერმანელების მონებად უნდა ვაქციოთო, — ჰიტლერის აზრს იმეორებდა და აჭარბებდა კიდეც ჰიტლერს.

რიხტერის ნაოქვამმა და საქმიანობამ მალე მიაღწია პარტიზანებამდე.

პარტიზანების მეთაურმა მაქსიმ კირიჩენკომ — მეტსახელად ბატკომ, ულვაშებში ჩაიღიმა, წერილი დასწერა და გაუგზავნა რიხტერს. ამ წერილის გადაცემა იკისრა ორმა მამაცმა მზვერავმა პარტიზანმა, გრიშკა პარენკომ და არკადი პერვუხინმა. თავზეხელაღებულმა პარენკომ და პერვუხინმა დრო იხელთეს, დიდ გზაზე „აკრძალულ ზონაში" დახვდნენ, ხელში ჩაიგდეს გერმანელი ოფიცრებით სავსე მანქანა, ერთი ოფიცრისა და შოფრის გარდა, ყველანი გამოასალმეს უკრაინას, გადარჩენილ ოფიცერს წერილი გადასცა პარენკომ და უბრძანა. „მიერთმია" ბატონი რიხტერისთვის. გააფრთხილეს: თუ არ შეასრულებ ჩვენს ბრძანებას, ისევ ჩაგიგდებთ ხელში, თავდაღმა დაგკიდებთ სოფელში, იმ ხეზე, რაზედაც პარტიზანებს ჰკიდებს რიხტერიო. ღილები ააჭრეს შარვალზე, წერილი მარჯვენა ხელში დაიჭირე, რადგან ღირსეული კაცისთვის წერილის მირთმევა მარცხენა ხელით უპატივცემლობას ნიშნავსო, მარცხენა ხელი შარვალს ჩაავლე სათავეში, რომ არ ჩაგძვრეს და ისე შედი შტაბში, გამოეცხადე შტაბის უფროსს იოჰან შნაიდერს, იგი რიხტერს გამოიძახებს და გადაეცი, შოფერს იმიტომ გიტოვებთ, რომ მალე უნდა მიუტანოთ წერილიო.

გერმანელმა ოფიცერმა მდაბლად დაუკრა თავი პარტიზანებს, ჩაჯდა მანქანაში. დასძრა ბედნიერმა შოფერმა მანქანა და მოუსვეს სოფლისკენ, მიადგნენ შტაბს. გერმანელმა ზუსტად შეასრულა ბრძანება, აირბინა კიბეზე, ფეხით შეაღო კარი შტაბის უფროსის კაბინეტისა, შესძახა: „ჰაილ ჰიტლერ" და გადასცა წერილი შნაიდერთან შემთხვევით შემოსულ რიხტერს, თავით ფეხამდე შეათვალიერეს, სიცილი აუტყდათ, მაგრამ, როცა თარჯიმანი ირინა არხიპოვნა იხმეს და ათარგმნინეს წერილი, მათს სიცილს ცივი წყალი გადაესხა.

პარტიზანების მეთაური წერდა:

„ბატონო ადოლფ რიხტერ!

ჩიტმა ამბავი მოგვიტანა ტყეში, თქვენ გიბრძანებიათ: უკრაინა ჩვენია სამუდამოდ, უკრაინაში გერმანელები უნდა დავასახლოთ, გადარჩენილი უკრაინელები კი გერმანელების მონებად უნდა დავიტოვოთო.

ბატონო რიხტერ! რატომ არ იქცევით ისე, როგორც შეეფერება თქვენს მშვენიერ გვარს, როგორც ჩანს, ჰიტლერი გიშლით ხელს, თქვენ კარგად შეგისწავლიათ აზრი თქვენი ფიურერისა, გატყობინებთ: თქვენს სურვილს არ უწერია განხორციელება, ისე, როგორც შეუძლებელია მზის ამოსვლა დასავლეთიდან. უკრაინა ახლა მარტო არ არის, უკრაინა უკრაინელებს ეკუთვნით და მათ დარჩებათ სამუდამოდ, გირჩევნიათ: თქვენს „გროს დოიჩლანდს" გაუფრთხილდეთ, თორემ არ გაპატიებთ თქვენი ფიურერი, სამუდამოდ კი ჰიტლერელებისთვის იცით, რა გვაქვს? სახელდახელოდ გათხრილი სამარე...

დიდი პატივისცემითა და პარტიზანული სალმით, თქვენი „კეთილის მსურველი" უკრაინელი — მაქსიმ ემელიანოვიჩ კირიჩენკო, პარტიზანული სახელით — ბატკო.

P. S. ჩვენი მისამართი: დიდი ტყე, პარტიზანთა შტაბი. თუ გნებავთ გვეწვიეთ და იქ უფრო კარგად მოვილაპარაკებთ".

ამ წერილის მოსმენის შემდეგ დიდხანს დუმდნენ შნაიდერი და რიხტერი, დანა პირს არ უხსნიდათ.

როგორც იქნა, გახსნა პირი შნაიდერმა, ბრძანა: სასტიკად დაესაჯათ წერილის მომტანი.

მივარდა რიხტერი წერილის მომტან ოფიცერს, მოაგლიჯა რკინის ჯვარი და სხვა ჯილდოებიც, შნაიდერს დაუყარა წინ და დაიყვირა:

„ჰაილ ჰიტლერ!" — და განაგრძო: გერმანელი ოფიცერი რომ ასე წახდება, იგი არაა ღირსი ამ ჯილდოებისა, არამც თუ ჯილდოების ღირსი, არამედ იმისაც, რომ დარჩეს ფიურერის რიგით ჯარისკაცად, საჯარიმო ბატალიონი, საჯარიმო ბატალიონი! ჰაილ ჰიტლერ! ჰაილ ჰიტლერ! — შესძახა ზედიზედ, ჰიტლერის პორტრეტს მიაცქერდა და გაიარ-გამოიარა აღგზნებულმა.

„ჰაილ ჰიტლერ!" — შესძახა ფეხზე წამომდგარმა შნაიდერმაც და რიხტერს მიუბრუნდა:

— თქვენ რა ბრძანეთ? რიგითი ჯარისკაციო! რიგითი ჯარისკაცია ფიურერი, მე მინახავს იგი რიგითი ჯარისკაცის ფორმაში, უბრალო ეფრეიტორი გახლდათ ჰიტლერი, ახლაც თავდადებული ჯარისკაცია და სინდისიერად ემსახურება დიდ გერმანიას.

„ჰაილ ჰიტლერ! ჰაილ ჰიტლერ!" — პათეტიკურად შესძახა ფიურერის პორტრეტს და დადგა სმენაზე.

წერილის მომტან ოფიცერს ორივე ხელი ჩაევლო ღილებაჭრილი შარვლისთვის და იდგა თავჩაქინდრული, მას არა ჰქონდა უფლება მისალმებოდა ფიურერს.

ცოტა ხნის შემდეგ, ორ გესტაპოელს მიჰყავდა იგი.

დიდმა შიშმა უფრო საშიშ კაცად აქცია, უფრო სასტიკი გახადა რიხტერი, სადაც არ უნდა გაევლო, ყველგან სახელდახელოდ გათხრილი თავისი სამარე ელანდებოდა, ერთ პარტიზანს რომ ერთი გერმანელი მოეკლა, რიხტერის ბრძანებით ათ უდანაშაულო უკრაინელს ხვრეტდნენ და ახრჩობდნენ. არავის არ ემორჩილებოდა, გაიძახოდა: მე ფიურერის სეხნია გახლავართ, ფიურერივით უნდა ვიმოქმედოო.

რიხტერმა ჩხრიკა, ჩხრიკა და თავისი თავის დასაკლავი დანა თვითონვე გამოჩხრიკა: შტაბის უფროსს მიუვარდა, დამეხმარეთ, უნდა გავაძლიერო ჩემი რაზმი, არ მყოფნის მებრძოლები, ვერ მოვიგერიე რუსი პარტიზანებიო.

რიხტერმა თავისი სისასტიკით უფრო გაამწვავა და გააფუჭა საქმე, რამდენადაც მეტი უკრაინელი იმსხვერპლა, იმდენადვე უფრო გამრავლდნენ პარტიზანები, მერე სოფლის კომენდანტს წაეჩხუბა პარტიზანების თაობაზე, შნაიდერი და კომენდანტი შელინგერი ახლო მეგობრები იყვნენ; აცნობეს, სადაც საჭირო იყო, გადააყენეს რიხტერი და ფრონტზე უკრეს თავი.

რიხტერის ადგილზე პროტექციით დანიშნეს პრუსიელი გერმანელი ბოლდერი, ხელობით ყასაბი ბოლდერი უკრაინულ ჯიშიან ძროხებში უფრო კარგად ერკვეოდა, ვიდრე პარტიზანულ ბრძოლებში.

პატივმოყვარე შნაიდერი დიდად შეცდა რიხტერის გადაყენებით, რიხტერისთანა კაცის მონახვა ადვილი საქმე როდი იყო, რიხტერს იშვიათად თუ ვინმე შეედრებოდა. მართალია, შეცდომები მოსდიოდა პარტიზანებთან ბრძოლის დროს, მაგრამ წარმატებებიც დიდი ჰქონდა, იგი მხოლოდ ბრძანებებით კი არ კმაყოფილდებოდა, საფრანგეთის სოფელ ორადურის ერთ-ერთი გადამბუგავი, სპორტული ექსტაზით უშუალოდ იბრძოდა პარტიზანების წინააღმდეგ.

რიხტერის ადგილზე დანიშნული ბოლდერი ვერ შეედრებოდა რიხტერს ვერც გონებით, ვერც საქმის ცოდნითა და მაინც წამოსცდებოდა ხოლმე სიმართლე: ფრონტელ მეომრებზე საშიშნი არიან რუსი პარტიზანები, ისინი დაღუპავენო დიდ გერმანიას.

მომხვდურებმა კარგად იცოდნენ: მომავალი პარტიზანები, სანამ ტყეს შეაფარებდნენ თავს, ბანაკებიდან გაქცეული სამხედრო ტყვეები იქნებოდნენ თუ სხვა მოქალაქენი, უკრაინელთა ოჯახებში იმალებოდნენ. ამის გამო, საჭირო გახდა გაეჩხრიკათ თითქმის ყველა ოჯახი და სადაც აღმოაჩენდნენ თავშეფარებულ უსაბუთო მოქალაქეს, ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი, პარტიზანად თვლიდნენ და ხვრეტდნენ, სახლ-კარს გადასწვავდნენ და სახლის პატრონსაც მიაყოლებდნენ.

შუადღე ახლოვდებოდა.

ხანში შესული გერმანელი ფოსტალიონი და მოხუცი უკრაინელი, უკრაინული ენის ყოფილი მასწავლებელი — როდიონ კლიმენკო მიადგნენ შტაბს, გერმანელმა არ ისურვა აეტანა ფოსტა შტაბში, უკრაინელს უბრძანა ასულიყო და ჩაებარებინა შტაბის მორიგე გერმანელისთვის, თვითონ კი სიგარეტი გააბოლა და გაისეირნა ეზოში. როგორც ყველა გერმანელი, პროფესიით ისიც პედაგოგი, რომანტიკულ-სენტიმენტალური ბუნებისა გახლდათ, სკამზე ჩამოჯდა ხის ძირას და გასცქეროდა მშვენიერ პეიზაჟს, გული აუჩვილდა, სამშობლო მოაგონა ცის ფონზე გამოსახულმა ლანდშაფტმა.

დაღლილმა კლიმენკომ პარმაღზე მდგარ ვალიას თხოვა:

— ქალიშვილო, ნუღარ ამიყვანთ ზევით, გეთაყვა, მომკლა კაცი ამდენმა ასვლა-ჩამოსვლამ კიბეებზე, ძლივს დავდივარ, თუ არ შეწუხდებით, ეს გაზეთები და წერილები გადაეცით შტაბის მორიგეს, აი, აქ მოაწერინეთ ხელი და მომიტანეთ ეს დავთარი.

მოხუცი უკრაინელის თხოვნა ძნელი შესასრულებელიც რომ ყოფილიყო, ვალია მაინც ხალისით დაეხმარებოდა, იგი თვალყურს ადევნებდა, რაც ხდებოდა შტაბში, თან ისიც იცოდა, როცა დილიდანვე არავის უშვებდა თავის კაბინეტში შნაიდერი, ეს იმას ნიშნავდა: რაღაც საიდუმლო საქმე ჰქონდა შტაბის უფროსს, ყოველთვის მარტო ეცნობოდა საიდუმლო საქმეებს და მერე, რაც საჭიროდ მიაჩნდა, გაუზიარებდა თავის ორ თანაშემწეს.

ისარგებლა ამ კარგი შემთხვევით ვალიამ, თან შეებრალა მოხუცი კაცი, გაულიმა, თავი დაუქნია. გამოართვა, ხალისიანად აირბინა კიბე, შევარდა შტაბის მორიგესთან, მოაწერინა ხელი და უთხრა: თქვენ ნუ შეწუხდებით, მე შევუტან თავის გაზეთებს ბატონ ობერლეიტენანტსო. შტაბის მორიგემ შინიდან მიღებული წერილი გახსნა, გაულიმა ფროილაინს მადლობის ნიშნად და დაიწყო კითხვა.

ვალიამ მინდვრად დაკრეფილ ყვავილების თაიგულს დაავლო ხელი და გაემართა შტაბის უფროსის კაბინეტისკენ, კარი ღია დახვდა, თამამად შევიდა, მოწიწებით დაუდო მაგიდაზე გაზეთები, ყვავილები ლარნაკში ჩააწყო, თვალი მოჰკრა მოყვითალო ფერის კონვერტს, ზედ მხარმარცხნივ ეწერა:

«Streng geheim!»[1]

გამობრუნდა და დაეშვა კიბეზე.

უკრაინელისთვის ზურგი შეექცია გერმანელს.

იჯდა როდიონ კლიმენკო და ფიქრობდა:

„ორმოცდაათი წელიწადი გახდება ამ სექტემბერში, რაც სკოლაში ვარ და... ახლა სადა ვარ? ახლა მე ჩემს მოსწავლეებთან უნდა ვიმყოფებოდე სკო-

---

[1] სრულიად საიდუმლო! (გერმ.).

ლაში... ჩემი მოღვაწეობის ორმოცდაათი წლისთავზე იუბილე უნდა გადაეხადათ ჩემთვის, აი, ეს არის შენი იუბილე ჩემო როდიონ ტროფიმოვიჩ! გვერდით გიზის გერმანელი და არც კი კადრულობს შენთან ლაპარაკს, ესეც ხომ პედაგოგია? ეს კაცი, ალბათ, რაღაც ღვთაებრივ საგანს ასწავლიდა თავის გერმანელ მოსწავლეებს, ღვთაებრივი საგნისა რა მოგახსენოთ, მაგრამ თქვენ, ალბათ, საღვთო სჯულსა და ნაცისტურ „სიბრძნეს" ასწავლიდით თქვენს მოსწავლეებს და მე და თქვენ, ამიტომაც შეგვიქცევია ერთმანეთისთვის ზურგი, ეჰ! რას მოვესწარი? რა ვუყო ჩემს დავარდნილ დედაკაცს, თორემ ამ ჩემი უძლური ფეხებით წანწალს ტყეში ყოფნა მირჩევნია, მებრძოლად თუ არ ვივარგებდი, საჩემო საქმე მაინც გამოჩნდებოდა, ა, ვის დავუტოვო ჩემი საწყალი აგაფია? ვის დავუტოვო?" — ასე ფიქრობდა ძალად ფოსტალიონი როდიონ კლიმენკო, როცა მიირბინა ვალიამ, დავთარი გადასცა და უთხრა:

— როდიონ ტროფიმოვიჩ! შევასრულე თქვენი დავალება, აი, დავთარი, მოაწერა ხელი შტაბის მორიგემ.

— გმადლობთ, ჩემო ძვირფასო, სიკეთისთვის, გმადლობთ! — გადაუხადა მადლობა, წელზე მიიდო ხელი, წამოდგა და გაემართა თავისი უფროსი ფოსტალიონისკენ.

ამდგარიყო გერმანელი ფოსტალიონი და მიდიოდა დინჯად.

წარწერის წაკითხვაც რომ არ მოესწრო ვალიას, მაინც კარგად იცოდა, რომ იმდაგვარი ფორმის მოყვითალო კონვერტი ყველა „სრულიად საიდუმლო" იყო.

შნაიდერი ყოველთვის დაკეტილ უჯრაში ინახავდა საიდუმლო ბრძანებებს, მეტისმეტად ეჭვიანი და ფრთხილი, ყველა საქმის პედანტურად შემსრულებელი გერმანელი ძალიან დაღლილი იყო, გვიან წვებოდა და ყოველთვის ადრე დგებოდა, არც ძილი ჰქონდა მშვიდი. ხმა გავრცელდა: უძილობა დასჩემდაო ფიურერს და შნაიდერიც ამაყობდა, თვითონაც რომ უძილობა სჭირდა ჰიტლერივით.

წაიკითხა თუ არა წინა დღით მიღებული „სრულიად საიდუმლო" ბრძანება, იმწამსვე იხმო ვოლფი და პოლიცმაისტერი, მოილაპარაკეს, დანიშნეს დღე და დრო სოფლის გაჩხრეკისა.

მეორე დღეს კიდევ გადაიკითხა, უჯრაში ჩადება დაავიწყდა, მაგიდაზე დარჩა.

„თან ხომ არ წაიღებს „სრულიად საიდუმლო" ბრძანებას? უჯრაში ჩადებს და დაკეტავს, ყოველთვის თან დააქვს გასაღებები, ხანდახან ამოიღებს რგოლზე ასხმულ გასაღებებს და ათამაშებს ხელში, როცა გადის შტაბიდან",— ასე ფიქრობდა ვალია.

მოაღწია სადილის დრომ.

კედლის საათმა დარეკა.

«Mahlzeit!»[1]

გაისმა აქა-იქ.

მათ წამოძახილს ზარის წკრიალიც მოჰყვა.

წამოდგნენ გერმანელი ოფიცრები, თანამდებობისა და ჩინის მიხედვით გავიდნენ გარეთ და გაიფანტნენ შტაბის ეზოში.

გაემართნენ სასადილოსკენ.

შტაბის უფროსი რომ კაბინეტიდან გამოდიოდა, გესტაპოელები შემოვიდნენ ეზოში, ძაღლებიც თან ახლდათ, ყველა მათგანს ხელში ეჭირა დასაბმელი, ტყავის დაგრეხილი რგოლები მაჯებზე ჰქონდათ წამოცმული, ჰყეფდნენ ძაღლები, ერთმანეთზე მიიწევდნენ და აბრიალებდნენ თვალებს.

მიესალმნენ ერთმანეთს გესტაპოელები და ოფიცრები.

შნაიდერმა არ იკადრა გაეღო ხმა, მას გამოსარჩევად უყვარდა, ზეიმურად უყვარდა ნაცისტურად მისალმება, იშვიათად თუ მოეწონებოდა ვინმეს შეძახილი: „ჰაილ ჰიტლერ!"

მათი მისალმების დროს შნაიდერი კიბეზე ჩადიოდა, ფეხი აითრია, საფეხურებიც ჩაათავა, ხელი აღმართა და გამოსარჩევად, მანერულად წამოიძახა:

„ჰაილ ჰიტლერ!"

შავი სანდალოზის ხელთათმანები გაიხადა, უკანალი გააბზიკა და ხელი ჩამოართვა პირველად გესტაპოელთა უფროსს და მერე დანარჩენებს, მხოლოდ ერთი კაცი დატოვა უყურადღებოდ.

ეროვნებით ავსტრიელი ჯარისკაცი აწურული იდგა, დიდი ზურგჩანთა ეკიდა. გესტაპოელთა ძაღლების მომვლელ ახალგაზრდა კაცს, მაღალკისრიანი ტანაშოლტილი ჭაბუკი უფრო მაღალი ჩანდა, ზედმიწევნით ჭკვიანი და ნაღვლიანი თვალები ჰქონდა მოგრძო სახეზე.

გესტაპოელთა უფროსმა რიჰარდ ვოლფმა და შტაბის უფროსმა იოჰან შნაიდერმა რაღაც სიტყვა წაიჩურჩულეს, მერე ყველამ გაიმეორა პაროლი «Gelingen»[2] ერთმანეთისთვის გასაგონად და გაუყვნენ სასადილოსკენ.

ავსტრიელი ჯარისკაცი ფრთხილი ნაბიჯებით მიჰყვებოდა მათ უკან შორიახლოს, მას არ გაუგონია პაროლი, არც იყო საჭირო სცოდნოდა, როგორც კი შეჩერდებოდნენ საუბრით მიმავალნი, ავსტრიელი ჯარისკაციც შეჩერდებოდა, ისე ფეხაკრეფით მიჰყვებოდა, თითქოს ეპარებაო მათ.

გესტაპოელებს როდი ეცალათ მისთვის, არც ახსოვდათ, მათს ძაღლებს უფრო ახსოვდათ, თავიანთი მომვლელისგან უკრაინული ძროხის ხორცს მოელოდნენ, დროდადრო უკან იხედებოდნენ და კუდების ქიცინით შესცქეროდნენ.

ავსტრიელ ჯარისკაცს სულ სხვა სამყაროში ჰქონდა გულისყური, ყურს არ

---

[1] სადილის დრო! (გერმ.).

[2] წარმატება. (გერმ.).

უგდებდა მათს ლაპარაკს, არც აინტერესებდა, სამხატვრო სასწავლებლიდან გაეწვიათ იგი ჯარში. ერთადერთი სურვილი არ ასვენებდა: განაპირებულიყო და დაეხატა უმშვენიერესი პეიზაჟი — მაღალი კვიპაროსების მწვერვალებზე მოხვეული ნისლი და ჩამოწოლილი ნისლის ღრუბლებში თითქოს შეფრენილი ტოტებგაშლილი ნაძვები.

ის-ის იყო, რომ უნდა გადასულიყვნენ შტაბის ეზოდან შნაიდერი და ვოლფი, სამნეო ნაწილის უფროსის — გუსტავ რიბელის გამოგზავნილი ჯარისკაცი მოვარდა, შნაიდერს ეახლა და მოახსენა:

„ბატონო ობერლეიტენანტ! გეცხადებათ რიბელის ბრძანებით ფრიდრიხ ცეპელინი, დააგვიანდება თქვენს სადილს, გუშინ, გერმანელ ოფიცერთათვის განკუთვნილი სურსათ-სანოვაგით დატვირთული მანქანები ხრამში გადაჩეხეს რუსმა პარტიზანებმა, დღისით, ყველაფერი გაიტაცეს, ჩვენი შოფრები დახოცეს, გთხოვთ პატიებას, გაცნობებთ სადილის დამზადების დროს, ჰაილ ჰიტლერ!“

შნაიდერმა შუბლი შეიჭმუხნა და წამოიძახა:

„ჰაილ ჰიტლერ!“

„ჰაილ ჰიტლერ!“ — ერთად შესძახეს ამბის მიმტანმაც და ვოლფმაც.

ჯარისკაცი ცეპელინი ზურგისკენ შებრუნდა და გაიქცა.

შნაიდერი ვოლფს მიუბრუნდა:

—უნდა გადავაყენოთ ბოლდერი, რუსი პარტიზანები დღისით, მზისითაც კი არ გვასვენებენ.

— დიახ, უნდა გადააყენოთ ბოლდერი, თქვენ უკეთ იცით, — მიუგო ვოლფმა და ვალიასკენ გაექცა თვალი.

ოფიცრებმა და გესტაპოელებმა არყის სეების ხეივანში გაისეირნეს. მათაც აცნობა ცეპელინმა სადილის დაგვიანების მიზეზი.

ვალია შნაიდერის ძაღლს დაასეირნებდა შტაბის ეზოში.

ახალგაზრდა ავსტრიელი ჯარისკაცი და ვალია ერთმანეთს უღიმოდნენ ფარულად.

მშვენიერი ქალიშვილით მოხიბლულმა ვოლფმა შნაიდერს ჰკითხა:

— ვინ არის ეს ფროილაინი?

— ჩემთან მუშაობს შტაბში, დამლაგებელია, ამავე დროს, ჩემს ძაღლს უვლის, — ზვიადად უპასუხა შნაიდერმა.

— თქვენი ძაღლის მომვლელია? — გაიოცა ვოლფმა.

კიდევ უნდოდა რაღაც ეკითხა ვალიაზე, გადაიფიქრა, არ ეწყინოსო, შეუფერებელი არაფერი წამომცდესო, იქნებ ყოველმხრივ ფლობს ამ ფროილაინსო.

ვოლფი ჯერ კიდევ არ იყო ბრძანებით დანიშნული გესტაპოელთა უფროსად, დროებით ასრულებდა ახალ თანამდებობას, შესაძლო იყო არ დაენიშნათ, ამის გამო იძულებული იყო მოკრძალებული ყოფილიყო შნაიდერთან.

— ჩემთან მუშაობს, ძალიან ბეჯითი ფროილაინია საქმეში, — ამჯერადაც ზვიადად მიუგო შნაიდერმა.

— ფრიად სასიამოვნოა, თუ თქვენ კმაყოფილი ხართ, — უთხრა ვოლფმა და ვალიას გადახედა, შნაიდერისთვის თვალის ჩაკვრა დააპირა, თავი შეიკავა, არ ივარგებს ჩარევა შტაბის უფროსის ინტიმურ საქმეებშიო. ისევ მიუბრუნდა შნაიდერს, — დიდად სასიამოვნოა, თუ თქვენ კმაყოფილი ხართ. რაიმეთი, ახლა, ამ დიდი ომის დროს, მაინცდამაინც აღარ გვესმის სასიამოვნო ამბები.

— როგორ არ მესმის, მე ფიურერის სურვილების დასაგვირგვინებლად ვიბრძვი, მხოლოდ მის მიზნებს ვემსახურები, სრულიად არ მაწუხებს წვრილმანი ამბები, კარგი ამბებიც მესმის, დღევანდელი გაზეთები არ წაგიკითხავთ? არც რადიოსთვის მოგისმენიათ? ჩვენმა ჯარმა ზედიზედ დაიკავა რუსეთის რამდენიმე ქალაქი და დასახლებული ადგილები, ამაზე სასიამოვნო რაღა უნდა იყოს! — მკვახედ მიახალა შნაიდერმა.

— ყველა ჭეშმარიტ გერმანელს გაახარებს მაგნაირი ამბები, მე აღფრთოვანებული ვარ ჰიტლერის არმიის წარმატებებით....

შნაიდერმა სიტყვა გააწყვეტინა:

— რაც შეეხება წარმატებებს, ჩვენ თუმცა აღარა გვაქვს ის წარმატებები, რაც რუსეთთან ომის დაწყების პირველ ხანებში გვქონდა, იცოდეთ, ჩვენი დროებითი შეჩერება, დროებითი მოვლენაა, თქვენ ასე არ ფიქრობთ?

— რასაკვირველია, დროებითია, — გახარებულივით წამოიძახა ვოლფმა. — დიახ, დიახ, დროებითია, — დასძინა და გაიფიქრა: „არ იქნება მართალი რამდენიმე ქალაქის ზედიზედ დაკავება, გაზეთის მონაჭორია უთუოდ, დასახლებული ადგილების დაკავება კი რა ანგარიშში ჩასათვლელია", — შესწყვიტა ფიქრი და განაგრძო: ვისურვებდი, რომ ასევე მალე შევსულიყავით მოსკოვში და ომიც დამთავრდებოდა.

— მარტო სურვილი არ კმარა, მთავარია რწმენა გამარჯვებისა, ვისაც არა აქვს რწმენა, იგი არც არის ნამდვილი გერმანელი, — კიდევ მკაცრად მიახალა შნაიდერმა.

გაბრაზდა ვოლფი, თუმცა არ შეიმჩნია, გაიღიმა ზრდილობის გულისთვის, მაინც ვეღარ მოითმინა და შეჰკადრა:

— მე პირადად, უფრო გამახარებდა ჩვენი წარმატებები, ამდენი მსხვერპლი რომ არ იყოს და დიდი გერმანია არ ინგრეოდეს, ავაზაკურად ბომბავენ ინგლისელები.

— ამდენი მსხვერპლი რომ არ იყოს?

— დიახ, ამდენი მსხვერპლი რომ არ იყოს, დიდი გერმანია მარტოა და ეს უფრო საავალალოა, რუსეთი დიდია თავისი ტერიტორიითა და ხალხითაც, ასი მილიონია რუსეთი, იგი ჩვენსავით როდი წუხს თავისი ხალხის გაჟლეტას.

—მარტო რუსეთია ასი მილიონი, რატომ ივიწყებთ საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებს? განა არ გვებრძვიან ისინი?

— რასაკვირველია, გვებრძვიან, — მიუგო ვოლფმა და ვალიასკენ გაიხედა.

შნაიდერმა ვადაში ჩაავლო ხელი მხარმარცხნივ დაკიდებულ ხანჯალს და ჰკითხა?

— რა თქვა ჰიტლერმა?

— ფიურერმა ბევრი რამ თქვა საგულისხმო, არ ვიცი, რა მოვიგონო.

— რამდენი მილიონი გერმანელის სიცოცხლე მჭირდება ომის მოსაგებადო?

— ათი მილიონი გერმანელის სიცოცხლე მჭირდება ომის მოსაგებად და მოვიგებ კიდეცო...

შნაიდერის გულის მოსაგებად, თავისი თავიც რომ ეხსნა უხერხული მდგომარეობიდან, ჰიტლერის აზრი თვითონ უფრო ზუსტად გაიმეორა.

— მთავარი საქმე გამარჯვებაა და არა იმაზე ფიქრი, თუ რამდენი მილიონი არიული სისხლის გერმანელის სიცოცხლეა საჭირო აუცილებელი გამარჯვებისთვის, ათი თუ ოცი მილიონისა, — ჰიტლერს კიდეც გადააჭარბა ფანატიკოსმა შნაიდერმა, პოზა შეიცვალა და ვოლფის ნათქვამი გაიმეორა. „გერმანია რომ არ ინგრეოდეს", ეს სიტყვები გატრიზვით წარმოთქვა, მიაცქერდა გამჭოლავი თვალით და დასძინა: გერმანიას ვერავითარი ძალა ვერ დაანგრევს, იცოდეთ, როცა რაიმე გიჭირთ, როცა რაიმე სიძნელეზე ფიქრობთ, ფიურერი ახსენეთ და გამხნევდებით, მხნე კაცი უკვე გამარჯვებულია, აბა რა გგონიათ, ომი ომია, უმსხვერპლოდ გამარჯვება ჯერ არავის გაუგონია.

— არა, მე საჰაერო თავდასხმებს ვგულისხმობ, ჯერ ახალი დაწყებულია დაბომბვა, მეორე ფრონტი თუ გაიხსნა?

ვალიამ ორჯერ შემოუარა ეზოს, წინ ჩაუარა ღობესთან მჯდარ ავსტრიელ ჯარისკაცს, გაუღიმა, ჯარისკაცმაც გულითადი ღიმილით უპასუხა და გააყოლა თვალი, წინ ბლოკნოტი ედო გადაშლილი, ტუშის ფანქარი ეჭირა ხელში.

ვალია ისევ დაუახლოვდა შნაიდერსა და ვოლფს, შნაიდერის ძაღლი ზანტად დააქნევდა სქელ გავას, ქალიშვილი ძალათი დაათრევდა პირუტყვს და სეირნობად უთვლიდა.

ვოლფმა ქურდულად შეავლო თვალი ფროილაინს.

შნაიდერს ვითომ არ შეუმჩნევია.

ქალების მსუნაგ ვოლფს, ვალიასთანა ქალიშვილის ცქერა კი არა, ჯოხისთვის რომ ჩაგეცმიათ კაბა, ქალად წარმოიდგენდა და ხიამეს მოჰგვრიდა.

ნაცისტური იდეოლოგიის თვალსაზრისით, შნაიდერს არ მიაჩნდა ქალი მამაკაცის თანასწორად, ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობა მას კომუ-

ნისტური იდეოლოგიის „შეცდომად" მიაჩნდა. ამიტომ არ უყვარდა ქალი, როგორც არსება, ქალი იზიდავდა მას, როგორც ბიოლოგიური მოვლენა.

ქალთა საკითხზე შნაიდერმა წერილებიც კი გამოაქვეყნა ნაცისტურ პრესაში, სადაც იგი გერმანელ ქალიშვილებს მოუწოდებდა: შეესრულებინათ თავიანთი სამხედრო მოვალეობა, გამხდარიყვნენ დედები ფრონტზე მიმავალი ჯარისკაცებისა თუ ოფიცრების ბავშვებისა... თორემ მსოფლიოს დაპყრობის მსურველ ჰიტლერს ჯარისკაცები აღარ ეყოფოდა.

ეახლა ვალია შნაიდერს და მოახსენა:

— ბატონო ობერლეიტენანტო! გავასეირნო არყის ხეების ხეივანში თქვენი ტიროლი?

— ჯერ აქ იყავით, მერე გაასეირნე, ცოტა ხანს კიდევ მინდა ვუცქირო, ხომ იცი, რომ ვერ ვიცლი ჩემი ტიროლისთვის.

ვალიამ მორჩილად დახარა თავი, ძაღლს ხელი მოუთათუნა გავაზე და მიადგა იქვე, ღობეს. შტაბის ეზოს გადაღმა, გერმანელ ოფიცერთა სამზარეულოსა და საბანაოში მომუშავეთა შვილებს ბურთი გაეგდოთ და თამაშობდნენ, გამოელაპარაკა იგი პატარა ბიჭებს, თან ყურს უგდებდა შნაიდერისა და ვოლფის საუბარს.

— რა მშვენივრად ლაპარაკობს გერმანულად ეს უკრაინელი ფროილაინი, — თქვა ვოლფმა და თამამად მიაცქერდა ქალიშვილს.

— სწავლობენ რუსეთში გერმანულ ენას, ჩვენი სიყვარულისთვის როდი სწავლობენ, სჭირდებათ, ჩვენც უნდა ვასწავლობდეთ რუსულ ენას, თუ გინდა დაამარცხო მტერი, მისი ენა უნდა იცოდე, კომუნისტები უჭკუონი როდი არიან, — თქვა შნაიდერმა და განაგრძო: ეს ფროილაინი მართლაც მშვენივრად ლაპარაკობს გერმანულად, გერმანიაში აგზავნიდნენ, მე დავიტოვე ჩემთვის, ომი რომ დამთავრდება, სამუდამოდ წავიყვან გერმანიაში, — განგებ, ხმამაღლა თქვა შნაიდერმა.

ვალიას ტყვიასავით მოხვდა გულში, სიძულვილი ჩაეღვარა მოფართხალე გულში, მაინც შესძლო თავი მოებრუნებინა და გაღიმებოდა.

— თუკი თქვენი სურვილი იქნება, თუ ისურვებთ... — ლაქუცით თქვა ვოლფმა.

— შვებულებაში რომ წავალ, თან უნდა წავიყვანო, კარგად უვლის ჩემს ძაღლს, თუ არ წამართვა ჩემმა ფრაუმ, რომ დაიტოვოს, ჩემს ტიროლს რაღა ეშველება? — თქვა გერმანელმა და ძაღლს უხმო:

„ტიროლ, როგორა ხარ, ჩემო ტიროლ?"

ვოლფის ყურადღება ვალიას დაეპყრო, კარგად ვეღარ უსმენდა შნაიდერს და ფიქრობდა.

„თუკი მართლა წაიყვანს ამ ქალიშვილს, რასაკვირველია, მოეწონება მის ფრაუს და კიდეც რომ არ სჭირდებოდეს, მაინც დაიტოვებს, ქმარი შინ რომ

ეყოლება, რაც არ უნდა სულელი იყოს ცოლი, იმდენი ჭკუა მაინც ექნება, ოჯახში არ გააჩეროს ლამაზი მოსამსახურე. ეს საკითხი თავისი არშინით გაზომა ვოლფმა და ფიქრი განაგრძო: მაინც სულელებია ქალები, არც ჩემმა ფრაუმ მიმაყვანინა შინ საკონცენტრაციო ბანაკში ნაყიდი რუსი ფროილაინი და იმას კი ალარ ფიქრობს, რომ აქ არ ვიკლებ ამ სიამოვნებას", — ასე ფიქრობდა ვოლფი, შნაიდერი კი განაგრძობდა:

— ძალიან გასუქდა ჩემი ტიროლი, საფრანგეთშიაც მყავდა, უნგრეთშიც, ჩეხოსლოვაკიაშიც, მაგრამ რუსეთის ჰაერი უფრო მოუხდა, მაინც მოწყენილია, არ მოსწონს აქაურობა.

— სამშობლო ენატრება, ბატონო, სამშობლო და იმიტომ არის მოწყენილი, — წამოიძახა ვოლფმა.

— აბა რა, მარტო გასუქება რაა, ენატრება თავისი ქვეყანა, მოდი ახლა და ნუ დაიჯერებთ: საქონელი პატრონსა ჰგავსო. სადაც არ უნდა წაიყვანოთ პატრონებივით მუნიანი აქაური ძაღლები, ყველგან გაძლებენ. ძაღლი მაინც ძაღლია, როგორ იქცევიან უკრაინელები და რუსები? ვინ იცის, რამდენი გაასახლეს გერმანიაში, მეტადრე ახალგაზრდები, ტიროდნენ და მერე ცეკვა-სიმღერა გააჩაღეს. გერმანელები რომ გაასახლონ, ვერც ერთი მათგანი ვერ გადარჩება. ყველაზე მწვავედ გერმანელი განიცდის ნოსტალგიას და ყველაზე მეტად გერმანელს სტანჯავს Heimweh[1].

— და ეს რისი ნიშანია ხომ მოგეხსენებათ? კეთილშობილი რასის ბუნებისა, ველურისთვის სულ ერთია, სადაც არ უნდა იცხოვროს, ოღონდ საჭმელი იშოვოს, — ისეთი დარწმუნებითა და რაღაც ახალი აზრის გამოთქმის პრეტენზიით თქვა ვოლფმა, თითქოს საწინააღმდეგო აზრი ჰქონოდეს შნაიდერს.

— აბსოლუტური ჭეშმარიტებაა, — დაუდასტურა და განაგრძო: ჩემი ტიროლი, ჩემზე უწინ შემოვიდა უკრაინაში, წინ გამისწრო უკრაინის საზღვარს რომ ვუახლოვდებოდით.

— ჯილდოს ღირსი ყოფილა, — მორიდებული ღიმილითა თქვა ვოლფმა.

— თქვენ გეღიმებათ, იქნებ არა გჯერათ, უნდა დავაჯილდოვო, საზღვრის გადალახვისთვის კი არა, ებრაელების დაგლეჯისთვის, სამასი ებრაელი ჰყავს დაგლეჯილი.

— ძაღლებმაც კი იციან, რა ხალხიც არიან ებრაელები, — უთხრა ვოლფმა და ამოიღო პორტსიგარი, მიაწოდა, მოუკიდეს და გააბოლეს.

— ძაღლი გონიერი ცხოველია, გუმანით ხვდება პატრონის სურვილს, თუ გნებავთ დავნაძლავდეთ, გაუშვით თქვენ ასი რუსი და შეურიეთ შიგ რამდენიმე ებრაელი, ჯერ ებრაელებს დაერევა ჩემი ტიროლი და მერე — რუსებს.

———————

[1] სამშობლოს სევდა (გერმ.).

— მართლა? გამოიცნობს? — ყალბ კილოზე წამოიძახა ვოლფმა და სახეზედაც გამოეხატა სიყალბე.

— დავნაძლევდეთ და დარწმუნდებით, მომიძებნეთ გადარჩენილი ებრაელები, გავიდეთ ერთ შაბათ საღამოს, ან კვირა დღით სოფლის გარეთ, ტყის პირას, გავერთოთ, ვერ ვიცლი, თორემ... საინტერესო იქნება, ა, რას იტყვით?

— ნამდვილად საინტერესო იქნება.

— ფიურერს ძალიან უყვარს ჭკვიანი ძაღლები, ძაღლის სიყვარული ნიშანია ადამიანის დიდსულოვნებისა, არ გაგიგონიათ? ფიურერს თავისი ძაღლი უფრო უყვარს ევა ბრაუნზეო, ნუ გაგიკვირდებათ!

— მეც ასე გამიგონია, სრულიად არაა გასაკვირველი, ბრძენია ფიურერი, მან კარგად იცის, საყვარელი ძაღლი ბლონდი[1] მარად ერთგული დარჩება მისთვის, ფროილაინ ბრაუნი კი რამდენჯერმე გაექცა და ისევ დაიბრუნა, დიახ, დაიბრუნა, მაგრამ ვის შეუძლია დარწმუნდეს იმაში, რომ კიდევ არ გაექცევა ფროილაინ ევა? რაც უნდა ჭკვიანი იყოს ქალი, მაინც ქალია... ყველაზე დიდი პატივისცემა ქალისთვის ხომ იცით, რა არის...

— ჩვენს ფიურერს კი მაგ საქმისთვის არცა სცალია და არც.... — აღარც შნაიდერმა დააასრულა სათქმელი, ძაღლს გადახედა.

— დღეს პარასკევია, თუ მოიცალოთ, მეორე შაბათისთვის ვეცდები აღმოვაჩინო სადმე რამდენიმე გადარჩენილი ებრაელი, კიევში ჩავალ, იქ დიდი ბანაკია, რუს ტყვეებს აქაც ბევრს ვიშოვით, გავიყვანოთ სოფლის გარეთ და გავერთოთ, რა საინტერესო იქნება თუ მართლა გამოარჩევს თქვენი ტიროლი რუსებში ებრაელებს.

— დიდი სიამოვნებით, მეორე შაბათი იყოს, გაუწოდა ხელი და დასძინა: ბებიის ბებია რომ ჰყავდეს რუსს ებრაელი მაინც არ მოტყუვდება ჩემი ტიროლი, ხომ უნდა დავნაძლევდეთ!

— დიახ, მაგრამ რაზე, რა დავდოთ სანაძლეოდ?

— რაზე და... — წამიერი დაფიქრების შემდეგ მიუგო შნაიდერმა, ათ-ათ ბოთლ შამპანურზე და ორ-ორ კოლოფ თურქულ სიგარებზე, ძალიან ძნელი საშოვარი გახდა თურქული სიგარები და თამბაქო, თქვენ ალბათ კიდევ შემოგრჩათ, არა?

— აღარ გვიგზავნის თურქეთი?

— შემოგვაკლო.

— თურქეთისთვისაც მოიცლის ჰიტლერი, ჯერ რუსეთთან მოათავოს საქმეები.

— იმედი გქონდეთ, რომ მოიცლის, ჩვენ დანაძლევებული ვართ, ბატონო ობერლეიტენანტო, უნდა ველოდოთ ახალ სიურპრიზს.

[1] ჰიტლერის ძაღლს „ბლონდ" ერქვა სახელად.

შნაიდერმა ხელი გამოაცალა და თავის ძაღლს უხმო:

„ტიროლ, ტიროლ!“

სიმსუქნით დამძიმებულმა ძაღლმა პირი დააღო, კბილები დაკრიჭა, თითქოს გაუღიმაო პატრონს, ენა გადმოაგდო და ზანტად გააქნია კუდი.

ვალიამ ერთხელ კიდევ შემოატარა ძაღლი ეზოს გარშემო, ავსტრიელმა ჯარისკაცმა თვალი შეავლო წინ ჩავლილ ქალიშვილს, მას ცოტა გაშორდა ვალია და დაჯდა, ძაღლიც წამოყუნცდა უკანა ფეხებზე, ქელვა დაიწყო სულშეხუთულივით.

შნაიდერმა და ვოლფმაც შემოუარეს ეზოს, ავსტრიელმა ჯარისკაცმა ადგილი გადაინაცვლა, შნაიდერი და ვოლფი ვალიას ახლოს დასხდნენ გადალეწილ ხეზე.

— გუშინ ფრაუ შნაიდერის წერილი მივიღე, — პოზიორულად დაიწყო შნაიდერმა, — ორი რუსი ფროილაინი გამოუყვანია ბანაკიდან, ყოველ წერილში მწერს: ბევრი საქმეა ოჯახში, ვერ ავუდივარ, რატომ არ გეგბრალებიო, — ნეტავ რა მისცა? 15 თუ 20 მარკა ღირდა შარშან, ერთი რუსი ფროილაინი, ახლა არ ვიცი, რა ღირს, იქნებ გააძვირეს!

— სულაც არაფერი უნდა ღირდეს, უფასოდ უნდა გვაძლევდნენ, ესესელები არ შვრებიან უფასოდ, მოგეხსენებათ მათი ამბავი, ფული უყვართ, ფული, ისიც კარგად მოგეხსენებათ, რა შრომისმოყვარენი არიან რუსი და უკრაინელი ქალები, გერმანელი ქალები უფრო ნებიერნი არიან, ხომ გაგიგონიათ: რუსეთი ქალებითა დგას ფეხზეო, მართალია!

შნაიდერმა საათს დახედა.

— წავიდეთ!

ადგნენ და დინჯად გაემართნენ სასადილოსკენ.

ვალიას გულში ქარიშხალი ბობოქრობდა, ვეღარ იტანდა შნაიდერის ძაღლს, მაგრამ უფრო საზიზღარი იყო ძაღლის პატრონი.

„დიდებული შემთხვევაა, უსათუოდ უნდა გავიგო, როდის მიდის შვებულებაში შნაიდერი, ვინკელმანი გამიგებს. ჰმ! გერმანიაში, მამა გიცხონდებათ, ვერ მოესწრებით იმ დღეს, ვინკელმანს უნდა მოველაპარაკო, ჩაიხედოს შვებულებაში წამსვლელ გერმანელ ოფიცერთა სიაში, თორემ ხომ შეიძლება, მოულოდნელად, ხვალვე აიღოს შვებულება შნაიდერმა და...“ — ფიქრობდა საგონებელში ჩავარდნილი ქალიშვილი.

მათი წასვლის შემდეგ მოიცალა ვალიამ ავსტრიელი ჯარისკაცისთვის, გვერდით ჩაუარა და ისე გულითადად გაუღიმა, ჯარისკაცს ნათელი მოეფინა მჭმუნვარე სახეზე, ტყეს გახედა, სულ დაეფარა ნისლს აშოლტილი ხეები, ერთფეროვანი ღრუბელივით ჩამოწოლილიყო ტყეზე, აქა-იქ გაერღვიათ ნისლი ნაძვებსა და კვიპაროსებს, მათი კენწეროები ნორჩი ნერგებივით მოჩანდნენ.

შნაიდერი და ვოლფი რომ სასადილოში შევიდნენ, გესტაპოელები უკვე

ისხდნენ, სადილობდნენ, ახალდანიშნული, პარტიზანების წინააღმდეგ განწესებული მებრძოლი რაზმი ცალკე იჯდა, არაყს თრაქავდნენ გასამხნევებლად, პარტიზანებისათვის უნდა შეეტიათ.

ახალდანიშნულ რაზმის მეთაურ ბოლდერს მოესწრო გადაკვრა ნახევარლიტრიანი შნაპსისა, ერთი ჭიქა არაყი ჩაერია საუცხოო ბავარიულ ლუდში და ინახავდა პირის ჩასატკბარუნებლად. მას არ ესმოდა ღრიანცელი გერმანელი ოფიცრებისა და გესტაპოელებისა, ბიზონივით ჩასკვნილი და სქელკისერა კაცი შუაში უჯდა თავის რაზმსა და თვლემდა, სახე გაფიქვინებოდა, ხანდახან გაახელდა უწამწამებო თვალებს, „ნორმა, ბატონებო, ნორმა, არავინ გაბედოს მეტის დალევა, თორემ საჯარიმო ბატალიონი, საჯარიმო ბატალიონი!..“ — წამოიძახებდა, მოწრუპავდა ლუდსა და განაგრძობდა თვლემას მორფინისტივით.

ავსტრიელმა ჯარისკაცმა ჯერ გესტაპოელთა ძაღლებს მიაკითხა, გამოიტანა მათი საჭმელი სამზარეულოდან და დაურიგა. მას არა ჰქონდა უფლება დამჯდარიყო ბატონ ოფიცრებთან, რიგით ჯარისკაცებს ოფიცრების შემდეგ უნდა ესადილათ. გაშმაგებით თქვლეფდნენ მგელძაღლები საჭმელს, ავსტრიელი ჯარისკაცი ერთმწკრივად დაბმული ძაღლების წინ ჩამოჯდა, შესცქეროდა ნისლით დაფარულ ტყეს და ხატავდა ოცნების თვალით. ტოტებგაშლილი ნაძვები ვეებერთელა ფრინველებივით შეფრენილიყვნენ ნისლში, თითქოს ფრთების დგაფუნით მიარღვევდნენ ნისლსა და მიფრინავდნენ.

შტაბში მხოლოდ ერთადერთი კაცი — ხანში შესული სათვალეებიანი სათნო სახის მორიგე გერმანელი დარჩენილიყო თავის სამორიგეო ოთახში და ფიქრობდა. დიდხანს იფიქრა და მიუჯდა მაგიდას. მას ოავისი ოჯახის ამბავი უფრო აწუხებდა ვიდრე შტაბისა, არც ახალი გაზეთისთვის სცხელოდა, მაინც ვერ აუარა გვერდი შტაბისა და ფრონტის ამბებს. შინ გასაგზავნი წერილის წერას შეუდგა.

„ჩემო საყვარელო ლუიზა“.

მხოლოდ ეს სამი სიტყვა დასწერა. ხაზი გაუსვა და დაფიქრდა. ისევ მიუბრუნდა დაწერილ სამ სიტყვას და შეასწორა რამდენიმე ასონიშანი: ბევრი რამ ჰქონდა სათქმელი, ვერ დასწერდა, რასაც ფიქრობდა, უჭირდა წერა...

არ უნდოდა მიეწერა უსიამოვნო ამბები მეუღლისთვის, ერიდებოდა შეეწუხებინა ცოლ-შვილი, თან ეწადა გაეზიარებინა მათთვის ჭირ-ვარამი, მიეწერა კარგი ამბები? მაგრამ რა უნდა მიეწერა, როცა ვერაფერს ხედავდა სანუგეშოს. მიეწერა: ჰიტლერის არმიას წარმატებები აქვს ფრონტებზეო? ნაცისტური არმიის წარმატებებს თანდათან ეღებოდა ბოლო, ასეც რომ არ ყოფილიყო, ამით ვერც ოჯახს გაახარებდა და არც თვითონ უხაროდა.

წამოდგა, სარკმლიდან გადაიხედა ეზოში, შემობრუნდა, დაჯდა და კალა-

მი მოიმარჯვა, მის წინ კედელზე ეკიდნენ ჰიტლერი და გერინგი, ერთმანეთს უბღვერდნენ გერმანიის რაიხსკანცლერი და რაიხსმარშალი. მათი სიძულვილის შხამი ჩაღვარა გულში, ზურგი შეაქცია, სძლია თავს და წერა განაგრძო:

„დიდი ხანია მას შემდეგ, რაც არ მიმიღია შენი წერილი. ამ ერთი კვირის წინათ, ორი სახალხო მატარებელი და სამხედრო ეშელონი ზედიზედ გადაჩეხეს პარტიზანებმა, არ მოსულა ფოსტა, მატარებელს დღისით დახვდნენ ის დაწყევლილი პარტიზანები (რა თქმა უნდა, იძულებული იყო დაწყევლილად მოეხსენებინა დასალოცი პარტიზანები), მოულოდნელად დახვდნენ, ღამით რომ მომხდარიყო ეს ამბავი, იმდენად როდი იქნებოდა გასაოცარი, ავიაფოსტით თუ გამოგზავნი წერილებს, მგონი, უმჯობესი იქნება, თუმცა ამ ბოლო დროს, ჩვენი თვითმფრინავები დახოცილი ყვავებივით ცვივიან მიწაზე.

როგორ ცხოვრობთ? ირმას ოცი წელი შეუსრულდება თხუთმეტ დეკემბერს, შენ ხომ ამბობდი ყოველთვის: დეკემბერში დაბადებულები ბედნიერნი არიანო, ვკოცნი ორთავეს, ვულოცავ წინასწარ ირმას დაბადების დღეს, ვინ იცის, რა მოხდება დეკემბრამდე, თუ მოვახერხე, გამოვუგზავნი რაიმე საჩუქარს, ან კი რა უნდა გამოვუგზავნო, ზოგიერთებივით ხომ ვერავის გავძარცვავ? ომით განადგურებულ ხალხს კიდევ გაძარცვა აკლია? თითქოს კარგია, ქალებად რომ გააჩინა ღმერთმა ირმა და ანა მარია, ჯარში არ გაიწვევენ, უარეს ადგილზე რომ გაიწვიონ? (მიხვდები) ...შიში მზარავს. თუ ღებულობ ერნსტის წერილებს? მე არ მიმიღია დიდი ხანია, დაგვიფარე, ღმერთო!

როგორც გწერდი, მე რუსეთში ვარ, კარგი ყოფილა რუსეთი, მაინც ჩემი სამშობლო მირჩევნია. ღმერთო ჩემო? რა უსაზღვრო, რა თვალუწვდენი ველებია, რა გადაივლის ამ უსაშველო სივრცეებს. მაინც გადაიარა ჩვენმა ჯარმა, ჯერჯერობით კარგ ადგილზე ვარ. შტაბში ვმუშაობ, რუსული ენის ცოდნამ მიშველა, თუმცა აქაც არანაკლებ საშიშია, რა ყოფილან ეს რუსი პარტიზანები, მშიერი მგლებივით შემორბიან სოფლში და ხოცავენ გერმანელებს, ამ ერთი თვის წინ, ოფიცერთა საცხოვრებელ სახლს დაესხნენ, ააფეთქეს, ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ ჩვენს შტაბსაც დაესხან თავს, მოგკლავენ და მერე დაუმტკიცე ვინა ხარ! ვინა ხარ და გერმანელი ხარ!.. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ორი გენერალი მოგვიკლეს, ორივე მათგანს ფიურერის პირადი მადლობა და მთავრობის დიდი ჯილდოები ჰქონდა მიღებული, რაინდის ოქროს ჯვრებისა და მუხის ფოთლების გვირგვინების კავალრები იყვნენ ორივენი, დიდი სამგლოვიარო ზეიმითა და პატივისცემით დაკრძალეს, იმდენჯერ გაისროლეს ზარბაზანი, რამდენი წლისაც იყვნენ ორივენი, ზარბაზნების იმდენჯერ გასროლა ამავე დროს პარტიზანების დასაფრთხობადაც იგულისხმებოდა. დროებით არიან დასაფლავებულნი, ამბობენ: რუსეთის მიწაში არ დატოვებენ, თავთავიანთ ქალაქებში გადაასვენებენო. ერთი მათგანი ბერლინიდან იყო, მეორე კი — ვაიმარიდან. სოფლის სასაფლაოზე მოხსნეს მარმარილოზე დამაგრებული ძვირფა-

სი ჯვრები ვიღაც რუსი თუ უკრაინელი მიცვალებულების სამარეებიდან და დაუდგეს გერმანელ გენერლებს. შავი მარმარილოს დაფაზე ოქროსფერი გოთიკური შრიფტით აწერია:

„დიდი გერმანიისა და ფიურერისთვის თავდადებულნი —
იოჰან ვილჰელმ ბრაუნი,
რუდოლფ ჰაინრიხ კრეცერი".

მეტი რაღა უნდათ? მათი სახელი დაუვიწყარი იქნება მარადჟამს გერმანელი ხალხისთვის.

ყველა აქ დაღუპულ გერმანელს კი არ ეღირსება ასეთი საპატიო დაკრძალვა, ყვავ-ყორნები სძიძგნიან ველადდაყრილ გერმანელებს, ყვავ-ყორნებისთვის სულ ერთია, ვის ხორცსა სჭამენ, გენერლისას თუ ჯარისკაცისას, გერმანელისას თუ რუსისას. ტყის პირას, მშვენიერი არყის ხეების ხეივანში გაბისვენებენ ჩვენი გენერლები, წვრილმანი ამბავი არ გეგონოს გოთიკური შრიფტით რომ აწერია მარმარილოს შავ დაფაზე, ოქროთი მოვარაყებული შრიფტით გერმანელი გენერლების სახელი და გვარი, ფიურერს ძალიან უყვარს გოთიკური შრიფტი.

ჰაინრიხ ციმერმანის წერილი მივიღე ჩვენი თანაქალაქელი ნაცნობის ხელით, ვალტერ ვაინერის ოჯახი, ხუთი სული, საკონცენტრაციო ბანაკში ამოწყდაო, ტელმანის სურათი და წერილები აღმოუჩენია მისთვის გესტაპოს ოჯახში, ტელმანთან ერთადაც ჰქონია სურათი გადაღებული. აბა რა ეგონათ ფიურერის მოწინააღმდეგეებს, არ იცოდნენ, რომ ვერ გადაურჩებოდნენ გესტაპოს? (ყველაფერი განგებ დაწერა ტელმანის დიდმა თაყვანისმცემელმა ვინკელმანმა).

ჩემო კარგო ლუიზა! გთხოვ გაუფრთხილდე შენს თავს, მოეშვი ეკლესიაში სიარულს, შენთვის ილოცე, შინ, მღვდელს არაფერი გაანდო, არ გაანდო შენი საიდუმლო და „შეცოდებანი", გაგცემს მღვდელი, ახლა არც ერთი მღვდელი არაა სანდო გერმანიაში, მეტადრე ახალგაზრდა მღვდლები, იქნებ წმინდა კათარინეს ეკლესიის მღვდელიც ჯაშუშია. გესტაპო გესტაპოა, მაგრამ არც მათი საიდუმლო ყოფილა ძნელი გასაგები, აქ ერთმა მთვრალმა გესტაპოელმა მიამბო: როცა სახელმწიფოს საწინააღმდეგო აღსარებას ანდობს მლოცველი მღვდელს, ღმერთის ამ „პატიოსან მოციქულს" არც კი უხდება წასვლა გესტაპოში დასაბეზღებლად, სააღსარებო ოთახში მიკროფონი და ხმის ჩამწერი დგას, რასაც იტყვის კაცი აღსარების დროს, გესტაპო ისმენს ყველაფერსო, ღმერთო ჩემო! რა საზიზღარი სულმდაბლობაა! დიახ, მთავრობისა და შენი ხალხის ღალატი სულმდაბლობაა და გესტაპოც ამ საქმისთვისაა მოწოდებული.

ველი შენგან წერილს, მოუთმენლად ველი. როგორ არიან ჩვენი კეთილი მეზობლები — რიჰარდ ჰირში და ვილჰელმ მოზერი? გახსოვს ჩვენი ანა მარიას მეგობარი ამალია? რა ღვთაებრივი სახე ჰქონდა? იცი, რომელი? ებრაელი კომპოზიტორის უმცროსი ქალიშვილი, იგი საკონცენტრაციო ბანაკში გარ-

დაიცვალაო შიმშილით, სულ თვალწინ მიდგას ებრაელთა დანგრეული სინაგოგები, ფრონტზე რომ მივდიოდი, მაშინ ვნახე ჰამბურგში. ეჰ! ვერც ებრაელებს უშველეს სინაგოგებმა და ვერც ქრისტიანებს გვშველის ჩვენი ეკლესიები. ხომ ხედავ, აღარ ერევა ღმერთი ადამიანთა შინაურ საქმეებში და ნურც ჩვენ ჩავურევთ ღმერთს ჩვენს საქმეებში. ჩემზე არ იდარდო, ნუ გეშინია, მე დავბრუნდები, უსათუოდ დავბრუნდები ჩემს სამშობლოში, ო, რამდენი რამ მექნება შენთვის სათქმელი, ჩავიკეტებით მე და შენ, შენ წამოწვები, მე გვერდით მოგიჯდები, გიამბობ, რაც ვნახე და განვიცადე, დავამთავრებთ კი ოდესმე ამდენ სათქმელს? დიახ, მე იმედი მაქვს დაბრუნებისა, უნდა მოვესწრო დიდი ხნის ნანატრ... აღარ დაასრულა სათქმელი და მერე მაინც დაწერა: უნდა მოვესწრო დიდი ხნის ნანატრი სურვილების ასრულებას. — მტრის განადგურებას (იგი მტრის განადგურებაში, ნაციზმის განადგურებას გულისხმობდა).

ჩემო ლუიზა, დაკრიფე ჩემი დარგული ყვავილები და დაალაგე მის სამარეზე... მიხვდები....

გკოცნით, მარად თქვენი პაულ.

1943 წ. 15 ოქტომბერი".

დაამთავრა წერილის წერა, დაკეცა, ჩადო კონვერტში, დააწერა მისამართი.

„ვაიმარი,

ფრიდრიხშტრასე, № 15.

ლუიზა ვინკელმანს,

V, 559, 959.

პაულ ვინკელმანისგან."

სანამ დახურავდა კონვერტს, ისევ ამოიღო წერილი და წაიკითხა, ჯერ სიცილი აუტყდა და მერე მწარე ღიმილი მოერია, — „ეს რა დამიწერია? რამ გამასულელა ამხელა კაცი, ეს წერილი რომ ფოსტით გავგზავნო ამ სახით, განა შეიძლება? ასე გულახდილად, პირადად ლაპარაკიც კი არ შეიძლება ახლა ვინმესთან გერმანიაში, ათასი თვალი და ყური აქვთ ჯაშუშებსა და გესტაპოს, პოლიციასა და ზოგიერთ მეზობელსაც, ადამიანი რასაც ფიქრობს და გრძნობს, ყველაფერი უნდა დაწეროს და სთქვას? სანამ არსებობს სიცოცხლე ამ ცოდვილ დედამიწაზე, ვერ ეღირსება ადამიანი თავისი აზრებისა და სურვილების გამოთქმას, ისე მოვიხსენიე გესტაპო და ჯაშუში მღვდლები თითქოს საშიშნი არ იყვნენ ის არამზადები: ადვილი საქმეა, წავშლი მათს სახსენებელს, თუ ამით რაიმე ეშველება ამ წერილს.

აჰ! არა და არა, ოჯახი დამეღუპება, თავსაც დავიღუპავ, — წამოიძახა შეშფოთებულმა ვინკელმანმა, დაფიქრდა და გადაწყვიტა: თავლაში რომ დანიელ მადერი მუშაობს, სანდო კაცია, დედის მხრივ, მგონი ბებია ჰყავს ებრა-

ელი, შვებულებაში მიდის, მას გავატან წერილს, ჩემი თანაქალაქელია, არ დამ-ზარდებაო.

ჩადო წერილი კონვერტში, დახურა და შეინახა უბეში საიდუმლო ადგილას.

იჯდა და ფიქრობდა, ათასნაირი ფიქრი უტრიალებდა თავში.

საზარელი დუმილი იდგა შტაბში, მხოლოდ სამორიგეო ოთახის კედლის საათის ტაკატუკი გაისმოდა.

გერმანიის რაიხსკანცლერი — ჰიტლერი და რაიხსმარშალი — გერინგი ისევ უბღვერდნენ ერთმანეთს...

ვინკელმანი რომ წერილს წერდა და ფიქრობდა, ამ დროს ვალიას გადაუდებელი საქმე ჰქონდა მოსაგვარებელი.

როგორც კი გადავიდნენ შტაბის ეზოდან შნაიდერი და ვოლფი, ვალიამ ერთსელ კიდევ შემოუარა ეზოს, ისე ეჩქარებოდა საქმის დაწყება, რომ ხბოსავით დაათრევდა მსუქან მგელძაღლას, შეათრია ჯიხურში, დაბა და შეუდგა საქმეს.

ვითომ დასალაგებლად შევიდა შტაბის უფროსის კაბინეტში, სარკმელი გააღო გასანიავებლად, გადაიხედა, გამოიტანა ქაღალდებით სავსე კალათა, ჩაირბინა ეზოში, ჩაჰყარა ნაგვის ყუთში, მერე იატაკის საწმენდი ჩვარი დაასველა ჭასთან მდგარ გეჯაში, გაწურა, მოუქნია იქვე მოჭყუმპალე იხვებს, ბოლოებაპრეხილმა იხვებმა ფრთები ააფათქუნეს და გაბაჯბაჯდნენ ვახვახით. ჩამოაცვა ჩვარი ჯოხზე, თვალი მოავლო იქაურობას, კიდევ მოუქნია ჩვარწამოცმული ჯოხი იხვებსა და გაემართა შტაბისაკენ, ღიღინით აირბინა კიბეზე.

ახლა სხვანაირი ვახვახით დაუბრუნდნენ იხვები გეჯას და განაგრძეს ჭყუმპალი, ჩაჰყოფდნენ გეჯაში ყვითელ ნისკარტებს, მერე მკერდებს გაუსვამდნენ წყალზე, ააფათქუნებდნენ ფრთებსა და ცალი თვალით, ალმაცერად გასცქეროდნენ ვალიას, აღარ ჩანდა იგი, შნაიდერის კაბინეტში იმყოფებოდა, ცახცახებდა.

უცებ მივარდა ვალია, დასტაცა ხელი „სრულიად საიდუმლო" კონვერტს, ჟაკეტის ჯიბეში ჩაიდო, გავიდა შტაბის დერეფანში, დივანზე დაჯდა, ამოიღო ბრძანება, დროდადრო იხედებოდა ჭიშკრისკენ და კითხულობდა:

„ბრძანება № 9,979

განსაკუთრებით ამ ბოლო დროს გაძლიერდა პარტიზანული მოძრაობა უკრაინაში და ჩვენს მიერ დაკავებულ ყველა ტერიტორიაზე, ამ ერთი თვის განმავლობაში ბევრი გერმანელი ოფიცერი, ჯარისკაცი და გენერალიც კი დაიღუპა პარტიზანების–ხელით, ყველა დიდი დანაკლისია გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური პარტიისათვის.

როგორც ჩვენი საიმედო დაზვერვა, ადგილობრივი ნაციონალისტები და

ყოფილი თეთრგვარდიელები გვატყობინებენ, ბანაკებიდან გაქცეული სამხედრო ტყვები, აგრეთვე პარტიზანებად გასაქცევი უკრაინელები იმალებიან ქალაქად თუ სოფლად, ადგილობრივი მოსახლეობის ხელშეწყობით შოულობენ იარაღსა და თავს აფარებენ ტყეებს, უერთდებიან პარტიზანებს.

ვბრძანებ: დაუყოვნებლად გაჩხრიკეთ, პირველ ყოვლისა, ყველა ეჭვმიტანილი სახლი, სახლის პატრონთან ერთად, საჯაროდ იქნას დახვრეტილი, ან ჩამოხრჩობილი ყველა თავშეფარებული უსაბუთო მოქალაქე, რა ასაკისაც არ უნდა იყოს იგი, სახლები დასწვით. ამ ოპერაციის ჩატარების შემდეგ თავი მოუყარეთ ერთად სოფლისა თუ ქალაქის რამდენიმე ქუჩის მცხოვრებლებს, ნუ გამოიძიებთ დამნაშავესა და უდანაშაულოს, ყველანი დახვრიტეთ, სასურველი იქნება თუ დასახვრეტ ხალხთან ერთად იქნებიან ბავშვები და მოხუცებიც, ყველა რუსი და უკრაინელი დამნაშავეა.

გვაცნობეთ შედეგები".

უჩვეულო გულის ძგერით კითხულობდა ვალია „სრულიად საიდუმლო" ბრძანებას, ნაცვლად იმისა, რომ სწრაფად წამომხტარიყო, შევარდნილიყო შნაიდერის კაბინეტში და დაედო თავის ადგილზე კონვერტი, წამიერად გაშტერდა, მაინც უცებ მოვიდა გონს, შევიდა და დადო თავის ადგილზე ბრძანება, ფანქარი და ქაღალდი მოამზადა, თავშეკავებულად გამოვიდა გარეთ, ისევ დაჯდა დივანზე.

სიცილ-ტირილი აუტყდა, არავინ დამინახოსო, მოიწმინდა ცრემლები და ფიქრობდა: — კიდევ ხომ არაფერი ეწერა? ჰმ! განა არ კმარა?

სანამ არ დამთავრდებოდა სამუშაო დღე, საქმეც რომ არა ჰქონოდა, მაინც ვერ დაბრუნდებოდა შინ უნებართვოდ. ხანდახან, როცა მოესურვებოდა შნაიდერს, როცა მისი ძაღლი ტიროლი უგუნებოდ იყო, ყოველთვის ტოვებდა ვალიას, ოფიცერთა სამზარეულოსთან სახელდახელოდ მიშენებულ ფარდულში ათევდა ღამეს, ძაღლის ჯიხურიც იქვე იყო. განგებ, ეზოს გადაღმა, ჯიხურში მიუჩინა ბინა ძაღლს შნაიდერმა, დაუბმელ ძაღლს უცხო ვინმე ეზოში ვერ შემოუვიდოდა. ვალიას ვარაუდით, სოფლის გაჩხრეკა იმ ღამით უნდა მომხდარიყო, მის მოსაზრებას გესტაპოელებისა და პოლიციელების თავმოყრაც ადასტურებდა, ვინკელმანისგან ისიც კი შეიტყო: საღამოს რვა საათზე, პოლიციელები უნდა გამოცხადებულიყვნენ პოლიცმაისტერთან.

„კიდევ კარგი, რომ გავიგე ეს უსაშინელესი ამბავი, მივალ თუ არა შინ, მთელს სოფელს შევატყობინებ, ჩვენებს გავაფრთხილებ, გაფრთხილება ადვილი საქმეა, სად, ვისთან უნდა შეაფაროს თავი კახამ, ისევ გერმანელებს უნდა ჩაუვარდეს ხელში? მე ვგრძნობ, არც ამაღამ გამიშვებს შინ შნაიდერი, ვინ იცის, რა საშმაკო საქმე გამოუჩნდება იმ წყეულს", — ფიქრობდა გაცეცხლებული ვალია.

მოაგონდა შარმანდელი ამბავი, მთელი ერთი კვირა ფეხი არ მოაცვლევინეს ადგილიდან. მთელი შტაბი მუშაობდა დღე და ღამე, ის ერთი კვირა კიევზე მოძალებული წითელი არმიის შეტევას მიუძღვნეს გერმანელებმა, აუარებელი საქმე გაუჩნდა ვალიას, ეს დაგვა-დასუფთავებაო, ძაღლის მოვლაო, როცა წვიმიანი დღეები დადგებოდა, სულ უკან დასდევდა შტაბში შემოსულ ყველა გერმანელს, წმენდდა და რეცხდა მათს ნაფეხურებს, გულის არევამდე სუფთა კაცი იყო ძნაიდერი, ერთი ნამცეცი ტალახიც რომ აღმოეჩინა, თუ გნებავთ ჩექმის ლანჩაზე, ჭკუიდან იშლებოდა, ყვიროდა:

«Schweinestall! Schweinestall!»[1]

გველის შხამივით ვერ იტანდა უსუფთაობას. გადაჭარბებულად სუფთა ადამიანებს ხშირად ბილწი გული აქვთო, — ეტყოდა ხოლმე კინკელმანი ვალიას, ქალიშვილმა კალოშები უშოვა და მიართვა შნაიდერს, პირველად ამრეზილად გადახედა ახალთახალ კალოშებს, ვის გაუგონია სამხედრო კაცი და კალოშებიო, ბარემღაც ქოლგაც მომიტანე სამოქალაქო ექიმივითო, — უთხრა შნაიდერმა. ბატონო ობერლეიტენანტო, ფრონტზე ხომ არ ბრძანდებით, სამარცხვინო რომ იყოს კალოშების ჩაცმაო, — შეკადრა ვალიამ, დაუჯერა თავის „ერთგულ" მრჩეველს. იცვამდა, როცა ატალახდებოდა.

არც თავის საყვარელ ძაღლს უშვებდა კაბინეტში, კარგად თუ არ გაუწმენდდა ფეხებს, ახლა ძაღლის ფეხების წმენდამ დატანჯა, შნაიდერს კალოშები შველოდა, ძაღლს ვერაფერი მოუხერხა.

„გოგო, ძაღლსაც უშოვე კალოშები და ჩააცვი, შნაიდერმა მაინც ათხოვოს კალოშები თავის ტიროლს, როცა არ სჭირდებაო. — ეხუნჯობდა ვალიას თანასოფლელი ამხანაგი პეტრო გრიცენკო.

ხარხარებდნენ ახალგაზრდები.

კარგ მრჩეველს ნატრობდა ფიქრებში გახვეული ვალია.

ძაღლს საჭმელი წაუღო, მიიყუჟა ჯიხურის კუთხეში, ამოიღო უბიდან ფანქარი და ქაღალდი, მიადგა კედელს და დაწერა მოკლე წერილი, მაგრამ ის კი აღარ იცოდა, ვისთვის გაეტანებინა, საგონებელში ჩავარდა, სულ გზისკენ ეჭირა თვალი, ვიღაც კაცი გამოჩნდა. იქნებ სანდო ნაცნობი გამოდგესო, მაშინვე გავარდა, კოხტად ჩაცმულ-დახურულ ახალგაზრდა კაცს წააწყდა, ფოტოაპარატი გადაეკიდებინა მხარზე, ფეხი შეედგა ხის ძირას მდგარ გრძელ სკამზე, არხეინად აბოლებდა სიგარეტს, საზღვარგარეთული ნაცრისფერი ლაბადა ეცვა, მუქი მწვანე შარვალი და — კრიალა შტიბლეტები. ვიღაცას ელოდებოდა არყის ხეების ხეივანში, ცივად აუარა გვერდი და ვამობრუნდა, უკრაინელი ქალები და ბავშვები შეხვდნენ. დიდიან-პატარიანად მძიმე ტვირთებს მოათრევდნენ, ზოგიერთები ხელის ურიკებს მოაგორებდნენ, ბაზარში მიეშუ-

---

[1] საღორე! საღორე! (გერმ.).

რებოდნენ, ისინი სხვა სოფლელნი იყვნენ, არც ერთ მათგანს არ იცნობდა, მაინც მიესალმა, დღე მშვიდობისა უსურვა, ხანში შესულმა ქალებმა თავი დაუკრეს გაოცებით, ორი დედაკაცი შეჩერდა და ერთმა მათგანმა მეორეს გადაულაპარაკა:

— შეხედე, ქალო, შეხედე, ისე დაფრინავს, თითქოს დღეს აღდგომა იყოს და სხვა არაფერი აწუხებდეს, ან კი რა უნდა აწუხებდეს გერმანელ ოფიცრებთან მოსეირნე კახპას, ეგ ვინაა, იცი? შტაბში მუშაობს გერმანელებთან, ტფუი, მაგის ქალობას, ჩვენი გოგოები კი ცხვრებივით გარეკეს გერმანიაში და ვინ იცის, რა დღეში არიან, ახლა, ვაი თქვენს უბედურ დედებს, შვილებო!

უკრაინელმა დედაკაცმა მუშტი ჩაიკრა გულში.

— ეეჰ, ჩემო ანგელინა, რა გითხრა, ფრთები გამოსხმია და დაფრინავს, ხომ გაგიგონია: ჭიანჭველას რომ ღმერთი გაუწყრება, ფრთები გამოესხმებაო, — მიუგო მეორე ქალმა, ხელი ჩაიქნია და თანამგზავრ ქალს უთხრა: — სად არის ანიუტა? ჩამოგვრჩა?

— ჩამოგვრჩა ის უბედური, აღარ შეუძლია უწინდებურად.

— ანიუტა რომ იყოს, მაგას კი დაუფრთხობდა ანგელოზებს, გერმანელ პოლიციელს კინაღამ ქვა სთხლიშა თავში, ნიუნცას ხელი წაუპოტინა დედის თვალწინ, — თქვა და დასძრა ხელის ურიკა.

— აბა, აბა! დიდი ხანია გამწყრალია ღმერთი, — პირჯვარი გადაიწერა და განაგრძეს გზა დუმილით.

„ეს კი ვიცი, რომ ფრთებგამოსხმული ჭიანჭველები შორს ვერ მიფრინავენ, ზარმაცები არიან, ფრთიანი ჭიანჭველა არც წყალია და არც ღვინო", — მიდიოდა და ფიქრობდა მეორე დედაკაცი, ლაპარაკის თავი აღარ ჰქონდა.

დაღამებამდე ჯერ ადრე იყო, ვალიას კი ეჩვენებოდა: იმ დღეს ჩქარა ღამდებოდა, მზე ჩვეულებრივად კი არ მიიწევდა დასავლეთისკენ, მიჰქროდა, ჩაიძირებოდა დასალიერში, მთელი ქვეყნიერება დაბნელდებოდა, ჯოჯოხეთად გადაიქცეოდა და უფრო საშინელი იქნებოდა ჟამი განკითხვისა.

ვალიას თვალწინ წარბოუდგა აწიოკებული სოფელი, აფორიაქებული ხატები, ხედავდა როგორ მიჰყავდათ გესტაპოში ბარელი, კოჭლობით მიდიოდა კახა, შესცქეროდა, ვერ შველოდა, ვიღაც ჩასძახოდა ყურში: „სასურველი იქნება თავშეყრილ დასახვრეტ ხალხთან ერთად თუ იქნებიან ბავშვებიცა და მოხუცებიც..." მიათრევდნენ საწყალ ფროსია ბებიასაც, მიკოლასაც, მერე ვალიასაც სტაცეს ხელი და მიაგდეს მათთან.

„ერთი თავშეფარებული ადამიანი რომ აღმოაჩინონ სადმე, მთელ სოფელს გადასწვავენ გერმანელები, თუკი ვიხსნი სოფელს, მთელი ჩვენი ქვეყანა გაიგებს, დაე, შევეწირო ამ საქმეს, გაიგებს სტალინიცა და იტყვის: „ბარაქალა შენ, კონკავშირელო ქალო, შენ იხსენი შენი სოფელი და ასახელე შენი კომკავშირი",

— კმაყოფილებით ჩაიღიმებს ულვაშებში და გააბოლებს ჩიბუხს, თვალს გააყოლებს ჩიბუხის ბოლს...“ — ფიქრობდა ვალია.

„რაც მომივა, მომივიდესო“, — ჩაიჩურჩულა და დააპირა გაქცეულიყო შინისკენ. ვიღაც ოფიცერი შემოვიდა შტაბის ეზოში, სირბილით შევარდა შტაბში, მისმა შევარდნამ ჩაფუშა ვალიას განზრახვა. გერმანელი ოფიცერი ტელეფონით დაელაპარაკა ვიღაცას და გავარდა გარეთ, არც ვალიასთვის მიუქცევია ყურადღება და არც შტაბის მორიგისთვის.

„ვინკელმანი! მოდი, მივალ ვინკელმანთან და ვეტყვი რომ... ა, რა ვუთხრა?“

მიირბინა სანდო გერმანელთან.

შტაბის მორიგე ვინკელმანი ბოლთასა სცემდა, თავის გაუგზავნელ წერილზე ფიქრობდა, სათვალეს ზემოდან გადახედა დაფეთებულივით მივარდნილ ქალიშვილს და შესძახა:

— ფროილაინ! რა მოგივიდა? ხომ არავინ მოგდევს?

— არაფერი, ბატონო პაულ, არაფერი, რა უნდა მომსვლოდეს! — დაბნეულად მიუგო.

— შემომხედე, არა, რაღაცას მიფარავ, რაღაც ამბავია შენს თავს, სახეზეც გეტყობა, რა მოხდა? არ მენდობი? თუ არ მენდობი...

— ბატონო პაულ, ძალიან საჭირო საქმე მაქვს, შინ მინდა წავიდე, რა ვქნა, არ ვიცი! — უთხრა ვალიამ და მიაცქერდა მოწყალების მთხოვნელის თვალით.

— შინ გინდა წახვიდე? უნებართვოდ გინდა წახვიდე? თუ იცის შტაბის უფროსმა?

— არა, არ იცის, ვერცა ვთხოვ.

—რას ამბობ, ფროილაინ! მერე რას გეტყვის შტაბის უფროსი, რომ დაბრუნდები? ხომ აპირებ დაბრუნებას? თუ არ აპირებ დაბრუნებას და იმედი გაქვს იმისა, რომ... შენ იცი, მაშინ წადი, ღმერთმა ხელი მოგიმართოს და თუ არ... იცი, რას გეტყვი? თუ აპირებ დაბრუნებას, ხომ იცი შნაიდერის ამბავი, იცი, რა დღე დააყენა ოპერატიული განყოფილების უფროსს უნებართვოდ წასვლისთვის? წასვლისთვის კი არა, გასვლისთვის, შორს კი არ წასულა, აქვე იყო, ეზოში, ვიღაც ლამაზმა უკრაინელმა ფრაუმ მოაკითხა, ხუთი წუთიც კი არ დაუვიანებია, — უთხრა შეშფოთებულმა ვინკელმანმა, სათვალე მოიხსნა, გაწმინდა ხავერდის ნაჭრით, ისევ მოირგო ცხვირზე და მიაცქერდა.

ვალია პირველად ხედავდა უსათვალებო ვინკელმანს, სულ სხვანაირი ეჩვენა იგი, თამბაქოს ბოლისფერი ბინდი გადაკვროდა მარცხენა თვალის გუგაზე, საოცრად კეთილი და ჭკვიანი თვალები ჰქონდა, ვალიას არ უყვარდა სათვალიანი მამაკაცები, ვინკელმანი კი ყოველთვის საყვარელი კაცი იყო მისთვის.

— აბა რა ვქნა? არ ვიცი, აუცილებლად უნდა წავიდე, წაუსვლელობა უფრო დიდ უბედურებას მოიტანს, მივდივარ. ჩემი ბედი თქვენს ხელთაა, ბატონო პაულ, დამეხმარეთ, თუ დამაგვიანდეს და მიკითხოს შტაბის უფროსმა, მიხსენით, მოიგონეთ რამე და გადანარჩინეთ! — შეესთხოვა ვალიამ და შეიმართა გასაქცევად.

მიუახლოვდა ვინკელმანი, ხელი მოჰკიდა მკლავზე.

— წაუსვლელობა უფრო დიდ უბედურებას მოგიტანს?

ისინი ერთმანეთს მიაცქერდნენ.

ორი ადამიანის სანდო თვალები ოდნავი ეჭვით შესცქეროდნენ ერთმანეთს.

ვალიამ თვალმოუშორებლად უთხრა:

— მხოლოდ მისვლა-მოსვლისთვის დამჭირდება დრო, ხოლოდ მისვლა-მოსვლისთვის, სხვა არაფერი მინდა.

— მხოლოდ მისვლა-მოსვლისთვის? — ისე ჰკითხა ვინკელმანმა, იგულისხმებოდა: რა გაქვს ამისთანა საქმეო.

—ბატონო პაულ, რა ვქნა? წავიდე?.

— ჯერ არ დაბრუნდება შნაიდერი, ნასადილევს თათბირი აქვთ შტაბის ოფიცრებს, წადი, ოღონდ მე ვითომ არ ვიცი, თუ დაგაგვიანდება, აი, ახლა გავიდა-მეთქი, აქვე იქნება-ნეთქი, როცა დაბრუნდები, აგერ, მოფარებულში, დივანი რომ დგას, მიდი და დაწექი, ვითომ ავად გახდი, გული შეგიღონდა.

— ვითომ ბრმა ნაწლავი ამტკივდა, ასე ვთქვათ.

— ჰო, კარგია, Blinddarm[1], ექიმსაც დავუძახებ, უკრაინელ ექიმს, დაგვეხმარება, დანარჩენი მე ვიცი... აბა, ჩქარა, გავარდი.

— რა კარგი ხართ, ბატონო პაულ, იცოცხლეთ დიდხანს, ბედნიერად! — შესძახა ვალიამ, გადაეხვია, რამდენჯერმე აკოცა თეთრ პუნტულა ლოყაზე, ფიცხლად შებრუნდა და გაიქცა.

— დინჯად, დაკვირვებით იმოქმედე! — ნიაძახა, როცა კიბეზე ჩარბოდა ვალია. შევიდა თავის სამორიგეო ოთახში, სარკმელი გააღო და თვალი გააყოლა სირბილით მიმავალს. მოაგონდა: ტანითაც ჰგავდა, ასეთივე სირბილი იცოდა მისმა უმცროსმა ქალიშვილმა ირმამ, მეორე ქალიშვილი — ანა მარია კი მსუქანი იყო, იშვიათად აუჩქარებდა ფეხს, მოაგონდა დიდი ხნის უნახავი ცოლშვილი, ტკბილ-ნწარედ ეტკინა გული. ქარმა ქაღალდები ააფრიალა მაგიდაზე, ორი მჭკნარი ნეკერჩხლის ფოთოლი ფარფატით დაეშვა იატაკზე, სარკმელი დახურა, ქაღალდები აკრიფა და დაალაგა მაგიდაზე. რკინის სახაზავი დაადო ზედ, მიუჯდა მაგიდას, ყვითელი ფოთლები აიღო, დააკვირდა, კედელზე დაკიდებულ ჰიტლერისა და გერინგის პორტრეტებს მიაცქერდა და გამოელაპარაკა:

———————

[1] ბრმა-ნაწლავი (გერმ.).

„თქვენთვის, ძვირფასო ბატონებო, ადამიანის სიცოცხლესა და არსებობაა ისეთივე ფასი აქვს, როგორც ამ ორ ყვითელ ფოთოლს".

ფოთლები ლარნაკში ჩადებულ ყვავილებზე დადო და შეაცქეროდა სიკვდილით გამშვენიერებულ რტოს მოწყვეტილ ორ სიცოცხლეს.

ერთმანეთს უბღვერდნენ ჰიტლერი და გერინგი.

„ჩემი ბედი თქვენს ხელთაა", ნეტავ მართლა ასე იყოს, ფროილაინ, რა საყვარელი გოგო ხარ, ცოტა გულუბრყვილო რომ არ იყო, ამავე დროს ჭკვიანიც ხარ და მოხერხებულიც, თორემ დაიღუპებოდი. შენ არ იცი, როგორ გშვენის შენი ოდნავ გულუბრყვილობა, როგორც არ იცის გაუფურჩქვნელნა მაისის ვარდმა; როგორ ამშვენებს მას დილის ნამი, „ჩემი ბედი თქვენს ხელთაა", ნეტავ მართლა ასე იყოს, მე გეტყოდი: წადი, გაინავარდე, გაიხარე, სულ რამდენიმე წელიწადი გრძელდება ახალგაზრდობა, ხანმოკლეა, ხანგრძლივი ხანში შესულობა და სიბერეა. წადი, გაინავარდე, რა გინდა, რა გესაქმება ამ დაწყევლილ შტაბში, სადაც მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, რამდენი რუსი მოჰკლან, მე არ ვიცი, ვინ არის რუსი, მე არ ვიცი, ვინ არის უკრაინელი, გერმანელი, ფრანგი თუ ებრაელი, მე მხოლოდ ის ვიცი: ამ ქვეყნიერებაზე არსებობს ადამიანი, შესტრფის სიცოცხლეს, უყვარს სიცოცხლე, ყველაფერზე მეტად ადამიანს სიცოცხლე უყვარს, ყველა ადამიანმა უნდა იცოცხლოს და იბედნიეროს. ჯერჯერობით, შენი ბედიც სხვის ხელთაა და ჩემი ბედიც, ბედი უამრავი ადამიანებისა, არავის არა აქვს უფლება, თავის ნება-სურვილზე წაიყვანოს ადამიანები, გამოვარდება ვიღაც, გამოიგონებს ისეთ რამეს და მისი გამონაგონის გამო ერთმანეთს ჟლეტენ ადამიანები, „ჩვენ ნაციონალ-სოციალისტები ვართო, ჩვენი პოლიტიკაც ასეთიაო, Politik, Politik![1] ღმერთო ჩემო! რა უსაზიზღრესი რამაა ნაცისტური პოლიტიკა, სიბინძურეში ჩავარდნილ ძვირფას თვალსა ჰგავს ზოგიერთებისთვის. ამოიღეს სიბინძურიდან, გაასუფთავეს და მაინც ბინძურია.

სად არის? აქვე იქნება, ბატონო ობერლეიტენანტო, აქვე იქნება. რად დაიგვიანა? ახლავე გეახლებათ, არა მაქვს უფლება, ყველგან მივაკითხო, მართალია, შვილად შემფერის, მაგრამ მაინც ქალია... თქვენი კაბინეტის დალაგება რომ დაამთავრა, ეზოში ჩავიდა", — ელაპარაკებოდა ვითომ ვინკელმანი შნაიდერს. ასე ეტყოდა ვალიას დაბრუნებამდე თუ მოვიდოდა და იკითხავდა, ან დივანზე დააწვენდა. ვითომ ავად გახდაო.

ვინკელმანისგან დაინ[illegible]ედებული ვალია ჭრელი თავსაფრის ფრიალით გარბოდა, რამდენ გადამწვარ სახლსაც მოჰკრავდა თვალს, იმდენჯერ წარმოუდგებოდა თავისი ცეცხლმოდებული ხატა, ცეცხლის ალში გახვეულიყო მთელი სოფელი, არავის არა ჰქონდა უფლება მიშველებოდა თავის სახლ-კარს.

---

[1] პოლიტიკა, პოლიტიკა! (გერმ.).

ხან კი იმედიანი ფიქრები მიაფრენდა.

ჩაუქროლა დაბომბილ ეკლესიას.

გუმბათის ნახევარიღა დარჩენილიყო.

საზარლად მოჩანდა გულგამოხრული გუმბათი.

მიწაზე დამხობილიყო ზარი.

ორი წლის წინათ, უკანასკნელად დარეკა ზარმა, დაცემის დროს სხვა ხმაზე დაიგუგუნა და დადუმდა.

გადახრილიყო ჯვარი სამრეკლოსი, ზედ ყვავი იჯდა და „ამშვენებდა" წმიდა სამრეკლოს.

გულმოსულივით იყურებოდა ჯვარზე დამჯდარი ყვავი, ხან თავს შეჰყოფდა ფრთის ქვეშ და იჩიჩქნიდა მოკაუჭებული ნისკარტით, ბუმბული სცვიოდა. ქარი მიაფრენდა, მწუხარე თვალით გასცქეროდა თავის გაფრენილ ბუმბულს.

მოხუცები მაინც არ ეშვებოდნენ დანგრეულ ეკლესიას, სოფელში ხმა გავრცელდა: როგორც კი დაეცა ყუმბარა ეკლესიას, იმწამსვე გაფრინდნენ სულები ხატებისა, მარტო მათი გამოსახულებანი დარჩნენ, ლოცვის დროს, ისევ მოფრინდებიან სულები, თავს დასტრიალებენ ეკლესიას, შიგ არ შედიან, გულმოსულნი არიან, სანამ არ აღადგენენ ეკლესიას, მანამდე არ დაუბრუნდებიან სულები ხატებისა სამლოცველოსო, — ყველაფერი სჯეროდათ მორწმუნე ადამიანებს.

მთვარეულივით დაბორიალობდა მღვდელი სასაფლაოზე, არც ის ეშვებოდა დანგრეულ სამლოცველოს, იწყევლებოდა.

ფროსია ბებია ყოველ შაბათ-კვირაობით დადიოდა სასაფლაოზე, ქმრის სამარეს ეძებდა, ლოცულობდა, ახალი სავედრებელი გაუჩნდა: ღმერთს შესთხოვდა გერმანელების გაწყვეტას, შორიდან იწერდა პირჯვარს, არც მღვდელი ურჩევდა დანგრეულ ეკლესიაში შესვლას, ქვა არ დაგეცეს თავშიო, ენატრებოდა მოხუცს ეხილა ჯვარცმული ნაცხოვრის მშვიდი სახე და ნუგეშით გადმომზირალი დედაღვთისა, ორივე ხატი თავდაღმა დამხობილიყო ტრაპეზის წინ, ფრთებგაშლილი მტრედი გაოცებული თვალით დასცქეროდა დამსობილ მაცხოვარსა და დედაღვთისას, მხოლოდ იოანე ნათლისმცემელი და მიქელგაბრიელ მთავარანგელოზი შერჩენოდნენ კედელს, ცალი ფრთა მოსტეხოდა მთავარანგელოზს, გაჯით ავსილიყო ემბაზი, უშფოთველად იტანდა სახელოვანი ნათლულის დამხობას იოანე ნათლისმცენელი, ალბათ მან დაანათლა მოთმინება იესო ქრისტეს, ვინაც ქადაგებდა მტრისადმი წინააღმდეგობის გაუწევლობას და შედეგი ის იყო, რომ დამხობილი ეგდო თავისი ნათლიის ფერხთქვეშ.

გარბოდა ვალია, ნახევარი გზაც არ ჰქონდა გავლილი, ამხანაგ ბიჭებთან მიმავალ მიკოლას მოჰკრა თვალი, სათამაშოდ მიდიოდნენ პატარა ბიჭები სოფლის გარეთ, გერმანელებს განრიდებოდნენ.

სიხარულისგან გული აუჩქროლდა.

„მიკოლა, მიკოლა, მიკოლენკა!" — დაუძახა ძმას.

ვერ მიაწვდინა ხმა ყიჟინით მიმავალ ბავშვებს, თავს ძალა დაატანა და კიდევ დაუძახა:

„მი-კო-ლა, მი-კო-ლა!"

გაიგონა, იცნო კიდეც დის ხმა, მოიხედა, ვალიამ ხილაბანდი მოიხადა, დაუქნია, მიატოვა მიკოლამ ამხანაგები, დამიცადეთ, ახლავე დავბრუნდებიო და მიაშურა დას.

ნიირბინა თუ არა, ჩაჯდა ვალია, ამოიღო უბიდან ფანქარი და ქაღალდი, სქლად დაკეცა და კიდევ დაწერა მეორე წერილი.

— გაიხადე ფეხსაცმელი, გაიხადე ჩქარა! — მიაძახა ძმას.

მიკოლამ გაოცებული თვალით შეხედა, მაინც დაჯდა, გაიხადა.

— მეორე ფეხზე გაიხადე, მარცხენა, მარჯვენას გამოგლეჯილი აქვს ჭვინტი.

მიკოლას სახეს გაოცება არ მოშორებია, მიჰყვა მის სურვილს, ერთი ხელის გაკვრით გაიხადა უფროსი ძმის ნაქონი სრული ფეხსაცმელი მარცხენა ფეხისა.

ვალიამ პირველად დაწერილი წერილი მიკოლას ფეხსაცმლის ჭვინტში მიკუჭნა, მიატენა დაჭმუჭნილი ქაღალდი, მეორე წერილი ხალათის გულისჯიბეში ჩაუდო და უთხრა:

— აჰა, ეს მეორე წერილი შინ მისვლამდე მაინც არ დაკარგო, ფეხსაცმელში რომ წერილია, კახა ბიძიას მიუტანე, ამაღამ დიდი ჩხრეკა იქნება სოფელში. გესტაპოელები და პოლიციელები ჩამოიკლიან. ძაღლი შინ შეიყვანეთ, თორემ ყეფას დაიწყებს, იქნებ კიდეც აიწყვიტოს. მოკლავენ. შინ მისვლამდე, ვინც კი შეგხვდეს სანდო ნაცნობი, ყველა გააფრთხილე, არ დაგავიწყდეს, აუცილებლად შეატყობინეთ ელიზავეტა ანდრეევნას. თუ ვინიცობაა ჩვენთანაც მოვიდნენ გასაჩხრეკად და გკითხონ შენ რაზე, უპასუხე: „არ ვიცი!" მეტი არაფერი, რაც არ იყოს გასამხელი, თქვი: „არ ვიცი!" რისი თქმაც არაფერს დააშავებს, თქვი: „ვიცი!" აბა, შენ იცი, მარჯვედ მოიქეცი, მართალია, ყელსახვევი არ გიკეთია, მაგრამ მაინც პიონერი ხარ! გასაგებია? აბა შენ იცი! გავარდი, არსად გაჩერდე!

— გასაგებია! — მიუგო მიკოლამ, შეტრიალდა და გაიქცა, ამხანაგებს რომ გაუსწორდა, ხელით ანიშნა, მივდივარო.

ვალიამ თვალი გააყოლა ძმას, ჩიტივით მიფრინავდა მიკოლა, ჯიუტ თმას თვალებში აყრიდა ქარი, დროდადრო ხელს ისვამდა შუბლზე.

ვალიამ ხილაბანდი გადაიგდო მხარზე და გაბრუნდა, ეჩქარებოდა შტაბში დაბრუნება, მაინც არ გარბოდა, ნაძალადევი სიდინჯით მიდიოდა, შტაბიდან რომ გამორბოდა, ღელვა უბიძგებდა, ვეღარ იმორჩილებდა დაძაბულ ტანს, თანდათან მშვიდდებოდა, მიაბიჯებდა ლაღად, მტკიცედ, მაინც ეშინოდა, ვაითუ დაბრუნდეს შნაიდერი ჩემს მისვლამდეო, რაღაც ბედად, შტაბში მიმავალი მან-

ჭანა წამოეწია გზაზე, ფოსტა მიჰქონდა ნაცნობ გერმანელ შოფერს, უთხოვნელად დააყენა შოფერმა მანქანა, ჩაუჯდა, კარგ ხასიათზე იყო, როდი სწყინდა ახალგაზრდა კაცის ლაზღანდარობა, კისკისებდა.

რუსული ენის შესწავლა მოეწადინებინა ჭაბუკ გერმანელს, არ უშვებდა ასეთ კარგ შემთხვევებს. ყველა შემხვედრ უკრაინელს ეკითხებოდა თითო-ოროლა რუსულ სიტყვებს და იწერდა უბის წიგნაკში გერმანული ასონიშნებით. ყველა სიტყვაზე მეტად ქალიშვილებთან საარშიყო სიტყვები იზიდავდა. პატარა მანძილი რომ გაიარეს, გზიდან გადაუხვია შოფერმა, დააყენა მანქანა ხის ძირას სიგარეტი გააბოლა, ოინბაზურმა ღიმილმა ტუჩები აუთრთოლა და უთხრა:

— Баришнна, тебна лублу!

ვალიამ სიცილით გაუსწორა:

— Баришня, я тебя люблю!

ცოტა უკეთესად გაიმეორა შოფერმა და თქვა:

— Ты очен красивана!

ვალიამ სიცილით გაუსწორა:

— Ты очень красивая!

სწორად, მაგრამ გერმანულ კილოზე გაიმეორა შოფერმა, ხელი წაავლო ვალიას მკლავზე, ალერსიან თვალებში ვნების ცეცხლი აენთო, თვალებში ჩააცქერდა ქალიშვილს.

შეკრთა ვალია.

კიდევ აუთრთოლა შოფერს ტუჩები ჭაბუკურმა ღიმილმა Fräulein, Fräulein! ამოოხვრით თქვა და დასძინა: თქვენ, ფროილაინები მაცდური ანგელოზები ხართ ყველანი, ღმერთს სატანაზე გააცვლევინებთ კაცს — ხელი უშვა, შესძახა: ჰაილ ჰიტლერ, საჭეს ხელი ჩაავლო და დასძრა მანქანა.

— ჰაილ! — შესძახა ვალიანაც.

ისე გაშმაგებით გააქროლა მანქანა, რომ საოცრად შეეშინდა ვალიას, არსად გადამჩეხოს ამ გიჟმაო, — ხელი მოუთათუნა ბეჭებზე და წყნარად უთხრა:

— გიუნთერ, რა გეჩქარება, ნელ-ნელა წაიყვანე მანქანა, შენი უფროსის გეშინია? ნუ გეშინია, არ დაგაგვიანდება!

შეანელა შოფერმა სვლა, კვლავ განაგრძობდა ქალიშვილთან არშიყობას, შეუბრალებლად ამტვრევდა მშვენიერ რუსულ ენას.

ისინი უკვე შტაბთან იყვნენ.

ჯერ ვალია გადმოვიდა მანქანიდან, ძერე შოფერი, გაუღიმა ვალიამ, მადლობა გადაუხადა და აირბინა კიბეზე. ლაღად ფეხებგალაჯულმა ჭაბუკნა დინჯი შემოიდგა, თვალი გააყოლა, გულიც თან გაატანა ქალიშვილს და გაუქრა „ნაცდური ანგელოზი".

დასვენების დრო გასულიყო, ჯერ არ დაბრუნებულიყვნენ შნაიდერი და მისი პირველი მოადგილე, დანარჩენი გერმანელი ოფიცრები თავთავიანთ ადგ-

ლზე ისხდნენ, გულმოდგინედ იქექებოდნენ ქაღალდებში, გაცხარებით მუშაობდნენ დასანგრევი „მესამე იმპერიის“ ასაშენებლად.

ვალიამ შნაიდერის ძაღლს მიაკითხა და აუშვა.

როცა ვალია დაბრუნდა, იმ დროს, შნაიდერი, მისი პირველი მოადგილე ვოლფი და კიდევ რამდენინე კაცი დაცარიელებულ სასადილოში ისხდნენ, გაანგრძობდნენ თათბირს, მათი მთავარი საუბარი შეეხებოდა ფრონტის ამბებს, კიევზე საბჭოთა ჯარების მოძალებასა და გათამამებულ პარტიზანებს.

მორიგე გერმანელის ოთახში რომ არავინ დახვდა ვალიას, შნაიდერის კაბინეტისკენ გაემართა, შეაღო კარი, თავის ადგილზე იდო „სრულიად საიდუმლო“ ყვითელი კონვერტი, იმწამსვე გამობრუნდა, დახურა კარი. შნაიდერი შტაბის ეზოში იდგა, ვოლფს ელაპარაკებოდა, დანარჩენი გესტაპოელები ცალკე იდგნენ, უკრაინელ ქალებზე ლაზღანდარობდნენ, მათი ენაგადმოგდებული ძაღლები ერთმანეთს უყეფდნენ და დაწრიალებდნენ ნოუსვენრად.

შნაიდერს არც წასვლა გაუგია ვალიასი და არც დაბრუნება, ფიქრადაც არ მოუვიდოდა სადმე თუ წავიდოდა უნებართვოდ.

პატრონივით დიდგულა ტიროლი გესტაპოელების ძაღლებს სრულიად არ აქცევდა ყურადღებას, შნაიდერს ესიყვარულებოდა, ბარძაყზე მიედო სქელი ბალვა, ხანჯლის ქარქაშის წვერი ხვდებოდა ზურგზე, ზანტად უტყაპუნებდა კუდს ჩექმაზე.

ვალიამ ეზოში ჩაირბინა, თამამად მიუახლოვდა შნაიდერსა და მოკრძალებით მიმართა:

—ბატონო ობერლეიტენანტო! ნება მომეცით წავიყვანო თქვენი ტიროლი, მაგის სადილის დროა.

შნაიდერმა თავი დაუქნია თავის „ერთგულ“ ფროილაინს და დასძინა:

«Danke schön!»

ვალიამ ჯიხურში შეიყვანა ძაღლი და დაბა.

ახალგაზრდა ავსტრიელი ჯარისკაცი ეზოში იჯდა ხის კუნძზე და გასცქეროდა ცადაზიდულ კვიპაროსებს, აღარ ეხვია ნისლი მათს ნწვერვალებს. ნაშუადღევს მზემ გამოანათა, გააქრო ნისლი, მაღალ ნაძვს ლაღად გაეშალა ტოტები, თითქოს ახლა ლაჟვარდში აპირებსო გაფრენას.

ქარი აშრიალებდა არყის ხეებს.

აღარ ეხვია ნისლი ხეთა მწვერვალებს, ავსტრიელი ჯარისკაცის გულაც გამოედარებინა, მხატვარს დრო ეშოვა, ტუშის ფანქრით დაეხატა ნისლმოხვეული ნაძვები, ტუშით დახატული მაინც ნისლისფერ შთაბეჭდილებას ტოვებდა.

ვალიამ ეზო გადაირბინა, სამზარეულოდან საჭმელი გამოუტანა ძაღლს, წინ ჩაუარა ავსტრიელ ჯარისკაცს და გაუღიმეს ერთმანეთს, რატომღაც უკან მოიხედა ვალიამ, მხატვარმა რაღაც ფურცელი დაანახვა, მობრუნდა და გამოარ-

თვა, დახედა, შეკრთა, ვალიას ავტომატი ეკიდა მხარზე პარტიზანი ქალიშვილივით, მიხვდა, რასაც ნიშნავდა, დაკეცა ფურცელი, უბეში ჩაიდო, და გაიქცა.

იოჰან შნაიდერი ზვიადად გამოეთხოვა ვოლფს, დინჯად გაემართა შტაბისკენ, უცებ მიუბრუნდა და მიაძახა:

— არ დაგავიწყდეთ მომავალი შაბათისთვის ებრაელები, თორემ ჩემს ტიროლს სხვა არაფერი აქვს გასართობი, მოწყენილია! — და გაბრუნდა.

— არა, ბატონო, სწორედ მაგაზე ვფიქრობდი ახლა, შეგატყობინებთ, მელოდეთ!

— გელოდებით! — მოუბრუნებლად ჩაილაპარაკა შნაიდერმა.

აუშვეს თავიანთი ძაღლები გესტაპოელებმა და გაუყვნენ გზას, ზოზინით მიჰყვებოდა მათ უკან ავსტრიელი ჯარისკაცი, ფეხები უკან რჩებოდა, ტყის მშვენიერ ლანდშაფტზე და ფროილაინ ვალიაზე ფიქრობდა ჭაბუკი მხატვარი.

შტაბის ნორიგე ვინკელმანი გამოცვლილიყო, ახალი მორიგე, კმაყოფილი სახის გერმანელი პარმაღზე იჯდა, მზეს ეფიცხებოდა, ცხვირი დაედო გაზეთზე, ბეცი თვალებით კითხულობდა ფრონტის ამბებს, გებელსის მოწინავე სტატიას უკვე წაეკითხა, არ სიამოვნებდა უკან დახევა ჰიტლერის არმიისა, მაგრამ გებელსის აზრი: დროებითია ბოლშევიკების წარმატებები, კიევში შემოსვლას ვერ ელირსებიან, ამ უახლოეს დროში „ჯოჯოხეთის მანქანას" მივაშველებთ ჩვენს ჯარებსო, — ეს სიცრუე კი ახარებდა, სჯეროდა კიდეც და კმაყოფილებით ბურტყუნებდა:

«Gott sein Dank! Gott sein Dank!»[1]

დაფრინავდა გახარებული ვალია, რამდენჯერმე ასკინკილითაც კი გაიბინა გოგონასავით, შნაიდერის კაბინეტის ღია კარს ნიადგა.

„ბატონო ობერლეიტენანტო, ხომ არაფერი გნებავთ?"

პასუხი არ გასცა, რაღაც ქაღალდს ჩაჰკირკიტებდა.

გამობრუნდა ვალია. კიდევ ეწადა თვალი მოეკრა „სრულიად საიდუმლო" კონვერტისთვის, ვეღარ დაინახა, სიამისა და შიშის ერეანტელმა ერთად დაჭარა ტანში. სიკვდილებით სავსე „სრულიად საიდუმლო" კონვერტი დაინახა თუ არა, იმწამსვე ჩადო შნაიდერმა მაგიდის უჯრაში, ისევ ამოიღო და დააცქერდა. ხომ არავინ წაიკითხავდაო, რას შეატყობდა! ინანა: რად დამრჩა მაგიდაზეო, თვითონვე იყო დამნაშავე და დუნილი არჩია.

ვინკელმანისკენ გაიქცა ვალია მადლობის გადასახდელად, მოულოდნელად წაადგა თავს ახალ მორიგეს, იგი ისევ ეძებდა საჯიხარულო ცნობებს, რამდენჯერმე წაეკითხა ერთი დამაიმედებელი აბზაცი გებელსის სტატიისა. კარგად ერკვეოდა ჩვენი ქვეყნის რუკაში, თითებზე ითვლიდა ჰიტლერის არმიის მიერ დაკავებულ ჩვენს ქალაქებს, არ ეყო არც თითები და არც მოთმინება, ფანქარი

---

[1] მადლობა ღმერთს! მადლობა ღმერთს! (გერმ.).

მოიშველია, შეუტია დასაპყრობ ქალაქებს, „აიღო“ ბევრი ქალაქი, დაზამთრებამდე ნიადგა მოსკოვს, ისიც „აიღო“, გაიხარა. გაიფიქრა: მოსკოვის აღების შემდეგ ომიც დამთავრდება და ზამთარში ჩვენს სამშობლოში ვიქნებიო.

როგორც ყველა გერმანელს, მასაც ეშინოდა რუსული ზამთრისა.

შემკრთალმა ვალიამ ცივად აუარა გვერდი ახალ მორიგეს, სასადილოდაა მომავალი ვინკელმანი შეხვდა. გაუღიმეს ერთმანეთს და გაშორდნენ.

ვალია ადგილს ვერ პოულობდა, ეგონა, მთელი უკრაინა გადავარჩინეო, რომ გაეშვათ, კიევამდე ირბენდა და იქაც შეატყობინებდა ჩხრეკის ამბავს, ვინკელმანი კი ისე უყვარდა, მზად იყო გადახვეოდა, გულში ჩაეკრა მამისტოლა კაცი და დაეკოცნა მისი გაცრეცილი პუნტულა ლოყები.

ჯიხურში შეირბინა ძაღლთან, დიდგულა ბატონივით გალურსულიყო პატრონივით გულზვიადი მგელძაღლა, პირი არ დაეკარებინა სადილად მირთმეული საჭმლისთვის, ნაირ-ნაირი საჭმელებით გულნოყირჭებულს არ მოსწონებოდა კატლეტები, მხოლოდ ძვლები ეხრა თავშესაქცევად.

„არაფერი მიგირთმევიათ“? ნუ მიირთმევთ, მაგაზე მეტი დარდი არ მომცეს ღმერთმა, მოვესწრები ინ ბედნიერ დღესაც, რომ გენატრებოდეთ მაგისთანა საჭმელი შენცა და შენს ოხერ პატრონსაც“, — ჩაილაპარაკა ვალიამ და მაინც მიუგდო ხორცის ნაჭერი.

ძაღლმა უგულოდ დასუნა ხორცსა და დიდგულა ბატონმა ახლა მეტიჩარა ქალბატონივით აბზიკა ცხვირი, ყურები გააპარტყუნა, პირი გაუწკლაპუნა შავ ნესტოზე მცოცავ აბეზარ ბუზს.

ახლა წვენი დაუსხა თასზე, დაუდგა წინ, სულაც არ დახედა, რას დაეძებდა, თუნდაც ფეხები გაეფშიკა შიმშილით, მაინც გაბრაზდა ვალია, აიღო წვნიანი თასი და თავზე გადაასხა, გამოცოცხლდა გალურსული ძაღლი, წამოხტა, ქეჩო აიყარა, ღონივრად გაიბერტყა ტანი, წვენის წინწკლები სახესა და კაბაზე შეასხა თავის მომვლელს, ვალიამ ისე შეკივლა, თითქოს საკბენად სცემოდეს ძაღლი.

მერე კისკისი აუტყდა.

ისევ დაწვა ძაღლი.

„არა გშია, თუ კატლეტები არ მოგწონთ? არც ეს ახალი ხორცი გნებავთ? აბა რა მოგართვათ, ბატონო შტაბის უფროსო — იოჰან შნაიდერ?! უკაცრავად გახლავართ, ვერ მოგართვით ხბოს ხორცი.“

მართლა გულმოსულივით იწვა გავასქელი ძაღლი, ცალ თათზე დაედო თავი, ხანდახან, ქვეშ-ქვეშ გახედავდა ხოლმე ვალიას ცალი მოჭუტული თვალით, ქალიშვილი კაბას იფერთხავდა, დროდადრო ჯიხურის ჭუჭრუტანიდან გასცქეროდა შტაბის შენობას, ვიღაც ახალმოსული გერმანელი ოფიცერი უკან დასდევდა ვალიას, სანამ ის არ გამოვიდოდა, მანამდე არ აპირებდა გამოსვლას ძაღლის ჯიხურიდან.

„ ხვალ რას მიირთმევთ სადილად, რასა და ტყვიას შუბლში შენცა და შენი ოხერი პატრონიც, მიაკვდი შენს ოხერ პატრონს სამარეში", — მიაძახა და მიატოვა გალურსული მგელძაღლა.

უცნობი კაცი

და-ძმის შეხვედრა და ჩურჩული საეჭვოდ მიიჩნია უცნობმა კაცმა, იგი გზის პირას მდგარ დანგრეული ხატადან ადევნებდა თვალყურს, როცა ვალია და მიკოლა გაიყარნენ, მოახტა ველოსიპედსა და დაედევნა ვალიას, გადაიფიქრა, ბავშვს უფრო ადვილად გამოვტყუებ რამესო, გამობრუნდა, დაედევნა მიკოლას, გვერდით ჩაუქროლა, გაუსწრო წინ, შეანელა სვლა, წამოეწია მიკოლა, თითქმის გვერდ-გვერდ მიდიოდნენ ორივენი, ერთი ჩაახველა უცნობმა კაცმა, მოხედა მიკოლას და მშვიდად ჰკითხა:

— Хлопец! — შორს მიდიხარ?

შეკრთა მიკოლა, თუმცა არ შეიმჩნია, არ ესიამოვნა, გუმანით მიხვდა, რომ არ იყო კეთილი სული ეს უცნობი კაცი, თვითონაც მშვიდად მიუგო:

— არა, ბიძია, შორს არ მივდივარ, — დაიხარა, ტირიფის წკეპლა აიღო და ნოიქნია, გაიშხუვლა წკეპლამ, კიდევ მოიქნია მაგრად, უცნობი კაცის თვალებს წააწყდა, აღარ გაუგონია წკეპლის გაშხუვლება.

— რა გვარი ხარ?

— გორენკო.

— რა გქვია?

— მიკოლა.

— კარგი სახელია მიკოლა, ნამდვილი უკრაინული სახელია, ბაბუაჩემსაც მიკოლა ერქვა, ჩემთვისაც მიკოლა უნდა დაერქმიათ, არ დამარქვეს.

— თქვენ რა გქვიათ, ბიძია? — ზრდილობიანად ჰკითხა მიკოლამ.

უცნობმა კაცმა ყური აავლო ბავშვის შეკითხვას.

„მიკოლა, მიკოლა!" — გაიმეორა ზედიზედ.

გაუკვირდა მიკოლას, რომ არ უპასუხა უცნობმა კაცმა.

— ბაბუაჩემსაც მიკოლა ერქვა.

ორთავემ სიმართლე თქვა, მიკოლა ერქვა მათს ბაბუებს.

— ამ სოფლიდანა ხარ?

— დიახ, ბატონო, ამ სოფლიდან ვარ.

— სად ცხოვრობ, სად არის შენი სახლი? მე კარგად არ ვიცნობ ამ სოფელს.

„აკაური არ ყოფილა!" — თქვა გულში მიკოლამ და მიუგო:

— გზის პირას რომ მაღალი არყის ხეებია, იქ არის ჩემი ხატა, ჩემს ეზოში ძალიან დიდი მუხა დგას.

— რა ადგილზე?

— სოფლის სკოლასთან.

— ჰოო, ვიცი, ვიცი! მეც იქითა მაქვს გზა, თუ გინდა, შემომიჯექი ველოსიპედზე, ერთად ვიმგზავროთ.

მიკოლას ეგონა, განგებ მეუბნებაო.

— გმადლობთ, ბატონო, შეგაწუხებთ, ნახევარი გზა უკვე გავიარე.

— ვინა გყავს შინ?

— ბებია, ფროსია ბებია.

— მშობლები არა გყავს?

— როგორ არა მყავს, — მიუგო ნაწყენმა მიკოლამ და წკეპლას დახედა.

— თუ გყავს, სად არიან შენი მშობლები?

— მამა ჯარშია.

— დედა?

— დედაჩემი ახლა კიევშია წასული საქმეზე.

— მარტო ბებია გყავს შინ? სად არის მიკოლა ბაბუა?

— არა მყავს ბაბუა.

— გახსოვს ბაბუაშენი?

— დიახ, მახსოვს, სამი წლისაც არ ვიყავი და მაინც მახსოვს, კისერზე შემომომისვამდა ხოლმე ბაბუა, დამარბენინებდა ეზოში და გაიძახოდა: „აჩუ, აჩუ ცხენოო", — უპასუხა მიკოლამ. ეგონა მომეშვებაო, გული მოსდიოდა, არ იმჩნევდა, ველარ ბედავდა გაეშხუვლებინა წკეპლა, ხელში აწვალებდა, ხან ღუნავდა და ხან ასწორებდა.

— მე არ მახსოვს ბაბუაჩემი, შვიდი წლისა ვიყავი და მაინც არ მახსოვს, როცა გარდაიცვალა, შვიდი წლისა ვიყავი.

— მე სამი წლისაც არ ვიყავი და მაინც მახსოვს, — კიდევ გაიმეორა მიკოლამ და აგრძნობინა თავისი მეხსიერების უპირატესობა.

დაავიწყდა უცნობ კაცს ეკითხა: და-ძმანი თუ გყავსო, ნელ-ნელა მიაგორებდა ველოსიპედს, შეჩერდა, გზის პირას მდგარ ბებერ ვერხვზე მიაყუდა ველოსიპედი.

მიკოლას წასვლა უნდოდა, შეჩერდა, ვერხვის ფოთოლივით უთრთოდა გული, ვერ ბედავდა ეთქვა: მეჩქარებაო. ან ხმის ამოუღებლად მიეტოვებინა, ერთი გაქროლება ყველაფერს ერჩია, უაზროდ შესცქეროდა ბებერ ვერხვს.

არ უყვარდა მიკოლას ვერხვები. მთრთოლვარე ვერხვი მშიშარა ადამიანს აგონებდა, როცა ვერხვს დაინახავდა, ეგონა, ნიატოვებდნენ ხეს მოცახცახე ფოთლები და გაფრინდებოდნენ, შიშველი დარჩებოდა ვერხვი, ეცოდებოდა. მაგრამ არ უყვარდა.

უცნობი კაცი ცალი მხრით მიეყრდნო ვერხვს და არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, სიგარეტი ამოიღო, მოუკიდა და გააბოლა. სიგარეტის ნამწვი გადაგდო თითის გაკვრით და ვითომ სხვათაშორის ჰკითხა:

— ბიჭო, ვინ იყო ის ქალიშვილი, შენ რომ გელაპარაკებოდა? — თავის მოსაწონებლად, მხარზე გადაკიდებული ფოტოაპარატი მოიხსნა, მისი ბუდიდან შოკოლადის ორი ფილა ამოიღო, გაუწოდა ერთი ცალი და უთხრა: — აჰა, კარგი შოკოლადია, თუ გიჭამია ან თუ გინახავს შენ ოდესმე შოკოლადი?

— ომამდე ბევრი შოკოლადი იყო ჩვენი სოფლის მაღაზიაში.

— შეჭამე, კიდევ მოგცემ, ბებიასაც მიუტანე, მოხუცებს ბავშვებივით უყვართ ტკბილეულობა.

— ჩემს ბებიასაც უყვარს ტკბილეულობა, დიახ, უყვარს.

მოკბიჩა უცნობმა კაცმა შოკოლადის ფილა.

— გერმანული შოკოლადია, გერმანიაში ბავშვებს თავზე საყრელი აქვთ შოკოლადი, აქ კი აღარ ყოფილა.

„ეს კაცი აქაური არ იქნება, აბა ვინ არის?" — ფიქრობდა მიკოლა.

დახედა შოკოლადის ფილას, — წაეთრევა და მერე შევჭამო, ხომ აღარ წამართმევსო...

ერთხანს ხმას არ იღებდნენ.

ეუსერხულებოდა მიკოლას დუმილი.

მიუბრუნდა უცნობი კაცი და უთხრა:

— თუ გინდა, გააქროლე ჩემი ველოსიპედი, მე არ მეჩქარება.

მოკრძალებით მივიდა მიკოლა ველოსიპედთან, უცებ მოახტა და ნელ-ნელა წაიყვანა, მერე სასწრაფოდ გააქროლა, მალე შეაჩერა და უკან მოიხედა.

— ჯერ ნუ გადმოხვალ, დაბრუნდი, სურათი უნდა გადაგიღო, — მიაძახა და მოიმარჯვა ფოტოაპარატი.

დაუახლოვდა მიკოლა და ნოემზადა.

— რატომ ხარ მოღუშული? გაიღიმე, უკეთესი გამოხვალ.

რა ეღიმებოდა, ძალათი გაიღიმა, იმდაგვარად გასწია ტუჩები, თითქოს უცნობ კაცს ეთქვას: კბილები მაჩვენეო.

რამდენჯერმე სხვადასხვა პოზაში გადაუღო ფოტოსურათი, ხან დაღვრემილი იყო მიკოლა და ხან — კბილებდაკრეჭილი.

— დავამზადებ და წაიღე, მისამართს მოგცემ, ნოდი ჩემთან, როდის მოხვალ?

— როდის უნდა მოვიდე? — მიუგო მორიდებით,—გადმოხტა, წამოაგორა ველოსიპედი, მიაყუდა ვერხვზე, ეგონა, ახლა კი მეშველაო.

— ეკლესიასთან ვცხოვრობ, დაბომბილ ეკლესიასთან კი არა, მეორე ეკლესიასთან, ამ სოფლის საზღვარზე რომ ეკლესიაა.

— ვიცი, სადაც არის, მოვაგნებ, — ხალისით მიუგო ნიკოლამ.

უცნობი კაცი ვერხვის ძირას მიგდებულ ცალფეხმოტეხილ სკამზე ჩამოჯდა, სიგარეტს მოუკიდა და ვითომ სხვათაშორის კიდევ ჰკითხა:

— ვინ იყო ის ქალიშვილი, შენ რომ გელაპარაკებოდა?

— ჩემი დაჲ იყო.

— მე დავინახე, რაღაც დაწერა და მოგცა.

მიკოლას ტანში გასცრა, მარცხენა ფეხის ცერი მიაჭირა ფეხსაცმლის ჭვინტს, დაიხარა, ერთი ჭრელი კენჭი აიღო და უპასუხა:

— წერილი გამატანა ბებიასთან.

უცნობმა კაცმა რევოლვერი ამოიღო შარვლის უკანა ჯიბიდან.

მიკოლას ისე ძალიან უყვარდა რევოლვერი, რომ შეეძლო მთელი დღე სჭეროდა ხელში და არ მობეზრებოდა, ახლა კი სძულდა მისი მოელვარე რევოლვერი. ჩაჯდა, ფერადი მინის ნატეხი აიღო, ცალ თვალზე მიიდო, მეორე თვალი მოჭუტა და გახედა ვერხვს, სხვაფერად თრთოდნენ ვერხვის ფოთლები... ამ დროს იჭექა რევოლვერმა, შეხტა მიკოლა, მიაცქერდა ზურგშექცეულ უცნობ კაცს, -იგი კიდევ უმიზნებდა რევოლვერს ვერხვის ტოტს, კიდევ იჭექა რევოლვერმა, აღარ შეშინებია მიკოლას, ნოკლული ფრინველივით დაეცა ძირს ტყვიით მოტეხილი ვერხვის ტოტი, გაიქცა მიკოლა, აიღო, მიურბენინა, აიო, თქვა და მიაწოდა.

გამოართვა ვერხვის პაწაწინა ტოტი, არც კი დაუნახავს მიკოლას თვალებში ჩამდგარი ცრემლები და სიმწრის ღიმილი, ჩამქრალ სიგარეტს მოუკიდა და ახლა უფრო დაყვავებით ჰკითხა:

— ხომ არავინ იცი, ან გაგიგონია ვინმე მეზობელთან თავშეფარებული, ხომ არავის იცნობ იარაღს რომ ინახავდეს? ხატებში ინახავენ თუ ეზოებში აქვთ ჩაფლული მიწაში?

თავშეფარებული რომ ახსენა, ბარელი მოაგონდა.

— არა, არავინ არ არის თავშეფარებული ჩვენს სოფელში.

— პარტიზანები? არც პარტიზანები არიან?

— პარტიზანები ძალიან შორს არიან, შუაგულ ტყეში იმალებიანო, — ასე ამბობენ.

— იცი, ვინ არიან პარტიზანები?

— გერმანელებმაც იციან, მე არ მინახავს ისინი.

— თუ მეტყვი სიმართლეს, გერმანელ კომენდანტთან წარგადგენ, კარგ ჯილდოს მოგცემს, ამისთანა ველოსიპედი არ გინდა? მე გაჩუქებ ამ ველოსიპედს, კიდევ მაქვს შინ, ფრანგული ველოსიპედია.

— ბიძია, უნდა წავიდე, მეჩქარება, ბებიაჩემს შეეშინდება, მერე აღარსად გამიშვებს, წერილი გამატანა ჩემმა დამ ვალიამ, ბებიასთან, — ხვეწნით უთხრა და ხელი მოისვა გულის ჯიბეზე.

— აბა მაჩვენე! — უთხრა გახალისებულმა უცნობმა კაცმა, იქნებ მნიშვნელოვანი წერილი აღმოჩნდესო.

მიკოლამ ვერხვს ახედა, ჩიტები კინკლაობდნენ, მერე შაშვისოდენა რაღაც ფრინველი მოფრინდა, დაჯდა ვერხვზე, დააფრთხო პატარა ჩიტები, გაფრინდნენ, შაშვისოდენა ფრინველიც გაფრინდა, ისევ დაუბრუნდნენ ჩიტები კანონიერად თუ უკანონოდ ჩამორთმეულ თავიანთ კარ-მიდამოს, მაინც არ ცხრებოდნენ, კინკლაობდნენ.

ვერხვიდან აფრენილი შაშვისოდენა ფრინველი ჰაერში დაეჭირა გადაქროლილ შავარდენს, ახლა იგი შავარდნის ბრჭყალებში ფართხალებდა.

გაუწოდა მიკოლამ წერილი.

განოართვა უცნობმა კაცმა და წაიკითხა:

„ჩემო ბებია!

შენ გენაცვალე, ამაღამ იქნებ არ გამომიშვან შინ, არ შეგეშინდეს. საქმე მაქვს, ხომ იცი, ჩემი უფროსი გერმანელი ოფიცერი — შნაიდერი კარგი კაცია, რა მიჭირს, ხვალ გამოგზავნე მიკოლა ნაშუადღევს, შტაბში, ჩაი გაქვს კიდევ? იტალიური ჩაი მომცეს გერმანელ ოფიცერთა სამზარეულოში, მოგიტან ხვალ...

გაკოცებ, შენი ვალია".

გაჭირვებით წაიკითხა ნერვული ხელით დაწერილი წერილი უცნობმა კაცმა, თან უჭირდა წერა-კითხვა დედა ენაზე, ლაპარაკი უფრო ეხერხებოდა.

„საყვარელი იქნება ის ფროილაინი შტაბის უფროსისა. ლამაზი იქნება, რას გაუშვებდა!" — გაიფიქრა და ჰკითხა:

— რაც ამ წერილში წერია, შეგეძლო თუ არა გეთქვა სიტყვიერად ბებიაშენისთვის, არ შეგეძლო?

— ჩემმა დამ მითხრა: — ხომ იცი ბებიაშენის ამბავი, იქნებ არ დაგიჯეროს, ჩემს წერილს რომ მიიღებს, იმდენად აღარ შეეშინდებაო.

— წამოდი ჩემთან, — მუქარით, მაგრამ განგებ უთხრა უცნობმა კაცმა, წერილი ჯიბეში ჩაიდო.

შეეშინდა მიკოლას.

უცნობმა კაცმა ფეხი შედგა ველოსიპედის სატერფულზე, მძიმედ ასწია მარჯვენა ფეხი, შეჩერდა და დაუშვა ნელ-ნელა.

მზე მიიმალა ღრუბლებში, ლანდისფერი ჩრდილი გადაეფარა სოფელს, ფერი იცვალა შემოგარენმა. ტყე უფრო პირქუში გახდა, მაინც მტკიცედ იდგა უყელსახვევო პიონერი მიკოლა გორენკო, თრთოდა ბებერი ვერხვი, როცა მიყუჩდებოდა ქარი წამიერად, მაინც თრთოდნენ მისი ორფერადმოშრიალე ფოთლები და სულ ერთსა და იმავეს ჩურჩულებდნენ.

არ უყვარდა მიკოლას ვერხვები, გულგაუტეხელი მუხა მოაგონდა, მუხის

შესლარად იქცა პატარა მიკოლა და ებრძოდა დიდი ხნის ამტყდარ ქარიშხალს, იცოდა, რა უნდა ეთქვა და რა არა, თუკი მოუხდებოდა გესტაპოში მისვლა.

მზემ გამოანათა, გაქრნენ ლანდისფერი ჩრდილები, მიკოლასაც შეეცვალა გუნება, მზეს გახედა, დაგრაგნილი ღრუბლები მიიწევდნენ წამიერად თავდახსნილი მზისკენ.

დაფიქრებული უცნობი კაცი უცებ მიუბრუნდა:

— გერმანელთა სურსათის საწყობის დამწველთა მეთაური ხომ თქვენ სოფლელია? რა გვარია? შენ იცნობ მას.

„დიახ, ვიცნობ, ის გახლავთ პეტრო გრიცენკო", — გაივლო გულში მიკოლამ და თვალწინ დაუდგა საყვარელი ჭაბუკი.

— რა გვარია მათი მეთაური? — კიდევ გაიმეორა უცნობმა კაცმა მშვიდად, მშვიდი შეკითხვებით უფრო გამოვტეხავო.

— ისინი ხომ აღმოაჩინეს და დახვრიტეს.

— მეთაური ხომ არ დაუხვრეტიათ, დაეძებენ.

— ჰოო, რა ვიცი...

დაუბრუნა წერილი, მეტი აღარაფერი უკითხავს, ამოიღო კიდევ ერთი ფილა შოკოლადი, გადაუგდო, მოახტა ველოსიპედს, გააქროლა, მობრუნდა და მიაძახა:

— გელოდები, მოდი ჩემთან, წაიღე ფოტოსურათები.

— გმადლობთ, ბიძია! — მიკოლამაც მიაძახა, მერცხალივით შეტრიალდა და გაიქცა.

უცნობი კაცი უკმაყოფილოდ მიაქროლებდა ველოსიპედს. სწყინდა, რომ ვერაფერი დასტყუა და ვერც ვერაფერი იშოვა იმ დღეს თავისი საკბილო.

მიკოლა მზად იყო, გაუჩერებლად ერბინა შინ მისვლამდე, არ დამაბრუნოსო, დინჯად განაგრძო გზა, კენჭები აკრიფა, ხელში ათამაშებდა, თან ეშმაკურად იხედებოდა უკან.

იმოდენა სურსათ-სანოვაგის დაწვამ აუნაზღაურებლად დააზარალა გერმანელები, გადააყენეს და დასაჯეს საწყობის უფროსი გერმანელი ოფიცერი, საწყობის გუშაგები კი საჯარიმო ბატალიონში გააგზავნეს, არამც თუ იმ სოფლად მცხოვრები სარეზერვო ჯარი, ფრონტიც იმ საწყობიდან მარაგდებოდა, ყველაფერი სოფელს დააწვა კისერზე, სხვა სოფლებიც აიძულეს და ისევ იმავე ადგილზე ააშენებინეს თავიანთი ხარჯითა და მუშახელით ორი დიდი საწყობი, დიდზე დიდი ზარალი იგემეს სოფლებმა მაგრამ მაინც საჭირო იყო საწყობის დაწვა.

ახლა ახალ საწყობს უთვალთვალებდნენ.

უცნობ კაცს ჯერ არაფერი გაეკეთებინა გერმანელთა გულის მოსაგებად. მას მექალთანე კაცის სახელი ჰქონდა გავარდნილი, მეტს არაფერს აკეთებს

ეს Weibernar[1] უკრაინელი. აი, სულ ეს არის მისი საქმიანობაო, — გაიძახოდნენ გერმანელები. ამიტომ უცნობი კაცი ცდილობდა, რამენაირად მოეგო მათი გული, ყოველ ხერხსა და ღონეს ხმარობდა, აღმოეჩინა დამწველთა მეთაური სურსათ-სანოვაგის საწყობისა. თეთრგვარდიელთა შთამომავალი, ბავშვი წაეყვანათ მშობლებს საზღვარგარეთ. საბჭოთა წყობილების გამარჯვების დროს გაქცეულიყვნენ საფრანგეთში, იქ იყო გაზრდილი, გერმანელებს ჩამოჰყოლოდა თავის სამშობლოში, თბილ ადგილზე იყო მოკალათებული, ეშინოდა: ფრონტის ახლო ნდებარე ქალაქში არ გამამწესონო.

უკრაინაში ჩამოსვლამდე კი ფიქრობდა: ჩავალ თუ არა ჩემს სამშობლოში, მაშინვე დამიბრუნებენ ჩემი მამა-პაპის კუთვნილ ჩამორთმეულ ადგილ-მამულს, ფეხს შემოვიდგამ და ვიცხოვრებ მეფესავითო.

ჰიტლერი სულაც არ ფიქრობდა დაებრუნებინა უკრაინელი ნაციონალისტებისა და ევროპაში გაქცეული თეთრგვარდიელებისთვის ადგილ-მამული, გერმანელებისთვის ზრუნავდა ფიურერი, ვინც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი, ჰიტლერს მათთვის „კეთილშობილ არიელთა“ ნასუფრალი ჰქონდა გათვალისწინებული.

მოხალისე ჰიტლერელი ცუნიგა

ხან გარბოდა, ხან სტვენითა და ასკინკილით მიდიოდა მიკოლა, ვითომ აქ არაფერიაო, გული კი მაინც უძგერდა, კი აღარ ეშინოდა, რა მოასვენებდა, სანამ არ მიუტანდა წერილს ბარელს.

თავის სახლს რომ დაუახლოვდა, გაიქცა, მერე დაფიქრდა: რა საჭიროა სირბილი, მაინც დროზე მივალო შინ, არავინ არაფერი იფიქროს, დაფეთებულივით რომ გავრბივარო, თამაშ-თამაშით განაგრძო გზა, ვინც კი შეხვდა სანდო ნაცნობი, ყველას აცნო სოფლის ჩხრეკის ამბავი.

მიკოლა ჯერ ისევ გზაში იყო, თითქმის ნახევარმა სოფელმა უკვე იცოდა, რაც უნდა მომხდარიყო იმ ღამით.

გულმა არ მოუთმინა, პირდაპირ კი არ გაეშურა შინისკენ, ვინ იცის, რა საქმისთვის დამჭირდებაო, შორიდან მაინც დავზვერავ უცნობი კაცის სახლსო. დიდხანს როდი უძებნია, ადვილად მისაგნებ ადგილზე იდგა მისი სახლი, ეკლესიას რომ მიუახლოვდა, მაინც დაეჭვდა, რადგან ქალაქის ქუჩასავით როდი იყო ჩამწკრივებული სახლები, რამდენიმე ერთნაირი სახლი იდგა, უკრაინული ხატასგან განსხვავდებოდნენ. ფოტოსურათების ნახვაც აინტერესებდა. ჩემი სახლის წინ რაღაც ხე დგასო, დაიმახსოვრე და მოაგნებო, — მოაგონდა უცნობი კაცის ნათქვამი. თანაბარი სიმაღლის ორი ალვის ხე დაინახა და ოლეანდრები

---

[1] Бабник — მექალთანე (გერმ.).

დიდ მწვანე კასრში, მეტი აღარაფერი უნდოდა. ცოტა მანძილით გაშორდა, უკან მოიხედა, კიდევ დაინახა ტოტებდახრილი მშვენიერი ძეწნა. ალბათ დაავიწყდა იმ კაცს ეთქვა ძეწნაც დგას ჩემს ეზოშიო, — ფიქრობდა მიკოლა. შეჩერდა და კიდევ დაათვალიერა სხვა სახლებიც, მხოლოდ იმ სახლის წინ იდგა თანაბარი სიმაღლის ორი ალვის ხე.

სოფლის ფოსტასთან, ერთი თანასოფლელი კაცი შეხვდა მიკოლას და გამოელაპარაკა:

— სად იყავი მიკოლა, საიდან მოდიხარ?

— ვალიასთან ვიყავი შტაბში, ახლა შინ მივდივარ, ისევ უნდა დავბრუნდე ვალიასთან, — იცრუა მიკოლამ.

იმ კაცს ცუნიგა ერქვა სახელად, განთქმული ქურდისა და სპეკულანტის გვარი არ იცოდა მიკოლამ, სახელიც შერქმეული ჰქონდა. ცუნიგა გადაშენებული გვარის ერთადერთი წარმომადგენელი დარჩენილიყო სოფლად, არავის სჭირდებოდა მისი ნამდვილი გვარი, სახელით იხსენიებდნენ.

ვირეშმაკა დაღლარა ცუნიგა ზოგიერთ გერმანელთან დაძვრებოდა ბაზარში, ძველმანი ტანისამოსითა და სხვადასხვა წვრილმანი ნივთით ვაჭრობდა, რამდენიმე ნაძირალასთან ერთად, გერმანელების შემოსვლას ზეიმით შეეგება.

უკრაინელი ნაციონალისტების დამყაყებული სისხლი ჩქროლავდა ცუნიგას ძარღვებში, მამა არა ჰყავდა დედისერთას, დამარცხებულ თეთრგვარდიელთა დარდს გადაჰყოლოდა ისედაც დამბლადაცემული თეთრგვარდიელი გენერალი. დედა სულ ჩასჩიჩინებდა: შენ, შვილო, შთამომავალი ხარ დიდი გვარისა, დიდი ხნის სიცოცხლე არ უწერიათ ბოლშევიკებს, სანამ არ წავლენ უკრაინიდან, ცოლი არ შეირთო, ვინ უნდა შეირთო, რაც საუკეთესო ქალიშვილები იყვნენ, საზღვარგარეთ წაჰყვნენ თავიანთ დიდებულ მშობლებს, „კოლხოზნიცას" ხომ არ შეირთავო. „კოლხოზნიცა" ქალიშვილები არამც თუ ცოლად გაჰყვებოდნენ დაღლარა ცუნიგას, არამედ დასცინოდნენ კიდეც. მხოლოდ მშობელი დედა ვერ ამჩნევდა, მისი შვილი — შთამომავალი გადაგვარებული უკრაინელი არისტოკრატიისა ჭკუანაკლული რომ იყო. სამუშაოზე გასულ კოლმეურნე ქალებს ცივ წყალს უზიდავდა, დაარბენინებდნენ ათასნაირ წვრილმან საქმეზე, გასამრჯელოდ, მონარჩენი ნასუფრალით უმასპინძლდებოდნენ, თავადის ქალმა — ცუნიგას დედამაც წაიღო კოლმეურნეობის ჭირი, დარჩა საწყალი ცუნიგა. მარტო, ცივი წყლის ზიდვასა და ხელის ბიჭობაში რომ ვეღარ ნახა ხეირი, ქურდობასა და სპეკულანტობას მიჰყო ხელი.

ერთხელ, ბაზრის მორიგე პოლიციელმა თვალი შეასწრო ცუნიგას და დაატატიმრა, მიწაზე გაგორდა, პატიება ითხოვა, აღრიალდა, გაეცინა პოლიციელს და გაუშვა, რადგან გულით აღიარა: მე თქვენი ერთგული კაცი ვარო.

მაინც არ დაშინდა ცუნიგა, არ მოიშალა თავისი საყვარელი ხელობა, გერმანელი ოფიცრის სვასტიკიანი ძველი პიჯაკი მოიპარა და მიჰყიდა თანასოფ-

ლელ მოხუც გლეხს, პოლიციელმა აღმოუჩინა, მყიდველს გამყიდველიც თან მიაყოლა, გაათავისუფლეს მყიდველი უკრაინელი, ცუნიგას დიდხანს არ მოუწია საპატიმროში ჯდომამ, მას თავისი ძმაკაცები ჰყავდა, დაეხმარნენ და გაათავისუფლეს ქრთამით. მერე გერმანელ კომენდანტსა და პოლიციელებს დაუძმაკაცდნენ ცუნიგას დამხმარე № პირველი მაბეზღარა და ქურდი ვლასი ხრომიკო, მონაგებ ფულს უნაწილებდნენ, არხეინად დაიჯგიმებოდა ცუნიგა, დაიჯგიმებოდა ნიკოლოზის გენერალ-გუბერნატორივით.

როგორც კი მოკრავდნენ თვალს სოფლელი ბიჭები ცუნიგას, ჩაუსაფრდებოდნენ დანგრეულ ხატებში ან სადაც იხელთებდნენ, მაგრად უბეგვავდნენ არაფრის მაქნის სქელ ბეჭებს ქვებითა და ჭოლოკებით, არც მიკოლას ნასროლი ქვა აცილებია ცუნიგას, ცუნიგა გერმანელების შენოსვლის შემდეგ შეიძულა სოფელმა, მანამდე შეიძლება ვინმეს ირონიით ეთქვა: თეთრგვარდიელთა უკანასკნელი დიდებული წარმომადგენელიო, — მაგრამ არც ერთი ბავშვი არ იკადრებდა ესროლა ქვა მისთვის.

დაძუნძულებდა ცუნიგა გესტაპოსა და პოლიციაში, აბეზღებდა პატარა ბიჭებს, გაიძახოდა: ეგენი ყველანი პიონერები არიან, გადამალული აქვთ მაგ კომუნისტების ლეკვებს ყელსახვევები, კომკავშირელებს — ბილეთები, კომკავშირელები უარესნი არიან, მაგათ გასაწყვეტად შემოვიდნენ გერმანელები და ბაინც არ ილევიან, უფრო მრავლდებიანო.

არც ჭაბუკები აკლებდნენ ხელს ცუნიგას, ერთმა ზორბა ჭაბუკმა — შუმსკიმ ჩაიგდო ხელში მივარდნილ ადგილას, დიდხანს აბურთავა, საკონცენტრაციო ბანაკით ემუქრებოდა გესტაპო ბავშვებსა და ახალგაზრდებს, ურიებივით გაგჟუჟავთო. უკრაინელი „პოლიცაები" შველოდნენ ცუნიგას მტრებს, ცუნიგა გიჟია, სულ ტყუილებს იგონებსო.

მიკოლამ თანასოფელი ჭაბუკი პეტრო გრიცენკო დაინახა, მივარდა და უამბო როგორ შეხვდა და გამოელაპარაკა მას უცნობი კაცი.

— რა გვარია, ხომ არ იცი?

— არ ვიცი.

— იცნობ კიდევ რომ შეგხვდეს?

— ვიცნობ, ვიცი, სადაც ცხოვრობს.

— შინ იყავი მასთან?

— არა, ეკლესიასთან ვცხოვრობ, ჩემი სახლის წინ, ეზოში, ორი მაღალი ალვის ხე დგას და მწვანე კასრში ორფერი ოლეანდრაო, მის სახლთან გამოვიარე.

— საიდან მოდიხარ?

— ვალიასთან ვიყავი შტაბში, პეტრო, იცი რა გაიგო ვალიამ? ამაღამ სოფელს გაჩხრეკენ გერმანელები, შეატყობინე მეზობლებსო.

— ვალიამ გითხრა?

— ჰო, ვალიამ მითხრა, შტაბში კი არ მივსულვარ, შტაბის ახლოს შემხვდა ვალია.

— კარგი, წადი ახლა, ვალიას ვნახავ დღეს და მერე, საღამოთი, მოვალ თქვენთან, — უთხრა გრიცენკომ და გაბრუნდა.

მიკოლა შინისკენ გაიქცა.

გრიცენკო ცუნიგას შეეჩეხა წინ.

— სად იყავი, პეტრო?

— შტაბიდან მოვდივარ, გერმანელების შტაბიდან.

— შტაბიდან მოდიხარ? — გაიკვირვა ცუნიგამ.

— დიახ, შტაბიდან, შტაბში ვმუშაობთ მე და ვალია გორენკო.

— შტაბის უფროსი, დიდი აფიცერი შელინგ... შელინგერი კი არა, შნაიდერი ნახე? შელინგერი კამენდანტია. მე ვიცნობ გერმანელ კამენდანტს შელინგერს, ისიც დიდი აფიცერია, ამ სოფლის უფროსია, აი, რა მაცვია მე, ვერ შემაჩნიე? — უთხრა ცუნიგამ და დაისვა ხელი მკერდზე.

დააკვირდა გრიცენკო.

გერმანელი ოფიცრის გამონაცვალი, გახუნებული პიჯაკი ეცვა, ისე ეცვალა ფერი ჰიტლერელი ოფიცრის მუნდირს, კაცი ვერ იცნობდა.

— რა მშვენიერია, ვინ მოგცა? გერმანელები მოგცემდნენ, შენ, როგორც მოხალისე ჰიტლერელს, ძალიან გშვენის, — უთხრა გრიცენკომ და ღიმილი წამოეპარა ბაგეზე.

— ხომ კარგია, — ჩაიბურტყუნა ცუნიგამ და კიდევ ჩამოისვა ხელი მკერდზე.

— ოჰოჰო, დიდებულია, საოცრად გშვენის, აბა გაბრუნდი!

— კი, ყველა ეგრე მეუბნება, გშვენისო, — თქვა ცუნიგამ, შეარხია განიერი მხრები და შებრუნდა. სქელ ბეჭებზე მაგრად გადატკეცოდა ნასხვისარი პიჯაკი.

ისევ შემობრუნდა.

— ხომ კარგია, ხომ ძალიან მშვენის?

— ოჰოჰო, დიდებულია, საოცრად გშვენის, — კიდევ გაიმეორა, — აბა გაბრუნდი!

შებრუნდა ცუნიგა.

— აბა, შემობრუნდი!

— შემობრუნდა.

ასე შეაბრუნ-შემოაბრუნა რამდენჯერმე, ყოველი შებრუნებისა და შემობრუნების დროს, იმდაგვარად შეაგდებდა მაღლა ხან მარცხენასა და ხან მარჯვენა ფეხს, თითქოს რაღაც საცეკვაო „პას“ აკეთებსო.

„დიდებულია, მშვენიერია!“ — გაიძახოდა გრიცენკო.

ცუნიგა კი ვერ ხვდებოდა, რომ აპამპულებდა მას გრიცენკო.

გრიცენკოს სიცილი აუტყდა და უთხრა:

— მართლაც ძალიან გშვენის, როდის მიდიხარ ბერლინში?

— ვის არ დაშვენდება გერმანელი აფიცრის მუნდირი? ბერლინში? რა ვიცი, მე ხიტლერელი ვარ! — ღრეჭვით თქვა ბერლინში წასვლის მსურველმა და ჰიტლერის თაყვანისმცემელმა კაცმა.

„კარგი ვინმე კი ყოფილხარ, შე საწყალო!" — გაივლო გულში გრიცენკომ.

ცუნიგას მუნდირს აღარ „ამშვენებდა" სვასტიკა და არწივი.

ველარ მოითმინა გრიცენკომ, უფრო დაუახლოვდა და ჩაუჩურჩულა:

— ცუნიგა, ბატონო! სად არის თქვენი გერმანული არწივი, გაგიფრინდათ?

— მაინც კაი მუნდირია, ვიშოვი არწივს და დავაკერებ, შე კაცო, აფიცრთა ტანისამოსის საწყობში არწივების მეტი რა არის. — თქვა ცუნიგამ და დაიხედა მკერდზე, ოდესღაც, მწვანე, ჰიტლერელი ოფიცრის პიჯაკის მხარმარცხნივ, მკერდზე, ლანდივით აჩნდა ნაარწივალი.

— სვასტიკაც უნდა ვიშოვო, — დაგვიანებით წამოიძახა ცუნიგამ და გაიჯგიმა.

—ორივენი მაგრად დაიკერე, ნუ დააშორებ ერთმანეთს, თორემ ისე არ გაგიშვებენ ბერლინში, — კიდევ ჩაუჩურჩულა.

— კი, ორივე საჭიროა.

მიიხედ-მოიხედა გრიცენკომ და ხმამაღლა მიაძახა:

— ცუნიგა! არწივი თუ ვერ იშოვო ყვავი დააკერე, რა უჭირს!

—არა, ყვავი არ შეიძლება, გერმანელებს არწივი უყვართ, — უბოროტო ღიმილით უპასუხა ცუნიგამ.

— ჰო, ეგრე იყოს, ნაგრად დაიკერე არწივი, არ გაგიფრინდეს! — მიაძახა, ზურგი შეაქცია და მიატოვა.

— ისე მაგრად დავიკერო, რო... — ჩაიბურტყუნა დაღლარამ, გაბრუნდა და წავიდა.

„ცუნიგა, ცუნიგა! გუტენ ტაგ ცუნიგა!" — მიაძახეს პატარა ბიჭებმა.

გაიქცა, ყიჟინით დაედევნენ ბავშვები.

ცუნიგას ხმა არ გაუღია, უცებ მიიმალა, ჯერ კიდევ არ მოშუშებოდა მათი ნასროლი ქვებით დაბეჭილი გვერდები.

ახლა სხვა ბიჭებმა დაინახეს ცუნიგა, ისინიც გამოუდგნენ ყიჟინით: „ლისე-მოხა რელი-ჰიტლე ნიგა-ცუ, ლისე-მოხა რელი-ჰიტლე ნიგა-ცუ!" — მოხალისე ჰიტლერელი ცუნიგა, მოხალისე ჰიტლერელი ცუნიგა! — მისძახოდნენ ძუნძულით ნიმავალს კომკავშირელების საიდუმლო ენაზე, რომ არავის გაეგონა.

კიდევ წამოეწია ორ ჭაბუკს, შეაჩერა ერთმა მათგანმა და ყურში ჩასძახა:

„ჰაილ ჰიტლერ, ცუნიგა!" — პანღური ამოჰკრა, მეორემაც მიაყოლა და გაიქცნენ.

ცუნიგას უკან აღარ მოუხედავს.

„ამხანაგებო! არც ისეა საქმე ჰიტლერელებისა, როგორც ზოგიერთებსა ჰგონიათ. მომხრენი არა ჰყავთო, როგორ არა ჰყავთ? აბა ვინ არიან ქურდები და სპეკულანტები — ვლასი ხრომიკო, ჩვენი ცუნიგა, კირილე კნიპენკო, ნაკულაკარი ვლადისლავ ბოიკო და არტემ ბერეჟნოი, — ჩამოთვლიდნენ მათი ჯურის ადამიანებს და იტყოდნენ: ეს მთელი არმიაა მათი მომხრეებისა, ცუნიგა კი მათი მეთაურია, ბერლინში მიემგზავრება, საგარეო საქმეთა მინისტრად დაუნიშნავთ, ჰიტლერს უნდა შეხვდეს და სთხოვოს: ჩემო ფიურერ! ჯერ ნუ დატოვებთ უკრაინას, ნუ მოგვისპობთ ბაზარს, თორემ დავიღუპებით სპეკულანტებიო“, როცა დაინახავდნენ ან როცა მოაგონდებოდათ ცუნიგა, ასე ოხუნჯობდნენ სოფლელი ახალგაზრდები.

წვრილმანმა არამზადა ცუნიგამ იცოდა: გრიცენკო დაახლოებული იყო გერმანელებთან. თავისი ერთი ფიორი ჭკუის მიხედვით იგი გერმანელების თანამზრახველი ეგონა, ანის გამო რიდი ჰქონდა მისი ოჯახისა, თორემ თუკი გაუვიდოდა, არც მის დაბეზღებაზე იტყოდა უარს, პანღურის ამომრტყმელმა ჭაბუკებმა კი ისე გააბრაზეს, არ იცოდა ბაზარში ყასულიყო თუ გესტაპოში.

ქართული ხანჯალი

ტოლია, მიშკა და სხვა პიონერი ამხანაგები თავის ეზოში დახვდნენ ძიკოლას, დაენახათ, უცნობი კაცი რომ ელაპარაკებოდა მიკოლას, გაქცეულიყვნენ, წინ გაესწროთ მათთვის.

იმწამსვე დაირაზმნენ გოგო-ბიჭები, არაფერი არ აკლდათ პიონერებს, გარდა ვადამალული ყელსახვევებისა.

შინ შესვლისთანავე, მაგიდაზე დააგდო მეორე წერილი მიკოლამ, ბებიას ანიშნა. საკუჭნაოში შემოდიო.

შეეიდნენ.

ხალისით შეეგება ბარელი, ხელი მოუცაცუნა ლოყაზე.

— რატომ მიმატოვე? მომეწყინა უშენოდ.

მიკოლას ხმა არ გაუღია, ჩამოჯდა დაჭრილი ჯარისკაცის საწოლზე, ბარელი პირველად ხედავდა დაღვრემილ მიკოლას, ნაძალადევად იღიმებოდა, უფრო ემჩნეოდა გაფითრებულ სახეზე დაყრილი წვრილი ჭორფლი.

— ვალიასთან იყავი?

— არა, მაგრამ შენხვდა, აქეთ მოდიოდა, მორბოდა.

— მორბოდა? რა მოხდა?

გაიხადა მარცხენა ფეხსაცმელი, გამოიღო წერილი და გადასცა.

— ხომ არაფერი მომხდარა? როგორ არის ვალია? — ჰკითხა შეშფოთებულმა ფროსია ბებიამ, — პირჯვარი გადაიწერა და დასძინა: — გვიხსენი ღმერთო ახალი უბედურებისაგან.

— ვალია კარგად არის.

გაშალა ბარელმა წერილი და წაიკითხა:

„კახა!

ამაღამ სოფელს გაჩხრეკენ გერმანელები, დღეს რომ არ მოხდეს ჩხრეკა, ხვალ ან ზეგ მაინც მოხდება. გააფრთხილე მეზობლები, შეატყობინეთ ელიზაბეტა ანდრეევნას, ეზოებში, მიწაში ჩაფლან იარაღები, ადვილი საქმეა, ორმა კაცმა რომ გაიგოს, მთელს სოფელს მოუდება ეს ამბავი, მიკოლა ჩამოივლის ახლო მეზობლებში, დაეხმარებიან პიონერები, ძალიან შორს არ გაუშვათ ბავშვი, უმჯობესი იქნება ისევ თივის ზვინში თუ დაიმალები, სხვა გზა არ არის, მარჯვედ იყავი, გული არ გაიტეხო. შესაძლოა, არც ამაღამ გამომიშვან შინ. აბა შენ იცი, მე და შენ უკვე პარტიზანები ვართ.

შვნი ვალია!“

დახია ბარელმა წერილი, მიკოლას ჩაუდო ხელში, კედლის საათს შეხედა, გავიდა მიკოლა სამზარეულოში და შეჰყარა ღუმელში, როცა დაბრუნდა, ბარელი უკვე იცვამდა, კედელზე დაკიდებული ზურგჩანთა ჩამოიღო, წინ ედო.

მიკოლა საწოლზე ჩამოჯდა, იატაკს დასცქეროდა.

—რატომ იცვამ, შვილო? ეეჰ! — ხმა გაიღო აქამდე მდუმარე ფროსია ბებიამ.

— მზად უნდა ვიყო, როგორც კი დაღამდება, თუ შევძელი, უნდა გავიპარო, იქნებ დაღამებას არც კი მოუცადონ, უნდა გავძვრე რამენაირად, აბა რა ვქნა? უნდა დაგტოვოთ, — თქვა ბარელმა და თვალი მოავლო საკუჭნაოს.

— რას ამბობ, უნდა გაიპარო? სად უნდა გაიპარო?

მიკოლა ხმას არ იღებდა.

უეცრად დუნილი გამეფდა, კედლის საათის ქანქარას ტაკატუკი გაჰქონდა და შარაგზაზე გერმანელი პატრულების ხმამაღალი ლაპარაკი გაისმოდა.

— ხომ მოსალოდნელია, რომ თქვენი სახლიც გაჩხრიკონ და ამ საკუჭნაოშიც შემოიხედონ, არ მეტყვიან, ვინა ხარო? თქვენც დაიღუპებით და მე ხომ ვეღარაფერი მიშველის, — თქვა ბარელმა და წამოდგა, გაიარა კოჭლობით, შედგა, ულვაშს დაუწყო კვნეტა.

მიკოლამ თავი აიღო, წამოიწია და შეეხვეწა:

— არ წახვიდეთ, კახა ბიძია! — ახალფეხადგმული ბავშვივით ჩამოფორთხდა და დაჯდა ბარელის ფერხთით.

ბარელს ცალი ხელი გაეყარა სახელოში, მეორე სახელო ცარიელი ეკიდა.

დაიხარა, თავზე გადაუსვა ხელი.

— შენც უნდა წაგიყვანო, მარტო კი არ წავალ, წამოხვალ ჩემთან? შენ ხომ გიყვარს პარტიზანები! მე და შენ პარტიზანები უნდა გავხდეთ.

მიკოლა თავდახრილი იჯდა.

— სად უნდა წახვიდე, შვილო. ხომ მაიხც დაიღუპები, — უთხრა ფროსია ბებიამ, მიუჩოჩდა, ხელი მოჰკიდა ხელზე.

— სამაგიეროდ თქვენ გადარჩებით.

— ვაი მაგისთანა გადარჩენას!

— რატომ, ეფროსინა ივანოვნა, თქვენ სამნი ხართ, მე კი — ერთი კაცი ვარ.

— შენ, კაცი ხარ, ნამაკაცი, შენისთანებმა უნდა იხსნან ჩვენი ქვეყანა. ჩვენ ქალები ვართ, ქალი მაინც ქალია.

მიკოლამ ბარელს ახედა.

— აი, ესეც მამაკაცია, მამაცურად დაუძვრა ხელიდან იმ კაცს და შეგვატყობინა სოფლის ჩხრეკის ამბავი.

გაუხარდა მიკოლას.

— ეეჰ! — ამოიოხრა ფროსია ბებიამ.

— ქალები სასწაულებს ახდენდნენ ომში, ისეთი მეომარი ქალები იყვნენ ჩვენს პოლკში, რომ შენატროდნენ მათს მანაცობას მეომარი ბიჭები.

— კი, მაგრამ მამაკაცი მაინც სხვაა, ღმერთო, შთაგვაგონე რამე! — წარმოსთქვა ფროსია ბებიამ, ხელები აღაპყრო, პირჯვარი გადაიწერა.

— სხვა გზა არა მაქვს.

— ვერ გაგიშვებთ, უნდა ვიღონოთ რამე, — უთხრა ფროსია ბებიამ ბარელს, მხნედ წამოდგა, გაიმართა წელში, ნელ-ნელა ნოიხარა, მუხლებზე ხელების დაბჯენით დაჯდა და დაიწყო:

— უნდა გადაიფიქრო გაქცევა, გაპარვა, თავი არ დაიღუპო, რაიმე უნდა მოვიფიქროთ, თუკი სულ გაგვწირა ღმერთმა და კიდევ დაგვატყდა თავს ახალი უბედურება, იცოდეთ, შურს ვიძიებ, ჯერ კიდევ ვითმენ, ქრისტე ღმერთმა გვასწავლა მოთმინება, — თვალი აღაპყრო და ღმერთს შესთხოვა: შემინდე მანაზეციერო, მე ცოდვილს, ცისა და ქვეყნის შემქმნელო ღმერთო! მოთმინებასაც საზღვარი აქვს, როდემდე უნდა ვითმინოთ? ქრისტეღმერთი იმას კი არ ქადაგებდა: მოუთმინეთ სამშობლოს მომხვდურ მტრებსო, გადააჯეგინეთ სამშობლოს მიწა და მერე თავჩაქინდრულებმა იღოღიალეთ გადაჯეგილ მიწაზეო. აჰა, ხომ ხედავთ, შემოგვესივნენ სატანები, ურწმუნოები და გადაჯეგეს უკრაინა, წაბილწეს საფლავები დიდი ხნის განსვენებულ წინაპართა, მკვდრებიც კი აღარ მოასვენეს სამარეში, ამას რას ეოვესწარით? მიცვალებულთა ხავსიანი ლოდები აპყარეს სასაფლაოებიდან, აჰყარეს და წაიღეს, სად წაიღეს? გერმანიაში ეზიდებიან, რატომ წაართვი ღმერთო ჭკუა ჩვენს მტრებს? რატომ იქცევიან ასე უმსგავსოდ? ვინ გაიგონა გაძარცვა მიცვალებულისა? ერთადერთი ლოდი ერგო მიცვალებულს ამ წუთისოფლისგან და იმასაც ართმევენ, ამისთანა გაუგონარი რამ კი აღარ მსმენია, დავათვალიერე ჩვენი სოფლის სასაფლაო და ვეღარ მივაგენი დიდი ხნის განსვენებული ჩემი ქმრის სამარეს, აუხდიათ ლოდი და წაუ-

ლიათ, რამდენ უბედურებას მოვესწარი და ის კი აღარ მეგონა, გარდაცვლილი ქმრის დაკარგვასაც თუ მოვესწრებოდი, — თქვა ფროსია ბებიამ და გაიღიმა ჯვარცმულივით, — ქრისტეღმერთმა გვიქადაგა: ერთ ლოყაში რომ გაგარტყან, მეორე ლოყა მიუშვირეო, ამ თქმას გაგება უნდა, რეგვენი ადამიანი რომ გაგარტყამს, უნდა გაიცინო და შეიძლება მიუშვირო მეორე ლოყაც, მაგრამ მტერს კი — არასოდეს, მე ვერ ვხედავ ჩვენი მტრების ჭკუას, მაგრამ დიდი ხანია ვაკვირდები და ვგრძნობ, რომ ისინი თავიანთი თავისთვის საკმაოდ ჭკვიანები არიან, მათ სურთ, წაგვართვან ჩვენი სამშობლო და გვინახურონ, არა, ისინი ვერ მოესწრებიან იმ დღეს, ყველა სიამეზე სასიამოვნო მტრის გალახვაა, ისე უნდა გაარტყა ბატონს, რომ ყბა მოუქციო გვერდზე, ტარას ბულბა ქრისტიანი არ იყო? ქრისტეს სარწმუნოებისთვის არ იცავდა სამშობლოსა და თითოეული ბუსურმანის ფეხის დადგმა ჩვენს მიწა-წყალზე არ აშფოთებდა? მიუშვირა ტარას ბულბამ მტერს მეორე ლოყა?

თხუთმეტი წლის გოგო ვიყავი, როცა „ტარას ბულბა" წავიკითხეო, რამდენი ვიტირე, კი არ დამაძაბუნა, გამამხნევა სამშობლოსთვის დაღვრილმა წმინდა ცრემლებმა, ჩემი სამშობლოსა და ხალხის ბედი მატირებდა, მართალია, გოგო ვიყავი, მაგრამ ოცნებით, მეც ცხენზე ვიჯექი და დავქროდი ამხედრებული, ხელში ხმალი მეჭირა, სულ უკან დავდევდი ტარას ბულბას, მასთან ერთად ვჩეჩდი და ვკაფავდი შემოსეულ ბუსურმანებს, ხომ არავის ჰგონია, რომ გოგოებს ვაჟკაცებზე ნაკლებად უყვარდეთ სამშობლო? მე რომ მართლა ტარას ბულბას მხედარი ვყოფილიყავი, როცა ტარასს ჩიბუხი გაუვარდა ხელიდან, გადმოხტა ცხენიდან ჩიბუხის ასაღებად და ამ დროს ჩაიგდეს ხელში მდევრებმა, უყოყმანოდ გადმოვხტებოდი ცხენიდან, ავიღებდი ჩიბუხს და მივაწოდებდი, გადავარჩენდი სამშობლოსთვის თავგანწირულ გმირს. კმარა ამდენი მოთმინება, დაე, გამირისხდეს დიდი ღმერთი, მე ძველი პარტიზანი გახლავართ, ჩემი ცხონებული ქმარიც მიკოლა გორენკოც პარტიზანი იყო, ჩვენ უღრან ტყეში ვიქორწინეთ, არ გვინახავს მღვდელი, არც დიაკონი, არც ეკლესია, ჩვენი „ცოდვილი" მღვდელი იყო თავით ფეხამდე შეიარაღებული პარტიზანების მეთაური — ნიკანდრო ბალაშენკო — ჩვენი ბატკო, მან დაგვწერა ჯვარი, დიახ, იგი გახლდა ჩვენი „ცოდვილი" მღვდელი", ნაცვლად საცეცხლურისა და ჯვრისა, ელვარე ხმალი ეჭირა ხელში, რევოლუციონერ კაცს დიდ რამედ როდი მიაჩნდა ღმერთი, „მიეცა მათ ნაყოფი მუცლისა... შეაბერე ერთმანეთს ვითარცა ისააკი და რებეკა, ვითარცა აბრაამი და სარა!" — გაიძახოდა მღვდელივით, ეღიმებოდა, გვეღიმებოდა ჩვენც ნეფე-დედოფალსაც, საკმევლის სურნელებით კი არ გვაბრუებდა, რევოლვერით გვსახავდა ჯვარს, ხარხარებდნენ პარტიზანები.

შეიარაღებულმა მღვდელმა მაინც გვითხრა: თუ არ მოგწონთ თქვენ ჩემი მღვდელობა და ჯვარისწერა, როცა აქედან გახვალთ გამარჯვებულნი, ნებას გაძლევთ, მერე დაიწეროთ ჯვარი ეკლესიაში ნამდვილ მღვდელთან, მარა არა მგო-

ნია, რომ მონახოთ თქვენ ჩემზე უკეთესი მღვდელი, მღვდლები გაიძვერანი არიანო.

პარტიზანები გვეხვივნენ გარშემო და ფრინველები დაგვჭიკჭიკებდნენ თავს, როგორც დღეს, ასეთი მშვენიერი შემოდგომის დარი იდგა, ღმერთო ჩემო, რა ბედნიერები ვიყავით მაშინ, რამდენი გაჭირვება გამოვიარეთ ცხოვრებაში. მაინც გავუძელით და გვეყო იმ პირველი ბედნიერების სიტკბო მთელი ჩვენი სიცოცხლის განმავლობაში, არ დაგვცალდა „ჯვარისწერა", მტერი დაგვესხა თავს და შევუტიეთ, მე და ჩემს მეუღლეს არც კი შეგვიხედავს ერთმანეთისთვის, ვერც ის მოვასწარით პასუხი გაგვეცა მღვდლის შეკითხვისთვის: გსურთ თუ არა ერთმანეთიო, ჩავებით ბრძოლაში, არ ვშორდებოდით ერთმანეთს „ახალჯვარდაწერილი" ცოლ-ქმარი, დიახ, მე ძველი პარტიზანი გახლავართ, ჩემი განსვენებული მეუღლე მიკოლა გორენკოც პარტიზანი იყო და იცით, როგორი? — წამოიძახა ფროსია ბებიამ, მხრებზე მოხვეული და წელზე შესკვნილი შალი მოიხსნა, მიაგდო საწოლზე და იძრო წელში გარჭობილი ხანჯალი.

— ეფროსინა ივანოვნა! — წამოიძახა განცვიფრებულმა ბარელმა.

მიკოლას მაინცდამაინც არ გაჰკვირვებია ფროსია ბებიას შემმართებლობა. იგი ასეთად იცნობდა თავის საყვარელ ბებიას, ზოგიერთი უსამართლო მეზობელი მამაკაციც არაერთხელ დაუფრენია ქვრივ დედაკაცს, ისიც კარგად იცოდა, რომ ბებიამისი ნაცადი პარტიზანი იყო, უყვარდა მოხუცს მოგონება გარდასული დროის ამბებისა, ასე ანაღელვებლად კი არასოდეს უამბნია.

შესცქეროდა ბარელი წელში გამართულ მოხუცს, მის ხელში ანთებულ ხანჯალს, ეგონა, სადაცაა გავარდება გარეთ და დაერევა გერმანელებსო, მზად იყო გამოეტაცა ხანჯალი, თვითონ გავარდნილიყო და დარეოდა მტრებს.

— გმადლობთ, ეფროსინა ივანოვნა, გმადლობთ, დიდად გმადლობთ! მე თქვენ უკვე განმკურნეთ, თქვენ დამიბრუნეთ დაკარგული ვაჟკაცობა, ამიერიდან მე ვიცი, გმადლობთ, — გადაეხვია, დასვა საწოლზე და განაგრძო: — თქვენს ხანჯალსაც მოუწევს დამარხვა, როგორც ვალია იწერება: იარაღები მიწაში ჩაფლან მეზობლებმაო.

— შენ ხმა არ გაიღო, არც შენ, ბიჭო, მიკოლა, ვალიამ არ იცის თან თუ ვატარებ ამ ხანჯალს, ეს ჩემი ქმრის ნაქონი ხანჯალია, როცა ამზადებდნენ დაუბრუნებლად მიმავალს, შემოვხსენი და დავიტოვე, სულ თავსასთუმალ ქვეშ მედო, ყოველთვის მეგონა, მარტო კი აღარ ვიყავი, ჩემს გვერდით იმყოფებოდა ჩემი მეუღლე, ვმხნევდებოდი, ეს ქართული ხანჯალია!

— ქართული ხანჯალი? — გაიოცა ბარელმა და დააცქერდა ხანჯალს.

— დიახ, ქართული ხანჯალია, ვიღაც მეგობარ ქართველ კაცს უჩუქებია ჩემი ქმრისთვის, ნიშნად მეგობრობისა, ფიცვერცხლნაჭამი იყო ჩემი მიკოლა იმ ქართველთან, ტარიელი ერქვაო სახელად, ვვარი აღარ მახსოვს მისი, ტარიელი ქართველი გმირის სახელიაო, — იტყოდა ხოლმე ჩემი ქმარი, ამ ხანჯლის პატ-

რონიც განთქმული ვაჟკაციაო საქართველოში, ვინ იცის, იქნებ ახლაც ცოცხალია პატრონი ამ ხანჯლისა.

დახედა ხანჯალს, იატაკზე დაჰკრა და ჩაარჭო წვერით.

როგორც ვერ მოესწრებიან გერმანელები კბილებით ამოაძრონ ეს ხანჯალი, ისე ვერ მოესწრებიან ხელიდან გამაგდებინონ. რაო? მიწაში დამარხვა მოუწევსო? არა, ჩემო ძვირფასო, ჩემი იარაღი ჩემთან უნდა დარჩეს, სანამ სული მიდგას პირში, სანამ ეს ხანჯალი თვითონ არ ჩაფლავს მიწაში ჩვენს მტრებს, მიწაში დავმარხო? მერე მე რითი ვიბრძოლო? ვინ გაიგონა ბრძოლა უიარაღოდ, რაკი დაიწყო ომი, იარაღმა უნდა დაამყაროს მშვიდობა ამ ქვეყნიერებაზე. გულში ხომ არ დამცინი? ხომ არ ფიქრობ: ბებერო, ცალი ფეხი სამარეში გიდგას და ვეღარ შესძლებ მიუზღა მტერს სამაგიეროო.

ჩაავლო ხელი ბარელს მაჯაში, — მაინც ამ ხელს უფრო დაშვენდება ეს ხანჯალი, გადადებული საქმე არ ვარგა, აჰა, ახლავე მოგცემ შენი სახელოვანი წინაპრის იარაღს, მეცოდები უიარაღო კაცი, შენ უფრო დაგჭირდება, უიარაღო კაცი უკბილოსა და კლანჭებდამძვრალ ნადირსა ჰგავს, ამ ქართულ ხანჯალს ალბათ ბევრი მტრის თავი გაუხმია, ბევრი მტრის ყური მოუჭრია, მე ასე გამიგონია: შენი წინაპარი ქართველები ყურებს აჭრიდნენ დამარცხებულ მტრებსო, ჩვენ არაფერში გამოგვადგება ჩვენი მტრების ყურები, მარა ჯერ ყურები დავაჭრათ და მერე თავები. მოვიდნენ, მობრძანდნენ და გაჩხრიკონ ჩემი უბედური ხატა, მეც გამჩხრიკონ და მითხრან: ბებერო, არც შენა ხარ წმინდა სული, შალი შემოიხსენი, რაიმე იარაღი არა გქონდესო, აი, რატომ ვატარებ მე ამ ხანჯალს, „არა კაც კლაო!“ — ახლა როდი გამოგვადგება ჩვენ, ეს მცნება, — დაამთავრა სათქმელი ფროსია ბებიამ, დასწვდა ხანჯალს, ამოაძრო, გაუწოდა ბარელს და შესძახა: „აჰა! დღეიდან შენ გქონდეს ეს ხანჯალი და აბა, შენ იცი!“.

გამოართვა ბარელმა ხანჯალი.

— გმადლობთ, ეფროსინა ივანოვნა! — თვალმოუშორებლად გადაუხადა მადლობა, მერე დააცქერდა ხანჯალს.

გავიდა ფროსია ბებია საკუჭნაოდან, მალე შემობრუნდა, შემოიტანა უფრო პატარა ხანჯალი.

— მე უიარაღოდ ვერ დავრჩები, დღეიდან ეს ხანჯალი უნდა ვატარო, გერმანულია, ამის პატრონი ამავე ხანჯალმა გააგზავნა მოუსავლეთისკენ და კეთილშობილმა მკვლელმა — პეტრო გრიცენკომ მე მაჩუქა.

გაირჭო წელზე შემორტყმულ ქმრის ქამარში, შალს ხელი დაავლო, მარჯვედ განასკვა წელზე ტოტები შალისა და დადგა მრისხანედ, გული აუფრიალდა და ნელ-ნელა დაეშვა საწოლზე.

ბარელმა მძიმედ შედგა ნაღრძობი ფეხი სკამზე, ხელი მოისვა კოჭზე, მიუბრუნდა ფროსია ბებიას.

— ეფროსინა ივანოვნა, მე აღარაფერი მტკივა, ათასი ექიმი რომ მოგეყვანათ, ათასივე სასწაულმოქმედი, მაინც ვერ მომარჩენდა ასე მალე, თქვენ განმკურნეთ სამუდამოდ, გმადლობთ!

— ვაჟკაცობა ისაა, თავს რომ დააღწევ გასაჭირს, არც ერთი გზა რომ არ იყოს, მაინც გამონახავ გზას თავის საშველად, უნდა გავიპაროო, პირში უნდა ჩავუვარდე პირდაღებულ ნადირებს? ვეშაპი პირს აღებს და პატარა თევზები თვითონვე უცვივიან პირში.

— მე ისეთი „პატარა" თევზი ვარ, პირში რომ ჩავუვარდე, დავახრჩობ ვეშაპს, — მიუგო ბარელმა და სიგარეტს მოუკიდა.

— თავი უნდა გადაირჩინო, თავი, სიცოცხლეს უნდა გაუფრთხილდე, სამშობლოსთვის უნდა გაუფრთხილდე სიცოცხლეს და თუ დასჭირდა, მასვე უნდა შესწირო, არასოდეს ისე არ დასჭირვებია თავისი შვილების სიცოცხლე სამშობლოს, ისე, როგორც ახლა სჭირდება, ნუ ფიცხობ, ფიცხი ადამიანი მალე ტყდება, იმ დღესაც მოესწრები დაერიო მტრებსა და შური იძიო, — მტკიცედ, დიდი ხნის მოფიქრებულივით ელაპარაკებოდა გონიერი დედაკაცი.

წამოდგა ბარელი და ისე გამართული იდგა, როგორც ჯარისკაცი გენერლის წინ.

ფროსია ბებიამ ხელი ჩაავლო მაჯაში, გვერდით მოისვა და ჩაუჩურჩულა:

— სხვენზე ადი.

— სხვენზე? — თქვა ბარელმა და ახედა სხვენს.

— ჰო, სხვენზე ადი, უფრო საიმედო ადგილია, ისევ თივის ზვინში რომ დაიმალო, არ ვარგა „დაბრუნება".

წამოდგა ბარელი, ვერ ისვენებდა.

— დაჯექი, იმ სიმაღლე ხარ, ვერ ვხედავ შენს სახეს, თავბრუ მეხვევა.

მიუჯდა გვერდით და მეორე ხელიც გაუყარა სახელოში.

— ნუკი იცვამ, გაიხადე, ხელი წაავლო გიმნასტურის კალთაზე, ჩაბღუჯა, თან შეაჩერა ხელის კანკალი, მერე უშვა ხელი, დაიხედა ხელებზე და ჩაიჩურჩულა: „ვაი ჩემი ბრალი, კი ვეღარ გავმართე თითები, სისხლი აღარა მაქვს და, აბა, რა მომივა მე უბედურს!".

ბარელმა მაჯის ღილი შეიბნია.

— გაიხადე, შვილო, გაიხადე, რამდენი ხანია აღარ მინახავს შენი ჭრილობა.

ერთად გადაიძრო წაქისფერი პერანგი და გიმნასტურა, გადაიფინა მუხლებზე.

— მაპატიეთ, ეფროსინა ივანოვნა! — მოიბოდიშა და მიუშვირა ზურგი. ნატყვიარ ბეჭზე წითლად აჩნდა მოშუშებული ჭრილობა.

ფროსია ბებია ხელს უსვამდა ზედ, ესიამოვნა, თვლემა მოერია, თან ელაპარაკებოდა:

— ჯერ დაღამებამდე საკმაო დროა დარჩენილი, თუ აპირებენ ამაღამ ის ღვთისგან შეჩვენებულები ჩვენი სოფლის გაჩხრეკას, გვიან, ან გამთენიას დაიწყებენ, ოხრები არიან, თორემ იმდენი ჭკუა კი აქვთ და იციან, რა დროს სჯობია გაკეთება ასეთი საქმისა, ისევ თივის ზვინში რომ დაიმალო, ვერ გირჩევ, მათმა ძაღლებმა სუნი რომ აიღონ ადამიანისა? წამალი წამალია, მარა სიფრთხილეს თავი არა სტკივა, მათი საქმისას რას გაიგებს კაცი, იქნებ დასჭირდეთ თივა და მოგვადგნენ, გამიგებენ, თორემ წავუკიდებდი ცეცხლს და დავწვავდი, ვერე მეც შემაგდებდნენ ცეცხლში, სული ტკბილია, შვილო, გაწვალებული სიცოცხლეც ტკბილი ყოფილა, სამი ზვინი თივა გვაქვს, გვჭირდება, მარა ერთი ძროხა შეგვრჩა და ისიც ცალი თვალით სამზერია.

— თქვენს ოჯახში რომ აღმომაჩინონ, სასტიკად დაგსჯიან, — უთხრა ბარელმა და ხელები გამოიღო ერთად გახდილი გიმნასტურა და პერანგიდან.

— ნუ გეშინია, ღმერთი მოწყალეა, თქვა ფროსია ბებიამ და გავიდა დიდ ოთახში.

ბარელს შავი თმა მოსდებოდა მკერდზე, ამისთანა თმით, მხოლოდ ზოგიერთ მამაკაცს „აჯილდოებს ღმერთი", სპორტსმენ ჭაბუკს კარგა ხანი იყო აღარ ევარჯიშა, თითქოს მაინც არაფერი დაჰკლებოდა მის გამოყვანილ ტანს, ჭინჭრაქას ბუდესავით მოუჩანდა თმაწაფარებული ჭიპი, ცოტა მოეკეთებინა და იმდენად როდი ემჩნეოდა სიგამხდრე ძვალმსხვილ ახალგაზრდას.

ფროსია ბებიამ გამოსაცვლელი პერანგი შემოიტანა და წინ დაუდო.

— ჰა, გამოიცვალე პერანგი, როგორც გირჩიე, სხვენზე ადი.

ბარელს უნებური ღიმილი მოერია, მიკოლას ხელი მოუსვა თავზე.

— თუ მოვლენ თივის წასაღებად გერმანელები, თავს გამოვყოფ და ვეტყვი: მე უკრაინელი გახლავართ, მე და მიკოლა „დამალობანას" ვთამაშობთ-მეთქი, — გაიხუმრა ბარელმა ჯავრიან გულზე და დაიწყო ჩაცმა.

ფროსია ბებიასაც გაეღიმა, იატაკზე დამჯდარ მიკოლას გაეცინა და განაგრძო თავისი საქმე, წერილები მოეგროვებინა, მარკებს აგლეჯდა და ალაგებდა პაპიროსის კოლოფში.

— დამიჯერე, სხვენზე უფრო საიმედოა, იცი, რას გეტყვი?.. — დაიწყო ფროსია ბებიამ, — ძაღლის ყეფა გაისმა, გაყუჩდნენ. ერთხელ რომ შემოვა კაცი ჩვენს ოჯახში, მერე მას კი აღარ შეუყეფს, თავისიანად თვლის, ათი წლის შემდეგ რომ მოხვიდე ჩვენს ოჯახში, უსათუოდ გიცნობს ჩვენი ტიგრა, ძაღლი ძალიან გონიერი პირუტყვია, შესაძლოა, ადამიანმა გიღალატოს, ძაღლი არ გიღა-

ლატებს, შესაძლოა, კაცმა ვეღარ იცნოს დიდი ხნის უნახავი კაცი, ძაღლი უსა-თუოდ იცნობს.

— თუ მშვიდობით გადავრჩით, აუცილებლად გინახულებთ ომის დამთავ-რების შემდეგ, მაშინ აღარ შემეშინდება თქვენი ტიგრასი, პირდაპირ შემოვვარ-დები თქვენს ხატაში, აღარც ტიგრა შემიყეფს, გერმანელსაც იცნობს? არც მას შეუყეფს, დიდი ხნის შემდეგ რომ მოვიდეს?

— მე ადამიანზე გითხარი, ჩემო კარგო, ადამიანზე, მგელს ძაღლი არა-სოდეს არ შეურიგდება.

— რახან ეგრეა, მელოდეთ!

— ღმერთმა გისმინოს, ჩემო ძვირფასო, ღმერთმა მოგასწროთ იმ ბედნიერ დღეს, მე რომ ვეღარ მოვესწრები, ეს კარგად ვიცი. — უთხრა ფროსია ბებიამ და ღონემიხდილი მიესვენა კედელზე.

მარკების კოლექციის შეგროვებაში გართული მიკოლა გულდასმით ვეღარ უსმენდა მათს ლაპარაკს, ძალიან მოსწონდა სხვადასხვა ქვეყნის მარკები, ვალი-ას მოტანილ კონვერტებზე აგლეჯდა, ათასი მარკა უნდა დაეგროვებინა და ეჩვე-ნებინა ბარელისთვის.

შეთანხმდნენ ბარელი და ფროსია ბებია, სხვენზე უნდა ასულიყო, იქ უნ-და დაედო თავშესაფარი.

მიკოლამ კიბე შემოიტანა, მიადგეს სხვენს, ჯერ ბარელი აუშვეს და მერე მიაწოდეს ქვეშაგები.

საიმედო ადგილზე მოეწყო ბარელი, სახლის ყოველ კუნჭულს თუ არ გაჩხრეკდნენ, ეშმაკიც ვერ მიაგნებდა, ვერ აღმოაჩენდა, სხვენზე ასულმა თან-დათან გააუმჯობესა დასამალავი ადგილი, ხატას სახურავზე გასასვლელიც კი მოაწყო, ტოლი ახადა და მის ნაცვლად ფართო ფიცარი დაახურა, როცა სოფელი მიიძინებდა, ფრთხილად გადასწევდა ფიცარს, მოციმციმე ვარსკვლავებს ხე-დავდა და მთვარის შუქი უნათებდა სხვენს, შარაგზიდან მაღალი ფოთლოვანი ხეები ფარავდნენ გორენკოების ხატას.

იმ ღამით ვალია შინ არ მოსულა.

ნაშუაღამევს დაიწყო სოფლის ჩხრეკა, მთელი ღამე ჰყეფდნენ უკრაი-ნელთა ძაღლები, გააფთრებით ჰყეფდა გორენკოების ტიგრა, გაბრაზებული ღრღნიდა ჯაჭვს.

იმ ღამითვე უნდა დამთავრებულიყო ჩხრეკა, ათი ჯგუფი მოქმედებდა, თითოეულ ჯგუფს თავისი უბანი ჰქონდა, გორენკოების ოჯახი არ იყო შეტანი-ლი გასაჩხრეკთა სიაში, მათ უბანში მეცხრე ჯგუფი მოხვდა, სხვათაშორის შე-ვიდნენ, არამც თუ სხვენზე, საკუჭნაოშიც კი არავის შეუხედავს, იმ საკუჭნაო-ში, სადაც პაპიროსების ნამწვავები ეყარა და მაღალ სამფეხა სკამზე ქუდი დარჩენოდა ბარელს, გახუნებულ ხაკისფერ პილოტურაზე ხუთქიმიანი ვარსკვ-ლავი ენთო, ის ერთადერთი ვარსკვლავი დარჩენილიყო საკუჭნაოს ბნელ ცაზე.

ვარსკვლავი შარვლის სათავეში ჰქონდა ჩაკერებული ბარელს, მიკოლას გულისთვის გამოხსნა და დაიბნია პილოტურაზე, რადგან მიკოლამ უთხრა: კახა ბიძია, ვინ გაიგონა უვარსკვლავო წითელარმიელიო. იქვე იდო რუსული წიგნები და მიკოლა ბაჟანის მიერ უკრაინულად თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი", ბარელს ომამდეც ენახა უკრაინულად. თარგმნილი რუსთაველი, მაგრამ ვალიამ რომ მიუტანა და დაუდო წინ, ცრემლები მოერია. მთელი საქართველო დაინახა. ახლა რუსულად უთარგმნიდა „ვეფხისტყაოსანს" უკრაინელი ქალიშვილი, სასოებით უსმენდა ბარელი, ამა თუ იმ ტაეპის პირველი სტრიქონის თარგმნის მეტი როდის სჭირდებოდა, რაც იცოდა ზეპირად, ქართულად აგრძელებდა და უკრაინელი უსმენდა, ზოგჯერ სულაც არ სჭირდებოდა თარგმნა, თვითონვე ხვდებოდა რომელ სტროფს უკითხავდა, ან თვითონ რომელს კითხულობდა.

გორენკოების ხატაში დასასვენებლად უფრო შევიდნენ, რადგან იცოდნენ, ვალია გორენკო გერმანელებთან მუშაობდა შტაბში, ენდობოდნენ.

ფროსია ბებიამ სუფრაც კი გაუშალა „სასურველ სტუმრებს". მწიფე ხილს შეექცეოდნენ და ზედ მასპინძლის „მირთმეულ" არაყს აყოლებდნენ, მათი ძაღლები იქვე იწვნენ, უცებ წამოხტა ერთი ძაღლი და დაიწყო სუნსული, ოთახს შემოუარა გარშემო, საკუჭნაოსაც მიადგა და დასუნა, კედელს მიაბჯინა ტორები, აყეფდა, მეორე ძაღლიც აჰყვა პირველს.

ბარელს ყველაფერი ესმოდა.

„ა, რა მოხდება? რა მოხდება? — ფიქრობდა სუნთქვაშეკრული, — ნუთუ კიდევ გამწირავს ღმერთი? ნუთუ უნდა დაიღუპოს ეს კეთილი ოჯახიც?"

იმ ღამით ფროსია ბებიასთან იწვა მიკოლა, ვალია რომ არ იყო შინ, ეშინოდა, ბებიამისსაც ეს უნდოდა, საოცრად სიამოვნებდა შვილიშვილთან წოლა, ვერ ძღებოდა მიკოლას სიყვარულით. როგორც კი შევიდნენ მათს ხატაში გერმანელები, მაშინვე გაეღვიძა მიკოლას, აღარ მოიმძინარა თავი, ცნობისმოყვარეობამაც სძლია, არ ამდგარა, ვითომ მშვიდად ადევნებდა მათ თვალყურს, ფროსია ბებია ხან მეორე ოთახში გავიდოდა, მიაპყრობდა თვალს დედაღვთისას და ევედრებოდა, დაეფარა მისი უბედური ოჯახი ახალი უბედურებისაგან.

ხელები არ აღუპყრია, თორემ ბარელიც ევედრებოდა ღმერთს, დამიფარეო, დასჭირდა ახალგაზრდა კაცს დიდი ხნის დავიწყებული ღმერთი.

გერმანელმა მჩხრეკელებმა მადლობა გადაუხადეს დიასახლისს, დაემშვიდობნენ, — სად არის თქვენი შვილიშვილი ფროილაინ ვალიაო, — ჰკითხა გასვლის წინ უფროსმა გესტაპოელმა ფროსია ბებიას.

„ნახ, შტაბ, შტაბ, შნაიდერ შტაბ!" — წამოიძახა მიკოლამ დამტვრეული გერმანულით ბებიის მაგივრად და იბრუნა გვერდი.

მიკოლას მალე ჩაეძინა, ფროსია ბებია კი გაუხდელი მოფთხნილიყო ლოგინზე, ხელები დაეკრიფა, მადლიერი თვალით შესცქეროდა თავის „მფარ-

ველ" დედაღვთისას. მალე უნდა გათენებულიყო, აღარ ჰქონდა თავი ამდენი გახდა-ჩაცმისა, თვლემა ერეოდა, მაგრად შემოეხვია ტანზე შალი და თვლემდა მის ზურგს უკან გარჭობილი გერმანული ხანჯალიც.

ბარელიც გაუხდელი მიწოლილიყო სხვენზე, ხელს უსვამდა მის გვერდით მწოლიარე საამურად მოკრუტუნე კატას, დამშვიდებულიყო.

გამთენიას, სოფლის ჩხრეკა რომ მთავრდებოდა, როცა მეცხრე ჯგუფის მჩხრეკელები შარაგზაზე გადადიოდნენ, იქვე, ახლოს მდგარ ხატასთან ყეფა ასტეხეს გესტაპოელთა ძაღლებმა და დაედევნენ ვიღაცას, სანამ გონს მოვიდოდნენ, იჭექა რევოლვერმა და ჩაიკეცა ერთი გესტაპოელი, კიდევ გაისმა სროლის ხმა და წკავწკავი ძაღლისა, ისიც დაეცა პატრონივით, გაიქცნენ ამ მოულოდნელი შემთხვევით დაბნეულები და მიიმალნენ.

მკვლელი ბანაკიდან გაქცეული სამხედრო ტყვე იყო, სამი დღე და ღამე ყოფილიყო თავშეფარებული უკრაინელი გლეხის ხატაში, სამუშაოზე ყოფნის დროს მოლაპარაკებოდა უკრაინელს, დღესვე მოვახერხებ გაქცევას თუ შემიფარებთო, მარტოხელა გლეხი, ომში წასული სამი ვაჟის მამა დაჰპირებოდა: ოღონდ შესძელი გაქცევა, იმედი გქონდეს ჩემი, კიდეც შეგიფარებ და იარაღსაც გიშოვიო.

სოფლის ჩხრეკა რომ გაეგო თავშეფარებულს, ვეღარ მოესწრო იმ გლეხის ოჯახიდან გასვლა, იარაღმომარჯვებული, მთელი ღამის განმავლობაში, გულის ძგერით ელოდა გასაჩხრეკად მოსასვლელებს, ხატას პატრონი იმ ღამით სამუშაოზე იყო წასული, სურსათ-სანოვაგის საწყობში.

მეორე დღეს სოფელში ხმა გავრცელდა: წუხელ, ვიღაცას ერთი გერმანელი და ერთი ძაღლი მოუკლავსო.

ვიღაც ენაკვიმატი უკრაინელი კი ოხუნჯობდა:

„წუხელ, ორი ჰიტლერელი ძაღლი მოუკლავთო".

ნაპოლეონის გაქცევა მოსკოვიდან

იმ ღამით, დიდგანსაცდელგადატანილ სოფელს მაინც მშვიდობის დილა გაუთენდა.

ბარელი, ფროსია ბებია და მიკოლა ზეიმობდნენ მშვიდობით გადარჩენას, თითქოს უფრო მეტად შეჰყვარებოდათ ერთმანეთი, ეხვევოდნენ და ჰკოცნიდნენ ერთმანეთს.

— შამაზეციერი იყოს, შვილო, შენი მფარველი, მარად მფარველი ყველა უკრაინელისა, ხომ გირჩია, სხვენზე ადი-მეთქი, აბა, სად უნდა წასულიყავი? შენი ნებით უნდა ჩავარდნოდი ხელში იმ სატანებს? ჩემი ხნის ადამიანს სიზმარიც კი დაეჯერება, ღმერთი დიდია და სამართლიანი, როდი გასწირავს თავისი

ხელით შექმნილ ადამიანს. თუმცა ჩვენი ხატას გაჩხრეკა არც უფიქრიათ, საკუჭნაოში რომ დარჩენილიყავი, მაინც შიშში იქნებოდი შენცა და ჩვენც რა მოგვასვენებდა! არც თივის ზვინში დამალვა ივარგებდა, დიდხანს ჰყეფდნენ მათი ძაღლები თივის ზვინებთან, — ელაპარაკებოდა გულაჩუყებული ფროსია ბებია ბარელს, პირჯვარს იწერდა, მიკოლა წამდაუწუმ, თრითინასავით ადიოდა და ჩამოდიოდა, ხან სხვენზე იყო, ხან საკუჭნაოში ეშვებოდა თავდაყირა.

— ბებია, ამოდი სხვენზე! — გადმოსძახოდა სხვენიდან თავგადმოყოფილი მიკოლა ფროსია ბებიას, — კახა ბიძიამ მითხრა: მე ამიერიდან აღარ ჩამოვალო, კარგია აქაო, — ოხუნჯობდა ეშმაკი მიკოლა.

— მოიყარეთ, შვილო, ორივენი ჩემი ხნისა და ნახავთ, თუ შეძლებთ სხვენზე ასვლა-ჩამოსვლას, — ჩურჩულებდა თავისთვის ფროსია ბებია და ფუსფუსებდა დიდ ოთახში ფოსტლების ტყაპატყუპით.

მართლაც კარგად მოეწყო ბარელი სხვენზე, დღისით ჩამოდიოდა საკუჭნაოში, თუ რაიმე საფრთხე იყო მოსალოდნელი, მიკოლას უნდა დაესტვინა, აძვრებოდა სხვენზე, გაინაბებოდა, ასე იყვნენ შეთანხმებული. მხოლოდ სტვენის ხასიათი იცვლებოდა: ხან მაგრად უსტვენდა, ხან გაბმულად, ხან — წყვეტილად, ხანაც რაიმე სასიმღერო მოტივს უსტვენდა, ჰიტლერული არმიის სამწყობრო სიმღერასაც კი უსტვენდა კარგი მუსიკალური სმენის ბავშვი. როდის რა იყო საჭირო, თუ გერმანელი პატრულები ან პოლიციელები ხატასკენ წამოვიდოდნენ, თუ ამ დროს ეზოში იქნებოდა, ან შინ იყო და სარკმლიდან მოჰკრავდა თვალს ვინმე საეჭვოს, ერთხელ უნდა დაესტვინა და ბურთი გაეგდო სათამაშოდ, მერე მაგრად უნდა ერტყა მიწაზე ან ხატას კედელზე, ისე მაგრად ურტყამდა მიკოლა ბურთს, რომ სხვენზე ესმოდა ბარელს ბურთის ბაგაბუგი, თუ საგანგაშო გაფრთხილება არ იყო, საკუჭნაოში რჩებოდა.

საღამო ხანი იყო.

შტაბიდან დაბრუნებულმა ვალიამ ბარელთან ერთად ისადილა საკუჭნაოში, მიეჩვივნენ საკუჭნაოში მყუდროდ ყოფნასა და საუბარს, დიდ ოთახშიაც გამოდიოდა ხოლმე ბარელი და მასპინძლებთან ერთად იყო, სადილობა იქნებოდა თუ ჩაის დრო.

საკუჭნაო ოთახიც აღარ ჰგავდა საკუჭნაოს, იქ, ერთ ზედმეტ უბრალო ნივთსაც კი ვეღარ ნახავდით, აღარც შმორის სუნი იდგა, სულ ახალი და საინტერესო ნივთებით მორთო ვალიამ, სტალინის პორტრეტი და ნაპოლეონის მოსკოვიდან გაქცევის მშვენიერი სურათის რეპროდუქციაც კი დაუკიდა ბარელს, თავისი ოთახიდან გამოუტანა.

შესცქეროდა ბარელი ნაპოლეონის მოსკოვიდან გაქცევის სურათს:

თოვდა და თოვდა.

დაჰქროდა მძვინვარე ქარიშხალი და დააფრენდა თოვლის ფანტელებს.

მრისხანებდა რუსული ზამთარი.

პირი ებრუნებინა ნაპოლეონს მოსკოვიდან.

დაღვრემილი მიუძღვოდა თავის დამარცხებულ ჯარს იმპერატორი.

დუმდა ნაპოლეონი.

მრისხანებდა რუსული ზამთარი.

თავდახრილნი მისდევდნენ უკან თავიანთ სახელოვან სარდალს ომით გაწვალებული ფრანგი მეომრები, მიმოფანტული ეყარა გზებზე მოსკოვიდან მოტაცებული ნაძარცვი ნივთები, აღარ შეეძლოთ ზიდვა, ცეცხლი წაეკიდებინათ ნაპოლეონის ბრძანებით, იწვოდნენ საზიდრები, ორთვალები და ოთხთვალები, ათასნაირი ნივთებით დატვირთული ეტლები, გზებზე ეყარნენ დახოცილი ცხენები, ჯერ ისევ თბილსა და გამოშიგნულ ცხენების ფაშვში ხელებს ითბობდნენ სიცივით განაწამები ჯარისკაცები, რუსი პარტიზანები უტევდნენ მტრებს, გარბიდნენ ფრანგები, ფეხებით თელავდნენ დავარდნილ, დახოცილ თავიანთ თანამეამამულე ჯარისკაცებსა და ოფიცრებს, ყვავ-ყორნები ასხდნენ და სძიძგნიდნენ, კაცი თვალს ვერ გაუწვდენდა რუსეთის უსასრულო ველ-მინდვრებს.

მრისხანებდა მკაცრი რუსული ზამთარი.

დუმილით მიუძღოდა თავის დამარცხებულ არმიას ნაპოლეონი და ბობოქარი დუმილი ქარიშხალივით მისდევდა უკან გაქცეულ ნაპოლეონს.

მშვიდად გასცქეროდა სტალინი მოსკოვიდან გაქცეულ ნაპოლეონს.

ძალიან უყვარდა ბარელს ნაპოლეონის მოსკოვიდან გაქცევის სურათი, იმედი ღვივდებოდა მის გულში.

ნასადილევს ვალიამ გერმანული გაზეთის — „დოიჩე ალგემაინე ციტუნგის“ ახალი ნომერი გადაშალა და საინტერესო საინფორმაციო ცნობები გააცნო ბარელს, ჰიტლერის არმიას არამცთუ წარმატებები ჰქონდა ფრონტებზე, არამედ უკან იხევდა, იმედს მაინც არ ჰკარგავდნენ ნაცისტები, პროპაგანდის მინისტრი გებელსი არ ჰკარგავდა, თორემ განსაკუთრებით ჰიტლერის ჯარისკაცები გრძნობდნენ, საქმე რომ არ იყო კარგად.

ვალიამ იმავე გაზეთის ძველი ნომერი მონახა, უკითხავდა და უთარგმნიდა, ჯერ ფრონტის ამბები წაუკითხა. დროებითი წარმატებებით მსოფლიოს აყრუებდნენ გერმანელები, ჩვენი ქვეყნის რამდენიმე ქალაქი დაეკავებინათ ზედიზედ, არ მიაჩნდათ დროებით წარმატებად, ორი წლის წინათ ნათქვამს იმეორებდნენ: დაზამთრებამდე უნდა შევიდეთ მოსკოვში, ლენინგრადი და სტალინგრადი უნდა ავიღოთ, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, აბა რატომ იღვრება ამდენი არიული ცისფერი სისხლი გერმანელებისაო, — წერდა გაზეთის მოწინავეში ბატონი იოზეფ გებელსი.

შეწყვიტა ვალიამ კითხვა და თარგმნა, ბარელს უთხრა:

— კახა, ჩვენთან ერთი გერმანელი ოფიცერია, გვარად ვინკელმანი, მან მითხრა: ახალი დაწყებული რომ იყო ომი რუსეთთან, გერმანულ გაზეთებში გა-

მოქვეყნებული იყო ასეთი კარიკატურა: გარბოდა საბჭოთა მთავრობა და მას უკან მისდევდა ელვის რაშზე ამხედრებული ჰიტლერი, მაშინ მართლა მიიწევდნენ წინ გერმანელები, მაშინ შესაძლოა, ვინმეს სჯეროდა კიდეც ომის ელვისებურად დაწყება და დამთავრებაც, მას შემდეგ მესამე წელიწადია აგერ, ახლა ვინ დაიჯერებს? ჩემი საქმე რომ იყოს, ახლა ჰიტლერს ლოკოკინაზე ან კუზე შევსვამდი, ეს უფრო დასაჯერებელი იქნებაო.

— გერმანელმა გითხრა ეგრე?

— აბა! გერმანელმა მითხრა.

— მერე, როგორ გაბედა?

— საჯაროდ კი არ უთქვამს, მე მითხრა საიდუმლოდ, ვინც სიმართლის თქმას გაბედავს, სასტიკად სჯიან, საჯარიმო ბატალიონში აგზავნიან.

— ვინ არის ის გერმანელი ოფიცერი, რა კაცია?

— სხვა დროს გეტყვი, ვინც არის.

— საინტერესო კაცი ყოფილა.

— უფრო მეტიც, — სთქვა ვალიამ, დააცქერდა გერმანულ გაზეთს, წაიკითხა და თარგმნა:

„მთელმა მსოფლიომ იცის, რომ ჩვენ, ნაციონალ-სოციალისტები ვიბრძვით სამართლიანობის დასამყარებლად მთელს მსოფლიოში, დიდი გერმანია მოწოდებულია და ღირსია გაბატონდეს დედამიწაზე, აზიაროს კულტურას ჩამორჩენილი ხალხები...“

მაგიდაზე დააგდო გაზეთი.

— გესმის?

— როგორ არ მესმის, ცუდად დაწერილი წიგნის კითხვა ძილსა ჰგვრის ადამიანს, სიგიჟეც ცუდი წიგნია; რომ მეძინებოდეს, ძილს დამიფრთხობდა; რასაც მითარგმნი, უნდა დაგიჯერო.

— არაფერს არ ვამატებ და არც ვაკლებ, ზუსტად ვთარგმნი, შესაძლოა მხატვრულობას ვაკლებ, განგებ კი არ ვაკლებ, ალბათ ვერ ვახერხებ. გაუსწორებელი რომანტიკოსები არიან გერმანელები, უყვართ მხატვრულად და გულის ამაჩუყებლად წერა. მათი საქციელიც სენტიმენტალურ-რომანტიკულია, თუ ასე არაა, ჩამოხრჩობისა და დახვრეტის დროს, მუსიკას იშველიებენ, უკრავენ ბეთჰოვენს, შტრაუსს, ვაგნერს, რატომღაც ვაგნერი უფრო უყვართ. მე ჩემი თვალით ვნახე და ჩემი ყურით მოვისმინე როგორ უკრავდნენ პარტიზანების ჩამოხრჩობის დროს „სიკვდილის ტანგოს“ და მთელმა სოფელმა პარტიზანები რომ არ გასცა, ორი ათასი კაცის დახვრეტის წინ, როგორ უკრავდნენ ვაგნერის „ღმერთების დასასრულს“. ჩვენს სოფელში გერმანელებს არა ჰყავთ ცოცხალი მუსიკოსები, სიკვდილით დასჯის დროს რადიო შველის მათ. რას გაჩუმებულხარ? რატომ არ მეკითხები რას ვგრძნობდი მე მაშინ?

ბარელი ხმას არ იღებდა, თვალმოუშორებლად უცქერდა ვალიას, მისი სახე

არც გაოცებას გამოხატავდა და არც... უნდა დაგენახათ და მაშინ თუ იტყოდით რას გამოხატავდა ბარელის სახე და არარსებული სამყაროსაკენ მზირალი თვალები, თუმცა იგი ვალიას არ აშორებდა თვალს.

— მე გეტყვი, რასაც ვფიქრობდი, არ ვიყავი გაოგნებული და ვფიქრობდი: ამ სანახაობის მხილველმა არის საჭირო მაინც იცხოვროს ამ ქვეყნიერებაზე?

— არის საჭირო, რადგან უნდა მოესწროს მათი სამარცხვინო იდეის დასასრულს, მერე გავა დრო, მოევლინება კაცობრიობას ვაგნერისთანა მუსიკოსი, მოევლინება, შეჰქმნის მუსიკას, დაარქმევს „მათი იდეის დასასრულს". აბა, ღმერთებს რას ვერჩით, რად ვუსმენთ ვაგნერის „ღმერთების დასასრულს", როცა სატანებით ავსილა მთელი გერმანია! — თქვა ბარელმა და არ დაუხედავს, ისე მოაფათურა ხელი პაპიროსის ასაღებად.

გავიდა ვალია თავის ოთახში, შემოიტანა რაღაც წიგნი.

— კარგი წიგნია, ვინც ამ წიგნს არ წაიკითხავს, ბევრი რამ არ ეცოდინება.

— რა წიგნია?

— კახა, ეს წიგნი შენთვის მაქვს შენახული, უნდა წავაწერო და გისახსოვრო.

— ჩემთვის?

— ჰო, შენთვის, მოგეხსენებათ: ნაჩუქარ ნივთს უნდა გაუფრთხილდე, თუ არ გაუფრთხილდები, პატივს არა სცემ მჩუქებელს. ეს წიგნი „უძვირფასესი" სუვენირი იქნება შენთვის, — უთხრა ვალიამ, აღმართა ყავისფერყდიანი წიგნი და თეატრალურად გამოსთქვა.

«Adolf Hitler, «mein Kampf!»[1]

და ჩაუდო კალთაში.

აიღო ბარელმა წიგნი, დახედა, ყდაზე და საშუალო სკოლაში ნასწავლი გერმანულით გაჭირვებით წაიკითხა:

«Ad-olf Hit-ler, me-in Kam-pf!»[1]

მერე ყდა გადაშალა, დააკვირდა ჰიტლერის პორტრეტს.

— ერთხელ, ომამდე, რომელიღაც ქართულ ჟურნალში ვნახე ჰიტლერის სურათი, მგონი ჟურნალი „დროშა" იყო.

— თუ კარგი ფსიქოლოგი, ან ფიზიონომისტი ხარ, არ ვიცი, როგორ გითხრა, აბა, რას იტყვი ასეთი სახის კაცზე, როგორიც ჰიტლერია?

— რა უნდა ვთქვა, ამ პორტრეტზე არც ღილებს იგლეჯს, არც ყვირის და არც იმუქრება, მაგრამ დიდი უკეთმართი თვალები აქვს. სად იშოვე ჰიტლერის ეს წიგნი? აკრძალული ხომ არაა?

— აკრძალული? არაგერმანელთათვის? რატომ აკრძალავდნენ, მილიო-

---

[1] ადოლფ ჰიტლერი, „ჩემი ბრძოლა" (გერმ.).

ნობით გამოდის ჰიტლერის „ჩემი ბრძოლა“ გერმანიაში, შემოვიდნენ გერმანელები უკრაინაში და ჰიტლერის წიგნებიც შემოიტანეს, წაიკითხოს, ვისაც სურს, მოეწონებათ თუ არ მოეწონებათ, ეს სულ სხვა საკითხია, ჩვენი შტაბის უფროსს — შნაიდერს მაგიდაზე უდევს ადამიანის ტყავში ჩასმული ჰიტლერის „მაინ კამპფ“ — „ჩემი ბრძოლა“, ყავისფერი წიგნია, რამდენჯერ მინახავს, გადაუშლია და კითხულობს გატაცებით.

— ადამიანის ტყავშია ჩასმული?

— რატომ გაიკვირვე? არ გაგიგონია?

— კი გამიგონია, მაგრამ რატომღაც არ მეგონა თუ ვნახავდი ამ წიგნს.

— გასაოცარი და შემაძრწუნებელი ადამიანის გატყავებაა, მისი ტყავის გამოყენება წიგნებისა თუ ხელთათმანებისთვის ადვილია.

— როგორ ხდება ადამიანის ტყავი ასეთი ფერისა?

— ღებავენ ყავისფრად, — თქვა ვალიამ და დაიხედა შიშველ მკლავზე, ხორცისფერი თმა აებურძგნა და კანი აეხორკლა.

ბარელმაც დაიხედა მაჯაზე .

— რატომ ღებავენ ყავისფრად?

— ვინკელმანმა მითხრა, იმ გერმანელმა, მე რომ ვაქებდი, კარგი კაციამეთქი, „ყავისფერი სახლი“ რომ არის გერმანიაში, მგონი, მიუნხენშია, იქ ჩაისახა იდეა ნაციზმის წარმოშობისაო, მის შემდეგ აღმერთებენ ჰიტლერელები ყავისფერსო, ალბათ, ჩვენც იმიტომ ვუწოდებთ ნაციზმს „ყავისფერ ჭირს“.

— ეს წიგნიც ყავისფერია.

— კი, მუყაოზე აკრავენ ადამიანის ტყავსა და ასეთ ყდებში სვამენ წიგნებს.

ბარელმა კუბოს თავივით, ფრთხილად დაახურა ყდა ჰიტლერის პორტრეტს, აიღო წიგნი და ჰკითხა:

— ესეც ადამიანის ტყავშია ჩასმული?

— არა, ადამიანის ტყავში ჩასმული ჰიტლერის წიგნი ფრიად საპატიო ნაცისტებს მოსდით სუვენირებად წარწერით, განსაკუთრებული დამსახურებისთვის სამშობლოსა და ფიურერის წინაშე, გერმანიაში თურმე ახალშეუღლებულ ქალ-ვაჟს, მით უმეტეს, თუ წევრები არიან ნაციონალ-სოციალისტური პარტიისა, ამ წიგნით აჯილდოებენ ქორწინების დღეს. ჩვენში შტაბის უფროსს „მაინ კამპფს“ კი ასეთი წარწერა აქვს:

„ობერლეიტენანტ იოჰან შნაიდერს, ნაციონალ-სოციალისტური პარტიისთვის თავდადებულ ჯარისკაცს. ჰაინრიხ ჰიმლერი“.

— ჩვენში, ძველად, საქართველოში, „ვეფხისტყაოსანს“ ატანდნენ ქალს მზითვად, აი, ამ წიგნს, — თქვა ბარელმა და აიღო უკრაინულ ენაზე თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“.

— ჰოდა, მეტი რაღა გინდა, „ჭკვიანი“ კაცი ყოფილა ადოლფ ჰიტლერი,

მას თავის სიცოცხლეში შემოულია მზითვად გატანება თავის წიგნისა, — უთხრა ვალიამ, გამოართვა წიგნი, გადაშალა, დიდხანს როდი უძებნია, იცოდა რომელ გვერდზეც იყო, წაუკითხა და უთარგმნა ერთი მნიშვნელოვანი აბზაცი:

„თუ გვსურს ჩვენ ბატონობა, პირველ ყოვლისა, უნდა დავამარცხოთ რუსეთი... ჩვენი საარსებო სივრცე გერმანიის ბატონობისთვის ევროპის კონტინენტზე იქნება აღმოსავლეთ ევროპაში, პრაქტიკულად ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა მოვსპოთ საბჭოთა კავშირი...“

— საწყალი ქაღალდი რომ ამტანი არ იყოს, არც ცუდი წიგნი დაიწერებოდა, არც სისულელეს მოისმენდა და წაიკითხავდა კაცი.

— იმიტომ კი არ გიკითხავ, გასიამოვნო, ხომ უნდა იცოდეს კაცმა, რას წარმოადგენს ეს წიგნი?

— რასაკვირველია, უნდა იცოდეს, ამ მხრივ კი ვარ კმაყოფილი, სხვა დროს მოგისმენ სიამოვნებით, გარდა იმისა, რომ ადამიანის ტყავშია ჩასმული „მაინ კამპფ“, რითი განსხვავდება ჩვეულებრივი გამოცემისაგან?

— იმ გერმანელმა ოფიცერმა — ვინკელმანმა მითხრა: რუსებთან ომის დაწყების შემდეგ გამოსცეს ადამიანის ტყავში ჩასმული ჰიტლერის წიგნი „მაინ კამპფიო“, მე აღარ მიკითხავს და არც შემიდარებია, შესაძლოა, ახალი სისულელეები დაუმატა ჰიტლერმა უწინდელ გამოცემას.

— ახალი გამოცემა უკეთესი იქნება.

— რა მხრივ?

— გაფორმების მხრივ.

—ახალი გამოცემა უკეთესია, ლაიფციგშია გამოცემული ორი უკანასკნელი გამოცემა და ხომ იცი, რა დიდებულად გამოდის წიგნები ლაიფციგში, რა თქმა უნდა, არც შრომას დაიზარებდნენ ფიურერისთვის.

ბარელმა მაჯაზე დაიხედა, თითებით მოსინჯა ტყავი, წარმოიდგინა ადამიანის ტყავში ჩასმული წიგნი, გააჟრჟოლა.

შეამჩნია ვალიამ და უთხრა:

— მე კი არ მეზიზღება, მეცოდება.

— გეცოდება? ვინა?

— ადამიანი, ვისაც ბედად ერგო გამხდარიყო ჰიტლერის წიგნის გარეკანი, ნეტავ სად შოულობენ ამდენ ტყავს?

— სად შოულობენ? საკონცენტრაციო ბანაკებში დახოცილთა ტყავია, ხომ შეიძლებოდა, ჩემი ტყავი ყოფილიყო გადაკრული ამ წიგნის ყდაზე?

ვალიას თმა აებურძგნა, შიშველ მკლავზე მოისვა ხელი და გაყუჩდა.

„სინამდვილეზე უფრო ძლიერი არისო ფიქრი...“ — ჩაილაპარაკა ბარელმა და ჰკითხა: როდის მომიტან იმ წიგნს, გუშინ რომ დამპირდი?

— ხვალ მოგიტან, ჩემს მეგობარ ქალიშვილს აქვს, ხვალ მოგიტან აუცილებლად.

ფროსია ბებიამ ფრთხილად გააღო კარი და დაიჩურჩულა:

— მოდით, ჩაი დავლიოთ, არაყიც ვიშოვე, ლიზამ მომცა, იმისთანა არაყია, სულ ცოფსა ჰყრის, ჩემთან მოდით, აქ სული შეგეხუთებათ, დღეს ძალიან მშვიდი დღეა.

მიკოლას მისძინებოდა.

ბარელმა და ვალიამ ერთმანეთს გაუღიმეს.

ბარელმა თვალი შეავლო ნაპოლეონის მოსკოვიდან გაქცევის სურათს.

თოვდა და თოვდა.

დაჰქროდა მძვინვარე ქარიშხალი და დააფრენდა თოვლის ფანტელებს. მრისხანებდა რუსული ზამთარი.

დუმილით მიუძღოდა წინ თავის დამარცხებულ არმიას თავდახრილი ნაპოლეონი.

შვლის ნუკრი ღრუბლებში

ახალი ნასადილევი იყვნენ.

მიკოლა უცნობ კაცთან შეხვედრის ამბავს ჰყვებოდა, უფროსები გულმოდგინედ უსმენდნენ მას.

რამდენჯერაც დაიწყო მიკოლამ ამბის მოყოლა, იმდენჯერ შეაწყვეტინეს ხან ვალია იყო წასასვლელი საქმეზე, ხან მეზობლები შემოდიოდნენ, დრო გადიოდა.

— ჯაშუში ყოფილა! — წამოიძახა ბარელმა და ვალიას გადახედა.

— ნამდვილად, მერედა, რა კეთილ კაცად მოუჩვენებია თავი ბავშვისათვის.

—შოკოლადებითა და ტკბილი სიტყვებით მოუწადინებია ბავშვის გამოტეხა და გულის მოგება, ფროსია ბებიასთანაც ატანდა თურმე შოკოლადებს, — დამცინავი ღიმილით თქვა ბარელმა, მერე მიკოლას მიუბრუნდა: რატომ არ მოუტანე შოკოლადი ფროსია ბებიას? სულ შემოგეჯამა?

გაეღიმა მიკოლას.

— აბა, სასაცილოა, სამწუხარო რომ არ იყოს, — თქვა ვალიამ. მშრალად მოხარშული ძროხის ხორცი გადაუღო ბარელს თეფშზე და უთხრა: ამისთანა მშვენიერ კერძებს მიირთმევენ გერმანელები, ჩვენი უკრაინული ძროხის ხორცია, ხომ არ გგონიათ, რომ ბებერი საქონლის ხორცი იკადრონ, კბილებს უსინჯავენ დასაკლავ საქონელს, ჩვენებური ძროხის ხორცია, შენ უფრო შეგერგება. საგანგებოდ, შენთვის დამახვედრა, მზარეულ პეტრო გრიცენკოს ნახელავია ეს კატლეტიც, ჩემი ძმაკაცია გრიცენკო, მზარეულად მუშაობს გერმანელ ოფიცერთა სამზარეულოში.

— გმადლობთ, მეტი აღარ მინდა, — ალერსიანი ღიმილით უთხრა ბარელმა.

— აბა, ეს კატლეტი გასინჯე, ბატის ქონშია შემწვარი, კიდევ გასინჯე.

— კარგი კია და თუგინდ იხვის ქონში იყოს შემწვარი, ძალიან გემრიელია.

— არა, ბატის ქონში შემწვარი კატლეტი უყვართ გერმანელებს, როცა ბატის ქონი არა აქვთ მზარეულებს, კარაქში სწვავენ.

— საწყალი უკრაინელი ბატები, მათ საჭიროდაც მოსულან გერმანელები, — გაიხუმრა ბარელმა და ფროსია ბებიას მიუბრუნდა: ეფროსინა ივანოვნა! თურმე შოკოლადებს გიგზავნიდათ თქვენ ის კაცი.

— ავი კაცის, ჩემო კარგო, არც შოკოლადი ვარგა და არც არაფერი, კარგი კაცის კი პილპილიც ტკბილია, — მიუგო ფროსია ბებიამ და წამოიძახა: რატომ შეგითამაშდა მხარი? ჭრილობის ტკივილმა ხომ არ გაგკრა? არა უშავს რა, ასე იცის, როცა შუშდება ჭრილობა.

ბარელმა ხელი მოისვა კოჭზე.

— სულაც არ მტკივა ნატყვიარი ბეჭი, კოჭში გამკრა ტკივილმა, მოდი, შიკოლას ვკითხოთ, რას იტყვის მიკოლა, მწარე იყო თუ ტკბილი იმ კაცის შოკოლადი?

— ტკბილი! — გულუბრყვილოდ წამოიძახა მიკოლამ და გააცინა ყველანი.

ბარელმა თავზე გადაუსვა ხელი მიკოლას.

— ჯაშუში ყოფილა, რომ შეგხვდეს ის კაცი, იცნობ?

— აბა არ ვიცნობ? ვიცნობ, მაშინვე მივხვდი, ვინც იყო, სხაპასხუპით დაიწყო მიკოლამ, — კახა ბიძია, გაზეთში, „Комсомольская правда"-ში მქონდა წაკითხული ვიღაც ჯაშუშის ამბავი, ჩვენს საზღვარზე შემოპარულიყო, ვიღაც ჩემოდენა ბიჭს გამოლაპარაკებოდა: გზა მასწავლეო, ფულს მოგცემო, ის ბიჭი მაშინვე მიმხვდარიყო, რომ არ იყო ის კაცი კეთილი სული, თურმე რუსულად კარგად კი ვერ ლაპარაკობდა და რუსი კი იყო, შეიძლება რუსმა კარგად არ იცოდეს რუსული ენა? ხომ არ შეიძლება? იმ ბიჭსაც ასე ეფიქრა: ამბობს რუსი ვარო, მაგრამ რუსული ენა რომ არ იცის კარგად? აქ რაღაც საეჭვო ამბავიაო. კი, ბიძია, გასწავლით გზას, სოკოები დავკრიფე ტყეში, კალათა დამრჩა, დამრჩა კი არა, კალათა დავტოვე, გავიქცევი, მოვიტან კალათას, ახლავე დავბრუნდები და გასწავლით გზას, გაგყვებითო. იმ კაცს ეთქვა: არავის უთხრა, თორემ მე რომ ფულს მოგცემ, შენი ამხანაგები წაგართმევენ, ახლავე მოგცემ ფულსო და ამოეღო ბევრი ფული. არა, ბიძია, გზის სწავლებისათვის ვინ გაიგონა ფულის აღებაო, — ეთქვა და გაქცეულიყო, გაეფრთხილებინა ამხანაგები, წამოეღო სოკოებით სავსე კალათა და გაძღოლოდა წინ, ვითომ გზის საჩვენებლად, თურმე მიჰყვებოდა და თან უჩვენებდა: აი, ეს рижок-ია, ვალია, рижок როგორ არის რუსულად?

— რუსულად? рижик.

— აი, ამ სოკოს უკრაინულად, უკრაინულად კი არა, რუსულად ეწოდება. шампиньон, ვალია, ქამა სოკოს ხომ ასე ეწოდება რუსულად?

— კი, ეგრე ეწოდება, მაგრამ ქამა სოკო არ იქნებოდა ნიყვის დროს, ნიყვის დროს არ ამოდის ქამა სოკო, ხომ ბებია? — ჰკითხა ვალიამ, ფროსია ბებიას არ გაუგონია, თვლემდა.

— ჰო, რა ვიცი, აი ეს არის підберезник, ამ სოკოს რა ჰქვია რუსულად?

— Подберёзовик — თქვა ვალიამ და ბარელის ნაღვლიანი გამოხედვა დაიჭირა.

— ამასობაში, გაქცეულან იმ ბიჭის ამხანაგები და შეუტყობინებიათ მილიციელისთვის, წამოუყვანიათ მილიციელები და დაუპატიმრებიათ, ჯაშუში აღმოჩენილა. მეც იმ ბიჭივით მოვიქცეოდი, შევატყობინებდი მილიციელს, მაგრამ ჩემთვის იმ უცნობ კაცს არც გზა უკითხავს და ახლა ჩვენში, ჩვენს სოფელში აღარ არიან მილიციელები.

— სამაგიეროდ პოლიციელები ხომ ბევრნი არიან, — ჩაიჩურჩულა ბარელმა და შეიჭმუხნა შუბლი.

— კახა, ისე მომენატრა მილიციელის დანახვა, რომ შემხვდეს, ვინც არ უნდა იყოს, ნაცნობი თუ უცნობი, მივვარდებოდი, გადავეხვეოდი და გადავკოცნიდი,— თქვა ვალიამ, — თვალი შეავლო ბარელის განიერ მხარ-ბეჭს და დასძინა: ხომ ძალიან გაუკვირდებოდა?

— მე როცა შემხვდება მილიციელი, ჯერ მაგრად ჩამოვართმევ ხელს, მერე გადავეხვევი და ვეტყვი: ძმობილო! ძალიან მომენატრეო-მეთქი, როცა გვყავს, არ ვაფასებთ და როცა დავკარგავთ, ვნანობთ, ბევრი ნაცნობი და მეგობარი მილიციელი მყავს თბილისში, მაგრამ არასოდეს არ მომსვლია აზრად გადავხვეოდი, შემხვდებოდნენ, ჩამოვართმევდი ხელს ან ჩავუვლიდი გვერდით და მივაძახებდი: — გამარჯობა, ვასო, ამირან, გურამ! როგორა ხარ? და გავივლიდი...

მოაგონდა ბარელს ნაცნობი და უცნობი მილიციელები. ერთხელ გვარიანად მთვრალი ვიყავი, შუა ქუჩაში გადავეხვიე ვიღაც უცნობ მილიციელს, როდი სწყენია, გაიცინა და მითხრა: რას მეხვევი, ბიჭო, ქალიშვილი ხომ არ გგონივარ, აბა, კარგად დამაკვირდი, ვინა ვარ? ამ ულვაშებს მაინც ვერ ხედავ? იმდენი არ უნდა დალიო, რომ კაცი ქალად არ მოგეჩვენოსო. მე ვუმტკიცებდი: ულვაშებსაც კარგად ვხედავ თქვენსას და ბქვენს ვაჟკაცურ იერს, მინდოდა გადაგხვეოდით და გადაგეხვიეთ-მეთქი, მე თქვენისთანა მილიციელმა გადამარჩინა ორი ბანდიტისაგან, თორემ ახლა დიდი ხნის მკვდარი ვიქნებოდი— მეთქი. გაიღიმა და მიაშურა თავის საქმეს. ეს ამბავი კარგად იცის დედაჩემმაც და რამდენ მილიციელსაც დაინახავს, ლოცავს:

„ღმერთმა გაუმარჯოს შენს ვაჟკაცურ მარჯვენას, შენ იხარე, შენს ცოლ-შვილშიო.“

ჭაბუკს უდროოდ გაჩენილი ნაოჭები ისე გაუქრა შუბლზე, თითქოს სად-

ღაც ულრან ტყეში გზადაბნეულს, ნაცნობი თუ უცნობი მილიციელი შეხვდაო.

მიკოლა უცხო ქვეყნების მარკების რჩევაში იყო გართული.

ფროსია ბებია კი თვლემდა, უძილობა სჭირდა, არ ასვენებდა ფიქრები, დღისით კი სადაც დაჯდებოდა, იქვე მიეძინებოდა.

ვალიას სევდიანი ღიმილი წამოეპარა ბაგეზე.

— კახა, ბოდი, აღთქმა დავდოთ.

— აღთქმა?

— როგორც კი დავინახავთ მილიციელს, სადაც არ უნდა ვიყოთ, გადავეხვიოთ.

— ორივენი ერთად გადავეხვიოთ? გადაირევა, ქალო, კაცი, ეგონება, თავს დამესხნენო, გვესვრის.

— არა, არ გვესვრის.

— გიჟები ვეგონებით, გვესვრის, მილიციელს აქვს უფლება, ესროლოს თავდამსხმელს.

— მერე, რომ გაიგებს, რატომ გადავეხვიეთ, ჭკვიანებად ჩაგვთვლის. ეს ის ბედნიერი დღე იქნება, როცა ომი დამთავრდება, — უთხრა ვალიამ და ფროსია ბებიას თავშალი წააფარა ფრთხილად.

მოხუცმა თვალი გაახილა და ისევ მილულა.

ვალიას ცრემლებით ავსებოდა თვალები.

„ნეტავ რა ატირებს?" — გაიფიქრა ბარელმა და გული აუჩქროლდა.

— კახა, ნუ დავივიწყებთ აღთქმას, მაგრამ ერთად რომ აღარ ვიქნებით მაშინ? — გულდაწყვეტით ჩაილაპარაკა ვალიამ და უფრო მოეძალა ცრემლები.

— ვეცადოთ, ერთად ვიქნეთ, ან შევხვდეთ სადმე ერთმანეთს, მეწვიე საქართველოში, მისამართს დაგიტოვებ ან მე ჩამოვალ უკრაინაში.

„ვეცადოთ, ერთად ვიქნეთო", ამ სიტყვებმა გული აუთრთოლა, ვეღარ შეიკავა მოძალებული ცრემლები, მაჯაზე დაეწვეთა, ხელი დააფარა მაჯას, ცრემლიან თვალებს ხომ ვეღარ დაუმალავდა! ცვარდანამულ ყვავილსა ჰგავდა ქალიშვილი. „ან შევხვდეთ სადმე ერთმანეთს, მეწვიე საქართველოშიო..." ეს სიტყვებიც სასიხარულო იყო, პირველ ნათქვამს: „ვეცადოთ, ერთად ვიქნეთო..." მაინც ვერ შეედრებოდა.

— შეგეშინდა, ბებია? ძალიან შეგეშინდა? რა დღეში ჩავარდებოდა ბავშვი? — მოულოდნელად წამოიძახა თვლემაზე გამარჯვებულმა მოხუცმა და მიიზიდა მიკოლა მოსაალერსებლად.

არ მიიღო მიკოლამ ყოველთვის საყვარელი ბებიის ალერსი, ჭაბუკად წარმოიდგინა თავი, აიმრიზა და გამბედავი ჭაბუკივით მიუგო:

— სულაც არ შემშინებია, მე იმისი მეშინოდა, არ დამაგვიანდეს-მეთქი კახა ბიძიასთან წერილის მიტანა, დიდხანს მელაპარაკა ის კაცი.

— ჩემი თავდადებული მეგობარი, — თქვა ბარელმა, ხელი მოხვია მიკოლას და თავით მიიხუტა მკერდზე.

— რა შემაშინებდა. მერე თვითონვე მომეშვა, თორემ, ავიღებდი ქვას და ვთხლიშავდი თავში, — წაიტრაბახა მიკოლამ და გაიჯგიმა სასაცილოდ.

— ხმა გაკმინდე, ბიჭო, ბევრს ნუ ლაპარაკობ, ისე ლაპარაკობს, თითქოს არ იცოდეს გერმანელების ამბავი, კიდევ გადაადგამ ფეხს ეზოდან, წახვალ კიდევ ისე შორს, სადმე? — დატუქსა ბებიამ შვილიშვილი.

— დიახ, წავალ, თუ საჭირო გახდა, წავალ! — თამამად მიუგო მიკოლამ და შუბლზე ჩამოყრილი ჯიუტი თმა აიწია.

„პირწავარდნილი ბაბუამისია, შეუპოვარი კაცი იყო, ის ცხონებული", — გაივლო გულში ფროსია ბებიამ და ისე დაიჭირა თავი, ვითომ არც გაუგონია მიკოლას ნათქვამი, წამოდგა და ჩაილაპარაკა: „სიფრთხილეა საჭირო, სიფრთხილე, აბა, რა ვქნათ? ვისაც რა შეუძლია, ის უნდა აკეთოს ამ გაჭირვების დროს". წელზე მოისვა ხელი და გავიდა საკუჭნაოდან.

ბარელმა და ვალიამ მოუწონეს გამბედაობა მიკოლას, შეაქეს კიდეც, ოღონდ ეს კი უთხრეს: ეგრე ჯიუტად ნუ ელაპარაკები ბებიას, გაუგონე რაც გითხრას, დაუჯერეო.

— ხომ არ გახსოვს სახელი და გვარი იმ კაცისა? — ჰკითხა ბარელმა.

— არა, არ მახსოვს, მე არ წამიკითხავს მისი ხელით დაწერილი მისამართი, — მარკებზე თვალმოუშორებლად ძიუგო მიკოლამ.

— დაწვრილებით გამოუკითხავს ბავშვისთვის ყველაფერი, რაც გამოადგებოდა. შენ რას იტყვი?

— აბა, გამოუკითხავს!

— შენ იცნობ სურსათ-სანოვაგის საწყობის დამწველთა მეთაურსო, საღ იმალებიან პარტიზანებიო, ხომ არავინ იცი სოფელში სადმე თავშეფარებულიო, ველოსიპედს გაჩუქებ თუ გინდაო, აგერ, მე ვარ თავშეფარებული თქვენთან. ერთი რომ წამოსცდენოდა ბავშვს, მეტი კი არ უნდოდა, იარაღს ამოიღებდა, გაიგდებდა წინ და მოგვადგებოდა, ან პოლიციას დაგვაყენებდა თავზე, — ჩურჩულით თქვა ბარელმა და ხანჯალი ჩაბღუჯა.

გააჟრჟოლა ვალიას და ჩაიჩურჩულა:

— ღმერთო ჩემო, ხომ დავიღუპებოდით!

— ჩვენ უნდა ვიცოდეთ მისი მისამართი, ვინმე უნდა ვიშოვოთ და გაუსწორდეს.

— გაუსწორდეს? განა ასე ადვილი საქმეა?

— მე არ მითქვამს ადვილი საქმეა-მეთქი, საჭირო საქმეა, როვნოს ამბები არ გაგიგონია? ვიღაც ჩვენიანმა, საიმპერიო კომისრის — ერიხ კოხის მოკვლა განიზრახა, ვერ მოახერხა, სამაგიეროდ, რამდენიმე დიდი თანამდებობის ჰიტლერელი მოკლა, როგორც გერმანელები ამბობდნენ, მკვლელი, გერმა-

ნულ მუნდირში გამოწყობილი რუსი ოფიცერი ყოფილა, გერმანული ენა სცოდნია გერმანელივით, ისეთ საქმეებს აკეთებს თურმე, ბევრს არც კი სჯერა. ასე რომ, თქვენს სოფელში შემოპარული ორიოდე ჯაშუშის თავიდან მოშორება, როვნოს ამბებთან შედარებით, ადვილი საქმეა, ხომ არაფერს დააცდენინებდა ის კაცი მიკოლას?

— ახ, ეგ რამ გაფიქრებინა! — შეიცხადა ვალიამ, — არა, რას ამბობ, შენ, ხომ...

ბარელმა სიტყვა გააწყვეტინა:

— ღმერთმა ხუ ჰქნას, თქვენც დაიღუპებით და მე ხომ ვეღარაფერი მიშველის.

— ნუ გეშინია, მიკოლა ბავშვია, მაგრამ სულ დედასა ჰგავს ხასიათით. კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, ძმას გადახედა, ცოტა ხანს შეჩერდა და უთხრა: მიკოლენკა, წადი, მოეხმარე ფროსია ბებიას, მარტოა.

მიკოლამ ერთად დააწყო მარკებიანი კოლოფები მაგიდაზე და გავარდა გარეთ.

ვალიამ კი განაგრძო:

— როგორც საწყალ დედაჩემს ვერაფერი ათქმევინეს გესტაპოში და შეეწირა კიდეც თავის საიდუმლოებას, ვერც მიკოლას ათქმევინებდა რამეს ის ჯაშუში.

— ბავშვი მაინც ბავშვია.

— ერთხელ, სკოლაში მიდიოდა მიკოლა, ერთი ჩვენი სოფლელი ბიჭი შეხვედროდა, თამაშში გართულიყვნენ, დაგვიანებოდა, არ შეეშვა მასწავლებელს გაკვეთილზე, ცნობილი ხულიგანი იყო ის ბიჭი, არ სწავლობდა, რად მინდა სწავლაო, იმ ხულიგან ბიჭს გული მოსვლოდა, აეღო ქვა და ისე მაგრად ეთხლიშა სარკმლისთვის, რომ კედელს მოხვედროდა, მინის ნამსხვრევები შეჰყროდა სახეზე მასწავლებელს, იმ დღეს ჩაშლილიყო სწავლა, ქვის სროლა მიკოლას დააბრალეს, სანამ მამაჩემი არ გაჰყვა მიკოლას, მანამდე არ დაუშვეს გაკვეთილზე. არ გასცა მიკოლამ ხულიგანი ბიჭი, იქნებ არც იყო ღირსი დაფარვისა, რა მოეთხოვებოდა უპატრონოდ გაზრდილ ბავშვს, დედ-მამა არა ჰყავდა, აბა რა უნდა გამოსულიყო ოთხმოცი წლის ბებიის გაზრდილი ობოლი ბავშვი, ძალიან უყვარდა შვილიშვილი, ანებივრებდა, ყველა სურვილს უსრულებდა. ერთ მშვენიერ დღეს, ომის დაწყებამდე მოხდა ეს ამბავი, გამოცხადდა ხულიგანი ბიჭი სკოლაში, ნახა მასწავლებელი და აღიარა: იმ დღეს მე ჩავამტვრიე თქვენი სკოლის მინა, მიკოლა გორენკო ცამდის მართალიაო, ეთქვა და გამობრუნებულიყო, ხმის ამოღებაც კი ვერ მოესწრო მასწავლებელს.

— წესიერად გაზრდილი ყმაწვილივით მოქცეულა, რა უნდა გამოსულიყო ოთხმოცი წლის მოხუცის გაზრდილი ბავშვიო, კარგად გაუზრდია, რას ერჩი იმ საწყალ დედაბერს?

— აბა! წესიერად გაზრდილივით მოიქცა. მერე, იცი, რა ქნა იმ ბიჭმა? გერმანელები რომ შემოვიდნენ, ერთი კვირაც არ იქნებოდა გასული, ბაზარში ვიღაც გერმანელ ოფიცერს ხელი წაეპოტინებინა ჩვენი მეზობლის ცამეტი წლის გოგონასთვის. გასხლტომოდა ხელიდან, დადევნებოდა ოფიცერი, დაეჭირა და თურმე მიათრევდა მანქანაში ჩასასმელად, ამ შემთხვევის მოწმე ხულიგან ბიჭს, ხანჯალი გამოეტაცა გერმანელისთვის, თავისივე ხანჯლით მოეკლა და მიმალულიყო. ახლა იგი პარტიზანია, ისეთი მოსაზრებული მებრძოლი დამდგარა, სანაქებო მზვერავის სახელი მოუპოვებია. თურმე თავის ადიუტანტად დაუნიშნავს პარტიზანების მეთაურს, კირიჩენკოს და თავის პარტიზანებს ეუბნება: კოლკა ჩუმაკისგან ისწავლეთ, როგორ უნდა ბრძოლა გერმანელების წინააღმდეგ, როგორ უნდა მტრის ზურგში მოქცევა და მისი დაზვერვაო.

— ხულიგანი კი არა, ის ყოფილა, რაც ყოფილა! — გაიცინა და წამოიწახა ბარელმა.

— ახლა გერმანელებმაც კი იციან მისი სახელი „ჩურკა", გვარად ჩუმაკია, კოლია ჩუმაკი, გარეგნობით ბოშასა ჰგავს, ბოშა ბიჭივით თამამია და ლაღი, წარმოშობით, მგონი რუსია, დედა კი უკრაინელი ჰყავდა, მთელი ჩვენი სოფელი „ჩურკა ავარას" ეძახდა. სოფლელმა ბიჭებმა შეარქვეს. ამ თვის პირველ რიცხვებში ორჯერ შემოიპარა სოფელში, იატაკქვეშელთა პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ბორის ბონდარენკო ინახულა და ცნობები წაუღო პარტიზანულ რაზმს.

— ბიჭოს, ის ყოფილა, რაც ყოფილა! — კვლავ სიცილით წამოიძახა ბარელმა.

ჩუმაკი კირიჩენკოს დაჰპირებია: ჩემს ნებაზე თუ გამიშვებთ, გერმანელი გენერლების თავს მოგართმევთო, დასაზვერად წასულს დაუნახავს ორი გერმანელი გენერალი გარშემორტყმული ოფიცრებით, მათი ჯავრი ჩაჰყოლია გულში.

მოეწონა ბარელს „ჩურკაბიჭის" ამბავი და გადაიხარხარა.

— თუკი უპატრონოდ გაზრდილი ბიჭი ამდენ საჭირო საქმეს აკეთებს, მიკოლა პიონერია, მეტი მოეთხოვება, უსათუოდ უნდა მონახოს იმ ჯაშუშის სახლი და... ამის თქმა და ფროსია ბებია შემოვიდა, მიკოლაც შემოჰყვა.

— იმ კაცს კიდეც გაუხარდება მიკოლას მისვლა, იქნებ დავტყუო რამეო.

— რა უნდა დასტყუოს?

— რაც გამოადგება, თუ გეშინიათ, ნუ მივა მიკოლა მასთან ბინაზე, მის სახლს დაანახვებს, ვისაც დასჭირდება.

— ჰოო, რა ვიცი!

— რას ამბობთ! — შესძახა ფროსია ბებიამ, — მე მეგონა, თქვენ ხუმრობდით, კიდევ მაგაზე ლაპარაკობთ? ერთხელ გადაურჩა და კიდევ მას უგ-

ზავნით? დღეიდან აღარსად გავუშვებ, კაბის კალთაზე გამოვიბამ და ისე ვივლი ყველგან.

ხელი ჩასჭიდა ბებიამ მიკოლას.

ბარელსა და ვალიას გაეცინათ, რაღაც ანიშნეს ერთმანეთს.

— მე პატარა კი აღარ ვარ, თორმეტი წლისა ვარ, — ათივე თითის ჩვენებითა და მერე ორი თითის მინატებით წამოიძახა მიკოლამ. მეთორმეტე წელში გადამდგარი მიკოლა, თავის თავს უკვე თორმეტი წლისად თვლიდა. შუბლშეჭმუხნილი იყურებოდა, მაინცდამაინც როდი დაშვენდა შუბლის შეჭმუხნა, მოჟამულ უმწიფარ ნაყოფს დაემსგავსა ბავშვი.

გარეთ ძახილი გაისმა:

„ეფროსინა ივანოვნა! გამოიხედე ცოტა ხანს გარეთ, ლიზა ვარ, ლიზა!"

ლიზა მატიუშენკო სოფლის ერთ-ერთი სანდო ადამიანი იყო, მაინც შესწყვიტა ეს ლაპარაკი.

გახედა ფროსია ბებიამ.

შეუპატიჟებლად შევიდა ლიზა სამზარეულოში, შეჰყვა ფროსია ბებია, ლიზამ კარი დახურა და ჩაუჩურჩულა:

— ვალია შინ არის?

— შინ არის, ძინავს, — იცრუა.

— ნუ გააღვიძებ, ლიზა იყო-თქო, ხვალ, რა დროც არ უნდა იქნეს, უსათუოდ უმდა მივიდეს ბორის პეტროვიჩთან, — ჩაუჩურჩულა და გაბრუნდა.

ფროსია ბებია სამზარეულოს წინ ჩამოჯდა, თვალი გააყოლა საყვარელ მეზობელსა და ფიქრობდა: „ლიზასთანა ადამიანთან დაფარვა ასეთი ამბისა, არ მიმაჩნია საჭიროდ, მარა ასე სურთ იმათ, ჯერჯერობით ასე იყოს..."

დიდ ოთახში გასულმა მიკოლამ ფარდა გადასწია, გაიხედა, არასაფრთხის მოსალოდნელი კილოთი დაუსტვინა და შევიდა საკუჭნაოში.

განაგრძეს ლაპარაკი.

ბარელმა მიკოლას სთხოვა:

— თუ არ გეზარება, გავარდი, კარგი მწიფე ვაშლები და მსხლები მოიტანე.

ხალისით გავარდა, გვერდით ჩაუარა ფროსია ბებიას, ჩაულაპარაკა: ხილის მოსატანად მივდივარ, კახა ბიძიამ მთხოვაო.

— კალათა ბოსტნის სარზე ჰკიდია, — მიაძახა და წამოდგა.

ცვალებადღრუბლიანი საღამო იყო, ზანტად დაიზლაზნებოდნენ ცაზე ფერადი ღრუბლები, აქა-იქ, ცეცხლმოდებული თივის ბულულებივით „იწვოდნენ" გორაკები ღრუბლებისა, თანდათან ბაცდებოდნენ მიმწუხრის ჟამზე, ნელ-ნელა ქრებოდნენ უკვაბლო მოგიზგიზე კოცონები.

თანდათან ბინდდებოდა, ფრთებს შლიდა ახალი დაბადებული ღამე.

ფროსია ბებიას საქათმის კარი დაეკეტა, ჯოხდაბიჯგებული მიდიოდა ში-

ნისკენ, გული უწუხდა, არ უნდოდა შინ შესვლა, ლიზა მატიუშენკოსთან მასლაათი მოენატრა, მიკოლა წამოეწია, ხილით სავსე კალათა ეჭირა ხელში, მიუახლოვდა თუ არა, შეეხვეწა:

— წამყევი, ჩემო ბიჭო, ლიზასთან, საქმე მაქვს.

— ხილს მივუტანთ კახა ბიძიას, მერე წაგყვები.

— იქედან რომ დავბრუნდებით, მერე მიუტანე, ცოტა ხანს იყვნენ მარტო, საქმე აქვთ.

— საქმე აქვთ? — გაიკვირვა მიკოლამ და ცას ახედა, — ბებია, შეხედე! ნიანგს არა ჰგავს ის ღრუბელი? მე მინახავს ნიანგი ზოოპარკში.

ფროსია ბებიამ ცას ახედა.

— მე ვერ ვხედავ, შვილო, ნიანგსა ჰგავს?

— ჰო, ნიანგსა ჰგავს, ვერა ხედავ?

— ვერა, ვერ ვხედავ, თვალი მიჭრიალებს.

მიდიოდნენ და მილაპარაკობდნენ.

„საქმე აქვთო, უფროსები არიან, ყველაფერს ხომ არ მეტყვიან!" — მიდიოდა და ფიქრობდა მიკოლა.

ისინი უკვე ლიზა მატიუშენკოსთან ისხდნენ და საუბრობდნენ. მიკოლა ფოტოსურათებს ათვალიერებდა.

ვალია და ბარელი გაცხარებით ლაპარაკობდნენ.

— კახა, შენ რომ მითხარი, მიკოლამ უნდა მონახოს იმ ჯაშუშის სახლიო, რა საჭიროა?

— გუშინ არ მოიტანე ამბავი, რომ ყოველდღე აპატიმრებენ ჩვენს სოფელში ყველა საეჭვოსა და განსაკუთრებით ახალგაზრდებსო? აბეზღებენო? ჯერ ის ერთი კაცი უნდა აილაგმოს, დანარჩენებზე მერე ვილაპარაკოთ, აბა მოიგონე შენი ნაცნობი ბიჭები, გამონახე ვინმე ისეთი, ვინც იკისრებს ამ საქმეს, ან სხვა მხრივ მაინც დაგვეხმარება.

დაფიქრდა ვალია, უცებ გადაავლო თვალი ახლობელ ამხანაგებს, ამოარჩია ამ საქმისთვის გამოსადეგი კაცი.

— შემიძლია, მე უკვე მყავს ასეთი კაცი.

— ვინ არის, რა კაცია?

— ისეთი ვინმეა, ყველაფერში ხუთიანი უწერია, ამავე დროს, შესანიშნავად უკრავს და ამღერებს გარმონზე.

— კაცია თუ ბიჭი?

— ჩემი ხნისაა.

— რატომ არ გაიწვიეს ჯარში?

— ჯარში წასვლა რომ უწევდა, გაათავისუფლეს, სპორტსმენია, მოსკოვში გააგზავნეს ოლიმპიადაზე.

— შენი ხნისაა?

— მე ოცი წლის გავხდები 21 დეკემბერს, ის ოცდაორი წლისაა, ჩვენი კომკავშირული ორგანიზაციის ხელმძღვანელია, გერმანელ ოფიცერთა სამზარეულოში მუშაობს მზარეულად.

— კარგი სანსახური კი უშოვია.

— თუ გგონია, რომ გერმანელების პატივსაცემად მუშაობს, მაშინ არაა საჭირო ვილაპარაკოთ მასზე, შენ ხომ არ გგონია, იგი ბორშჩისა და კატლეტების მეტს არაფერს აკეთებს? არა, პროკლამაციებს ავრცელებს, სურსათს ეზიდება კიევიდან, მართალია, მზარეულს არ ეკალება სურსათის ზიდვა, მაგრამ სამნეო ნაწილის უფროსს — კაპიტან რიბელს ეხმარება, „ძმაკაცურად" არის გერმანელთან, „შეხმატკბილებულად" მუშაობენ, შრომას უმსუბუქებს და ისიც ენდობა. ცნობებს აწვდის პარტიზანულ რაზმებს, ამას წინათ, სურსათთან ერთად, პროკლამაციებით სავსე კარაქის ყუთი მოეტანა, მთელს სოფელს მოპფინა, დაერაზმა თავისი კომკავშირელები, სად არ გაეკრათ, ვინ ჩამოთვლის, თვითონ კი იჯდა სამზარეულოს წინ და უკრავდა, მეორე დღეს მითხრა: გოგო, გესმოდა? გერმანელები ჩემი გარმონის აკომპანიმენტზე კრებდნენ და ხევდნენ პროკლამაციებსო, მარშს რომ ვუკრავდი, ჩემი შეთხზულია, ის მარში უნდა დავუკრა, ფრიცები რომ გაიქცევიან აქედანო.

— კარგი ბიჭი ყოფილა.

— იცი, ერთხელ რა ოინი გვიყო? პროკლამაციების მთელი დასტა გვიჩვენა და ისიც გზაზე, ჯიბეში ჩაიდო და გვითხრა: მოდით, გამჩხრიკეთ, თუ აღმომიჩენთ რამესო, ჩაუყო ხელი ჯიბეში ერთმა ჩვენმა ამხანაგმა, ამოიღო და გახსნა, კოხტად დაჭრილი გაზეთის ქაღალდები აღმოჩნდა, ჩაიდებდა ჯიბეში პროკლამაციის ფურცლებს, ამოვიღებდით გაზეთის ქაღალდებს, იმდენი ვიცინეთ, რომ ახლაც მტკივა ფერდები, მერე თვითონ გაგვჩხრიკა და ყველას აღმოგვიჩინა თითო ფურცელი, შეგვეშინდა, როცა დავიშალეთ, ხლოპცები ჯიბეებს იჩხრეკდნენ, მე და ჩემი მეგობარი ალია კრავჩენკო ხელჩანთებში ვიხედებოდით, გუშინ ჩამდგარიყო გერმანელ ოფიცრებში და ოხუნჯობდა, მერე გაჭიმა გარმონი და დაუკრა შტრაუსის ვალსი „ვენის ტყის ზღაპარი".

უსმენდნენ სულგანაბული გერმანელები, ეუხერხულებოდათ უადგილო ადგილზე ცეკვა, თორემ იცეკვებდნენ. ცმუკავდნენ და რაღა აკლდა ცეკვას? ცეკვაც ხომ ცმუკვაა, ლამაზი ცმუკვაა ცეკვა, ხომ ასეა? შტაბთან ჩვენი სოფლის კლუბია, აბა, იქ უნდა ნახო, შენ, როგორ უკრავს პეტრო გრიცენკო და როგორ ცეკვავენ გერმანელები...

— ჯერ მაინც აქვთ საქმე საცეკვაოდ, არა?

— დიახ, ჯერ მაინც აქვთ საქმე საცეკვაოდ, რადგან კიევი მათ ეკუთვნით, ვინკელმანმა მითხრა: გუშინ თათბირი ჰქონდა შნაიდერს შტაბის ოფიცრებთან და განაცხადა: ბატონებო! არ დაგავიწყდეთ, რომ კიევის დატოვება, მთელი

უკრაინის დატოვებას ნიშნავს, თუმცა ისევ დავიბრუნებთ, მაგრამ უნდა შევძლოთ უსათუოდ, არ უნდა დავღვაროთ ზედმეტი სისხლი, არა, რუსები ვერ ელირსებიან კიევში შემოსვლასო, — თქვა და დაიყვირა: „ჰაილ ჰიტლერ!" და მერე დამთავრდა თათბირიო.

— პირველად სწორად უთქვამს შნაიდერს, მერე აურევია, — სიცილითა თქვა ბარელმა.

— მეც კი ვცეკვავ ხოლმე გერმანელებთან, მხოლოდ გართობისთვის კი არ ვცეკვავ, სხვა საქმეებსაც ვაკეთებ, განა შეიძლება, რომ უსმენდე შტრაუსის ღვთაებრივ ვალსს და გული არ კვნესოდეს ტკბილ-მწარედ? მთელი ქვეყნიერება რომ გძულდეს, შეგიყვარდება, უბედური რომ იყო, ბედნიერი გახდები, არც ერთი ადამიანი არა გგონია ამ ქვეყნიერებაზე ცუდი, უმშვენიერესი მუსიკა მიგაფრენს სადღაც, შორს, ზღაპრულად მშვენიერი ქვეყნისკენ და ივიწყებ არსებულ სინამდვილეს, გგონია მოხვდი ისეთ ქვეყანაში, სადაც არაა შური, მტრობა, სიკვდილი და მწვალებლობა, ბოროტი და მკვლელი.

— ეს არის მადლი და ძალა პოეზიისა და მუსიკისა, ხელოვნებისა, ცხოვრებას გვაყვარებს, გვაბედნიერებს, — თქვა ბარელმა და გაირინდა.

— დიახ, ვცეკვავ და თან ვუსმენ გერმანელების ლაპარაკს, რომ დავფიქრდები, მივიხედ-მოვიხედავ და დავინახავ ჰიტლერელები მახვევია გარშემო, თავბრუ მეხვევა და ვბორძიკობ, ჩემი კავალერი გერმანელი ოფიცერი — ვისთანაც ხშირად ვცეკვავ, მეუბნება: ფროილაინ! თქვენ ხომ კარგი მოცეკვავე ხართ, რატომ ბორძიკობთ? რა მოგივიდათ? ყურს არ უგდებთ მუსიკას, რაზე ფიქრობთ? როცა ცეკვავთ, არაფერზე არ უნდა იფიქროთ, მხოლოდ მუსიკას უნდა უსმენდეთ, თორემ ვერ ისიამოვნებთ!

„რა გულწრფელად ლაპარაკობს, რა შეედრება გულწრფელობას, მაგრამ..." — ფიქრობდა ბარელი. წარმოიდგინა ვიღაც გერმანელი ოფიცრის მკერდზე მიკრული საყვარელი ქალიშვილი და ეჭვის ისარმა უჩხვლიტა გულში.

ერთ შაბათ საღამოს ვალიამ ამხანაგი ქალიშვილები წაიყვანა კლუბში საცეკვაოდ, ორი გერმანელი ოფიცერი ერთად ცეკვავდა ტანგოს, რადგან ყველა გერმანელს არა ჰყავდა მოცეკვავე ქალიშვილი, ვალია მათ გვერდით მოხვდა, ქალიშვილს თითქმის ყველა ოფიცერთან მოეთავებინა ცეკვა, ახალი შემოსული ვინკელმანი დაინახა, მიატოვა კავალერი, დაპირდა: ისევ მოვალ თქვენთანო, მიეგება ვინკელმანს, საცეკვაოდ შესთავაზა თავი, ვინკელმანს ფრიად ესიამოვნა ვალიას ყურადღება. „გმადლობთ, ფროილაინ, ყურადღებისათვის!" — ჩაიჩურჩულა ვინკელმანმა და დაიწყეს ცეკვა. თან უსმენდნენ მათს წინ მოცეკვავე ოფიცრებს.

ჰ ა ი ნ რ ი ხ — რა მშვენიერი საღამოა, რა რომანტიკული საღამოა, რა სჯობია ახლა გარეთ ყოფნას! როგორ უნდა შეველიო შენისთანა მშვენიერ

ფროილაინს, თორემ... დაგტოვებდი და დიდი სიამოვნებით გავისეირნებდი რომ...

ვ ი ლ ი — მეც წამიყვანე, ძვირფასო! ნუ დამტოვებ, იქ ვერავინ დაგვინახავს, უფრო გემრიელად დაგიკოცნიდი მაგ მშვენიერ ტუჩებს (ქალური ხმითა და თვალების ნაბვით მიუგო ამხანაგს).

ჰ ა ი ნ რ ი ხ — საშიშია, თორემ ერთად გავიდოდით და დავტკბებოდით.

ვ ი ლ ი — ვიცი, მშვენიერი საღამოა, საშიში რომ არ იყოს გარეთ ყოფნა, ჩემო ძვირფასო, რომანტიკულ საღამოს რომანტიკული სიკვდილი მოჰყვება, რუსი პარტიზანები ფრონტელ მეომრებზე სასტიკნი არიან, არ იცი, საიდან წამოგეპარებიან, „ბუჰ!" და ესეც შენი რომანტიკული საღამო, გათავდა ყველაფერი (მიუგო ამხანაგს და ფროილაინივით დაადო თავი მხარზე).

ჰ ა ი ნ რ ი ხ — ვის არ მოხიბლავს ამისთანა მომაჯადოებელი საღამო, პარტიზანებიც გარინდებული იქნებიან.

ვ ი ლ ი — აბა, გული შეგიღონდება სიამისგან, გავიდეთ გარეთ, იქ გაკოცებ, თუ გინდა განიცადო ნამდვილი სიამოვნება, კოცნის დროს არავინ არ უნდა გხედავდეს, დავსხდეთ ბაღში, ნუ გეშინია, ისეთი მშვენიერი საღამოა, პარტიზანსაც კი შეუღონდება გული და რაღა გიჭირს, გადაეხვიეთ ერთმანეთს და აქვითინდით.

ვინკელმანსა და ვალიას თითქმის ყველაფერი ესმოდათ, აღარ უსმენდნენ მუსიკას, ბორძიკობდნენ.

რომანტიკით დაიწყეს და პოლიტიკაზე გადავიდნენ, აღარ ხუმრობდნენ.

ჰ ა ნ რ ი ხ — ეჰ! ჩაიშალა ფიურერის გეგმა, ელვასავით გაჰქრა გეგმა ელვისებური ომისა! (თქვა და შემოტრიალდნენ, გზა დაუთმეს მოცეკვავე წყვილს).

ვინკელმანმა ხელი მოუჭირა ხელზე ვალიას, ვალიამაც უპასუხა ხელის მოჭერით.

ვ ი ლ ი — ელვისებური ომის გეგმა დიდი ხნის გამქრალია, რა უსაზღვრო სივრცეებია, რა ყოფილა მაინც ეს დაწყევლილი რუსეთი.

ჰ ა ი ნ რ ი ხ — რაკი ერთხელ გაჭირდა მოსკოვის აღება, ამიერიდან ყოველგვარი იმედი უნდა დავკარგოთ (თქვა იმედგაცრუებულმა და ყური ცქვიტა, ხომ არავინ გაიგონებდაო).

მართლაც გაიგონეს ვალიამ და ვინკელმანმა და ისე დაიჭირეს თავი, თითქოს მუსიკის ბანგით იყვნენ გათანგულნი.

ვ ი ლ ი — ჩუმად, არავინ გაიგონოს, ლინგერზე ამბობენ: გესტაპოს ჯაშუშიაო.

ჰ ა ი ნ რ ი ხ—ვიცი, ჰოდა, სხვა რამეზე ვილაპარაკოთ (ჩაუჩურჩულა, მერე

პირი მიადო ყურზე და ისეთი რამ ჩაუჩურჩულა, რისი თქმაც მხოლოდ ერთ კაცთან თუ შეიძლებოდა).

ტანგო ვალსმა შეცვალა, შეწყვიტეს ლაპარაკი, მათ ცეკვა აღარ აინტერესებდათ. ორი თუ სამი ტურნე კიდევ გააკეთეს ფეხების ბორძიკით და გავიდნენ გარეთ.

უამბო ვალიამ, რაც მოისმინა მათს გვერდით მოცეკვავე ორი გერმანელი ოფიცრისგან და ეწინდელ დაწყებულ ამბავს დაუბრუნდა:

— რას ვამბობდი? ჰო, ტანგოსა და ვალსის შემდეგ, ჩვენებური ლაზათიანი გოპაკი დასცხო გრიცენკომ, ვეღარ მოვითმინე და გადავეშვი; ჩვენი გოგოებიცა და გერმანელებიც ამყვნენ, გრიცენკოც გადმოეშვა საცეკვაოდ თავის გარმონიანად, ჩამიქროლებდა, ჩამძახებდა რაღაც უხიაკს, გულის მოსაოხებელს, ერთხელ კიდევ ჩამოუარა გარმონიანად, შეჩერდა, ჩამილაპარაკა: ვახშამი უნდა დავუმზადო ამ ძაღლთაპირებსო და მუყაითი მუშაკაცივით გაემართა სამზარეულოსკენ.

„Bravo, bravo!“— მიაძახეს გერმანელმა ოფიცრებმა და დაიშალნენ. მუდამ დაღვრემილი შნაიდერი სარკმელზე მომდგარიყო, იმანაც კი დასცხო ტაში, იგი როდი დადის საცეკვაოდ ამხანაგ ოფიცრებთან, სულ მარტო ზის ბუსავით თავის კაბინეტში, თურმე ძალიან უყვარს გართობა, არ ერევა სხვებში, არ კადრულობს, მეორე მიზეზი ისიც ყოფილა: ომის დამთავრებამდე არ ვიცეკვებ, არც თეატრალურ სანახაობებს ვნახავო, — ასე უთქვამს.

— ალბათ ომს რომ მოიგებს, მერე აპირებს მოლხენას, — სიცილითა თქვა ბარელმა, — ეს რა კარგი ამბავი მითხარი, რა კარგი ბიჭი ყოფილა გრიცენკო.

— ახალი შემოსული რომ იყვნენ გერმანელები, ბონდარენკო გარმონგადაკიდებულ გრიცენკოს შეხვედროდა და ეთქვა: მე და შენ, გერმანელებს „ვემსახურებით“, კომუნისტი და კომკავშირელი, როგორ მოგწონს, ყმაწვილო, ეს ამბავი! მე მერიდებოდა მისი და თვითონ ვეახელი მას და ვუთხარი, რაც მამოქმედებდა, რა მომასვენებდა, რომ არ მეთქვა, ხელი ჩამომართვა მაგრად და მითხრა: ღმერთმა ხელი მოგიმართოს, თუ აუცილებელი საქმე არ გექნეს, არ მოხვიდე ჩემთან, ხშირად მაინც ნუ დაიწყებ სიარულს, თქვენი საიდუმლო ენით მაცნობეთ, შენ და პეტრომ, ან ელიზავეტა ანდრეევნას საშუალებით მომაწოდეთ ყოველგვარი საჭირო ცნობებიო, მას კავშირი აქვს პარტიზანებთან.

— ბონდარენკო ხელმძღვანელობს თქვენი სოფლის იატაკქვეშელებს?

— ჰო, მართლაც იშვიათად ვხვდებით ერთმანეთს, ისე გვიჭირავს თავი სამივეს, ვითომ და სხვათაშორისი ნაცნობები ვართ. პროკლამაციების გავრცელება რომ დაიწყო, შინ რომ ვბრუნდებოდი შტაბიდან, გზაზე წამომეწია გრიცენკო, ხელი ჩამომართვა, რაღაც ქაღალდი ჩამიდო ხელში, მეხუმრება-მეთქი,

აბა რა უნდა მეფიქრა! გავშალე დაკეცილი ქაღალდი და რა დავინახე? პროკლამაცია! ისე შემეშინდა, ხმა ვეღარ გავიღე, ვეღარც დავხიე, ხელში მოვჭმუჭნე და არ მახსოვს, როგორ მივედი შინ. ის პროკლამაცია ახლაც შენახული მაქვს.

— აბა, მომიტანე და მაჩვენე, ვნახო, როგორია, წავიკითხო მაინც.

— ახლავე მოგიტან, წაიკითხე, შენც უნდა ჩაგაბათ არალეგალურ მუშაობაში, თორემ მოგწყინდება უქმად ყოფნა.

— მე უკვე ჩაბმული ვარ, თუ დამიჯერებ.

— პრაქტიკულად, ყმაწვილო, პრაქტიკულად, ცარიელი სიტყვები რომ არ გამოგვივიდეს, პრაქტიკულად უნდა ვიმოქმედოთ ერთად. როცა გამშორდა, მომაძახა: გოგო, გესმის? ხვალ რომ შემხვდები, ზეპირად უნდა წამიკითხო, რაც მაგ ფურცელზე წერია, თორემ გაგრიცხავთ კომკავშირიდანო.

ეღიმებოდა ბარელს.

— ორი ჩვენი სოფლელი ბიჭი კომკავშირში არ მივიღეთ, მათ პროკლამაციები უნდა გაეკრათ, საშიში ადგილია, სხვაგან გავაკრავთო, მათი კომკავშირში მიღების ყველაზე დიდი წინააღმდეგი გრიცენკო გახდა, რა მნიშვნელობა აქვს იმისთანა ადგილზე პროკლამაციების გაკვრას, სადაც ნაგვის გადამყრელი ბებრები ხვდებიან ერთმანეთსო, — უყვირა მათ გრიცენკომ.

— ძალიან კარგი ყმაწვილი ყოფილა, — წამოიძახა ბარელმა და უფრო გაამახვილა ყურადღება.

— რას ვამბობდი? ჰო, დავჯექი და დავიზეპირე, დიდი დრო არ დამჭირვებია, რა უნდა მის დაზეპირებას.

წამოდგა ვალია, გავიდა თავის ოთახში, შემოიტანა მიკოლა ბაჟანის წიგნი, გამოიღო პროკლამაციის ფურცელი და გაუწოდა.

გამოართვა, ჯერ დააცქერდა, მერე მეორე გვერდზედაც დახედა, ისევ გადმოაბრუნა და წაიკითხა:

„ამხანაგებო!

უკრაინელებო და უკრაინაში მცხოვრებო საბჭოთა მოქალაქენო!

იბრძოლეთ, იბრძოლეთ მოძალადე ფაშისტების წინააღმდეგ, არ დაეცეთ სულიერად! გამხნევდით! დროებითია ჰიტლერელების ბატონობა უკრაინაში, იბრძოლეთ და მოიპოვებთ ნანატრ თავისუფლებას.

გერმანელები ხმას ავრცელებენ, თითქოს ისინი სულ მალე შევლენ მოსკოვში, ისინი გამარჯვებულნი ვერასოდეს ვერ შევლენ მოსკოვში, სტალინგრადსა და ლენინგრადში, ვერასოდეს ვერ შეეხება მტარვალის ხელი ლენინის ქალაქს.

იბრძოლეთ გადაბუგული ჩვენი ქალაქებისა და სოფლებისათვის, ნამუსახდილი ქალებისათვის, დახოცილი ბავშვებისა და მოხუცთათვის, უდანაშაულო ებრაელთა დაღვრილი სისხლისთვის!

ახალგაზრდებო! თქვენს დებს, ძმებსა და თქვენს სიყვარულს გერმანიაში მიერეკებიან ჰიტლერელები, რაღა დაგრჩენიათ?!"

ამ უკანასკნელი სიტყვების წაკითხვამ ხმა დაუხშო ბარელს, სუნთქვას უხშირა, ბოღმა მოერია, ვალიას მიაცქერდა. ვალია იდგა და ტიროდა, თაფლისფერი თვალებიდან უნებურად მოსცვივოდა ცრემლები, ხმას არ იღებდა.

ბარელმა სძლია ბოღმას და კიდევ ერთხელ განაგრძო:

„თქვენ მოგიწოდებთ წმინდა აჩრდილები, შეურაცხყოფილი აჩრდილები ლენინისა, ტარას შევჩენკოსი, ლესია უკრაინკასი, ბოგდან ხმელნიცკისა და სამშობლოსთვის თავდადებული ყველა წინაპრისა".

ბარელი ჯერ ჩვეულებრივად, დაკვირვებით კითხულობდა, მერე თანდათან აუწია ხმას, ბუნებრივ პათეტიკაში გადაიზარდა და ამ ლექსით დაამთავრა:

მტერს მოსვენება არ მივცეთ ძილშიც,
სადაც წაიქცეს, სული ხდებოდეს,
ჩვენს უკრაინას ტევტონთა ჯიში
ვერ გახდის თავის მონად ვეროდეს!

ვალია ისე ღელავდა, თითქოს პირველად ისმენდა.

წამოდგა ბარელი, ხელი გაუწოდა ვალიას და ნიშნად ერთად ბრძოლისა, ერთად გაიმეორეს:

ჩვენს უკრაინას ტევტონთა ჯიში
ვერ გახდის თავის მონად ვეროდეს!

შარაგზაზე ხორხოცით ჩავლილმა პატრულებმა გამოიყვანეს ტკბილი ბურანიდან ახალგაზრდები.

წამოხტა ტიგრა და შეუტია პატრულებს.

ფროსია ბებია და ელიზავეტა ანდრეევნა გულდასმით საუბრობდნენ.

მიკოლა მოუსვენრად იყო.

— შენ წადი ახლა შინ, ჩვენი ძაღლი უყეფს ვიღაცას, არ აიშვას, მოგვიკლავენ, მე ლიზა გამომყვება.

იმწამსვე წამოხტა მიკოლა, ხელი დაავლო ხილიან კალათას და გავარდა გარეთ.

ცას ახედა, თანდათან მაღლდებოდა სავსე მთვარე, ღრუბლები უპირებდნენ შეპყრობას, გამქრალიყვნენ ცაზე გართხმული ღრუბლების ურჩხულები, ახლა დათვებს დამსგავსებოდნენ ღრუბლების ნაგლეჯები, მალე გაუჩინარდნენ დათვების მსგავსი ღრუბლებიც, თავიანთ „ბუნაგში" შეძვრნენ, მათ ადგილზე პატარა ნაცარა ღრუბელი გაჩნდა და შვლის ნუკრად იქცა. შესცქეროდა მიკოლა და ნატრობდა: „როდის მოვესწრებიო ზოოპარკის ნახვას?"

ცა გადასერა პროექტორმა, მოტორის გუგუნი გაისმა, „შვლის ნუკრის“ თავზე ჩვენი მზვერავი თვითმფრინავი გრიალით მიარღვევდა ღრუბლების ჯარს.

მიკოლას „შვლის ნუკრს“ შთანთქმას უპირებდა მგლისფერი ღრუბელი, თვალი აარიდა ბიჭმა და გაიქცა შინისკენ.

პატრულების ხორხოცმა წამიერად გააყუჩა ჭაბუკი, ველარ იოკებდა ჯიუტ სურვილს, ეწადა მოხვეოდა ქალიშვილს, დაეკოცნა მისი ალმურშემოგზნებული ლოყები, ერთმანეთისკენ მიისწრაფოდნენ ახალგაზრდები, თავისთავად დგებოდა ბედნიერების მომტანი ნანატრი წამი, მიკოლა რომ არ შევარდნილიყო საკუჭნაოში, კალათა მაგიდაზე დადგა, ტუჩები გამობურცა და დაიჩურჩულა:

— იცით, რა ვნახე? შვლის ნუკრი დავინახე ცაზე, ავიდეთ სხვენზე.

„რა შვლის ნუკრი, რის შვლის ნუკრი და ისიც ცაზე?“ — ერთნაირად გაიფიქრა ორთავემ.

აძვრნენ სხვენზე, მერე ფიცარი გადასწია ბარელმა და გახედა ცას, აღარ ჩანდა „შვლის ნუკრი“, ღრუბლების ჯოგში შერეულიყო და დაკარგულიყო.

უმცხრალ მთვარეს უღრუბლო ადგილას გაემინდვრა და იჯდა პირბადრი დედოფალივით, მჭმუნვარე ფიქრებივით უახლოვდებოდნენ დედოფალ მთვარეს ღრუბლები.

მთვარე კახეთში სხვაა,
სხვაა თბილისში მთვარე...

ჩაიჩურჩულა თავისთვის ბარელმა და გაირინდა.

მიაცქერდა ნაცნობ მთვარეს, „მთაწმინდის მთვარეს“.

— ხვალ•დილით მზე ამოვა, რამდენი ხანია აღარ მინახავს მზის ამოსვლა...

ველარ დაამთავრა სათქმელი ბარელმა, ომის გუგუნმა შეაწყვეტინა. კიდევ განმეორდა გუგუნი და შეაზანზარა გორენკოების ხატა, გუგუნს თვითმფრინავთა გრიალი მოჰყვა, ცოტა ხნის შემდეგ ყუმბარამ გადაიქროლა და უხილავი ფრთები გაჰკრა მათ, მიკოლა შეკრთა, ვალიას მიეკრა.

ქალს ვაჟის ხელი ედო მხარზე, სიამეს ჰგვრიდა.

სულგანაბულნი, თითო-თითოდ დაეშვნენ სხვენიდან.

დაამთქნარა მიკოლამ, ვაშლი აიღო და ჩაკბიჩა, მაინც ვერ უშველა, თვალი მილულა.

კარგ დროს მიაკითხა ფროსია ბებიამ.

— გეძინება, ბებია? — შემოსვლისთანავე მიაძახა, ხელი მოხვია და გაიყვანა.

— ღამე მშვიდობისა! — დაემშვიდობა ვალია თავის დაკვრით და დატოვა საკუჭნაო:

— ღამე მშვიდობისა! — მიაძახა გულდაწყვეტილმა ბარელმა.

ბედნიერება და უბედურება

— აი, შენი პროკლამაცია! — მეორე დღეს, საკუჭნაოში შემოსვლისთანავე უთხრა ბარელმა ვალიას და მაგიდაზე დადო ფურცელი, — დაწვი, ან ისეთ ადგილზე შეინახე, რომ ვერავინ აღმოგიჩინოს, ახლა ისეთი დროა, რომ ყველაფერს უნდა მოელოდეს კაცი, შენ ხომ შტაბში მუშაობ და დაახლოებული ხარ გერმანელებთან, ისიც კი შესძელი, შესულიყავი შტაბის უფროსის კაბინეტში და წაგეკითხა „სრულიად საიდუმლო" ბრძანება, ვინ იცის, იქნებ შენ, „სანდო" უკრაინელ ფროილაინს, მოულოდნელად დაგესხან თავს და გაგჩხრიკონ, სულ მცირედი ეჭვიც კი საკმაოა ამ საქმისთვის.

— ისეთ ადგილზე მაქვს დამალული, რომ უფრო საიმედო ადგილის გამონახვა შეუძლებელია, ეშმაკიც ვერ მიაგნებს, წიგნში მაქვს დამალული.

— წიგნში? — გაიოცა ბარელმა.

— ჰო, წიგნში.

— სად ინახავ იმ წიგნს?

— წიგნების კარადაში, ხან მაგიდაზე მიდევს წიგნი და ვკითხულობ.

— აბა წადი და მომიტანე ის წიგნი, მერე გეტყვი თუ მართლა საიმედო ადგილია.

— ჩემი აზრით, საიმედოა, ოდნავადაც არ მეპარება ეჭვი, რომ ვინმემ აღმომიჩინოს.

— რატომ ინახავ?

— ყველაფრის გადაგდება და მოსპობა, არ მიმაჩნია აუცილებლად, ამ მწარე დღეების მოსაგონებლად ვინახავ, შენ რატომ ინახავ საშიშ საბუთებსა და უბნის წიგნაკში ჩანაწერებს? მე ამ ერთ ფურცელს ვინახავ, თორემ რამდენჯერმე პროკლამაციების მთელი დასტა მომბარა გრიცენკომ, ფროსია ბებიას ლეიბში დავმალე, მერე გამოვიღე და გავავრცელეთ.

— მეც ამ მტანჯველი დღეების მოსაგონებლად ვინახავ ჩემს ჩანაწერებს.

— ჩვენ, ორივენი სწორად ვიქცევით, ზედმეტი სიფრთხილე ნიშანია ადამიანის სუსტი ხასიათისა, არც არაფერს აკეთებს გადაჭარბებული სიფრთხილე, — მიუგო ვალიამ, აიღო პროკლამაცია, გავიდა თავის ოთახში, ჩადო თავის ადგილზე, შეუტანა წიგნი.

— ბატონო გესტაპოელთა უფროსო, რიჰარდ ვოლფ! მე მართალი ადა-

მიანი გახლავართ, ამ წიგნში არაფერი არ არის, გარდა ლექსებისა, რატომ მდებთ ბრალს? თვალითაც არ მინახავს პროკლამაცია, არც ვიცი, როგორია, თქვენ რომ ეძებთ, ისეთ ფურცლებს „გარეწარი" უკრაინელი ახალგაზრდები ავრცელებენ, წარმოგიდგენიათ? თქვენს ხელში არიან და მაინც არ იშლიან ასეთ ამბებს, მათი მეთაური გახლავთ პეტრო გრიცენკო.

„პეტრო გრიცენკო!" — გამომძიებელი გესტაპოელივით წარმოთქვა შუბლშეჭმუხნილმა ბარელმა, დაიწერა „მეთაურის" სახელი და გვარი.

— მე ხომ მათი კაცი ვარ, ხომ „გავთქვი" მეთაური, სხვა რაღა გნებავთ?!

გამოართვა წიგნი.

— მართლა ამ წიგნში ინახავ?

— დიახ, ამ წიგნში დევს პროკლამაცია.

— სად ინახავ ამ წიგნს?

— წიგნების კარადაში, ხან მაგიდაზე მიდევს, ვკითხულობ, როცა მომესურვება.

— საშიშია.

— რა არის საშიში, ლექსების კითხვა?

— პროკლამაციის ამ წიგნში შენახვაა საშიში, რომ გაგიხრიკონ, გადაშალონ ეს წიგნი და აღმოაჩინონ, რითი უნდა იმართლო თავი?

— თუ გადაშლიან ამ წიგნს, აღმოაჩენენ მხოლოდ ერთ დაუწერელ ფურცელს, ამ ქაღალდით ვინიშნავ სადაც ვჩერდები, სრულიად არ აინტერესებთ გერმანელებს მიკოლა ბაჟანის პოეზია, მათ თავიანთი გოეთე დაივიწყეს სიმართლის თქმისთვის, ჰაინე დასწვეს იმიტომ, რომ ებრაელია. კიდეც რომ მიითვისონ ეს წიგნი, მაინც ვერაფერს გახდებიან.

გადაფურცლა ბარელმა წიგნი, გადაათვალიერა, სულ ფურცელ-ფურცელ გასინჯა ორასგვერდიანი რჩეული ლექსების კრებული, დააკვირდა ორივე გვერდზე.

— ხომ არ მატყუებ? მართლა ამ წიგნში დევს პროკლამაცია?

— რასა ბრძანებთ, ტყუილს როგორ გკადრებთ!

კიდევ გადაფურცლა ბარელმა, გადააბრუნა, გადმოაბრუნა წიგნი.

— ფროილაინ! თქვენ მართალი ადამიანი ბრძანდებით, გთავისუფლებთ!

— გესტაპოელის თავში არ არის არაფერი, გარდა ბილწი აზრებისა.

ბარელმა ყდაზე დახედა წიგნს.

— არა, ამ წიგნში არაფერი არ არის.

— ყდაზე რატომ დახედეთ? ამ წიგნის ყდა დანგრეული ხატას კედელი ხომ არა გგონიათ? წიგნების ყდებზე არ აკრავენ პროკლამაციებს.

— ვიცი, გთავისუფლებთ!

— მათავისუფლებთ? გმადლობთ! მე არ მსურს თქვენგან მონიჭებული თავისუფლება, რად მინდა პირადი თავისუფლება, როცა ჩემი სამშობლო დატყვევებულია, მე უკრაინელი გახლავართ და უკრაინის თავისუფლებისთვის ვიბრძვი!

— ეს ვინ ყოფილა? მეორე ზოია კოსმოდემიანსკაია! მოგენატრათ სიკვდილი?

— ზოია კოსმოდემიანსკაია მარტო არ არის, არც მაშინ ყოფილა მარტო, ახლა ყველა უკრაინელი ქალიშვილი ზოიაა.

— რახან ეგრეა, რას ირჩევთ? ჩამოხრჩობას, დახვრეტას თუ საკონცენტრაციო ბანაკს? — გესტაპოელის გულგრილი სიმშვიდით ჰკითხა ბარელმა და სიგარეტი გააბოლა.

— სამივე საშინელია, მაგრამ... რას ვირჩევ? მე პირადად ჩამოხრჩობა მირჩევნია, სახრჩობელაზე ერთ წამში მთავრდებაო სიცოცხლე, დახვრეტაც ადვილიაო, საკონცენტრაციო ბანაკი კი დიდზე დიდი ჯოჯოხეთია, იქ უცებ არ მოდის სიკვდილი.

გააჟრჟოლა ბარელს.

— იქ უცებ არ მოდის სიკვდილი, მოდის, მაგრამ მაშინვე როდი გკლავს, შეხვალ თუ არა, იმწამსვე გაჩნდება შენთან, ჯერ შორიახლოს დგას და მერე ფეხაკრეფით, ნელ-ნელა გეპარება, საკონცენტრაციო ბანაკი ხანგრძლივი ტანჯვით ხდის სულს ადამიანს.

— მე მინახავს საკონცენტრაციო ბანაკის პატიმრები, — თქვა თვალებზე ხელებმიფარებულმა ვალიამ.

— თავი რომ არ დამეღწია, მეც მათ დღეში ვიქნებოდი ახლა, — თქვა ბარელმა და თვალი მოავლო საკუჭნაოს, ტყვეთა ბანაკი მოაგონდა, ვრცელ მორთულ-მოკაზმულ დარბაზად იქცა სულის შემხუთველი უბადრუკი საკუჭნაო, თვალი გაუშტერდა, მერე მიაცქერდა კედელზე დაკიდებულ ფროსია ბებიას ხატს, გულწრფელი ცრემლებით ტიროდა ხატის წინ წმინდა სანთელი, მკრთალად ანათებდა იქაურობას, ოქროსფრად ბრჭყვიალებდა თავდახრილი დედაღვთისა. ბარელი უეცრად სხვა ადამიანად იქცა და პირველად თავის სიცოცხლეში სასოებით გადაიწერა პირჯვარი.

გულხელდაკრეფილმა ვალიამ მოწყვეტილივით ჩამოჰყარა ხელები.

აიღო წიგნი, დახედა ყდის მესამე გვერდზე, ზედ გადაკრული იყო ქაღალდი ისეთივე ფერისა, როგორიც ყდის მეორე გვერდზე, ახსნა დანის წვერით დაწებებული ქაღალდი, აილოკა თითი და გამოაძვრინა პროკლამაციის ფურცელი. დროშასავით აღმართა და თეატრალურად წამოიძახა:

— აი, ბატონო ვოლფ! ვერ ყოფილხართ უნარიანი ჩვენი ჩეკისტებივით, თქვენი ხელობა ადამიანების წამება და გატყავებაა, ასეთ საქმეებს ჭკუა როდი

სჭირდება, პირიქით, რამდენადაც რეგვენი იქნება კაცი, იმდენად უმჯობესია, გთხოვთ, ისწავლოთ ჩვენი მილიციისა და შინსახკომისგან, ვისაც თქვენ ებრძვით, მათ ჭკუა და სინდისი აქვთ, ჭკუა და სინდისი თავისთავად გამარჯვებაა!

— ბატონო ვოლფ! რაც ამ პროკლამაციაზე წერია, ახლა ამ სიტყვებს მთელი ჩემი სამშობლო გაიძახის:

ჩვენს უკრაინას ტევტონთა ჯიში
ვერ გახდის თავის მონად ვეროდეს!

წარმოთქვა ქალიშვილმა ამაყად, მოძალებული ღიმილით მიაცქერდა, ტუჩები აუთრთოლდა, ნაფოტა კბილები გამოუჩნდა და გადაიხარხარა.

თითქოს ეწყინაო, გაწბილებული შეჰყურებდა ბარელი.

— გაიმარჯვეთ, ფროილაინ, შეგიძლიათ გადამაყენოთ თანამდებობიდან.

დაჯდა ვალია, მოიწმინდა სიამის ცრემლები.

— მართლა საიმედო ადგილზე მქონია შენახული, ეგეც შენ, ეგეც შენ, ხომ ვერ აღმოაჩინე! — გაიძახოდა ნიშნის მოგებით და ხარხარებდა პირზეხელშიფარებული.

— სხვა ხომ არაფერი გაქვს ისეთი, რისი შენახვაც არ შეიძლება?

— არა, რამდენიმე წიგნი და ომამდე გამოსული გაზეთები მაქვს გადამალული სარდაფში, — მიუგო ვალიამ და წამოიძახა: უი, შნაიდერის კაბინეტი კი დავალაგე, მაგრამ ქაღალდებით სავსე კალათა გავცალე? კი აღარ მახსოვს!

— იქნებ „სრულიად საიდუმლო" ბრძანება გადააყოლა შნაიდერმა, კარგად გადაარჩიე ხვალ კალათაში ჩაყრილი ქაღალდები, — გაიხუმრა ბარელმა.

— ვერ იტანს გაუცლელ კალათას, თითქოს სუნი უდიოდეს, ზედმიწევნით სუფთა კაცია შნაიდერი, მე კი ბინძური კაცივით მირევს გულს, ცალი ხელთათმანი ბადაეკარგა სადღაც, მისივე მაგიდის ქვეშ ეგდო სუფთა იატაკზე, ავიღე, სარკმელი გავაღე და გადავფერთხე, მივაწოდე, ორი თითით გამომართვა წკიპად, დიდხანს ფერთხა კისერმოღრეცილმა და მერე ჩაიცვა სახედაღრეჯილმა. იმ დღეს კიევში წავიდა, ძაღლიც წაიყვანა და მეც — ძაღლის მეთვალყურედ. ფოსტასთან მიგვატოვა, გამაფრთხილა: უკრაინელთა ძაღლები არ მიეკარონ, არ დასუნონო, ასეც რომ მომხდარიყო, რა დაშავდებოდა? მართლა ჩაგვიარა გვერდით ერთმა გაძვალტყავებულმა ძაღლმა, თვალი შეგვავლო, მწუხარედ გამოიყურებოდა ადამიანივით, დაეხეტებოდა ქუჩა-ქუჩა გადაყრილი ძვლების საშოვნელად. მრცხვენოდა ჩემი თანაქალაქელებისა, არავინ დამინახოს-მეთქი, ან ვინმე ნაცნობი არ წამომადგეს-მეთქი თავზე, ვიღას ჰქონდა ჩემი

დარდი, მაინც ჩამოვიფარე ეს ხილაბანდი თვალებზე. მიდი-მოდიოდნენ აბუ-ზული კიეველები, დაიჯგიმებოდნენ წარმატებებით თავბრუდახვეული გერმანელები, საზარლად ფრიალებდნენ მათი სვასტიკებიანი დროშები, ვიღაც მოხუც ქალს პატარა გოგონა მიჰყავდა ატატებული, ჩამოსვა, დაისვენა, კალთაში ჩაისვა, ხმას ვეღარ ვიღებდი, სამასი მანეთი მივეცი საწყალ მოხუცს, რაკი გავბედე ახლოს მისვლა და ჩავუჩურჩულე: ნუ გეშინიათ ბებია, მალე გარეკავენ ჩვენებიᲗ ამ სატანებს, გაუძელით კიდევ ცოტა ხანს-მეთქი. მომაცქერდა და ისე გადაიწერა პირჯვარი, თითქოს ხატი ვყოფილიყავი, სამასი მანეთით, სამ კილოგრამ ფეტვის პურს მაინც იყიდდა ბაზარში.

— სამას მანეთად სამი კილოგრამი პური?

— ბევრი ხომ არ გგონია სამასი მანეთი, ასი მანეთი ღირს ბაზარში კილოგრამი ფეტვის პური, ხორბლისა მაინც იყოს, ჩვენი ხორბალი გერმანელებს გააქვთ თავიანთ უპურო გერმანიაში, ფულს ახლა ფასი აღარა აქვს, გერმანელების გამოშვებული ბონია, ისეთი ფულია, ორიოდე კაცის ხელს რომ გამოივლის, ჩვარივით იქცევა. ახლა უფრო მიყვარს საბჭოური ფული, ავდარში რომ დაგეკარგოს გერმანული ფული, წვიმის წვეთები გახვრეტს, არც მათი პფენიგები უქნია ღმერთს, მუჭი რომ გაივსო პფენიგებით, ისე მჩატეა, გეგონება, ბამბის ფთილები მიჭირავსო ხელში, ბოშების დაირის ფიფინებსა ჰგავს პფენიგები. ხომ არ გგონია, რომ მტრისადმი სიძულვილი მალაპარაკებს? არა, მომიტანეთ მე თქვენ ოქრო და გეტყვით: ეს ოქროა და ამ ოქროთი საბჭოურ ფულს მოსჭრი თუ კაპიტალისტურს, ორივენი ერთნაირი ოქრო იქნება.

აიღო ვალიამ თავისი ხელჩანთა, გახსნა, ამოიღო გერმანული მარკები, პფენიგები, ომის დროს გამოშვებული უკრაინული ბონი, საბჭოური თუმნიანი, დააწყო მაგიდაზე.

— აი, შეადარეთ და დარწმუნდებით!

გაოცებული თვალით დასცქეროდა ბარელი სამი ქვეყნის ფულებს.

— რა გაოცებული თვალით დასცქერი, პირველად ხომ არ ხედავ ამ ფულებს.

— დიახ, პირველად ვხედავ გერმანულ ფულს.

— ჯერ არ გინახავს?

— აბა სად ვნახავდი, ჯერჯერობით ხელფასს არ მაძლევენ გერმანელები.

გავიდა ვალია თავის ოთახში, შემოიტანა სამთუმნიანი, დროშასავით აღმართა, გაუწოდა.

— აჰა, ფიჩუქნია, ხუთ ლიტრა ღვინოს მაინც იყიდი, ქართველები ღვინოს უფრო ხალისით სვამენ, ვიდრე არაყსო, გავარდი გარეთ, ახლავე მოიტანე ღვინო, კრაკოვის ძეხვიც გამოაყოლე, დავსხდეთ და დავლიოთ.

გამოართვა ბარელმა ფული.

— ფროილაინ! ეს ფაქტიც კმარა თქვენს დასასჯელად, რატომ ინახავთ ამ ფულს? ა, ვიცი, ვიცი კიდევ გეკნებათ.

— თქვენც კარგად იცით, რატომაც ვინახავ!

— აჰა, იმედი გაქვთ იმისა, რომ დაბრუნდებიან ჩვენები და... ბევრი დააგროვე ასეთი სამთუმნიანები, იქნებ ბევრიცა გაქვთ.

— ამ ფულს მე კი არ ვინახავ, ის ინახავს, ვინც ზედ ახატია, ამ ფულს ლენინი ინახავს. აბა, შეადარე ერთმანეთს გერმანული მარკები და ჩვენი სამთუმნიანი, წვიმის წვეთები კი არა, ტყვიაც ვერ გახვრეტს.

გახარებულ ბარელს ხელში ეჭირა სამთუმნიანი და ატკაცუნებდა სტავრასავით.

— კახა, კიევი მომენატრა, როდის მოვესწრები თავისუფლად გავლას კიევში?

— სულ მალე მოესწრები, შენ ბევრი დაამზადე ამისთანა სამთუმნიანები, დაგვჭირდება კიევში გასამგზავრებლად და საცხოვრებლად, ყველაფერს კი რა სჯობია, იცი? საქორწინო მოგზაურობა, არა? — უთხრა ბარელმა და მიაცქერდა თავდახრილ ქალიშვილს.

„დაგვჭირდება კიევში გასამგზავრებლად და საცხოვრებლადო, ყველაფერს კი სჯობია საქორწინო მოგზაურობაო, ეს რა მითხრა კახამ? შემთხვევით თქვა თუ...“ — ამ სასიამოვნო სიტყვებზე ფიქრობდა თავდახრილი ვალია.

დაიხარა ბარელი, ქვემოდან ახედა.

— ორივემ დავამზადოთ, თუმცა მე გამიჭირდება ფულის შოვნა, შენ მაჯობებ, მამაკაცს უფრო ბევრი ფული უნდა ჰქონდეს ქალზე, ჯერჯერობით უნდა მაპატიო.

ვალიამ თავი აიღო, ალერსიანი თვალით გაუღიმა, — კარგი, ორივემ დავამზადოთ! — თქვა და დახარა თავი.

— ჩვენ ერთად უნდა წავიდეთ კიევში ომის დამთავრების შემდეგ, ხომ წამიყვან?

— წაგიყვან, — მორცხვად მიუგო.

— მაშ წავსულვართ კიევში, — თქვა ბარელმა და ხელი შეავლო მკლავზე.

ფრთხილად მოიშორა ბარელის ხელი.

— მერედა, რა ახლოსაა აქედან კიევი, ერთი დღე და ღამეც კი არ უნდა მატარებლით, ფეხითაც კი გავირბენთ ამოდენა მანძილს, ხელს ჩაგავლებ და ერთად ვირბენთ, სულაც არ დავიღლებით, რა დაგვღლის, ერთად ვიქნებით! ახლავე ავდგეთ და წავიდეთ, მოვემზადოთ, ომამდე, ვიღაც რუსი ქალ-ვაჟი ჩამოვიდა ფეხით მოსკოვიდან, აბა, ყმაწვილო, ადექით, მზადა ხართ თუ არა?

დაუჩქარეთ, მე უკვე მზადა ვარ, ხომ დაგვცინით თქვენ ვაჟები ქალიშვილებს, ხომ დაგვცინით, დიდხანს უნდებითო მომზადებას, დაუჩქარე...

ხელი ჩაავლო მაჯაში და წამოაყენა, ორი ნაბიჯი გადადგეს და მიადგნენ საკუჭნაო ოთახის კედელს, შემობრუნდნენ და ახლა მეორე ბნელი კედელი აღუდგათ წინ. ასე გაიმეორეს რამდენჯერმე, ვითომ კიევში მივემგზავრებითო. მერე დასხდნენ „დაღლილი" მგზავრები დასასვენებლად და იწმენდნენ ოფლს. ჯერ ვალიამ დაიწყო წმენდა ოფლისა, მერე ბარელმაც მიბაძა. ცხვირსახოცი დაინიავა ვალიამ, თანამგზავრსაც დაუნიავა. ბარელი თვალს ხუჭავდა ცხვირსახოცის დანიავებისას, ქალიშვილი გაბედულად აკვირდებოდა ვაჟის სახეს, მის გრუზა თმასა და ერთმანეთს დაჯახებულ წარბებს.

ბ ა რ ე ლ ი — რა თვალუწვდენი ველებია.

ვ ა ლ ი ა — კახა, გახედე, რამდენი გადამწვარი სახლია, სულ ნანგრევებადაა ქცეული ეს სოფელი.

ბ ა რ ე ლ ი — აბა, აბა! რამდენი გადამწვარი სახლია, სულ მიწასთანაა გასწორებული ეს სოფელი. ოჰო, როგორც ჩანს, აქ დიდი ბრძოლები მომხდარა, ხედავ? როგორ შესევიან უკრაინელები და აშენებენ დანგრეულ სახლ-კარს?

ვ ა ლ ი ა — ვხედავ, ვხედავ!

ბ ა რ ე ლ ი — რა ხალისიანად მიდი-მოდიან, თითქოს არაფერიც არ მომხდარიყოს. ასეთია ბუნება უკრაინელი და რუსი ადამიანისა, როდი ნებდებიან სასოწარკვეთილებას, შრომაში ჰკლავენ მოზღვავებულ ბოლმას.

ვ ა ლ ი ა — გესმის, რა ხალისიანად მღერიან ახალგაზრდები?

ბ ა რ ე ლ ი — ქალიშვილები უფრო მეტნი არიან ვაჟებზე, მაინც მამაკაცების კისერზე გადადის ომი, ვაჟები უფრო ბევრნი დაიღუპნენ.

ვ ა ლ ი ა — ქალიშვილები კიდევ მეტნი იქნებოდნენ, გერმანიაში რომ არ გაერეკათ, ბევრნი გარეკეს.

ბ ა რ ე ლ ი — აბა, აბა! ბევრნი გარეკეს, ბერლინში რომ შევედით, იქ ბევრნი დაგვხვდნენ უკრაინელი და რუსი ქალიშვილები, გვეხვეოდნენ და გვკოცნიდნენ, დაბრუნდებიან ისევ თავიანთ სამშობლოში და მერე ნახე იმათი სიხარული, ვალია, რა გითხრეს ჩვენებმა, როცა შემოვიდნენ?

ვ ა ლ ი ა — რა მითხრეს? რაოდა რას აკეთებდიო, რატომ არ გადასწვი შტაბიო, პარტიზანი ვიყავი-მეთქი, როგორ, საბუთს ვერ ვუჩვენებდი? მართალია, გვიან გავიქეცი, მაგრამ ბონდარენკომ მიბრძანა: ჯერჯერობით აქა ხარ საჭირო, ჯერ ერთად ვებრძოლოთ ჩვენს მტრებსო.

ბ ა რ ე ლ ი — მეც ეგრე მკითხეს: რას საქმიანობდი ტყვეობაში? გორენკოების თბილ ხატას რომ შეაფარე თავი, გაგიტკბა? ფროსია ბებია ხომ არ იყავი, ღვთისმშობლის ხატი რომ გეკიდა საკუჭნაოში, იქნებ კიდეც ლოცულობდი მოხუცი ადამიანივითო. არა-მეთქი, მე ათეისტი გახლავართ, მაგრამ მაინც გა-

დავიწერე პირველი ერთხელ, როცა ჩხრეკდნენ გორენკოების ხატას გესტაპოელები-მეთქი, მე და ვალია გორენკო ერთად გავიქეცით სოფლიდან, პარტიზანები გახლდით, ბევრი ჰიტლერელი გავისტუმრეთ მოუსავლეთში, როგორ, განა საბუთს ვერ ვუჩვენებდი?

ვ ა ლ ი ა — აბა რა, უჩვენებდი კირიჩენკოს ხელმოწერილ საბუთს და გაიჯგიმებოდი.

ბ ა რ ე ლ ი — რა კარგი ამინდია, რა მზიანი დღეა, მზეც ხელს უწყობს ომით გაწვალებულ ხალხს, ასაშენებელი აქვთ, აღსადგენი აქვთ ყველაფერი, რა მშვენივრად მღერიან, გამარჯვებული ქვეყნის მოქალაქენი არიან. და ამიტომ არაფრად აგდებენ განვლილ უბედურებას, სიხარულს გაუმარჯვებია და ზეიმობს, გამარჯვებული ადამიანი ბედნიერია, სიამით იგონებს განვლილ უბედურებას.

ვ ა ლ ი ა — ხომ მშვენივრად და თითქოს არხეინად მღერიან, მაგრამ კარგად დაუგდე ყური? მაინც დიდი სევდაა მათს სიმღერაში, შესაძლოა, შენ ვერ იგრძნო ჩემსავით, ჩვენი უკრაინული სიმღერის სევდიანი ნიუანსი, კი არ გსაყვედურობ, მიყვარს მე თქვენი ქართული სიმღერა, მაგრამ შენსავით ხომ ვერ გავიგებ!

ბ ა რ ე ლ ი — რომ მღერიან, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ თითქოს დაივიწყეს, რაც თავს გადახდათ. არა, იმიტომაცაა მათი სიმღერა მშვენიერი, რომ სევდიანია. არ არსებობს ჭეშმარიტი პოეზია და სიმღერა სევდის გარეშე, სევდამ შეაქმნა პოეზია და სიმღერა, სიხარული და ბედნიერებაც ამღერებს ადამიანს, სიხარულისა და ბედნიერების დროს, სულ სხვანაირია პოეზია და სიმღერა, სიხარული თავისთავად მშვენიერია, მას აღარ ესაჭიროება პოეზია, სევდიანი რომ არ იყოს მათი სიმღერა, არ ივარგებდა, დიდი უპატივცემლობა იქნებოდა განვლილი უბედურებისა და ომის მსხვერპლთა ხსოვნისადმი. რა საყვარლად შრიალებენ არყის ხეები, თითქოს ერთმანეთს სულს უბერავენო ნატყვიარ მკერდებზე.

ვ ა ლ ი ა — იმ ვერხვს რაღა ათრთოლებს? რისღა ეშინია? ხომ გათავდა ომი?

ბ ა რ ე ლ ი — ვერხვი მუდამ მშიშარაა, იგი გრძნობს მომავალ უბედურებას, მშიშარა ბრძენია ვერხვი, გრძნობს მომავალ ქარიშხალს. რა ამაყად დგას ის დიდი მუხა, რამდენმა ქარიშხალმა შეუტია და მაინც ვერაფერი დააკლო, იმ მუხასავით იდგა მოსკოვი მთელი ომის განმავლობაში.

ვ ა ლ ი ა — დიახ, იმ მუხასავით იდგა მოსკოვი, როცა მიუახლოვდნენ გერმანელები.

ბ ა რ ე ლ ი — რა ქარიშხალმა გადაიარა, რა ძალამ დაამტვრია ფრთები!

ვ ა ლ ი ა — ხედავ იმ თავმონგრეულ ეკლესიას? აღარ ამშვენებს გუმბათი, აღარც ჯვარი, აღარც ზარები.

ბ ა რ ე ლ ი — ვხედავ, ყველაფერს ვხედავ, ვალია, მხოლოდ კედლებიღა დგას ეკლესიისა იმდაგვარად, თითქოს ხელები აღუპყრიათო სალოცავად.

ვ ა ლ ი ა — მაინც ევედრებიან ღმერთს?

ბ ა რ ე ლ ი — აბა ვის უნდა ევედრონ მორწმუნენი თუ არა ღმერთს? ვიღაც, ან რაღაც ხომ უნდა გწამდეს, თუ არაფერი არა გწამს, აზრი აღარ ექნება სიცოცხლეს, ვერ გაიხარებ, დაიტანჯები! მაინც უნდა ვთქვა: შეიძლება რაღაც გაიხადო სავედრებლად, სათაყვანოდ, სალოცავად, ადამიანს კი არ უნდა შეევედრო, თუ შეევედრე, გლახაკად ჩაგთვლის, ადამიანს კი არ უნდა შეევედრო, უნდა შეუტიო თუ მართალი კაცი ხარ, უფრო დაგაფასებს, ამაღლდები მის თვალში. დაუბომბავთ ეკლესია და სასაფლაო, შემთხვევით დავარდნილან ყუმბარები, თორემ მკვდრებისთვის ვინ გაიმეტებდა ყუმბარებს, ყუმბარა სიცოცხლის მოსასპობად გამოიგონეს სწავლულებმა, აი, სასაფლაო, მიცვალებულთა ამოყრილი ჩონჩხი მიმოფანტულა, მკვდრებსაც კი მიაღებინეს მონაწილეობა ამ ომში, ამაზე დიდი „სიბრძნე" ხომ აღარ შეიძლება. გერმანელები უფრთხილდებოდნენ ტყვია-წამალს, მე ჩემი თვალით ვნახე: უკრაინის ერთ სოფელში ჯერ გაათხრევინეს თავიანთი ხელით ერთი ვეებერთელა სამარე ებრაელებს და დახვრიტეს შიშვლები, მერე დაენანათ მათთვის ტყვია-წამალი და ცოცხლად ჩაჰყარეს სამარეში. საწყალი ებრაელები, დასაბამიდან მოელოდნენ თავიანთ მხსნელ მესიას, და პირიქით, ჰიტლერელები მოევლინნენ, რა ტანჯული ხალხია მაინც ეს ებრაელები.

„ყველგან გვდევნიან, მხოლოდ აქ, ჰოლანდიაში, გვიცქერენ, ვით ადამიანს", — ამბობს ურიელ აკოსტა.

გუცკოვმა ალბათ არ იცოდა საქართველო, თორემ ასე არ იტყოდა, არასოდეს არ განუცდიათ დევნა ებრაელებს საქართველოში, ჩვენ არაფერი გვთიშავდა ერთმანეთისგან, გარდა სარწმუნოებისა.

— შეხედე, როგორ შესევიან ეკლესიას მორწმუნენი, აღადგენენ დანგრეულ ეკლესიას; აღმართავენ ნანგრევებში დამარხულ ჯვარსა და დაჰკიდებენ დამხობილ ზარებს, ისევ დაიწყება წირვა-ლოცვა, საყვედურს მაინც არ შეჰკადრებენ მამაზეციერ ღმერთს, ხალხიც აღადგენს დანგრეულ სახლ-კარსა და ეკლესიის ზარები გუგუნით ამცნობენ ხალხს, რომ აღარ არსებობენ სატანები, მოისპნენ, გაჰქრნენ, მოსრა ისინი მარჯვენამ მართალ ადამიანთა.

„ბოროტსა სძლია კეთილმან..."

ასე ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს ვითომ კიევში მიმავალი მგზავრები — კახა ბარელი და ვალია გორენკო.

— როგორც ჩანს, ჩვენ ერთად მოგვიხდება წასვლა კიევში, ხომ არავისი მოგერიდება?

— ვისი უნდა მომერიდოს? ერთად წავიდეთ, როცა მშვიდობა დამყარდება, — მიუგო ვალიამ და თავი ჩაღუნა.

— მაშ, შევთანხმდით, ვნახოთ, პატრონი თუ ხარ შენი სიტყვისა, მივდივართ კიევში, მერე მე საქართველოში წაგიყვან და გაჩვენებ ჩვენს დედაქალაქ — თბილისს.

— შენ ხომ არავისი მოგერიდება? — შეფარული ეშმაკობით ჰკითხა ვალიამ.

— არა, მე არავინ არა მყავს ისეთი, რომ მომერიდოს მისი, წაგიყვან საქართველოში, ვინც კი შემხვდება ჩემი ნაცნობი, ყველას გაგაცნობ და ვეტყვი: მე და ეს ქალიშვილი პარტიზანები გახლდით, ჩვენ ერთად ვიბრძოდით კიევისა და თბილისის გათავისუფლებისთვის, დამთავრდა ომი, გავიმარჯვეთ, დავბრუნდით და დავსეირნობთ ახლა ერთად.

— ვაშაა, ვაშაა! გაუმარჯოს თავისუფლებას, გაუმარჯოს თავისუფლებას! — დაიყვირა ვალიამ დახშული ხმით. ისეთნაირად „დაიყვირა", რომ ბარელი მხოლოდ ტუჩების მოძრაობაზე გებულობდა ვალიას ნათქვამს.

აიღო ვალიამ თავისი ჭრელი ხილაბანდი და ააფრიალა დროშასავით, მერე მიუახლოვდა, ყურზე მიადო პირი და ჩურჩულით დ'იმღერა:

Широка страна моя родная!..

უნდოდა გადახვეოდა და გადაეკოცნა, ვერ გაბედა.

ქალიშვილის სუნთქვა ქარიშხალივით მოხვდა ვაჟს და დააბარბაცა, გულში უტკბილესი სიამე იგრძნო და წალეკა, გაიტაცა, ძალიან დასცხა, საკინძე გაიხსნა, ხელი მოხვია ვალიას, მკერდზე მიიკრა, მიიზიდა მაგრად და ერთად წამოიმღერეს:

Широка страна моя родная!

გული უფართხალებდა ვალიას, ბურანში გახვეულიყო, ეგონა, მკლავზე გადაეწვინა იგი ვაჟს და მიჰყავდა, მიარბენინებდა, გონს მოვიდა, ხელიდან გაუსხლტა, არაყით გაუვსო ჭიქა, თავისთვის ცოტა დაისხა, ჭიქა-ჭიქაზე მიუჭახუნა.

— გაუმარჯოს თავისუფლებას, დიდი ხნის ნანატრ თავისუფლებას გაუმარჯოს! — მოსვა არაყი.

— გაუმარჯოს თავისუფლებას, თავისუფლებას, ასეთ ბნელ საკუჭნაოში რომ იმალება, ბნელ კედლებს რომ გაარღვევს და გაიჭრება გარეთ, დედამიწაზე რომ ვეღარ დაეტევა და ცად აიჭრება დიდი სიხარულით, — თქვა ბარელმა და გადაჰკრა არაყი.

სხვა სადღეგრძელო აღარ იყო ამ ქვეყნიერებაზე, აღარავინ დარჩენილიყო ამ ქვეყნიერებაზე, მხოლოდ ეს ქალ-ვაჟი დარჩენილიყო და შესცქეროდნენ ერთმანეთს, ერთი სანატრელილა დარჩენოდათ: ერთ არსებად ქცეულიყვნენ, მხოლოდ ორნი იყვნენ და მაინც ყველა და ყველაფერი იყო ამქვეყნად, იმიტომ, რომ სიხარული ცად აფრენილიყო, დანავარდობდა ცად აფრენილი სიხარული და თავისუფლება, სადაც თავისუფლებაა, იქ ყველაფერია.

ორნი იყვნენ, მაგრამ ყველაფერს გრძნობდნენ და ხედავდნენ. ხან ტკბილ ბურანში იყვნენ გახვეულნი და მიფრინავდნენ სადღაც, შორს ზღაპრულად მშვენიერი ქვეყნისკენ.

შესცქეროდნენ ერთმანეთს და დუმდნენ, ვეღარ ხედავდნენ ბნელ საკუჭნაოს, ეშინოდათ ხმის გაღებისა, რაიმე შეუფერებელი სიტყვა რომ არ წამოსცდენოდათ ამ დიდებული დუმილის დროს, ეშინოდათ, არ გაუჩინარებულიყო ბედნიერი აჩრდილები დიდებული დუმილის დროს.

იმ დროს ისინი ბედნიერები იყვნენ და დუმდნენ.

ნამდვილი მწუხარება და ნამდვილი ბედნიერება უტყვია.

დიდი ბედნიერება და დიდი მწუხარება უტყვია.

მწუხარებასა და ბედნიერებას არ უყვართ ხმაური.

უბედურებასავით ბედნიერებასაც უყვარს დუმილი.

ჯერ ალბათ არავის არ უნახავს ამბოხებული ბედნიერება და უბედურება, იმიტომ, რომ უბედურება მუდამ უთვალთვალებს ბედნიერებას.

ბედნიერებასა და უბედურებას არ შვენის, არ შეჰფერის ამბოხება, დუმილში უფრო დიადნი არიან.

სიხარული? დიდი სიხარული ჯერ კიდევ არ არის ნამდვილი ბედნიერება, ამიტომ ვერ ითმენს დუმილსა და ამბოხია.

ბედნიერება და უბედურება, სიხარული და მწუხარება ერთმანეთს არ შორდებიან.

გაუმარჯოს უბედურებასთან ახლოს მდგარ ბედნიერებას, რადგან უფრო ბედნიერნი ვართ ამ დროს, უფრო ვგრძნობთ და განვიცდით, უფრო ვაფასებთ ბედნიერებას. უფრო ბედნიერნი ვართ ასეთი ბედნიერებით.

დუმდნენ უბედურებასთან ახლოს მდგარი ახალგაზრდები.

ბედნიერები იყვნენ და დუმდნენ.

ისე ეშინოდათ თავიანთი ბედნიერებისა, როგორც უბედურებისა.

ორივემ ერთად ამოიოხრა.

ბედნიერი ადამიანებიც ოხრავენ.

ბარელმა ისე დაასხა და დალია არაყი, რომ არ შეუმჩნევია ვალიას.

დუმდა ქალიშვილის სიახლოვით ბედნიერი ჭაბუკი.

ქალ-ვაჟი ერთმანეთისთვის ბედნიერებაც იყო და უბედურებაც.

ბარელს დათრობა უნდოდა, რადგან იგი შამაკაცი იყო, მთვრალი მთელი არსებით შეიგრძნობდა ქალიშვილს, მამაკაც ბარელს რაღაც აკლდა, რაც აკლდა, მხოლოდ ქალში შეიძლებოდა ყოფილიყო. თვალი არაყისკენ ეჭირა ლოთივით, ათრთოლებდა მოლივლივე არაყი, არაყს ფერი არა აქვს, მას კი სასიამოვნოდ ეჩვენებოდა ფერი არაყისა, ბარელს დათრობა უნდოდა, მთვრალი ვეღარ დაინახავდა ბედნიერებასთან ახლოს მდგარ უბედურებას, მთელი ქვეყნიერება მშვენიერი მოეჩვენებოდა.

— რამდენ ხანს დამტოვებ საქართველოში? — ჰკითხა მაინც ბედნიერმა ვალიამ.

— რამდენ ხანსაც მოისურვებ, — გულღიად მიუგო ბარელმა და გაუღიმა.

ქალიშვილის გულმა ტკბილად შეიფრთხიალა და დაინახა მარტო მდგარი ბედნიერება.

ამ დროს ძლიერი გრგვინვა გაისმა, შეარყია ხატა, ისევ დადუმდნენ ორივენი და მათს გულში ერთმანეთს დაეჯახნენ ბედნიერება და უბედურება.

— ამბობენ: საქართველო ძალიან ლამაზიაო, თბილისი ძალიან ლამაზი ქალაქიაო, — წყნარად თქვა ვალიამ.

— მართალს ამბობენ, ყველაფერი მშვენიერია საქართველოში, — ბარელმაც წყნარად თქვა და ოცნების თვალი გადაავლო სამშობლოს ნაცნობ ადგილებს.

— მართლა ძალიან ლამაზი ქალიშვილებია საქართველოში?

— ქალიშვილებიც მშვენიერი არიან და ვაქებიც, წაგიყვან და შენც მიემატე ლამაზ ქართველ ქალებს.

„საქართველო, საქართველო!" — ზედიზედ თავისთვის წარმოსთქვა ვალიამ.

— თუ მოგეწონება საქართველო, დაგტოვებ იქ, სამუდამოდ დაგტოვებ საქართველოში, დარჩები?

— ვიცი, რომ მომეწონება, მაგრამ ვისთან დამტოვებ საქართველოში? — მოჩვენებითი გულუბრყვილობით ჰკითხა.

— ვინც არ უნდა იყოს, მაინც არ დარჩები?

— არა, — თავის გაქნევით თქვა ვალიამ. ეს არ იყო ქალიშვილის თავის გაქნევა, პატარა გოგონები აქნევენ თავს ამდაგვარად. აკაციის თაფლისფერი თმა მიმოეფანტა მხრებზე. თქვა „არაო", მაგრამ „ჰოს" ნიშნავდა.

ფროსია ბებიას ფოსტლების ფრატუნის ხმა გაისმა.

— არ სძინავს ფროსია ბებიას, — თქვა ვალიამ და საკუჭნაოს კარი გააღო.

— არ სძინავს, მოხუცებს არ უყვართ ძილი, გვიან წვებიან და ადრე დგებიან, ცოტა ძილი ჰყოფნით.

— კახა, რატომ არ უყვართ მოხუცებს ძილი? მე მიყვარს დიდხანს ძილი.

— თუ არაფერი მაწუხებს, მეც მიყვარს დიდხანს ძილი, ძილი დროებით სიკვდილია, მოხუცებს ეშინიათ სიკვდილისა. ადამიანი სამოცდაათ წელიწადს თუ იცოცხლებს, თხუთმეტი წელიწადი სძინავს, თხუთმეტი წელიწადი მკვდარია. რამდენ რამეს გააკეთებდა ამ თხუთმეტ წელიწადში, ამ ხნის განმავლობაში ტოლსტოი ორ „ანა კარენინასოდენ" რომანს დასწერდა. რა კარგი იქნებოდა, რომ ვინმე გამოიგონებდეს ისეთ საშუალებას, არ დაიძინოს ადამიანმა და არც ავნოს უძილობამ.

გაეღიმა ვალიას.

— მართლა კარგი იქნებოდა. მართლა არ უყვართ მოხუცებს ძილი, ეშინიათ მოხუცებს სიკვდილისა, კახა, შენ არ გეშინია?

— ადამიანს ყოველთვის ეშინია სიკვდილისა, ჩვენ რომ სიკვდილის არ გვეშინოდეს, ახლა ამ საკუჭნაოში კი არ ვიქნებოდით დამალულნი...

— არა, არ ვიქნებოდით დამალულნი...

— იცი, რა გითხრა? — დაიწყო ბარელმა და მიაცქერდა ვალიას, თვალს არ აშორებდა, მაგრამ იმდაგვარი ტკივილი გამოხატოდა სახეზე, თითქოს რაღაც საზარელ რამეს უცქერსო. სულ სხვა ფიქრმა გაიტაცა და ძლივს გაიღო ხმა: — სიკვდილის ყველას ეშინია, ბედნიერ ადამიანს უფრო მეტად ეშინია...

— უბედურ ადამიანს არ ეშინია?

— უბედურს?..

ქალიშვილს თმის კულული ჩამოვარდნოდა და ელაციცებოდა ყელზე, ვაჟს ეწადა შეხებოდა მის კულულს და ეკოცნა ყელზე, აი, ეს კი იქნებოდა დიდი ბედნიერება. ყელიდან სახეზე გადაიტანა მზერა, წარმოიდგინა: ვალიას სახეს ოდესღაც აღარ ექნებოდა უმშვენიერესი თაფლისფერი თვალები, მის სხეულს... — გაიფიქრა ბარელმა და გააჟრჟოლა, თვალებზე მიიფარა ხელები, ისევ მიაცქერდა. გაზეთს ინიავებდა ვალია, გამომწვევად და საყვარლად ირხეოდა მისი თმის კულული, უცებ დაცარიელდა ვალიას სახე, მხოლოდ კბილებიღა შერჩა თავის ქალას, იცინოდა თავის ქალა, ადამიანის ბედს დასცინოდა, ბარელს დასცინოდა, ბედნიერი ჭაბუკი უეცრად უბედური გახდა.

თვალი დახუჭა და მაინც ხედავდა კბილებდაკრეჭილ თავის ქალას.

— ვალია! — ერთი შესძახა და დაემხო მაგიდაზე.

— კახა! რა მოგივიდა?

ბარელმა თავი აიღო.

— არაფერი, მიკოლა სად არის? — ჰკითხა და კედელს მიაცქერდა.

— მიკოლა? ამ დროს ყოველთვის სძინავს მიკოლას.

— გოგო, არ წვები? გათენებამდე ხომ არ გინდათ ისხდეთ და ილაპარა-

კოთ? ადრე ასადგომი რომ ხარ, ხომ არ დაგავიწყდა? მაგ კაცსაც ხომ უნდა მოსვენება, — მიაძახა ფროსია ბებიამ, როცა საკუჭნაოს კარი გაიღო.

— ახლა მოვდიოდი, ბებია, — იცრუა ვალიამ, — ღამე მშვიდობისა! — თქვა და გავიდა.

— ღამე მშვიდობისა! — მიუგო გულდაწყვეტილმა ბარელმა.

კარი ჩაკეტა შიგნიდან, საწოლზე ჩამოჯდა და მშვიდად შესცქეროდა ნაპოლეონის მოსკოვიდან გაქცევას.

თოვდა და თოვდა.

დინჯად მიუძღოდა თავის დამარცხებულ არმიას თავჩაქინდრული ნაპოლეონი.

უკან მისდევდა ბობოქარი რუსული ზამთარი.

იმპერატორის გულში ქარიშხალი ბობოქრობდა.

ქარიშხალივით უტევდა გერმანელებს წითელი არმია.

პატრიოტიზმი და ფანატიზმი

შნაიდერი სასწრაფოდ გამოიძახეს კიევის გენერალურ შტაბში, ვალია დაიბარა და უბრძანა: ხვალ კიევში მივდივარ, ყურადღება მიაქციე, ძალიან მოწყენილია ჩემი ტიროლი, მგონი, ავად არის, რომ დავბრუნდები, ექიმი უნდა მოვუყვანოო.

იმ საღამოს ფროსია ბებიამ სადილი გაუმზადა ვალიას.

სადილის ნაწილი ცალკე შეახვია, ნახევარლიტრიანი არაყი დაუმატა.

— ეს ჩემს მაგივრად მიართვი იმ კარგ გერმანელს — პავლე ვინკელმანსო.

დილით, შტაბში რომ გამოცხადდა ვალია, შნაიდერის კაბინეტში მისი პირველი მოადგილე დახვდა, მიესალმა და გამობრუნდა, შნაიდერი უთენია წასულიყო კიევში, ძაღლი კაბინეტში დაეტოვებინა, როგორც კი დაინახა ვალია ძაღლმა, ზანტად გააქნ-გამოაქნია კუდი და უკან გაჰყვა თავის მომვლელს, ჯერ ეზოში ასეირნა ვალიამ, მერე სამზარეულოსკენ გაემართა გრიცენკოს სანახავად, ბონდარენკოსთვის გასაგზავნი ცნობები გამოართვა და გამობრუნდა, ცნობები ელიზავეტა ანდრეევნას გაატანა ბონდარენკოსთან.

იმ დღეს ვინკელმანს როდი დასჭირვებია გერმანელ ოფიცერთა სასადილო, უცნობი მოხუცისგან გამოგზავნილი ძღვენისთვის დიდი მადლობა გადაუხადა ფროილაინს, შტაბის დერეფანში გაშალეს სუფრა, გემრიელად ისადილეს, ისხდნენ და მუსაიფობდნენ უკრაინელი ქალიშვილი და გერმანელი.

— მალე მიენდნენ ერთმანეთს, სულმა სული იცნო, ახალი გაცნობილები ერ-

თმანეთს სიტყვიერად ყველაფერს არ ეუბნებოდნენ, საქმით კი ხელს უწყობდნენ, თანდათან უფრო დაახლოვდნენ და მერე და მერე, მათს შორის თითქმის აღარაფერი იყო დაფარული.

— ფროილაინ! — ეუბნებოდა ვინკელმანი, — ჯერ შენ ყმაწვილი ქალი ხარ, შესაძლოა, არ იცოდე ბევრი რამ, ვერ ხვდებოდე ყველაფერს, რაც საჭიროა, არ გეწყინოს, მეც ვყოფილვარ შენი ხნისა, შენს სიკეთესთან ერთად, ჭკვიანიც რომ არ იყო, ვერ დაგიახლოვდებოდი, რომ იცოდე, როგორ ითხოვს ჩემი გული დაახლოებას ჭკვიანსა და სანდო ადამიანთან, კეთილ სულელს, ახლა ისეთი დროა, რომ ჭკვიანი ვერაგი აჯობებს, დროებით აჯობებს, საბოლოოდ კი მაინც დამარცხდება, მე შევნატრი იმ დღეს, როცა პატიოსანი ადამიანები იცხოვრებენ თავისუფლად.

— ბატონო პაულ! თუ შეიძლება მიაღწიონ ადამიანებმა იმ ბედნიერ დღეს, როცა აღარ იარსებებენ ბოროტი სულები?

— ფროილაინ! ახლა რომ სიმართლისთვის იბრძოლოს ჭკვიანმა კაცმა და პატიოსანმა ადამიანმა, ადვილი საქმე როდია, სიმართლისთვის მებრძოლი ტელმანი ახლა საპატიმროში ზის და იტანჯება, მე შევნატრი მის ბედს, მისთანა ადამიანი ორი სიცოცხლით ცოცხლობს, ტელმანი უნდა იტანჯებოდეს და ახლანდელი გერმანიის მეთაური აშვებული უნდა იყოს? ეეჰ, ჩემო კარგო, უბრძოლველად კაცი მიზანს ვერ მიაღწევს, ამჟამად ნაცისტები დაეპატრონენ დიდებულ გერმანიას, შნაიდერს მოადგილე ჰყავდა, გვარად ბოლინერი, ჰელმუტ ბოლინერი, მაშინ ჩვენ როვნოში ვიყავით, ის ბოლინერიც ნაცისტური პარტიის წევრი იყო და როცა როვნოდან უკრაინელ ახალგაზრდებს იძულებით ასახლებდნენ გერმანიაში, დაეხმარა მათი დამშვიდობება თავისიანებთან, ბოლინერს დიდი ხნის ნაცნობ გესტაპოელთან ეთქვა: მითხარით, გეთაყვა, როგორი საქმე იქნება გერმანელი ახალგაზრდები რომ გაასახლონ გერმანიიდან რუსეთში, ეს ხომ ხალხის აგდებაა, დედას შვილები ომში ჰყავს, ქალიშვილებსაც ართმევ და აგზავნი უცხო ქვეყანაში? ამდაგვარი ომი არ შეიძლება, ამ საქმეს არ აპატიებს ჰიტლერს მომავალიო. მე კარგად ვიცნობდი ბოლინერს, ემეგობრობდი კიდეც მასთან, თავისმა გულწრფელობამ დაღუპა, პროფესიით იურისტი გახლდათ, პოლიტიკა არ უყვარდა, გიყვარს თუ არ გიყვარს პოლიტიკა, სად გაექცევი? თავიდან მოიშორა შნაიდერმა, ფრონტზე უკრეს თავი, პირწავარდნილი ნაცისტია შნაიდერი, ყველაფერში ბაძავს ჰიტლერს, ჰიტლერივით დადის, მხრებში რომ არ იყოს ოდნავ მოხრილი, აღნაგობითაც კი ჰგავს თავის სათაყვანო კაცს.

— იქნებ ფიურერიც მოხრილია მხრებში!

— არა, ფიურერი არაა მოხრილი, თავი სულ მაღლა უჭირავს, ქვესკნელი—

დან ამომძვრალ სატანებს თავაწეული უხმობს ანგელოზების უარმყოფელი, ფრთხილად იყავი, თორემ დაიღუპები...

სათვალე მოიხსნა ვინკელმანმა, მაგიდაზე დადო, გულხელი დაიკრიფა და იყო ერთხანს გარინდებული, თითქოს ცალ თვალზე ოდნავ გადაკრული ბინდიც კი შეენოდა.

„რა კეთილი თვალები აქვს, ჭკვიანი და კეთილი, რა უნდა მექნა, ეს ღვთისნიერი კაცი რომ არ შემხვედროდა ამდენ სატანაში?“ — ფიქრობდა ვალია.

ვინკელმანმა ბოლთას ცემა დაიწყო, დაჯდა და განაგრძო:

— ძალიან ფრთხილი და ეჭვიანი კაცია შნაიდერი, არც ერთ ოფიცერთან არაა დაახლოებული, ერთი მეგობარიც კი არა ჰყავს, აი, სწორედ ეს არის მისი სუსტი ხასიათი, მე მგონია, ჰიტლერის გვერდითაც რომ მუშაობდეს, მასაც არ ენდობა, ფიურერის საქმისთვის თავდადებულია და არც მას ენდობა. გულდახურულ კაცს მაინც წამოსცდენია, ნეტავ რას ხედავს ფიურერი საინტერესოს ღვინის ვაჭარ რიბენტროპში? სულითაც ვაჭარია რიბენტროპი, მე უფრო შემფერის მისი თანამდებობაო. შნაიდერს დაუმსახურებლად როდი მიუღია პირადი მადლობა ფიურერისა და არც ის ფრიად საპატიო ჯილდოები, მკერდი რომ აქვს დამშვენებული, ამას წინათ, ისე მოულოდნელად დაგვესხნენ თავს ბომბდამშენები რუსეთის ავიაციისა, რომ ამოსუნთქვაც ვერ მოვასწარით, ბეწვზე გადარჩა შნაიდერი, სიკვდილი ისეთი რამ არის, რომ მისი თანაბრად ეშინია პატიოსან ადამიანსაც და ჯალათსაც, ჯალათი და ვერაგი ადამიანი კიდევ უფრო მშიშარაა, ვიდრე პატიოსანი კაცი, ხომ იცი, რა ბედად გადარჩა იგი, ჰიტლერისა არ იყოს, ბედი სწყალობს, რამდენჯერმე დაესხნენ თავს ჰიტლერს და გადარჩა, საბოლოოდ რომ ვერ გადარჩება, ამას ჩვენ, ორივენი მოვესწრებით, პოზიორი კაცია შნაიდერი, გაქცეულ ოფიცრებს კი არ გაჰყოლია თავშესაფრისკენ, მარტო მიდიოდა, ვითომდა არ მეშინიაო, გაშორდა თუ არა თურმე შტაბს, ზედიზედ დავარდნილმა ყუმბარამ შენც იცი, რა დღე დააყენა შტაბის საკომენდანტოს, სადაც მორიგესთან ერთად შნაიდერის მეორე მოადგილე ყოფილიყო, ჰიფმანს მორიგისთვის ეთქვა: გავიქცეთ, მივატოვოთ საკომენდანტო, მე ვაგებ პასუხსო, ორივენი გადარჩნენ, გამიხარდა სიმართლე რომ გითხრა, ჰიფმანი როდია ურიგო კაცი, ომამდეც ვიცნობდი და ვიცი მისი აზრი ნაციზმზე, ჭკვიანი კაცია, თავი ისე უჭირავს, გეგონება, ნამდვილი ნაცისტიაო, იგი ისეთივე ნაცისტია, როგორიც მე ვარ.

— ბატონო პაულ, კომუნისტი ხომ არ არის ჰიფმანი? — თავი აიღო და ჰკითხა ვალიამ, იგი მიკოლას პერანგს კერავდა.

— კომუნისტური პარტიის წევრი რომ იყოს, ამდენ ხანს რა გადაარჩენდა, მაგრამ რაც იქნება ლენინის თაყვანისმცემელი გერმანელი, არ უნდა ვიცოდეთ? ტელმანის ახლო მეგობარია და ხომ იცი, ვინც არის ტელმანი! საკო-

მენდანტოს მორიგე რომ იყო იმ დღეს, ისიც მეტად წესიერი კაცია, პედაგოგია პროფესიით და როგორც გამიმხილა საიდუმლოდ, ჭირის დღესავით სძულს ნაცისტები, იძულებული ვიყავი მელაპარაკა ჩემს მოსწავლეებთან ნაცისტურ ლიტერატურაზე, ერთი გაკვეთილი ერთხელ შილერზე საუბარში ჩავატარე, ჰაინეც მოვიხსენიეო, — ასე მიამბო ლორენცმა, ლორენცია მისი გვარი,—ჩემმა მოსწავლემ, გესტაპოელის შვილმა დამაბეზღა მამამისთან, საკონცენტრაციო ბანაკს, ისევ ფრონტი მერჩიაო...

ვიღაც უცხო გერმანელი ოფიცერი შემოვიდა შტაბში და შნაიდერი იკითხა.

ვინკელმანმა და ვალიამ საუბარი შესწყვიტეს.

ვალიამ სუფრა აალაგა და ძაღლს საჭმელი წაუღო.

შინ დასაბრუნებლად გამზადებული ვალია ჯიხურში უჯდა შნაიდერის მგელძაღლას, _თავისი საფიქრალით იყო გართული, ნოყიერი საჭმელებით გულმოყირჭებული ტიროლი, ხან ხბოს ხორცს სუნავდა და ხან ბატის ქონში შემწვარ კატლეტს, ქვეშ-ქვეშ გახედავდა ხოლმე თავის „ერთგულ" მომვლელს.

ვალიას ნაკლებად აწუხებდა ძაღლის უმადობა, ულუფის მცირედი ნაწილი მიუგდო, ვერ იმეტებდა დანარჩენს, შინ წასაღებად ჰქონდა გადანახული, დაავლო ხელი ხელჩანთას, გამოვიდა_ ჯიხურიდან, ძაღლი შნაიდერის ადიუტანტს ჩაბარა და გაემართა შინისკენ.

— კახა! ის ჯაშუში ჩემი ნაცნობი ყოფილა, — შეაღო თუ არა საკუჭნაოს კარი, მიაძახა, მერე ძმას მიუბრუნდა: — გავარდი აბლავე, პოლიციელები დგანან ბოსტანთან.

მიკოლა ფროსია ბებიასთან მიწოლილიყო, თავი ედო მის კალთაში, ბებია თავზე უსვამდა ხელს, ძილი ერეოდა, წამოხტა და გავარდა გარეთ სათვალთვალოდ.

ბარელი წიგნს კითხულობდა, დაინიშნა და დახურა.

— შენი ნაცნობი ყოფილა?

— აბა, ჩემი ნაცნობი ყოფილა, — მიუგო და დაეშვა სკამზე.

— მართლა?

— შტაბში დაეთრევა, მე არ მიმიქცევია ყურადღება, რამდენი ხანია, ვინკელმანმა მითხრა: ელეგანტურად ჩაცმულ-დახურული ახალგაზრდა კაცი რომ შემოდის ხოლმე შტაბში, უდროო დროსაც, არაა კეთილი სული, ერიდეო. ვინკელმანს მადლობა გადავუხადე გაფრთხილებისთვის და ჩემთვის ვფიქრობდი: ეგდოს, ვინც არის-მეთქი, მე გერმანელი მეგონა, თუმცა ისეთი სამხედრო ფორმა აცვია ხანდახან, მსგავსი არ მინახავს, არც გესტაპოელის ფორმასა ჰგავს და არც ესესელისას, ცივილურ მშვენიერ კოსტიუმსაც იცვამს.

— ხომ გითხრა ვინკელმანმა, ერიდეო.

— ჩვენი სოფლის გოგოებს დასდევს უკან და ელაზღანდარება, მე მეგონა, ამ მხრივ მაფრთხილებდა ვინკელმანი.

— შენ არ შეგხვედრია ახლოს? არ დაგლაპარაკებია?

— არც დამლაპარაკებია და არც ახლოს მინახავს, მე მერიდებიან შტაბის ოფიცრები, შტაბის უფროსის საკუთრება ვგონივარ მათ, იცი? როცა შნაიდერთან შევდივარ, თავდაჭერილად მელაპარაკებიან, „ფროილაინად" მიხსენიებენ, მართალია, ფროილაინი ვარ, მაგრამ „ფროილაინად" მოხსენიება სახელთან ერთად, „ფროილაინ ვალია" ან „ფროილაინ გორენკო" პატივისცემის ნიშანია.

ბარელიც ეჭვიანობდა შნაიდერზე, ოღონდ ვალიას არ აგრძნობინებდა, არც ახლა უთქვამს რამე, რადგან ქალიშვილი გულწრფელად ელაპარაკებოდა და თვალებშიაც ემჩნეოდა გულწრფელობა.

— ვინკელმანმა რომ გითხრა, ხშირად შემოდის ხოლმე შტაბშიო, თუ ხშირად შემოდის, უნდა იცნობდე.

— ხომ გავიგე, ვინც არის. შენ კი ისე მელაპარაკები, თითქოს მე თავის კაბინეტში ვუჯდე შნაიდერს და მეკითხებოდეს შტაბის ამბებს, ჩემს საქმეებს რომ მოვრჩები, თუ არ გამომიძახა, ვერიდები მასთან ყოფნას, მის ძაღლთან ყოფნა მირჩევნია, ხან სადღაც ვარ შეხამებული ზარმაცივით, ჩემს საქმეებს ვაკეთებ, ხან ვქსოვ და ხან ვკერავ, ასე მოპარული დროით, მიკოლენკას ხალათი და შარვალი შევუკერე მამაჩემის ძველმანებისგან.

ხელჩანთიდან წინდები ამოიღო, წინ დაუდო.

— აი, ეს მატყლის წინდები შენ მოგიქსოვე.

ესიამოვნა ბარელს, კეთილად გაუღიმა.

— როგორც ვამჩნევ, შენ ამ ზამთარში აქ მიპირებ დატოვებას.

— ზამთარში, შესაძლოა, ტყეში მოგვიხდეს ცხოვრება, პარტიზანი თბილად უნდა იყოს ჩაცმულ-დახურული.

— კარგია, რახან იცნობ იმ ჯაშუშს.

— ვიცნობ ისე, როგორც გითხარი, დღეს მომაგონდა და ვკითხე ვინკელმანს, ბატონო პაულ, იმ ახალგაზრდა კაცზე ხომ არ მითხარით, ერიდეო, ეგერ, ეზოში რომ ელაპარაკება ხელების ქნევით გერმანელ ოფიცერს-მეთქი.

გახედა ვინკელმანმა.

— ფროილაინ! აქედან ჩემი თვალებისთვის ორივენი ერთნაირად მოჩანსო" — ბეცია ვინკელმანი. ხომ გავიგეთ, ვინც არის, გვარად ბოჟენსონი ყოფილა.

— მარტო გვარის გაგება არ კმარა, ბოჟენკო იქნება ის უღმერთო, „სონი" ალბათ საფრანგეთში მიაკერა თავის გვარს.

— აი, თურმე ვინ ყოფილა!

— და შენ კი არ აქცევდი ყურადღებას.

— როდის?

— როცა არ უნდა ყოფილიყო.

— ბოლოს და ბოლოს ყველანი ჯაშუშები და მკვლელები არ არიან? გერმანელები კარგს ვის ჩამოიყვანდნენ საზღვარგარეთიდან, მე რა ვქნა? იცის ღმერთმა, რომ მე არ ვზივარ გულხელდაკრეფილი.

— მიკოლას უნდა ვუმადლოდეთ, ერთი რომ მოჰკრას რამეს ყური, მეტი კი აღარ უნდა, ან საეჭვოდ მოეჩვენოს რამე, მაგისთანები გერმანელებზე უარესნი არიან.

— აბა რა, — თქვა ვალიამ და ყური ცქვიტა. გერმანელების ლაპარაკი შემოესმა, ბარელმაც მიაყურა, მიატოვა ვალიამ საკუჭნაო და გავიდა გარეთ, სამზარეულოში შევიდა.

გერმანელი პატრულები გადადიოდნენ მათს ეზოზე, გზად აქციეს გორენკოების კარმიდამო, ბოსტნის ღობე გაზიდეს და დასწვეს, შეშად ხმარობდნენ, გაპარტახდა ისედაც ყუმბარებით გადათხრილი ეზო და ბაღი ხეხილისა. უპატრონო მკვდრებივით ეყარნენ ძირფესვიანად ამოთხრილი ხეები, მკვდარი დევივით ეგდო შუაზე გახლეჩილი ვერხვი, შეუპოვარი ჯარისკაცივით იდგა დაჭრილი არყის ხე, მამაკაცივით იგინებოდა გამწარებული ფროსია ბებია, ფრთებდამტვრეული კრუხივით ქოთქოთობდა თავის ნაამაგარ ეზო-გარემოში და იმუქრებოდა, დედაკაცური წყევლით რომ ვეღარ იოხებდა გულს, მამაკაცურ გინებაზე გადავიდა, ომამდე ქოქოლას აყრიდა გინების მოყვარულ მამაკაცებს და თუკი მაინც წამოსცდებოდათ გინება ფროსია ბებიასთან, პირს იბრუნებდნენ და გარბოდნენ. ახლა კი ფროსია ბებიასთვის გახდა გინება ერთადერთი იარაღი.

ბარელს არ გაუგონია პატრულების ლაპარაკი, კონტუზირებულ ჯარისკაცს ხანდახან კარგად არ ესმოდა ცალ ყურში, უგუბდებოდა, მეორე ყურიც უშხუოდა, თანდათან უბრუნდებოდა სმენა, უხაროდა.

გამოვიდა ვალია სამზარეულოდან, შეძვრა საკუჭნაოში და ბარელს ჩაუჩურჩულა:

— ნუ გეშინია, ჩვენს ეზოზე გადაიარეს პატრულებმა და წავიდნენ, უკვე გვიანაა, ადი სხვენზე, მოისვენე, არ გეძინება? — ხელი დაადო მხარზე, წამიერად შეჩერდა და მიატოვა.

ქალიშვილის სუნთქვა ცეცხლივით შემოეგზნო ჭაბუკს, ვეღარ დაიმახსოვრა ვალიას ნათქვამი, მხოლოდ „ადი სხვენზე“ აღადგინა გულდაწყვეტილმა, თამბაქო გაახვია, ზურგით მიეყრდნო კედელს, ნაღრძობი ფეხი შედგა სკამზე და გაჰყვა ფიქრებს.

იმ ღამით აღარ შესულა ვალია ბარელთან, საეჭვო მეზობელი ქალი მოვიდა და ისეთი რამ სთხოვა ფროსია ბებიას, თვითონ რომ უფრო ეშოვებოდა.

დაკვირვებული მოხუცი გუმანით მიხვდა, რომ იგი არა ჰგავდა სამეზობლოდ მოსულს, უზნეო ქალის სახელი ჰქონდა გავარდნილი სოფლად, გერმანელების შემოსვლის დღიდანვე კი სულ წავიდა ხელიდან, ქმართან გაყრილს შვილი არა ჰყავდა, ლამაზი ქალი იყო და მაინც არავინ სცემდა პატივს, დაინახავდნენ თუ არა ქალები, ბოზი ლიოლია მოდისო, — გადაულაპარაკებდნენ ერთმანეთს და პირს იბრუნებდნენ, მამაკაცები კი ხმას იბოხებდნენ და მშიერი მგლებივით აყოლებდნენ თვალს მაღალი თეძოების ქნევით მიმავალ ლიოლიას. გაქანებული სპეკულანტი იყო ლამაზი ლიოლია, გერმანელების შემოსვლის შემდეგ უფრო ფართო ასპარეზი გადაეშალა, სპეკულანტებს — ვლასი ხრომიკოსა და დაღლარა ცუნიგას დაუახლოვდა, მათთან ერთად ვაჭრობდა სოფლის ბაზარზე, როცა კიევი მოენატრებოდა, დიდ გზაზე გავიდოდა მშვენივრად ჩაცმულ-დახურული, ხელს აუწევდა შოფერს, რამდენჯერმე კიევში წაყვანის ნაცვლად, ტყეში გააქანეს გერმანელმა შოფრებმა. თვითონ როდი კადრულობდა დაეჭირა ხელში გასაყიდი ნივთი, ცუნიგასა და ხრომიკოს ეხმარებოდა, მუშტრები მოჰყავდა, ათვალიერებდა ბაზარს კოპწია ლიოლია და აბოლებდა გერმანულ სიგარეტს.

— კიდევ გავიგე ერთი ახალი ამბავი, — უთხრა ბარელს გვიან დაბრუნებულმა ვალიამ და მოიკალათა ამბის სათქმელად.

— სახეზე გეტყობა, საინტერესო ამბავი იქნება, გისმენ.

გადაიკისკისა ვალიამ.

— შინ რომ ვბრუნდებოდი, შტაბთან ბოლდერი შემხვდა და გამომელაპარაკა, იცი, ვინა? დაბალი და მსუქანი კაცია-მეთქი, შევატყვე, მას სულ სხვა განზრახვა ჰქონდა, ვერ მოახერხა ეთქვა პირდაპირ, რაღაც სისულელეებს მიედ-მოედო.

ბოლდერსა და ბოჟენსონს ჩხუბი მოსვლიათ, ერთმანეთი გაულანძღავთ, ბოლდერს რევოლვერი ამოუღია და რომ არ გაეშველებინათ, ესროდა და მოჰკლავდაო, ვინკელმანი დასწრებია მათს ჩხუბსა და მან მიამბო. მერე იმ დღესვე, არყის ხეების ხეივანში ვისხედით მე და პეტრო გრიცენკო, გარბის ბოლდერი და უკან მისდევს გინებით ბოჟენსონი, ჩვენ მოგვაშურა ბოლდერმა, წამოხტა გრიცენკო და შუაში ჩაუდგა მოჩხუბრებს, ეს რა გაშველებაა, მიბრუნდება ბოლდერისკენ, წააქეზებს და ჩაუკრავს თვალს, მიბრუნდება ბოჟენსონისკენ, წააქეზებს და ჩაუკრავს თვალს, გაიქცა ბოლდერი, ჩვენ რომ არ ვყოფილიყავით, იქვე გააგორებდა, თუ არ მოჰკლავდა, მაგრამ მაინც დაბეგვავდა. იმდენი ვიცინეთ მე და პეტრომ, იმდენი ვიცინეთ, რომ გავსავათდით.

— რატომ გააშველეთ, იქნებ მოეკლა და ჩვენც გადავრჩებოდით ამდენ ლაპარაკს ბოჟენსონზე.

— რაღა უნდა გვექნა, უხერხულ დღეში ჩავვარდით. ხომ გითხარი ერ-

თხელ, ბოლდერი პარტიზანების ჯალათია, მათთან პირისპირ ბრძოლას ვერ ბედავს, თორემ თუ ჩაიგდეს ხელში პარტიზანები, ბოლდერთან მოპყავთ, თავისი ხელით ხვრეტს და სახრჩობელაზეც თავისი ხელით ჰკიდებს.

პრუსიელი გერმანელის, მესაქონლეობის ფერმერის შვილია ბოლდერი. ქრთამით იყო დანიშნული პარტიზანების წინააღმდეგ მებრძოლი რაზმის უფროსად. ფრონტთან შედარებით, რასაკვირველია, უფრო ნაკლებ საშიში იყო მისი თანამდებობა, რადგან თვითონ არ უხდებოდა შეტაკება პარტიზანებთან, შუაგულ სოფელში ჰქონდა მოწყობილი „ციხე-სიმაგრე", მცველები უვლიდნენ მთელი ოცდაოთხი საათის განმავლობაში გარშემო. იგი თავისი კაბინეტიდან ხელმძღვანელობდა რაზმს და მორფით გამოშტერებული იძლეოდა სულელურ ბრძანებებს.

ომის დაწყებამდე, გერმანიაში, ბანკებისა და სალაროების გატეხის ცნობილი ოსტატი იყო ბოლდერი, ათი წელი ჰქონდა მისჯილი, დასჭირდა ჰიტლერს მისთანანი და გაათავისუფლა. ბოლდერის შეძლებულ მამას არ უნდოდა ფიურერის ჟინისთვის შეეწირა თავისი ერთადერთი ვაჟიშვილი, ფრონტს ააშორა და დამშვიდდა.

მუდამ დაღვრემილი, ბულდოგის თავ-პირის მსგავსი ბოლდერი, მხოლოდ ადამიანების დასჯის დროს იღიმებოდა და ისეთი კმაყოფილი იყო, თითქოს უმშვენიერესი სანახაობა აღიმებსო. რიხტერი, ვინც ბოლდერამდე მუშაობდა, როდი იჯდა თავის კაბინეტში, წინ მიუძღოდა თავის რაზმს პარტიზანებთან საბრძოლველად, არც წარუმატებლობას უჩიოდნენ.

სწორედ ეს მოაგონა ვალიამ ბარელს და გაკვირვებით ჰკითხა:

— რატომ გადააყენეს რიხტერი?

— კარგად მოქცეულა მისი გადამყენებელი. — შენ რატომ წუხარ? — გაიხუმრა ბარელმა.

— მართლაც ისე გამომივიდა, თითქოს ვწუხვარო.

— ძალად მიტევებული მწევარი კურდღელს ვერ დაიჭერს, თუმცა გერმანელები კარგი მეომრები არიან, არც ფანატიზმია მათთვის უცხო ხილი, მეტადრე ჰიტლერის დიქტატურის დროს, ეს აღიარებული ჭეშმარიტებაა, ისიც ცნობილია, რომ ფანატიზმი კი არ ეხმარება პატრიოტიზმს, არამედ ხელს უშლის, ბოროტმოქმედნი და დამნაშავენი ომს ვერ იგებენ, პატრიოტები იმარჯვებენ ყოველთვის.

— აბა, რისთვის გაათავისუფლა ბოროტმოქმედნი და დამნაშავენი ჰიტლერმა?

— ასე სურდა, „მე ასე მსურს!" — ხშირად გაიძახის ჰიტლერი. გაიქცა ბოლდერი? თუ მართლა ასე კარგი მორბენალია, ნეტავ დამანახვა, როცა იგი უკრაინიდან გაიქცევა.

— შე კაცო, რაღა მის გაქცევას ნატრობ, მისი სიკვდილი ინატრე.

— არა, ჩემთვის მისი გაქცევა უფრო სასაცილო იქნება, ვინც არ უნდა იყოს, ადამიანის სიკვდილზე არ გამეცინება.

— ასე ძალიან გენანება მტერი?

— მკვდარი უკვე მტერი აღარაა.

„მკვდარი უკვე მტერი აღარაა", — გაიმეორა ვალიამ და შეკრთა, ვიღაც გერმანელის მჭექარე ხმა, ტყვიასავით მოხვდა სარკმლის მინას და ცოტა ხნის შემდეგ კარზე კაკუნის ხმა გაისმა.

ბარელი სხვენზე აძვრა.

ვალია დიდ ოთახში გავიდა და იდგა სუნთქვაშეკრული.

კიდევ განმეორდა კაკუნი.

ფეხაკრეფით მიადგა კარს, შიშით გააღო ურდულდადებული კარი, მეზობელი ქალი ლიზა მატიუშენკო იდგა კართან, ჭკვიანურად მკაცრად იყურებოდა, თავის ოთახში შეიყვანა ვალიამ და ქვითინით გადაეხვია.

— რა მოხდა?

— ახლა ნურაფერს მკითხავ, ელიზავეტა ანდრეევნა, — ძლივს ამოიღო ხმა ვალიამ.

— ახალი უბედურება ხომ არ მომხდარა?

— არა.

ელიზავეტა ანდრეევნამ ბონდარენკოს გამოგზავნილი წერილი ამოიღო უბიდან, მისცა ვალიას, — ხვალ ამ დროს მოვალ პასუხისთვისო, — უთხრა და მიატოვა.

ერთი გასრესილი ყვავილი და გადაგუგული სოფელი

მეორე დღეს ვალია თვალყურს ადევნებდა ბოჟენსონს, მხოლოდ ერთხელ მოჰკრა თვალი, როცა შტაბის ეზოზე გადაიარა.

ახალი ამბავი გაიგო და შინ მისვლისთანავე, ბარელს ჩაუჭიკჭიკა:

— კახა, ბოჟენსონი თურმე სურსათის დამწველთა მეთაურს დაეძებს, გარაჟში მისულა დასვენების დროს, არაყზე დაუპატიჟებია ედიკ სინიცენკო და სერიოჟა ნოვიცკი, პირდაპირ უთქვამს: ათი ათას მარკას მოგცემთ კომენდანტი შელინგერი, თუ დაგვეხმარებით სურსათის დამწველთა მეთაურის — დოლენკოს აღმოჩენაშიო.

სინიცენკოს უპასუხნია: ამ სოფელში ყველა იცნობს არკადი დოლენკოს, მან მაშინვე დასტოვა სოფელი და ვინ იცის, სად გადაიკარგაო.

ბოლდერისა და ბოჟენსონის საქმე შელინგერამდე მისულა, შელინგერი

ბოლდერს ემხრობაო, ბოლდერი გერმანელია, ბოჟენსონი უკრაინელი და ხომ იცი, რაც არ უნდა მოხდეს, ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევს.

— მართალია, ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევს, — გაიმეორა ბარელმა და უთხრა: უნდა დავტრიალდეთ!

— როგორ მოვიქცეთ?

— შნაიდერს, ბოლდერსა და კომენდანტს, რა გვარია?

— შელინგერი.

— შნაიდერს, ბოლდერსა და შელინგერს უნდა ჩააწვეთოს ვინმემ ყურში, რომ მოღალატეა ბოჟენსონი, ვითომ იგი ატყუებს გერმანელებს, როგორც უკრაინელი, უკრაინელებს ემხრობა, რადგან არა აქვს იმედი ჰიტლერის გამარჯვებისა, თითქოს ქრთამსაც კი ღებულობს უკრაინელებისგან.

— კარგი, მაგრამ ვინ უნდა უთხრას ამ სამ კაცს, რომ მოღალატეა ბოჟენსონი?

— ვინა და ვინკელმანმა, იქნებ კიდევ მოიძებნოს სხვა გერმანელი, ვინკელმანისთანა სანდო კაცი, ხმა უნდა გაავრცელონ ბოჟენსონზე.

— დაიჯერებენ, მართლა რომ ვინმემ იკისროს ეს საქმე?

— თუ არ დაიჯერებენ, კარგი თვალით თუ არ უყურებენ, ეჭვი რომ ექნებათ, მისი კარგიც ავად მოეჩვენებათ.

— ხვალვე მოველაპარაკები ვინკელმანს, ვნახოთ, რას იტყვის, გარდა ვინკელმანისა, მე არა მყავს სხვა სანდო გერმანელი.

— ბოჟენსონი რომ მოკლას ვინმემ, არა მგონია, ძებნა დაუწყონ მის მკვლელს, ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუკი შეილახება ბოჟენსონის ავტორიტეტი, გერმანელები მხოლოდ გერმანელის მოკვლას არავის აპატიებენ, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, გამოუძიებლად ჩაივლის ბოჟენსონის ამბავი, იმ შემთხვევაშიაც, ეჭვიც რომ არ ეპარებოდეთ მის ერთგულებაში.

— ეჰ, რა გულგრილად და მშვიდად ვლაპარაკობთ ადამიანის სიკვდილზე.

— რას იზამს კაცი, თვითონ ომია გულგრილი, ულმობელი და ადამიანებიც გულგრილნი ხდებიან. აბა, იმაზე თუ იფიქრა კაცმა მოკვლა თუ არ მოკლაო, ვერაფერს გააკეთებს სასარგებლოს, ქვეყნების მმართველი დიქტატორები იმიტომ ინარჩუნებენ დიდხანს თავიანთ დიქტატორობას, რომ ერთნაირი გულგრილობით ხოცავენ დამნაშავეთაც და უდანაშაულოთაც. ეს ასე ხდებოდა და ასე მოხდება მარად ჟამს.

— მაშ, ახლა ჩვენ, ყველანი გულგრილნი ვართ?

— მიწაზე დავარდნილი ყვავილი დამინახავს, შემბრალებია, ამილია, შინ მიმიტანია, წყალი მიპკურებია, წამიერად მაინც დამიბრუნებია ყვავილისთვის სიცოცხლე. ერთი გადამწვარი სოფელი ვნახე უკრაინაში, დაეხეტებოდნენ მშიერ-მწყურვალი უსახლკარონი, დანგრეულ ხატაში მოყოლილ აკვნის ბავშვს დას-

ტიროდა დედა, დრო არ იყო მთელი ჩემი არსებით განმეცადა მწუხარება, ძირს ეყარნენ გადალეწილი და ზეზეურად მკვდარი ხეები, დენთით გარუჯულნი, გასრესილი წიწილებივით მოჩანდა ათასნაირი ყვავილი, რატომ ავუარე გვერდით გულგრილად? თუმცა ამ სანახაობამ უფრო გაგვაშმაგა საბრძოლველად, განა მაშინ შემეძლო მეფიქრა გასრესილ ყვავილებზე?

ვალიას ხმა არ გაუღია.

ბარელმა კედლის საათს შეხედა, ვერ დაიმახსოვრა რა დრო იყო.

ტაკატუკი გაჰქონდა საათის ქანქარას.

— ორი ახალგაზრდა რომ ჩამოახრჩვეს საჯაროდ, ბოჟენსონს დაუბეზღებია, გერმანელი გუშაგები დაუთვრიათ, საწყობს რომ ცეცხლი წაეკიდა და მივარდნენ საშველად, თურმე ეძინათ გუშაგებს.

— შენ ვინ გითხრა?

— გრიცენკოს რა გამოეპარება, ისიც კი მითხრა: ყველა ჯაშუშს თავისი უბანი აქვსო, ბოჟენსონი თვალყურს ადევნებს საწყობებისა და ავტოსარემონტო ქარხნის ახალგაზრდობასო.

— ჰოდა, მეტი რაღა გინდა?

— არაფერი, გამოირკვა, საეჭვო აღარაფერია, საშიში ვინმეა ბოჟენსონი. ვინკელმანმა მითხრა: დერეფნის ბოლოს რომ ერთი გაუქმებული კარია, იქ, სადაც არქივის კარადაა, ერთი პატარა ოთახია, დერეფნიდან შესასვლელ კარზე მაღალი კარადაა მიდგმული, შუა ოთახიდან შეიძლება შესვლა იმ პატარა ოთახში, იქა აქვს საიდუმლო ოთახი ბოჟენსონსო. დიდ ოთახში შტაბის ოპერატიული განყოფილების უფროსის კაბინეტია, აი, ის ბლაიბერგი, ჩემთან რომ შემოვიდა ხატაში მთვრალი, შენ რომ იეჭვიანე. ბლაიბერგამდე სხვა ოფიცერი მუშაობდა, გვარი აღარ მახსოვს, არ აღმოჩნდა ნამდვილი არიელი, დედა ჰყოლია უნგრელი ებრაელის ქალი, შნაიდერს უთქვამს: ბატონებო! შტაბში, ოპერატიული განყოფილების უფროსად უსათუოდ წმინდა სისხლის გერმანელი უნდა იყოსო და დანიშნეს კიდეც ბლაიბერგი.

— რატომ გესტაპოში არ მისცეს ოთახი ბოჟენსონს? შტაბს სხვა ფუნქციები აქვს, არა?

— რა იცი, გესტაპოშიაც რომ არა აქვს ოთახი ბოჟენსონს? ვინკელმანის აზრით, ბოჟენსონს განგებ მიუჩინეს საკუთარი კაბინეტი შტაბში და გესტაპოელებიც მასთან იკრიბებიან გვიან, როცა მხოლოდ ერთი მორიგე რჩება შტაბშიო, ხალხის თვალის ასახვევად, ვითომდა არა აქვს ურთიერთობა გესტაპოსთან.

— ასე ყველაფერი იცის ვინკელმანმა?

— იცის, შენ არ იცნობ მას კარგად...

— კიდეც რომ დაუწყონ ძებნა ბოჟენსონის მკვლელს, ჩვენ არ უნდა

შეკვეშინდეს, ხომ იცი, დამბეზღებელი კაცი, ჯაშუში არავის არ უყვარს, არც მათ უყვართ, ვისაც ემსახურება, გამოიყენებენ, მერე პანღურს ამოჭრავენ და გააგდებენ გველს რომ შხამს აცლიან, შხამი სჭირდებათ, უშხამო გველს თავიდან იშორებენ. წადი, მიკოლას დაუძახე, საქმე მაქვს მასთან და მერე გეტყვი, როდის წავიდეთ საქართველოში.

ვალიას გულმა ჩიტივით შეიფრთხიალა, ფერი ეცვალა, ოდნავ ანთებოდა სახე და დაეფარა სიფითრე, ისე მშვენიერი ჩანდა, თვალი ვერ მოაშორა ბარელმა, მამაკაცური თვალით, ჯიუტად და მაინც ზრდილობიანად უცქერდა.

„რაც იქნეს, იქნეს, მოდი, ერთხელ, მხოლოდ ერთხელ და მეტი არა, მხოლოდ ერთხელ", — გაიფიქრა ბარელმა, ვერ გაბედა, არ ეწყინოსო, ღიმილი მოერია და უთხრა:

— ახლავე გეტყვი, გადადებული საქმე არ ვარგა, მოდი, გეტყვი.

მიუახლოვდა ვალია და შეჩერდა, ბარელმა ხელი მოხვია თავზე, პირი მიადო ყურზე და შეჩერდა, თავბრუ დაესხა, რაღაც ჩაუჩურჩულა...

ვალიამ ვერ გაიგონა, რას გაიგონებდა, როცა რამდენიმე უაზრო სიტყვა ჩაუჩურჩულა და ისიც ქართულად.

— არ მესმის, რას ამბობ, — წამოიძახა ვალიამ და წაართვა თავი, განზე გახტა.

— მოდი, მოიწი, ახლა გეტყვი, — მიუახლოვდა, მოსვია თავზე ხელი.

— ეს რა არის?

— სად რა არის?

— ნიკაპზე.

— მაცხია რამე?

— არა, არაფერი არ გაცხია, გეტყვი, თვალი დახუჭე.

— დახუჭა თვალი.

მიუახლოვდა ქალიშვილის ტუჩებს და მორიდებით აკოცა.

არ გაუწევია წინააღმდეგობა, თვითონაც მორიდებით უპასუხა ვაჟის ტკბილ კოცნას.

ბარელმაც დახუჭა თვალი, ერთი ამოისუნთქა მძლავრად და სანამ ეყო შეგუბებული სუნთქვა, აკოცა მოუნაცვლებლად.

„კახა!" — სიამით დაიკვნესა ვალიამ, გაუსხლტა ხელიდან და გავარდა გარეთ.

ლაღად იდგა დინჯშემოდგმული ბარელი, გული უძგერდა, უმაღლეს მწვერვალამდე მიეღწია მის მამაკაცურ სილამაზეს, ხშირ-ხშირად ახამხამებდა მოქნეულ წამწამებს, მუხლები მოკვეთოდა, ძალიან დაღლილივით, მოთენთილი დაეშვა საწოლზე, ხელები უკანკალებდა.

ეზოში გავარდნილიყო გულაფართხალებული და ალმურწაკიდებული ვა-

ლია, არ იცოდა, სად წასულიყო, ყველაზე ახლობელი მეგობარი — ალია კრავ-ჩენკო მოაგონდა, ეწადა მასთან ყოფილიყო და გადაეშალა თავისი გულისნა-დები, სასიამოვნოდ ელამუნებოდა შემოდგომის გრილი სიო, დამამშვენებლად უწეწავდა აკაციის თაფლისფერ თმას, შინ შევარდა, თავის ოთახს მიაშურა, ცო-ტა ხანს ჩამოჯდა, სარკეში ჩაიხედა, დააკვირდა თავის „დამნაშავე" თვალებს, ოდნავ დარცხვენილი, უსაყვედუროდ შესცქეროდნენ სარკიდან.

„კახა! ნეტავ რას ფიქრობს ახლა კახა? იგი მამაკაცია, ალბათ ამაყობს თავისი მამაკაცური გამბედაობით, ხომ არ ვაწყენინე? არა, აღარ შეიძლებოდა მასთან დარჩენა!" — ასე ფიქრობდა ვალია, მაგრამ წყენა კი არა, უნდა მოე-გონებინა ის სიამოვნება, რაც განიცადა თვითონ და მერე ადვილი გასაგები იქნებოდა, რა სიამოვნებაც მიანიჭა ამ მიჯულოდნელი პირველი კოცნით მან ჭა-ბუკ ბარელს.

ქარივით შემოიჭრა მიკოლა დიდ ოთახში და ფროსია ბებია იკითხა.

— მიკოლენკა! შედი კახა ბიძიასთან, გელოდება, საქმე აქვს შენთან,— მიაძახა ვალიამ ძმას.

იმწამსვე შევარდა მიკოლა, ვალიაც შეჰყვა.

თვალს არიდებდნენ ერთმანეთს უდანაშაულო დამნაშავენი, ბარელს ისე ეჭირა თავი, თითქოს და მერე რა მოხდაო, ვალია კი გადაჭარბებული ქალური მორცხვობით უფრო უხერხულ მდგომარეობაში აყენებდა თავის თავსაც და ბარელსაც.

— მიკოლენკა! დაჯექი და მისმინე, — უთხრა ბარელმა ჯარისკაცივით გამოჭიმულ მიკოლას, ერთი ძალიან ადვილი საქმე უნდა დაგავალოთ და მერე კიდევ უფრო კარგი და ყოჩაღი ბიჭი იქნები.

— გისმენთ, დამავალეთ! — მკვირცხლად მიუგო.

— ძალიან ადვილი საქმეა, — თქვა ბარელმა და კედლის საათს შეხედა, ვალიას მიუბრუნდა: შენთან რა დროა? დამდგარი დამხვდა ამ დილით ეს სა-ათი, ვარაუდით მოვმართე, — იცრუა, რათა გაეთამამებინა.

დაიხედა ვალიამ საათზე, მიუგო რა დროც იყო, ცოტა გათამამდა, თვალი შეავლო მის ფართო მხარ-ბეჭს.

— მიკოლა, სად წავიდა ფროსია ბებია? — განგებ ჰკითხა ვალიამ.

— გარეთ-გავიდა.

— მიკოლა ყოჩაღი ბიჭია, თუ საჭირო გახდა, გრანატას შეაგდებს შნაი-დერის კაბინეტში, ხომ, მიკოლა?

— მზად ვარ! დიახ, შევაგდებ, რატომაც არა, ჩემოდენა ბიჭებიც ხომ არიან პარტიზანები.

ბარელმა ხელი მოხვია ბავშვს, რაღაც უნდოდა ეთქვა.

შარაგზაზე პატრულებისა და პოლიციელების ყიჟინა გაისმა, ტიგრა გა-

დასტომოდა მათს ძაღლებს, დარეოდა, დროზე მიუსწრო ფროსია ბებიამ, ხელი დაავლო ჯაჭვს, დატუქსა და წამოიყვანა საჩხუბრად აღგზნებული ძაღლი.

მიკოლა გარეთ გავარდა და გასაფრთხილებელი დაუსტვინა.

უცებ დაიფანტნენ საკუჭნაოში თავშეფარებულნი.

ვალია თავის ოთახში შევიდა, სარკმლის ოდნავ გადაწეული ფარდიდან დაინახა მათკენ მომავალი მეზობელი — ელიზავეტა ანდრეევნა.

ბარელმა კარი ჩაკეტა.

ელიზავეტა ანდრეევნა

გორენკოების საიმედო მეზობელმა ელიზავეტა ანდრეევნამ ძუ ვეფხვივით გადაირბინა შარაგზაზე, საჭირო საქმესა და ბოღმას გამოეგდო შინიდან, ეზოს მიადგა, სამზარეულოს წინ დამჯდარ ფროსია ბებიას მიაშურა, მიუახლოვდა უფროს მეზობელს, ხელი შეაშველა წამოსადგომად წამოწეულ მოხუცს, — „რატომ დგებიო, — უთხრა და მიუჯდა გვერდით, ერთმანეთს უზიარებდნენ თავთავიანთ ჭირ-ვარამს, ვალიასთვის გადასაცემი ცნობები დაუტოვა, ემელიან ნიკანდროვიჩი მყავს მიტოვებული, თორემ შენთან რა მომაწყენსო, — მშვიდობის ღამე უსურვა და გაემართა შინისკენ.

დარჩა მარტო ფროსია ბებია და ფიქრობდა: ნეტავ ახლა ლიზას ხნისა ვიყოო.

ელიზავეტა ანდრეევნას სამი შვილი ჰყავდა: ორი ვაჟი და ერთი ქალი, ლიზას ქმარი — პროხორი მატიუშენკო კულაკებმა მოჰკლეს პირველი კოლექტივიზაციის დროს, რადგან ბევრ ღარიბ გლეხთან ერთად მომხრე იყო საკოლმეურნეო ცხოვრებისა.

ძველი ბოლშევიკისა და პირველი მსოფლიო ომის მონაწილე ჯარისკაცის შვილი — პროხორი მატიუშენკო კარგად ერკვეოდა ახალი ცხოვრების ავ-კარგიანობაში. 1917 წელს, პეტროგრადში იმყოფებოდა პროხორის მამა — ემელიან ნიკანდროვიჩი. ზამთრის სასახლის აღების მონაწილეს რა დაავიწყდება ლენინის გამოსვლას გამარჯვებული ჯარისა და აღფრთოვანებული მუშების წინაშე. პირადადაც შეხვედროდა ლენინს და მიზნად დაისახა ებრძოლა ლენინის დაწყებული საქმის დაგვირგვინებისთვის.

ვლადიმერ ილიჩმაც მიაქცია ყურადღება მამაც ჯარისკაცს და თავისი სურათი მიუძღვნა წარწერით.

ამ უძვირფასეს საჩუქარს თვალისჩინივით უფრთხილდებოდა პროხორ მატიუშენკო, ამაყობდა. თვალისჩინი ჩაუქრა, ვეღარ ხედავდა, ლენინის ხმა კი მუდამ ესმოდა...

ელიზავეტა ანდრეევნას ვაჟები ომში იყვნენ, ქალიშვილი წაართვეს, გერმანიაში გაასახლეს, დედამთილი მოუკვდა, დარჩა ლიზა მარტო, უსინათლო მოხუცი მამამთილის ამარა.

მწუხარებას როდი დაემორჩილა, ომის დაწყების დღიდან ახალი საზრუნავი გაუჩნდა, ყველა ენდობოდა, მასთან შეხვედრა და საუბარი ყველასთვის შვება იყო, ზოგიერთი ენატარტალა მეზობელიც კი ამოკლებდა ენას ლიზასთან, დადიოდა სოფლიდან სოფელში, მეზობლიდან მეზობელთან, ამხნევებდა ყველას, მტრისადმი სიძულვილს უღვივებდა, იარაღს შოულობდა, შეშის მზიდავი მუშებისა და სოფელში შემოპარული მზვერავების ხელით აწვდიდა პარტიზანულ რაზმს.

პარტიზანთა მეთაური კირიჩენკო, მტრის ზურგში დარჩენილ სანიმუშო მებრძოლ ქალებად იხსენიებდა ელიზავეტა ანდრეევნასა და პოლინა ილინიჩნას.

პარტიზანები ოხუნჯობდნენ: ლიზა მატიუშენკოსა და პოლინა ილინიჩნას გამოგზავნილი იარაღები დაუმიზნებლად ხვდება გერმანელებს, არც მათს გამოგზავნილ ხანჯლებს ესაჭიროება გალესვა, არ ჩლუნგდებიანო.

ახალგაზრდებს ისე არ ჩაუვლიდა, რომ არ ეთქვა: ვერ დააღწიეთ თავი გერმანელებს? თვალით არ დამენახოთ, აქ ნუკი დგახართ, გაიხედეთ, არც ისე შორსაა ტყე აქედან, გაიქეცით, მონახეთ პარტიზანები, ნუ გეშინიათ, ამაზე უარეს დღეში არ ჩავარდებითო.

იმ საღამოთი გადაუდებელი საქმე გაუჩნდა და გაემართა გორენკოებისკენ ვალიას სანახავად, გერმანელები ირეოდნენ გზაზე, დაბრუნდა, გუნება გაუფუჭდა, დილა ბრძენიაო, — ჩაილაპარაკა, — დილით ვნახავ ვალიასო, დაცდილი ჰქონდა დილით დაწყებული საქმის კეთილად დამთავრება.

მიემართებოდა შინისკენ და ფიქრობდა:

„ველურები, ნადირები, ორფეხა მხეცები, როდის აიკრავენ გუდა-ნაბადსა და წაშავდებიან მოუსავლეთში, ნეტავ როდის დადგება ეს ბედნიერი დღე? ბევრი მათგანი ველარ მოესწრება წაშავებას, აქვე გაეთხრება სამარე, თუ მიიღო მათი ბილწი გვამები უკრაინის წმინდა მიწამ, არა, არ მიიღებს, გული აერევა და ამოანთხევს, ყვავ-ყორნების საჯიჯგნელად გახდის, ნეტავ, ჩემი თანამემამულენი, ჩვენი ქრისტიანი ადამიანები არ დამენახა ველად დაყრილი, თორემ ნადირების დამარხვა ვინ გაიგონა. არა, არ მიიღებს მათს ბილწ გვამებს ჩვენი მიწა, როგორც ძმის მკვლელი კაენი არ მიიღო და ამოანთხია. როდის უნდა გაიაროს კაცმა თავისუფლად? ღმერთო მომასწარი იმ ბედნიერ დღესა და ჩემს სიგრძე სანთელს ჩამოვქნი, დაგინთებ, შემოგწირავ, სანამ არ დაიწვება ჩემს სიგრძე სანთელი, დაჩოქილი ვიქნები შენი ძლიერების წინაშე, მერე თაყვანსა გცემ და გაგშორდები მადლიერი, ღმერთო, შენი მუხლის ჭირიმე!“

ევედრებოდა ღმერთს ელიზავეტა ანდრეევნა, სახე მოწყალების მთხოვნელს კი არ მიუგავდა, მტკიცე ჰქონდა, არავისთან არ შეეძლო საბრალო სახით ლაპარაკი, კაცს რომ რაიმეს სთხოვ, შეიძლება განგიკითხოს, მაგრამ გლახაკად ჩაგთვლის, რად გინდა ასეთი განკითხვაო, — იტყოდა ხოლმე დარბაისელი დედაკაცი.

სახვალიო საქმეები ღამით მოათავა, დიდხანს იფუსფუსა, მიალაგ-მოალაგა იქაურობა და გახედა.

„ტანიუშამ სხვანაირი დალაგება იცოდა, მას არ მოსწონდა, როცა ბევრი ნივთი ეწყო მაგიდაზე, მაგიდაზე უნდა გადააფარო კარგად გახამებული და დაუთოებული გადასაფარებელი, უნდა დადგა ლარნაკი კარგი ყვავილებითა და მეტი არაფერი", — ფიქრობდა ელიზავეტა ანდრეევნა და ცდილობდა ტანიასებურად დაელაგებინა სასტუმრო დარბაზი.

„ჩვენები მოვლენ, კიევს უახლოვდება გამარჯვებული ჩვენი წითელი არმია", — ფიქრობდა პარმაღზე გასული ელიზავეტა ანდრეევნა, ესმოდა ყიჟინა ბრძოლით მომავალი წითელი არმიისა, ჟრუანტელი უვლიდა ტანში და მიაფრენდა.

„ჩვენები მოდიან! მოდის ჩვენი წითელი არმია!" — კიდევ გაიმეორა გულში და პირი იბრუნა შარაგზისკენ.

„მოდიან! მოდიან, მოდიან, ჩვენები მოდიან!" — ყვირის დიდი და პატარა, ქალი და კაცი, მოდიან, მოაფრიალებენ ნაომარ დროშებს, გარეთ გამოფენილა გათავისუფლებული სოფელი და სიხარულის ყიჟინით ეგებება თავის გამათავისუფლებელს.

უსინათლო ბერიკაცს — ემელიან მატიუშენკოს ჯოხი დაუბიჯგებია და ისიც გასულა შარაგზაზე, იგი ყველაფერს ხედავს, მას თვალს უხელს შემოსვლა გამარჯვებული საბჭოთა ჯარისა, მეომრები უკვე შარაგზაზე არიან, ორი ახალგაზრდა მეომარი გამოეყოფა ამხანაგებს, ერთად მორბიან, მორბიან, მოეშურებიან მშობლიური ხატასკენ, ამ ხატაში დაიბადნენ ძმები, ამ ეზოში გაიზარდნენ ბიჭები, ესენი ელიზავეტა ანდრეევნას შვილებია, მშვენიერი ხლოპცები — ანდრი და ფედია. ო, მამაღმერთო! ამას რას მოვესწარი? შეგისმენია ჩემი ლოცვა-ვედრება", — ჩურჩულებს ბედნიერი დედა.

ძმები ეზოში შემოვარდნენ.

„დედა, ტანიუშა, ემელიან ბაბუა, სადა ხართ? გამოიხედეთ გარეთ, ჩვენ გავიმარჯვეთ, ჩვენ გავათავისუფლეთ ჩვენი სოფელი, ჩვენ ყველაზე წინ მოვდიოდით, სადა ხართ? გამოიხედეთ გარეთ!"

ელიზავეტა ანდრეევნა ხმას არ იღებს, ჯერ უსინათლო მამამთილს აცლის გაიხაროს, მას თვალს აუხელს დიდი სიხარული და დაანახვებს გამარჯვებულ ომგადახდილ შვილიშვილებს. მიცვივდებიან ბიჭები ბაბუა ემელიანს, გადაეხვე-

ვიან, ტირის ბერიკაცი, წმინდა ცრემლები ეფრქვევა სპეტაკ წვერზე, ხელებს უფათურებს შვილიშვილებს, რას არ მოესწრება ადამიანი, ვინ გაიგონა ტირილი სალ კლდესავით გაუტეხავ ემელიან მატიუშენკოსი! ხელს უსვამს თავზე, ხელის მოსმით სცნობს ფედიას, ანდრის — უფროს ძმას სქელი კისერი აქვს, უხეში კისერი აქვს, მამაკაცს უხეში კისერი უნდა ჰქონდეს დაუკოდავი მოზვერივითო, — არაერთხელ უთქვამს ემელიან ბაბუას, პატარა რომ იყო, მაშინაც უსვამდა ხელს კისერზე და ატყობდა, რა ბიჭიც დადგებოდა ანდრი.

ელიზავეტა ანდრეევნა ხელს არ უშლის საბრალო მამამთილს, აბედნიერებს და მერე გარბის შვილებისკენ. უმცროსი ძმა ფედია უფრო მკვირცხლია, მოასწრებს უფროს ძმას, ხელს დაავლებს დედას და მიარბენინებს, გაიძახის:

„დედა ჩემია, დედა ჩემია!“

დაედეგნება ანდრი და მისძახის:

„არა, დედა ჩემია, ჩემია დედა, წაგართმევ, პირველად ჩემი იყო დედა!“.

ასე იცოდნენ ძმებმა, სანამ დავაჟკაცდებოდნენ, დავაჟკაცებულებს კი ქალიშვილებისკენ მიუწევდათ გული, ძალიან უყვარდათ დედა, მაგრამ ვინ წაართმევდა! ქალიშვილის გულის მოგება კი არ იყო ადვილი საქმე.

ამაყად დგას ბედნიერი დედა, არ ტირის, მაგრამ გული ელევა, დღეს საოცრად სულსწრაფია, ცრემლები ჩამოსდის, მაინც მზიანი სახე აქვს, მზიან ამინდშიაც იცის წვიმა, მას არ უყვარს ტირილი უბედურების დროს, ბედნიერების დროს უმჯობესია ტირილი, ბედნიერების დროს სიხარულის ცრემლები მოცვივიან. ამაყად და დინჯად უახლოვდება შვილებს, ეშინია, არ გამიფრინდეს კარს მომდგარი ბედნიერებაო, ამიერიდან აღარ ეშინია, თუ მოკვდება, დაიტირებენ დედას, პატივისცემით მიაბარებენ მიწას ომგადახდილი ბიჭები, ვეღარ დააბიჯებენ მტრები ელიზავეტა ანდრეევნას სამარეზე.

გული რომ იჯერა ამ სანეტარო ოცნებით, ილოცა, გვიან დაწვა, მთელი ღამე ბორგავდა, არც მამამთილს ეძინა, ოხრავდა, ახველებდა ბერიკაცი.

— მამა, ხომ არაფერი გინდა? ხომ არ გწყურია? ასანთი ხომ არ გადაგეკარგა? არ მომერიდო, იცოდე, ავდგები, მოგიტანთ ასანთს.

— არა, შვილო, შენ როგორა ხარ? შენც გაგიტყდა ძილი ჩემსავით? — ეხმაურებოდნენ ერთმანეთს ძილგატეხილი რძალ-მამამთილი.

„კაცი ისვენებს, თორემ რა საჭიროა ძილი? ძილი სიცოცხლეს აკლებს ადამიანს“, — ფიქრობდა ბერიკაცი.

ძლივს ჩაეძინა გამთენიას, მაინც ადრე წამოდგა, მოწმენდილი ცა ნახა სიზმრად, მხოლოდ ერთი მანათობელი მზე იყო ცაზე მბრძანებელი, გაუხარდა, მისი აზრით, მოწმენდილი ცის ნახვა სიზმარში კარგ ამბავს მოასწავებდა, ხელპირი დაიბანა სწრაფად, ჯარისკაცივით. არ დამაგვიანდესო, ფიცხლად გავიდა

შინიდან, თითებზე იხვევდა დამჯერე თმის ბოლოებს, უკან გადაიყარა ნაწნავები და გორენკოებისკენ გაეშურა.

მათს ხატას რომ დაუახლოვდა, ვალიას ხმა შემოესმა:

— ბებია, მივდივარ მე, კარგად იყავი!

— კარგად მეყოლე, შვილო, მშვიდობით იარე! — მილეული ხმით ჩაილაპარაკა ფროსია ბებიამ.

შარაგზაზე გამოსული ვალია ნაცნობმა გერმანელმა ოფიცერმა შეაჩერა, გამოელაპარაკა.

ელიზავეტა ანდრეევნამ აღარ იკადრა გამობრუნება, თამამად მიუახლოვდა მათ. გერმანელს თავი დაუკრა:

— გუტენ მორგენ!

გერმანელი გაოცებული მიაცქერდა უკრაინელ ქალს, დააპირა ეპასუხა: „ჰაილ ჰიტლერ!" პირზე მომდგარი ნაცისტური სალამი, გერმანელი ხალხის საყვარელმა სალამმა „დილა მშვიდობისამ" გააქრო და მორჩილებით მიუგო:

— გუტენ მორგენ!

— შტაბიდან რომ დაბრუნდები, აუცილებლად მოდი ჩემთან, — უთხრა ელიზავეტა ანდრეევნამ და გაბრუნდა.

— ხომ კარგი ამბავია? — ვეღარ მოითმინა ვალიამ და მიაძახა.

— რასაც გეუბნები, იმას დაუგდე ყური, როცა მოხვალ, მაშინ გეტყვი, — ჩაილაპარაკა, ერთი მოხედა, არ შეეშინდესო დასძინა: ახლა არაფერი მომხდარა ისეთი, გელოდებიო და წავიდა.

მთელი დღე ვერ მოისვენა ვალიამ, ვერც ვერავის გაუზიარა თავისი გასაჭირი, ვინკელმანი არ მოსულა, ავად გამხდარიყო, სწუხდა, რაღა ეს ღვთისნიერი კაცი გახდაო ავად? სხვა მესაიდუმლე არავინ ჰყავდა, გრიცენკო კიევში წაეყვანა რიბელს სურსათის მოსატანად. ვინკელმანის შემცვლელი შტაბის მორიგე დაყუდებულ ბერსაც ჰგავდა და საჭურისსაც, ვერ გაიგებდით რომელ სქესს ეკუთვნოდა, ქოსა კაცს დიაცური ხმა ჰქონდა და უფრო დიაცურს ხდიდა, დიაცივით დააქნევდა სქელ უკანალსა და კაბა რომ ჩაგეცმიათ მისთვის, თქვენ დაინახავდით ორმოცი წლის სანდომიანი სახის გერმანელ ქერა ფრაუს, სახელი და გვარი — ფერდინანდ გოლდბერგ კი რიხიანი ჰქონდა.

პროფესიით ბუღალტერი გოლდბერგი სრულიად არ აქცევდა ყურადღებას ვალიას, ქალების მიმართ გულგრილი კაცი გახლდათ, უცოლშვილოდ ბერდებოდა, თავი გამოთაყვანებული ჰქონდა დიდი ხნის ბუღალტრობით, ყველაფერზე მეტად სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება უყვარდა წესიერად და ზუსტად, როდი იყო ცუდი ადამიანი, მაგრამ ვალიას მაინც სძულდა იგი.

შესვენების დრო რომ დაახლოვდა, ვალიამ ორჯერ დაინახა ბოჟენსონი, ჯერ შტაბში შევიდა შნაიდერთან, დიდხანს დარჩა მის კაბინეტში, მარტო იყო შნაიდერი, მაშინვე მიხვდა: ბოჟენსონი შტაბის უფროსის კაბინეტიდან გავიდოდა

ოპერატიულ განყოფილებაში, იქიდან კი — თავის საიდუმლო ოთახში, როგორც უთხრა ვინკელმანმა, მეორედ ეზო გადასჭრა, ელასი ხრომიკოს წამოეწია და ერთად გაუყვნენ სასადილოსკენ.

როგორც იქნა, გავიდა ქალაქისოდენა დღე, შინ დაბრუნებულმა ვალიამ პირველ ყოვლისა, ოჯახის ამბავი გაიგო და მერე გაიქცა ელიზავეტა ანდრეევნასკენ, როგორც ჩვეოდა, დაუკაკუნებლად შეალო კარი.

— ხომ კარგი ამბავია? თქვენგან ცუდ ამბავს არ მოველი, — შესვლისთანავე მიაძახა დიასახლისს.

— კი, კარგი ამბავია, ჩვენს მტერს ჰქონდეს ცუდი ამბავი, — მიუგო და გაემართა საკუჭნაო ოთახისკენ, გაჰყვა ვალია, გადასწია ელიზავეტა ანდრეევნამ საწოლზე ჩამოფარებული ჭრელი ჩითის ფარდა, განცვიფრებული თვალით მიაცქერდა ვალია ორ მეგობარ ქალიშვილს — ალია კრავჩენკოსა და შურა ბონდარენკოს. ახალი გამოღვიძებული ქალიშვილები საწოლზე ისხდნენ, მთელი დღე სძინებოდათ უსაქმობის გამო, ვალია რომ დაინახეს, ცრემლები მოერიათ.

— რა მოხდა? რატომ დამალულხართ, გოგოებო? — ყველაფერს მიხვდა და მაინც ჰკითხა.

— გესტაპოში გამოგვიძახეს, ხელი მოგვაწერინეს, პეტრო გრიცენკომ პროკლამაციები გამოგვიგზავნა, ძალიან საშიშ ადგილზე გავაკარით ფურცლები, გავაკარით და გავიქეცით, სამშვიდობოზე რომ გავედით, ცუნიგა შეგვხვდა და გვითხრა: სად იყავით, რამ გაგაწითლათ, ხომ არავინ მოგდევთო. შურამ უპასუხა: ტყეში ვიყავით სოკოზეო, თუ სოკოზე იყავით, რატომ არ დაკრიფეთ, ახლა იმდენი სოკოა ყველგან, იმდენია, ბრმაც კი მოკრეფს, კალათები თუ არ გქონდათ, კალოაში მაინც რატომ არ ჩაიყარეთო. ოამბაქოს საშრობ ფარდულზე ვიღაცას „პროკლამაციონები" გაუკრავს, პოლიცია ეძებსო, მე გული მომივიდა და ვუყვირე: შე ვადაგვარებულო, შე სალახანა, ვინ გკითხავს შენ, რომ გვეკითხები, ჩვენ რა საქმე გვაქვს პროკლამაციებთან, სოკოები დავკრიფეთ, ახლა კალათების მოსატანად მივდივართ-თქო. როცა სოკოზე მიდიან, კალათებიც თან მიაქვთო, —ასე გვიპასუხა. შურამ მანიშნა, თავი შეიკავეო, ვეღარ შევიკავე, ხმა გაკმინდე, თორემ ხომ იცი, ჩვენი ბიჭების ამბავი, კიდევ დაგიბეგვავენ სულელურად გასუქებულ მაგ გვერდებს-მეთქი. მერე ვეღარც შურამ მოითმინა, ერთად შევუტიეთ, გაიქცა და ქვებიც მივაყოლეთ, — უამბო ალიამ და ატირდა.

შურა ბონდარენკოსაც უნდოდა რაღაც ეთქვა, ტირილმა უსწრო.

— როდის მოხდა ეს ამბავი?

— შაბათს, — ერთად წამოიძახეს ქალიშვილებმა.

— ნუ გეშინიათ, ცუნიგა ვერ გაგცემდათ, დაშინებული ჰყავთ ჩვენს ბიჭებს.

— მოგაწერინეს ხელი?

— ჰო, გერმანიაში გასაგზავნთა სიაში შეგვიტანეს, ალიას უთხრეს. ვინც არ გამოცხადდება, სასტიკად დავსჯითო.

ვალია სკამზე დაეშვა და წამოიძახა:

— ნუ გეშინიათ, იქნებ მოგიხერხოთ რამე.

უფრო აუჩუყდათ გული ქალიშვილებს.

— თუ იცით, ბევრნი არიან ჩვენი სოფლიდან გასაგზავნთა სიაში?

— უმთავრესად ისინი არიან, ვინც არ მუშაობს.

— შტაბის უფროსს ვთხოვ, ან სამნეო ნაწილის უფროსს, იქნებ სამზარეულოში მიგიღონ დამხმარე მუშებად, ხვალვე გავიგებ და შეგატყობინებთ, აქ იქნებით? სად მოგაკითხოთ?

— აქ გვირჩევნია, აბა სად უნდა გვეძებო!

— მარჯვედ მოიქეცით, კარგს არაფერს მოგიტანთ სასოწარკვეთილება. ჯერჯერობით ნუ დაიმალებით, ვინც დაიმალება, აღარ უნდა გამოჩნდეს, ხვალ საღამოს მოვალ და მოგიტანთ პასუხს.

— ჩვენ ზეგ უნდა გამოვცხადდეთ, ერთი დღეღა დაგვრჩენია, — თქვა ალიამ და შურას გადახედა.

— ეს ერთი დღე მაინც გამოიყენეთ თავისუფლებისათვის, გერმანელებს სიზუსტე უყვართ, დანიშნულ დრომდე არ მოგაკითხავენ, ზეგ კი არა, ორშაბათს გადის ეშელონი, დღეს ხუთშაბათია, ერთი კი არა, ოთხი დღე გაქვთ დრო.

— ო, როგორ მძულს ორშაბათი, თითქმის ყოველთვის ორშაბათობით გადის ეშელონი.

— ვინ არ იცის, არც ახალი ამბავია და არც საიდუმლოდ მიაჩნიათ. მე თუ ვერაფერს გავხდი, მაშინ უნდა დაიმალოთ, სად არის ვალოდია შუმსკი?

— ისევ იქ მუშაობსო, — ალიამ მითხრა.

— სად, გარაჟში?

— ჰო, გარაჟში.

— ვერაფერი მოგიხერხათ გარაჟში?

— გარაჟში ხლოპცები მუშაობენ, ერთი დამლაგებელი ჰყავთ, ნადია რიბალენკო.

— ჰმ! ბედის ირონიაა, აბა რა, ნადია რიბალენკო გერმანელების გარაჟში მუშაობს დამლაგებლად, — სევდიანი ღიმილით თქვა ვალიამ.

მასწავლებელი და პოეტი ნადია რიბალენკო უკრაინულ ლიტერატურას ასწავლიდა ბელაიაცერკოვის საშუალო სკოლაში, კარგი პედაგოგის სახელთან ერთად, ნიჭიერი პოეტის სახელიც ჰქონდა გავარდნილი, ლექსების ორი კრებული ჰქონდა გამოცემული.

— კმარა, საქმეზე იფიქრეთ, მე მივდივარ, — წამოიძახა ვალიამ და გავარდა კარში.

ცოტა ხნის შემდეგ ქალიშვილებიც წავიდნენ, იმ საღამოთი ისევ უნდა დაბრუნებულიყვნენ ღამის გასათევად.

დარჩა ელიზავეტა ანდრეევნა მარტო, პარმაღზე გავიდა და დაჯდა, ბრახუ-

ნი გაისმა, მისი უსინათლო მამამთილი დადიოდა ეზოში, ხელჯოხით მიიკვლევდა გზას, ჯოხი მიერტყა ხეზე აყუდებული ვარცლისთვის.

— მამა, ხომ არ დაჯდები? — გადასძახა და ჩაირბინა რძალმა.

— ლიზა ხარ?

— მოგიტანო სკამი?

სახეგანათებული, დაშრეტილი თვალებით მიაცქერდა, მერე მაღლა აიხედა, თითქოს მის წინ მდგარ ვაშლის ხეს შესცქერისო.

— ვეღარ გიცანი, შვილო, ხმაზე.

არ მოჩვენებია, მართლაც ვეღარ იცნო, სხვა ხმაზე დაალაპარაკა ქალი ბოღმამ.

— ჰო, მე ვარ, ლიზა, სკამი ხომ არ მოგიტანო-მეთქი, მოგიტანო?

— არა, შვილო, დიდი მადლობელი ვარ, დავიღალე სულ ჯდომით, ასე მირჩევნია ბოდიალი, ადგომა მიჭირს, თორემ ერთი თუ წამოვდექი, სოფლის ბოლომდის, გავაღწევ დაუსვენებლად, აბა! — თქვა და ჩაიქირქილა: „ჰი-ჰი-ჰი! — თავის მოხუცებულობას დასცინა.

— რატომაც ვერ გააღწევ, ღმერთმა მოგცეს ძალ-ღონე, — გაამხნევა და გამობრუნდა, პარმაღზე ავიდა და გადახედა ყუმბარებით გადაბრუნებულ ეზოს.

დააბიჯებდა ჯოხის ქნევით მოხუცი ეზოში, ხან ერთ ხეს მოარტყამდა ჯოხსა და ხან მეორე ხეს, შედგებოდა, ხელს მოუსვამდა და იტყოდა:

— ეს ვაშლია?

— ჰო, მამა, ვაშლია, — გადასძახებდა ელიზავეტა ანდრეევნა.

— ესეც ვაშლია?

— არა, მამა, მსხალია.

— ეს რაღა არის?

— ეგ ალუბალია.

— ხომ შუა ეზოში ვარ?

— ცოტა უფრო წინ, ხატასთან.

— ჰოდა, მეტი რაღა გინდა, მივმხვდარვარ, შენ რომ მოგიყვანეთ, იმ დღეს გვარიანად გადაკრული ვიყავი და კი ვეღარ მოვაგენი ჩვენი ხატა.

— მახსოვს, მამა, მე რომ შემოგიყვანე და დაგაწვინე, საწყალი ჩემი დედამთილი რომ წაგეჩხუბა, კაცო, რამ დაგალევინა მაგდენიო.

— უყურე შენ? როგორ დაუმახსოვრებია! რა კაი იყავი, ქალო, მაშინ, ახლაც იმისთანა ლამაზი ხარ?

— ეეჰ, მამა, ნუღარ მომაგონებ....

— რატომ, ქალო, რა შეედრება ბედნიერი დღის მოგონებას.

ელიზავეტა ანდრეევნა შინ შევიდა.

უსინათლო ბერიკაცი კი ეზოში დაბორიალობდა, ჯოხით მიიკვლევდა გზას, რამდენ ხესაც წააწყდებოდა, იმდენჯერ შეჩერდებოდა, ხელს მოუსვამდა და იტყოდა:

„ეს მსხალია!“

„ეს ვაშლი იქნება!“

„ეს ქლიავია, ქლიავმა და ალუბალმა წებო იცის!“

ხან ტყუვდებოდა და ხან არა.

სკამს წამოედო, დაჯდა და ფიქრობდა:

„ჰმ! გერმანელები შემოგვესივნენ, მამაზეციერო, იმიტომ ხომ არ ჩამიქრე თვალისჩინი, რომ არ დამენახა ჩვენი მტრები და თავსდატეხილი ამდენი უბედურება? დიდება შენს სახელსა და ძლიერებას!“ — ასე ფიქრობდა და მაინც ნატრობდა, ახელოდა თვალი, ეხილა მშობლიური სოფელი, თავისი ხელით აშენებული ხატა და ნაამაგარი კარ-მიდამო.

მოსწყინდა ბერიკაცს ფიქრი და ეზოს „თვალიერება“, წამოდგა, რამდენჯერმე კიდევ მოიქნია ჯოხი, ხან რა ხეს მოხვდა და ხან რას, მაგრამ აღარაფერი უთქვამს, შინ შევიდა, თავის საწოლზე ჩამოჯდა, თამბაქო გაახვია და გააბოლა.

ელიზავეტა ანდრეევნამ ფრთხილად აუარა გვერდი მამამთილს, გავიდა შინიდან, თვალი მოავლო ეზოს და გაუყვა შარაგზას.

მიდიოდა, არ ესალმებოდა, არც ყურადღებას აქცევდა გერმანელებს, მათ ადამიანებად არ სთვლიდა, ოღონდ ის აწუხებდა, რომ ისინი თავიანთი ბილწი ფეხებით თელავდნენ მის სათაყვანებელ სამშობლოს, ისე აშფოთებდა მათი ხმის გაგონება, რომ მზად იყო ყურებზე მიეფარებინა ხელები.

წინ ჩაუარა გაუქმებულ კოლმეურნეობის კანტორას, გულს უღრღნიდა მილეწ-მოლეწილ სახლთა და ხატათა ნანგრევები, გზის პირას მიტოვებული აჩონჩხილი, დამწვარი ტრაქტორი დაინახა, მოეჩვენა: მისკენ მობობღავდა ვეება დინოზავრივით, უსასრულო უდაბნოდ ქცეულიყო დაცემული ველ-მინდვრები, მდუღარე ზღვა ბობოქრობდა, ლამობდა სოფლის წალეკვას, თვალი აემღვრა, აღელდა, აბობოქრდა მთები ზღვის ტალღებისა, აღიმართნენ, ზათქითა და გუგუნით წამოვიდნენ, ჯერ ატივტივდა აჩონჩხილი ტრაქტორი და მერე დგაფუნით შთაინთქა უფსკრულში.

„ტფუი ეშმაკს, ღმერთო დამიფარე!“ — წამოიძახა და პირჯვარი გადაიწერა, გორენკოებთან შეიარა, ბონდარენკოს გამოგზავნილი ცნობები დაუტოვა ფროსია ბებიას, ვალიასთვის გადასაცემად და გამობრუნდა.

არც შემკრთალი ჩანდა და არც უნუგეშო, მის კუშტსა და ზვიად სახეზე კი არ წუხდა მისი ჭკვიანი თვალები იმდენად, რამდენადაც აზროვნებდა, სამშობლოს ბედზე და შვილებზე ფიქრობდა. მისთვის რომ გეკითხა: ქმარ-შვილი რომ არ გყოლოდა, ამდენი დარდი და საზრუნავიც ხომ არ გექნებოდაო უყოყმანოდ გიპასუხებდათ: მაშინ უფრო უბედური ვიქნებოდი, უქმარშვილო ქალი უნაყოფო ხეა, რას არგებს ქვეყანასო, როგორც დედასა და მოქალაქეს, როგორც ადამიანს, მას ამშვენებდა გულწრფელი ადამიანური მწუხარება.

შევიდა თავის ხატა-ბუნაგში ძუ ვეფხვი და ბუნაგი რომ დაცლილი დაუხვ-

და, მწარედ ეტკინა გული და სანამ გულის ტკივილი ბოლმად იქცეოდა, გულშივე ჩაკკლა.

ელიზავეტა ანდრეევნასთანა ადამიანი შესაძლოა მოღუნო, მაგრამ ვერ გატეხავ, მისთანანი ერთბაშად ეცემიან ერთი დაკვრით მოჭრილ ხესავით, მათი დაცემა იმდენად ძლიერია, რომ მტერი მაინც დამარცხებული რჩება, ასე მოულოდნელად დაცემული ადამიანები ამ დროსაც დიადნი არიან.

1944-1965 წწ. ვაილბურგი-ფრანკფურტი-თბილისი.

პირველი წიგნის დასასრული

ს ა რ ჩ ე ვ ი

შტაბის უფროსი იოჰან შნაიდერი	5
ბეჭდისწერის ყორანი	12
ნიღაბი პატიოსან სახეზე	51
ცოცხლები სამარეში	62
პოლინა ილინიჩნა	68
დაჭრილი ჯარისკაცი	102
საქართველოს რუკა	115
ორი ბარათი	127
უცნობი კაცი	158
მოხალისე ჰიტლერელი ცუნიგა	164
ქართული ხანჯალი	169
ნაპოლეონის გაქცევა მოსკოვიდან	179
შვლის ნუკრი ღრუბლებში	186
ბედნიერება და უბედურება	202
პატრიოტიზმი და ფანატიზმი	215
ერთი გასრესილი ყვავილი და გადაბუგული სოფელი	223
ელიზავეტა ანდრეევნა	228

რედაქტორი ჯ. თითმერია
გამომც. რედაქტორი გ. ჯულუხიძე
მხატვარი გ. ენაგელი
მხატვრული რედაქტორი ა. თოდრია
ტექნიკური რედაქტორი დ. რაზმაძე
კორექტორი გ. წერეთელი
გამომშვები ნ. რაზმაძე

ჩაბარდა წარმოებას 21. 02. 1978. ხელმოწერილია საბეჭდად 12.01. 1979.
უე 00303. ფორმატი 60X84 1/16. ქაღალდი საბეჭდი № 3 გარნიტურა
გორდეზიანი. ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 13,95.
სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 14,72. ტირაჟი 15 000 ეგზ.
შეკვეთა № 611

ფასი 95 კაპ.

გამომცემლობა „მერანი", რუსთაველის 42,
თბილისი, 1979